ახალი
ამბები

1=2

ტფილისი
1925



ახალი კავკასიონი

ლიტერატურა : ხელოვნება : ფილოსოფია : მეცნიერება

1=2

ГОСУДАРСТВЕННАЯ АКАДЕМИЯ ИСТОРИИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ
★ Академия наук ★

ტფილისი
1925

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ.

რედაქტორ-გამომცემელი:
სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი

ს. მ. ჯ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, (ყოფილი მე-5), ლენინის ქუჩა № 3

მთავლიტი № 438. ტირაჟი 1500

შ ი ნ ა ა რ ს ი:

გვერდი

1. რედაქციისაგან 1

I. მხატვრული ლიტერატურა. საქართველო.

2. ი. გრიშაშვილი — დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს 5
3. კ. მაყაშვილი — სიცოცხლის თავდაღმართზე 7
4. ს. აბაშელი — მეოცნების დღიური 9
5. შალვა დადიანი — უბე'დური რუსი 17
6. ნ. ლორთქიფანიძე — აბრაგი 49
7. ს. შანშიაშვილი — GENESIS 71
8. სოლომონ თავაძე — ცხრაას ხუთი წელი 74
9. კონსტანტინე გამსახურდია — დიონისოს ღიმილი 81
10. ვარლამ რუხაძე — ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას 109
1. ივ. ყიფიანი — სილუეტები 110
12. იონა ვაკელი — საქართველო 111
13. ხარიტონ ვარდოშვილი — საუბარი უბედურ ლანდთან 113
14. ალ. ქუთათელი — Dēmētēr kai korē 114
15. გრ. ცეცხლაძე — კვიმატი დღეები 116
16. დავით კლდიაშვილი — შუაცეცხლის პირას 117

II. მხატვრული ლიტერატურა. უცხოეთი

7. ბლეზ სანდრარ — მე მოვჰკალ (თარგმანი ლ. შ.) 123
18. ვსევოლოდ ივანოვ — ბავშვი (თარგმანი ლ. ქ.) 127
19. ლ. ტანსკი — ორი ქვეყანა (თარგმანი დ-ლის) 136
20. ვალერი ბრიუსოვ —
პარიზი (თარგმანი ივ. ყიფიანისა) 139
მიწის სული (თარგმანი K.) 142
ჩვენი გამოცდა (თარგმანი ხ. ვ.) 143
21. კონსტანტინე გამსახურდია — ანატოლ ფრანს 144
22. ანატოლ ფრანს — II წლის ფლორეალის თვის პატარა ამბავი (თარგმანი ლ. ქ.) 154
23. ანატოლ ფრანს — ნებადართული სიკვდილი (თარგმანი ლ. ქ.) 158

24. **იოჰან ვოლფგანგ გოეთე** — ფაუსტი—(თარგმანი იბერიელისა) 161
25. **სოფოკლე** — ანტიგონე — (თარგმანი პ. ქავთარაძისა) 191

III. წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე

25. **გერონტი ქიქოძე** — თეატრალური პარადოქსები 219
26. **ვახტანგ კოტეტიშვილი** — ქართველ მხატვართა გამოფენა 222
27. **მიხეილ აბრამიშვილი** — გიორგი წერეთელი 228
28. **ს. დევდარიანი** — აკაკი წერეთელი და საქართველო 236
29. **ივ. გომართელი** — ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება 244

IV. მეცნიერება. ფილოსოფია.

30. **ს. ყაუხჩიშვილი** — იაფეტური თეორია და ბერძნული ეტიმოლოგიები 3
31. **პროფ. გრიგოლ წერეთელი**— ნეაპოლი—რომი –ბერლინი 14
32. **პროფ. დ. უზნაძე** — ბერგსონის მონიზმი 46
33. **ივ. ჯავახიშვილი** — ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია 55

V. მემუარები და დოკუმენტები.

34. **ნიკო ნიკოლაძე** — მოგონებანი სამოციან წლებზე 101
35. **იაკობ ნიკოლაძე** — ერთი წელიწადი როდენთან 119

VI. ბიბლიოგრაფია

127

რედაქციისაგან

მწერალთა კავშირის ყოველთვიური ორგანო „ახალი კავკასიონი"-ს განახლებული პროგრამა განსაზღვრულია, ერთის მხრივ, კავშირის ლიტერატურული ტრადიციებით და, მეორეს მხრივ, იმ პოზიციით, რომელზედაც სრულის პასუხისმგებლობით დადგა ქართული მწერლობა ხელოვანთა კულტურული კავშირის 21 სექტემბრის დეკლარაციით.

მწერალთა კავშირი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, იგი არის წმინდა ლიტერატურულ-კულტურული დაჯგუფება; მაგრამ თქმა იმისა, თითქო ქართველ მწერალთა ფართე წრეები არ იყოს უახლოესად დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკური ვითარებით, ეს არ იქნებოდა გულწრფელი განცხადება.

1921 წლის თებერვლიდან, როცა საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქართული მწერლობის ფართე წრეების წინაშე აქტუალურად დადგა ამ ხელისუფლებასთან ახლო თანამშრომლობის საკითხი.

ქართული მწერლობის უკეთილშობილეს ტრადიციას წარმოადგენს ის შეურიგებელი რევოლიუციური სული, რომელიც ისტორიულად გამომუშავდა მე-19-20 საუკუნეთა მანძილზე, როცა საქართველოს მშრომელი მასსები მოწინავე რიგებს შეადგენდენ რუსეთის ცარიზმთან მებრძოლ რაზმებში. ქართული მწერლობისათვის, რომლის მთავარი ხელმძღვანელი წრეები მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოვიდა, და რომელიც ბუნებრივი ამსახველი იყო მშრომელი მასსების რევოლიუციური სულისკვეთების,—ქართული მწერლობის ამ მთავარი რიგებისათვის თითქოს არ უნდა ყოფილიყო უცხო ეს ახალი საბჭოთა რევოლიუციური ხელისუფლება.

მაგრამ არსებობდა ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართე წრეებს ხელს უშლიდა იმ თავითვე დამდგარიყო აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული კითხვა.

ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გაორებას განიცდიდენ ახლად შექმნილ პირობებში: თუ ერთის მხრივ ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურულ დამოუკიდებლობის პრინციპები, მისდა უნებურად, ვერ მიიღებდენ სრულს განხორციელებას; რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ; რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს; რომ რუსული წიგნი თანდათან დასჩრდილავდა ქართულ წიგნს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ იმ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლიედ ხელს შეუწყობდა ობიექტური პირობები.

ეს მერყეობა და უნდობლობის გრძნობა ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეებში ადვილი ასახნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტორიული რემინისცენცია, იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპერიალისტური რუსეთის ხელში. ამასთან შიში, რომ დიდი მასშტაბის რუსეთის კულტურა დასჩაგრავდა ქართულს, იყო ბუნებრივი ყოველგვარ შოვინისტურ ტენდენციების გარეშე.

უკვე მეოთხე წელი შესრულდა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, და ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ და კულტურულ-პოლიტიკის ხაზში არის მნიშვნელოვანი მიღწევები. ქარ-

თულ მწერლობას არ სჩვევია სერვილიზმი; და ჩვენ არ ვიქნებოდით გულწრფელი, თუ არ ვიტყოდით, რომ ამ მნიშვნელოვანი მიღწევების გვერდით არის დეფექტებიც. ამას თვით ხელისუფლებაც არ უარყოფს.

უნდა აღინიშნოს აქ ისიც, რომ ყველა ამ დეფექტების ბრალს ჩვენ ვერ მოვახვევთ საბჭოთა ხელისუფლებას. ამისი ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ქართველი შემოქმედი ინტელიგენცია არ იყო საბოლოოდ გამორკვეული და არ იღებდა ახლო მონაწილეობას კულტურულ საქმიანობაში.

ასეთი გაორებული და გაურკვეველი მდგომარეობა, რასაკვირველია, შეუძლებელია გაგრძელდეს მთელი წლები. ამით მხოლოდ ბრკოლდება და ზიანდება ის კულტურული საქმე, რომლისათვისაც მოწოდებულია ქართული მწერლობა.

ამიტომ ის დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა ხელოვანთა კავშირმა 1924 წლის სექტემბრის 21-ს, გამოწვეული იყო არა მარტო პოლიტიკური მომენტით. ეს არის ის მტკიცე და გარკვეული პოზიცია, რომელზედაც დადგა ქართული მწერლობა.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოუწოდებთ ქართველ მწერალთა ფართე წრეებს გულწრფელი და აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ემსახურონ ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინების საქმეს.

* *

ეს საერთო პოლიტიკური ხაზის შესახებ.

რაც შეეხება მწერალთა კავშირის ორგანო „ახალი კავკასიონი"-ს წმინდა სალიტერატურო-სამხატვრო და სამეცნიერო გეგმას, იგი ამ მხრივ განაგრძობს ჟურნალის ლიტერატურულ ტრადიციას.

ჟურნალი პირველ რიგში დაუთმობს თავის ფურცლებს ქართულ მხატვრულ მწერლობას და ქართული ხელოვნების საკითხებას განხილვას; აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი დგას გარეშე ვიწრო ლიტერატურულ-სკოლური ინტერესებისა. მწერალთა კავშირი, რომლის ორგანოა „ახალი კავკასიონი", აერთიანებს თავის რიგებში ქართველ მწერალთა დიდ უმრავლესობას. თანამედროვე ლიტერატურულ ჯგუფებს და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობათ ადგილი ჟურნალში. „ახალი კავკასიონი" შეეცდება იყოს მიუდგომელი და გახდეს მთლიანი გამომსახველი ქართული მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნების.

კერძოდ, რაც შეეხება უცხოეთის ლიტერატურის განყოფილებას, აქ, ევროპიული მწერლობის პრობლემებთან ერთად, საპატიო ადგილი დაეთმობა რუსეთის მწერლობის საკითხების გაშუქებას. ასეთივე ყურადღებით მოეპყრობა ჟურნალი აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხთა ლიტერატურას.

მეცნიერებისა და ფილოსოფიის განყოფილება ჩვენს ჟურნალში წარმოდგენილი იქნება იმავე სისავსით, როგორათაც ეს იყო „კავკასიონში". (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, კერძოდ ქართულ-მეტყველება, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხები, ფართე მნიშვნელობის პრობლემები ფილოსოფიისა და სპეციალ მეცნიერებათა დარგებიდან).

ამასთან ჟურნალში მოთავსდება თეორეტიულ ხასიათის წერილები მარქსიზმიდან, სადაც პირველ რიგში ყურადღება მიექცევა მარქსიზმის დამოკიდებულებას ხელოვნებასთან.

ამ მთავარი დარგების გვერდით ჟურნალს ექნება აგრეთვე განყოფილებანი:—ქართული კულტურის მიმოხილვა; მემუარები და დოკუმენტები; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ასეთია „ახალი კავკასიონი"-ს სალიტერატურო-სამხატვრო და სამეცნიერო პროგრამის მთავარი ხაზები.

მხატვრული ლიტერატურა.
საქართველო.

ი. გრიშაშვილი

დუდუკის საარი ჭარს აღარ მოაჭვს

შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუწი.
მაგრამ არ იცი ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოჭარგა უწინ.

თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირვებიხარ ამ ქუჩებს კარგად:
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჰიანურზე დაკრული ჩარგა.

სიძველისადმი გრძნობა, პატივი
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს:
მიხვდები ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ ტფილისის კარებს.

მიხვდები რატომ არ დაერიდა
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას,
და რატომ ვცდილობ ამიერიდან
ასე თამამად წარსულის ხილვას.—

აი, სეირი ჯერ არნახული,
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ სჩანს ურმები მოჩარდახული
ღამის მთევლებით ბოლნისის გზაზე;

ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს.
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი.
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმულის ყოჩით!

კრიჟი. ჰამქარი. ცეკვა. ართურმა.
ეს ადათები ძველთაგან-ძველი—
გადაიეწყა სიტყვამ ქართულმა
და დამრჩა... სევდა წაუბაძველი.

აი, პარმაღზე ვწევარ გულაღმა.
ჩემი ოცნება ფრენას ვერ ითმენს.
აი, აფეთქდა აისი ნაღმად.
აი, ლექსისთვის ვეწვიე რითმებს.—

ძველებურ განცდით ვდარაჯობ ნიავს,
რომ შორეული ჰანგი მომფინოს.—
მაგრამ ზურნის ხმა რაღაცას მიაქვს:
ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს.

დუდუკის ნაცვლად—ქარხნის საყვირი.
დუმბო და ზილი დაახშო რკინამ.
ბულბულს—ყაფაზა! გრძნობას—აღვირი!
აღარც დუდუკი... აღარც ყიჟინა...

და მე არ ვიცი ვილას ვემონო!
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი.
ერჩები ოტელო უდეზდემონოდ—
მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი.

ძველო ტფილისო! დღეს ისე მკვეთრად
ველარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი...
მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი.

ძველო ტფილისო! ჩემი მიზნები
აღარ შაქვს გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა! უნდა შევცვალო გზები...
ძველო ტფილისო... გტოვებ... ნახვამდის...

ხარფუხი. დილა. აივანი.

კ. მაჟაშვილი

სიცოცხლის თავდაღმართზე

ძველ ჰანგზე სიცილი, ყრმავ, აგივარდება!
არ ვიწყენ... იცინე ახალის nihi 'ით!
დრო მოვა, შვილო, და შენც შეგიყვარდება
ის, რასაც ვეტრფოდი მეც სევდის ღიმილით.

1. გზა ჩვეულებრივი

მივქრიავარ საზღვრისკენ.. ისე... ხელ ჩაქნევით!
ჩრდილივით მიმდევენ ზრუნვანი, ფიქრები...
მოვველე ზღვა ცხოვრების მრავალ გემთ ბაქნებით
და... ეხლა განცდილის ტვირთის ქვეშ ვიხრები!..

მიჰქრიან თეთრი და შავ-რუხი ძაღლები,
თან მიმაქანებენ ყინვიან მარხილით.
არც შუქის ღიმილი, არც კერა სახლების...
უდაბნო—ფენილი ძეგლების მარგილით!..

2. ანდერძი

განქრობა... მორიგი ლეში... ეს ვიცი მე!
ვწუხვარ: ვერ დავშრიტე სიცოცხლის წყურვილი...
შემინდეთ—წყენა თუ მიმყვება ვისიმე,
შემინდეთ ეს უკანასკნელი სურვილიც:

რა გული შეჩერდეს მტკივნეულ კვნესაში
და თვალნი გაცივდნენ უცნობის მზერაში,
ნუ ჩამდებთ კუბოში, ნუ ჰგოდებთ პრესაში,
საოცარს ნუ ეძებთ ჩემს ბედის წერაში...

ტირილი, სიტყვები, ტრაური აჰკრძალეთ.
შესწყვიტეთ კამათი ჩემს მაღალ მიზნებზე...
ამართვით გული და დასჭერით... დაკრძალეთ
სამშობლოს შუაგულ, ყველა მის მიჯნებზე.

დამწვით მე კოცონზე ზვიად მთათ არეში,
დე, კვამლი ავარდეს ვარსკვლავთა რიდემდე!
აიღეთ ფერფლი და საყვარელ მხარეში
ის მიმოაბნიეთ კიდითი კიდემდე:

რომ ჩემი მშობელი შევიგრძნო მთლიანად,
ფერფლითაც დედის მკერდს ვეჯავშნო, ვეფაროო...
ყველა მის ტკივილებს რომ ალერსიანად
გამკურნავ მალამოდ ზედ გადავეფარო!..

რომ გულის თესლებმა ფესვები გაიდგან
და ერის სალხენოდ აჰყვავდნენ ქნარებად...
მტერიც ვერ მიუდგეს მაშინ ვერსაიდგან—
განცდის ჟამს აბგერდნენ განგაშის ზარებად!

ს. აბაშელი

მეოცნების დღიური

1.

მიაფრენს შემკრთალ დედამიწას ფრთოსან რაშივით
ეს საუკუნე აცეცხლილი და დარკინული.
ჩქარი ბრუნვისგან მიწის ღერძი ტყდება გზაშივე
და პოლუსებზე სიცხისაგან დნება ყინული.
რკინის ლაგამი ჩასჭედია ძარღვიან ხელებს.
—გზა დედამიწას!—ქუხილივით ისმის ძახილი.
მერანს კივილი ამბოხების უფრო ახელებს,—
და იწვის ზეცა გაკვეთილი ელვის მახვილით.
ალი ედება ჰაერს, ხმელეთს, ოკეანეთაც.
გადამცდარ ორბიტს ჰლუნავს სივრცე ძალდატანებით.
გზას უნათებენ აჯანყებულ მწვანე პლანეტას
დაფეთებული კომეტების ჩირაღდანები.

2.

ბრწყინავს ჰაერში ძველ მებრძოლთა წმინდა კრებული.
თითქოს სრულდება მათი წყევა და დანაქადი.
ვუცქერი ზღაპრულ გაქანებას განცვიფრებული
და შიშისა და სიხარულის მივლის ნაკადი.
რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძვლებით ნათესი:
იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი,
და ავარდება მიუწვდომელ მზის სინათლეზე
მოულოდნელად ამოვარდნილ ჭარიშხალივით?—
თუ გარს მოწოლილ ნისლის ზღუდეს ველარ გაარღვევს,
ვერ გადაიტანს ამ ანთებას მიწის სხეული,
და სამუდამოდ დაიმშვიდებს ცეცხლიან ძარღვებს
სადმე მზის იქით ცის უფსკრულში გადამსხვრეული?..

3.

უიმედობა, მუდამ იჭვი და სინანული
ჩრდილივით ახლავს ჩემი ფიქრის ყოველ ანთებას.
ვარ გასაოცარ მოლოდინით თვალ-დანამული,
მაგრამ დრო მიდის, და სასწაულს აგვიანდება.
მტანჯავს სიტყვებით შებორკილი ახრი თავნება,
ხან შიშით სავსე, ხან აშეებულ ვნებით მყეფარი.
მსურდა სავსებით გამომეთქვა გაუგებარი
ჩემი ოცნების უცნაური ამპარტავნება,
რომ მეგრძნო ცეცხლის დაყუჩება და შენელება,
მაგრამ ლექსების თეთრ კუბოში ვერ მოვათავსე,
რაც ჩემი სულის მდუმარ კალთაზე
ცისფერ ღამეებს დაუღვრია საშინელება.
უნაყოფობას მომავალი რათ დამაყვედრის?
მე თუ დავეცი, ჩემი დროშა ვინ-ღა ამართოს?
ვერა ვთქვი ქება მე ჩემი ხვედრის,
და დავემდურე ბედს უსამართლოს.

4.

და ან მადლობა რათ დავუწერო?—
ბევრი არ მახსოვს მე სიხარული.
ხშირად მქონია ლოყა უწვერო
მწარე ცრემლებით ჩამოღარული.
ახლაც მწუხარეს, თუ გახარებულს,
მწვავს ცრემლი, წინად რაც დავიდინე.
ხშირად ჩემს ოთახს, ბინას ღარიბულს,
ესმის უძლური ჩემი ქვითინი.
ვხედავ: სიხარულს ცრემლმა აჯობა!
ო, რა ბავშურად მითამაშნია!
ჩემი თაობის უილაჯობა
დღეს სამარცხვინო დაღად მაჩნია!

5.

ოთხივე კუთხით გამოკეტილი
ციხესა ჰგავდა ქვეყანა ჩემი.
იღუპებოდა თესლი კეთილი,
წინაპართაგან გადმონაცემი.
მძიმე ურდულით გადარაზული,
რკინის ჩამტვრევას ელოდა კარი.
იყო გოდება ცამდე ასული,

გვენატრებოდა ელვა და ქარი.
ქარიშხალს დიდხანს აღარ უცდია,—
და ერთ საღამოს, როცა შებინდდა,
უცბად იელვა რევოლუციამ
გათამამებულ დეპეშებიდან.

6.

და სანამ თვალი დაინახავდა
აივსო ალით ძველი ჭაობი.
ამხედრებული ქუჩა აყვავდა
მოულოდნელი სანახაობით.
მაგრამ მოსწყურდათ ბრძოლა ტიტანებს,—
და დაიდრიკა მთათა კიდენი...
სუსტმა თვალებმა ვერ აიტანეს
ღვარად მომსკდარი ცეცხლი იმდენი.
ახალი ძველ გზას ვერ შეეთვისა,
და გაიზარდა მტრობა და ზიზღი.
მთელს ქვეყანაზე დარჩა ერთი გზა:
რკინის და სისხლის! რკინის და სისხლის!

7.

წინად ვფიქრობდი: იელვებს უცებ.
ფრთებს აისხამენ დროშის ტარები.
გადაიმსხვრევა დამპალი ფუძე
ახალი ქვეყნის აელვარებით.
იქნება ქრისტეს გამოცხადება.
გოლგოთა. ჯვარცმა. თავზე ეკალი.
მაგრამ ამბოხის ზღაპრულ ხატებად
გადმოვა ციდან ბრწყინვალე ქალი.
და მუხლს მოიყრის მის წინ ყოველი:
ოფლის, ცრემლის და სისხლის დამღვრელი.
დააცხრობს ტკივილს მზის სიცხოველე
და სათნოება განუსაზღვრელი.

8.

ახ, ვოცნებობდი თურმე ბალღურად!
გვიან-ღა არის აწ დანანება!
ჩვეული გზები ყველა დაჰხურა
მიწის უჩვევმა ატორტმანებამ.
თითქო სინათლეს მეც მივაშურე,

მაგრამ გრიგალი როცა მოვარდა,
გაქრა ოცნება ჩემი ბავშური,
როგორც სიზმარი ძუძუმწოვართა.
ბრძოლის სიშმაგემ გული მატკინა
და ჩამებინდა თვალებში ნისლი.
ვერ ავიტანე ტყვია და რკინა!
ამდენი ცეცხლი! ამდენი სისხლი!

9.

გამახსენდება: თითქო მიწიდან
ამოდიოდა სვეტად ნათელი.
ყოველ ნაბიჯზე ლხინი მიცდიდა
და სიხარული მხნე და ჯანმრთელი.
ახალი სიტყვით გული განათდა.
ცრემლმა თვალები შემისევადა.
მოვიდა შუქი სხვა ქვეყანათა
ჩვენი ჟინჟღილის ასაწევადა.
და ბრძოლის ალმურს, ირკვლივ დანათოს,
გზა და სურვილი ჰქონდა ორივე,
რომ დედამიწამ გადაანათოს
ცათა უფსკრული მეტეორივით.

10.

მაგრამ მეორეც გამახსენდება,
ადრე ნატანჯი და ნაფიქრალი,
როცა მესმოდა: არ გათენდება!
და ჩირაღდანიც იყო მომქრალი.
როცა დამძიმდა და შევიწროვდა
ჰაერი, სავსე შავ მოზმანებით.
სიკვდილზე ფიქრი ტვინში იძვროდა
თავში ჩაჭედილ ცხელ ლურსმანივით.
იმ ბურუსიან ქარის დღეებში
ისმოდა ირგვლივ წყევა, ჩივილი,
რომ დედამიწა გაქრეს ჩრდილივით
შემოღამებულ ცის სივრცეებში.

11.

ახლა თვალთაგან სინანულის ცეცხლის მკვესავი,
ვნანობ, რომ ჩემს გზას მე უშიშრად ვერ გადავხედე.
ჭირს მოულოდნელს უნდა დახვდე მაგარ კლდესავით.

და განსაცდელში უნდა ბედთან იყო თავხედი.
დავკარგე ყველა საგანძური, თუ რამ მებადა.
ეზივარ ცივ ქვაზე თავ-დახრილი, თვალ-დახუჭული.
რეკავს ეკვანი სანეტარო მოგონებათა.
მესმის ბავშვობის ოქროს დღეთა ტკბილი ჩურჩული.
მოვშორდი თითქო ამ ქვეყანას და ჩავესახლე
გამქრალ ჩრდილებში. და გაცოცხლდა ისევ წარსული.
მოსჩანს შორიდან ლურჯ სივრცეში ჩემივე სახე
ყვავილთა ელვით და ნათელით შემოგარსული.

12.

ვიყავი ბავში უნათესავო.
ვცხოვრობდი სოფლად, მქონდა გრძნობა მშვიდი, გლეხური.
მიყვარდა მუქი, მღვრიე აბაში სათევზაოდ,
და საბანაოდ— სუფთა ტეხური.
არ მყავდა მამა მოსარიდი და არც აღმზრდელი.
მარტო-პერანგა, ფეხშიშველი და უდარდელი
დავრბოდი მინდვრად, სადაც ჩემებრ ნორჩ მწყემსებითა
როგორც საკუთარ ყვავილებით ჰხარობდა ველი,
უხვი ოცნება გმირს მატოლებდა,
მეჭირა ხელში ძეწნის ტოტი ერთი ტკაველი
და ჯოხის ცხენი ზღაპრულ რაშივით დამაქროლებდა.
მხიბლავდა ჰანგი, დარჩენილი ძველ ლექსებიდან,
და ღრუბლის კოშკზე ანთებული ოქროს წვეთები.
ყაჩაღს მეძახდნენ ტოლ-ბავშების ცელქ ქარავანში,
ფეხმარდ სირბილში მწევარივით ვიყავ ნაგეში,
და ჩემს პატარა ამხანაგებში
არავინ იყო ჩემი დამწევი.
როცა ღელეში ჩადგებოდა ცეცხლის სვეტები,
ეხოცდი ბაყაყებს გამხმარ ბელტებით,
და მიყრუებულ ეკლესიის ჩუმ გალავანში
წყალში ჩაღუნულ ბებერ ცაცხვის ხშირ ფესვებიდან
მე გამომყავდა მარჯვენა ხელით
ცოცხალი კიბო, და ხან კი გველი,
მოულოდნელად თავზარდამცემი.

13.

ვიკვებებოდი ფრინველივით წყალით და ხილით.
მიყვარდა ღამით ხეტიალი მოუსვენარი.

მესმოდა ხშირად რუს პირიდან მავნეს ძახილი
და ტოტის მტვრევა მძინარ წყალზე დახრილ მტენარის.
ღელედან მთვარეს თეთრი ხავსი ამოჰყვებოდა.
და ტყეში ნათელ ქსელს აბამდა ვერცხლის ობობა.
იპყრობდა ხეებს უცნაური ავადმყოფობა.
ნამს შეეშრობდა ნისლის თოვლი და გალხვებოდა.
იდგა ჰაერში გაყინული ზარის წკრიალი.
ვუსმენდი ხლაპრებს, მეწისქვილე რომ მოჰყვებოდა,
ატოკებული სანეტარო გულისფრიალით.
და დილით, როცა გაივსებოდა
ტყე და მინდორი მზის წისქვილიდან
გადმონათოვი ოქროს ფქვილითა
და ყვავილებით,—
მე მოვდიოდი ათას ფერით სავსე თვალებით,
აღტაცებული ცის და მიწის ფერისცვალებით.
ჰყვაოდნენ გულში სურვილები.
ბრწყინავდა ყანა მოოქრული და დაცვარული.
ჯერ ბრძოლის გრგვინვა არ გამეგონა,
და გულუბრყვილოს ასე მეგონა,
რომ ყველაფერი იყო სითბო და სიყვარული.

14.

ახლა მგონია შხამით ნამთვრალევს,
რომ მოღალატე და უსწოროა
გზა ჩემი ბედის, ოცნებათა ცეცხლით ამგველის.
წინად ვით ბავშებს თბილ აკვნებში
ეძინა ტკბილად წამწამებში
ჩემს ღია თვალებს.
ახლა კი ჩემი ორი თვალი ორი სოროა
ორი უეცრად გაცოფებულ შხამიან გველის.

15.

შფოთიან დღეებს ვინ მიმაწება?
მაწუხებს ფიქრი ჯერ გაუმხელი.
ყოველი მხრიდან გრძნობას აწვება
ულმობელობის მძიმე უღელი.
ო, როგორ მინდა ვნახო სიზმარი,
რასაც სიყრმითვე ვეთვისებოდი!
ნიავ-ჩამდგარი სულის სიწყნარით

კვლავინდებურად ავიესებოდე!
არ ვატარებდე ჩემს სატანჯველად
დამწვარ ოცნების ნაცარს და ნახშირს;
გავხდე პატარა, ვით ჭიანჭველა,
და დავიმალო სადმე ბალახში;
რომ არ მესმოდეს იქ შემზარველი
სულის კივილი დაუფარავი;
იყოს სიჩუმე ჩემი მფარველი!
იყოს სიმშვიდე ჩემი კარავი!

16.

ძაგრამ სიმშვიდე ახალმა დრომ არ დაგვანება.
განწირულია ჩვენი მოდგმა რბილ-ძვალიანი.
დღეს საჭიროა კლდის ნაკვეთი ადამიანი,
რკინის ნერვებით და ფოლადის აღფრთოვანებით.
მე კი დავსუსტდი ყოველ წუთში უკან დახევით.
ვარ ჩვენი დროსთვის სამარცხვინო რბილი ბუნების.
შევხარი ჰაერს და მზის სხივებს მთის ბალახივით,
და მეშინია ცეცხლის ქარის აგუგუნების.
და ჩემი სულის სამყაროს წინ შავ ელვასავით
ირხევა სწრაფად დაქანებულ ფარდის გრეხილი...
ოხ, მეგობრებო! აწ ლექსებით ვის რას ვასწავლი?
სჯობს თქვენს წინაშე ძირს დაეცეს მძიმე ქვასავით
უკანასკნელი მეოცნებე ფრთა-მოტეხილი!

17.

არ მინდა გულში ჩამებუდოს უიმედობა:
გამარჯვებული განვლილ ტანჯვას არ მოიგონებს.
დაღალულ პოეტს მომავალი აღარ მენდობა
და დაივიწყებს უნუგეშოდ მტირალ სტრიქონებს.
კმარა ტირილი! უნდა აღსდგეს სული მზესავით,
რომ სიცოცხლის ჯაჭვს გაუგების ახალ რგოლებად
მომავალ დღეთა გასაჭირი და დაბრკოლება,
და მოკვდეს იჭვი, რწმენისათვის დანის ძლესავი!

18.

მშვიდობით ჩემო საყვარელო მელანქოლია!
შენზე უტკბესი მეგობარი მე არ მყოლია!
ბევრჯერ მიგვრძვნია შენი ცივი ხელის შეხება
და დამიღვრია მწუხარება ცრემლის შხეფებად.

მეწვიე ადრე, ჯერ კიდევ ბავშს და უასაკოს.
რამდენ იისფერ საღამოს და ღამეს ასარკულს
დაუთოვიავარ სხვა სამყაროს უცხო ნათელით:
მარადისობის აელვებით და ჟრუანტელით!
იწვევდი ჩემში მუდამ შიშსა და გაოცებას.
უკვდავ ღამეში ჩემთან მხოლოდ შენ იყავ ერთი.
აქრობდა ჩუმად ჩემი სულის ყველა ოცნებას
შენი თვალების უნაპირო შავი ხავერდი.

19.

დროა გათავდეს ჰაბუკური სისხლის თამაში,
ნიღაბთან ბრძოლით და ნაღველით სულის გართობა,
რომ ჩაესვენოს მდუმარების ცივ აკლდამაში
ჩემი სიცოცხლის ორმოცი წლის უკუღმართობა!
უნდა ესვა სიბრძნე საუკუნის ახალ თასიდან,
რომ მკაცრ ლითონის სიმძიმითა და გამძაფრებით
ავმართო ცეცხლით დატვირთული რკინის აფრები
სულის ტკივილის სხვა ნაპირზე გადასაზიდათ!
რომ კვლავ აენთოს აზრი წმინდა და უმადლესი,
იჭროლოს რაშმა, შორს დასტოვოს ყორნის ჩხავილი,
და ეს ქვეყანა აკივლებულ ქარიშხალივით
გრგვინვით ავარდეს მიუწვდომელ მზის სინათლეზე!

შალვა დადიანი

უბედური რუსი

თავი მეოთხე

მამიდა

იბ.

— ოო, თამარ, საყვარელო ჩემო!—

სიხარულით შეიკვირვა ჯერ კიდევ კარგად შენახულმა მოხუცმა რუსუდანმა და წინ შემოეგება.

ყველანი წამოიშალნენ. მდაბლა თავი დახარეს.

— ეს ფერი რათა გაქვს ნაკრთომი?—ნაჩვევის. უფროსის კილოთი დაიწყო რუსუდანმა, მაგრამ მყისვე ღიმილი მიაყოლა და ხილ-გადახვეულმა თითქმის ყურში ალერსიანად ჩაუჩურჩულა:

— შე საძაგელო, შენ!..

თამარს უყვარდა მამიდას ღიმილი. ამ ღიმილში მუდამ ქრისტიანული ლმობიერება იყო ჩაქსოვილი. თორემ ეს ღიმილი რომ არ სცნოდა რუსუდანს, მისი სახე მეტად მიუკარებელი გამომეტყველების იქნებოდა. დიდი სისასტიკის ბეჭედი აჯდა. ამაში ძალიან ჰგავდა მის ძმას მეფე გიორგის, თამარის მამას.

გიორგიზე ხომ ამბობდენ მისი მომსწრენი: მის სახეს სიცილი ძვირად ეკარებაო. ეგეც შეიძლებოდა ეთქვათ რუსუდანზე და განსაკუთრებით მის თვალებზე. ისინი არ იცინოდნენ, ხოლო როდესაც გასწყრებოდნენ, ერჩივნა მათ წინაშე მდგომს ქვესკნელი გახეთქოდა და შიგ ჩაეტანა.

ამ ჟამად კი ანაზდეულმა ღიმილმა დარი დააყენა ამ სახეზე.

— ოო, რატი!—შეამჩნია თამარმა—როგორ გიკითხო!

მამიდა-ძმისწული ტახტზე ერთად ჩამოსხდნენ.

ქართლის ბატონი ყურთამდე სიხარულის სიწითლით გაიცსო და შესაფერი პასუხი ჰკადრა.

— ღირსეული დედა-შენი, დიდი ქალბატონი ხვაშაქი, რაზედ აღარა გვწყალობს?..—კვლავ შეეკითხა თამარი.

— შენი წყალობის ღირსი თვით გახლავს, მეფეო... მხოლოდ ეხლა შეუძლოდ არის და...

— შეუძლოდ? მერე აქამდე რად არ მაცნობეთ?..

— შეუძლოდ ისე გახლავს, მეფეო, რომ ცხენზე ჯდომა უმძიმს და გვიბრძანა მის შვილებსა: თუ სამძიმო, სამეფო საქმე არ იყოს-რა ცუდ უბრალოზე ნუღარ გამრჯით და თამარის ქორწინებამდე როგორც იქნება მოვიჯირვებ მის უნახავობასო...

ქორწინების ხსენებაზე თამარს ოდნავმა შავმა ღრუბელმა გადაურბინა.

— რატომ შეჰპედა:

— ეხლა-ღა ეს ქორწინებაც, მგონი სამალიოდ იქნება...

შეწყვიტა... თამარი მიუბრუნდა მამიდას:

— მართლა, მამიდა, შენთან საქმეზე ვარ მოსული...

— აბა ეხლა თქვენ მოგვშორდით შვილოსა,—უბრძანა იქ მყოფთ რუსუდანმა.

ამ ბრძანებაზე რატომ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავის გულში, რომ რუსუდანის და დედა-მისის ხვაშაქის ხმები ერთი მეორეს ძალიანა ჰგვანდნენ: ბოხი იყო, ორივ მკვეთრი და შეუვალი.

თავის თავს კი შეურაცყოფილად გრძნობდა: თამარმა არ უპასუხა მას შეკითხვაზე, მაგრამ გამოთხოვებისას თამარმა ლმობიერად გაუღიმა და... კვლავ მოინათლა. თითქო მეფემ ამ ღიმილით უბრძანა—არა, კი არ გიწყრები, მხოლოდ ეხლა არა მცალიანო.

ᲘᲐ.

მარტო დარჩნენ გვირგვინოსანი მამიდა და მირონცხებული ძმისწული.

თამარი შეეკითხა რუსუდანს:

— მამიდა, რას მირჩევ?

— ჩემი აზრი უკვე იცი, თამარ... მეც მოვიწონე ეგ უცხო უფლისწული, მეც მივემხრე კათალიკოსსა...

— ეგ ვიცი, მაგრამ... საუცებურათ ნუ მივაგდებთ ესეთ დიდ საქმეს... არა, საპირადო მე აღარ მალაპარაკებს... ამაზე ბევრი ვიფიქრე, კარგად უწყი, რომ ჩემი გული მკვდარია...

— თამარ, თამარ!..

ცოტა სისასტიკე გაისმა რუსუდანის ხმაში.

— ნუ თუ კვლავ ვერ სძლიე შენს თავსა... ნუ თუ ძველი ჭრილობა კვლავ განგიახლდა და სიყმაწვილის მოგონებით კვლავ მიმოიტაცებს!..

თამარს უნდოდა რაღაც ეთქვა. მამიდა შეუვალად, მრისხანედ განაგრძობდა:

— ვით დაივიწყე რა ჭირი განვლეთ!.. განსვენებული მამა-შენი, ლომ-გული მეფე ვით აღშფოთდა, ვითარ ბორგავდა, როს ესმა ხმები, რომ უფლისწულს

დემნას მისი ერთად-ერთი ქალი თამარი მოსწონსო. გახსოვს მისი განრისხება? თვალებით ცეცხლს აფრქვევდა, პირიდან გრგვინვა-ქუხილს აღმოუტევებდა...

თამარმა შეატყო, რომ მამიდა გაიტაცა მწარე მოგონებამ და ხელი აღარ შეუშალა: თავ-დახრილი უსმენდა მჭუხარ სიტყვებსა.

რუსუდანი კი მჭევრ-მეტყველებდა:

— ან ვით ეგებოდა! დემნა ბიძაშვილი იყო შენი... სისხლით და ხორცით ნათესავი... ჰოი, უფალო, რა ჰორები მიმოქროდა მაშინ სასახლის კარზე... რა საჭიროა გახსენება!.. და აი მამა-შენი შენც შემოგწყრა, გაძევებულ იქმენ... ქაჯეთის ციხეში მოგათავსა და კვლავ მე მომანდო შენი თვალ-ყური... ხოლო, სამეფოში აღტყდა ამბოხი და აღრეცა... დემნას მომხრეები განუდგნენ ნეტარს გიორგის და, კარგად იცი, როგორი ძმათა მმუსვრელი ომი მოჰყვა ამ ამბავს...

თამარმა თავი აიღო. ნელიად შეახსენა:

— ამ ომს სხვა მიზეზიც ჰქონდა. უფლისწული დემნა მემკვიდრე იყო საქართველოს ტახტისა და თვის უფლებას ეძიებდა...

— ჰო, მაგრამ უფალმა არ გაუმარჯვა სისხლის შერევის მოწადინეს...

თამარის ნაზ გულს თითქო ისარი მოხვდა:

— ო, მამიდა, ნუ ამბობ მაგას!..

მამიდას ყური არ უგდია:

— გიორგის რკინის მკლავმა სძლია მას და მისთანათა... შენ კი გახსოვს ცრემლით გათენებული ღამეები... იქ, ქაჯეთის ციხეს... ო, რამდენი შიში, კრთომა და ტანჯვა გამოვიარეთ ორთავემ... შენ ბავშვი იყავ მაშინ. ამ ქვეყნისა ნაკლებ გესმოდა და მხლოდ შენს გულის მოფეთქებას აჰყოლოდი... მაგრამ აი განვლო დრო-ჟამმა... უკვე დიდი მეფე ხარ ეხლა და... ნუ თუ ის გინდა, რომ კვლავ მიძინებულმა ჰორმა გაიღვიძოს, ბოროტ ენათ კვლავ მისცე საზრდო?!.. გახსოვდეს, თამარ! მეფის კარზე შურსა და ბოროტებას არასოდეს არ სძინავს. იგი მხოლოდ ბრძენი მეფის შარავანდედში მირულებულია და გველივით შეკეცილი... ოჰი, ღმერთო! ჯვარი აქაურობას, ვიღაც ცუდად მახსენებს...

თამარს თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, მაგრამ მამიდას ცრუ მორწმუნეობამ ცოტა ღიმილი მოჰგვარა.

— არა მამიდა! ეგ არ მავიწყდება, რომ მეფის მოვალეობა რთულია და მრავალ-ფერი... რომ ყოველივე ნაბიჯს, ყოველს სიტყვას, საქციელს და მიხვრა-მოხვრასაც დიდი აწონ-დაწონვა უნდა, განსჯა და ფიქრი... მერე განა მე გამოვიწვევ ხელ-ახლა ჰორსა, შურს და ბოროტებას?.. თუ დავთანხმდი, რომ დარბაზის ერსა და... ყოველსა საქართველოს მოეძებნა ჩემთვის მეუღლე, ეს განა იმას არ ნიშნავს, რომ მე დავთმე ყოველი ჩემი საპირადო და ერის ბმაზე დამოუკიდე სამეფოს ბედი?!.. თორემ ჩვენ ქართველ ქალებს, მადლობა ღმერთს, შეგვიძლია ვინც გვენებება ის ავირჩიოთ ჩვენს მეუღლედ... არის ამის მაგალითებიც... არ მიეხედოთ ნათესავების მოსაზრებას, მახლობელთ რჩევას, დაგენდოთ მხოლოდ ჩვენს გონებას—რომ გზა გაიკვლიოს და უნაზესმა ჩვენმა გრძნობამ ეს გზა გაგვინათოს... მე ხომ მეფეც ვარ და ვის შეუძლია არჩევანსა ჩემსა წინა აღუდგეს...

მაგრამ აჰა, ეს საქმეც თქვენ მოგანდეთ და... თუ ვამბობ ჩემი გული მკვდარი არის-მეთქი... ამას მხოლოდ შენ გიზიარებ, მამიდა ჩემო...

თამარის ესეთ სიტყვებზე რუსუდანი თითქო სულ გამოიცვალა. ან სადღა იყო წინანდელი მამხილებელი, თითქო მარმარილოსგან ჩამონაძერწი ნაკეთი?!

იგი მოიხარა და თამარს მუხლებზე მოეხვია:

— მომიტევე, ჩემო ბრძენო თამარ... ოდეს ჩემთან ხარ, სულ მგონია ისევ ჩემს პაწია გაზრდილს ველაპარაკები. რა გინდა დიდ მეუფედ ვგრძნობდე შენს თავსა, მავიწყდება ესე ვითარი და ხშირად ტუქსვა წამოსცდება ბაგეს...

— მე ეგ არ მიკვირს, მხოლოდ... შეჩერდა თამარი და ჩაფიქრდა. რუსუდანიც უცდიდა,

— მხოლოდ რატომ მაინცდამაინც ამ უცხო, რუს უფლისწულზე შესდგა თქვენი არჩევანი?.. იცნობთ? გაგიგიათ მისი თვისებანი? თუ გარეგნობამ მოგხიბლათ?

— დიდი მეფის შვილი არის თურმე, თამარ! სანახავად კარგი, სახე—კეკლუცი, სრულ ანაგებითა და... საჩენი.

— მე ეგ სახე-კეკლუცობაც ვერ დავინახე. უნაზესი რაცა აქვს ადამიანს: სულის სარკე, თვალები, მღვრიე აქვს და ბინდ-გადაკრული... ნუ თუ ეს ვერავინ შეამჩნია?.. მაგრამ იცი, მამიდა, ეს მაკვირვებს! ნუ თუ ქართველებში არ მოიძებნა ისეთი მოყმე ვინმე—სამეფო ტახტის ღირსი ყოფილიყო...

და კვლავ თავში გაუელვა დერეფანში გაგონილმა სიმღერამ:

„ქალი რად გინდა უცხო მხრის“...

რუსუდანი შეცბუნდა. ეტყობოდა მასაც ეუცხოვა ეს აზრი, ეტყობოდა მასაც დაებადა საკითხი: „მართლაც და რატომ ვინმე ქართველთა მოდგმისა ღირსეული, წარჩინებული არ ვირჩიეთო!“

გაახსენდა: ჩვეულებაა,—მეფეთა მიერ არა ეგების ქვეშევრდომთა შეუღლებაო.

ეგრეც მოახსენა:

— არა შესაწყნარებელ არსო!—თამარმა უპასუხა:

— ეგ ვიცი ყოველივე, მაგრამ მე ხომ შვიდთა სამეფოთა მპყრობელი ვარ... მა'შასადამე ამ სამეფოთა გამგენი ხომ ჩამომავლობით ჩემნი ტოლნი და სწორნი არიან, მე მხოლოდ ხარისხითა ვარ მათზე მაღალი...

რუსუდანი შეფიქრიანდა. გაუბედა:

— თამარ! ნუ თუ ვინმე გეგულება მათ შორის და არ ამელავნებ...

თამარმა ნაღვლიანის თვალით გადახედა.

— არა, მამიდა!.. ვითარ ვთქვი, ჩემი შეუღლების ამბავი სრულად თქვენზე დამოკიდე და ამ საფიქრალისაგან დავიხსენი თავი ჩემი... აქამდის ხომ სულ უარზე ვიყავ... მხოლოდ რაკი სამეფომ მოითხოვა ჩემგან ამ ვალდებულების გასრულება, დასტური დავრთეთ... ეხლა კი დღეს, ზეიმის დროს, როს ვნახე უფლისწული... გავიფიქრე: ამ ბრძენ ხალხსა შეცდომა არა მოუვიდეს-მეთქი... და თუ ეხლა ვერევი ამის ბჭობაში, თუ შენც ჩემს აზრსა გიზიარებ, მერწმუნე, მხოლოდ იმ, ვით მეფე თავის სამეფოზე მზრუნველი, ვით სახელმწიფოს გულ-

მტკივნეული მოაზრე ვინმე... საპირადო ყოველი აქ დავიწყებულია, მკვდარია და აღარ არსებობს...

— მაშ არ მოგეწონა უფლისწული?

— ჰო, ჩემს სულს ვერ შეეთვისა... იმიტომ ვამბობ ქართველი-მეთქი... არც ამაზე მიფიქრია აქამდე, მაგრამ გეტყობათ არც თქვენგანს ვისმე მოსვლიათ აზრად ქართველი მოეძებნა...

რუსუდანმა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა:

— უთუოდ ვერ ბედავდნენ.

— მეც ეხლა სულ უბრალო რამემ ჩამაგდო საფიქრალსა: დერეფანში ერთი ოთახიდან სიმღერა შემომესმა... მართლა, დავით სოსლანი ჩამოსულა...

— დიაღ გეახლა...— შეგვიანებით წარმოსთქვა რუსუდანმა.

— აი, იმის ოთახიდან სიმღერა გამოდიოდა: „ქალი რად გინდა უცხო ჭხრის. დასნეულდება, მოკვდებაო!..“ და იცი, მამიდა!...

მამიდას უკვე ეტყობოდა, რომ რაღაც ახალ, მძლავრ საფიქრალსა დაეპყრო. თამარი განაგრძობდა:

— ამ ლექსში დიდი სიბრძნეა... ჰო და...

აქ ერთი ალერსით მოეხვია მოღუშულ მამიდას და თან სევდიანად ჩაუხუმრა:

— მაშ ვაჟიც რად გვინდა უცხო მხრის!

მამიდას ნელიად გაეღიმა. მაგრამ თამარს ისევ სახე ეცვალა და უკვე უხუმრად წარმოსთქვა:

— მაინც მე ერთ გზასა დავდგომილვარ... შენ გაგიზიარებ ამას... ვიცი კარგად, დიდებულნი, დარბაზის ერი, კათალიკოსი და შენც საბოლოოდ შეთანხმდით უკვე: გინდათ ეგ უცხო უფლისწული მეუღლედ გამიხდეს... აღარ გეურჩებით, მხოლოდ იცოდეს ყველამ: ჯვარის წერა ჯერ არ მოხდება. დავიწინდებით. ესეც იმისთვის, რომ შფოთი რამე არ ატყდეს ჩვენს ქვეყანაში. ჯვარის წერამდე კი ერთი წელიწადი მაინც მოათიოს ჩვენ შორის უფლისწულმა, გავიცნოთ, შევისწავლოთ მისი ხასიათი და უკეთუ შემდეგშიაც ღირსი აღმოჩნდება, მე თქვენს სურვილს არსით წაუვალ...

შეჩერდა. მამიდას თითქო ჰმუნვის ღრუბელი გადაეყარა. თითქო უფრო თავისუფლად ამოისუნთქა თამარმა კვლავ მიმართა:

— მხოლოდ, მამიდა, ამის საჯაროდ გამოცხადებას მე თვით ეუბრძანებ. მანამ კი ნუ ვისთან ნურასა გრჯის... კვლავ მადროვე ცოტა, გონება კვალად შემოვიკრიფო.

— ბრძენი ხარ, შვილო, ბრძენი და ვინ რას გეურჩება!

— ეხლა ნახვამდის.

მიადგა მოფარდაგულს. მამიდამ მიაცილა.

— აბა, გამდელო, გავსწიოთ ჩვენსა.

დერეფანს მდგარი გამდელი, შიმუნვარები და დარაჯი მოკრძალებით თან გაყვნენ მეფეს.

დერეფანში უკვე დარბაზის ერი ირეოდა. ეტყობოდა ასპარეზობიდან სანადიმოდ დაბრუნებულიყვნენ.

თამარის დანახვაზე ყველამ მოკრძალებით თავი დახარა, მაგრამ გაუკვირდათ, რომ ჩვეულებისამებრ დიდი მეფე არავისთან არ შეჩერდა და არავინ თავისებურ სათნოებით არ მოიკითხა.

— უგუნებოდ ბრძანდებაო!—ჩურჩული შექმნეს.

ოთახის შესავალთან მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი დაეწია, თავ-დახრილმა მოკრძალებით ჰკადრა:

— ჟამი არს ნადიმობისა, მეფეო!

თამარმა ლმობიერად გადახედა და, თითქო ბოდიშს იხდისო, ნელის ხმით უბრძანა:

— ვერა, ჭიაბერო, დღეს ვერ მოვალ ნადიმად. ამცნეთ სპასალარ სარგის მხარგძელს და მსახურთ-უხუცესს ვარდან დადიანს ღირსეულად დაუხვდნენ სტუმრებს. დიასახლისად სომხითის მთავრის მეუღლე, სარგისის ქალი, ზაქარია და ივანე მხარგრძელების და თამთა დამინიშნავს.

ჭიაბერმა კიდევ უფრო მძიმედ თავი დახარა და მსწრაფულ გატრიალდა. იქვე დახვდა კათალიკოსის გამოგზავნილი მორჩილი. შეეკითხა.

ჭიაბერმა უბრძანა: არ იქმნებაო.

თამარი შეეცდა თავის ოთახს და მყისვე გამდელს მიმართა:

— როგორ მიმრჩა ჩემი ხელ-საქმე! დღეს ვერაფერი ვერ მოვასწარ...

— ბრძანებ მოგართვათ?

— ჰო, ის ქარგა, დაფარნას რომ ვაკეთებ...

შიმუნვარი წავიდა მოსატანად.

— ამცნეთ აგრეთვე ჩემს მოლარეთ-უხუცესს მოვიდეს ჩემდა...

თვითონ კი მაგიდას მიუჯდა.

ოქროს გრძელი საწერელი, თვლებით მორთული ედგა წინ. ორბის ფრთაზე კალმათ „მინა რხეული“ იყო წამოცმული. კარგა მოზრდილ, უცხოდ მოხარტებულ კასრის მაგგვარ ჭურჭელში გრაგნილი ეტრატები იყო ჩაყუდებული, იქვე იდგა მომცრო ქვიშის საათი. უფრო ახლოს კი კარგა მოზრდილი, მეშის სქელი, ყდიანი წიგნი მდებარებდა. ყდაზე ბიზანტიის კეისართა ოქროს ღერბი იყო დაკრული.

წიგნი ბერძნულად იყო დაწერილი, სქელს, ყვითელს პაპირუსის ქაღალდზე. ეს იყო მეათე საუკუნეში დაწერილი ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე ძოწილ-მოსილის თხზულება. ამ ნაწარმოებში იგი დარიგებას აძლევდა თავის შვილსა.

თამარმა გადაფურცლა. შემდეგ ადგილს წააწყდა და ჩაჟურმავდა:

„ყოველ ხალხს თავისი კანონი და ჩვეულება აქვს. ამიტომაც ყოველი ხალხი უნდა ცდილობდეს ამ ჩვეულების დაცვას და განმტკიცებას. ყოველივე კავშირი, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, მან თავის შორის უნდა გამონახოს და მოიძიოს ამის საშუალება; როგორც ყოველი ცხოველი თავის მსგავს ეძიებს, ეგრევე ხალხმაც ეგეთი წესი უნდა შემოიღოს—შეუღლდეს არა უცხო ტომის შთამომავალსა და უცხო ენის პატრონსა, არამედ თავისავე მოდგმისას და მისივე ენის გამგონს. მხოლოდ ამას შეუძლიან მეუღლეთა შორის განამტკიცოს მშვიდობა, სათნოება და უნაზესი გრძნობანი“...

იდ.

თამარის წასვლის შემდეგ რუსუდანმა ვერ მოისვენა.

გულს ღრმად ჩააჩნდა თამარის ნაუბარი:

— მართლაც და რატომ რომელიმე ქართველი უფლისწული არ ვირჩიეთ?.. ბრძენია თამარ... ვინ იცის, ვინ არის ეს გადამთიელი?! პირად კარგია, ყველას მოსწონს, მაგრამ...

უკვე ეჭვი აფათურდა რუსუდანის გონებაში.

— მართალს ამბობს ჩემი ძმისწული: შთამომავლობით ამ შვიდ სამეფოს უფლისწულები მისნი ტოლნი არიან: მბოლოდ რომელი? სამცხელი ახოვანი თავადი სამძივარები თუ აფხაზეთის უფროსი შარვაშიძე? ლაზისტანელი ფანასკერტელი თუ ჰერეთის ერისთავი ასათ გრიგოლისძე? ისიც ხომ ბაგრატიონია და მეფეთა სახლის შვილი? ან შეიძლება ბერძენთა კეისრის შთამომავალი ალექსი კომნიანოსი გამოდგეს?.. წინედაც ვფიქრობდით მაგაზე. თვით კათალიკოსი კიწაღამ მაგაზე შეჩერდა: ერთ-მორწმუნე არის, მართლ-მადიდებელი და ბიზანტიელ მეფეთა შთამომავალიო. მაგრამ ეგეც ხომ გადმოხვეწილი ვინმეა, უსავანო, საქართველოში შემოხიზნული და უმთავრესი კიდევ ის არის, რომ შორეული, მაგრამ ჩვენი ნათესავია...

ამ ნათესაობის გახსენებამ ცუდ გუნებაზე დააყენა. უეცრად თითქო ელვამ შემოანათაო, სრულიად უცხო აზრი გაიკლაკნა მის შეგნებაში.

— რატომ აქამდე არ ვიფიქრე?.. დავით სოსლანი!.. ჩემი გაზრდილია, თამართანაც ბავშვობითვე შეზრდილი... ჰოი, უფალო, ეს რომ შეიძლებოდეს!.. უკეთესს ვისღა ვპოვებთ?.. ჯაბუკი სრულიად ღირსი მეფობისა: ნაკვთად კარგი, პირად ტურფა, ტანად ზომიერი, მწიგნობარი, ზრდილი და მეომარი უცხო... დამნაშავე ვარ! რად, წინად აქამდე ეს არ ვიფიქრე?.. ეხლა-ღა?.. ეხლა რომ გვიანი იყოს? თვით თამარიც დათმობის გზასა ადგია: დაეწინდებიო, მითხრა ძეულან დიდებულნიც შეშფოთდებიან, აბულასანიც თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, რომ მის მიერ მოყვანილი უფლისწული მოწონებული არ იქმნას... შეიძლება მოხდეს აღრევა სამეფოსი და კვლავ ძმათა მმუსერელ ომსაც ვერ ავცდეთ.

დიდმა საგონებელმა მოიცვა რუსუდანი. შუბლზე ხელი მოისვა—ცივი ოფლი დასხმოდა.

გულმა მაინც დავით სოსლანისკენ გაუწია.

გაახსენდა, რომ დღეს ნადიმობა იყო დანიშნული. ვერ იგრძნო თავი სანადიმოდ და ბოდიში შეუთვალა ნადიმის გამგეს.

როდესაც მოახსენეს, რომ ნადიმად არც თამარი მობრძანდებაო, გულს ესალბუნა.

თავი მეხუთე

მჭმუნვარე რატი

იე.

მონადიმეებს კი ამ ამბავმა ჭმუნვის ჩრდილი მიაყენა.

როდესაც გაიგეს, რომ არც თამარი, არც რუსუდანი და არც კათალიკოსი ჰყონდიდელითურთ ნადიმს არ დაესწრებოდნენ, რაღა ექმნათ შეკრებილებს, თორემ დარჩენა ალარ უნდოდათ.

მაგრამ დიასახლისად დანიშნულ სომეხთა მთავრის მეუღლის თამთას მომხიბვლელმა ზრდილობამ, ჰიაბერის განგებაინობამ, ვარდან დადიანის ტკბილმოუბარობამ მაინც უკუ ჰყარა ჭმუნვის ღრუბელი და ნადიმი კვლავ აფერადდა, ლხინი წავიდა თავის გზით.

მხოლოდ კუზმა-რუსი ვერ იყო მაინც გუნებაზე. ამდენ თვალსაჩინოთა დაუსწრებლობა და თვით თამარის არ ყოფნა კარგის მომასწავებელი არ არისო, ფიქრობდა იგი და ამასვე გრძნობდა ჩუმად, თავისთვის მის გვერდზე მჯდომი რატი სურამელი. მან შეამჩნია, რომ არც თუ ოსთა თავადნი დაესწრნენ ნადიმს.

არც დავით სოსლანი და არც მისი მომყოლნი ოსთა ბატონიშვილები: ჯადაროს და გიორგი.

ეს კიდევ რაღას ნიშნავსო, ფიქრობდა რატი და გული ეთანალრებოდა.

— ზეიმის შემდეგ, თუმცა ზრდილობით, მაინც თამარმა დამითხოვა. შემდეგ თვით არ ინება მობრძანება. ეტყობა მამიდასთან თათბირი ამ უცხო უფლისწულის სასიკეთოდ ვერ დასრულდა. მერე რას უწუნებენ ამ დალოცვილს? შევარდენივით უხის სუფრას... პირად კარგი სანახავი ყოფილა. მართალია თვალები როგორღაც არ მომწონს, მაგრამ ხომ უნდა როგორმე გადაიჯრას თამარის გათხოვება?.. უცხო კაცია, სრულიად დამოუკიდებელი ჩვენ დიდებულთა წრეზე... მაშ მას ვერ ჩაითრევს წერილმანობა ჩვენი ყოველდღიური. ჩვენი შური, შფოთი და ქვეგამხედველობა... დიდი მეფის შვილიც არის. ერთ-მორწმუნე, მართლმადიდებელი... ხოლო თუ ესე არ მოხდა... ვგრძნობ საფრთხესა... იმდენია მთხოვნელი, იმდენია მაღალ-ზრახვათა მქონე...

და აქ თვალი შეაელვა ვარდან დადიანს.

— არა, ესე არ ეგების!.. დღესვე პირადად მივალ თამართან და ვამცნობ თუ რასაც ვგრძნობთ მისი ერთგული ყმანი... უნდა გადასწყვიტოს, ქვეყანა უნდა დაამშვიდოს... მხოლოდ ამ ოსთა თავადთ რაღა უნდათ? ეს რა ურჩობაა? რად არ გამოცხადდენ სანადიმოდ?..

გაახსენდა.

ამას წინად ვინ ჩააწვეთა ყურში?

— ოსთა თავადთ დიდათ სწყენიათ რუსის უფლისწულის მოყვანა და ეხლა იმისათვის არიან ჩამოსულნი, რომ თამარ მეფე სხვაზე ნუ ინებებს გათხოვებას, ხოლო ჩვენ შორის ვინც მოეწონება ის შეიუღლოსო. მგონი ყველაზე

შეტად ოსთ ბატონიშვილს გიორგის სურს თამარის ქმრობაო... მაგრამ ამაზე ჩუმად ლაპარაკობენ სასახლის კარზე... გაუბედავია მათი ხმა და ვერ არის გამტკიცებული მათი სურვილი... ხედავთ რა განუზრახავთ?.. ვინ მიემხრობა, ვინ გამოექომაგება?.. დიდებულნი ამას არ დაჰყაბულდებიან. არავის მათგანს ოს თავადებზე მდაბლა თავი არ მოაქვს... არა! უთუოდ უნდა ვეახლო თამარს...

ხელ-ახლა დაუდასტურა თავის თავს.

თავი მეექვსე

გამიჯნურებული ბატონიშვილი.

ი3.

დავით სოსლანის სამყოფელში კი კვლავ ჩანგურის ხმა გაისმოდა.

თვით დავით სოსლანი და ჯადაროს ოსთა ბატონიშვილი მაღალ სარკმელთან იყვნენ მიმდგარნი და რაღასაც ნელის ხმით საუბრობდნენ.

ხალიჩა-მიფენილ დაბალ ტახტზე მისვენებული იყო ერთი უცხო სახის ჭაბუკი, ბრკე მოყვანილობისა. საამური რამ საჭვრეტი იყო, მაგრამ ამ ჟამად გაბადრული სახე გაყვითლებული ჰქონდა და შავი, დიდრონი თვალები ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ. მხოლოდ ზოგჯერ თუ შორეული სიხარულის შუქი მიადგებოდა მათ.

ეს იყო აგრეთვე დავით სოსლანის მონათესავე, ჯადაროსის უმცროსი ძმა, გიორგი, ოსთა თავადი.

ტახტზე წინ ედვა პაწია, თითქო უბეში სატარებელი ტყავ-გადაკრული, სქელ-კანიანი წიგნი. ამ წიგნის ლურჯ კაბადონებზე მეტად წმინდათ ნახელოვნევ, მოხატულ ოქროს ჩარჩოებში შავის მელნით არაბული სიტყვები იყო დაწერილი.

იქვე იდვა ხის მოგრძო, მოხარატებული სამელნე და ბატის ფრთის კალამი, თან ჩვილი ხბოს გახვეწილი, საწერი ტყავი.

ხანგამოშვებით ამ ტყავზე სწერდა რაღასაც. ეტყობოდა თარგმნიდა არაბულიდან.

ჩანგური კი თავისას განაგრძობდა და გორგა მოშაირე ამ ჟამად მხოლოდ ნელიად დაღიღინებდა, რომ ხელი არ შეეშალა ბატონიშვილის შემოქმედებისათვის.

კარგა ხანს გასტანა ესეთმა მდგომარეობამ.

ფარეში შემოვიდა. იქვე მდგომ უფროს მხლეთაგანს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

მხლებელიც ფეხის ცერებზე ეახლა დავით სოსლანს. ჩუმად რაღაც ჰკადრა.

დავითმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გიორგისაკენ წამოვიდა.

— გიორგი!—

ლმობიერად მიმართა.

— გეყოფა ეხლა. დროა პურად ვიღოთ...

გიორგის თითქო არც გაუგონია.

ჩანგური შეწყდა.

— რა ჰქმენ, გიორგი?—

ეხლა უფრო ხმა-მაღლა მიმართა დავითმა.

— დაასრულე?

მხოლოდ ეხლა შეინძრა გიორგის სახე. ცოტა გაეღიმა.

— აბა გვიჩვენე...

გიორგიმ ხელი დააფარა დაწერილს, მაგრამ ალერსიანი ძალ-დატანებით დავითმა ნაწერი ხელთ აიღო.

ჩაათვალიერა. სახეზე სიამოვნება გამოეხატა.

— მშვენიერია!—ნელიად წარმოსთქვა მან. განაგრძო:—აჰა, გორგა! ბატონიშვილს შენთვის მშვენიერი ლექსი უბოძებია. აბა შენ იცი რა სიმღერასაც შეურჩევ. მხოლოდ, იცოდე, ჩვენებური, ოსური კილო უნდა იყოს.

— ერთი მიბრძანე, ბატონიშვილო, ღმერთი გადღეგრძელებს...

წარმოსთქვა ჭალარა მოშაირემ.

ბატონიშვილ გიორგის სახეზე უკვე კმაყოფილება ეტყობოდა. სჩანდა იამა, რომ დავითს მოეწონა.

— წაუკითხე!—ნელის ხმით განაცხადა თანხმობა.

ჯადაროს და ყველა იქ მყოფნი მხლებლები და ფარეშები უფრო ახლო შეჯგუფდნენ, დავითმა კი მკაუიოდ და ცოტა შემღერებით წაიკითხა:

„შენთა ღაწვთა ელვანი—მთიებთ შორის მხედარი,
სამღვთო შუქთა ნათელი—შენ გარემო მწვედ არი.
რაც ძვირფასი თვალია—შენ ხარ სულ-ყველას კრება,
ადამიანის წუნი ერთიც არ გეკარება!
საროს და ვარდს რად უმზერს, ვინც შენი მიჯნურია?!
სარო—შენი ტანია, ღაწვი—ვარდ-კუკურია!
ვერ დამალავს შენს ტრფობას ვერა კაცი სულდგმული,
მიტომ შენი მიჯნური ქვეყნად არს განკიცხული.
შენ მიჯნურთ გულის-თქმანი ყველა შესრულებიან,
მხოლოდ შენის შეყრისა წადილით ისჯებიან“*).

დავითმა კითხვა გაათავა.

— დიდებულია, ბატონიშვილო!—წამოიძახა გორგა-მოშაირემ.— მართლა მიბოძებ სამღერელად?

გიორგიმ ლმობიერად თავი დაუქნია—გიბოძებო!

— მშვენიერია, შენმა გაზდამ, გიორგი!—დაადასტურა ჯადაროსმაც.—დავით, ერთი აქ მიბოძე... და დაწერილი ტყავი ჩამოართვა. ჩუმად ჩაიკითხა და დავითს გადახედა.

*) მამი ჩემის, ნიკ. დადიანის ძველი თარგმანი არაბულიდან.

ავტორი.

ორივეს ნაღვლიანი გამომეტყველება მიეცა. თითქო ჩუმად მიხვდნენ ბატონიშვილმა გიორგიმ ვისთვის თარგმნა ეს ლექსი და თვალებით ერთი მეორეს დაუმოწმეს.

შემოსაღამოს ფარდაგი გადაიწია.

უწინარეს ყოვლისა ჭალარა, გრძელი წვერი და არწივისებური ცხვირი გამოჩნდა.

ყველაზე წინ დავითი მიესალმა:

— აა, სახელოვან პიიტიკოსს ჩვენი სალამი!

— პიიტიკოსები თვით ბრძანდებით, ბატონიშვილებო!

და ამ სიტყვებთან ერთად ოთახში სრულიად შემოვიდა ცოტა ბეჭებში მოხრილი, მაგრამ საკმაოდ ახოვანი, ხმელ-ხმელი, ძარღვიანი მამაკაცი.

IV.

— გიორგი, ვერ იცნობ? ეს არის ის განთქმული მწერალი, რომლის ნაწერების კითხვა ევრე გიყვარს... აი ამ ბოლო ხანებში „ეთერიანი", აბესალომ და ეთერის ამბავი რომ დასწერა, სახელოვანი გოდერძი ჩორჩანელი.

გიორგი ცოტა წამოიწია. წარმოსთქვა:

— ფრიად მიხარის შენი ნახვა, დიდო მწერალო... მობრძანდი... სელი მიართვით.

გიორგის ახლო, ტახტთან, სკამზე დასვეს სასიამო სტუმარი.

დავითმა ბრძანება გასცა სადილიც მოერთმიათ. ფარეშები დაფაცურდნენ.

ჯადაროსი კი გოდერძის ეხუმრებოდა:

— ბატონიშვილებს რას დაგვცინი, სახელოვანო... აგერ ჩემმა ძმამ მშვენიერი ლექსი სთარგმნა არაბულიდან ქართულად, რომ...

გიორგიმ საყვედურით გადახედა ჯადაროსს.

— დაცინებას აბა როგორ გაკადრებთ...—წარმოსთქვა გოდერძიმ—ოსთა თავადნი ქართულში დიდად ნაქებნი არიან... ამ ჭაბუკისა არ ვიცი და დავით სოსლანისა კი მსმენია, რომ თხზავს თურმე...

— ეჰ, აბა რა სახსენებელი ვარ...—დაიმდაბლა თავი დავითმა.

— არა, რატომ არ არის სახსენებელი?—არა სცხრებოდა ჯადაროსი მისიანების ქებით—შენმა მზემ, დავითმა ჩვენი გმირთა გმირის ალღუზის და სხვათა ამბავი ეგოდენ მშვენიერად შეჰკინძა, რომ საამური რამ სასმენელი გამოვიდა...

— რომ ვერ ჩავიგდეთ ხელში!—კვლავ შეუბრუნა გოდერძი ჩორჩანელმა.—ჩემთვის დიდად საგულისხმო იყო მცოდნოდა, რა თქმულებანი ჩაურთო მის თხზულებას. ჩემს „ეთერიანშიც" ბევრია თქვენი, ოსური თქმულება მოყვანილი.

— აკი იმიტომაც შემიყვარდა თქვენი წიგნი.—წარმოსთქვა გიორგიმ.

— მართლა, თქვენ რა გითარგმნებიათ?.. აქედან თარგმან ჰყავით?—და გოდერძიმ ბატონიშვილს მიუთითა მის წინ მდებარე მომცრო წიგნზე.

— დიაღ... თავს ვირთობ.

— ეგ რა წიგნია?

გიორგიმ გაუწოდა წიგნი.

გოდერძიმ ჩვეული კაცის ხელით გადაფურცლა კაბადონები. მარჯვენა ბოლოში სათაურს დახედა. თითქო თავისთვის წარმოსთქვა:

— ოო, არაბულ შაირთა კრებული ყოფილა.

— აი თარგმანიც.—და დავითმა გადასცა ტყავი.

გიორგი სულ გაიმართა ტახტზე. წამოწითლდა და ცნობის მოყვარეობით შეაჩერდა ჩორჩანელს. ეტყობოდა კრძალვით იყო: ბუმბერაზ მწერლის აზრი როგორი იქნებაო.

გოდერძიმ რამდენჯერმე გადაიკითხა თარგმანიც და ტექსტიც. ბოლოს შეგვიანებით წარმოსთქვა:

— მოსაწონია, ბატონიშვილო!

სამივე ბატონიშვილს დაეტყოთ, რომ გულს მოეშვათ. გოდერძის აზრი ძვირფასი იყო, მით უფრო გოდერძის პირდაპირობა და მოურიდალობა ყველამ იცოდა.

გოდერძი დაუკვირდა გიორგის. ეტყობოდა გააკვირვა ბატონიშვილის სიყვითლემ. თანაზიარად შეეკითხა:

— უქეიფოთ ბრძანდები, ბატონიშვილო?

გიორგის უნდოდა ეპასუხნა, ჯადაროსმაც მოინდომა პასუხის გაცემა. მაგრამ ყველას დავითმა დაასწრო:

— ცხროი სჭირს*).

— ცხროი?—დაიჟვა გოდერძიმ.

— სულ მთეულეთშია ნაზარდი.—განაგრძობდა დავითი—ბარად მხოლოდ ეხლა ჩამოვადა და იმან თუ დასცადა...

გოდერძის შავი, შეყრილი წარბები საეჭვოდ მიმოქანდნენ. ეტყობოდა არ დაიჯერა, მაგრამ არა სთქვა-რა.

ამასობაში სუფრაც გაშალეს და მსახურთ ხელის „გადასაბანი" წყალი მოიტანეს. ერთს ვერცხლის პაწია ტასტი ეჭირა, მეორეს ვერცხლისავე თუნგუ-ლა და მესამეს გრძელი და ვიწრო, მოლურჯო, ორიე ბოლოებში უცხოდ მო-ქარგული პირსახოცი.

როგორც ავადმყოფს, ყველაზე უჯროსმა დავით სოსლანმა ხელის დაბანა გიორგის დაუთმო და შემდეგ ჩამოაყოლებინა მორიგისით.

გოდერძიმ კი, როდესაც ხელი პირსახოცით შეიმშრალა, წარმოსთქვა:

— სულ სხვადასხვა ჩვეულება არსებობს ქვეყნად...

არავის არაფერი უთქვამს. აღარც თვითონ განუგრძვია. დრო იყო და მოუსხდნენ კიდეც სუფრას:

ბატონიშვილები და გოდერძი.

გორგა-მოშაირეს კი ცალკე, მომცრო ტაბაკი დაუდგეს.

---

*) ცხროი—ცოტაა.

შინაყმები თავზე ადგნენ.

ფარეშებს სანოვაგე შემოჰქონდათ.

მერიქიფეს ხელ-დოქი ეჭირა და ლალის ფიალებში ქარვის ფერ ყურძნის წვენს ასხამდა მორიგისით.

პირველ ხანებში მათი პურად-ღება ჩუმი იყო, საქმიანი, უბრალო.

მხოლოდ ცოტა რომ შენაყრდნენ, გოდერძიმ მოხსნა პირი.

რა არ გაიხსენა: მისრეთი, არაბეთი, ბიზანტია. სხვადასხვა ზნე-ჩვეულებანი.

ბატონიშვილები გულის ხმიერათ უსმენდნენ.

განსაკუთრებით გიორგის დაეტყო გამოცხოველება. ღაწვებზე წითელმა ფერმა იფეთქა.

გოდერძი კი მოუთხრობდა ენა-წყლიანად.

— დიდი გადაჭიმული ხალხია ბიზანტიელები. მოგეხსენებათ, განსაკუთრებით სასახლის კარზე. მეც მეღირსა ბედნიერება—წარვსდგომოდი ბიზანტიის კეისარს. მაგრამ ეს წარდგომა დიდის ზეიმით იყო მორთული. ჯერ ერთი ჩემი ვინაობა დიდად გამოიძიეს და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ივერიიდანა ვარ, ჩვენი მეფის კარის მწერალი, მაშინ დიდის ზრდილობით და მეტის თავაზიანობით გაიღო ჩემთვის ყველა საჭირო კარები, და აი ერთ მშვენიერ დღეს შემიყვანეს კეისრის მისაღებ დარბაზში, რომელსაც მათებურად მაგნავრას უწოდებენ. ეს არის დიდ-მშვენიერი დარბაზი, შემკული სხვადასხვაგვარ ხრახნილებითა, ჩუქურთმებით და მხატვრობით. მე მითხრეს, როდესაც დიდად საპატიო სტუმარი უნდა მიიღონ, ამ დარბაზს კიდევ უფრო მდიდრულადა რთავენ. მეფის სალარო და საჭურჭლეთაგან მოაქვთ ძვირფასი განძეული და მუნ გამოჰფენენ, რომ სამკაულთა სიმდიდრით განაცვიფრონ მომსვლელები. მაგრამ უფრო საკვირველი იქ, იმ დარბაზში თვით კეისრის ტახტია. მას სოლომონის ტახტს უწოდებენ. და მეტად უცნაური ტახტიც არის. ჩვეულებრივად ოქროთი და თვლებით არის მორთული, როგორც ჩვენში, მაგრამ უფრო სრულია, უფრო დიდი და მეტი უსიამო, ქედ-მაღლური შეხედულება აქვს.

— ბიზანტიელებს უყვართ გარეგნული გამოჩენება.— ბრძანა დაეთმა.

— მართლა, ბატონიშვილო, თქვენ გეცოდინებათ იმ ტახტის ამბავიც.

— ჰო, ბევრს საცვიფროსა მოგვითხრობდნენ, მაგრამ ბრძანეთ... ბრძანეთ...

— მე დაწვრილებით არ გამიგია— ნელიად მიმართა გიორგიმ.—გვიამბეთ.

გოდერძიმ განაგრძო:

— ტახტის საფეხურებზე სხვადასხვა ოქროსავე მხეცებია მოთავსებული. სულ წინ ორი ლომია, რომელნიც დრო-დროთი წელში იმართებიან. ყალხზე დგებიან და სასაშიშრო ხმებს აღმოუტევებენ ხოლმე. ტახტის ორ მხარეს კიდევ ორი ოქროს ხე დგას, ზედ ოქროს ჩიტები სხედან და ისინიც დრო-დროთი ჰგალობენ კიდეც. საოცარი მანქანაა და უცებ კაცს შიშის ზარსა სცემს.

გორგა-მოშაირემ პირი დაიღო.

— როდესაც შეხვალ, იქაური კარის კაცნი მახლდნენ და ერთი კიდევ ჯვაროსანი სკვითი, კეისრის სანახავად ჩამოსული. კეისარი შემდეგ მობრძანდა, საკრამანგ-მოსილი, და აღვიდა თუ არა თვის ტახტსა, ერთი ისეთი სა ...

ხმა აღმოუტეევეს ოქროს მხეცებმა, რომ გეგონებოდათ მეორედ მოსვლა არისო. მე წინედაც მქონდა ამ საოცარ მანქანების ამბავი გაგონილი და დარბაზში ყოფნის დროსაც თვალი შევაჩვიე. ჩემთან მყოფი სკვითი კი დაიბნა, აბორგდა, ეტყობოდა თმა აებურძგნა და შიშისაგან იატაკზე განერთხო. მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ადამიანს უწინარეს ყოვლისა თვალში აქვს ჭკუა. დამცინავი ღიმილი უთუოდ შემამჩნია კეისარმა, რადგან ზრდილი და მოიარებითი სიტყვა-პასუხით მიქო სიმხნევე. თურმე უნებლიედ ქართველობაც ვასახელე ჩემის თავდაჭერით. მაგრამ ტყუილია, იმოდენა გამოცდილება არა მქონოდა, მეც დავფეთდებოდი.

ბატონიშვილები იღიმოდნენ. გორგა-მოშაირე მოურიდებლად, გულიანად ხარხარებდა სკვითის დაბნეულზე.

— ეს კომნიანოსების კეისრობის დროს იქმნებოდა.—იწყო დავითმა.

— დიაღ, მაშინ გახლდათ. კომნიანოსები ხომ ტახტიდან ჩამოაგდეს აგერ ორი წელიწადია.

— ნიჭიერი ხალხი იყო. ჩვენ სასახლის კარსაც ენათესავებოდნენ.

— როგორ არა! აი ალექსი კომნიანოსიც, ჩვენში რომ ჩამოესახლა, იქაური ბატონიშვილია.—ახსნა გოდერძიმ.

ალექსის ხსენებაზე ცოტა აიმრიზა გიორგი ბატონიშვილი.

— ეხლა ვინ კეისრობს?—იკითხა ჯადაროსმა.

— ანჟელუსთა სახლი, ანუ ანგელოსებათ წოდებულნი.—

დაადასტურა კვლავ გოდერძიმ.

— კეისრებად მაინც კომნიანოსები სჯობდნენ. ჩვენი ქვეყნისთვისაც უფრო სასარგებლო იყო მათი მეფობა.—წარმოსთქვა დავითმა.

— ეჰ, დაუდეგარი ქვეყანაა ბიზანტია... ჯუბასავით იცვლიან მეფეებსა...

ჩაუმატა ჯადაროსმა, მაგრამ გოდერძის მისთვის ყური არ უკდია, იგი თითქო დავითის სიტყვას უფრო გამოეხმაურა:

— ჩვენი ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო იყვნენ კომნიანოსები და აი ეხლა მათ ნაშიერს, ხსენებულ ალექსის ქედ-მაღლური ზრახვა, ამბობენ, გულს ჩაუდვია, უნდა მეფედ გავიხდეს თურმე...

ითქვა სათქმელი.

„ვერიდებოდი ღოლოსა, შემხვდა ბაღისა ბოლოსა!“

ქართული ანდაზით გაიფიქრა დავით სოსლანმა და შეშფოთებით გიორგის გადახედა.

გიორგის უკვე ეტყობოდა შინაგანი აღელვება. თითქო რაღაც მკვახეს წარმოთქმა უნდაო, მაგრამ ჯადაროსმა დაასწრო და პირდაპირის გადაჭრილობით მიუდგა საკითხს.

— რას გადაგვეკიდნენ ეს გადამთიელნი!.. იქით სულთნის შვილები, აქეთ ეს ბიზანტიის კეისართა შთამომძავალი, ეხლა კიდევ აბულასანს ვიღაც რუსი უფლისწული ჩამოუყვანია ყივჩაყეთიდან. ყველანი თამარ-დიდებულის ხელსა ეძიებენ და ჩვენზე გამეფებას ლამობენ. ცუდად მოუვათ ზრახვანი.

გოდერძიმ წარბები ჩამოიწია. დავითი რაღაც საგონებელმა შეიპყრო. გიორგის თვალები თითქო უეცრად გაუყვითლდა.

— სასახლის კარზე უკვე ხმები მიმოქრის, რომ გამარჯვება რუსს დარჩებაო...—ჩუმად შეაპარა გოდერძიმ.

— რაღა თქმა უნდა! დღეს ხომ დიდის გამოჩინებით მიიღეს ეგ გადამთიელი...—ჯავრობდა კვლავ ჯადაროსი.

— ზეიმზე ბრძანდებოდით?

— მხოლოდ დავითი.

— წყრებით ბატონიშვილებო?

— ნუ თუ არა გვაქვს გასაწყრომი!..

გაცხარდა ჯადაროსი.

— ჩვენი ეხლანდელი ჩამოსვლა არავისათვის ფარული არ არის... ოსეთის მთავრის შვილები ვართ, შთამომავლობით ბაგრატიონნი, ეფრემის რტოისა და სჯულით ქრისტეანნი. თუ ვისმე უფლება აქვს ეძიოს ხელი თამარისა, ყველაზე უფრო ჩვენ... საუკუნოობით მოკავშირეს და ქართველების მონათესავეებს... უხსოვარ დროიდან ერთ უღელ-ქვეშ ვართ გაბმულნი, ერთგვარი ზნე და ჩვეულებისანი, ერთურთის შეთვისებულნი... საქართველოს პედნიერება ჩვენი პედნიერებაა, მისი შეჯირვება ჩვენი სიდუხჭირე... ეს კარგად უნდა ესმოდეთ აქაურ დიდებულებს, მაგრამ მაინც გადამთიელებისაკენ უჭირავთ თვალ-ყური... სხვა ყველაფერს რომ დაეთხოვოთ, რა იციან მათ ჩვენი? რა აკავშირებთ ჩვენთან?.. რას გვიცნობენ, რა სიყვარული ექმნებათ ქვეყნისა და ხალხის?.. პეცი უნდა იყოს ადამიანი, ამას ვერ მიხვდეს, მაგრამ... დიდებულებს თავის მუცლის გვრემა აქვთ .. აბულასანს მაინც... თავის მოყვანილის გამეფებით პირველკაცობა მთლად უნდა მთელს საქართველოში დაიმკვიდროს... მაინც რომ ვეღარ გადაურჩა ამ კაცს საქართველო?.. თამარის მამის დროინდელი ყველა ხელისუფალი გადაყენებულ იქმნა და ეგ კი ისევ დარჩა ქვეყნის სავალალოდ და საზიანოდ...

— დიდი დამსახურება მიუძღვის, ბატონიშვილო!.. მასაც, მის შვილს გუზანსაც... ტაო-კლარჯეთის მმართველს... ეხლა აბულასანმა ხომ თვით თამარის მონათესავე, თქვენებური, ოსთ ბატონების შთამომავალი ქალი შეირთო... მგონი ბაგრატიონების სისხლისაც..

— მართლა ბატონიშვილო?..—აქ შეეკითხა გოდერძი.

— კარგად კი არ ვიცი. ეგ ქალი თქვენი მონათესავეც არ არის?..

ჯადაროსის მაგიერ დავითმა უპასუხა:

— შორებელია!

ის უკვე გამორკვეული იყო ღრმა ფიქრთაგან და ეხლა ზრდილი გამომეტყველებით ყურს უგდებდა მოსაუბრეთ.

— ეგ სულ ერთია!

განაგრძობდა ჯადაროსი...

— რაც უნდა დიდი გაელენის იყოს აბულასანი და თამარის მონათესავეც, ამისთანა დიდ საქმეში, როგორც თამარის გათხოვებაა, ქართველებს დაბრმავება არ მართებთ...

შეჩერდა ჯადაროსი. თითქო მხოლოდ სული ამოითქვაო, მოზღვავებულ, გულის მოსაოხებელ სიტყვათა გასაგრძობად, მაგრამ გოდერძიმ დაასწრო:

— ამბობენ, ვარდან დადიანიც მის მხარეზეაო...

— არც ის არის წმინდა წყლის კაცი.

კვლავ იფეთქა ჯადაროსმა:

— ვერ შევწამებ ქვეყანა არ უყვარდეს, მაგრამ საპირადო მე მგონი მეტი ახლავს მუდამ მის ზრახვებსა და მის მოქმედებას...

გოდერძიმ კვლავ შეაწყვეტინა, თითქო ართობს ბატონიშვილის სიცხარე და განგებ ცეცხლზე ცეცხლს უკეთებსო.

— კათალიკოსსაც თავისი ლოცვა-კურთხევა, მითხრეს, ამ რუსზე შეუჩერებიაო...

— მე კი არ ვიცი!..—მართლა გაცხარდა ჯადაროსი.

— ამდენი ხანია აქ ჩამოველით სამივენი, სხვები საქმეს აკეთებენ და ჩვენ კი გულზე ხელი დაგვიკრეფია. მე ყველაზე უმცროსი ვარ და ესენი კი... დავითი მეტად დარბაისლობს, ხოლო გიორგისანა მოკრძალებული არავინ არ მინახავს...

გიორგი შეინძრა ტახტზე.

— მომიტევე!.. მე შენი წყენა აბა როგორ მინდა, მაგრამ ამ მოკრძალებას კი მეტად ვზრახავ... სწორედ შენთვის ვართ წამოსული... შენ იმითი გვჯობიხარ მე და დავითს, რომ შენ თვით თამარ პირიმზის ტრფიალი ხარ, მიუხედავად მისი მეფობისა, შენ თვით მისი არსება გაგიღმერთებია...

ამ სიტყვებზე მიმოიხედა, თვალი შეასწრო დავითს. იგი მეტად დარბაისლად იჯდა, მაგრამ ოდნავ შესამჩნევად მაინც გაიკრთომა მისმა თვალებმა. ჩაფიქრდა. ჯადაროსი კი განაგრძობდა:

— შენს ალაგას ვიყო... აქამდე მთელს ქვეყანას შევაჯერებდი... შენ კი გატყობ, ისიცა გწყინს, რომ ჩვენ სახელოვან მწერალ გოდერძისთან გაეამტლავნეთ შენი გულის ნადები... მაგრამ განა შენ არ სთქვი:

„მეჯნუნი დასწვა,—საბრალო,—
ტრფობისა ცეცხლმა უნელმა;
ვამიყ დაახრჩო ცრემლთ ზღვაში
ტირილმა გაუკურნელმა"!...*)

— ყოველივე არ ითქმის, რაც რომ გულით გწადია!..

ღიმილით და ნაზი ხმით, თითქო ჯადაროსის საპასუხოდ, წარმოსთქვა ფერმიხდილმა გიორგიმ.

სხვებსაც გაეღიმა. გოდერძი შეეკითხა:

— ნუ თუ სასახლის კარზე არავის აცოდინეთ მიზეზი თქვენის ჩამოსვლისა?.. ოსთ ბატონიშვილებზე, როგორც ჩვენი დიდი მეფის სამეუღლოზე წინედაც მსმენია, მხოლოდ არ ვიცოდი თქვენგანში რომელს ასახელებდნენ... მაინც ყოველივე ესე ეითარი უნდა გემცნოთ თვით თამარისთვის...

ცოტა ხანს არავინ არა სთქვა-რა. ბოლოს მაინც ჯადაროსმა უპასუხა:

*) მამას, ნიკო დადიანის ნათარგმნი.

ავტორი.

— ესეც საცნაურია, რომ თამარი თვით არ ერევა ამ საქმეში. დიდებულებს მიანდო ამ საქმის გადაჭრა, თუმცა ჩვენ მაინც ისე გულდაგულ არავისთვის არ გაგვიზიარებია.

ეხლა დავითმაც ამოიღო ხმა.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია...

ჯადაროსმა დააპირა პასუხის გაცემა.

სწორედ ამ დროს მოფარდაგული გადაიწია. ერთი მოყმე ვინმე შემოვიდა. მან თვალებით ჩქარა მოსძებნა დავით სოსლანი და მიმართა:

— დედოფალი რუსუდან გიწოდსთ თავისთან!

დავითი მყისვე ზე-წამოიჭრა და გაჰყვა მოყმეს.

გოდერძიც წამოდგა.

გიორგის თვალებს ეტყობოდა არ უნდოდა მისი გაშვება.

ადამიანთა სულის ლაბირინთში მარჯვეთ გამგნებმა გოდერძიმ ამ თვალებს ისიც შეამჩნია—სულის უნაზეს შეჭირვების თითქო სალბუნსაც სთხოვდა: თამარის ტრფიალის საქმე შეიძლება მომიმარჯვოო.

გოდერძიმ არა სთქვა-რა. ზრდილობით და მადლობით გამოეთხოვა ოსთა თავადებს.

მოფარდაგულს რომ გადააბიჯა, შეგნებამ ჩამოუქანდაკა:

— დიდი მწვერვალია თამარ!

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲤᲘᲓᲔ

ᲕᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ

ᲠᲛ.

ერდოში გამოსულ გოდერძის წინ შემოხვდა ნადიმიდან დაბრუნებული ვარდან დადიანი მცირე ამალით.

ეტყობოდა ვარდანმა შორიდანვე შეიცნო გოდერძი—მომღიმარი ს.ხით შეეგება:

— ჰოი, მაღალ-გონიერო გოდერძი! საით მიდმოებ? ამ ბოლო ხანს რად მოგვაკელ შენი ყურადღება?

გოდერძიმ ზრდილად თავი დახარა.

— თუ მოუკლელი ხარ?.. ჰქმნი დიდებულ აღნაქვსთა? კარგა ხანია შენ ხილვას მოკლებული ვარ. არც დღევანდელ ნადიმზე დამინახვიხარ.

— ოსთ ბატონიშვილებს ვახლდი, დადიანო! ერთად პურად ვიღეთ.

დადიანს ცბიერმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— რას იქმონენ ოსთ თავადნი?... კვლავ არ დაუშლიათ და ეძიებენ თამარის ხელსა?

— შეეითვატყე ეგრე თუა...

ორმაგად უპასუხა გოდერძიმ.

— ის ღლაპი რაღასა იქს?.. ჰმ... ჰმ..

ჩუმად ჩაიცინა ვარდანმა და გზა განაგრძო. გვერდით მიჰყვა გოდერძი და ამალაც, შორი-ახლო.

— ოსთ ბატონიშვილ გიორგიზე გეკითხები.—ბრძანა კვლავ ვარდანმა.

გოდერძიმ თაეის სქელ წარბებ ქვეშ ზე-ახედა დადიანს: კარგად უნდოდა მიმხვდარიყო, ამ კითხვის გადალმა მხარეს რა იმალებოდა.

შეგვიანებით წარმოსთქვა:

— დავარდნილია მეტად. ცხროი სჭირს.

— თამარის ტრფიალია ისიც...

შეჩერდა ვარდანი. შემდეგ მაინც წარმოსთქვა სასტიკი სიტყვა:

— ვერ გადარჩება!.. რაო? კიდევ თხზავს ლექსებს?..

— ერთი თარგმანი მეც მაჩვენა, დიდებულო... კარგი იყო.

— შენც მოგეწონა, გოდერძი?.. მაშ კარგი ყოფილა. ნიჭიერია! მაგრამ მართ ოდენ ნიჭიერება არა არს საწინდარი მისი, რომ ოსთ თავადს ხელეწიფებოდეს მეფობა იკერიისა. ოსთ თავადთ შორის, ჩემო გოდერძი, შენც შეამჩნევდი, უფრო თვალ-საჩინო ისევ დავით სოსლანია, მაგრამ ღმერთმა ნუ ბრძანოს! ჩვენ, ქართველნი ვერ შევეგუებოდით მის მეფობასაც... თამარი მეტად დიდი განძია ჩვენი ტახტისა და ჩვენი ერისა, ამისთვის მას გამჭრიახი და ფხიანი პატრონიც უნდა მივუჩინოთ.

— ჭეშმარიტებას იტყვი, დადიანო!

— მე ცხადი მომხრე ვარ ახლად ჩამოყვანილის რუსთ უფლისწულისა, დიდო პიიტიკოსო! მინდა ეს შენც იცოდე. მართალია ახალგაზდაა, ჯერ მოუმწიფებელი ჰაბუკია, მაგრამ ვაჟკაცია, შვენის გმირობა და ჩვენს აწინდელ მეფეს სწორედ ეგ გმირობა უნდა შესდგამდეს, რომ მძლავრის ლაშქრობათა კიდევ უფრო შორს გაიტანოს ჯვარი ქრისტესი და სახელი საქართველოსი... კარგად შეამჩნეოდი, ბიზანტია ინგრევა... აგერ ჩვენი თვალის წინ დაემხო კომნიანოსთა დინასტია და ანგელუსები გამეფდნენ, მაგრამ მათი მეფობაც ვერ არის თვრმე ისე მტკიცე და მკვიდრი, ვით საჭიროა, ხოლო, როდესაც ტახტი ხშირ მერყეობას განიცდის, იმ სახელმწიფოს საქმე წასულია. დღეს თუ ხვალ სრულიად დაემხობა. ეს სხვადასხვა სასულთანოები კი აღმოსავლეთ-სამხრეთით რომ შემოგვერტყა, კარგს არას გვიქადის... სელჩუკიანთა მოდგმისანი ველურნი, განუკითხავნი და უგასაგისონი არიან... ეხლა ჩვენი რიგია, ქართველების!.. ჩვენ უნდა ვიპყრათ პირველობა აღმოსავლეთში, ჩვენ უნდა გავხდეთ მბრძანებელი და მმართველი ამ ურდოებისა, ჩვენ უნდა შევიტანოთ იქ სინათლე ქრისტეს სჯულისა და მოქნილობა ჩვენის ნიჭიერებისა... თუ ლაშქარში პირველი მეომარი დაეცემა, მას სხვა ახოვანი უნდა შეენაცვლოს... ბიზანტიის ნაცვალი ჩვენ უნდა ვიქნეთ...

გოდერძის არ გაკვირვებია, რომ დადიანი ასე გულ-ახდილად ესაუბრებოდა. იგი ჩვეული იყო თამარის კარზე დიდებულთაგან, საზოგადოდ, გულ-

ახდილობას. კარგად იცოდა, რომ მას თითქმის ყველანი კაცთა გულის მესაიდუმლედ სახავდნენ და მის წინაშე ძვირად თუ ვინმე ჰფარავდა გულის ნადებს. მაგრამ ამასაც კარგად გრძნობდა, რომ დადიანი საზოგადოდ ფრთხილი კაცი იყო და ისეთს არას იტყოდა - საშემდეგოდ წინ დახვედროდა. მაინცდამაინც ისეთი ნელის თუმცა მტკიცე ხმით ესაუბრებოდა გოდერძის, რომ შორიახლო მომავალი ამალა ძვირად თუ მოჰკრავდა რაიმე სიტყვას ყურს. თუმცა ან კი რა იყო დადიანის სიტყვებში ვისთვისმე დასამალი?.. საქართველოს გადიდება, საქართველოს პირველობა მთელს აღმოსავლეთში, ეს რომელ ქართველს უნდა სწყენოდა?.. რაც არ უნდა მცირე ოცნების, ან მშვიდობიანობის მოყვარული ყოფილიყო რომელიმე ქართველი, ამის გაგონებაზე ვის ოდნავ მაინც არ აუტოკდებოდა გული, არ აუმოძრავდებოდა შორეული რამ შეგრძნობა. გოდერძისათვის ყოველივე ეს ნათლად გადაშლილი იყო გონების თვალთა წინაშე და ვარდანის სიტყვებზე თავში უელავდა:

— ესეც დიდი მამულის შვილი არის... ხომ ბევრი ცუდი ხმები მიმოქრის ამაზე... მხოლოდ საპირადო აწუხებსო!—მაგრამ მამული, სამშობლო, მისი აღორძინება, გაშლა და გადაფურჩნა შეიძლება სხვებზე უფრო მძლავრად ამას უტოკებდეს გულს!

ვარდანი განაგრძობდა:

— ამისთვის გვინდა გმირი სარდალი, გმირი მეფე, ჩემო გოდერძი? მან ქვეყნები უნდა დაგვიპყრას, უნდა ჩვენც გაგვიტაცოს, აგვიყოლიოს... ხალისი მოგვგვაროს ახალ-ახალი გალაშქრებისა.

გოდერძიმ შეაჩერა:

— ამას ჩვენში ბევრნი არ იზიარებდენ და არც ეხლა იზიარებენ... ჩვენი ხალხის ბედის წერა თავის დაცვაა, თავის მოელა და სხვა არაფერიო. ხალხი ამბობს: შენი სვი და შენი ჰამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო! მე ნუ შემეხები, შენსას ხელს არ ვახლებო.

— რად გაიწყდება, გოდერძი, ლიხთ-იმერნი იტყვიან: გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო!

— თვით დაციტიც, თამარის პაპა, ჩვენი გამაერთიანებელი, ჩვენი აღმაშენებელი ისიც უფრთხოდა ცუდ უბრალო გალაშქრებას—ჯიუტობდა გოდერძი—ის თუ თაეს ესხმოდა მტერს, მოგერიებითი სარჩული ედვა მის მოქმედებას.

— ამასაც ნუ დაიეწყებ, გოდერძ, რომ ყოველი თავ-დასხმა სამემრისო, შორეული მოგერიებაა. დავითი დიდი მეფე იყო, მაგრამ მას დაპყროპით საქმეებისათვის სად ეცალა! მისი დრო სხვა იყო. მას სხვა ვალი ედვა კისერზე. შინაური გაერთიანება, გამაგრება, აღშენება. მან პირნათლად აასრულა კიდეც მისი მოვალეობა... ეხლა კი სულ სხვა დროა! მეც იმას ვნანობ...—აქ ხმას კიდევ უფრო დაუწია ვარდახმა,—რომ გიორგი მეფეს, თამარის მამას ვაჟი არ დარჩა მემკვიდრედ... ეს ბუნების ნაკლი ჩვენ უნდა შევასწოროთ ღირსეული, გმირი მეუღლის არჩევით.

— ეჰ, დადიანო! შენ ქალის მეფობას კიდევ ვერ შერიგებიხარ...

— გეუბნები, როგორც გულითად მეგობარს, გოდერძ!.. ეგ თქვენ პიიტიკოსებს გაგიტაცებთ ქალის ხატება... ქალი მეფე, ქალი გვირგვინოსანი და მერე როგორი ქალი?! მართლაც— და თამარ-საგანგებო!.. აკი მგოსნები სულ მის შესხმა-ხოტბაში ხართ გართულნი...

— მე ნაკლები ღვაწლი მიმძღვის ამ სახპატიო მოღვაწეობასა ზედა.

დაიმდაბლა თავი გოდერძიმ.

— ვიცი, მაგრამ „რაც შეშვენის გლახა ბერსა, ის არ შვენის კახაბერსაო“, ამაყად ამბობს ჩვენი რაჭის ერისთავი. ესეა. რითიც იხიბლება მგოსანი, იმან მთლად არ უნდა დააბრმავოს სახელმწიფოს მომჭირნე ხელის-უფალი. თამარის აზრი, მისი სიბრძნე, განგებიანობა, ავ-კარგი და მართვა ქვეყნისა, ჩვენის დიდებულთა და ერის რჩეულთა თანადგომით და ერთ ნებაობით უნდა წარმართვიდეს ქვეყანას, ხოლო ჩვენი სიმტკიცე და ჩვენი პირველობა, მედროშეობა მთელს აღმოსავლეთში უნდა შექმნას გმირმა ვაჟმა, ღირსეულმა მეუღლემ თამარისამ, სასახელო მეფემ ჩვენმა.

უკვე გამოვიდნენ სასახლის მთავარ შესავალთან.

კარი-ბჭეზე მდგარ აბჯროსან ქეშიკებმა შიშველ ხმლის დაშვებით სალამი უძღვნეს მსახურთ-უხუცესსა და ვარდანმაც შესწყვიტა საუბარი.

გოდერძი კი ფიქრობდა:

— ეს ერთი კაცია, მგონი, თამარს ღირსეულად ვერ აუვასებს. რა შემცდარია! მაგას ქალი არად წაჰკვირს, მხოლოდ სატრფიალო საგნად მიაჩნია და თუ უფრო დაეამძიმებთ მაგის აზრსა, დედად, შვილის აღმზრდელად დასტურს დასცემს იყოს დიაცი... აქ კი მოხერხებულ საუბარში შევატყვე არ გამოსთქვა, მაგრამ ბევრად წდარე აზრის არის თამარზე, ვიდრე ეს ემჩნეოდა... მისი სიბრძნეც ახსენა, განგებიანობაც, მაგრამ... როგორ ინატრა: ნეტა ვაჟი დარჩენოდა გიორგისაო!—მეფე გმირი უნდა იყოსო... რა ფართო აზრები აქვს... შენაცვლება ბიზანტიისაო... საით მიიღტვის მაგისი ამაყი, ქედ-მაღლური ზრახვები... ოო, რომ შეიძლებოდეს... თვითონ გახდეს მეფე!.. აჰ აი, მისი საპირადო!

თითქო თავის თავი დაიჭირა გოდერძიმ: ეს აქამდე რად არ მიფიქრიაო.

— დიაღ... ესე ბჭობს დადიანი თავისთვის, მაგრამ ჭკვიანია და ფრთებს აკეცვს მის გალაღებულ ოცნებას.. ეს დიდი ღირსებაა! ეს მამულიშვილობაა... აქ არის მაღალი ვარდანი... ეხლა მხოლოდ გმირს დაეძებს. მისი სანატრიონის გამოსახულებას... მაგრამ რა შემცდარია თამარზე... თამარი სულ სხვა ვინმეა. ჯერ არ ვისგან შეცნობილი... მას არ სჭირდება პატრონი, არც გმირი ვინმე... იგი თვით არის, თავით თვისით... ის დიდი მწვერვალია!—

კვლავ გაუელვა ფრაზამ.

სულ გამოვიდნენ სასახლის ეზოში.

ფართო გალავანში ხალხი ირეოდა. უშველებელი თაიგული იყო მოძრავ ნაქვთებისა: შვინდის ფერი, ოქროს ფერი, შავი და სისვი, ალის ფერი და თეთრი ფერი ერთი მეორეს შეთხზოდა და ხან ერთად იკუმშებოდა მიჯრილ ხაზებად, ხან იშლებოდა გრძელ, უცხო სახიან, აჭრელებულ ზოლებად.

ერთ ალაგას ტკბილი ღიღინი მოისმოდა, მეორეგან ფერხული დაებათ სოფლელ ვაჟკაცებსა, ერთგან ცხენს-შემსხდარნი რაინდები მკერდით აძგერებდნენ თავიანთ ტაიჭებს და ამით ლაღობდნენ, მეორე ალაგას უფრო დარბაისლები ცხენებზე სხდებოდნენ და შინისკენ მიემგზავრებოდნენ თავიანთი შინაყმებითა.

ყველა ესენი ნადიმიდან დაბრუნებული სტუმრები იყვნენ.

ქალების მომხიბვლელი კისკისი და ვაჟთა გულიანი ხარხარი, უზანგების წკრიალი, მათრახის ტკრციალი და აფრიალებული ლეჩაქები ასრულებდნენ მთლიან სურათს.

ერთგან კი თითქო უფრო დიდი წრე იყო შექმნილი: დარახტული ცხენები, მშვილდიეით ქედ-მოდრეკილნი, ნესტოებ-დაბერილნი ჯილაეებით ეკავათ შინაყმებს.

აქ იდგა ჭარმაგი აბულასანი, მისი უცხო შვენების ცოლი უღანდარე, რუსის უფლისწული იური-გიორგი, კუზმა, შარაზანი, გუზანი, მისი ვაჟი და კიდევ რამოდენიმე სხვა დიდებული.

აბულასანის მეუღლეს მშვენიერი შაეი მერანი მოჰგვარეს.

დიდებულთა ახალგაზრდობა დაფაცურდა.

ერთმა შინაყმამ ცალ-მუხლზე დაჩოქილმა მეორე მუხლი მიაგება ქალბატონს, რომ ცხენზე შეესვა. ქალიც წამოვიდა, მაგრამ ამ დროს ადგილიდან ისხლიტა იური-გიორგიმ და შინაყმის მაგიერობა თვით გასწია. ნაქნარ წელზე ფართე ხელი მტკიცე ბოძათ შეუდგა. ამ ხელში ჩაიმალა სრულიად ქალის წელი. ქალმა იური-გიორგის მხარზე ხელი დაადო და დახამხამების უმალ უნაგირს მოექცა. იური წამოდგა და, თითქო უზანგს უსწორებსო, ფეხზე ხელი ნაზად მოუჭირა.

ქალმა ზევიდან, თითქო მადლობის ნიშნად თაეი დახარა და ღაწვები წითლად აუკოკრდა. ეს რომ არაეის შეემჩნია თაეი ისეე მაღლა გადაგდო, უნაგირზე გასწორდა, თან ლაგამი მოიმარჯვა.

ამავე დროს შინაყმები აბულასანს ცხენზე სვამდნენ.

ვარდანმა მოუსწრო. აბულასანი შეაჩერა.

— მწუხრის ჟამსა ჩემთან უნდა მობრძანდე.—უთხრა მან.

— სათათბიროდ, არა?—შეეკითხა აბულასანი.

დიაღ. სხვა დიდებულნიც იქმნებიან. თვით კათალიკოსი და... ვამცნე რუსუდან დედოფალსაც.

— დიაღ მშვენიერად მოქცეულხარ, დადიანო... სარწმუნო იყავ, გეახლები.

ცხენი მიაბრუნა აბულასანმა.

მის მეუღლეს გვერდით კუზმა რუსი და სეფე-წული იური-გიორგი უდგნენ, უკვე ცხენებზე შემსხდარნი.

აბულასანმა წკიპურტი ჰკრა თავის გრძელ, გათეთრებულ ულვაშებს, თითქო ტუჩებზე ჩამობარდნია და გაისწორაო, შემდეგ ლაგამს უფრო მარჯვედ წაავლო ხელი და დასძრა ცხენი.

თამარის სხვა სტუმრებიც გზას გაუდგნენ.

ვარდანი გამობრუნდა და განზე მდგომ, სეირის მაცქერალ გოდერძის დაუძახა:

— არ დაგავიწყდეს, ამაღამ უკანასკნელი თათბირია ჩემსა... უნდა გადავწყვიტოთ თამარის ჯვარის წერა. შენც საჭირო ხარ ფრიად. მოხვალ.

შეუვალად დაუდასტურა თვითვე.

გოდერძიმ, მიახლოვებულმა, მორჩილებით თავი დახარა.

IთI.

თანდათან ცალიერდებოდა სასახლის ეზო

გოდერძიც გაუდგა გზას თავის სამყოფელისაკენ.

გზაში ფიქრობდა:

— როგორ ისწრაფვიან? აწვევენ თამარს ქორწინებასა? არ მომწონს ესე ამბები! განუკითხავი და განუსჯელნი არიან ჩვენი დიდებულნი... სპილოთაებრ არა განიხილვიან მისაყრდნობელსა. ესე ოდენსა მძიმესა საქმეს მსუბუქად შეეხებიან.. რასა იტყვის ნეტა თამარი?..

ისევ სასახლის მთავარ შესავალს გაუსწორდა. უნდოდა მოეხვია, რომ თავის ბინისაკენ წასულიყო.

მისი ბინაც, როგორც მეფის მდიენისა, სასახლის ეზოში ერთ-ერთ სამსახურებელში იყო მოთავსებული.

წარსდგა ნაბიჯი კიდეც.

მხარზე მძიმე ხელი იგრძნო.

ზე აიხედა: რატი სურამელი იყო.

— ო, დიდო ერისთავო!..

ზრდილობით შეიკვირვა მან.

— ვითარ გიკითხო, გოდერძ?.. საით შენი გზა?

— ჩემსა სენაკსა გეახლები.

— გოდერძ!.. შენ ვითარ განსჯი ჩვენს საქმესა?

— რა საქმესა ბრძანებ, ერისთავო?

რატიმ შეამჩნია, რომ გოდერძი განგებ თავს იყრუებდა, მაგრამ ამაზე არაუთხრა-რა. თავისი განაგრძო:

— თამარს ვახლდი ეხლა. ნადიმის შემდეგ დასტური გამოვთხოვე ნახვისა. პირდაპირ ვკადრე: რუსის უფლისწული უნდა შეიუღლო-მეთქი. დავუსაბუთე ჩემი მოსაზრება.

— რა გიბრძანა?—

სმენად იქცა გოდერძი.

— სათნოდ გამიღიმა შარავანდედ-მოსილმა... ვერ ვიცნობთ ამ უფლისწულსო, ბრძანა. მოათიოს ხანი, ჟამი, გაიცანით და შემდეგ მე თქვენს სურვილს არსით წაუვალო.

გოდერძი უნებლიე სიხარულმა მოიცვა. თითქო გაუხარდა, რომ თამარი არ ჩქარობდა და თითქო ისიც ისე აზროვნებდა, როგორც თვითონ. მხოლოდ ეს წარმოსთქვა:

— ბრძენია მეფე ჩვენი!

— ეგ უეჭვოა, ჩემო გოდერძ!.. აჩქარებითა სოუელი...

ალარ დაათავა რატიმ. პირდაპირ გადავიდა სათქმელზე.

— ეს მართალია, მაგრამ... აქ სამეფო საქმეა, განსჯა დიდი უნდა, მხოლოდ არც დაყოვნება გვიმართებს. ტახტს მემკვიდრე უნდა, გოდერძ. ერს კიდევ ვაჟი—წინამძღოლი... ლაშქრობასა ზედა... მეფე-სარდალი... თორემ ჩვენ ვერ ვიგუებთ მართ-ოდენ ქმირ-სპასალარი გვიძღოდეს... ჩვენი ტოლი და სწორი, ჩვენებრი ერისთავი და ვაჟი მეფე კი არა მართვიდეს ლაშქრის წესრიგსა.

— მაინც ჩქაროობთ, დიდებულნო!.. მთხოვნელნი ბევრნი არიან. უცხონიც და შინაურნიც... აი, ოსთ-თავადნიც...

რატის სახე მოეღუშა.

გოდერძიმ შეამჩნია, მაგრამ მაინც არ დაერიდა:

— რად არ გინდათ ღირსეული ვინმე აქვე, ჩვენ შორის გამოსძებნოთ თამარის საქმროდ?.. აი, თუნდა ამ ოსთ-თავადებში...

გაახსენდა ვარდანის სიტყვა გოდერძის: ოსთ-თავადთა შორის დავით სოსლანი უფრო თვალსაჩინოაო. მისი გულიც უმოწმებდა ამას, რადგან გიორგი, ოსთა ბატონიშვილი სამეფო კაცად თვითაც ვერ წარმოედგინა.

და სთქვა:

— დავით სოსლანი... ვისგან დაიწუნებს?! პირად კარგი, ზრდილი და გონებიანი, რიტორი და უებრო მეომარი... იცის ჩვენი ამბავი, უყვარს ჩვენი ქვეყანა... ჩვენებურად არის აღზრდილი თვით რუსუდანისაგან. თამარსა და დავითს ერთადა ზრდიდა...

— ვითარ გადმომცეს არა დავითი, არამედ ოსთ-თავადი გიორგი არს მსურველი ესე ვითარისა...

გააბრტყელა რატიმ. გოდერძიმ სწრაფად შეაგება:

— მსურველნი ბევრნი არიან, მაგრამ ჩვენ ვირჩეთ და არა ისინი... ჩვენც დავითი ვირჩიოთ.

შეფიქრდა რატი. ცოტა შეგვიანებით მტკიცედ წარმოსთქვა:

— არ ეგების. ვერ ხელეწიფების დავითსაც.

— რატომ? რისთვის?—ჯავრობდა გოდერძი.

— ეგეც შინაურია... ეგეც თავისიანების გაბატონებას მოინდომებს, ოსებს დაგვასხამს თავზე... ჩვენ ამას ვერ ვიგუებთ და მოხდება აღრევა სახელმწიფოსი...

— თავადი ვარდანიც ეგრე მსჯელობს...

თითქო საყვედურით წარმოსთქვა გოდერძიმ.

— ვარდან დადიანი?!.

შეიკვირვა რატიმ. უსიამოვნო აზრმა გაუელვა. არ დამალა:

— ვარდანი შეიძლება სხვებ უდგებოდეს საკითხს, ხოლო ამაში მართალია. ჩვენთვის ისეთი მეფეა საჭირო, რომელსაც ალაგმბრივე, ჩვენ შორის არავინა ჰყავს მონათესავე და მომხრე. მეფე ყველასია და არავისი. ამისთვის ჩვენთვის უცხოა საჭირო.

— უცხო, უცხო!..

ეტყობოდა ბოლმა მოაწვა გოდერძის.

— ჩვენი უბედურებაც ესაა. სულ ყველაფერი უცხო მოგვწონს... მუდამ უცხოეთისაკენ ვიმზირებით, მაგრამ განა ბევრი ყოფილა თქვენგანი უცხოეთში?.. მე შემომივლია ეგ უცხოეთი: ვყოფილვარ ბაღდადს, მივლია მისრეთში, მინახავს განთქმული ბიზანტია, გადავსულვარ ვლახეთს, მომივლია სკვითთა ქვეყნები. მინახავს რომი, ინდოეთი და ჩინეთი... მე მკითხეთ იქაური ამბები... რამდენი მიამბნია კიდეც... დიდებულია ეს ქვეყნები, მაგრამ ჩვენ მაინც თავისებური ბევრი სიკეთე გვახლავს, ამათ უნდა გამოყენება... იმ უცხოში ბევრი სივაგლახეა, გამოუსადეგი, ჩვენი სულის შეუფერებელი. ნუ წარგიზიდავთ ისე უცხო, როგორც თავისი...

რატის უკვირდა—ესე რად აღელდა გოდერძი? ვერ გაუგო. მისმა შეუთამაშებელმა გონებამ გოდერძის ესეთი გაჭანება მაინც დააწვრილმანა და ეს გაიფიქრა: გოდერძი მისთვის ჯავრობს, დავით სოსლანი უნდა ჩვენს მეფედ, მისი მომხრეაო. არ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ ისევ გოდერძიმ იხსნა. გოდერძი თვით დაუბრუნდა საკამათო საგანს:

— მერე კიდევ ესე განუსჯელად უცხოს მოწონება, ვით თვითონ თამარს უბრძანებია...

რატის სახე გაეშალა, მიაგნო, რაც უნდა ეპასუხნა:

— უცხოს რომ ამბობ, პირველ-ჟამად თვით ბაგრატიონებიც უცხო თესლისანი არ იყვნენ?.. ისრაელნი ვართო, თვით არა ბრძანებენ? იესიან—დავითიან—სოლომონიან— პანკრატოვანნი... თვით არ იტყვიან სიგელ-გუჯრებში?!..

— ევენი ჰანები არიან... ქართველთა მოდგმის ბაგრატიონები.

შეუშალა აზრთა გვრიობა გოდერძიმ. მაგრამ რატი მაინც თავისას განაგრძობდა:

— ან რომელი მეფეები იყვნენ წმინდა ქართული სისხლისა?..

გახსენებაზე თანდათან გამოცოცხლდა რატი.

— ნებროთიანები, სასანიდები, არშაკუნები ანუ არსაკიდები, მაგრამ მაგითი რა დაუშავდა საქართველოს?..

ამ კითხვაზე შეჩერდა რატი და შეაცქერდა გოდერძის. თვალები ცბიერად უმეტყველებდნენ: ეხლა რაღას ბრძანებ, დიდო პიიტაკოსო, ხომ კედელზე მიგამწყვდიეო.

გოდერძიმ უკმაყოფილოდ თითქო წაიბრდღვინა:

— ვინ იცის, შეიძლება ბევრიც დაუშავდა... და ეგ არის კიდეც ჩვენი უბედურება. ყოველთვის ჩვენსას უცხო გვირჩევნია. ეს ჩვენმა სამასი წლის არაბთა ხელში ყოფნამ შემოგვძლენა, ეს მონური აზროვნება.

რატი შეწითლდა. გოდერძიმ არ დაიმჩნია.

— ჩვენა გვგონია, რაც უცხოა—უთუოდ კარგია. მაგრამ თვით უცხოეთში უნდა მიხვიდეთ, რომ ნათლად იგრძნოთ ეს საუცხოობა. ჰმ! საუცხოო! ეს სიტყვა უნდა ამოვარდეს ძირიანფესვიანად ჩვენის ენიდგან, ჩვენის გონებიდან, ჩვენი შეგნების საძრაობიდან... ეგა გველუპავს ჩვენ... გვიხშობს თავის რწმენას,

მაგრამ რად ვერ მოხდა... არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი დავითის, ჩვენი ქვეყნის აღმაშენებლის მოღმა, მაინც რით ვერ განვიმტკიცეთ რწმენა თავის თავისადმი. ერთი საუკუნე ჯერ არ გასულა და იმიტომ თუ ვერ დაგვიღწევია თავი...

მოსაუბრეებმა მხოლოდ ეხლა შეამჩნიეს, რომ მზეში გაჩერებულიყვნენ და მოშორებით ჩრდილში შინაყმებს გამზადებული ჰყავდათ რატის ტაიჭი.

რატი გამოესალმა გოდერძის. მაგრამ ეტყობოდა უკმაყოფილო იყო.

— საღამო ჟამს შევიყრებით ვარდანთან სათათბიროდ.

მაინც მიაყოლა გოდერძიმ მიმავალ რატის.

— მეც მომიწოდა დიდებულმა.

რატიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუკნია და უნაგირის უზანგში მარცხენა ფეხი შესდგა.

გოდერძი ისევ გაბრუნდა თავის ბინისაკენ.

ცუდ გუნებაზე დადგა.

ორი დიდებულის შეხვედრამ გულს რეჩხი უყო.

ფიქრობდა:

— სხვადასხვანი არიან... სულ სხვადასხვაა გზები ვარდანისა და რატისა, მაგრამ ამ საკითხში რუს უფლისწულთან კი იყრებიანო... ცუდი იქმნება დღევანდელი თათბირი! ორს მოწინააღმდეკე, მაგრამ მძლავრს დიდებულს ერთი და იგივე სურს... სხვა ძალა არა სჩანს... უსათუოდ შეთანხმდებიან... ო, რას ჩადიან განუკითხველნი!.. სამშობლოვ ჰირ-ნახულო!.. ძლივს გამოკეთდა შენი საქმე, ძლივს ფეხზე დადექ... ხალხი აღორძინებული, წელ-გამაგრებული... მეფე ბრძენი და მიუწდომელი... ორივენი კვლავ უნდათ განსაცდელში ჩააგდონ...

ცუდი გემო იგრძნო პირში.

თითქო გული აუფრიალდა. ბოლო ხანებში ხშირად უჩიოდა გულს... მაინც ნაბიჯს უკლო. ჩქარა მოედიოდიო, გაიფიქრა და უფრო ნელიად შესდგა ფეხი მისი საშყოფელის კიბეზე.

— ჰმ... სპილოები!..

კიდევ ერთხელ განუმეორა ფიქრმა.

მ ა ვ ი მ ე რ ვ ე

ზანქანი გახარებულია

ა.

ავანაანთ უბანში*) ზანქან ზორაბაბელის მომკრო, არაბულს ყაიდაზე აგებული, მტკიცე ქვითკირის შენობა გაჩირაღდნებული იყო.

გაფისული ძონძები და ხმელი წნელები ერთი-მეორეზე ხის ქერქით გადაბმული ტკრციალებდნენ ბჟის კარებთან სპილენძის ზედადგარზე.

*) სოლოლაკის მხარე.

მარმარილოს კიბის კედლებზე ორივ მხრით სპილენძისავე მარწუხებს ნაძვის ანთებული მკვარი ეჭირათ და ისინი ირგვლივ ფენდნენ ტყის ნაზ სურნელებას და ალალ-მართალ სინათლესა.

ამ სინათლეში გამოჩნდა ბრგე მოყვანილობა კუზმა-რუსისა და მოქნილი ტანი ზანქან ზორაბაბელისა.

ისინი ლაპარაკით ადიოდენ კიბეზე.

ორივენი გახარებულნი იყვნენ.

კუზმას სახე გაშლილი ჰქონდა. ყოველივე ჩრდილი სევდისა მუნ წარშლილ იყო.

ზანქანს კი აცომცომებულ თვალებთან კმაყოფილების ნაოჭები შემოჰკრეფოდა და ერთობ გაებედნიერებინა ცხოვრების დარჯაკის მიერ საერთოდ გათქერილი შესახედაობა.

— გაიხარეთ, გაიხარეთ, სტუმარნო და მასპინძელნო!

შესძახა მან, შესდგა თუ არა ფეხი ოდნავ მოხრდილ დარბაზში.

აქ კარგა-ბლომა საზოგადოება იყო თავ-მოყრილი.

მამაკაცის ქართული კაბები; არაბული თეთრი ხალათი და დოლბანდი; ბიზანტიური დალმატიკა; ებრაული, თავით ბოლომდე შებნეული, ანაფორასავით ტანსაცმელი, თავის განუყრელი სკლატითა და ბეწვ-შემოვლებული, მრგვალი, დაბალი ქუდით; სპარსული ქლამიდა და აბა; ჭოშები და ხმალი; სამოგვით შემოსილი ფეხები და რომიდგან ჩამოსული პაპის ნუნციის სამოსით მორთული ნაქვთი.

ყველა ეს უცხო შთაბეჭდილებასა ჰქმნიდა მათ შემხედვარესათვის.

ეტყობა ზანქანს და კუზმას უცდიდნენ. მათ შემოსვლაზე ყველანი წამოიშალნენ და ცნობის მოყვარეობით გარს შემოერტყნენ.

ესენი ყველა ზანქანის სტუმრები იყვნენ. უფრო მეტად უცხოელი სოვდაგრები სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა საჭირო თუ სხვა მიზნით ჩამოსულები, რომ საქართველოსთან უფრო მკვიდრი კავშირი გაებათ.

აქვე იყვნენ საქართველოს ქვეშევრდომი სომხითარნი, ყივჩაყელნი, ზოგიერთი ტფილელი მოქალაქეც, ამჟრის უფროსებიც და ორიოდე სოფლიდან ჩამოსული ქართველი თავადი, რომელთაც ზანქანთან სესხისა და ვალის დამოკიდებულება ჰქონდათ.

ყველა ეს სხვადასხვაობა დარბაზში შემოკრებილთა, ზანქანის და კუზმას გარშემო უეცრად ახმაურდა და ერთის კაცივით იკითხოდა ერთს საკითხავს:

— გადაწყდა?

— გადაწყდა, გადაწყდა და სწორედ ისე, როგორც მოველოდით... მაგრამ დასხედით, საპატიო სტუმრებო! ყოველივეს დალაგებით მოგითხრობთ... მხოლოდ სად არის უფლისწული?

ჩქარობდა ზანქანი.

სტუმრები აირივნენ. ზოგი ჯდებოდა. ზოგი მაინც უკმაყოფილოდ იდგა, რადგან გადაჭრით მაინც არ იცოდა თუ როგორ რა გადაწყდა, თუმცა მასპინძლის მიერ უფლისწულის მოკითხვა უკვე მათთვის ბევრსა ნიშნავდა.

რომელიღაც შინაური გაჰქანდა შინა ოთახებისაკენ.

კუზმაც გაჰყვა მას.

ზანქანმა აღარ შეაჩერა: —დეე, თვითონ მაგან ახაროს მის გაზრდილს სასიხარულო ამბავიო.

სტუმრებს კელავ იერიში მოჰქონდათ.

— აბა გვიამბე, ზანქან, როგორც იყო... ყოველივე დაწვრილებით.

ზანქანი ქართულად ლაპარაკობდა. ეტყობოდა სტუმრების უმრავლესობას ესმოდა ქართული.

მხოლოდ პაპის ნუნცი და ერთი ინდოელი იყვნენ შეცბუნებულნი, თუმცა მათ სახეს ეტყობოდა, რომ უმთავრესი იმათთვისაც საცნაურ ქმნილ იყო.

ზანქანი უამბობდა:

— დიდი კრება იყო ძალიან. უწარჩინებულესნი არავინ არ აკლდა. ამ საქმისათვის ცხუმის ერისთავიც ჩამოსულა, დოთაღოს შარვაშის ძე და თვით მხცოვანი კახაბერიც, განთქმული რაჭის ერისთავი, მამობილი ჩვენი მეფისა. ამ კახაბერმა დიდად გაგვიჭირა საქმე. დიდ უარზე იდგა: „დიდებულნო, რას ჩადიხართ, ვის გაუგია ესე საქმის შეუტყობლად თანხმობის გამოცხადებაო. რომ არ ვიცნობთ მის არც ზნეს, არც ჩვეულებას და ხასიათს, არც სამხედრო უნარსა და სიქველეს. კარგათ რომ არც კი ვიცით ვინ არის... მართლა რუსთა ბატონიშვილია, არ არის? ვით ეგების ესეთ საქმისა ქმნადო“... დიდად ცხარობდა მხცოვანი დარბაისელი, მაგრამ აბულასანმა და ვარდან დადიანმა მაინც თავისი გაიტანეს...

— შენ ეს ბრძანე, ზანქან!

შეაწყვეტინეს სტუმრებმა:

— ნამდვილად გადაწყდა თუ არა?

— მეფის თანხმობა არის თუ არა?

— რომ არ დამაცლით... რასაკვირველია არის თანხმობა მეფისა. გვარგვინოსანმა რუსუდანმა განაცხადა, რომ თამარის პასუხს მალე ჰიაბერი გვამცნობსო და მართლაც არ გასულა დიდი ხანი, და ჰიაბერიც მოვიდა და შემდეგი გამოგვიცხადა; „თამარი ბრძანებს—თანახმა ვარ, აღარ ვეურჩები მოთათბირეთა სურვილს და ნებას გაძლევთ გამოცხადდეს ჩემი დაწინდვა რუსის უფლისწულთან მცხეთას, სვეტი-ცხოველის ტაძარშიო. ნაბრძანები მაქვს ეს საზეიმო ამბავი ვამცნო შვიდსავე სამთავროს და ამირ-ჩქარს ბრძანება მივცე დაუყონებლივ დაგზავნოს შათირნი და მალიად მსრბოლნიო.“

მთელი დარბაზი ახრიალდა.

ზანქანს აღარ აცალეს.

ზოგი გახარებული იყო. ზოგი ერთი-მეორეს კერძოდ თავის მოსაზრებას უზიარებდა. ზოგი უკმაყოფილო მაინც ამას განაცხადებდა:

— ეს ხომ დაწინდვაა მარტო!

— ქორწილი როდის-ღა იქნება!

— ეგ ვერაფერია...

— ეგ კიდევ უფლისწულის გამარჯვებას არ მოასწავებს

მაგრამ ამ ხრიალში ზანქანმა აუმაღლაურა:

— მომისმინეთ კიდევ: დაწინდვა ეხლა არის გამოცხადებული, ხოლო ჯვრის-წერა ერთი წლის შემდეგ...

— ერთი წლის შემდეგ?

— ეგ რაღა არის?

— მაშ მეფე საქართველოს ჯერ კიდევ არ ეყოლება...

კვლავ ახრიალდნენ უკმაყოფილონი.

მაგრამ ეს ხმაური სტუმრებში მყოფ დარბაისელის ზვიად სავარსამიძის ბოხმა ხმამ ჯებირივით შეაჩერა:

— მაგას ნუ იტყვით, მოყმენო, რომ მეფე არა გვყავს... ეს სათაკილო აზრი დიდი ხანია ქართველებმა თავიდან განვიშორეთ. თუმცა ქალი დავსვით ხელმწიფედ, ვიცით რა ზნენი მამაცურნი გამოიჩინა სამ-გზის სანატრელმა მზეთა-მზე თამარმა! ჩვენ ეხლა მხოლოდ მის ქმარს ვეძიებთ, ღირსსა შეუღლეს, ტახტის მემკვიდრის მამას, თორემ მეფედ?.. ყველამ უნდა იცოდეთ, რომ გვყავს ღვთის სწორი თამარ...

ამ შეუვალმა განცხადებამ თითქო ლაგამი მოსწია დარბაზში შეკრებილთ. ზოგმა ბოდიშიც მოიხადა.

მხოლოდ ერთი დოლბანდიანი წამოდგა წინ და მშვენიერის ქართულით განაცხადა:

— მე არ ვამბობ თუ საქართველოს მეუე არა ჰყავს... ვეჭვობ მხოლოდ — ერთი წლის შემდეგ მოხდეს ქორწინება... ბევრი ვიცით მისი მაგალითები: საქართველოში ჩამოსულან უფლისწულები, ღირსნი და უღირსონი თამარის ხელის საძიებლად, დაუყვიათ აქ ერთი წელიწადიც, მაგრამ შემდეგ გაწბილებულნი უკუ-ქცეულან...

კვლავ ხორხოზი, ხრიანცელი:

— მართალია! მართალი!

— ბევრს მოუვიდა აგრე!

— მაგას არ მოუვა.

— როგორ? შენ რა იცი?

— ყოველად ღირსეული ჭაბუკია!..

— სამეფო კაცია!..

— შენ არ გინახავს?

— არა, აბა საიდგან?

— ამაღამ ნახავ: დარწმუნდები.

ამასობაში სავარსამიძე ერთ ქართველ დიდებულთაგანს ეკითხებოდა დოლბანდიანზე:

— ვინ უნდა იყოს?

— ვიცი. შირვანელია. აღსართანის კარის კაცი.

— ჰოო, აღსართანი!.. ეგეც ხომ, ამბობენ, თამარის ტრფიალიაო.

— მაშ მაგ მოყმეს არ იამება რუსის უფლისწულის გამარჯვება.

ზანქანი კი ვიღასაც ცხარედ უმტკიცებდა:

— რა არის ერთი წელიწადი... მერმე კიდევ დაწინდვით. აქამდე ადა ვინ დაწინდულა თამარ-მეფეზე?.. ეს კი დიდი რამის მომასწავებელია... ეს თითქმის ჭორწინებაა... ეს აღიარებაა რუსის უფლისწულის შეუღლებისა... რას ემბობთ რას!.. კარგა განსჭვრიტეთ და ისე მოისაზრეთ...

კარები გაიღო.

შინა ოთახიდან მომღიმარი, ბედნიერი იური-გიორგი შემოვიდა.

შეჯგუფული სტუმრები შუაზე გაიყვნენ.

ნაცნობებმა დაბლა თავი დახარეს დიდი თამარის მეუღლეთ გამოცხადებულ უფლისწულის წინაშე.

უცნობებმა მათ მაგალითს მიჰბაძეს: მიხვდნენ ვინც იდგა მათ წინაშე და, თუ ვინმე უკმაყოფილო იყო, მანაც ზრდილობის ნიღაბად გადაიმტკიცა პირის კანი.

განკრძალული მდგომარეობა შეიქმნა.

მხოლოდ ზანქანმა მასპინძლურის სითამამით იური-გიორგისკენ ნაბიჯი წინ წარსდგა, დარბაზის შორეულ კუთხეში მდგომ მის მსახურთ რაღაც ანიშნა და მხიარულის სახით უფლისწულს კალთაზე ეამბორა.

იური-გიორგიმ ზანქანი ზე წამოაყენა და მონგოლური ჩვეულებით სამჯერ მხარ-შეცვლით პირზე აკოცა.

წელში გამართული ზანქანი ყივჩაყურ ენაზე, ეტყობოდა, გაბედნიერებას ულოცავდა.

სწორედ ამ დროს დიდ-ხონჩაზე მდებარე ოქრო-ქსოვილი და მარგალიტით ნაქედი ქართული ჯუბა-სამოსი მოართვეს ზანქანის მსახურთ უფლისწულსა.

ზანქანმა მიუთითა—მე მოგართვიო და მისალოცად კუზმასთან გადავიდა.

მხიარულ კუზმას გულში ეცინებოდა:

— დიდი პახრაკი კაცია ზანქან. საჩუქარს აღარ ზოგავს... იცის, რომ ერთი ორად აიღებს. ჰმ... მისი ვალიც გაინაღდა...

რაღაც სახუმარო ადგა ენის წვერზე ზანქანისათვის, მაგრამ თავი შეიმაგრა და არა უთხრა-რა.

ისე გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

ამის შემდეგ გახარებულმა მასპინძელმა უფლისწული და სხვა სტუმრები სუფრაზე მიიწვია.

ბოლო ღამე მის სახლში ლხინის ხმა არ შეწყვეტილა.

თავი მეცხრე

ინდიქტიონი დაწინდვისა

ჯა.

მეორე დღეს სასახლის კარზე კვლავ დარბაზობა იყო დანიშნული.

როდესაც ყველანი თავ-თავის მიჩენილ ალაგას დასხდნენ და ჩამორიგდნენ, სიჩუმე ჩამოვარდა.

მოლოდინის წუთი გამეფდა.

ეგონათ: ჩვეულებისაებრ გაიელვებს ოქროს კარი და თამარ-პირიმზე შემობრძანდებაო, მაგრამ კარები არ იღებოდა.

დამსწრეთ თვალი მიმოავლეს და შენიშნეს, რომ დარბაზში არც იურიგიორგი იყო მოსული.

მხოლოდ კუზმა იდგა თვალ-საჩინო ალაგას კვლავ ჯავშან-მოსილი და ისეთი სახით, ვით შეჰფერის ჰირ-გადახდილს, გამარჯვებულს უებრო მეომარსა.

ჭიაბერმა არგანს ხე-ასწია და თვალნი რუსუდან დედოფალს მიაპყრო.

მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი და რაჭის ერისთავი მხცოვანი კახაბერი დარბაისლურის ნაბიჯით რუსუდანს მიუახლოვდნენ, დაჰლა თაკი დაუკრეს, შემდეგ იქით-აქით გვერდში ამოუდგნენ და სამეფო დალიჭამდე მიაცილეს, რუსუდან-გვირგვინოსანი თამარის ბედნიერ ტახტსა აღვიდა.

ჩქამი... მწერის ფრთის შეკრთომაც კი უდიდესი გახმაურება იქნებოდა ამ დროს.

სისკი ფერის დალმატიკაში გამოწყობილი, ნაცრისფერ ლეჩაქ გადაფრიალებული, თავზე იქროს დაბალ თაჯით და საჭრეებსა და ოქარის კიდურებზე ძოწეულით შემძივული ხან-დაზმული, მჭყაზარი, მაგრამ პირქუში გამომეტყველება რუსუდანისა სანუგეშოს არას ამბობდა თითქო.

თუ ერთის მხრით მისი სამოსელის ფერი სიმძლავრის და მორჭმულობის გამოსახულება იყო, მეორეს მხრივ თვალი პატიოსანი წოქულისა, მურდახილად მოვლებული, ამ ძლევა-მოსილებას ასისხლიანებდა. ხოლო მთელი აღნაგობა ნაცრისფერ ლეჩაქით შენიღბული მგლოვიარების ნიშანს იძლეოდა.

რუსუდანი ძველი საეკლესიო კილოთი თითქო გაზეპირებულ ლოკვას ამბობდა:

— ერთ-ნებაობითა და თანადგომითა ყველა დიდებულთა ჟამსა მას დადგენილ იყვეს, ოდეა გვემოღვაწა შეჰოყვანებად სიძისა თამარისაჲვის და ვდრტკინავდით უშვილოებასა მეფისა ჩვენისა, გონება-ვრცლებასა და გულ-მკვნიერისა თამარისა, ვიხსენიებდით უნაყოფოებასა მისსა და შევაიწრებდით მას, ვის შვენის ქმრად და მეუღლეთ, თუმცა გამოჩენილ იყვნეს, გმირი ანუ გოლიათი, ანუ სახენი ამა გჳრთანი, ანუ მიჯნურნი, ლომნი და მზენი, ვითარ თაჰმთა თანიმანისათვის, ვითარ ამირან ხვარაშანისათვის, ვითარ ხვასრო შანშა-ბუკისათვის, ვითარ მზეჭაბუკ მზისათვის ხაზარიასა...

ამ ჩამოთვლაზე თითქო სიმძიმე რამ ჩამოაწვაო დარბაზში მყოფთ.

ეს კარგა შეამჩნია ფეხზე-მდგომ დიდებულებში გარეულ გოდერძი ჩორჩანელმა და გვერდით მყოფ მის ახალგაზრდა მეგობარს, უკვე თვალ-საჩინო მოშაირეს და სიბრძნის დარკში ფეხ-შედგმულს ჩახრუხაისძე უმრწემესს ნაღვლიანი ღიმილით, ძლივ გასაგონად მიმართა:

— გრძნობ, გულის საყვარელო, დედოფალი როგორ მძიმე გურხებს გვიშენს?! რა შედარებანი მოჰყავს... საიდან გაახსენდა...

— მესმის

შეუბრუნა ნელიად ჩახრუხაისძემ.

— რა გვყავს და რასა ვკარგავთო... არა?

ჭიაბერის მახვილმა ყურმა იგრძნო მონადენი სიო ნალაპარაკევისა და გამჭრიახი თვალები ელვის სისწრაფით შემოავლო დარბაზს.

შენიშნა მოსაუბრენი და...

დასატუქსათ განმზადილი თვალნი სიყვარულით აღივსნენ. თითქო ამბობდნენ—არაფერია, თქვენ მოვეტევებათ, უზრდელს არას იტყვით და გადამეტებით წესს არ დაარღვევეთო.

მოსაუბრეთაც შეამჩნიეს ჭიაბერის გაფრთხილება და პირი დაიდუმეს.

რუსუდანი კი განაგრძობდა:

— ვითარ რამინ ვისისათვის, ვითარ შერელომი ოსანასათვის, ვითარ შატბერ ანალითისათვის...

შორეულ კუთხეში კარგა ამაღლაურდა ერთი ჯგუფის ხმა.

ყველამ იქით მიიხედა.

ჰაერში აერქოლდა ჭიაბერის საკრამანგის პაწია ვერცხლის ეჟნები.

იგი შეტრიალდა ხმა-მომაღლეთა მიმართ.

ჯგუფი მყის ჩაჩუმდა.

კუზმას სახე თანდათან ელრუბლებოდა.—გულში უკვირდა:

— არ ჰგავს პირველ დარბაზობას და თამარის სეფე-სიტყვას. მაშინ როგორ ისმენდნენ, როგორის განკრძალვით იდგნენ. არა? დღესაც, დაწყების დროს საარაკო სიჩუმე იყო, წესიერება არც ეხლა დარღვეულა იმდენად, მაგრამ ჰაერში ვგრძნობ ცუდ განწყობილებას.

გვერდით უკვე გამეგობრებული, მისი ენის მცოდნე შარაგან ყიჩაყი ჰყავდა. უნდოდა მისთვის რაღაც ჩაეჩურჩულებინა. გაიფიქრა: ამითი ხომ მეც წესს დავარღვევო და კვლავ თვის საცნაურობას ჩაუბრუნდა:

— როგორ ზლაზვნით გამოიტყვის დედოფალი... თუ ენა რომ არ ესმის მისი ბრალია... ხომ ვიცი კარგად, რომ დღეს ჩემი გაზრდილის და თამარის დანიშვნა უნდა გამცხადდეს... უთუოდ ამას ამბობს დედოფალი, მაგრამ რად არის, რომ თვით უფრო ქადაგსა ჰგავს, ვიდრე ტახტზე მჯდომარე გვირგვინოსანს, რომელიც საზეიმო, სასიხარულო ამბავს აცხადებს... ან ეს გოლიათი ერისთავი —თამარის მამობილი ყოფილა—რათა სდგას ტახტის მარჯვნივ ესე ჩამობნელებული... მეც მივხვდი, რომ ამ ქვეყნისათვის და ამ ხალხისათვის ადვილი საქმე არ არის მათი „солнышко"-ს შეუღლება... თვით თამარის შემხედვარემ ვიგრძენ, რომ წავაგეთ... მაგრამ საქმე რომ სხვას ამბობს და... გული სხვას?..

კიდევ უფრო დაეხლართა კუზმას გამოცნობის ძაფი, მაგრამ თვალი მოუხვდა ვარდან დადიანის თითქო უდარდელ და გამარჯვებულ სახეზე. იქვე ვარდანის ახლო ოქროს სელში მჯდომი აბულასანის მოხუცი. მწუაზარი, ჭრელიანი და კმაყოფილი სახეც დაინახა და გულს ჭმუნვა გადაეყარა. თავის-თავს დაუდასტურა:

— არა. ბედი კი ჰქონია ჩემს გაზრდილს... ეხლა უნდა ვეცადოთ... უნდა ვეცადოთ...

კარგად იცოდა რა საცდელზედაც დაეებოდა მისი ფიქრი.

რუსუდანი უკვე ასრულებდა მისს სეფე-სიტყვას:

— ყველას განზრახვით ამ ჟამად მოყვანებულ იქმნა კაცი, დიდ-გვარიანი რუსთაგანი, უდიდესი თავის ქვეყნის მეჯეებს შორის. სხვა მხრივაც არა უმარჯვი: პირითა შვენიერი, სრული ანაგებითა და მჭვრეტთათვის დიდად საჩენი. ვინც კი ვიხილეთ, სათნო გვეყო ხილვა მისი. ხოლო უფრო სასიხარულოდ ის მიგვაჩნია, რომ ეგ მოყმე ქრისტეანია, მართლმადიდებელი და არა ურჯულო... ყოველივე ეს მოვახსენეთ თამარს და ვთხოვეთ, რომ დაქორწინებულიყო. მას აქამდე, როგორც იცით, სრულიად არა სურდა გათხოვება და ყოვლად უწადინელი იყო ქმრისა, მაგრამ დიდი ხნის ბჭობისა და ჩვენ მიერ შევიწროებისა, ბრძანა ესრეთ: რაკი სამეფომ ესე დაჟინებით მოითხოვა ჩემგან ამ ვალდებულების გასრულება, ალარ გეურჩებით, რომ ეგ უცხო უფლისწული მეუღლედ გამიხდეს. დასტური მომიცია. მხოლოდ იცოდეს ყველამ, ამ ჟამად მართ-ოდენ **დავიწინდები**. ჯვარის წერამდე კი ერთი წელიწადი მაინც მოათიოს ჩვენ შორის უფლისწულმა, გავიცნოთ, შევისწავლოთ მისი ხასიათი და უკეთუ შემდეგშაც ღირსი აღმოჩნდება, მე თქვენს სურვილს არსით წაუვალო... დროსა და ალაგს დაწინდვისას ჰიაბერი მოგახსენებთ.

რუსუდანი ტახტიდან ჩამოვიდა. ვარდანმა და კახაბერმა თავის ალაგას მიაცილეს და უკუ-დგნენ.

დარბაზში მყოფთ გულს მოეშვათ.

თითქო მძიმე ლოდი გადაეგორებინოთ.

ეხლა სახეები გაიშალა, სხეულმაც თითქო მეტი სიხალისე იგრძნო.

ჯგუფ-ჯგუფად შებრუნდნენ.

ახლო მდგომნი კუზმას ხმა-ამოუღებლივ ულოცავდნენ.

მაგრამ კვლავ აკრთოლდა ჰიაბერის საკრამანგის ეჟვნები, დაინახეს მის ხელში არგანი ზე-აწეული და ყველანი კვლავ ყურად იქცნენ.

ჰიაბერი თავის მიჩენილ ამაღლებულ ბაქანზე იდგა დარბაისლურად, მკაფიოდ შემდეგს აცხადებდა:

— ქორონიკონსა ოთხას ექვსს, დასაბამითგან ექვსი ათას შვიდას ოთხმოცდაათს, ქრისტესით ათას ას ოთხმოცდა ხუთს, ღვთივ-გვირგვინოსანის თამარის მეფობის წელსა მეორესა, თუესი ოქტომბერსა 1-ლს, დღესასწაულსა ღვთის მშობლის საფარველისასა, სვეტი-ცხოველ ობას, მცხეთის ტაძარში, ქალაქ მცხეთას გარდახდილ იქმნება კნეტარესის და უწმიდესის საქართველოს კათალიკოსის ნიკოლაოსის მიერ დაწინდვა მაღალ-ხარისხოვანის, აფხაზეთისა და ყოველისა საქართველოს მეფისა, შირვანის ჰაჩრონისა და ჩვიდთა სამთავროთა მფლობელის, სოფლი ა და სარწმუნოების დიდების, დედოფალთ-დედოფლის, გიორგის ასულის თამარისა და რუსთა გამოჩინებულის უფლისწულისა, ანდრია დიდის მეფის შვილისა, რომელსა მონებს სამასი მეფენი მის კერძოსანი, იური-გიორგისა. ყოველსა საღვედელოსა და ერისგანსა ხელჯოხიანსა ევალების შეუდგეს სათანადო მზადებას. დარბაზობა დასრულებულია.

შებრუნდნენ. თითქო აირიენენ ერთი-მეორეში. უფრო ბედნიერ კუზმასკენ მიდიოდა უპირველესობა.

ვისაც როგორ შეეძლო ისე ულოცავდა.

კარგად გრძნობდნენ, დღეის ამას იქით, ერთი წლის განმავლობაში მაინც, რა დიდი კაცი ხდებოდა ეს ახოვანი გადამთიელი.

(შემდეგი იქნება).

ნიკო ლომთათიფანიძე.

ა ბ რ ა გ ი

მატარებელი მიჰქროდა.

ვაგონის ტახტებზე ორი მგზავრი ერთმანეთის წინ იწვა.

ერთს ბოხოხი ეხურა, მეორეს ყაბალახით კოხტათ ჰქონდა თავი წაკრული.

ორივე ნაბადში გახვეულიყო: სახეც კი არ უჩანდათ.

თითქოს გაქვავებულნი იყვნენ: არც ხმას იღებდენ და არც ინძრეოდენ.

ბოლოს ერთმა მათგანმა ჩაახველა და ოდნავ შეიშმუშნა.

მეორემ ნაბდის ჰვრიტიმალიდან ცალის თვალით გადმოიხედა, უნდოდა თვალი ისევ დაეხუჭა, რომ მოესმა გარკვეული ფუჩუნით ნათქვამი სიტყვები:

— რევოლვერს უყურებ, მგონი... კრინტი არ დასძრა და ხელი არ გააფაცურო... შენც მიცნობ, მეც გიცნობ... ოდნავ თუ გადასცდი ჩემს სიტყვას—გაგათავებ, ბოქაული კი არა ღმერთი ვერ გიშველის... ეხლა ხელები წინ გამოყავი და ნაბადი ისე დაიჭირე... ჰო ასე, ნუ ნაზობ: შენ თითონ თუ არ იტყვი—კაცი ვერ გაიგებს... ან და რა ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინოს კაცმა, როცა მტერი თავს დაგადგება ჩახმახ-აყენებული რეველვერით ხელში?!. არხეინათ ადექი და კარებში გაბძანდი...

— როცა იქნება გადაგიხდი...

— რა თქმა უნდა, გადამიხდი, მაგრამ ეხლა სხვებს ნურაფერს შეამჩნევინებ: არც შენთვისაა სასარგებლო და არც ჩემთვის.

ამ უცნაური მუსაიფით ორივე გავიდა კარში; არც ერთს არ ეტყობოდა აღელვება, სახიფათო დამოკიდებულება მათ შორის; არავის დაუნახავს უკან მიმავალის ხელში რევოლვერი.

ერთხანს ბაქახზე იდგენ.

ვიღაც გამვლელ ქალს, რომელსაც დროზე გზა ვერ დაუთმო უკან მდგომმა, ბოდიშიც კი უთხრა.

როცა მატარებელი ალმართს შეუდგა და სიარულს უკლო, უკან მდგომმა ნაბადი გზაზე გადააგდო, ვაგონის კიბის უკანასკნელ საფეხურზე დადგა და ღიმილით უთხრა:

— შენი საქმეა დამიჭირო; ჩემი საქმეა გაგექცე; ოღონდ ტყულა-უბრალოთ თავს ერთმანეთს ნუ შევაკლავთ... ა, ა, ა, ჯერ იარაღისკენ ხელი არ წაიღო,— და რევოლვერი ისევ ღიმილით დაუმიზნა, თანაც ისეთის დამშვიდებით გადახტა, თითქოს გაჩერებული ეტლიდან ქვაფენილზე გადადისო.

ვაგონში დარჩენილმა ერთხელ კიდევ გაიფიქრა რევოლვერისთვის ეტაცნა ხელი, მაგრამ მატარებელი ჩქარა შორდებოდა იმ ადგილს, სადაც დოინჯ-შემოყრილი ამაყად იდგა გადამხტარი ყმაწვილი; სიო ურხევდა ყაბალახის ყურსა და მთვარე ნაზათ აშუქებდა.

—:—

მოვიგონოთ ამ ახალგაზდის შორეული წარსული.

მთელი ეზო განათებულია პირბადრი მთვარით. ყოველივე ნათლად მოსჩანს:

ისლით დახურული ვეებერთელა სადგომი სახლი.

საბძელი.

მარანი.

ნალია.

ბეღელი.

ხულა.

საღორე.

გადაკავებული ქართა, რომელშიაც ათიოდე სული ხარი, ძროხა, მოზვერი და უშობელი ნაცოხრობს.

პირუტყვს ქართა-სათხებოში, ფრინველებს საქათმეში და ხეზე დაბუდრებულ ქათმებს ეტყობა მოუსვენრობა.

— გათენდა, კაცო, გათენდა! აღარ გაეტევით,—მოისმის მოხუცის შეძახება.

— ჩალა დააფინე! ღერძები დაუსაპნე! ხარები ამოიყვანე!—ბრძანებლობას მეორე ხმა.

— აბა შენ იცი, ჩემო ანტონ, ამ ბიჭის საქმე არ დაგავიწყდეს—რომ იძინებდა, ბაშინაც კი შემეხვეწა, ბაბიას უთხარი ძასწავლებელი მიშოვოსო.

— კაია ახლა, დედაკაცო, გითხარი, მოვიკითხავ-თქო და თამასუქს ხომ არ დაგიწერ.

— ფარდაგი, დედა, ერთი მაღირსე—ღმერთი დაგიმადლებს...—აბარებს მეორე ქალის ხმა.

— კი, დედა, კი, თუ ეს ღვინო კარგათ გავყიდე, ერთი ლეჩაქიც შენი ფეშქაში იყოს.

— გაყიდი, შვილო, აბა რა იქნება: ამბობენ ბაზარში ყველაფერს ოქროს ფასი აქვსო.

—:—

ანტონი დატვირთული ურმებით უახლოვდებოდა დაბას, როდ წამოეწია სტეფანე.

— თქვენც, ბატონო ანტონ?—შეეკითხა სტეფანე.

— რა ვქნა, ძმაო, ფული ვერ მოვიმკე და ვერ მოვტეხე ყანაში და ისევ ბაზარში გასვლა ვარჩიე.

— კარგია, კაი დაგემართოს, თუ გასაყიდი რამე გაქვს, მარა ამ ორი ჩემი ჰურჰელით ამოდენა გზის გადავლა წვალების მეტი არაფერია... მარა გამიჭირდა—ერთი მანეთი ერთ შვილათ მიღირს.

— რა დაგემართა, სტეფანე, ასეთი?

— ჩემს დედაკაცს გაუგია—ქუთაისში ვიღაც ღვთისნიერს ერთი პატარა გოგო სჭირდება ხელზი მოსამსახურეთ,—ყველაფერს ასწავლის, ქალათ გამოიყვანსო და შემიკიდა ცეცხლი და გენია... კვირას უნდა წავიყვანო... სირცხვილია.

— კაი საქმეა—დაუდასტურა ანტონმა—ამ ტყეში ნადირათ იზრდება ხალხი, და იქნებ ქალაქში პატარა გააშალაშინონ... მეც მინდა ჩემი ბიჭი წავიყვანო... მარა შემოდგომას უცდი, იქნებ ცოტა ხელი მოვითბო და ბავშიც გამოვაწყო.

— შენთან რა ჩემი საქმეა ფეხი წაზოვყო: შენ კლასში შეიყვან შენ არჩილას, მე კი გოგოთ მიმყავს ჩემი ოლიკო—მეცოდება კი საწყალი, სხვის ოჯახში, ვინ იცის, როგორ მოეპყრობიან...

— მაგიერათ გაიზდება, ჰრა-კერვას, წერა-კითხვას ისწავლის და, რომ გაგიჭირდეს, ბარათს მაინც დაგიწერს...

— ჰო-და მაგისთვის მინდა, მარა რათ მინდა ჰრა-კერვა და წერა-კითხვა, ცოტათი მაინც თუ არ დაგვეხმარა ჩვენს გაჭირვებაში...

— ჯამაგირსაც ქე მისცემს უსათუოდ...

— მაგია, ბატონო, პირველი საქმე: აბა, საიდან გავამზითვებ, თუ თითონვე არ მეიმზადა ხორაგი, ცოტა მაინც ხელის ჰუჭყი.

— : —

— უი, ამ ქალაქელების სინსილა გაწყდა—ბუტბუტებდა ანტონი—ხმა დაყარეს, საპალნე ღვინო ოცდაერთ მანეთათ არისო და ეხლა ჩვიდმეტსაც არვინ იძლევა. ვაი ჩემი ბრალი! შალამაური თუთხმეტ მანეთათ! მაგათ მოწამლული, სპირტ ნარევი მწვანე უნდა ჩამოუტანო, რომ თვალები გადმოაგდებინოს.

ბრაზმორეული ანტონი გაჯიუტდა და წინათ თუ ცოტას მაინც უკლებდა დათქმეულ ფასს, ეხლა მუშტარს მტრულათ მიაძახებდა: ოცდაერთი მანეთი—არც მეტი და არც ნაკლები.

თან სვამდა, სხვებსაც ასმევდა.

მთელმა ბაზარმა მისი ურმების ირგვლივ შემოიკრიბა თავი.

ზოგმა ხურჯინიდან საგზალი ამოიღო, ვ●ლამაც დუქნიდან წვადი მოატანინა.

და ანტონი დორბლიანი სტუმართ-მოყვარეობით უმასპინძლდებოდა გამვლელთა და გამომვლელთ:—გაშინჯე, თქვენი ჭირიმე, ბუნებრივი ღვინოა ორი წლის,—ეს ლაზღანდარები უთხმეტი მანეთის მეტს არ იმეტებენ... ბევრი ასეთი გამომიცლია და ახლაც დავცალოთ... პატივი დამდეთ, ერთი ჭიქის დალევაზე უარს ნუ მეტყვით!

ანტონის ღვინომ მთელი ბაზარი შეაზარხოშა.

დაცარიელებულ ურმებს ველარავინ მიერეკებოდა.

თვით ანტონს ცხენზე გვარიანათ ეძინა.

გონიერი პირუტყვები გზას არ ცდებოდენ და ზანტათ შინისკენ მიდიოდენ.

სტეფანეს მოესწრო გოგოსთვის საკაბე ჩითის და წუღების ყიდვა, მაგრამ ისიც დამთვრალიყო და ურემზე ხვრინავდა.

როცა ანტონს გამოეღვიძებოდა და გადახედავდა თავის დაცარიელებულ ურმებს, იწყებდა ბუტბუტს:

— ჩემი ბიჭი არჩილა სხვა არ გეგონოსთ! ბოქაული იქნება და თქვენს ჯავრს კი ამომყრის, თქვე ლაწირაკებო. თქვენ! საპალნე ხუთმეტი მანეთი,— წყალია თუ?!

—: —

ქალაქის ძაღლებს არ მოეწონათ პატარა ხარებით გაბმული დიდი ურემი, თუ მათ ძლირ აღუძრა მადა სანოვაგის სუნმა, ათას ხმაზე მორთეს ყეფა განაკიდა უბნის ორღობეებში.

— კაცო რა ხალხია? რუსის „პერესელენცები" არიან, თუ პატარძალი მიჰყავთ?—სიცილით შეეკითხა ერთი პატარა ბიჭი მეორეს.

— არა, დავით და კონსტანტინეს მოსალოკავათ უნდა მიდიოდენ! —ოხუნჯობითვე უპასუხა მეორემ.

— ეს თოფი რაღათ უნდა?

— უსათუოდ თავის მეუღლეს თავს აწონებს...

— ერთი არსენა ყაჩაღი გამოხტებოდეს, რავა დაუნგრევს თავ-ტვინს.

ქუჩის სალახანების გასაგონათ მეხრეს, ქალაბნიან სტეფანეს აფრთხილებდა ანტონი—ა, ა, არ შემოარტყა ძაღლს, უარესია—არ მოგშორდება.

ანტონს ესმოდა ზოგი რამ ამ ლაზღანდარობიდან, მაგრამ თავს როგორ გაუყადრებდა ბავშებს, და დინჯათ მიჰყვებოდა ურემს, რომელიც, მართლაც ნოეს კიდობანივით იყო დატვირთული.

ჩალით დაგებულ ურმის წინ, ხარების კუდთანვე სოლებზე გახლართულ ბაწარზე იჯდა პატარა არჩილა... ბავშს თავი ნიდაყვზე დაეყრდნო და სახლების სიმაღლით, მათის აღნაგობით, ფარნებით, გამვლელთა სიმრავლით განცვიფრებული ყურს უგდებდა შორით მოსულს სასუნთქი ორკესტრის, ზურნის, არღნის ტრიამულს, რომელიც უფრო მეტს არა ამ ქვეყნიურს უჭადდა მომავალში.

მის უკან იჯდა დედა... სოფლის კეთილშობილება რომ არ შეერცხვინა, მასპინძელთან მიახლოების წინ იგი წამდაწამ ისწორებდა თავსაფარს, თმას, კაბას და ცოტა არ იყოს მინაზებულის ხმით ეკითხებოდა:

— დაიღალე, შვილო,—რაზედაც თავმობეზრებული ოცნებიდან ამოგლეჯილი ბავში ზოგჯერ უკმეხათ უპასუხებდა:

— არა, ბეჭა, არა!

მათ უკან ეწყო ქვეშაგები, ხურჯინები ყველითა, ღვინით, პურით, ხაჭაპურებით, ტომრები ფქვილითა და ღომით, დაკლული და დაუკლავი ქათმები, გოჭი და ლოგინი, რომლითაც განსაკუთრებით ამაყობდა შვილზე მზრუნველი დედა.

მთელ ურემს ფარავდა ჭოკებზე გამაგრებული, ეხლა აკეცილი ნოხი.

— ეხლა ქე გააჩერე, სტეფანე ჩემო.

ურმიდან გმდმომხტარმა ბავშმა რაღაც უცნაური იგრძნო—თითქოს ჰაერში ყოფილიყოს, ფეხებს მიწაზე არ აბიჯებდეს, სრულიად მარტო დარჩენილიყოს და ვერც მამისკენ გაიწია და ვერც დედისკენ, რომელსაც კიდევ ერთხელ მოესწრო მოკოპწიავება და ელაპარაკებოდა ხანში შესულ ქალს—დიასახლისს.

— ა, მოგიყვანე ჩემი ბიჭი და აწი შენმა ქალობამ და ნამუსმა იცის,—მისვლისათანავე სთქვა და დაათავა თავისი ჩაბარება ანტონმა, რომ ფუჩუნი, პუტუნი და მოლაპარაკება ქალებისთვის დაეთმო.

სამოვრიან სუფრას შემოუსხდენ.

— ი, რა მშვენიერი ყოფილა, ბატონო ანტონ, თქვენი ბიჭი,—მიუალერსა ბავშს დიასახლისმა,—ხომ კაი მაგარი გაქ, რომ გაგარტყას მასწავლებელმა და არ გეტკინოს,—გაეხუმრა ბავშს და ხუმრობით რბილ ადგილზე შემოკრა.

ბავშს გაეცინა, თვალი მოაშორა სამოვარს, რომელიც მხოლოდ ერთხელ ენახა თავად დავითისას, შეხედა სურათს და იკითხა:

— ეს რაა?

— ეს გლახა კაცები არიან... ხელმწიფე იჭერს და ციმბირში აგზავნის.

— რატომ გლახა?! აი ჩვენი საწყალი მიხაც გაჰზავნეს... მე რომ მკითხო, არაფერი გასაგზავნი არ იყო,—აბა რა ექნა, დაჲ მოსტაცეს, ოჯახი გაუბახეს, და თვალები დაეკოცნა?!.

— მე წავალ... გვიანაა და იქნებ ქე დაწვენ... ღამით უნდა წავიდე და ძღაბს ვეღარ ვნახავ,—შეაწყვეტინა ლაპარაკი სტეფანიამ.

— წადი, ძმაო, წადი, ოღონდ რომ დაბრუნდები, გამაგებინე.

— კი ბატონო, ოღონდ იმას გთხოვ—ხარ ურემს მიმიხედო. ბარგი ყველაფერი აივანზე ამოვიტანე.

— აგაშენა ღმერთმა! თუ ჩვენები ნახო, უთხარი, ხვალ არა და ზეგის წინ უსიკვდილოთ ჩამოვალ-თქო,—დააბარა ანტონის ცოლმა—ეფროსინემ

— კაი ბატონო.

—:—

ქალაქის დაშორებით, ეზოში ისხდა ოთხი ყმაწვილი. ეზო მთაზე იყო წყლის პირად. საღამოს ერეკებოდა ქამი.

— მამიდა! დაიძახა ერთმა მათგანმა.

— ა, შვილო,— უპასუხა სახლიდან ქალმა.

— გვაქვს რამე, მამიდა, დღეს საჭმელი?

— ყველია, შვილო! გამეიცხვეთ ჰადი და ჰამეთ. სხვა ვერაფერი მოვასწარი. ჩემ არჩილასაც ნუ დამიმშევთ, დედაშვილობას.

— კი, მამიდა, კი, თუ რამე გვექნა...

— ბიჭო, ახლა თუ კეცების გახურება დავიწყეთ, ხვალ შუადღემდი ვერ ავდგებით. დილას კი, თუ არ გავიმეორე ლოტათი მაინც, ისე ამერია ყველაფერი თავში, რომ ერთს სიტყვას ვერ ვიტყვი საზრიანათ.

— საძაგლათ მშია, მართალი გითხრა, ფიზიკა ნამდვილი მადის აღმძვრელი წამალი ყოფილა.

— მეც მშია, მარა რა ვქნათ? ახლა სწორედ ცრის და მოზელის თავი არ მაქ.

— ბიჭო, რა ვქნათ იცი: გადავხტეთ აგერ ყანაში, მოვტეხოთ ერთი ათი ტაროკ სიმიდი, მივაფიცხოთ ცეცხლზე და გათავდა.

— კაი აზრია! ერთი ბოთლი ღვინოც დარჩა, მგონი, მამიდას...

— აბა, რას უცდით?!

მთვარიან ღამეში ოთხი ყმაწვილი მარდათ გადახტა ღობეზე და შეერია მაღალ დატაროებულ ყანაში.

— რა გიქნიათ, ბოვშებო ეს,—მიაძახა მოხუცებულმა ქალმა ყმაწვილებს, როცა ისინი ტაროებით შეიდენ სახლში.

— აბა შიშშილით დავიხოცებოდით!..

— აკი დაგიძახეთ, ყველი მაქვს-მეთქი!

— მარტო ერთი წველა ყველი ვის გააძღებს?

— ჰადის გამოცხობა კი ხელებს გაგიფუჭებდათ, თქვენმა მზემ!

— შენ გამოგეცხო, შე ქალო...

— თქვე უღმერთოებო, სული შემიწუხეთ ერთი კვირეა – ბლუზები და ნიფხავ-პერანგი დაგვირეცხეო და ეხლა ამას მემართლებით? დილიდან წელში გავწყდი რეცხვით და კერვით.—უი, დედა, რავა სამტროთ დაგიფხრიწიათ ყველაფერი!—და ეხლა ამ შუაღამეზე კიდო მე უნდა გაგიკეთოთ ვახშამი?!

ჩვენ ხომ არაფერი გვითქვამს,—დარცხვენით უპასუხეს ყმაწვილებმა.

— წავედით,—დავამჯერიეთ სიმინდი; მოვხარშავთ,—ვჰამთ... შენც ჰამე... და არც ჩვენ შევწუხდებით და არც შენ.

— ქურდობა დეიწყეთ, თქვე საწყლებო, ესაა თქვენი განათლება?!

— დამიწყებ ერთ ქადაგებას! რა ქურდობაა ათ ქცევა ყანაში ათი ტარო სიმიდის გამოტეხა? დეიქცევა ახლა მისი პატრონი!!.

ყმაწვილებმა საჩქაროთ ნაჭაზე კარდალათი წყალი ჩამოიკიდეს, ცეცხლი შეუნთეს, სიმინდი გაარჩიეს და კარდალაში ჩაჰყარეს. სიმინდი იხარშებოდა. ყმაწვილებმა თაროდან მარილი გამოიღეს და მამიდასთან ღვინის შესახებ დიპლომატიური მოლაპარაკება გამართეს.

— მამიდა, რომ იცოდე რა სიმინდია!

— კაი იქნება რა? მიწა კაია—მის პატრონს მარგვლა არ დაუკლია და მეორე თოხი; მზე მთელი დღე დაჰყურებს... ყანას დაგვიანებულსაც რა უჭირს?

— მამიდა, შენც დაგვეწვევი ხომ?

— არა, შვილო, ჩემი ხნის ქალი და ნაქურდალი ვერაფერი მოწყობილია. თქვენ კიდე მოასწრობთ ცოდვების მონანიებას.

— წმინდა ბერი წმინდათ წაწყდაო, სწორეთ არაკისებურათ გემართება... მარა, თუ ცოდვების მონანიებას აპირებ, ერთი ბოთლი ღვინო რომ გაქვს, ის მოგვეცი.

— დღეს დათვრეთ, ხვალ რაღას იტყვით იმ პერეეგზამენია არის, თუ რაცხა ჯანდაბა!

— რა დაგვათრობს, რას ამბობ! ოთხი ჩვენ ვართ, ერთი შენ—ეს ხუთი. ხუთ კაცზე ერთი ბოთლიდან ორი ორი ჭიქა არ გვერგება, არჩილსაც უზიარებთ..

— ა, შეთაფლეთ მაგიც. ერთცახე კი დამალევიეთ, თუ კაცი ხარ...

— ვაშა მამიდას, ვაშა, ვაშა! რა ქალია მენი ჰირიმე!—ყვიროდენ ყმაწვილები.

— სოფიოა ნამდვილი, ხოლო ქალების მაგიერ ქალიშვილები ვყავართ: პისტი, ელპიდი და აღაპისი.

— აბა ახლა კარდალაც გადმოვდგათ.

ზოგი წაიწია კარდალას ჩამოსადგამათ, ზოგმაც მომლოდინე ტანის მდგომარეობა მიიღო.

— გამარჯობა ყმაწვილებო!—გაისმა ამ დროს ღია კარებში.

— შამა!

— ა, ბატონ ანტონს ვახლავარ.

— გაუმარჯოს ანტონს.

— თქვენი სახ-ია, მობრძანდი,— მიიწვია დიასახლისმა.

— აქეთ მობრძანდით, ზევით ოთახში... ბავშებმა დაიჩემეს სიმინდი უნდა მოვიხარშოთო და აქ ჩამოვიდენ სამზარეულში.

— დევისვით ღარი, ბიჭო, მამაშენის ჯორს ერთი უშველებელი ხურჯინი ჰკიდია ისე რავა გაუნამუსდებოდა, რომ ერთი-ორი ხაჭაპური არ ჩამოეტანა.

— რავა ბრძანდებით ოჯახით, ჯალაბობით, ბატონ-?

— გმადლობ, ჩემო თეო, ქე ვართ ღვთის წყალობით? თქვენ რავა გიკითხოთ?

— გვიდგია თქვენის შემწეობით სული.

— შეგაწუხეს ყმაწვილებმა.

— უი, დამიწყეს ახლა დარბაზობა,— ჩაულაპარაკა ერთმა ყმაწვილმა მეორეს, ჩემი მუცლისათვის კი არაფერს კითხულობენ და- ოცვილები...

— არჩილა, მოახერხე რამეფრათ—მამაშენს ხურჯინი გააბსრევინო.

— ახლავე! ბაბა, დედას არ გამოუგზავნია წინდები?—დარცხვენით იკითხა უველაზე პატარა შეგირდმა.

— კი, შვილო, ხურჯინშია... წადი ამოიღე. სხვა კიდევ რაცხა-რაცხეებია... ამოიღე, შვილო, და თ,ოს მიართვი.

— ახლავე, ბაბა...

ხურჯინი საჩქაროდ ოთახში შემოიტანეს.

რა არ ალმოჩნდა შიგ? ორი მოხარშული ქათამი, სულგუნები, ხაჭაპურები, მსხალი, და რაც უველაფერზე უფრო ძვირფასი იყო—დიდი დოქით ღვინო.

— რას იხარჯებოდით, ბატონო, რას იხარჯებოდით! ფუსფუსებდა თეო.

— ფქვილს და ქათამს, როგორც დაპირება იყო, გამოგიგზავნი. ეს ისე, დედაკაცმა გამომატანა არჩილასთან. ხომ მოგეხსენებათ მაგის მეტი არაფერი გვყავს და საწყალი ქალი ერთ ლუკმას რომ პირში ჩაიდებს, მეორე აქეთ უნდა გამოგზავნოს... ეს უგზოობა დასწყეველა ღმერთმა, თვარა ხშირად მოგიკითხავდით ცოტა რამითაც.

ყმაწვილებმა შეუმჩნეველათ გააწყეს სუფრა. უველა დაჯდა, და არხეინათ დაიწყეს ვახშმობა. რაც უფრო ჰამას უკლებდენ, სმას უმატებდენ.

— ტრიფონა, ბიჭო, ხვალ განმეორებითი გამოცდა გვაქვს, არ დეივიწყო...

— მერე რა?

— სმას თუ შევყევით, ხვალ რაღას მოვისაზრებთ.

— ახლა შენ დაიწყე ქადაგება. ღვინო ადამიანის გონებას ამხვილებს, ლ-ნჩო!

— რავაც გინდა, ძმაო.

— ახლა კი მშვიდობით! - ანტონი ფეხზე წამოდგა, უფრო ჩვეულების ასასრულებლათ. ვიდრე ნამდვილად წასასვლელათ.

— ბატონო ანტონ! ჯერ საყოველად წმინდაო არ დაგვილევია.

— შენი ნება იყოს, მაგაზედაც არ გეტ ვი უარს. ყოველად წმინდა შეეწიოს, თეო, თქვენს ო-ჯახს, შენს დედობრივ ზრუნვას ამ ყმაწვილებზე! ყმაწვილებო, თქვენც ღმერთი დაგეხმაროსთ, კარგი კაცები გამოგიყვანოსთ, დედმამის სასი-

ხარულოთ, ქვეყნის სასარგებლოთ, ერთმანეთში ძმობა და ერთობა არ დაგეკარგოსთ.

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს! გმადლობთ!—გაისმა აქედან და იქიდან.

ანტონმა ქუდს მოკიდა ხელი.

— რას ბძანებ, ბატონო, მოითმინე, მოისვენე, ხვალ ჩაი მიირთვი ყმაწვილებთან და მერმე სადაც გნებავს—წაბრძანდები.

— ადგილი არ გაქვთ! შეგაწუხებთ! ხვალ კი ეფისკოპოზს უნდა ვეახლო... საქმე მაქვს, ხალხმა დამავალა, ხომ იცით,—ამაყათ წარმოსთქვა ანტონმა.

— მით უმეტეს, ბატონო! თუ ეფისკოპოზის ნახვა გნებავს, სწორეთ ამ ჩვენ მთაზე უნდა დარჩეთ, აქვეა... ხვალ, ამ სიცხეში ზევით ამოსვლა ძლიერ შეგაწუხებსთ. თქვენს ჯორს მოვუვლით, აგერ შევდენით ეკლესიის გალავანში და ისე ადრე გადმოვიყვანთ, რომ დილის ანგელოზმაც ვერ შეამჩნიოს.

— შეგაწუხებთ.

— რას ბრძანებ, ოთხი კიცი ვწევართ ამ ოთახში, ოციც რომ დააწვინო იატაკი არ ჩავარდება—დალოცვილი პირდაპირ მიწაზეა გაფენილი. ფანჯრები და კარები დაღებული გვაქვს. ჰაერი ისეთი დგას, რომ სოფელშიაც ვერ იშოვი.

— თქვენი ნებაა.

თეო თავის პატარა ოთახში შევიდა. ანტონი ტახტზე დააწვინეს. ყმაწვილებმა ჯორი წაიყვანეს. ჰიშკარში მათ შეხვდა თეო.

— აბაზი არავის გაქვთ?—დაეკითხა დედაკაცი.

— არა ღმერთმანი!

— არა!

— არც მე მაქვს; მე რვა კაპიკი მაქვს.

— ნუ შემარცხვენთ უცხო კაცთან! ხვალ ჩაი უნდა დავალევიო და არც შაქარი მაქვს და არც ჩაი.

— არაფერია, მამიდა, არც სახლშია მამა-ჩემი ჩაის დაჩვეული...

— ეს შენი საქმე არ არის!—გააწყვეტინა უფროსმა ამხანაგმა სიტყვა არჩილას,—თეო თავს ვერ შეირცხვენს. რამე უნდა მოვახერხოთ. რამდენი გაქ შენ, თეო?

— შაური.

— რვა კაპიკი ტრიფონას აქვს—ესეც ცამეტი. რამდენია საჭირო სულ?

— სამი კაპიკის ჩაი და თოთხმეტი კაპიკის შაქარი—გააყოფეს ღვთის მადლით შაქარი, თვარა ცეცხლი ეკიდებოდა.

— არა, ჩვენ კი არ შეგვიმჩნევია არც გაეყება და არც გაძვირება,—იოხუნჯა ერთმა.

— მაშ ოთხი კაპიკია კიდევ საჭირო. ნუ გეშინიან, აქა ვართ. შენ ის შაური მოგვეცი და ოთხ კაპიკს გვენდობა მედუქნე.

— ა, თქვენ კი გენაცვალეთ, არ მომჭრათ თავი ქვეყანაში.

— გქონდეს იმედი, ვითარცა ჯოჯოხეთისა.

ყმაწვილებმა თავისი სიტყვა პატიოსნათ აასრულეს. მეორე დღეს ანტონს და სხვებსაც ჩაი ჰქონდათ.

ყოველთვის, როცა გულს ბოლმა მოაწვებოდა, პატარა არჩილა გადადიოდა თავის მეზობელ გოგოსთან; და იქ, ხის ძირში ჩამომჯდარნი, თითო-ოროლა სიტყვით გაუზიარებდენ ერთმანეთს მწუხარებასა და სიხარულს; და ორივე გრძნობდა ნატეხს თავიანთ კარმიდამოსას—მიტოვებულ ეკლესიას, საბალახოებს, ჯარას, ხილით დაყურსულ ხეებს.

და ეხლაც არჩილა მოვიდა ოლიკოსთან.

— რა დაგემართა, რათ მოგიწყენია.

— მამა მოუკლავთ?

— მიდიხარ?

— არა, ახლა აღარ წამიყვანებენ—დაუსაფლავებიათ კიდეც... დედამ შემომითვალა—წლის თავზე წაგიყვანო?

— ვინ მოკლა?

— მიხო ალაბაძემ.

— რატომ?

— არ ვიცი... მგონია, ბაბას აბრალებს მის კატორღაში გაგზავნას. შარშან რომ ჩამოიპარა, ბაბა ამბობდა,—რას მერჩის, არაფერ შუაში ვარო.

ორივე ისხდა ჩუმათ გოგოს ვერაფერი მოეგონებია სანუგეშო.

— იცი...—დაარღვია სიჩუმე არჩილამ,—მე მოვკლავ მიხოს.

— რას ამბობ?—სიტყვით კი სთქვა ოლიკომ, მაგრამ თვალი გაუბრწყინდა და აღტაცებით, კმაყოფილებით ჩააჩერდა ბავშს,—შენ პატარა ხარ,—დაუმატა ოლიკომ.

— არაფერია—გავიზდები.

ისევ თავის ფიქრებს მიეცენ... ოლიკო ფიქრობდა, თუ რა კარგი ბიჭია არჩილა და რა კარგი იქნებოდა, რომ ისინი და-ძმა ყოფილიყვნენ.

—:—

— ბატონო კლასის დამრიგებელო, გამანთავისუფლეთ სწავლის ფულისაგან.

— ეს რატომაო?! ცუდათ რომ დაიწყე სწავლა იმიტომ?!

— მე არ ვსწავლობ ცუდათ...

— ეს მე უკეთ ვიცი—ბევრს ნუ ლაპარაკობ...

ბავში შეჩერდა, მაგრამ არ შორდებოდა კათედრას.

არ გესმის, რა გითხარი?

— მე ობოლი ვარ...

— ვიცი, რამდენი ხანია, რომ მოჰკლეს და აქ სასიქადულო არაფერია... თვით უპირებდა უეჭველად მოკვლას...

— არა, ტყუილია.

— აი შე ყაჩაღო! ვის უბედავ ასეთ სიტყვებს... უეჭველია, მამა-შენიც შენისთანა ყაჩაღი იყო. გაეთრიე ახლავე ადგილზე.

ამხანაგებმაც მიაძახეს: „დაჯექი, ბიჭო, დაჯექი, თორემ დაიღუპები".

არჩილა დაჯდა.

ტირილი აუვარდა.

დაადვა თავი ხელებს და ქვითინებდა.

— ნუ ღრიალებ-მეთქი.

ჩუმათ, მაგრამ მაინც ტიროდა.

გაბრაზებული მასწავლებელი მივიდა, სკამიდან ძალით ასწია და უკიკავა. უეცრათ სილა გარტყა და გავიდა.

—:—

ანინისაგან მიღებული ფულით სტეფანე ცოტათი მაინც ფეხზე დადგა. ვალები აღარ აწუხებდა. შეიბენ სანატრი მოზვრები ურემში. ნახევარი ქცევა გადაბრუნებული მიწა ამწვანდა ნამყენი ვენახით და ეფროსინე ჩააცივდა ქმარს:

— მევიყვანოთ, კაცო, ი გოგო.

— მეიცა, ქალო, სული ამომათქმევინე...

— საწყალი კაცის პირობაზე აღარაფერი გვიჭირს.

— მეიცა, ქალო, მევეწყოთ პატარა.

— კაცო, ქალი გასათხოვარია... რომ რაცხა უბედურება დაემართოს, რაღას ეტყვი ან ღმერთს ან კაცს.

— ნუ აყანტალებ მაგ ენას ყვავივით,—გაწყრა სტეფანე, მაგრამ ნათქვამი შავ წერტილათ ჩაუჯდა თავში.

—:—

— ი გოგო მევიყვანოთ შინ, გავათხოვოთ, მაგიერათ ბიჭი გააქირავე, და ჩვენ ორი ქე მევითმენთ კიდო ერთ-ორ წელიწადს.

— კაი, კაი! დემეხსენი ერთი!

— რავა კაი, კაცო!.. არ იცი, რა დაემართა ეგნატას?

— რა, რა დაემართა?

— რა და ქე მევიდა მისი მაიკო გაბერილი მუცელით!..

— ჟი საწყალი!!

— ჰო-და ჩვენზედაც ნუ აძახებ ხალხს „საწყალი, საწყალიო“!

— დალახვრა ღმერთმა, წავალ პარასკევს და მევიყვან, მევიყვან.

— ბარელამ ქმარიც აურჩიოთ.

— ვინ გნებავს – დასცინა ქმარმა — თავადი, თუ აზნაურსაც დაჯერდები.

— ორივე წყალს წაუღია — დინჯათ შენიშნა ქალმა — ერთ ოთხ თუმანს ქე გამოატანს მისი ქალბატონი — ისე რავა წეიწყმენდს სულს: აგერ ერთი წელიწადია კაპეიკი არ მოუცია; კაბები და ჭინჭიც ექნება; ორი ხელი ქვეშაგები გამოწყობილი მაქ... ორ თუმანს შენც თუ უშოვნი—გავათხოვოთ და ამოვიდეთ მაგის საქოდაობიდან.

— ორი თუმანი?!—გაიკვირვა სტეფანემ—რატომ იკადრე ასე ცოტა, გეთქვა ერთი ოცი-ორმოცი, რამდენი თვლაც კი იცი!.. გადირიე თუ გადიშალე, დედაკაცო, სად მაქ ახლა ორი თუმანი?!.

— არა,—გაასწორა თავის სიტყვა ეფროსინემ,—ორი თუ არ იქნება, ერთიც იკმარებს..

—...და ვინ გითხრა, რომ ოლიკოს ოთხ თუმანს მისცემენ.

— მე ასე ვფიქრობ და!..

* *

მოიყვანეს ოლიკო შინ.

ორი-სამი დღე კარგი იყო:

—უი, თვალი კი დამიდგა, რავა დაჭალებულა, რა შშვენიერი გამხდარა!—იძახოდენ დედაკაცები.

გოგოები მაღალყელიან წაღებს და ჭორგას შეშჩერებოდენ; ბიჭები ოდნავ ყელ-ამოჭრილ და მოკლე სახელოიან ზედაწელს.

უთვალთვალებდენ შორიდან... მაგრამ მალე ხელები სიმინდის ფშვნეტამ დააკორძა, დილას ადრე ადგომამ ფერის სინაზე დააკარგვინა, ცეხვამ დაღალა, ხოლო წყაროდან სავსე ჩაფის ამოტანას ვერ შეეჩვია.

ქმარი არსად იყო .. გამოტანებული ორი თუმანი ოჯახს შემოეელო...

და დასვენების დროს ოლიკო ეძლეოდა ოცნებას... შედარებას ვერ უძლებდა სოფლის ვერც სახლი, ვერც მოწყობილობა, ვერც ნაცნობები...

„ჯაგლაგობენ, ვითომ ვცეკვავთო!. თუ რცეკვებს კაცი, ისე უნდა იცეკვოს, როგორც ის სტუდენტი. რა აცვიათ—ქალპატონმა ანინიმ რომ დაინახოს, სიცილით მოკვდება და რა გვარათ ლაპარაკობენ, თითქოს დროგი ხრიგონებდეს“.

ასაკი მოითხოვდა ალერსს.

და იგონებდა ათასს... იწვევდა...

მოვიდა შემოდგომის მიწურული, სიზანტის და განცხრომის დრო.

თხოვდებოდენ.

თხოულობდენ.

იგი კი მარტოა!

შაბათია.

ჯარში არ წასულა.

დარჩა ფიქრებთან, ზმანებებთან ერთად!

ის და არჩილა... ხელს კოცნის, ეალერსება... ჩემი იყოს... კარგი... პაწია ულვაშები...

შემობინდდა.

ხელი თავს ზევით აქვს გადაგდებული. ვიღაცამ ჰკითხა:

— რას შვები აქ მარტო?

პასუხი არ გაუცია.

ბელებზე იგრძნო ვილასიც ხელი.

არ შენძრეულა.

ხელზე გრძნობით ხელი მოუჭირა.

უპასუხა იმგვარათვე.

კოცნა.

მხურვალე ალერსი.

* *

— წადი, წადი გამშორდი!—დარცხვენით და გაბრაზებული ამბობს.

იგი მიდის.

— რა დაგემართა, რა ღმერთი გაგიწყრა, და მერე ვინ? ყველაზე უარესი! გაი ჩემს უბედურებას, სირცხვილი, ვისლა დავენახო?

* *

მაგრამ გადის რამდენიმე დღე და ისევ მასთან. ეხლა უფრო თამამად და ხან უფრო მალულათ.

გულში კი თავს იწყევლის, დასცინის ამ თავმსხვილა, თმა-წვერით გაბურდულს, უშნოს და უგნურს... მაგრამ კარგია, ვერვინ იფიქრებს, იჭვსაც ვერვინ მიიტანს იმდენათ შეუფერებელია...

—:—

— ეს რა ამბავია, დედაკაცო,—ეკითხება ბრაზისაგან თვალებ-გადმოგდებული სტეფანია თავის ცოლს, როცა დარწმუნდება, რომ მისი ოლიკო ფეხმძიმედ არის.

— ჩემი თვალის დაფსება და სიკვდილი.

— აქამდის მომკვდარიყავი, თვალი მაინც გქონდა დაფასებული!.. მოვკლავ მაგ უნამუსოს...

— ა, ა... გვიშველეთ!—ყვირის დედა. საიდანლაც გაჩნდება არჩილა და გადაარჩენს.

სტეფანე დაშოშმინდება.

— უყურებ ჩემს დაქცევას?!

— ?!

— შენ საიდანლა გაჩნდი?

— დღეს ჩამოვედი და ოლიკოს ნახვა მომინდა.

— კაი სანახავია სწორეთ, მაგ წყეული!

— ვინ დამიღუპა მაინც?!

— არ ამბობს... ქალაქიდან უნდა იყოს.

— რას ბოდავ, დედაკაცო, ქალაქიდან ერთ წელიწადზე მეტია, რაც დაბრუნდა.

— რამდენი ხანია აღარ ყოფილხარ, არჩილა?

— მართალია, ერთი წელიწადი იქნება.

— თქვი თვარა მოგკლავ!—მიუბრუნდა ოლიკოს სტეფანე.

ქალი ტირის.

— თქვი, შე ძაღლის შვილო!

ტირის.

— არ იტყვი?--ერთი მიარტყა.

— ვერ ვიტყვი, ვერა.—ქალს რცხვენია, როგორ გაამხილოს... სოფელში სასაცილოდ აღებულის ხასობა მთლად ქვესკნელში ჩააგდებს.

— მოგკლავ!

არჩილა ხელმეორეთ აშორებს.

* *

მიუყვანეს დედაბერი.

— მოუგდე მაგ ოხერს მუცელი.

დედაბერი შინჯავს და გაღაჩრით ამბობს:

— რალა დროს მუცლის მოშლაა, დღეს-ხვალ შვილიშვილს უნდა ელოდე,— უნებურის დაცინვით უპასუხებს დედაბერი ეფროსინეს.

* *

მშვენიერი ბავშვი დაიბადა.

უნდოდათ მოკვლა.

ვერ გაბედეს-- ღმერთის დაკანონის შეეშინდათ.
არჩილაც ჩაერია.
გააძიძავეს.

* *

ხუთი-ექვსიოდე თვის შემდეგ მოხდა რაღაც მოულოდნელი, სასწაულისებრივი: შორეული სოფლიდან მოვიდა კარგად ცნობილი, ოდნავ ხანში შესული, მაგრამ შეძლებული და პატიოსანი გლეხი და სტეფანეს ქალი სთხოვა. სტეფანე გაოცდა.

— მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ თუ ქალი დამპირდება, რომ პატიოსნათ იცხოვრებს და ჩემს მოხუცებას არ დაერიდება, ბავშსაც მე წვაიყვან, ჩემს სახელზე ჩავწერ და მაგასაც გავაპატიოსნებ...

— არა, არა,—დაიბნა სრულიად სტეფანე—როგორ გაბედავს... ასეთი ბედი... ღირსი არაა... ამაშენე... დამასახლე

დედაკაცმა ქვითინიც კი მორთო:

— შენ ყოფილხარ ჩემი ოჯახის წმინდა ანგელოზი.

— არა, თვითონ ქალმა მომცეს სიტყვა... თქვენ ხმა დააგდეთ, რომ ბავში მართლა ჩემია, რომ წინათ არ მინდოდა, გავჯიუტდი, დიდ მზითევს ვთხოულობდი და ახლა კი დავთანხმდი.

ქალი გამოიყვანეს, ჰკითხეს...

რას იტყოდა? თავის მოჭრის ასეთს დაბოლავებას ვერც დაისიზმებდა.

დათანხმდა.

— ა, ექვსი თუმანი... ქალი გამოაწყვეთ, ვითომ თქვენივე ხარჯით... მე ამ კვირის დამლევს ჯვარს დავიწერ.

— ღმერთო ჩემო, მეორე მოსვლის ნიშნებია,—დაბეჯითებით სთქვა დედაკაცმა და სტეფანეც დაეთანხმა. ოლიკო გაჰყვა პირუტყვივით, რომელმაც იცის, რომ კარგათ აჭმევენ, ასმევენ და შვილს არ წაართმევენ.

იყო მარად პატიოსანი.

დედ-მამის ოლღაია, ანინის ოლიკო, ქმარშვილში ოლღათ გადაიქცა.

—:—

ცნობილ კომბინატორ დავითისთვის მრავალ-მხრივ საჭირო იყო ინტიმიური საღამოს გამართვა; ჩვეულებრივ ასეთს საღამოებს იგი მართავდა სხვის სახლში, სხვისი პასუხისმგებლობით. ზღვა შამპანური, ბაღჩა ყვავილებისა, განსაკუთრებულათ შეზავებული სიამოვნება ყველასთვის ნათლად ხდიდენ, თუ ვინ იყო ნამდვილი მასპინძელი, და საკუთარ სახლში რომ არ მართავდა ნადიმს, ეს კიდევ უფრო ფასს სდებდა,—რა იქნება როცა იქ, სასახლეში, მოგვიხდება ყოფნაო. დღეს ვახშამი ანინისთან იყო.

სტუმრებათ იყვნენ: ვიცე-გუბერნატორი, სახაზინო პალატის უფროსი, გიმნაზიის ინსპექტორი, ცნობილი კორესპონდენტი ტფილისის და სატახტო გაზეთების, მაზრის უფროსი, ორი-სამი მცირე მოხელე, არტისტი ქალი № და გუბერნატორის ვაჟი სტუდენტი. აგრეთვე მოარტისტე Костя. შეზარხოშდენ.

ნადიმი მოთავდა.

დაწყა ენანებოდათ.

შეეჭცეოდენ მახლობლითი და ენებიანი ცქერით. ვიღაც დაუკრა პიანინოზე. თავადმა ლექსი წაიკითხა. არტისტი ქალი № რამდენჯერმე ამღერეს. სტუდენტთან №-ის კეკ-უოკმა ნერწყვი აუშალა ვიცე-გუბერნატორს.

— ბატონებო, ჩვენ შეგვეძლო სცენის მოყვარეთა წრე შეგვედგინა,—შენიშნა ჰალატის ჟფროსმა.

— რუსულს ენაზე, სამწუხაროთ, ძალებს ვერ ვიშოვით,—და მოძღვრის კილოთი შენიშნა ინსპექტორმა:

— რატომ? მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობა—თავადმა სტუდენტს გადანედა—აქ არის, მასწავლებლობა, მოხელეები.

— კომედიებს, ოპერეტტებს, თუ № მიიღებს მონაწილეობას, თავჯიანათ შენიშნა ინსპექტორმა, რა თქმა უნდა, მოვერევით. მე ერთ ოფიცერს ვიცნობ, უეჭველი ტალანტია, ოღონდ ოფიცერს არ აქვს ნება სცენაზე გამოვიდეს.

— ამას ჩვენ მოვაწყობთ,—ჩაერია ლაპარაკში ვიცე-გუბერნატორი, რომელსაც № გვერდში უჯდა და მალულათ უკვე ზომავდა მხარბეჭის სიგანიერეს—ოღონდ ქალბატონი № ნუ გაგვექცევა ცივ პეტერბურგში.

— კი, მაგრამ დრამა?—ვერ მითმინა მაზრის უფროსმა.

— ო თქვენ არ იცით რა ნიჭი აქვს ქ. ანინის!—წამოიძახა თავადმა,—ჰო, ჰო! ნამდვილი ბარბაროსები ჩვენა ვართ!..

— ერთი, ერთი მონოლოგი, ერთი სცენა!..

— არ მახსოვს, არაფერი არ მახსოვს!.. და ასე უეცრათ!..

— მოითმინეთ, მოთმინეთ! ბატონო ინსპექტორო, მიმართა დავითმა, რომ იგი გადმოებირებია თავის მხარეზე—ეხლა მოდაშია გასამართლებანი.... თქვენ უკეთ გეცოდინებათ....

— როგორ არა! როგორ არა! ძლიერ, ძლიერ საინტერესოა, მაგრამ...

— უკაცრავათ,—შეაწყვეტინა დავითმა, რომ მისი სურვილისთვის წინააღმდეგობა არ შექმნილიყო საზოგადოებაში,—ქალბატონი ანინი კიდევაც სწერს... მე მგონია, ვინც სწერს და მსახიობიც არის ყველაზე უფრო თავის ნიჭს, თუ გნებავთ ორმაგს—თავადს გაეღიმა—იმპროვიზაციაში გამოიჩენს.

— მშვენიერებაა, მშვენმერება!

— მაშ თემა, თემა!

— თემა თქვენვე აირჩიეთ, ქალბატონო!

— ქალბატონი ანინი მოგვატყუებს: ექნება რამე გაზეპირებული და გვეტყვის—ოდნავის ბოროტებით იოხუნჯა სტუდენტმა, რომელიც ნაწყენი იყო, რადგან ანინი ამ საღამოს უპირატესობას ინსპექტორს ანიჭებდა. რომ სუსტი შვილისთვის ძლიერი მფარველი ეშოვნა.

— საძაგელი! თავხედი ბალღი!—ბავშვურის ჟინიანობით მიაძახა ქალმა.

— ჩვენ ხომ ინტელიგენტები ვართ. ჩვენ ვიცით მონოლოგები,—სთქვა ინსპექტორმა ანინის დაცვისათვის.

— მაშინ ძველ ნაწერს წაგვიკითხავს.

— არც ამას წავიკითხავ და არც იმას.

ამ მუსაიფის დროს თავადი ჩაფიქრებული დადიოდა და პაპიროსს წწოდა. უეცრათ იგი შემობრუნდა და იკითხა:

— მოიგონეთ რამე?

— არა, ისევ თქვენ, თავადო.

— სწორეთ გუშინ, თუ გუშინწინ სადღაც ქრონიკაში წავიკითხე: ასაკმართლებდენ ქალს, რომელსაც თავისი გაზდილი პატარა ძმა შეუცდენია.

— უ. ეს ძლიერ ძნელია!

— მაგიერათ თუ ამ საქმეში თავი გაიმარჯვა, მე ჩემ თავზე ვღებულობ, არა თუ მოყვარეთა დასის შედგენას სუბსიდიასაც კი,—წამოტარტლა ვიცე-გუბერნატორმა; მას ძლიერ უნდოდა განმარტოებით №-თან დარჩენილიყო და ყველაფერს იკისრებდა

— ძმათ აი ჩვენი სტუდენტი იქნება.

სტუდენტსაც გაუხარდა.

— ანინი, გთხოვთ, გთხოვთ!

ანინი განაზდა, თან რაღასაც ფიქრობდა, მერე უეცრათ ადგა.

— ცოტათი გადვიცვამ. თქვენ აქ მოაწყვეთ.—და გავიდა.

საჩქაროთ დადგეს სტოლი.

ზედ ქაღალდები, წიგნები დაჰყარეს. ბრალდებულებისთვის დაშორებით ორი სკამი დადგეს და ჯვებირათ წინ გრძელი სავარძელი ჩამოუფარეს. მსაჯულებათ აირჩიეს თავადი, ინსპექტორი და მაზრის უფროსი, პროკურორათ, დამცველათ და ბოქაულათ ვიღაც მოხელეები.

ანინიმ ოთახიდან სტუდენტს დაუძახა:

— შემოდით! ბლუზას მოგცემთ, რომ უფრო ბალღათ გამოჩნდეთ. მსაჯულებიც სხვა ოთახში გავიდენ.

ვიცე-გუბერნატორი ახალგაზრდა მოხელეებს აღარ ერიდებოდა და სულში უძვრებოდა №-ს.

— რა მადლიერი ვარ თავადის, რომ თქვენთან გაცნობის საშუალება მომცა.

— ნუ, ნუ!—და კეკლუცობით ხელს ართმევდა, მაგრამ იგი უფრო იზიდავდა.

— დამპირდებით?

— თქვენზეა დამოკიდებული,—არც აიმედიანებდა და არც უჭარწყლებდა იმედს №.

ბრალდებულები შემოვიდენ. დასხდენ.

ორივე გამოცვლილიყო:

ბლუზას სტუდენტი 14—15 წლის მოწაფეთ გარდაექმნა.

ანინის კი საშინაო ჟაკეტი ჩაეცვა, საყურეები მოეხსნა, ბეწვის ქუდი დაეხურა—ნამდვილ მასწავლებელ ან კანტორაში მომუშავე 28—29 წლის ქალათ გამხდარიყო.

— სასამართლო მოდის!—დაიძახა ბოქაულმა.

ადგენ.

— დასხედით!—გაისმა ისევ ბოქაულის ხმა.

თავადმა მიწი-მოწია ქაღალდები, თითო-ოროლა სიტყვა უთხრა გვერდში მჯდომ ამხანაგებს და წარმოსთქვა:

— რადგან ამ საქმის არც ერთი მოწმე არა გვყავს, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ბრალდებულთა განცხადებას; ისინი არ უარყოფენ, რომ მათ წარსული თვის 25, ღამის 12 საათზე ჩაიდინეს საქციელი, რომელსაც სჯის გარდა კანონის უწყებული სისხლის სამართლის მუხლისა საზოგადოებრივი აზრი და რომლის გამოთქმა სასამართლოს დარბაზშიაც არ არის სასიამოვნო.

— ყველაზე გამოცდილი და კარგი არტისტი თავადია!—შენიშნა №.

— ვნახოთ, ვნახოთ!—უპასუხა ვიცე-გუბერნატორმა.

— ბატონო ბრალმდებელო, პირველი სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

— ბრალდებულთა საქციელი ისეთი საზიზღარია, ისე აღშფოთებულია საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის, როცა ასეთ საგანზე შეიქნება ლაპარაკი, რომ მე ზედმეტათ მიმაჩნია ლაპარაკი და ვთხოვ მხოლოდ სამსჯავროს, სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელი მიუსაჯოს, მით უმეტეს, რომ ორივე, თუმცა ფაქტს ბოროტმოქმედებისას არ უარყოფენ, დამნაშავედ თავის თავს არ სთვლიან, არ ინანიებენ და პატიებას არ თხოულობენ. მე გავათავე.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის დამცველს.

დამცველი: ბატონო მსაჯულნო, ამ საქმის გამო ჩემს გულში იბრძვის მოქალაქისა და დამცველი-ვექილის გრძნობა. როგორც მოქალაქეს მე არ მსურდა ამ საქმეში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ დანიშნით მე უნდა გამოვიდე დამცველათ, როგორც ვექილი. მე მხოლოდ მოვითხოვდი ბავშის განთავისუფლებას, რადგან იგი უნებური მსხვერპლია უფრო ძლიერი პიროვნების, საზოგადოებრივი ზნეობის საშიშ დამრღვევის, რომლის შესახებ რა მეთქმის მეტი, თუ არ მოგმართოთ თხოვნით —იქონიეთ სულგრძელობა საზოგადოების ამ გამხრწნელისადმიდაც!

თავმჯდომარე: უკანასკნელი სიტყვის უფლება ეძლევა ბრალდებულს.

— ნეტარების ერთი წამისთვის დასჯას მიპირებთ; ამიტომ გრძლათ უნდა აგიწეროთ გაჭირვების და მწუხარების წლები.

დედა-ჩემს მივასვენებდით; მთვრალი მამა სადღაც მიიკარგა; მეშინოდა სახლში მარტო დარჩენილ ბავშს არაფერი მოეწია, ავიყვანე და კუბოს ახლო, დროგზე დავსვი. პაწია არც კი შემკრთალა; მე თვალზე ცრემლს ვერ ვიკავებდი; ის დახურულ კუბოს მოკლე თითებს ურტყამდა და გამვლელ-გამომვლელთ ყურადღებას იპყრობდა თავის ქნევითა და სიხარულისგან გამწვეულის ღიმლით.

სასაფლაოდან ჩვენ არვინ გამოგვყოლია. მთელი უკეცი გზა სახლამდე გულზე ახუტებული მომყავდა.

ამ დღიდან, როგორც დედა ვურწევდი აკვანს და ქალწულებრივ უმწეო ძუძუს პირში ვუჩრიდი.

ჩვენს პატარა, მყუდრო ოთახში მხოლოდ ალერსი, სიყვარული მეფობდა, უსიამოვნებისთვის ადგილიც კი არ გვქონდა: ხმა მაღლა ვერ ვილაპარაკებდით, რადგანაც მდგმურები აგვიჭაჭანდებოდენ და ერთმანეთს რომ გავბუტებოდით, სად დავეტეოდით ერთ ციდა ოთახში... მოვნათლე, ლადო დავარქვი...

— საქმეს დაუახლოვდით,—შენიშნა თავმჯდომარემ.

და-ძმურათ ხელგადახვევით დავდიოდით ჩვენ სასეირნოთ და როგორც მიჯნურნი ვეალერსებოდით, ვკოცნიდით, ვსჩრეტდით ერთმანეთს.

— საქმეს დაუახლოვდით,—ხელ-მეორეთ შენიშნა თავმჯდომარემ.

— ყველიერი იყო.

ლადო წავიდა, ბალში ვარ დაპატიჟებულიო.

დავწევი.

ძილი გამეფრთხო.

ვფიქრობდი ბალზე: რამდენი სიამოვნება იქნებოდა იქ. რამდენს ექნებოდა პაემნი დანიშნული. რამდენი დასტკბებოდა დღეს სატრფოს სიახლოვით, ტკბილი სიტყვებით, ალერსით, ამბორით, ცეკვით.

მე კი არაფერი მერგება ჩემს ცხოვრებაში.

თავი მეცოდებოდა და თან თავს ვინუგეშებდი, რომ ლადო მაინც ბედნიერათ გაატარებდა დროს; რაც მე დამაკლდა, ვიმედოვნებდი, იგი შეივსებს, მას ერგება წილად.

მთელს ტანს რაღაც ქრუანტელი უვლიდა. რაღაცა მსურდა. ხან და ხან ტირილი მინდოდა. ცრემლი იგი ტკბილი იქნებოდა.

ხშირათ მომსვლია აგრე. ხშირათ რაღაც სინაზეს დაუვლია მთელს ტანში, ხშირათ უფრო რბილათ, მსუბუქათ მიგრძვნია თავი, მომდომია, რომ ვისმე დავეკუმშე, დავემტვრიე, შევებოჭე, შევეკარ, და ასეთ წამში თუ ცრემლი, ჩუმი ცრემლი გადმომსვლია, ყოველთვის განმიცდია სიამოვნება.

უეცრათ ის დაბრუნდა.

გამიკვირდა.

— ასე მალე?

— მომწყინდა და დავბრუნდი,—მიპასუხა მან.

სახე ჩაფეთქილი ჰქონდა. ქუდი შუბლზე დაკვროდა. ხმა უთრთოდა.

— მართალს რათ არ მეტყვი. შენ ნაწყენი ხარ...

— ელენემ მაწყენია.

ელენე იმ ოჯახის ქალი იყო, სადაც დღეს ბალში იყო ჩემი ბიჭი.

— რითი? როგორ?

— ჩემთან არ ინდომა ცეკვა.

— რატომ?

— უსათუოდ რადგან თეთრი ხელთათმანები არ მქონდა.

პიპეცკის ეაეს კი ყვავილი ჰქონდა გულზე, ნაზის სურნელებით იყო ნაპკურები, ლაიკის წაღები ეცვა და თეთრი ბამბასავით, ნაზი ხელთათმანი.

— მერე რათ არ გამომართვი ფული, ხომ იცი ცოტა კიდევ მაქვს.

— ეჰ თუ სურვებოდა ჯინჯებში არ გამცვლიდა.

ცრემლები მოერია.

— სხვას უკეთესს ნახავ. ცხოვრებას ეხლა იწყებ. მაგისთანა გომბიოსთვის კი არ უნდა შეიწუხო თავი,—ვამშვიდებდი მე.

ჩემი დასამშვიდებელი სიტყვები უფრო აღელვებდა, მგონი.

— ეხლა კი ღამე მშვიდობისო,—მითხრა. მოვიდა, ჩვეულებისამებრ მაკოცა, და თავის ლოგინზე დაწვა.

გაიხადა სერთუკი, გაიხსნა განამებული საყელო და სახელო. დასაწოლათ ემზადებოდა. მე მეორე მხარეს გადავბრუნდი, რომ თავი მძინარეთ მეჩვენებინა. ისიც დაიძინებს და დამშვიდდება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ისევ წამოდგა. სიარული უნდოდა. უსათუოდ ჩემი მოერიდა, ძილი არ შეუკრთოვო: წაღები გაიხადა და ჩემს ფოსტლებში გაჰყო ფეხი. პატარა ოთახში სიარული უხერხულათ ეჩვენა და სუფრას მიუჯდა. რალაც წიგნი აიღო. გადაშალა. ვამჩნევდი—არ კითხულობდა.

მკლავით სუფრაზე დაეყრდნო. თავი ხელს დაადვა. თეთრი გრძელი თითები გამოკრთოდა შავათ ბრჭყვინავ თმებში.

ჩაის ყვავილის ერთ ფოთოლს ჰგავდა პატარა ყური.

რძე და ღვინის ფერი ჰქონდა კისერი.

შევცქეროდი და ვფიქრობდი: სწორეთ ლენჩი უნდა იყოს ქალი, რომ ამ განხორციელებულს სიყმაწვილეს, მშვენიერებას არჩიოს ლაიკის წაღები, ხელთათმანები, ყვავილი და სურნელებანი. რა მშვენიერია! ჩემს ძმათ არ არის დასასახი. რაც კი შემძლო ყველაფერი უარეყავ მაგისთვის: დედა, ძიძა, გამდელი, მამა, მასწავლებელი, მეგობრები... უნდა ვიქნე საყვარელიც...

ამ აზრმა უცრათ გამიელვა თავში. სირცხვილით ისევ გადავბრუნდი მეორე მხარეს, გადავიხურე საბანი. ამით ვფიქრობდი ეს ცუდი, არაბუნებრივი აზრი სადღაც შორს გადამემარხა, ჩამეჩქმალა, გამექარწყლებია.

ამაოდ.

უნებლიეთ შემომებრუნებია თავი და უცქეროდი თეთრს პერანგს.

რა უცხო ტანი ექნება ამ თეთრს პერანგს ქვეშ. რა ხავერდივით ნაზი იქნება კანი, როცა ხელს დაუსვამ და რა კაჟივით მაგარი, როცა პირდაპირ დააჭერ თითს. აი, მკლავებთან თეთრი პერანგი აწეულია. იქ კუნთებია—იმათ ესტარიც ვერ გაჰკვეთს. თეთრი პერანგი მიზიდავდა თავისკენ, ვით ჩიტს გველის თვალები.

— დააკრე ლამპა,—უთხარი ჩავილაპარაკე, რომ ხმის ცვლილებაზე არაფერი შეემჩნეოდა.

მას არაფერი გაუგონია.

— რომ დაეკრო ლამპა, მე გადარჩენილი ვიყავი.

მეორეთ აღარ გამიმეორებია. რალაცა მომაწვა გულზე.

ეს თეთრი პერანგი, როგორც ჯადო ისე მიზიდავდა, მიძახდა ადამიანის სიტყვით: მოდი, მოდი.

წამოვდექი, ნელა მივეპარე. მაგრამ შემეშინდა. ერთი ხელის შეხების შემდეგ ვიცოდი ყველაფერი გათავდებოდა, ყოველივე უკან დაბრუნების ძალა წამერთმეოდა.

თავზე ვადექი. თვალები დახუჭული ჰქონდა. თვლემდა. წამწამების ჩრდილი ლოყამდის წვდებოდა. ტუჩები, ყაყაჩოსავით წითელი, გახსნოდა. თეთრი კბილები ბაასრ დანებივით ჰკიანთებდენ.

— რომ დამკინოს, ხელი მკრას, შემიძულოს, მაშინ რალა ექნა,—გამიელვა თავში. თოფ-ნაკრავივით გამოვტრიალდი. დავწევი ისევ. გადავიბურე ისევ საბანი. ის ყმაწვილია. სულ თუთხმეტი წლის. მე კი, დამიწუნებს, ხელს არ მომ-

კიდებს. ან და რათ. გადავაგდე საბანი. დავიხედე ხელებზე, მკლავებზე, გულ-მკერდზე. არა, არ დამიწუნებს, ვერ დამიწუნებს. არსად არ სჩანს ნაოჭი, სპეტაკია და ნახი აბრეშუმის ხავერდივით ჩემი ტანი. მკერდი კუკურივით სდგას. ერთი ბანალი არ მაქვს. ფეხები პატარა, არც ერთი თითი არ მაქვს მოღუნული, კორძიანი. თვით ქუსლები ისეთისვე გამჭვირვალე კანით არის, რომ ოდნავ მოცისფრო ძარღვები გამოსჩანს.

წამოვდექი და სარკეში ჩავიხედე.

თვალებში რაღაც სისოველე ჩამდგომოდა, და თვით თვალები, თითქოს ტბაში შავი მტრედები დასცურავენო. ტუჩები წითელი, ვით ახლად გაკვეთილი ცოცხალი ხორცი, თრთოდენ; აღერილ კისერს, მოღუნულ ცხვირს, ყურებს, თეთრს მრგვალ ნიკაპს ვერ შეამჩნევდი სად იწყებოდა და სად თავდებოდა ისე მწყობრად გადადიოდა ერთი ასო მეორეში. და შავი თმა ჰბურავდა თავს.

გაეშალე თმა. მოუფიქრებლად ამოვიღე საუკეთესო, თხელი, კრუქვებით გაწყობილი, გულ-ამოჭრილი, უსახელო პერანგი და გამოვიცვალე. დუხის მთელი ფლაკონი გადავისხი, გადავასხი აგრეთვე ლოგინს. ისევ დავწევი.

გაძლევთ სიტყვას, მოსამართლენო, რომ ყველა ეს შემდეგ მოვიგონე სატუსაღოში, მაშინ კი ემოქმედებდი, თითქოს ძილში... რომ გეკითხათ, რათ ჩავდიოდი ამას, უსათუოდ ტირილს დავიწყებდი, ავთრთოლდებოდი, შემრცხვებოდა, მაგრამ ვერ გეტყოდით, რადგან მე თვით არ ვიცოდი ჩემი მიზანი.

დავწევი. უსათუოდ დიდხანს უყურებდი. ვტკბებოდი და ვერ ძღებოდი.

დიაგანალის მოსხეპილი შალვარი ნათლად აჩენდა განგებ ჩამოსხმულ ქვედა ტანს. ფოსტლებზე ცერებით დაბჯენილი პატარა ფეხები ხორცისფერ წინდებში სალოკავ შაქრის ყინულათ მეჩვენებოდა. თითქოს ვგრძნობდი მათ ნელნელა ღნობას პირში, და ვყლაპავდი ნერწყვს.

— კიდევ არ გძინავს? დავეკითხე.

არ გაუგონია.

— რა მოგივიდა, შენ გენაცვალე? უფრო ხმა-მაღლა დავუძახე.

— ა,—გამოირკვა ბურუსიდან ლადო,—არაფერი, რაღაც არ მეძინება.

— შენ რაღასაც სწუხხარ. მოდი მითხარი ყველაფერი, იქნებ ისეთი სამწუხაროა არ იყოს რა.

— არაფერია, არაფერი, ეხლავე დავწევები.

— მეც კი მიმალავ. აღარ გყვარებივარ ძველებურათ. მაშ დაიძინე,—ვუთხარი მე.

ჩემს ხმაში ტირილი გამოისმოდა უსათუოდ.

— შენ რაღა გატირებს. მე ვარ უბედური და არა შენ.

— შენ უბედური იყო და მე ბედნიერება შემიძლია?

— არა, არა, არც მე ვარ უბედური. ოღონდ შენ დამშვიდდი.

იგი მოვიდა ჩემდა დასამშვიდებლად, თავზე ხელი გადამისო და შუბლზე მაკოცა.

— დაჯექი, მიამბე ყველაფერი, შენ კი შემოგეცლოს შენი, არ ვიცი, რა დაეუძახო ჩემს თავს...

იგი მარჯვენა ფეხით ჩამოჯდა ლოგინზე, მარჯვენა მუხლი მოიკეცა და ხელი ბალიშზე დაადვა.

მის მარჯვენა მკლავს მე თავი დავადევი.

— იცი, მე შენი მასწავლებელი ვიყავი. შენ ყოველთვის მეუბნებოდი შენს მწუხარებას, მეკითხებოდი, თუ რამე შენთვის გაუგებარი იყო.

მე ნელ-ნელა ვიწეოდი ზევით ბალიშისაკენ, სადაც იგი იჯდა.

— მე აი, ასე ხელში ახუტებული დამყავდი.

მე შემოვხვიე მარცხენა ხელი ყელზე.

გადავიღიღნიდი გულს.

მე გავუხსენი პერანგის შუა ფოლაქი.

და როცა შენ ტირილს იწყებდი, როგორც ძიძა პირში მოგცემდი ჩემს უმანკო, ურძეო ძუძუს. შენც სძიძგნიდი.

მე უსვამდი მის ტუჩებს ძუძუებს.

ახლა კი ვიღაც ელენესთვის—

მე ავიწიე მთლად ზევით. მის ლოგინზე მორთხმულ მუხლს დავაწევი ერთის ფეხით—

გსურს დამტანჯო შემაწუხო, თავს უბედურს უძახი და მაშ მე რა ცეცხლში ვიწვი არ იცი.

— მაკოცე! მაკოცე, აი ასე, როგორც მე გკოცნი.

ერთი და ორი ვაკოცე, ცეცხლით, შვებით, ნეტარებით.

— შემხედე, განა მე უარესი ვარ ვიდრე სხვა.

პერანგის უკანასკნელი ფოლაქი გავუხსენი.

— ჩვენთვის სხვა არავინაა ქვეყნათ. ჩვენ ორი ერთმანეთის ბედნიერებისათვის ვართ გაჩენილი.

და მის მკერდის ქვეშ დავეწაფე კოცნით, თითქოს, როგორც ფუტკარს, მოსდომოდეს ყვავილისაგან მთელი სიტკბოების ამოწურვნა.

— შენ მიკლავდი დედის, დის, მოწაფის, მეგობრის ჯინს, ახლა შენ იქნები ჩემი სატრფო.

— მაკოცე! მომხვიე ხელი! შემეწეპე, ჩვენ ერთმანეთის ვართ სისხლით, სულით და ხორცით!

და მე ვკოცნიდი ტუჩებში, თვალში, ყურზე.

გაშტერებული, განცვიფრებული ანგარიშ-მიუცემლათ ისიც მხურვალეთ მკოცნიდა.

— ჩემს სხეულს ჯერ სიოც არ მოხვედრია სიყვარულისა, როგორც შენსას. დავწვათ ერთმანეთი—მე ამდენი ხნის შენახულ წმინდა ცეცხლით, შენ სიყმაწვილის ელვასებრ აფეთქებით. ვნახოთ, რომელი უფრო ძლიერია.

გულზე დამადვა მარცხენა ხელი, გადამწია ბალიშზე და ჩემს ტუჩებს არ გაჰშორებია...

მე განგებ დაწვრილებით, გრძლათ მოგიყევით ამ წუთების ნეტარების აღწერას.

იგი ისე ტკბილია, ისე უსაზღვროა, რომ თვით მოგონება ჩემი ბევრათ უფრო მეტს ნეტარებას მაგრძნობინებს, ბევრათ უფრო ბედნიერათ მხდის, ვი-

დრე შიში დასჯის წინაშე. გარყვნილებაო! განა შეიძლება გარყვნილება იქ, სადაც ორი სული შეერთებულა მიწიერ სიამოვნებისთვის?! ნასყიდი და გაყიდული, ნაანგარიშევი სქესობრივი განწყობილებაა გარყვნილება, თორემ როცა გული იძახის, იქ გარყვნილების მორევიც იწმინდება...

იმ წამებით მე ისე მდიდარი ვარ, რომ შემინდვია მამი-ჩემისთვის მისი ჯაშუშობა, შემინდვია ქვეყნიერებისთვის მისი ჩემდამი ულმობლობა, შემინდვია თქვენთვის ის სასჯელი, რომელსაც მე მომანიჭებთ უეჭველია. ლადო წმიდაა, ვით ელვა ცისა, მე ნამწვი ვარ კელაპტარისა.

ქალი გაჩუმდა. დაჯდა.

— არაფერს აგვიხსნით მამი-თქვენის მკვლელობის შესახებ?—შეეკითხა ბრალდებულს სასამართლოს თავმჯდომარე.

ქალი ისევ წამოდგა.

— ყოველ თქვენთაგანს ჰყვარებია უსათუოდ. მაგრამ თქვენი სიყვარული ისე არ ჰგავდა ჩვენს უსაზღვრო ტრფობას, როგორც ლეში, აჩრდილი უსაგნო. ყოველ შეხებაში წლების უღიმღამო ცხოვრება ჰჭრებოდა, ყოველი ალერსით მთელი სიცოცხლის ტანჯვა-ვაება იყო გამოყიდული.

უეცრათ საიდგანაც მთვრალი მამა წამოგვადგა თავს.

დაიწყო ყვირილი. სტაცა ხელი დიდ ჯოხს და უნდოდა ამისთვის დაერტყმია. ის კი კუთხეში ატუზულიყო და ვერ ინძრეოდა.

როგორ მივუშვებდი მასთან მამას. ფუტკარი თავს შეაკლავს და თავის საფუტკრეს, თავის თაფლს არავის დაანებებს. ჩემთვის კი იგი ყველაფერი იყო.

წინ გადაეღობე, ერთი ორი დამკრა. ვეცი. ჯოხის წართმევას უპირებდი. მან კი კარი გააღო და დაიყვირა: полиція. ტუჩზე ხელი დავაფარე, კარებიდან გამოვსწიე, მაგრამ ვერაფერი ვიკუბერხე. იგი კარებში გავარდნას აპირებდა და ყვიროდა, როგორც კი მოახერხებდა. ვატყობდი ძალა მჭირდებოდა. ეს უღმერთო კი არ დაგვინდობდა. სუფრაზე დავინახე პურის დანა, ვსტაცე ხელი და სადღაც ჩავკარი. მამა წაიქცა. მე გული წამიელდა. მამა მაშინვე არ მომკვდარა, ჩვენების მიცემა კიდევ მოასწრო. შეიძლება არც ჭრილობით მომკვდარიყოს. ლოთობამ, ათასჯერ ცემამ, ურიგო ცხოვრებამ მოუსპო, შეიძლება, სიცოცხლე, მაგრამ ეს სულერთია.

ქალი დაჯდა. გვერდში მყოფ მეორე დამნაშაეს ჩაუფუჩუნა.

— შენ არაფერი სთქვა. ორიეეს დასჯას მე დავისაჯო მარტო.

— არ შემიძლია.

— შენ ჩემი ხარ და ჩემს მუდარას, ბრძანებას ვერ გადახვალ. ჩემთვის მეტი ბედნიერება შეუძლებელია, ვიდრე შენ გნახო ბედნიერი. მე გავათავე ცხოვრება—შენ იწყებ. თანაც დანაშაულის გაზიარება შესამჩნევათ არ შემილავათებს სასჯელს.

აქ მოხდა საშიშარი, საკვირველი და საზიზღარი.

ორიეე ერთმანეთს ჩაეკონენ. ყველანი გაშტერდენ. მხოლოდ ერთმა მოსამართლეთაგანმა მოახერხა ეთქვა:

— არაფერს არ გაეს—გააშორეთ!

დავით კომბინატორი ადგა.

ბოქაული: ადექით! სასამართლო სათათბიროთ მიდის.

№-მა ტაში დაუკრა.

— მე რატომ არ მომცა სიტყვა, საყვედურობდა სტუდენტი.

— არა, ეს დაარღვევდა შთაბეჭდილებას.

— თუნდაც არ გაგამართლონ, ქალბატონო, დასის შეკრება და სუფსიდია ჩემს თავზე იყოს.

— დიდებული მსახიობიც ყოფილხართ და იმპროვიზატორიც.

სასამართლო გამოვიდა, ეხლა უკვე სადათ და დავითმა განაცხადა:

— რადგან სასამართლო ერთ დასკვნამდე ვერ მივიდა, ამიტომ თათბირი გაგრძელებული იქნება ქალაქ გარეთ, წყლის პირათ, სანამ მოგვიმზადებდენ მწვადსა და ღვინოს.

— ძნელი როლი იყო, მაგრამ ჰეშმარიტად სძლიეთ,— ეუბნებოდა ინსპექტორი ანინის.

* *

ნამდვილათ კი ყველაფერი დავით კომბინატორის მოხერხების, და თუ გნებავთ, არტისტიული ნიჭის ნაყოფი იყო: მთელი საღამო მას წინდაწინვე გამოანგარიშებული, შედგენილი ჰქონდა, და არავინ მას წინასწარ მოლაპარაკებით არ დახმარებია.

გააღეს ჭუჩიდან შემოსასვლელი კარი და უნდოდათ გამოსვლა, რომ დაინახეს ორი შეიარაღებული ყმაწვილი, რომელთაც ზრდილობიანათ, მაგრამ გადაჭრით ბრძანეს:

— უკანვე შებრძანდით...

— რა გნებავთ?—გულმოსული შეეკითხა მათ დავით კომბინატორი.

— შებრძანდით და გაიგებთ...

— აქ ვიცე-გუბერნატორია.

— რომ გვცოდნოდა, მართალი მოგახსენოთ, არ მოვიდოდით—ჩვენ უფრო თქვენს მეგობრებს, ვაჭრებსა და ფულიან ხალხს ეუცდიდით, მაგრამ ახლა გვიანღაა... გვიბოძეთ ვისაც რა გაქვთ.

ამოიღეს საათები, პორტმანეები, ბეჭდები.

ქალებს გაუჭირდათ საყურეების გამოღება, მაგრამ არჩილმა უთხრა მათ:

— დაიტოვეთ—ძვირფასი არ უნდა იყოს მაინცა და მაინც.

ქალები, როცა მათ მოიგონებდენ, ხშირათ დაუმატებდენ: А все таки он душка и душка. ასეთი თავხედი თავდასხმა არ იყო გუბერნატორისათვის ხელსაყრელი, და ამიტომ თუმცა ბრძანება იყო გაცემული, როგორმე დაეჭირათ ყაჩაღები, მაგრამ გახმაურებას, გაზეთების ორომ-ტრიალს მაინც მოერიდენ და ინსპექტორის დუმილი ყველასათვის სასიამო გამოდგა.

დიდხანს ვერც კი გაიგეს, ვინ იყო ეს ორი ყმაწვილი, შუაქალაქში თვით ვიცე-გუბერნატორს რომ აართვა, რაც რამ თან ჰქონდა.

(დასასრული იქნება)

სანდრო შანშიაშვილი

GENESIS.

წარმართთა დავრჩი მზისადმი,
მაღმერთებელი მთვარისა.

წინაპრად მყავდა შანშე წარმართი,
მზეს ლოცულობდა, მთვარეს ფიცავდა;
მან აიარა მძიმე აღმართი,
თან არსებობას ბრძოლით იცავდა.

ტომით ქართველებს ჩემს ძველს წინაპრებს
გულში მახვილი მაინც არ ასცდათ:
წითელის სისხლით ღებაედნენ სანჯრებს,
მტრებთან შეტევას სთელიდნენ დიდს განკდათ.

და ძლიერ ჯარის მძლე მთავარსარდლებს
თავს ძირს უხრიდნენ მეფის დროშები;
ვინ მოსთელის იმათ თავგადასავლებს,
უტარებიათ ზოგჯერ დრო შვებით.

ხალხს უშენებდნენ უდაბნო ადგილს
ქვიტკირის სოფლებს, ციხე-ქალაქებს;
შეექცეოდნენ ზეიმით ნადიმს,
იტყოდნენ შაირს, ქსოვდნენ არაკებს.

თან გადაჰკრავდნენ ღვინოს ყანწებით,
მღერდნენ: „მოგროვდით და ლხინს აწ ებით!“
მათებრ აროდეს დავიჭანცებით:
მინდერად გუთნებით, წნელის ფარცხებით!

ჩემში მოგროვდა ზღვად მათი გრძნობა.
მკერდქვეშ რაც ღვივის, არ არის მტრობა:
ამას მეტყველებს სახე გაშლილი,
შუბლზე ნაოჭი ბედით წაშლილი.
არწივის თვალი, მზერის გამძლები! —
ერთგულს სიკვდილში დავენაცვლები.

ვმღერი რაინდულს, ავანთო მხდალი,
ბრძოლის ველზედაც გავალ თუნდ მარტო,
ოღონდ სხვას მივცე მე მომავალი,
და ცხოვრებაში გზა წარუმართო!

ბრძენი — მასხარა

ცხოვრების გზაზე ვარ: შემცდარი, ბრძენი, მხედარი!
ზოგჯერ: ჯამბაზი, მოთამაშე, დაუდეგარი.

ვერავის ვენდე ცხოვრების გზაზე
და მარტო დავრჩი საკუთარს კარზე
ჩემივე სულის უსაზღვრო ბანზე!

ველი შორეულს ჩემს დიდს მომავალს,
ერთხელ მემკვიდრე ხმას აიმაღლებს;
ჩემს გზას განაგრძობს წამებით ნავალს,
როცა ჩემს ჩანგურს ის ხელს შეახებს.
შეეთვისება ჩემს გარდასავალს
და რავდენს განცდას კელავ განაახლებს.

ამ ცხოვრებაში ერთი დამცინის
და აღტაცებით მეორე მაქებს:
თვითეულს ვკითხავ: ყველა ეს რისთვის?

მიმღერენ ამბავს ძველთაგან ნაქელს.
ო, ეს რაოდენ მოსაწყენია.
სიტყვა გულწრფელი ჯერ არ მსმენია.

ძმაო! ჩემს შემდეგ მოხვალ დიდებით
და ეგ სახელი ჩემიც იქნება;
მე სამარეში მტვერი ვიდები,
შენგნით სოფელი გარდაიქმნება!

და ვიდრე ვცოცხლობ, რად ვარ მასხარა?
მეტყველი ენა რად დავკარგე?
ვისმა სიმძიმემ გრძნობა დახარა,
რომ ვსთქვი: ეგ იყოს ყველასთვის ფუძე!?
ეხ, გულუხვობამ თვალნი დამთხარა!—
გამოვდექ ერთი ბრძენი-მასხარა!

ჩემი სიმდიდრე უვიცის ხელში
რამ სათამაშო ნივთი გამხდარა;
ვგმობ, მაინც მიყვარს ყოფნა სოფელში,
მინდა ცეცხლს მივსცე, რაც კი წამხდარა!
ვნატრობ მარადის ბრძენი—მასხარა!

სოლომონ თავაძე

ცხრაას ხუთი წელი

(1905—1925)

I. მათ ხსოვნას.

თქვენ, ვინც აენთეთ რიჟრაჟების პირველ ნათელით,
ბარიკადებზე გადმოჰფინეთ სული ალმებათ,—
წმინდა მებრძოლებს სიყვარულით მოგესალმებათ
რევოლუციის ფრთებ-მაგარი კორიანტელი!

თქვენს ამაყ მკერდზე აღიმართა გზა ეხლანდელი,
თქვენი ძახილი აგუგუნდა მძლე გრიგალებათ:
მთელი მსოფლიო დაიბზარა ცეცხლის რკალებათ,
და ძველ ქვეყანას სასიკვდილო სწვავს ქრუანტელი!

თქვენი ოცნება ათასი მზის შუქით დაჰფერავს
რღვევის ქაოსში თვალ-ამღვრეულს ზეცას ნისლიანს.
წითლად რომ ღებავს საუკუნეს—თქვენი სისხლია!

უკანასკნელი ჭარტეხილი კიდევ დაჰბერავს,
რომ განიავდეს უმძიმესი კაცთა ნაღველი,
და ძლევის ალით აციმციმდეს თქვენი სახელი!

II. მოქადაგე.

სოფლად დაირხა ხმა უცნაური,
რომ მოქადაგე, როგორც იესო,
ნახეს იმ ღამით... გაშლილი ეზო
გაივსო ხალხით... და მეთაური
წმინდა გიორგის ხატს აფიცებდა
ყველას, ვინც ბრძოლის სურვილით იწვის...
ერთობის ძალა დაამიწებდა
მოძმეს უპირულს, გამტეხელს ფიცის...

ნახეს... და რწმენა მოედო გულებს,
სახეებს შვენის უცხო იერი.
საუკუნეებს, როგორც უფსკრულებს,
მონა ბედკრული და ნაშიერი
უცებ დახედავს შვებით მაღლიდან,
და უკვირს—ამდენ ვაებით სავსეს
წელთა ზღვა სიდან საით ახლიდა
სისხლით და ძვლებით ღოფენილ გზაზე...

იყო ბატონი მოუხეშავი,
და როგორც რკინის ულელი მძიმე,
იდგა ამაყად და სალ კლდესავით
ჰფარავდა ქამთა უამრავ მღვიმეს...
მიწა ოფლით და ცრემლით დახრული
გადაექსელა ჯაჭვებს, მავთულებს...
ალხენდა მხოლოდ ტკბილი მაყრული
სასახლეების მაღალ სართულებს...

ეს იყო წინედ... ახლა კი მაღლა
სდგას მოქადაგე ამაყი, მტკიცე;
სიტყვათა ცეცხლი შეარხევს ტალღას
და დროშის ფრთები სულ ზევით იწევს,—
რომ გადალეკოს ცაზე გაკრული
ძველი ცხოვრების ნაშთი—ნისლები,
აღსდგეს მრისხანედ ხალხი ჩაგრული,
გაკაჟებული მაღალ მიზნებით...

ვიღაც იდუმლად ჩამოკრავს ხარებს—
ეს მოქადაგის სიტყვა ხმაურობს:
„მებრძოლთა რაზმი ამსხვრევს იქ კარებს,
რომ კიდით-კიდე იმოგზაუროს:
პეტერბურგიდან ყველა ქარახნა
ტფილისის ბჭეზე ანთებს მზის ალებს:
მუშებს უჰყრიათ ძველი ბარცხანა
და უყივიან ძლევის გრიგალებს...
ამ საუკუნეს ხალხი დასალტავს
აელვარებულ ფოლადის ნებით;
და წმინდა ძმობა გზ ბს გადაწვალდავს
თავისუფლების ასხივოსნებით. ."

და ისევ ვიღაც ჩამოკრავს ზარებს,
დროშების ფრთები მაილტვის ზევით.
ხმათა გრიალი შეარხევს არეს
და საპასუხოდ იხივლებს ხევი...

დაიშლებიან... და ბნელ ქოხებში
სწვავენ ღამეებს ნათელ ოცნებით:—

„იელვებს ალი მთის ორწოხებში
თავისუფლების ასხივოსნებით!.."

III. ტერტრისტი.

სდუმს მღელვარებით მწვავე ლოდინში
სული მებრძოლი და მხნე მკლავები;
ელის გურია, ელის ოდიში,
თუ ოდეს უხმობს ასისთავები
და ფიქრობს ქართლი მძიმე ფიქრებით,
ალაზნის ველზე ქარი დუდუნებს;
ვილაცა მწველი ვნების ისრებით
მარსელიოზას დააგუგუნებს.
ტფილისს გუშაგობს ნაძალადევი,
საწყობი ყველა მფეთქავ ნაღმების.
და სოლოლაკის ცხრათავა დევი
დაიბურება შიშის თალხებით...

უცებ ყუმბარა დასჭექს მეხივით,
შედრკება ქუჩა ხმა-გაკმედილი.
და ქვაფენილზე სცვივა ნეხვივით
მტარვალის ლეში გულ-დაფლეთილი...
დასჭექს ყუმბარა და ხმებს ზარიანს
მოჰფენს ნიავი მთებსა და ველებს:
ეს—გრიგალის წინ ნელი ქარია,
ბრძოლის წყურვილით გულს რომ ახელებს.

„ო, ვენაცვალე მე შენს მარჯვენას,
შენი ჰირიმე, ჩემო ძამია!.."
„დასწყევლოს ღმერთმა მათი გაჩენა—
დაჰკარით თავში გველებს შხამიანს!.."
ასე გადადის სოფლიდან სოფლად
შორს აფეთქებულ ყუმბარის ალი.
სახეებს ჟინი გადაეჭორფლა,
შურისძიებით გამომზირალი.—

კრებაზე ჯგუფი ფრთხილად თათბირობს...
„ჰე, ამხანაგო, გასწიე ნასკვი!
გერგო!.. ჯალათს, ვინც ჩვენზე ნადირობს,
ყუმბარის ცეცხლი აგემე, დასწვი!.."

იყო ჰაბუკი ოცნებით მთვრალი,
და შეჰხაროდა მხარეს შორეულს,
გულს ულვივებდა მზის ნაპერწკალი
და წინ იწვევდა გრძნობა-მორეულს...

და ელის იგი ქუჩის ნაპირას,
რომ მტერს ხალხისას შეხვდეს პირისპირ...
„წმინდა ძმობისთვის შენ თავს გასწირავ“,—
თითქო დედის ხმა უმღერს ძილისპირს...
აგერ მოჰქრიან მარდი ცხენები...
გასროლილ ნალმით აფეთქდა ქუჩა...
დაეცა მტერი... ცეცხლის ენებით
სახლები ირგვლივ გადაირუჯა...
მაგრამ ჭაბუკიც გულ-გაფატრული
დაეშვა... უცხო სიღრმე ჩასძირავს...
და თითქო ესმის ხმა მონატრული:—
„წმინდა ძმობისთვის შენ თავს გასწირავ!..“

IV. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ.

ასე გადადის სოფლიდან სოფლად
შორს აფეთქებულ ყუმბარის ალი.
სახეებს ჟინი გადაეჭორფლა,
შურისძიებით გამომზირალი.
მრავალი წლების დაგუბდა ბოლმა,
განახლდა მწვავედ ძველი იარა.
და გასძახიან გალმა-გამოლმა:
„ჩასჭიდეთ, ძმებო, ხელი იარაღს!..“
ერთია მიზნის აკაშკაშება,
ერთ ხმაზე მღერის ათასი კილო:
ძლევით წინ გასწევს მზიურ რაშებათ
ძალა ნათელი და უბორკილო...
სული შეჰხარის შვებით ალიონს,
დეე, გაშუქდეს ყოველი კუთხე...
მოხუცი გრძნობით მოსწევს ყალიონს
და ძველ მტარვალებს შემოუკურთხებს.
ახალგაზრდობა ბრძოლის ჟამს ელის.
ეს რაზმი ქარჩე უფრო ჩქარია.
ალმართვენ დროშას ფოლადის ხელით
და ბრძოლის ველზე მიუხარიათ.
მკერდებს უმშვენებთ ჯვრელი სირმები,
და ბერდანკები—ლამაზ ჩაჭურას.
ოცნება სულში ნაციმციმები
ეხვევა ზეცის მაღალ სახურავს...

ცხოვრებამ ხავსი შემოიცალა,
წინ აღიმართა ახალი სარკე:
სხვა ასპარეზი გადაიშალა,
და ამობრწყინდა მომავლის სახე.

ადამიანი არ არის მონა,
აჩქროლდა გულში ღმერთების სისხლი.
ძველი სამყარო ქანგებად ჟონავს,
გადაკეთდა დამპალი ნისლით.

და აედევნა რაზმები რაზმებს,
აენთო ბრძოლის შუქი წითელი...
ჰკეტავენ მაგრად სასახლის რაზებს
ყველა ჯაშუში და გამყიდველი.
იგრძნეს ქარიშხლის მოახლოება
ათასპირიან ბასრი ცელებით...
დარაზმეს ჯარი ბნელ ურდოებათ,
აღმართეს ბოძი სახრჩობელების...

მაგრამ ამ ტალღებს რა შეაჩერებს,
ვინ გადაირჩენს თავს გრიგალიდან?
განელილ გზას რაზმი გულს ვერ აჯერებს
და წინ მიიწევს გაშლილ რკალიდან...
გადაეჯაჭვა რაზმებს რაზმები,
მედროშეობა შვენის გურიას.
ალარ სჩანს ზეცა ათიაზმებით—
ცეცხლია ირგვლივ და ალმურია...
ბარიკადებზე დროშებს დახვრეტილს
აწითლებს მეტად სისხლის ღვარები...
ამბობენ: წიფის კარებს დაკეტილს
მოაწვა მტერი ურიცხვ ჯარებით...

წითელრაზმელი ლამაზ ჰაღარით
რაზმს მიუძღვება სანგრების ქსელით,
და მხნედ გაჰკივის:—„ძმებო, დაჰკარით!
უნდა ამოშრეს ჭაობი ძველი!
ვართ ირგვლივ მტრებით შემორკალული,
მაგრამ ხსნა ჩვენი მაინც წინ არის.
მომაელის ელვით გულ-გამსჭვალული
შეეხვდებით სიკვდილს პირმომცინარი“...

და ქარტეხილი დაჰბერავს ჩქარი,
ცა იმზარება ელვის თასმებით.
უამრავ მტერთან პირისპირ მდგარი
თავგანწირული იბრძვის რაზმები...

V. ღამე—ცეცხლის თვალებით.

უთანასწორო იყო ეს ბრძოლა,—
იდუმლად ღელდა ტალღებზე აფრა,
რომ შაგად უნდა გადმოექროლა

უკუნეთიდან სისხლიან აფთარს.
და მოდიოდა ცეცხლის მუქარით
ყოველი მხრიდან ურდო ნაგეში.
და ღამე, ხანძრით განაშუქარი,
აფრქვევდა რისხვას ზეცის თაღებში.
და შიში, როგორც სუნთქვა ნაპრალის,
მწვანე ჰაერად მოედო ველებს:
ვილაცა დაჰქრის გრძნობა-ჩამქრალი
და აჭრის ბავშებს მთრთოლვარე ხელებს...

და ეფარება ტყეებს ხიზნები...
(განმეორდება ამბავი ძველი,
როდესაც ერის წმინდა მიზნები
იძაძებოდა მწუხრების ქსელით...)

დაობლებული იწვის სახლება.
გაიტაცებენ ბავშებს ქალები.
გარბიან... მისდევთ ყეფა ძაღლების.
და ელავს ღამე ცეცხლის თვალებით...

შარის ნაპირას მოხუკი ნახეს,
უსულო, თვალებ-გადმოკაკლული,
სისხლს შეელება კეთილი სახე
და ეგდო ისე, როგორც დაკლული...

ერთ ქოხში დარჩა აკვანი ბავშით...
ბედშავი დედა — ალბად მკვდარია...
ო, ამ სისხლიან და ველურ გზაში
რა საშინელი სიმწუხარეა!..

საფსეა ღამე უძირო ბრაზით.
თითქო მდინარეც ალისფერია.
ნამუსახდილი ქალწული ნაზი
გადაეხვევა ტალღებს ჩქერიანს...

. . . . . .

„ჰეი, ძმობილო, აქეთ იჩქარე!“ —
ჰკივის მებრძოლი და ბოლმით თვრება,
ველარ დაიტევს გულში სიმწარეს
და მტრის ბანაკში გადაიჭრება...
შურისძიების უბით მტვირთველი
ენთება ღამე, ვით ელვა ჩქარი.
ხალხის ჯაშუში და გამყიდველი
სისხლით მოსვრილი ეცემა მკვდარი...

. . . . . .

უთანასწორო იყო ეს ბრძოლა,
მაგრამ მებრძოლთა მტკიცე კრებული,
დამპალ ჯაობს რომ ნალმი ესროლა,
კვლავ წინ მიიღტვის გულ-ანთებული.
მოფენილია გზები მსხვერპლებით,—
ვინ ჩამოსთვალოს მათი სახელი?—
მაგრამ ციმციმებს წმინდა ფერფლები
მარადისობის გამომსახველი!
გაპოხიერდა მიწა მშობელი,
აღვივებს გულში ახალ მზის ნალმებს.
შორი მანძილი, თვისკენ მხმობელი,
აანთებს რწმენის წმინდა ჩირაღდნებს.
დროშები სისხლით გადაიღაჭა,
რომ მეტის ბრწყინით ვიდოდეს მაღლა.
ძველი მიჯნები გადაილახა,
და ჟამი უხმობს უმაღლეს ტალღას...
უთანასწორო იყო ეს ბრძოლა,
მაგრამ მებრძოლთა მტკიცე კრებული,
დამპალ ჯაობს რომ ნალმი ესროლა,
მარად წინ იქლის გულ-ანთებული!..

1 იანვარი, 1925.

კონსტანტინე გამსახურდია.


რომანიდან:

„დიონისოს ღიმილი"

. . . . მე მიჯნეროობისაგან ამეხადა საჟარველი, სულისაგან ცნობა წამივიდა. მაშინ ერთსა დღესა ადგა ანაზღეულად ქარი და მარჩენა ქაჯისაგან უტეურფესი პირი... ეს იყო ფათერაკი."



ცინის.



ი დროა პარიზში. წაბლის ალეები შეიქარვება.
ფარჩა.
ბავ სხვის ქვეყანაში!
ვს.
ჰორტენზიების ჩირგვთან, ყოველდღე ვხედავ ეო
ის ყავარჯენი უჭირავს. ორივე ხელოვნური ფე
ე, რომ მხედარი ყოფილა. იგი განგებ გაურბის იმ
სხედან. თითქოს რაღაც ჩუმი შეთანხმებით, ჰორ
ანე სკამია, იმაზე არავინ ჯდება. ბელურების მთ.

ჯთანასწორო იყო ეს ბრძოლა,
მაგრამ მებრძოლთა მტკიცე კრებული,
დამპალ ჰაობს რომ ნაღმი ესროლა,
კვლავ წინ მიიწევს გულ-ანთებული.
მოფენილია გზები მსხვერპლებით,—
ვინ ჩამოსთვალოს მათი სახელი?—
მაგრამ ციმციმებს წმინდა ფერფლები
მარადისობის გამომსახველი!
გაპობიერდა მიწა მშობელი,
აღვივებს გულში ახალ მზის ნაღმებს.
შორი მანძილი, თვისკენ მხმობელი,
აანთებს რწმენის წმინდა ჩირაღდნებს.
დროშები სისხლით გადაიღება,
რომ მეტის ბრწყინით ვიდოდეს მაღლა.
ძველი მიჯნები გადაილახა,
და ჟამი უხმობს უმაღლეს ტალღას...
ჯთანასწორო იყო ეს ბრძოლა,
მაგრამ მებრძოლთა მტკიცე კრებული,
დამპალ ჰაობს რომ ნაღმი ესროლა,
მარად წინ იელის გულ-ანთებული!..

1 იანვარი, 1925.



კონსტანტინე გამსახურდია.

რომანიდან:

„დიონისოს ღიმილი"

„. . . მე მიჯნეროვისაგან აბეზადა საუარველი, სულისაგან ცნობა წამივიდა. მაშინ ერთსა დღესა ადგა ანაზდეულად ქარი და მარვენა ქაჯისაგან უტურფესი პირი... ეს იყო ფათერაკი."

ძეგა პირველი.

1. კაცი, რომელიც ვეღარ იცინიხ.

ოქტომბერი უმშვენიერესი დროა პარიზში. წაბლის ალეები შეიქარვება. შრიალებს ფეხქვეშ ფოთლების ფარჩა.

ო, შემოდგომის მწუხარებავ სხვის ქვეყანაში!

გული პარკებისკენ მიიწევს.

ლუქსენბურგის პარკში, ჰორტენზიების ჩირგვთან, ყოველდღე ვხედავ ერთ ინვალიდს, ცალ ხელში ბამბუკის ყავარჯენი უჭირავს. ორივე ხელოვნური ფეხი—. სიარულში კიდევ ეტყობა, რომ მხედარი ყოფილა. იგი განგებ გაურბის იმ სკამებს, რომელზედაც სხვები სხედან. თითქოს რაღაც ჩუმი შეთანხმებით, ჰორტენზიების ჩირგვთან რომ მწვანე სკამია, იმაზე არავინ ჯდება. ბეღურების მჭე-

ლი ლამპარი მუდამ თან დასდევს მას. ჩამოჯდება თავის მწვანე სკამზე, იღებს ჯიბიდან ხორბლის მარცვლებს, წივწივით მოფრინდებიან ბეღურები ფრთების ფარფატით... ადგება. აიყრებიან ჩიტებიც.

ვინ არის ნეტავ ეგ კაცი? ნუთუ სხვა საქმე არა აქვს ამ ქვეყანაზე? ეკითხებოდნენ ჩემთვის უნებურად.

მე არ შემიძლია პირდაპირ შევხედო დამახინჯებულ ადამიანს, ამიტომაც გაურბივარ მას.

ერთ დღეს ყველა სკამი დაკავებული დამხვდა. იგი ჩვეულებრივად მარტო იჯდა.

ცოცხალთა შორის უფრო მახინჯი ჩემს დღეში არ შემხვედრია. წარბები და თმა გადაუტრუსავს გაზებს. ცხვირი სავსებით მოჭმული, ამოკერილ პირიდან პატარა ლითონის მილი მოუჩანს. მთელი სახე არაჩვეულებრივად წითელი, თითქოს ერთჯერ ტყავი გადაუძვრიათ, თვალების მეტი არაფერი უკავია ადამიანს. მე ვამჩნევ ლეჟიონ დონორის ორდენს მის მკერდზე. ძლიერ თაკმომწონედ უჭირავს თავი, კაპიტანი უნდა იყოს. მის ფერხთით კვლავ აუარებელი ბეღურები—. იგი ხანგამოშვებით საკენკს უყრის. ჩიტუნები აღტაცებული ჭყიპინებენ, ხტიან, ცელქობენ, ერთი-მეორეს ლუკმას სტაცებენ პირიდან. ზოგი მოურიდებლად უახლოვდება მას.

რა თავხედებია დიდი ქალაქის ჩიტებიც! ვის არ გაეცინება მათ ცუღლუტურ ციგლიგზე! ინვალიდი ზის და უყურებს. სახეზე საშინელი სერიოზულობა ეტყობა, თითქოს მარნაზე, ან სუასონზე კომანდობდეს თავის ათასეულს.

მე დიდხანს ვერ ვჩერდები მის ახლოს.
საშინელი უძილო ღამეები!

მთელი ღამეები ვფიქრობ იმ მახინჯ კაცზე, ლუქსენბურგის პარკში რომ დადის მარტოკა, ასე მგონია იგი თავზე შემოუვლია მთელ ქვეყანას. მას ადამიანებისთვის გაუწირავს თავი, მაინც ყველა ერიდება მასთან ახლო ყოფნას. ნეტავ თუ ვინმე ჰკავს? დედა, ან ცოლი? სიხარული თუ აქვს გულში, ან იმედი? ყველანი შორიდან უყურებენ მას, ყველა მასზე ბედნიერია...

ხშირად გადავწყვეტ მივიდე, ვკითხო, ან როგორ მეტყვის თუ რა გადახდა ბელფორზე, მარნაზე, ან სუასონზე. მინდა წავიდე ლუქსენბურგის პარკში, მოვნახო, დაბალი საღამი მივცე, ვეტყოდე მაინც: ძმაო ტანჯულო, უცნობო გმირო! მე არ ვარ გმირი, გმირი ხალხის ვარ ნაბოლარა... მაგრამ, მუდამ დუმილით ჩავუვლი გვერდს. თანაც ეგრძნობ: მის დანახვაზე ჩემში იღვიძებს რაღაც სულმდაბალი, ცხოველური კმაყოფილების გრძნობა, რომ მე არაფერი შემიწირავს ადამიანებისათვის, მე მიხარია რომ, შემიძლია უყავარჯნოდ გავიარო თავაწეული.

მე მიხარია, რომ შემიძლია გავუღიმო მაღალ ცის ლაჟვარდს, ან ქუჩაზე გავლილ კოკოტას, ვაკოცო დედაკაცს და როგორც უბრწყინელ ქალწულს ვახარო: ჩემი ღვთაებრივი თესლიდან წარმოიშობა ათასი გმირი, ათასი პოეტი, კომპო-

სიტორი, სპორტსმენი. ორი თვალი მაქვს, ორი—შვენიერების დაუღალავი მაძიერი. ორი ღონიერი მკლავი—რომელთაც კიდევ დიდხანს შეუძლიათ წერა, კრივი, თავდასხმა და მოგერიება და მძიმე ჰანტელების მაღლა აწევა. მე მიხარია რომ პირი მაქვს მთელი.

მე ვიტყვი სიტყვას—ათასები ყურს დამიგდებენ. მე ვიტყვი სიტყვას შვენიერზე და ღვთაებრიებზე და ჩემი სიტყვა თუ დაეცა ფხვიერ ყამირზე, ამ სიტყვას მერმე ათასები ისევ იტყვიან.

მე მიხარია, რომ ორი მაგარკუნთებიანი ფეხი მაქვს და სიარულით არ დავიღლები, თუნდაც ვიარო ქვეყნის კიდემდის.

ლუქსენბურგის პარკში ერთი ინვალიდი დადის სახით მახინჯი, კაცი სიცილს გადაჩეჩული. ვუიქრობ იმ კაცზე, ამ წამშიაც, როცა ამას ვწერ და მიხარია, რომ ის კაცი ახლა მე არ ვარ.

2. ნიცშე.

იმ დღეს მზემ უნიათოდ გამოიხედა, შუადღეს სხივი მკვდრების მზესავით გაყვითლდა. მინდოდა შემეელო ლუქსენბურგის პარკში. მენახა შემოდგომის ეკონია. დამეზარა. ადამიანები ხომ ეგოისტები ვართ. არ გეყვარს სიმახინჯესთან პირისპირ შეხვედრა. (თუნდაც რაინდობისა და წმინდანობის შარავანდედიც ახლდეს მას.) დილიდანვე უცნაური მელანქოლია დამყვა. შემოდგომის გადატანა ძლიერ მიმძიმს უცხოეთში... რაღაც ჩუმი, უსიტყვო დარდი დაეუფლება ჩემ სულს.

მივყვები სენის ქვეს. მდინარის გაღმა-გამოღმა ეს აუარებელი ბუკინისტები, თვალღია ცის ქვეშ რომ გაუწლიათ თავიანთი დაზგები. რა და რა წიგნს არ ნახავთ აქ! იშვიათი ბიბლიოგრაფიული უნიქუმები, ხელთნაწერები, ძველი სურათები, ილუსტრაციები. დიდი ხანია ნაპოლეონის კოლექციებს ვაგროვებ. ამიტომაც შევეჩვიე სენის ბუკინისტებს. არც ეს ბუკინისტებია ამ წიგნებზე ნაკლებად საინტერესო.

ჰმ, ადამიანის გონების ნასუფრალით მოვაჭრენი!

მე მიყვარს მათთან მასლაათი. ჩვენი წიგნური ცივილიზაციის გროტესკული მაჭანკლები! მათ ძველი წიგნების მეტი არაფერი აინტერესებთ.

წიგნების ავტორების სახელის და წიგნების სათაურების მეტი არა იციან რა. უცებ რომ ჰკითხოთ, ვგონებ იმასაც ვერ გეტყვიან თუ საითკენ მიდის სენა. ყველანი მიცნობენ. სტუმართმოყვარე ღიმილით შემეგებებიან: „მუსიო“!

განსაკუთრებით ერთ მოხუც ბუკინისტს შევეჩვიე. ეს გახლავთ მუსიო შარტრიე. 85 წლის მოხუცი. საოცარი პატრიარქალური ტიპი, სენის ნაპირას—საუკუნეების ნიაღვარისგან გადარჩენილი. განსაკუთრებით მისი ფიგურა არ ეგუება სენის გარემოს. მას გრძელი, თეთრი წვერი აქვს (სამეგრელოში მინახავს ამ სახის მოხუცი, ალბად ამიტომ მახარებს მასთან შეხვედრა). მუსიო შარტ-

რიე, ნაზი, ტკბილი, პარიზული აქსანით ლაპარაკობს. უაღრესად რბილი, თავაზიანი ბუნება! მას ჭრიად კეთილშობილური აღნაგობა აქვს ნამდვილი დარბაისელი მოხუცი, საქართველოში, ან აღმოსავლეთში რომ შეგვხდებაო ალაგ-ალაგ. ენაც არქაული აქვს მუსჲო შარტრიეს. იგი თანამედროვე ფრანგულით პარდონს არ ამბობს. არამედ:—„პარდი“!

დიდი ხნის მეგობრები ვართ. რამდენი პატარა, ძველი წიგნი მაქვს მისი ნაჩუქარი. „ეს თქვენთვის არაფერი ღირება მუსჲო კონსტანტენ“ მეტყვის იგი, ისე მოწიწებით აიღებს თავის თაროდან წიგნს, თითქოს მღვდელმსახურებას ასრულებდეს. მას დაშვენდებოდა პატრიარქის კვერთხი და გრძელი ოლარი... ან რომელიმე პატარა რესპუბლიკის პრეზიდენტობა. მუსჲო შარტრიეს ბევრი დარდი გაუმჟღავნებია ჩემთვის. სამი შვილი დაეღუპა მსოფლიო ომში. უფროსი ბელფორთან, შუათანა მობეტთან და უმცროსი... ყველაზე უფრო მეც ის უმცროსი მწვავს გულს.—მუსჲო შარტრიემ იცის ჩემი „ერთად ერთი ნაკლი“, გერმანელები არ მძულს. ამიტომაც ნიშნის მოგებით მეუბნება: „ვი თქვენს გერმანელებს ცეპელინ L. 4. რომ წავართვით, იმის პილოტი იყო ჩემი ანრი... ცეპელინი საშინელი ციკლონის ზონაში მოხვდა. ქარიშხალმა გაიტაცა აპარატი. ცეპელინი უკვალოდ დაიკარგა, ომი გათავდა, ძაინც ეელოდი საცაა გაიღება კარი, ჩემი ანრი შემოვა მეთქი. მაგრამ... ერთი თვის წინად გაზეთი „ტანი“ იტყობინება: ადრიატიის ზღვაში იპოვნეს ბოთლი, რომელშიაც პატარა წარწერა აღმოჩნდა: „ბენზინი შემოგვაკლდა. ქარიშხალი მიგვაქროლებს. სალამი ყველას. გაუმარჯოს საფრანგეთს.“ ცეპელინ L. 4 ასეა ბედი მიამბობს თვალცრემლიანი მოხუცი. მე ახლა უნდა ვისვენებდე. ამის მაგივრად ხომ ხედავთ ამ თვალღია ცისქვეშ ვდგავარ მთელი დღეები... ზამთარ-ზაფხულ... ლუკმა პურისთვის“...

მუსჲო შარტრიე ერთად-ერთი ბუკინისტია (სენის ბუკინისტებს შორის) რომელმაც იცის,—მე ქართველი ვარ. მართალია, ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, როგორც ევროპის გარეშე მდებარე ქვეყნების (როგორც ყოველ ევროპიელს) ისე საქართველოს შესახებ, მაგრამ ჩვენი დამეგობრების შემდეგ ძველ ლექსიკონებში და წიგნებში ამოუკითხავს ქართველები დიდი რაინდი და ლამაზი ხალხიაო.

იმ დღეს მუსჲო შარტრიე თვალებგაბრწყინებული შემეგება.

— „ორი კვირაა რაც გიცდით მუსჲო კონსტანტენ! თქვენთვის შენახული მქონდა ერთი წიგნი ქართველი ავანტიურისტის რუსტომის შესახებ.

— „ვინ რუსტომი მუსჲო შარტრიე?“

— „ვინმე ქართველი გლეხი სახელად რუსტომი (გვარი აო მახსოვს) იგი ბავშობაში გაუყიდიათ სტამბოლში. წამოზრდილა, მამელუკების ჯარში ჩაწერილა. ეგვიპტეში ტყვედ ჩავარდნია ნაპოლეონს. მერე იბრძოლა ისევ მამელუკების წინააღმდეგ. ბონაპარტემ იგი პარიზში ჩამოიყვანა. დიდხანს ყოფილა ტჯულერიის ყარაულის უფროსი. ნაპოლეონი მას ნეჯ და მაკმაჰონზე უფრო ენდობოდა. ბოლოს შარლერუას ბრძოლაში მოჰკლეს. ნაპოლეონმა ძეგლი აუგო

შემდეგი წარწერით: „აქ ასვენია მონა ღვთისა, რუსტომი, დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი, ქართველი—საქართველოდან."

მუსიო შარტრიეს ეს წიგნი გაუყიდია. რაკი მე აღარ გამოვჩნდი, მაგრამ ეს ამბავმა უფრო მეტი დამახარჯვინა. ორი კვირის შემდეგ მე შარლერუას წავედი, ერთ პატარა, კათოლიკურ ეკლესიის გალავანში ძლივს მივაგენი როსტომის საფლავს. თეთრი კვიპაროსების გვირგვინით შემკულ მისი სამარე.

„თავგამეტებულ ქართველ რაინდს, თავმოძულებულ ქართველ პოეტისგან." ასე ეწერა იმ ლენტზე, რომელიც თან ახლდა ჩემს პატარა მოსაკითხს.

ეჰ, მუსიო შარტრიე, თქვენი შვილი ჩვენ როსტომზე ბედნიერი ყოფილა, რომ თავის საფრანგეთისთვის გასწირა თავი.

მდუმარედ ჩამომართვა ხელი მუსიო შარტრიემ. ძლიერ ნაღელიანი იყო იმ დღე და მეც აღვნიშნე იგი სენის გადაღმა ხეტიალით.

მე პარიზში ყოველთვის ისე ვგრძნობ თავს, თითქოს დედამიწას ჩიხზე ვკოცნიდე.

სად უნდა იყოს იგი? მე ვამტკიცებ: დიდი ოპერის მოედანზე. ყოველ 12 საათზე აქ ადამიანებისა და ავტომობილების მოძრაობა ზენიტს აღწევს.

დედამიწის ჭიპი. ჰმ!

აქედან გზები ყოველი მხრით. გზა მოკლე, გზა გრძელი, გზა გაუთავებელი. სამყაროს უმთავრესს ელემენტებს ერთიც უნდა მიემატოს: გზა.

გზა ყველაფერია, და ყველა გზები პარიზს მიდიან. ყველა პარიზზე გადის, ყველა გზა პარიზიდან მიდის. ყველა გზების ცენტრია: პარიზი.

ვისაც გზა დაუკარგავს, ვისაც სამშობლო დაუკარგავს, ყველა პარიზში მოდის.

Capitale du monde. იტყვიან

უსამშობლოთა სამშობლო—პარიზი.

ამ დედამიწის ჭიპს უერთდებიან ათასეული კილომეტრების მანძილზე მიწაზე გართხმული ფოლადის რელსები. აქეთკენ მოისწრაფიან ოკეანის გემები, ჭურებში რომ აფრიალებენ რუხ კვამლის დროშებს.

აქედან და აქეთკენ მიმოჰქრიან ცეპელინები.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი. ბედით კმაყოფილი, მაინც ბედის მაძიებელი.

(აო დავმალავ, ოდნავ ავანტიურის მოყვარული.)

ჩემში ძველი ლაზის სისხლია დარჩენილი. მიტომაც ვერ ვერევა ბღვის ეგოდმყოფობა და ინგლისური სპლინი.

ვღელავ, როცა მსოფლიოს ქარტას თვალს გადავავლებ. (აქედან ჩემი უსაზღვრო სიყვარული გეოგრაფიულ ქარტებისადმი.) დაგეშალ მიმინოსავით ამიტოკდება გული შუალამის ექსპრესის კიეილზე, არც მიმავალ გემსა და ჰაეროპლანს შემიძლია გულდამშვიდებით ვუმზირო.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი. მთელი დღე ვხეტიალებ სენის გადაღმა. ვგრძნობ რალაც გაურკვეველი ფიქრი იბრძვის ჩემში. სიარულის დროს ნჩვეული მოფიქრება. ჩემს ცხოვრებაში ყოველი დიდი ნაბიჯის გადადგმა სიარულის დროს გადამიწყვეტია.

ვიტანჯები ერთ ადგილზე გაჩერებით. მინდა ვიარო გულჯავრიანმა ქვეყნის კიდემდის. მეძახიან ამერიკის ვრცელი პრერიები. მისისიპის წყალი მინდა პეშვით დავლიო. დაკოტას ტყეებში ძუით დავიჭერ ბოლოჩრელ თუთიყუშებს. ფეხით გავიარე ინდიანას, იოკა, ვისკოზინს. ქერა და წითელკანიან ქალებს შევურევ ჩემს კეთილშობილ სისხლს.

აქედან (ფრთხილად, ომნიბუსმა არ გამიტანოს) გზები ოთხივ მხრით, თუ გამძლება მკაცრის სანდალი. ტყეები, პამპასები, თუთიყუშები, ელექტრონის მატუთის ქალაქები მჭვარტლით და კვამლით რომ ახშობენ ფირუზის კამარას.

დიდი ხანია რაც თუთიყუშების ენინი მაქვს გულში (ერთი მათგანი ჩვენს სოფელში რომ მოვიყვანო, ჩვენი სოფლის ბავშებს გავახარებ ვიცი ამ ამბით.)

ჩრდილო და სამხრეთი, დასაელეთი და აღმოსავლეთი. მთელი სამყარო — ჩემი სამშობლოა — ასპარეზი დაულეველი. მირაჟები ვარსკვლავების, ცხოველების, მაიმუნების, ზებრების, ქალების, კაცების მილიონები ყველა სიყვარულით და ღმერთით აღსავსე, ყველას ჩემიანებათ ჩავთვლი. ყველას ვეტყვი: ძმას და მეგობარს. მე მათ ქარხნებში ვიმუშავებ, როგორც ბოგანო, რომელმაც თავი გაიყიდა ლუკმა პურისათვის. ასეთი რამის არაოდეს შემრცხვება, ვიცი. პურს ვერ ვიშოვი? ვისაზრდოვებ თუნდ ძირტკბილათი. გავათევ ღამეებს ფარდულებში, თივის ზვინებში, ან რკინისგზების სადგურებზე, სკვერში, პარკებში.

ერთ წელს ნიუ-ჯორკში დავრჩები თუნდაც, მე უსამშობლო და ვაგაბუნდი.

ხერხის ქარხანა ხომ მიმიღებს, ან საბეინკლო. ღმერთს მოუცია ჯანმრთელობა მტკიცე ფოლადის რკინაღეჭია მშობლებისგან ნაანდერძევი. (ამისთვის ვეტყვი დიდ მადლობას ჩემს მოხუც დედას — სამეგრელოში რომ უზის კერას. დაწოლის დროზე შემავედრებს წმინდა გიორგის და მამას ბედშაეს სამარეში რომ წევს მარტოკა.)

მერმე, პირდაპირ: იაპონია, ძველი ჩინეთი. ნაზ პორცელანის თასით დაველევ სურნელოვან ჩაის. ვეარშიყები გრძელ წამწამიან ჩინელ ქალებს, ცოტას ლაოტზეს ფოლიანტში თუ ჩავიხედავ. მზეზე გავითბობ გათოშილ სხეულს. მერმე იქიდან: ინდოჩინეთი, და ინდოეთი, (ჩემს დიდ წინაპრებს აქ სალაშქროდ უვლიათ კიდეც) მოვინახულებ მოგულთა მეფეების მარმარილოს პალატებს, ბრწყინვალე მეჩეთებს, ეჭამ ნაზ ბანანებს. ვეფხვზე ვინადირებ. სპილოზე შევჯდები. ცოტა სანსკრიტი... უპანიშადებს გადმოვთარგმნი შემდეგ ქართულად ამდენ ხანს ალბად კიდეც მოვა ჩემთან სიბერე. საქართველოსკენ იმავე გზით, როგორც ირაკლი. არა დიდების მომხვეჭელი, არამედ როგორც უსახელო, უბირი, მშრომი. მოვძებნი ეზოს პაპისეულს და დავსახლდები.

მერმე? ვიქნები ფილისტერი ფილისტერთ შორის. სოფლურ ყალიონს კვამაჩაღებ. წისქვილში წავალ. მეზობლის ბავშებს მოუყვები რაც თავს გადა-

მხდა. ვიცი, მიმილებს საქართველოს მხურვალე მიწა. არ დაიშურებს ის ჩემთვისაც კალთას კურთხეულს.

დიახაც ასე. რკოც მოწყენტილი იქ დაეცემა, სადაც ბებერი მუხა წაიქცა.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი, მაგრამ ამ წუთში ომნიბუსმა რომ გამიტანოს, ამბის მომტანსაც ვეღარ ნახავს სოფელში დედა.

მშიშარა არ ვარ, თუმც არც ერთ ომში გამომიჩენია დიდი გმირობა. მიუხედავად ამისა, ავტომობილის გატანილი ადამიანი მაინც მეცოდება. აქ, პარიზში, როგორ უნდა გამოიჩინო კაცმა გმირობა?

არ ვიცი სწორედ! გმირობას არ დავეძებ. ეს ფეხსაცმელი რომ არ მაჭერდეს.

ორი საათი დავრჩენილვარ კაფე „კლოზერი დე ლილასში". 14 სხვა და სხვა გაზეთი გადამითვალიერებია. 5 ჭიქა შერი ბრენდი. ამ გაზეთებში მხოლოდ ავტოს ხიფათებს ეათვალიერებდი. 45 კაცი გაუტანია ამ ერთ კვირაში ავტომობილს.

ეს შოფერები უნდა ჩამოახრჩოს კაცმა მერმე თავში ქვა იხალონ ავტომობილების პატრონებმა: სიტროენმა, ფორდმა, ვალკერმა და ბენცმა. კაფეში ხმაურობა მატულობს. ჩემს იოგველივ ქალები: ახალგაზრდა, ლამაზი: საშუალო, მახინჯი. ნაოჭები სახეებზე, ნაოჭები კაბებზე. ჩემს ირგველივ მოსაუბრე, მომღიმარე სხეული. დედაკაცის სხეულია ფარშავანგივით ბოლო-განიერი და ამაყი. მე არ შემიძლია გულდამშვიდებით ვუმზირო მომღიმარე ქალს, და არსად ქალი ისე არ მაღელვებს, როგორც პარიზში. ქალი აქ ინდივიდუალურად როდია წარმოდგენილი. კოკეტურად მომღიმარე დედაკაცების მასსა ქუჩებში, ფანჯრებში, ავტომობილებში, მიწის ქვეშა მატარებლებში, კაფეებში, მუზეუმებში. უშეელებელი მასსა სილამაზის, პარფემის, სხეულის, ქალის სხეულის, რომელიც გეძახის, გახელებს, სულის მყუდროებას გირღვევს. როგორც საბრალო ტანტალი ყყურებ ამ მასსას. იყავ თუნდ შაჰინ შაჰი, გაიჩინე რამოდენიმე საყვარელი, თუნდ ულამაზესი მათ შორის აიყვანე ხასად, მაინც კმაყოფილი არა ხარ, რადგან ნიშნის მომგები ღიმილით ყოველი ქუჩის შესახვევთან, ტრამვაების სადგურებთან, ყველგან გხვდება ქალების მასსა და იღიმის... ბრაზობს, ენთება, ხელდება შენი მამაკაცური ჟინი.

ახ, იმ თვალებზე უსიტყვო დარდი გაუენებულ ავტომობილიდან, მე-5 სართულის გაღებულ ფანჯრიდან, გზაჯვარედინზე შეხვედრილ ვაგონიდან რომ შემოგხედავს, გაგიღიმებს და გაჰქრება, როგორც ტყის ფერია, ამ მილიონების ზღაპრულ კირმესში. ან ის უშედეგო აღტყინება, შემთხვევით შეხვედრებისაგან რომ დაგრჩება გულში. აქ იგრძნობ ადამიანი: რა ულევია, რა უსაზღვროა ამ ქვეყნის ცდუნება! რა უმწეოა შვენიერზე მონადირის უძღები გული...

საცოდავი ტანტალის პატარა პეშვი!

ქალები ჩემს გვერდით, ჩემს წინ, ჩემს პირდაპირ, ჩემს უკან. მოძრავი, მრგვალი, დაპუდრული კისრები, ლოყები. თვალები: ღია, ცისფერი, მიხაკის ფერი. ლურჯი, რჩხია. სათის თვალები. აქ ვხედავ იტალიის, ესპანიის, საფრანგეთის.

ბალკანეთის მზის ბრწყინვალებას და ნისლიან აისებს, ინგლისის და შოტლანდიის ზღვების ფირუზიარევ კრიალს ქალების თვალებში. ქალები ჩემს ირგვლივ კაფეში.

მე ისე მიყვარს ამ უცხო, უცნობი თვალების შორიდან მზერაც, თითქოს ჩემი საყვარლები. ჩემი ცოლები იყვნენ ისინი—ყოველ წუთს შემეძლოს მათი მოალერსება. მათი მიკუთვნება. ისინი უფრო შომწონს, მათი მოძრაობა, მათი სიცილი უფრო ძაღლებს. ვიდრე იმათ, ვინც მათ გვერდში უსხედან. თეთრი მარმარილოს რგვალ მაგიდებს შემოსხდომიან კმაყოფილი, ღიპიანი, ოქროს ძეწკვიანი ფილისტერები, და ისე აუღელვებლად, დამშვიდებულად ესაუბრებიან, უყურებენ ამ ქალებს, თითქოს ეს ბუნებრივია რომ ისინი მათ ეკუთვნით, დარწმუნებული, რომ ამ ქალებს მათ ვერავინ წაართმევს.

ისინი სქელ, გამშეშებულ კისრებს ვერ აბრუნებენ, არ კი იციან... მე უცხოელი, ვაგაბუნდი პოეტი ამ ქალებს შევცქერი, თითქოს ჩემი ჰარემის მბეჭდები იყვნენ. არ კი იციან, რომ მე ისინი უფრო მიყვარს, ვიდრე ამ ფილისტერებს, ამ ღიპიანებს, ამ ბურჟუებს.

კაფეს საათმა სამჯერ დაჰკრა. „გარსონ, ანგარიში!“ გაპარსული ლაქია მიახლოვდება. იგი უაზროდ იღრიჭება. არ ვიცი რატომ.

— „2 ფრანკი, 33 სანტიმი“.

ჩემს ბიუჯეტს ეს მძიმედ დააწვება. უნდა გამოვტყდე: მე ძლიერ ხშირად მაგიწყდება, რომ ახნაური აღარ ვარ.

ამ კაცს დაჰიებული კბილები ჰქონია. მე ეს გულს მირევს. წავიდე აქედან.

ქუჩაში გამოვდივარ.

ნისლი ეავს დასხმია ქალაქს. მთელი ქუჩები ნისლით დაგუბებულა. იხრჩობა ქალაქი ნისლის წარღვნაში. ნისლი სდგას კარებთან, ნისლი კედლებთან ატუზულა და კანკალებს. მაღაზიების, ბინების, ვაგონების ფანჯრებიდან, ბუნდოვანი სხივის შლეიფები. ავტომობილების გაღვივებული ფარნები ისე ანათებენ, როგორც ავაზაკის ამღვრეული თვალები. ურიცხვი, უთვალავი ავტომობილების, ომნიბუსების, ბისიკლეტების, ტრამვაების ფარნები მიმოჰკრიან ქუჩებში.

ზღაპრული კარნავალი ამ სიბნელეში. ირმის ნახტომის მანძილზე ადამიანების სახეებს ვეღარ ვამჩნევ. ირგვლივ ლანდები საგნების, სახლების, ვაგონების, აფიშების, ბოძების, ბნელი კონტურები. გარშემო ლანდები დალასლასებენ. ღმუილით, ღრუტუნით, ხროტინით, წივილით, უკმურივით დაჰკრიან ავტომობილები.

ადამიანებს სახე აღარ უჩანთ. მათ ტანისამოსს ფერი დაუკარგავს. თალხი ლანდები დალასლასებენ ნისლში ჩაძირულ ქალაქის ქუჩებში. სულ ორიოდე საათის წინ ელავდენ, ბრწყინავდენ ავტომობილების, ვიტრინების შუშები, ქალების ლაკიანი ფეხსაცმელები. ახლა ყველგან ნისლია. ღრუბლებზე და ქუჩებზე მოსეირნე ქალების, ელეგანტური კავალერების ბეწვეულის, ბრილიანტების, ტუფლების კრიალი, უთვალავი ქალების კოკეტური შემოხედვა და

ღიმილი, მოძრაობენ მხოლოდ გროტესკული სილუეტები და პროფილები. მოულოდნელმა გლოვამ მოიცვა ქუჩა.

ზაფხული მომკვდარა, დათალხული ეტლების, ტრამვაების ქარავანი უკლებს რაბიჯს, კლებულობს მოძრაობა, მატულობს ხმაურობა სიგნალების, ფეხის ხმის.

ზაფხული მომკვდარა, და ეს უშველებელი, ადამიანების ლანდების პროკესია თავჩაქინდრული მიყვება უკან ამ საარაკო ყეენობას.

პარკების, სკვერების გვერდით მიედიარ თავჩაქინდრული ვიხედები წაბლებისა და აკაციების ალეებისაკენ, ჯერ კიდევ ამ დილით საფირის ღიმილით როშ მაცილებდენ ომნიბუსში მჯდარს. ხეებს უმწეოთ გაუშვერიათ შტოები ცისკენ, თავები ძირს დაუხრიათ, გულამომჯდარი ბუჯბუტე ენ საშეშოდგომო რეკვიემს და სცვივა ნისლში პარკების ფარდულებზე, ზღუდეებზე და ბილიკებზე ფოთლები უმწეო და ფერდაკარგული.

გზაჯვარედინზე შევდექი. ეუცდი ვიდრემდის ავტომობილების ერთი წყება ჩაივლის და გზას გავკვლევდე. და ვფიქრობ ჩემთვის: ნისლი ამდგარა ყინულოვან ოკეანიდან, ნისლი ამდგარა ზღვების ფსკერებიდან და ამბოხებულა.

ჩრდილოეთიდან მოვიდა ქურდულად, ფეხაკრეფით ზამთრის სუნთქვა და ჩემი გული იკუმშება ვარამისაგან. ახლა, ამ წუთში ალაზანზე შეფენილ ვენახებში გაღვივებული მტევნები თბებიან მზეზე.

სამეგრელოს ჭალებში სიმინდს მოსჩრიდენ და ჩალის გამხმარ ღეროებს გიგანტიური ორკესტრივით აზუზუნებს, აკვნესებს ქარი.

მე რალად მინდა ვიყიალო ამ ქვეყანაზე თუ ჩემ სულს გათოშავს ჩრდილოეთის ნისლი, საქართველოში კი ბევრია მზე და ცის ნაჭერი სმარაგდისფერი.

მე ესეც მეყოფა.

ძლივს მივაღწიე ჩემს ჰოტელს. დარაბებს ვხურავ. ახლავე მინდა დავიძინო, რადგან არ შემიძლია ფანჯრებში გახედვა. მსახურმა ახალი ფოსტა შემომიტანა. სპარსეთის კონსული ალი-მირზა-ხანის სადარბაზო ბარათი. კონსული და მისი მეუღლე მთხოვენ ვახშამზე ვეწვიო... ახ. მეზარება ისევ ქუჩაში გასვლა.

3. „დიონისოს მეორედ მოსვლა".

ოცა მაჰმადიანებთან დაახლოება მიხდება, ყოველთვის რაღაც ბადი მრჩება გულში. მრცხვენია კიდეც მეგობრული ტონით ველაპარაკო იმათ, ვისი წინაპრები ჩვენი მოსისხარი მტრები ყოფილან. რაც გნებავთ დაარქვით ამ გრძნობას: შეზღუდულობა, ატავიზმი. ჩემში ყველაფერზე ხმამაღლა სისხლი მეტყველებს.

ჰმ, სისხლში დიდი მისტერიაა. სისხლი ამოძრავებს მსოფლიოს მაჯისცემას: სისხლი აკავშირებს, სისხლი სთიშავს. მიუხედავად ამისა მუსულმანებში მე შენიშნეული მაქვს დიდი სინაზე, ძველი კულტურის სიჭარბე. მერმე, უცხოეთში ამ

სისხლის ხმა ნელდება ოდნავ. ასე ვფიქრობდი იმ წუთშიაც, როცა სენტ-ჰონორეს ქუჩაზე—სპარსეთის კონსულის ბინის ელექტროხის ზარას ხელი დავაჭირე.

ალი მირზახანის სალონი ცენტრალური პუნქტია ყველა იმ ევროპიელების, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ აღმოსავლეთთან. მის ოჯახში ხშირად ნამდვილი აღმოსავლეთის ქაოსია მინიატიურაში წარმოდგენილი. ვერც ერთ ევროპიულ სალონში კერ ნახავთ სხვა და სხვა პროფესიის, ეროვნების, გემოვნების, აზროვნების ადამიანების აღრევას. ევროპიულ ცხოვრებაში უკვე მომხდარა კრისტალიზაცია, საზოგადოება კასტებადაა დაყოფილი.

ხელგაშლილი აღმოსავლური პურმარილი, სადა, წრფელი მიღება.

პარიზის ჯადოსნური ძალა! დედამიწის ზურგზე თუ არის ისეთი ქალაქი, როგორც პარიზი, რომელიც ამდენ ბალასტს იღებს მილიონ უცხოელის პირისა და ხელისაგან, მაგრამ მაინც ნაციონალური პარიზული სული ყველას ინელებს.

მართლაც: გოლუას მამლის კუჭი ძლიერ მაგარი ყოფილა!..

ყოველი უცხოელი, პარიზელი გრუნდება პარიზიდან. ალი-მირზა ხან პარიზშია სულ ოციოდე წელი, თვით კონსერვატიულ, პატრიარქალურ აღმოსავლეთის ნაშიერს მორევია ის სენი, რომელსაც პარიზულ სულს ეძახიან. მის ოჯახში ავეჯის მეტი არაფერია სპარსული. სპარსელობა მაღალი ფირმაა, რომელიც მეტ ინტერესს აძლევს მის სალონს. უკანასკნელ ხანებში ევროპაში კარგი ტონის ნიშანია აღმოსავლეთზე ლაპარაკი, ამიტომაც ეტანებიან მირზა ხანის სალონს პარიზელი პოეტები, მხატვრები, სალონის დამები, ჟურნალისტები, ბირჟის მაკლერები, მეთამბაქოები, ყველა, ეკზოტიკის მეგობრები. ხოლო ასეთნი პარიზში აროდეს გამოილევა...

მისაღები სალონის კარებთან სახეში შემომანათა ჯენეტ ხანუმის სადაფით თეთრი კბილების ელვარებამ, სადარბაზო ისე გაციარეთ მე ვერც კი მოვახერხე ბოდიში მეთქვა დასახლისისათვის, რომ ამდენ ხანს არ შოვინახულე.

მე ვფიქრობ: ჯენეტ ხანუმი ოდნავ გამოცვლილა. მის სახეს რაღაც იდუმალი დარდის იერი გადაჰკვრია. თვალების ჩრდილები გაღრმავებია, თუმცა ეს მომეტებულ სინაზეს აძლევს მის ფართე უმოძრაო, მელანქოლიურ თვალებს.

წინა ოთახში ღვინისფერ კედლებზე ალეგორიული არაბესკები, ათას ერთი ღამიდან აღებული მოტივებით. პირველი ზალის კედლებზე იტალიანური ლანდშაფტები, ვერონის, ვენეციის მხარეები. ვრცელი მინდვრები თავკოლგიანი პინიების ჩრდილებით, შიგა და შიგ ძველი ციხეები, სასახლეები, ნანგრევები, თეთრი ქვა გამოკრთის მწვანე და ცისფერ ფონზე. კარების თავებზე: აზიის, აფრიკის, ევროპის სანახები, წყალვარდნილები, მინდვრები. სასტუმროში ფართე, განიერ ფანჯრებს შორის უშველებელი ვენეციური სარკეები, მოოქვრილი როკოკოს ჩარჩოებით. სპარსული დარბაზი განიერი ხალებით, ფარდაგებით, ტეკინის ნოხებით მოფენილი, კედლებზე ნაირ ნაირი ძველი ჯაზიერები, ხმლები, შუბარადები, ჯაჭვის პერანგები, უცნობი სპარსული მხატვრების სურათები: ლომები, რაინდები ტანწერწეტა მწევრები, სპარსელი ვაჟები და ქალები გრძელ კაბებში, რომელიღაც შაჰინ შაჰის ნადირობა, რომელიღაც ციხის აღება მუზარადიან შუბოსნებით,

მიერ. სკამები, კარადები, ოტომანები ყველგან შავი საფიანით გადაკრული მუჭა მაჰაგონდა როკოკო.

სპარსულ დარბაზში, ოტომანებში, დაბალ აღმოსავლურ ტახტებზე ზოგი ევროპიულის, ზოგი აღმოსავლური წესით ისხდენ სტუმრები, ქალები და კაცები. ოსმალეთის ელჩი პარიზში იშმეტ ბეჯ, იტალიის საელჩოს სამხედრო ატაშე მაიორ სკორტა, მარჯვენა მკერდზე უამრავი ორდენების ცისფერი ლენტები აქვს გამწკრივებული, შვეიცარიელი კბილის ექიმი ქალი მადმუაზელ ლორენც, ახალ მოდაზე თმა შეკრეჭილი, სანახევროდ მამაკაცურ კოსტუმში, ნახევრად სპირიტისტი, ნახევრად სუფრაეტა, (ფართე, წ ნ წამოწეული ცხენის კბილები უჩანს ღიმილის დროს) დოქტორ რაიმერ პრაიზელი გერმანულ საელჩოს დრაგომანი, რომელსაც სალონში უსაშველო პოლიგნოტის სახელი აქვს გავარდნილი—იგი ყურადღებას იქცევს იმითი, რომ 26 ენაზე ლაპარაკობს თურმე და სტუდენტობის დუელისაგან ისე დაჩეხილი აქვს სახე, თითქოს ყოველ წელს შახსეჯ-ვახსეჯში ღებულობდეს მონაწილეობას. დიდი პანგერმანისტი. პოლიტიკაზე იშვიათად ლაპარაკობს.

მისის ბლუტ, ამერიკელი ქვეყერების საზოგადოების მდიანი. ფილანტროპი. პაციფისტი. მუდამ დამშეულ გერმანელ ბავშვებზე ლაპარაკობს, გერმანიაში არ მიდის, რადგან ვერ გაშორებია თავის „რეზიდენციას"—პარიზს.

— „იცრობდეთ, მადამ ფან სტაუნ." მიმიშვირა ჯენეტ ხანუმმა ლურჯ-თვალებიან, ჰორეფლიან ქალზე, რომელსაც პირველ ორ სიტყვაზე ეტყობა ჰოლანდიელი უნდა იყოს. მადამ ფან სტაუნს გრანდამის აღნაგობა აქვს, (თავის ენებიან, ფართე თვალებს ისე შეაშტერებს მამაკაცს, რომ თვალები ამხელენ მის ხვაშიადს). მის გვერდით ჩემი ნაცნობი—სქელკისრიანი, მთლად გაწითლებული. მელოტი, მსუქანი კაცი, უშველებელი ციგარით პირში. (მოკლე, მსხვილ თითებზე მოზრდილი ბრილიანტები). ფრანგების აღმოსავლეთ არმიის ინტენდანტი. მუსაო ფან სტაუნს, ზედვე ეტყობა, მან შეიმატა ის აურაცხელი სისხლი, საფრანგეთმა რომ დაჰკარგა სხვა და სხვა ფრონტზე.

— „ესეც თქვენი კოლეგა ფრანგი პოეტი რაჰმონ მენჯე, მაცნობს ღიმილით ჯენეტი საშუალო ტანის გრძელ კულულებიან მამაკაცს, ნაპოლეონ მესამისებური წვერით, იგი ნაცრისფერ კოსტიუმში თეთრი ყორანივით მოსჩანს ამ ფრაკიან საზოგადოებაში. ჯენეტ ხანუმი ამბობს: იგი ერთვარი „ლიცენციატ პოეტიკით" სარგებლობს, უფრაკოდ რომ დადის მის სალონში. მენჯე სახით საოცრად მაგონებს ალფრედ დე მუსეს. მის გვერდით ებრაელი ჟურნალისტი დოქტორ როშერ. რადიკალურად მოაზროვნე რატომღაც პაიფცისტს ეძახის თავს თანაგრძნობით იხსენიებს რუს კომუნისტებს.

მაჰაგონის მრგვალ მაგიდას უსხედან და საიდუმლო გამომეტყველებით ხმადაბლა საუბრობენ; კონსული ალი მირზა ხან, ხანში შესული, ოქროს სათვალებიანი. ანგორელი კაპიტანი იშმეტ ბეჯ, ბრგე, წარმოსადგენი ვაჟკაცი, (ჭართველს წააგავს ოდნავ): ბებერი, თეთრ ჩალმიანი სპარსელი შერიტ ყული ხან მშვიდი, სათნო სახის, ცოტას ლაპარაკობს, მაჭარბაგიანი მოუბარი, ლაპარაკის დროს ისე ნაბავს თვალებს, თითქოს ომარ ქაჯანს კითხულობდეს. ხშირად ხელს ისობს გრძელ, თეთრ წვერზე. მან აღმოსავლური სალამი მომცა. მეც ყველაზე

შეტის თანაგრძნობით მას მიეესალმე. თამბაქოს მოსაწევ სალონიდან შემოვიდა შაარჩეჩიანი, ლამაზი ვაჟი, ძლიერ მოთენთილი სახით, ჩერქეზი — ხალილბეგ, ინგლისურად შეკნაჭულ პატარა, შავ ულვაშებით. მისაღებ ოთახიდან კიდევ შემოვიდენ სტუმრები: ყველაზე წინ კაპიტან დოაზახ თავის ცოლით და დებით. კაპიტანი ელვის სისწრაფით მიიჭრა დიასახლისთან და ხელზე ემთხვია. დამებს შემოჰყვენ: პარიზელი ბირჟის მაკლერი შენჯე, (მას სულმთლად ოქროს ჯბილები აქვს პირში), ელზასელი ინჟინერი დრეერი. მუსიო ვილარ, თამბაქოს ქარხნის დირექტორი სამსონში; თავის ქვეჯასავით დაბალი, მუხლუხასავით დამრგვალებულ მეუღლით, რომლის ბრილიანტები თითებზე და მკერდზე გასაოცრად კაშკაშებენ ელექტროს შუქზე. მადამ ვილარს მოსდევდა წინდახედული ნაბიჯით ალჟიელი მონებით მოვაჭრე მუსიო დე ჟარდინიე, დე ჟარდინიეს თან ახლავს თავისი ტანმორჩილი ცოლი, როკოკოს დროდს ტიპიური სახით. გრძელი, შავი საყურეებით. მას ანგელოზივით საღონო გამომეტყველება აქვს... როცა მადამ დე ჟარდინიე საცარძლიდან წამომდგარ დიასახლისთან მივიდა, იგი ერთბაშად დაიჩრდილა ჯენეტის სიახლოვით. მე თვალი მოვკარი მის შვენიერ თეთრ მხრებს.

ახალმოსულთა შორის ეროა რამოდენიმე ტანმორჩილი ფრანგის ქალი, ერთნი: პალმა ვეკხიოსებური ვნებიანი თვალებით, რგვალი ნიკაპებით, რგვალი. დასრულებული, თეთრი სახსრებით, შეკნიერი, გრძელი თითებით, სხვანიც ეშხიანი. მწველი შავი თვალებით, რომელთა ბადალს იტალიაში ან სამეგრელოში თუ შეეყრებით. ეროიც მაღალი, ლურჯთვალებიანი შოტლანდიელი ქალი. მე მას ამ სალონში წინადაც შევხვედრივარ. მაგრამ სახელი არ მახსოვს, ისევე ახოვანი მისი და, ორივე ადრიანის რომის ქალების ტიპი. მთლად ხორცი, მთლად ენება, ჩალისფერი მდიდარი თმა ძძისფერ სხეულზე. მათ შორის ყურადღებას იქცევს უფრო ძველი სისხლი: ფართე თვალები. ცხელი, ვნებიანი ორიენტი სუნთქავს მათი შინდისფრად შეღებილ ტუჩებიდან. ეს პარიზელი ებრაელი ქალები უნდა იყვნენ. მათ ემარჯვებათ პარიზული შიკის გამოჩენა, ალმოსაელური ვნების გრძელ წამწვიმების ჩრდილქვეშ მიჩქმალვა. ზედვე ეტყობათ: მათ გაზაფხულს გადაუელია, მაგრამ პარიზის ოსტატური კოსმეტიკა იკავებს მათ სახეებზე პირველი ვნების მდუღარებას, პირველი გაფურჩქვნის კდემამოსილებას. ვინც ქალის სილამაზეს ისევე შეჰყურებს, როგორც ხელოვნურ ნაწარმოებს. იგი ადვილად გაარჩევს მათ სილამაზეში ძველ ტილოს და ახალ ფერადებს.

სალონის ერთ კუთხეში ორი ქალი ლაპარაკობს ვიღაც ფრანგის არისტოკრატის ცოლზე. რომელიც „ეჭვიანობის“ მომიზეზებით დაუჭრია თავის შოფერს, სჯდანელ ზანგს. მეორე კუთხეში როიალს მოსხდომია მაიორ სკორტა და მადამ დე ჟარდინიე ოთხხელად უკრავენ. ანტრაქტებში მისის ბლუტ ხმამაღლა კითხულობს ჟან შორეას ახალ სონეტებს.

მე ფრთხილად გავიარე საცარძლებში უწესრიგოდ დამსხდარ სტუმრების ოიგი, დიასახლისს მივუახლოვდი.

ჯენეტი მისაყვედურებს, რომ პარიზში დავივიწყე ჩვენი ტფილისელი კარგი ნაცნობობა.

— „თუმცა“, ამბობს ჯენეტი, „პარიზში ადამიანი გულციცი ხდება“. ჯენეტი ძლიერ უჩივის პარიზს. იგი ჯერაც ვერ შეგუებია აქაურ, მარტივით ცვალებად ბუნებას.

— „პარიზიც რომ არ იყოს, ალი მირზა ხანი მონტე კარლოს როგორ მიატოვებს. ვერც თამაზი მყავს კარგად“.

— „უკაცრავად ხანუმ, სად არის თამაზი, იგი ახლა მოზრდილი იქნება.

— თამაზი მეთოთხმეტეში გადავიდა, კოლეჟშია.

პარიზი მისი ჯანმთელობისათვისაც ვერაა კარგი“ პაუზა.

„მეშვიდე წელია ტფილისში არ ვყოფილვართ. თამაზს ბუნდოვანად ახსოვს ტფილისი. სულ მეკითხება დიდედასთან როდის წამიყვანო, რამდენი მზეა იქ.. ღმერთო... მომკლა ამ ნისლებმა, წვიმებმა, მოწყენილმა ცამ... ხომ ხედავთ მე როგორ გავხდი.“

— „გახდომა გიხდებათ ხანუმ.“

— „ნუთუ? მეკითხება იგი კოკეტურად. თვალები ძირს დაჰხარა.

მსახური შემოვიდა, რაღაც წასჩურჩულა დიასახლისს. მარტო დარჩენა ვერ მოვასწარი, მომპარავი სიარულით მიახლოვდება დოქტორ როშერი, რატომღაც ჭრიად ფამილარული ტონით იწყებს საუბარს. (თანაც ცალ ხელს მხარზე მადებს).

— „წაიკითხეთ ტანში კრასინის მოგონება? „ერესეფესერს“ მალე მთელი ევროპა იცნობს. Je vous assure, je vous assure“.*).

მე უკან ვიხევ, თავს ვითავისუფლებ მისი ხელისაგან. გაჩუმებული თავს ვუქნევ თანხმობის ნიშნად. როშერი ტყვიისმფრქვეველიებით მაყრის სიტყვებს, ფრაზებს. იგი მელაპარაკება ლლოიდ ჯორჯის და კვირზონის პოლიტიკაზე. (თანაც უკანასკნელს ინგლისური აქცენტით გამოსთქვამს: „ქოერზნ“).—„სე პოლიტიკა აბსოლუტურად გაკოტრდა.. მალე საფრანგეთსაც მეჰარცხენე ბლოკი ჩაიგდებს ხელში.

ბურჟუაზია დაღუპავს ევროპის დიდ კულტურას... შეუძლებელია ძველ ფუნდამენტზე შეიმაგროს მან თავი უკანასკნელ ომის შემდეგ. რაც შეეხება იტალიას და ისპანიას, „მონ შერ ამი“ თქვენ უკეთ იცით, ეს ორი მხარე აღმოსავლეთია, პირწმინდა აღმოსავლეთი. იქ მუდამ ტირანია ყოფილა და იქნება.

მუსოლინი ვერ მისცემს ევროპას ახალ პოლიტიკურ რელიგიას, რადგან იტალია ყველაზე ჩამორჩენილი მხარეა ევროპაში. ნაპოლეონი? იგი იტალიაში პატარა კაპორალი დარჩებოდა, საფრანგეთის მაღალ პედესტალზე გამოჩნდა ბონოპარტე“. ჩვენს საუბარს პოეტი მენჯე შემოუერთდა. იგი აპოლიტიკოსობს, მაგრამ ცალი ფეხი პოლიტიკაში აქვს. მენჯე თავისთავს ორიენტალისტს ეძახის, თუმცა არც ერთი აღმოსავლური ენა არ იცის, ომარ ჰაიამს და ფირდუსს როგორღაც მაინც სთარგმნის. სამაგიეროდ „აღმოსავლეთის მეგობართა საზოგადოების“ წევრია და ჟურნალ აზიატიკის მუდმივი თან.მშრომელი. მენჯე უარყოფს ევროპაში ყველაფერს, გარდა ფრანგული რომანტიზმისა, თაყვანს სცემს ინდოეთს და სპარსეთს.

*) მე თქვენ გარწმუნებთ.

— „საქმე ჩამორჩენაზედაც არ არის“, ჩაერია მენჯე ჩვენს საუბარში. „განა უკეცმა, ბინძურმა, ჩამორჩენილმა იუდეამ არ მისცა ქვეყანას ახალი მესია“?

— „მე მაინც ვფიქრობ „მონ შერ დოქტორ“ განაგრძობს მენჯე, ბოლოს და ბოლოს ახალი შუქიც აღმოსავლეთიდან უნდა მოვიდეს. ევროპაში გაუგონარი კრიზისია. სოციალურად, კულტურულად, პოლიტიკურად. კაპიტალიზმის საშინელი ქაოსის კრისტალიზაციაა საჭირო. კულტურა მხოლოდ კრისტალებშია მოცემული, ევროპაში ახალი იდეური სისხლის აღრევა უნდა მოხდეს“.

— „მაგრამ არა ამერიკანიზმის საშუალებით“. ჩაუმატა დოქტორ როშერმა.

— „არა“, დაეთანხმა მენჯე.

— „ისევე როგორც საშუალო საუკუნეში. აბა რა იქნებოდა ევროპა სიცილიისა და მავრების სამეფოებში—„აღმოსავლეთისგან არ ესესხებიათ სისხლი და იდეა?. ხომ გახსოვთ არაბული კულტურის როლი ევროპიულ რენესანსში?. სისულელეა ვისაც ჰგონია, რომ იტალიანური რენესანსი მხოლოდ ბერძნულ-რომაულ ნიადაგზე წარმოიშვა.

სიმპტომები? რამდენიც გნებავთ, დღეს საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში მომეტებულის ინტერესით სწავლობენ სანსკრიტს, სპარსულს, ასურულს, უამრავი ახალი თარგმაები ყველა ევროპიულ ენაზე ჩინეთის, სპარსეთის, ინდოეთის, იაპონიის პოეზიიდან, ხომ იცით, პოეზია მიუძღვება წინ ისტორიულ პროცესებს.

La Poesie avant toute choses, n, est ce pas?“ *) დოქტორ როშერმა მოიწყინა. მას არ ემარჯვება სხვისი ყურის კდება, რადგან თვითონ ლაპარაკობს მუდამ. ჩვენი საუბარი ევროპის ახალ ხელოვნებას გადასწვდა.

— „ის, ოაც ჩვენს ხელოვნებაში ხდება, გაუგონარი რამეა. Ce quelque chose formidable, ცხარობს მენჯე „პოეზია რითმის აკრობატობათ გადააქციეს, სიტყვა ჰქრება უაზრო რითმების კორიანტელში, სიტყვა კვდება თეატრში, თეატრი ცირკისა და სინემატოგრაფის კენ მიდის, მხატვრობა ისტერიულ ფერადების ძებნით იშრიტება, ყველგან მაიმუნური აკრობატობა, ჟონგლიორობა, მუსიკის დეკადანსი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო, ის რაც ჩვენ გვაქვს უფრო ფოკუს პოკუსის მუსიკაა. ჩვენ არა გვყავს დღეს არც ერთი დიდი ლირიკოსი, არც ერთი დიდი რომანისტი, არც ერთი დიდი ტონის ხელოვანი, ლირიკას მაიცნ ყველაზე ცუდი ბედი ეწვია, არ გამართლდა ჩვენი იმედი ნეორომანტიზმის აღორძინების, შესახებ ან რა რომანტიზმი შეიძლება ისეთ ევროპაში, სადაც ადამიანი პლაკატებში, კარტონებში, მაშინებში იხრჩობა. ადამიანი მაშინის მონა გახდა. ადამიანის პიროვნება მოკვდა ქაოტიურ კაპიტალიზმის ორგიებში.

პოეზიაში, ლიტერატურაში, მხატვრობაში, მუსიკაში, ყველგან მეტი ჟონგლიორობა, მეტი ტყუილი, ნაკლები გულწრფელი პათოსი და გმირული გრძნობა.

„ოსკარ უალდს მიუძღვის ამ მხრით უდიდესი ცოდვა,“ განაგრძო პროკურორის ტონით მენჯემ. „ხელოვნება ლამაზი ტყუილი როდია, არამედ—გალამაზებული სინამდვილე, გალამაზებული სიმახინჯე თუ გნებავთ. სტყუის თანამედროვე მწე-

*) პოეზია უწინარეს ყოვლისა, არა?.

რალი, მან სინამდვილე უარყო, იგი ისტერიულ ტანჯვა-გრეხაში ეძიებს ახალ თემებს, ახალ სიტყვებს, მაგრამ სადაც ახალი, ჰარბი, წრფელი გრძნობა არ არის, იქ არც ახალი სიტყვა დაიბადება".

— „მაგრამ ეროსი თვით სიტყვაშია მოცემული", შევნიშნე მე.

— „არა „შონ შერამი" წინააღმდეგ, ეროსმა შვა სიტყვა, სინამდვილის ეროტიკამ წარმოშვა სიტყვა."

— „....მაგრამ იოჰანეს გამოცხადება?. პირველითგანვე იყო სიტყვა?".

— „იმოწმეთ ვინც გნებავთ, მე არ მწამს სიტყვის თავისთავადი წარმოშობა".

— „თქვენ დაგავიწყდათ დევიზი: ხელოვნება ხელოვნებისთვის!" კვლავ ჩაერია დოქტორ როშერი.

— „სისულელეა. წინააღმდეგ. ხელოვნება ცხოვრებისათვის. ხელოვნება ნათელი მეტეორია მილიონების გზის მაჩვენებელი, არა უნაყოფო ესთეტების სალაყბო. პოეტი არწივია—ეთერისაკენ, სინათლისაკენ რომ აიტაცა ძვეშის მიჯნური. ჩვენი დროის პოეტები—საცოდავი ყვერულებია, სხვისი წიწილებისთვის დაჭირავებული გადიები, სხვისი იდეების გამომჩეკი".

— „მერმე რატომ?"

— „რადგან მათ პოეზია არა აქვთ. დღევანდელი პოეტი ყოველ ფილისტერზე უფრო დიდი ფილისტერია. ამ ესთეტებმა რაღაც ახირებული—მშვენიერების მეზოსტნეების კასტა შეჰქმნეს. ჯერ კაცი უნდა გახდე, როგორც ბალზაკი, სპორტსმენი როგორც სოფოკლეს, კონტრაბანდისტი, როგორც რემბო, თუნდაც რევოლუციონერი „ქვეყნის დამქცევი" როგორც რობესპიერი იყავი ვინც გინდა, მაგრამ აღტყინებული კაცი. ყველა ხუთი გრძნობის მჭონე, ენებიანი ფანატიკოსი, რადგან ენებაა კაცის დამამშვენებელი, ეს თუ ხარ მერმე ექნება შენს სიტყვას ფოლადი. შემოქმედება მხოლოდ ცხოვრების ანტრაქტებშია შესაძლებელი.

ნიცშე, დოსტოევსკი, პოლდერლინი, შილლერი შიმშილს, ეპილეპსიას, სიგიჟეს, ჭლექს ებრძოდენ, ისე სწერდენ. ამოუყენეთ მათ გვერდში პარიზის, ლონდონის, ბერლინის ყავახანებსა და სალონებში მოხეტიალე მაძღარი პოეტები, რომელნიც სტრიქონებისა და მათთვის მიღებულ გროშების თელას უნდებიან".

— „ასეა. ჩვენმა დრომ მოიტანა... ეს პროფესიონალი პოეტები", შენიშნა დოქტორ როშერმა.

— „ხა. ხა. ხა. უფრო პროფესიონალი ჯამბაზები. პროფესიონალი ონანისტები. არა?"

— „ისინი თავიანთ იდეურ სილატაკეს ბნელი გამოთქმით, რითმების უაზრო ჩხაკუნით მალავენ, თავიანთ უგულობას—საფოლაქეებში გარჯობილ ნარგიზებით. ამიტომაც... ეს გაუვალი პესიმიზმი, ეს სამშინელი მცდარის სუნი ევროპის პოეზიაში, თეატრებში. მხატვრობაში. Something is roten in the stat of Daremark".*)

*) რაღაც აყოლდა ღამეს სახელმწიფოში.

— „ეს ბურჟუაზიის ლეში უნდა იყოს". შენიშნა კიდევ დოქტორ როშერმა.

— „ვისიც არ უნდა იყოს ამ ლეშს გარედ უნდა გატანა."

— „ყველაფერზე გეთანხმები, მაგრამ აღმოსავლეთზე აჭარბებ,—ეთხრა მენაღეს დოქტორ როშერმა. ჩვენ ალბად არ ვიცნობთ აღმოსავლეთს. მიტომაც ეგზომ გადაჭარბებულ იმედს ვამყარებთ მასზე".

ამასობაში მომღიმარე ჯენეტი შემოვიდა ჩვენ შორის.

— „რაზედ ცხარობთ ახალგაზდებო? დოქტორ როშერი ბუდამ პოლიტიკაზე ლაპარაკობს".

— არ მოგწყინდათ ეს პოლიტიკა? მე გეტყვით უკეთესს: ინგლისელი ცხენი ჰექტორი, ამერიკაში დაუმარცხებიათ. წაიკითხეთ ამ საღამოს „პარი სუარში". ეს ამბავი მთელ სალონს მოედო. სტუმრებში საშინელი პანიკა გამოიწვია.

მაიორ სკორტა გველნაკბენივით წამოიჭრა საავარძლიდან: „რას ამბობთ, მართლა"? წამოიძახა. ქვასანაყივით რგვალ მუსჯო ფონ სტაუნსაც არ დაეზარა ადგომა, დიასახლისთან მიიკრა, სერიოზული სახით შეაჩერდა და მხოლოდ ამის თქმა მოასწრო: „Ce domage". *)

— ჩემს თამაზაც ძლიერ დააინტერესებს ეს ამბავი, —მითხრა ხმადაბლა ჯენეტმა.—იგი პირდაპირ შეშლილია ცხენებზე. მუდამ დოლზე რომ ამყოფო, არ მოსწყინდება. მთელი ქვეყანა დოლად აქვს წარმოდგენილი. ამასწინად ჩვენს შოფერს გაჰკოლოდა უჩემოდ, გაცივდა".

— „ქართულ-სპარსული სისხლია ხანუმ. რას იზამთ. გარდა ამისა, ისეთი თაობა მოდის, ვგონებ სპორტის მეტი არაფერი დააინტერესებს".

— „მართლაც, მეც ეგრე მჯონია, დამემოწმა ჯენეტ ხანუმი. მერმე, ჩემი მამა, ბაბუა, პაპა, ყველანი კარგი კავალერისტები ყოფილან".

— „ცხადია, ქართველი ათაბეგების შთამომავალნი..."

ჯენეტ ხანუმმა ბოდიში მოიხადა, სალონის კუთხეში შეჯგუფულ სტუმრებს მიუახლოვდა, აქ მთელი წრე უსმენდა მისის ბლუტს. იგი ლაპარაკის დროს ვაჟივით ისწორებს შუბლზე ჩამოვარდნილ კულულებს. ჰექტორის დამარცხების შესახებ ლაპარაკობს, თანაც კაპიტან დოაზანს შეჰყურებს, თითქოს მის მეტი არავინ უსმენდეს.

— „ეს სიმპტომატიურია კეპტენ! ჰექტორის დამარცხება, ამერიკის ძომაელის გამარჯვებას მოასწავებს. ჰექტორი მთელი ევროპის „ჩემპიონი" იყო. მე თუმც ათ წელზე მეტია, რაც კონტინენტზე ვცხოვრობ, მაგრამ ვხედავ, ამერიკა გიგანტიური ნაბიჯით წავიდა წინ. თქვენ ნახავთ, მალე ევროპა ისეთივე სიძველეთა მუზეუმად გადაიქცევა, როგორც რომი და ჰელა. ჯენეტის დანახვაზე კაპიტან დოაზანი ხელიდან დაელალა მისს ბლუტს, ჯენეტს ხელი გაუკრა. ისინი სუფრის შორი-ახლო მოშორებით დასხდენ შაგრენის სავარძლებში და ხმადაბლა საუბარი დაიწყეს.

მე მთელი საღამო ვეძებდი შემთხვევას ჯენეტთან მესაუბრნა tête a tête. ამიტომაც ავენთე ბრაზისგან. კაპიტან დოაზანი არ ისვენებდა დრო-გამოშვებით

*) სამწუხაროა.

პირი ჯენეტის ყურთან მიჰქონდა და რაღაც საიდუმლო გამომეტყველებით ესაუბრებოდა.

მე ბურგუნდის ღვინით გავავსე ჩემი ბაკალი და ხალილ ბეჯს ჰიქას შევახალე. ხალილ ბეჯს ბაკალი გატყდა. ღვინო სუფრაზე დაიღვარა.

შევწუხდი. ჯენეტი ადგა. ჩვენთან მოვიდა. მანუგეშებდა, რომ ეს არც ისე დიდი უბედურებაა.

— „თქვენი ბრალია ხანუმ. წავიბუტბუტე".

— „ნუ თუ"? ჯენეტი ისევ კაპიტან დოაზანის გვერდით დაჯდა.

— „კი მაგრამ... — ეუბნება მისის ბლუტს პოეტი მენჯე, ეს ყველაფერი ცივილიზაციაა... კულტურა? სული?"

— „იცით მისტერ მენჯე, ამერიკას ერთიც აქვს და მეორეც. მხოლოდ დანახვა უნდა მათ. განა ბრუკლინის ხიდი, ველსტრიტის 60 სართულიანები კულტურა არ არის? განა ამერიკის ფენომანალურ ტეხნიკაში, ინდუსტრიაში სული არ არის"?

— „გარდა ამისა მისის, იკითხა კაპიტან დოაზანმა, ამერიკა ხომ ერთი ნაცია არ არის? აი ეს აკლია ამერიკას იმისთვის, რომ ერთი კულტურა, ერთი სული ექნეს".

— „არც ეგაა სწორი".

— „ომის შემდეგ ჩრდილო ამერიკაში სრულიად გარკვეული ამერიკანიზაციის ტენდენცია ტარდება".

— „მართალია", დაემოწმა დოქტორ რაჰმერ. „უკანასკნელ წლებში საშინელის სიჩქარით ხდება იმ ოცი მილიონი გერმანელის ამერიკანიზაცია, რომელნიც ოკეანიის გადაღმა არიან გადახიზნული".

— „ეჰ, გერმანელებს ნაციონალური გამძლეობა არ აქვთ, მათ აკლიათ ერთგვარი შეუვალობა უცხო კულტურის მიმართ. თუ ეს შეუვალობა არა აქვს ერს, ის ადვილად გაითქვიფება." შენიშნა იტალიელმა მაიორმა.

— „თქვენ გგონიათ"? ჩაილაპარაკა დოქტორ რაჰმერმა, ისედაც დაჩეხილი სახე მთლად დაემანჭა.

— „როგორც ვხედავ ამერიკა ყველას მოინელებს, ევროპასაც და იაპონიასაც, ათიოდე წლის შემდეგ იქნება ერთი ძლიერი ამერიკის ნაცია". ამბობს მოკრძალებული ტონით ჩალმიანი სპარსელი შერიტ ხანი.

მახლობელ დარბაზიდან სიმებიანი ორკესტრის ხმა ისმის. იქ უკვე უენსტეპი გაეჩაღებიათ. ამ დარბაზში დარჩენ მხოლოდ შერიტ ხან, იზმიტ ბეჯ, მირზა ხან და ორიოდე გვიან მოსული ხნიერი დამა. უკვე ცეკვისაგან ლოყები შეწითლებოდათ: მადამ ფან სტაუნს, შოტლანდიელ მისს და მის დას. მისის ბლუტ ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს უენ სტეპშიაც. ტანმორჩილი პარიზელი ებრაელი ქალები ფაშატებიით ხტოდენ. მადამ დოაზან—ინჟენერ დრეერთან, მადამ დე ჟარდინიე—მაჟორ კორტასთან: ახმახი კავალერი აღელვებული შეჰყურებდა კოპწია მადამ დე ჟარდინიეს სათნო, ანგელოზისებურ სახეს, ჯენეტი კაპიტან დოაზანთან ცეკვავდა, როკავდა ჯენეტის ტანი—ქარისაგან ატოკებული ნაძვი ურთხელებს შორის. მუსიკა ფან სტაუნ თავის მოკლე, მსხვილ ფეხებს ერთ ადგილზე აბაკუნებდა და ქადაგადდაეარღნილივით შესცქეროდა თავის ახოვან დამას: შოტლანდიელ მისს, რომლის მინანქარივით თეთრ ლოყაზე შინდისფერი ალმური კრთოდა.

— „რა შეუფერებელი წყვილია“! წამჩურჩულა ღიმილით ჩერქეზმა ხალილ ბეჯმ, რომელიც ჩემს გვერდით აღმოჩნდა შემთხვევით...

— „იცით, როცა მამაკაცს ცეკვა ემარჯვება, თურმე გონება ჩლუნგი აქვს“, ვეუბნები ირონიით ხალილ ბეჯს, ფან სტაუნის დათვურ მანერებსა და მიხვრა-მოხვრას ვაკვირდებით.

— „ჰ, ეს უდროობის კაცია, თორემ არც გონება აქვს მას ზედმეტად ბრწყინვალე. სპეკულიანტობას რა დიდი გონება უნდა. მუსიო ფან ს ჯაუნი ომამდის დასტორგის ქუჩის კუთხეში ბანანებს ყიდდა. ახლა პარიზის ბირჟის ლომია. შარშან დავდიოდი მათსას. ბ. ფან სტაუნის პორტრეტს ვხატავდი. ხომ იცით, ხელოვანიც ხშირად ლუკმა პურის მონაა. რა გგონიათ, პარიზელი მხატვრების დიდი უმრავლესობა უმგვანო პლაკატებს ხატავს“.

— „პოეტები“?

„არც პოეტია უკეთეს დღეში, სანამ დიდ სახელს მოიხვეჭენ. მე ვიცნობ ერთ მაღალ ნიჭიერ პოეტს, ბირჟის სტენოგრამებს სწერს. ომმა ახალი ტიპის ბურჟუაზია შექმნა. ამ თაობას აღარა აქვს ძველი ბურჟუაზიის განათლება და გემოვნება. ყასბები გამდიდრდენ. მათ არაფერი ესმით ხელოვნების. ფან სტაუნისთანა ინტენდანტებისთვის იყო ეს ომი. მთელი ქვეყანა დაღარიბდა. სიმდიდრე სპეკულიან*ებს ჩაუვარდა ხელში. რამდენი ხელოვანი დაღუპა ამ ომმა, ახლა მაინც ევროპაში ცხოვრება გაძვირდა. მოცალება აღარ არიან. და ხომ იცით ნებიერი მოცალება სჭირია ხელოვანს.

„ასე ქმნიდნენ ძველი ბერძნები, ინდოელები, სპარსელები. ევროპაში დრო ისე მიგაჭენებს, დამშვიდებული ჰვრეტა შეუძლებელი ხდება. სიმდიდრე და მოცალებაა ყოველიე შემოქმედების მშობელი. ორივე ფან სტაუნებს ჩაუვარდათ ხელში მადამ ფან სტაუნმა მაჩვენა თხილის ოდენა ბრილიანტი, ვიღაც რუსი ურიისგან უყიდიათ: ეს ბრილიანტი მარია ფეოდოროვნასეული ყოფილა რამოდენიმე სერვიზი აქვთ ძვირფასი სევრის პორცელანის, წითელი კოპენჰაგენის ჰურჭელი, მოოქროვილი ლანკანები, ბროლის ლარნაკები. ხელზე დააკვირდით მადამ ფან ს ჯაუნს. ეს წითელი იაგუნდები ციმბირიდან ჩამოსულ სლოვაკებისგან იყიდეს პარიზში.

„ფან სტაუნების საწოლი წითელი ავსტრალიური ხის“ კედლები ოქსინოთი და შადით გადაკრული, ერთი ბრილიანტების კოლიე აქვს მადამ ფან სტაუნს (მას დ დ ოპერაში ატარებს მხოლოდ) რომელიმე პატარა სახელმწიფოს იყიდის. ფან სტაუნის სახლში მე ვნახე აღმოსავლეთიდან მოტანილი პატიოსანი თვლები, რომელთა მსგავსი არაოდეს მინახავს. ამას წინად დღეობაზე აჩუქა ფან სტაუნმა ოავის ცოლს ერთი არაბული სამკერდე ვეშაპის თვალით, ლაჟვარდით, ცის ნატეხით, ობოლებით და საფირებით შემკული, ძვირფასი ოქრომკედი.

„ფან სტაუნს ახლაც საკლავი საქონელი მოყავს ბალკანეთიდან პარიზში. ბუქარესტში რუსეთიდან გატანილი აუარებელი სიმდიდრე იყო, ძველი სპარსული მინიატურები, რუსული ხატები, ბეწვეული, ბრილიანტები, დიდძალი სიმდიდრე შეისყიდა ბუქარეს ჯელ კომისიონერებისაგან. იმ სპარსულ მინიატურებზე მრჩებოდა თვალი. ფან სტაუნს რად უნდა? ხელოვნების ინჩი-ბინჩი არ ესმის.

ხომ ხედავთ რა ხალხი გამოაჩინა ამ ომმა!

„აგერ კიდევ „ახალი კაცი“, მადამ დოაზანთან რომ ცეკვავს—ელზასელი ინჟენერი დრეერი. იგი მუდამ რაღაცას იგონებს. 46 სხვადასხვა გამოგონების პატენტი აქვს მიღებული. ახლა კინემატოგრაფის რელიეფის პრინციპი გამოიგონა. მას მთელი ორგანიზაცია აქვს ასეთ „გამომგონებლებისაგან“ შემდგარი“.

— „თქვენ რატომ არ ცეკვავთ ხალილ ბეჯ“?

— „მე მადამ ფან სტაუნმა მთხოვა მასთან მეცეკვა, მაგრამ უქეიფოდ ვარ-მეთქი, მოვიმიზეზე“.

— „მერმე რატომ? დამა არ მოგეწონათ“?

— „არა. მადამ ფან სტაუნი ლეზბიელია, მძულს მაგნაირი ქალები. ხომ ხედავთ, მადამ ფან სტაუნის გვერდით რომ ცეკვავს ტანმორჩილი ფრანგის ქალი მადმუაზელ დელა როშ, ამბობენ ისინი“...

— „რაო“?

— „ხალილ ბეჯმ ორაზროვანად გაიღიმა“.

უენსტეპი შესწყდა. სტუმრები სასადილო სალონში გაიწვიეს. უშველებელ სუფრაზე გაემწკრივებიათ მაღალი, წერწეტა სპარსული მინანქარით მოჩითული ლარნაკები, უამრავი ყვავილები, სპარსული ხმელი ხილი, საჭმელები.

— „ეჰ, მე არ მიყვარს ეს ევროპიული „ალაფურშეტ“. კაჭკაჭებივით დაესევიან გაშლილ სუფრას. ან როგორი უთავბოლო სმა იციან“.

„ჭაჭასმა და ქიფი ქართველებმა იცით კარგი.“

ამბობს ხალილ ბეჯ.

ჩვენ სოლიდარობის ნიშნად ჰიქები ავაწკრიალეთ.

— „ჰირიეით მეზარება, როცა დედაკაცი ბევრს ყბედობს. მეუბნება ხალილ ბეჯ და მანიშნებს მისის ბლუტზე, რომელსაც ერთ კუთხეში მიუმწყვდევია კაპიტან დოაზანი და მუსმაო ფან სტაუნი. უკანასკნელი მადიანად შეექცევა ფილეს ნაჭერს, ზრდილობის გულისთვის მაინც ყურს უგდებს. კაპიტანი მალ-მალე სვამს ბორდოს, თანხმობის ნიშნად თავს უქნევს წარამარა, მაგრამ ეტყობა, მთქმელის მადლიანი სახე უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი ჭადაგება. მისის ბლუტს ცალ ხელში ბუტერბროტი უკავია, ცალშიაც მაღალი, ბურგუნდის ღვინით სავსე ბაკალი, უამბობს ორთავეს, რომ მისი თაოსნობით, ამ მოკლე ხანში, პარიზში მოეწყობა რუდოლფ შტაინერის სახელობის თეოსოფიური საზოგადოება.

— „თვით რუდოლფ შ ჯაინერიც ჩამოვა პარიზში“.

— „შტაინერს ლამაზი თვალები აქვს არა“? შენიშნავს კაპიტან დოაზანი ცბიერი ღიმილით. მას თვალის კუთხეებთან ნაოჭები ეკეცება.

— „Magnifique, magnifique*) იძახის მისის ბლუტ. „თქვენ ხომ იცით, შტაინერს დიდი გავლენა აქვს სამხედრო წრეებშიაც, მან ომის დროს ლამის ჰკუაზე შეშალა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი—გენერალ ფონ მოლტკე“.

— „ეს ერთი კარგი საქმე მაინც უქნია ჩვენთვის, ფრანგებისთვის“.

მისის ბლუტ ვერ ამჩნევს კაპიტან დოაზანის გისლიან რიპლიკებს, განაგრძობს რუდოლფ შტაინერის თეოსოფიის მსოფლიო მნიშვნელობაზე ლაპარაკს. იგი გაცხარებით ამტკიცებს, რომ შტაინერი ახალი მესიაა, რომ ის ამერიკასაც დაიპყრობს.

*) დიდებული, მშვენიერი.

— „ეს ის შტაჲნრეია, გოეტეს სახლი რომ დაუწვა შვეიცარიაში“?

— It is, it is.*)

— „მწერალია არა? კითხულობს მუსჲო ფან სტაუნი, რომელიც ამასობაში ისე გატაცებული ყოფილა ჰამით, რომ აქამდის ვერ გაუგია თუ ვინ იყო ეს შტაჲნერი“.

— „Jes, jes, it is, it is.*)“

— „მე აღმოსავლეთის კაცი ვარ. ქალი ისე უნდა იყოს სქესით გაბრუებული, რომ მამაკაცთან საზოგადოებაში ლაპარაკს ვერ ახერხებდეს“. წამჩურჩულა ხალილ ბეჲმ და თავისი ჰიქა გამოსცალა.

დოქტორ რაჲმერი, პოეტი მენჲე, მადამ ფან სტაუნი გაჩუმებული სჭამენ.

დოქტორ რაჲმერი იღებს ბაკალს ხელში, ძლიერ ახლოს მიდის მადამ ფან-სტაუნთან, არეული თვალებით შეჰყურებს მის სავსე მკერდს და ადღეგრძელებს.

მე ვეკითხები ხალილ ბეჲს.

— „ის ორი ქალი ვინ არის, მუსჲო დე ვილარის გვერდით რომ სხედან?“

— „ის მაღალი იტალიელი ქალია, ვგონებ მადმუაზელ ტორინო. მეორე კაპიტან დოაზანის დაა, პარიზელი ქალი. პატარაა მაგრამ... რა საუცხოვო მხრები აქვს“.

— „კაცმა რომ თქვას მისის ბლუტიც ლამაზია, მშვენიერი თვალები აქვს“.

— „ახ, არ მიყვარს, ყბედია“.

— „იტალიელსაც, ამერიკელს, პარიზელებს, შოტლანდიელებს, ჰოლანდიელს, ებრაელებს, ყველას მაინც ჯენეტი სჯობია. არა“? მეუბნება ღიმილით ხალილ ბეჲ. ორივენი ჯენეტის სადღეგრძელოს ვსვამთ. ვკოცნით მის შვენიერ ხელებს და ისევ ვბრუნდებით ჩვენ ადგილზე.

— „რა სავსე მკერდი აქვს, რა კეთილშობილი კანის ფერი. ფეხები ჩერქეზული ცხენივით... ო, რა იყო ჯენეტი 16—17 წლისა“!

— „არც ახლაა ძლიერ ხნიერი“.

— „თქვენ ხომ იცით, ჯენეტი ქართველი ქალია. მამამისსაც ვიცნობდი. კავკავში მსახურებდა პოლკში. მათი წინაპრები სამცხის ათაბაგები ყოფილან. ახლაც აქვთ ვგონებ მამული ახალციხის ახლოს. კავკავში მოკლეს ჯენეტის მამა. ჯენეტის მოტაცება უნდოდათ. დედამ ვაჟურად გადააცვა. ტფილისში გამოაპარა, ჩალანდრის ცხენით“.

„ალი მირზა ხანს რომ არ შეერთო პარიზში არ წამოეყვანა. ტფილისიდან გაიტაცებდენ ჯენეტს“.

— „ჯენეტის ქმარი თქვენი ნათესავი ხომ არ არის, ხალილ ბეჲ“?

— „არა“,—სთქვა ხალილმა. მის სახეზე უეცარმა ჩრდილმა გადაირბინა. მე გადავაველე თვალი იქ დამსწრე ქალებს. მართლაც ჯენეტი ირისესავით ბრწყინავდა მათ შორის. პარიზს დაერტყა თავისი ბეჭედი მის სახეზე. ორი თითქმის შეუმჩნეველი ნაოჭი ოდნავ მოჭანცულ ფერმკრთალ სახეზე, მაგრამ მისი არსებიდან რაღაც გაუმხელელი, შიგნით დაგუბებული რომანტიული ალმური ჰქრის,

*) ის არის.

*) დიახ, ის არის.

როცა გაიცინებს ველური შვენება იფრქვევა მის პატარა, ბროწეულის ყვავილივით ტუჩებიდან.

— „მე არ მიყვარს ევროპიელი ქალები“, — განაგრძობს ხალილ ბეგ, — „ქალი საერთოდ რეალისტური არსებაა. მაგრამ ევროპიელი ქალი უფრო მეტად. რამდენი ანგარება, რამდენი სიყალბე, რამდენი კოსმეტიკა, სიცრუე. მე 18 წლიდან პარიზში ვარ, მამაჩემის მთელი ქონება პარიზელ ქალებს გადავალიე, არ დამიტოვებია არც სალონის ქალები, არც არტისტები, არც შანსონეტები, არც მეძავები, მაგრამ არც ერთი არ მყვარებია.

— „თქვენ ძლიერ დახელოვნებული ყოფილხართ ამ საქმეში“.

— „მეტი რა გამიკეთებია ჩემს სიცოცხლეში“, — წარმოსთქვა მან შინაგანი გულისწუხილით.

— „მე მგონია, ყველას კიდევ მეძავები სჯობია. მეძავი უფრო გულწრფელია, ვიდრე მთელი ქვეყნის „პატიოსანი საზოგადოების“ ქალები. პარადოქსად არ მიიღოთ. ოჯახი სხვა რაღაა, თუ არ ლეგალური მრუშობა. მეძავი ქალი პირდაპირია და უშვალო. მერმე პარიზელი. იგი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის პროფესიას“.

— „მიკვირს, როგორის მძულვარებით ლაპარაკობთ ქალებზე, ბატონო ხალილ“.

— „ჰმ, იცით, ჩვენ აღმოსავლეთელები ყველაზე უკეთ ვაფასებთ ქალებს. ქალის რომანტიზმის ბურუსში გახვევა ეს ევროპიელების საქმეა. ეს იბსენისებური სისულელეებია. მისის ბლუტი ნამდვილი ნორაა. ასეთი ქალები, აი ასეთ სალაყბო სალონებში თუ გამოდგებიან. ისინი აკვანსა და ქმრის სარეცელს ვერ შეეგუებიან. უნდა შეურიგდეთ ამ აზრს, რომ ოჯახი და ჰარემი ოდნავ განსხვავდებიან. მხოლოდ რიცხვით. ცოლობაც პიროვნული მონობის ცალფა ნიღაბია. იბსენის და მის მიმდევრების სულელურმა რომანტიკამ შექმნა ქალთა ამბოხი. ნახეთ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის დღიური პრესა. როგორ ენგრევა მთელ ევროპას ოჯახი თავზე! განა ვერ ამჩნევთ, ევროპაში დიდი ხანია მამაკაცების გადედაკაცება და ქალების გამამაკაცება ხდება. აკი ამბობდა კარდინალ დჟუბუა: სიყვარული სხვა არაფერია, თუ არ თავგასართობი ჩვეულებაო. თუ მადამ პოლინჯაკს და მადამ ნესლეს დუელი ჰქონდათ ბულონის ტყეში. რადგან ორივენი რიშელიეს საყვარლები იყვენ. შარშან ქალბატონ ბლუტს და ქ-ნ ლორენცს ჰქონდათ დუელი ნადმუაზელ დელაროშის გამო“.

— „მათაც ბულონის ტყეში“?

— „არა, მათ ერთი პატარა თეატრი იქირავეს მონმარტში: დუელი ჩაკეტილ კარებში იყო. სეკუნდანტებათ ორი ქალი და ორი კაცი ვიყავით: მე, დოქტორ რაჯმერ, მადამ ფან სტაუნ და ჯენეტი. მადმუაზელ ლორენცი დაიჭრა ყვრიმალში. ახლაც აჩნია“.

— „მემრე აქ როგორ მოხვდენ ამ საღამოს“?

— „ჯენეტმა შეარიგა დიდი ხანია. აკი ამბობდა ბონაპარტე: მე მეშინია ევროპას ქალი და ვაჰარი არ დაეპატრონოსო. ეს ნაწილობრივ მოხდა კიდეც“.

— „დღეს მეწვრიმალეებია ევროპის პატონები. ხვალ ალბად ქალები იქნებიან...“

— „თქვენ ანტიფემინისტი ყოფილხართ“? ვეუბნები ხალილს.

— „არა, ანტიფემინიზმი ევროპიული, წიგნური მოდაა“.

ჩვენ აღმოსავლეთში რეალურად ვუყურებთ ქალს.

ჩვენ ბუნებით ანტიფემინისტები ვართ.

მე ახლა კარგად მესმის ყველა დიდი წარმართები რად უმღეროდენ ვაჟის სილამაზეს.

„მე არასოდეს ვხატავ ქალს“.

— „დღემდის არ ვიცოდი თქვენ თუ მხატვარი იყავით, ხალილ“!

— „მე—10 წლის წინად გამოვჟინე პარიზის „შემოდგომის სალონში“ ჩემი „ჩერქეზული სილუეტები“ შემდეგ ომმა შემაწყვეტია, რადგან უცხოელების ლეგიონში ვმსახურობდი 3 წელი. ახ, ჩვენს პიროპებში ძნელია ხელოვანი იყო. ჩემს ქვეყანაში ასპარეზი არა მაქვს. ჩვენს კავკასიაში დასწერე თუნდაც უფრო კარგად ვიდრე მოპასანი,—დახატე ჰოლბაინზე უკეთ, მაინც გასაქანი არ არის. არ არსებობს კრიტიკა. ფართე საზოგადოებრივი ინტერესი.

მერმე, ჩვენ მოწყვეტილი ვართ კაცობრიობას. აქ ევროპაში შეუძლებელია სურათზე, წიგნზე არ გამოგეხმაურონ. თუ ოდნავ მადლიანი კალამი გაქვს, კრიტიკა არ მოგსპობს, ან ცამდის აგიყვანს.

ჩვენში“?..

— „რატომ ხალილ, მე ვფიქრობ ჩვენ ბრწყინვალე მომავალი გვაქვს კავკასიის ხალხებს“.

— „თქვენი, ქართველების მდგომარეობა ოდნავ უკეთესია, ჩვენი საქმე წასულია“.

— „ჩვენ მეზობლებს, კავკასიელ ხალხებს ისე ვუყურებთ, როგორც უმცროსს ძმებს.. წინააღმდეგ ჩვენ ყველას ისტორიამ დაგვაკისრა წინა აზიის განახლება! მერმე ჩვენში დიდი, დიდი ენერგია და ნიჭი იღუპება უნაყოფოდ“.

მე ისევ ძველ თემას ვუბრუნდები;

— „განა შიშველი მამაკაცი სჯობია შიშველ ქალს“?

— „რა თქმა უნდ ! თუნდაც რაფაელის გიტარის დამკვრელი
აპოლონი შეადარეთ მისსავე მადონებს“.

— „იცით ხალილ ბეჯ, სილამაზე ამ ქვეყნად ყველგან
დიდია და ღვთაებრივი“.

სტუმრები ძლიერ გაერთენ ვახშმით. ცოტა ხანს ორივენი ვსდუმდით.

— „საოცარია, წინად რომ ვერ შაგამჩნიეთ ამ სალონში!“

— „არ მიყვარს როცა მწერალს მელნის სუნი უდის, მხატვარს—ფერადის... გასულ სეზონში იმავე „შემოდგომის სალონში“ გამოფენილი იყო ჩემი „დიონისოს მეორედ მოსვლა“.

— „იცით რა, თუ გაინტერესებთ, ის სურათი ალი მირზახანმა იყიდა, აქვეა, თამბაჭოს სალონის გვერდით, მირზახანის კაბინეტში. ჩვენ შეგვიძლია მისალები გავიაროთ... ჯერი ნუ გაქვთ, მეაქ შინაური კაცი ვარ“. ორივენი გავიპარეთ სასადილო დარბაზიდან.

მისაღებ სალონში S სავარძელში ისხდენ ანგორელი ოფიცერი, მადმუაზელ ლორენცი, პოეტი მენდეც იქვე იდგა და ხმა-დაბლა ლაპარაკობდენ. მხოლოდ ერთ წინადადებას მოვკარი ყური:

„...ასეა, სიყვარული კორექტურულ შეცდომასა ჰგავს, სადაც არ გგონია იქ შეგეპარება".

მირზახანის კაბინეტში ნაფჭალინის და ახალი ფერადის სუნი იდგა. ხალილ ბეგმა ძლივს მოსძებნა შესავალი. ოთახში მაქიაშალური სიჩათლე დააყენა, ერთ კედელზე მიიდგა სკამი და თეთრი ტილოს საფარი გადახადა განიერ ჩარჩოებში ჩადგმულ სურათს.

სუბტროპიული ზღვის ნაპირი. ბანანებით, მაღალი პალმებით, ხშირი ლეღით შემოსილი. ნიადაგი—წითელი ქვიშა, ძოწის, ფარუხის, ქარკის ფერადი უხვად გაბნეული ხმელზე, ზღვაზე და ცაზე. ღრუბლში და იალში სულგახაბელი ჟღალ თვალებიანი ვეფხვები, ველური ვაზების ბარდებში თხას ჩლიქებიანი სატირები დელფინებს, ცხენთევზებს, დანიახგებს თავი აძოუკიათ ლილისფერ ტალღებიდან: გარინდებული შესცქერიან უცხო სასწაულს. ქვეყანა ახალგაზდა და ბრწყინვალე როგორც შექმნისა პირველ საკდილად. სადაც დგას ტალღებიდან ამოდის ნორჩი, პირშიშველი ჰაბუკი, მისი ფეხები: ორი სვეტი სპილოს ძვლით კვეთილი, მისი მუცელი: ძარმალილოს დაჟა, შეენიერების ათი მცნების ზედ წასაწერი, მისი ყურები: ორი თეთრი სადაფის ღიხჭილა.

პატარა მოგრძო თავი უკეთილშობილესს რაიას ამჟღავნებს. შავ წარბებს ქვევით ირიბულად გაჭრილ გუგიდან იმზირებიან მუქლურჯი თვალები, მათი სხივგადაკრული კრთომა ღიმილია პირველი შექმნის. სიხარული აძ უსაზღვრო ეთერის, უსაზღვრო წყლის და ნაყოფიერი მიწის დედობრივი სუნთქვით აღტყინებული. იგი ამოდის ნაპირზე ელემენტებისგან ახლად შექმნილი, თითქოს ეს არის ახლა დაბრუნებულა ოკეანიის ხოკიერ საშოდან, სადაც ფეოლები ურწყვედ ოქროს აკვანს. ექსტაზი ისახება მის თვალების გაღებასა და ხელების გაშლაში. მისი თვალები მაგონებენ ჯეხეტის თვალებს, საფეთქლებზე ისეთივე ციფერი ძარღვების ნაზი ხაზები ატყვია, როგორც ჯუნეტს. ენებიანი, მოძრავი ცხვირის ნესტოები, პატარა ყურები, ჯუნეტს რომ მოუჩანს ხშირი, შავი თმიდან, როცა მადამ რეკამიესავით ივარცხნის თმას. და ჩემს თვალწინ ხორცს ისხამს შეენიერის მეორედ მოსვლის და უმაკო შიასახვის მისტერია ჯუნეტის ოდხავ მობინდულ სილამაზეს ისევ შეუსხამს სისხლი და ხორცი და ხალეოორედ მოდის ამ ქვეყნად სხვა სქესის სახით. როგორც ახალგაზდა ღმეთი ამოდის იგი ზღვიდან, მაგ ძხოლოდ მშვილდი და ისარი აკლია, რომ აფროდიტეს ეახლოს, მისი ფარეში გახდეს და დაუსრულებლათ ინადიროს მთელს ქვეყანაზე; ვიდრემდის მზე არ ჩაესულა და შეშოქმედის სასწაულით გარენილ სამყაროში შეენიერების მრევლი არ გამოლეულა.

მე მაგრად, მაგრად ვართმევ ხელს ხალილ ბეგს.

— „მართლაც დიონისოს მოელა ხალილ!"

და იქვე ვჯდები შაგრენის საკაოძელში.

— „ხომ იცით, დიონისეც ზიდან მოკიდა"!.

— „ეს არის თამაზ? ვ კითხ ბ ".

ხალილმა ვერმომხეხა. გაჩუმდა.

„მხატვარს ნება არა აქვს თავისი მოდელის ვინაობა გაამხილოს".

— „ალი მირზახანი დაჟინებით მთხოვდა თამაზის სახელი და გვარით გამომეფინა, მაგრამ არ ვქენი. ძოდელი მუდამ ჩრდილში უნდა იყოს"... ჩახლაპარაკა ხალილ ბეგმა და ელექტროხი დააკრო.

სალონში დავბრუნდით, სტუმრებს ევახშმნათ.

მადამ ფან სტაუნმა ფრიად კონფენდენციალური გამომეტყველებით გაგვიხმო განზე:

— იცით, მადმუაზელ ლორენცი ამაღამ იმარჩიელებს. ნურავის ეტყვით, მამაკაცებისთვის აკრძალულია დასწრება. ჩვენ ძლიერ ვღელავთ. მე ძლიერ მიყვარს მკითხავი, მაგრამ მეშინია..."

მე და ხალილი თამბაქოს მოსაწევ ოთახში გავედით. თითო სიგარა მოვწიეთ. შემდეგ სპარსულ დარბაზში შევიპარენით და კარების გრძელ პორტიერებს ამოვეფარეთ.

რგვალ, მაჰაგონის შავ მაგიდას უსხდნენ:

ჯენტ ხანუმ, მადამ ფან სტაუნ, ანგელოზის სახის მადამ დეკარდინჯე, მადამ შენჯე, მადმუაზელ დელა როშ, შოტლანდიელი ქალი, მადმუაზელ ტორინო, შუაში მადმუაზელ ლორენც.

დარბაზში იისფერი შუქი იდგა.

ავეჯის ბნელი კონტურები კუთხეებში ატუზულიყვენ.

სდუმდენ.

ხელები ზურგზე დაეწყოთ.

მადმუაზელ ლორენცს სახეზე ეტყობოდა— ოპიუმი მიეღო წინასწარ. გაუნძრევლად იჯდა, თვალზე მიბნედილი ნისლი გადაჰკროდა. მის მახინჯ სახეს რაღაც მისტიური ელფერი მისცემოდა. გარინდებული მისჩერებოდა სალონის ბნელ კუთხეში მოლაპლაპე შვიდ სანთლიან შანდალს. ყველა მის ბაგის გახსნას ელოდა.

კედლის საათმა 12 ჯერ დაჰკრა...

— „მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ წყალი სთხოვა სამარიტელ დედაკაცს." დაიწყო ქადაგად დავარდნილმა. „დედაკაცმა მოიღო, სამაგიეროდ იესომ აჩუქა 7 პატიოსანი თვალი. სამარიტელ ქალს უნდა გაეწაწილებია წყალი ცხოვრებისა ისრაელის დედათა შორის. რადგან ეს პატიოსანი თვლები ქრისტეს ცრემლები იყო".

მცირე პაუზა.

„სამარიტელ დედაკაცს შეუჩნდა ეშმა. თავი შეაყვარა. შვიდში სამი შეუცვალა". განაგრძო მადმუაზელ ლორენცმა.

„შვიდი ინდოელების წმინდა რიცხვია. ხოლო სამი ეშმასგან დანამსული. ქვეყანა ორეულებად დაჰყო ღმერთმა. ოდესღაც წყვილები ნეტარებდენ ედემის მდინარის—ფისონის ნაპირას. მაგრამ კენტი ეშმა არ ისვენებდა. თუ წყვილს მესამე შეუჩნდა, წამსვე იღუპება სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი. ეროსიც რიცხვით მესამე იყო. სიჭარბისა და სიღატაკის—პენიას და პოროსის შვილი. ამიტომაც მარტოკა დაწანწალებს ეროსი ამ ქვეყნად, უსამშობლო, უსახლკარო, მიუსაფარი. სადაც კი მუსწრებს წყვილების ბედნიერებას, შეუჩნდება, გასთიშავს და დაღუპავს.

იუდაც კენტი იყო ქრისტეს მოწაფეებში

ვამბობ: თვალი პატიოსანი სარდიონი ვისაც აღმოაჩნდეს, ჯერ არ გამოაჩინოს! ფერად მეწამული. ნაპოვნია ასურასტანში. მეწამული ფერი სისხლია, ნიშნავს: სიჭარბეს და სიყვარულს. ვამბობ: სარდიონი. ხელი მაგიდაზე!".

ყველა ერთმანეთს შეჰყურებს თვალბგაბრწყინებული. შოტლანდიელი

ქალი დაიბნა, გაწითლდა. მარჯვენა ხელი დასდო მაგიდაზე. ყველა მის თეთრ ხელს შეაჩერდა.

„თეთრი და სპეტაკი ვით პილოს ძვალი აქატი ამშვიდებს, გველი ასპიტიც გვერდით უწვეს აქატის პატრონს უვნებელი იქნება. აქატი თეთრი სათნოებაა,— ქრისტეს თვალნაკრავი ნათელი."

თავისი პატარა, ბავშური ხელი დასდო მაგიდაზე ანგელოზის სახიანმა მადამ დეჟარდინემ.

მაგარია ვით სატანას შუბლი — დიამანტი — ვრიდეთ შავ დიამენტებს, ჰადესის კუპრში ამოსვარა ეშმამ ეს ბრწყინვალე პატიოსანი თვალი. იგი აღვივებს ლესბოსის ცოდვებს. მადამ ფან სტაუნი გაწითლდა. ბეჭდებით მოკირწყული ხელი გამოიღო."

„ცეცხლივით მოლაპლაპე იაკინთეს ბნელ ღამეებში პოულობენ ლიბიაში. ქვა ხელმეორედ ნაპოვნია იქ, სადაც ფისონი მზის მხარეზე ერთვის ინდოეთის ოკეანეს. ამიტომაც ჯაკინთე წყალში გაქვავებული მზის ნატეხია. ხოლო მზე— მარადისობის თეთრი დროშა."

მადმუაზელ ტორინომ ხელი დასდო მაგიდაზე.

„მოსემ ნახა ლიბანის მთის ძირში საფირონის თვალებიანი ცის სხეული, იგი ღმერთს უცდიდა ბინდისას. ელოდეს საფრთხეს,—ვინ შებინდებისას სიყვარულის ღმერთს უცდიდეს."

მადმუაზელ დელა რომშმა მორცხვად წამოსწია მარცხენა ხელი.

„ღვინის ფერია. მოქროვილი ბრწყინვალება არტყია გარს. ვინც მუდამჟამს მას უყურებს მთვრალია სიყვარულით — ამეთისტო!" სთქვა ბრძანებითი კილოთი მადმუაზელ ლორენცმა.

ხელი გამოაჩინა მადამ შენჯემ.

„ეკვიანობასავით მწვანეა სმარაგდი. ამ თვალში სარკესავით ვხედავ პირბნელ მომავალის ნილაბს. იგი ამშვენებდა ინდოეთის, აშურეთის, ბაზინტიის მეფეების გვირგვინებს, მაგრამ ბედისწერამ იავარჰყო ეს ქვეყნები და მეფეებმაც გაიგეს, რომ გვირგვინი დიდხანს არ მოიცდის ადამიანის თავზე. სმარაგდის თვალებით ანათებდა ღმერთი დიონისოს გაზაფხულზე მზის ეტლით რომ გადაივლიდა თრაკიის ველმიდამოს. მისი შემოხედვით მწვანდებოდა მგლოვიარე ბუნება სმარაგდის ფერად. მაგრამ დიონისო ქრისტეს მტერია, ამიტომაც ეშმას პირით დალორწილია სმარაგდი.

„მუფტილიის მთების ჯურღმულებში უამრავი ჯოჯოები და გველები ბინადრობენ. დედით შობილი იქ ვერ ჩასულა. გველს მუცელში აქვს ჯადო, ყოველ ათასეულ წელს ერთხელ აკაკანდება და ჯადოს დასდებს. მაშინ იწყება აღრევა სისხლის, სქესის და ჩვეულების. ადამიანები გაცოფდებიან, არავინ გაარჩევს დედას, შვილსა და დას. მარტოქასავით გახელდება. აიწყვეტს ადამის ნაშიერი. დალეწავენ ძველ საკერპოებს რომ ახალი კერპების ტაძრები ააგონ. თეთრი არწივები სჭამენ ამ გველებს. მონადირე მშვილდ — ისარით ჰკლავს არწივს. გამოფატრავს, სმარაგდს ამოუღებს გვამიდან. ამგვარი სმარაგდი შეუცვალა ეშმამ სამარიტელ ქალს. სმარაგდი სანამ ხელზე ექნება ქალს ქმრის ღალატი არ შეუძლია. აფრ-

თხობს მავნე სულებს. ვისაც სმარაგდი აღმოაჩნდეს—მონადირეს უფრთხილდეს, ვინაიდან ეროსია პირველი მონადირე.

ვიძახი: სმარაგდი".

ყველანი სდუმდენ.

ჯენეტ ხანუმი გაფითრდა, საოცარმა ჭროლამ გადაურბინა სახეზე და თავისი გრძელი, სმარაგდებით მოჭედილი ხელი დასდო შავს მაგიდაზე.

სიანსი გათავდა. მე და ხალილ ბეჯ დიდ სალონში დაუხვდით ქალებს. ყველას ძლიერ აღელვებული სახე ჰქონდა. მამაკაცები ბილიარდის ოთახში გადასულიყვენ კარტის სათამაშოდ.

პოეტი მენჯე შემოვიდა.

ვეკითხები:

— „დოქტორ როშერი წავიდა"?

— „არა, კარტს თამაშობს".

— „თქვენ ნახავთ ყველას მოუგებს. ებრაელი არ არის?".

ჯენეტი ხალილ ბეჯს გვერდით იჯდა. ერთ კუთხეში მადამ ფან სტაუნი და მადმუაზელ დელა როშ დამსხდარიყვენ, ფან სტაუნს საყარძელზე თავი გადაეგდო, ნებიერი თვალებით მისჩერებოდა დელა როშს, ყურს უგდებდა.

მე ჯენეტს ვუახლოვდები.

იგი ისევ ძველ თემაზე გადადის:

„თქვენ თუ მართლა აპირებთ საქართველოს წასვლას, აბასთუმანში შევხვდებით. აბასთუმანი ძლიერ კარგია. ევროპის ყველა კურორტს მირჩევნია".

— „გენატრებათ ხანუმ საქართველო"?

— „ახ... რა თქმა უნდა. ვიზა თუ მივიღე, მე მინდა დიდედას წავუყვანო თამაზი, იქიდან 30 ვერსია აბასთუმნამდის. ბავშვს ძლიერ სუსტი ფილტვები აქვს".

— „თამაზს-?

პაუზა.

— „იცით, ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვეს. მომკლა აქაურმა ნისლმა." კვნესის ჯენეტი. „თქვენ ალბად იცით, რა ცუდი სენია ის რასაც ფრანგები „ნოსტალჟი" ს ეძახიან."

ხალილ ბეჯ ადგა და წავიდა.

— „მეც ძლიერ ვიტანჯები ხანუმ. ადრე სიჭაბუკეში მე მას ვერ ვგრძნობდი ისე მძაფრად. მეგონა კიდევ დიდხანს შევიძლებდი ევროპაში დარჩენას, ან ამერიკას წავიდოდი. „ნოსტალჟი" ჩვენ ქართველებს არ ესმით. რადგან ქართველი გაჭირვებას იშვიათად მიჰყავს უცხოეთში. ჩვენ სიტყვაც არ მოგვეძევა ამ სენის გამოსახატავად."

— „მართლა როგორაა ქართულად „ნოსტალჟი"? მეკითხება ჯენეტი.

— „ვიტყოდი სევდა მამულისადმი, მაგრამ არა, ეს სიტყვა საესებით ვერ გამოხატავს, რაღაც მეხამუშება".

— „ურიებს არა აქვთ ეს გრძნობა. ბედნიერი ხალხია. დოქტორ როშერისთვის ყველგან სამშობლოა, სადაც ფულს იშოვის.

— „შეიძლება ხანუმ, ჩვენი ჩამორჩენილობის ბრალი იყოს, რომ ასე ფიზიკურად ვიტანჯებით, როცა ჩვენი მიწის ნაჭერს მოვცილდებით. ატავიზმი არა?

— „ჩამორჩენილობა აქ რა შუაშია? ერთიც ევროპიელებს კითხეთ. ჩვენსას ერთი ნორვეგიელი პიანისტი ქალი დადიოდა. იგი ამ შეხლონზე დაემხობოდა, ბავშვივით ღრიალებდა. საზიზღარი სენია, საზიზღარი, მე იგი წარმოდგენილი მაქვს ყვითელ თვალებიანი არსების სახით, თავის გრძელსა და წვეტიან ფჩხილებს ჩაგასობს გულში და არ მოგეშვება, არ მოგეშვება“.

ხალილ ბეჯ ისევ შემოგვიერთდა.

— „მობრძანდით ხალილ, აგერ დაბრძანდით“. მიუთითა ჯენეტმა ცარიელ სავარძელზე.

— „რატომ ხართ ამ საღამოს ასე ჩუმად, ხალილ ბეჯ?“

— „თქვენ ალბად არ შეგიმჩნევიათ ხანუმ, ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ. სულ ლაპარაკიც მოსაწყენია. ახლა ისე ინტიმურად ვზივართ. ეგებ რამე დაუკრათ“.

— „მეც ძლიერ მენატრება ხანუმ შინაური მუსიკა“.

შევეხეწე მეც.

ჯენეტი წამოდგა. მე თვალი გავაყოლე მის შვენიერ, ნახევრად შიშველ მხრებს.

სალონის კუთხეში მდგარ ძველებურ პიანინოს მიუჯდა. უკან მოიხედა.

— „ჩემი ნორვეგიელი მეგობრის სიმღერა უნდა დავუკრა.“

— „თეთრი სახლი, თეთრი სახლი“ მიაძახა ხალილ ბეჯმ.

ამ სიმღერას სევდა მამლისადმი უნდა ერქვას ვფიქრობ და მელანქოლიური მუსიკის ტალღები მიმაჭანებენ შორს, სადაც სიმიდის გამხმარ ღეროებს აკვნესებს ქარი და გადაყვითლებულ ჰალებში დააბოჭებს ჩალისფერ ნაბდიანი ოჩოკოჩი, ჩემი ბავშვობის დიდი ინკვიზიტორი და საფრთხობელა.

„ო, თეთრო სახლო,
ო, თეთრო სახლო,
ბავშვობის ჩემის ტკბილო სავანე
ნეტავ ვიცოდე,
კიდევ თუ ჰყავის
შენს ირგვლივ ჩვენი წალკაჭი მწვანე.“

ელექტრონივით მაიროლებს ტანში. ჯენეტის თეთრი, გრძელი თითები ელვის სისწრაფით დაცქრიალებენ პიანინოს თეთრ კლავიშებზე და მონოტონურ მელოდიას თან მისდევს რეფრენი:

„ო, თეთრო სახლო,
ო, თეთრო სახლო,
ბავშვობის ჩემის ტკბილო სავანე,
ვიცოდე ნეტავ კიდევ თუ ჰყავის,
შენს ირგვლივ ჩვენი წალკოტი მწვანე.“

სალონში ირგვლივ სიგარის კვამლი სდგას, ოდნავ ვამჩნევ სტუმრების მურუტიან სახეებს. ხალილ ბეჯ თვალებდახუჭული გადაყრდნობია სავარძლის ზურგს.

„ნეტავ შემეძლოს. ო, თეთრო სახლო,
ვიყვე შენს ახლო, ო, თეთრო სახლო“.

უკანასკნელმა აკორდმა ქვითინით გაირბინა კლავიშებს შორის, და შუალამეში ნათქვამი ზღაპარივით გაინაბა ქაოსში.

ხალილ ბეკ მიუახლოვდა ფანჯარას და ოდნავ გამოაღო.

— „არ გააღოთ, თორემ ნისლი შემოვა“. კვნესის ჯენეტი, და პიანინოს ხურავს.

გულდაწყვეტილად გაიზრიალა მარტოხელა სიმმა და გაჩუმდა, როგორც მტირალა ბავშვი, რომელსაც ნიკაპზე ხელი ამოჰკრეს.

ვარლამ რუხაძე.

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას

დიდო-მგოსანო, ტკბილ ხმათა მეფევ!
ჯადო სიმები დაგიწყდა ლირის...
შენთვის ქალები ყვავილებს ჰკრეფენ...
შენთვის წოპენი ტირის და ტირის...
წევხარ კუბოში და ცივ თვალებში
ქართული გრძნობა ისევ ანთია,
თითქო მზე იწვის სხივთა ლალებში
თითქო ღრუბლებში ელვის შანთია!
დავცქერ მაგ ხელებს, გრძნობა მახელებს,
გულში შრიალებს სევდის ზეფირი...
ვანო! შენსავით ვინ გვასახელებს?!
ვანო! სხვა ვინ გვეყავს შენებრ მზეპირი?!
შენზე წუხილი სულს ქვეშ დაიტანს
და ერის ფიქრიც წაყვება თანა...
ეთერი ამ დარდს ვეღარ აიტანს!
ეთერი გულში დაიცემს დანას!

ხელოვნების სასახლე.
კუბოსთან

ივ. ჟიფიანი

სილვშფნეგი

დაიპო გული მარჯნის ღარებად.
მესმის სიმღერა შორი გედების.
მაწვება ფიქრი ნიაღვარებად
და ჟრუანტელი შემოქმედების.
გადმოვიარეთ ფართე ველები.
ცრემლით გაგებანა ყველა ეფრატ[illegible].
შარავანდედი ჭარდუელების
შთამომ[illegible]ლობას შემოეფანტა.
ჩვენ გვაწვალებდენ—ღმერთი იშტარი
ცხელის ძუძუთი, გიშრის თვალებით,
ქვეყანა სისხლით ნავვირიშტალი
და თმებგაშლილი ამორძალები.
გადაიწურა წუთისოფელი,
დაიწვენ დღენი როგორც აბედი;
შემოგვერკალენ ცუდის მყოფელნი—
ინდო, ეგვიპტე და არაბეთი.
იყო დარბევა, ცეცხლი, განგაში
და სისხლიანი კვალი სილაზე.
ფერფლად გარდიქცა ძველი ლაგაშის
და კარხემიშის უცხო სინაზე.
ვით იოანეს თავი ლანგარზე
იყვენ ქვეყნები თავმოწყვეტილი
და რაინდების ნაამაგარზე
სამარადისო დაჯდა წერტილი.
ბედმა შანთები არ მოგვარი[illegible]ა.
ვეფხის კუნთები გაჰყვათ მიტანებს.
ჩვენ მხოლოდ ერთი ჯამ გვიხაროდა—
რომ მომავალი გამოიდარებს.
თითქოს არწივი გადაფრენილი
ჭარდუის ლანდი იელვებს შორით...
მოსჩანს წარსული ვით ეიფელი
და საშინელი ხმა Nevermor-ის...

იოსებ ვაკელი

საქართველო

ტკბილ მოგონებებს დამარხულს გულში,
ამაყ ტფილისის ძარღვიან მკლავებს:
ვინ შეაჩერებს, ვინ დააკავებს?!

მზე ისევ ცხელი სხივებით გვიცქერს,
მუშის მკლავები: კორძის ფერებით,
და ჩვენი ქვეყნის შენებას ვიწყებთ:
სხვა სიყვარულით, სხვა ამღერებით.

ჩვენი სამშობლოს ამაყი მთები,
ქართლი, კახეთი, კოხტა გურია...
სად ჰაერიც კი საამურია,
სადაც სიცოცხლე ყველას სწყურია
ცხოველ სხივებზე ხარბ დაწაფებით, —
არის მედგარი, შეუდრეკელი,
როგორც პატალო კლდეები სალი —
ნიაღვრებისგან ნაალერსალი.

ჩვენ გვიყვარს დედა, მშრომელი ხალხი,
სამშობლოს ბარი, სამშობლოს მთები,
სად ყურთა სმენას ხალისით აღხენს:
შრომის სუფევის ამაყი ხმები,
სადაც ტირილის ნაცვლად გაისმის:
აღმოდებული ჰიმნი ბგერების...
მოპოებული ბრძოლით და სისხლით—
შრომა, უფლება და სიმღერები,—
მოგვაქვს თვით ხალხთა საკეთილდღეოდ...
ვსჯედთ იმედების საძირკვლად ფოლადს,
რომ ჩვენ წინ ლტოლვას არ ჰქონდეს ბოლო!

და ამ დუღილში შორს გაექანე,
სამშობლო მხარევ, სისხლიან დაღით.
შენ ხარ უკვდავი ბრძოლის ქვეყანა,
სამყაროს გულზე—გაშლილი ბაღი.
და მე ვოცნებობ ამ გაშლილ ბაღში
უნდა ვკონავდეთ ქარხნების კონებს,
გვქონდეს სიცოცხლის გაქანებაში
სხვა ხალხთა სწორი ძალა და ღონე!
დროა, რომ ჩაკვდეს მივარდნილ მთაში
სალამური და პიპინი სტვირის,
დე, ჩვენი ქეყნის ტკბილ სიმღერაში
ისმოდეს ქარხნის მკვეთრი საყვირი!
სამშობლო მხარევ,
აღსდექი ზეზე,
აღსდექ მუხლ-მაგარ წინ გაქანებით!
დე, ჩვენი სისხლი ადუღდეს მზეზე,
ქვაბში—მაზუთი და მანქანები.

ვიყავით ძველი ტომის და ჯიშის,
მაგრამ მომავალ ახალ ეპოქებს—
ჩვენ არასოდეს არ ვუცქერთ შიშით,
ჩვენ წინსვლის დოღში არ გვყავს მეტოქე.
და ყველა აქ ვართ დღეს მოგროვილი...
ქართული სისხლი თვით მზის ფერია
და ამ სისხლითვე დაგვიწერია
დროშაზე: ქება მოოქროვილი!

ხარიტონ ვარდოშვილი

საუბარი უბედურ ლანდთან

მთრთოლვარე ხელი გულს გისვენია.
ზეცას უცქერი, ღმერთს არ მოელი.
დაღამებული თვალი შენია
თუ ჩვენებაა უდაბნოელი?

ვერ გაექცევი წამებს შხამიანს,
ამაოდ ეძებ დაკარგულ იმედს:
შენი სამარე შუალამეა
დაღონებულო ყოველთვის მძიმედ.

შემოგხვევია გველები იჭვის
და სიკვდილივით ჩუმად ჩურჩულობ:
„სიცოცხლე კვდება, სიცოცხლე იწვის,
სულო ბოროტო, სულო ურჯულო.“

დღეები ცეცხლის რაშებით ჰქრიან,
მზეს მეწამული აწვება ბოლი,
რა უბედურად შენ გიფიქრია:
დაიხრჩვე სადმე, როგორც ბობოლი.

ბებერი მიწა გადაცდა ორბიტს,
ზეცა გრიგალებს მიწას უბრუნებს,
ის შენ გაგაჭრობს, ის შენსკენ მორბის,
მათ ხმებში ქვეყნის ცოდვა გუგუნებს.

მაღალო კუბოვ — მკვდარი ნათელის,
ბნელო სავანე დარღვეულ სულის,
როგორ გაშინებს დღის გათენება,
როგორ გაშინებს სიჩუმე მკვდრული.

იჭვის გველები სულში გიწივის,
ღმერთს არ მოელი ცის დანახვაზე,
და დაცხრილული ყინვით, სიცივით,
ხარ დაცემული საფლავის ქვაზე!

ალექსანდრე ჟუთათელი

Dêmêtêr et Korê

სოფ. სადემეტრაო მდინარე კორისწყალით მდებარეობს ბაღდადის ახლო, ქუთაისის მაზრა. გეოგრაფიული ცნობა.

ავტორი.

შავ ზღვიდან ქარბუქი ზუზუნით მოვიდა,
მოდის და მოსჯარა ნოემბრის ჟინკები.
გიჟთვალა ხეებში მირბიან დინგები,
ჩავკეტოთ ურდულით კარები ოდისა...

ბუხარში კივილით წაიღეს აკიდო,
გულმკერდზე ეკვრიან დიდდედას ბალღები:
„სახელით გვახელებს, წამოდი აქითო“!
ზუიან კარებზე შემოსვლას ძალღები.

რა ცუდი ღამეა, ღადარავ, ბუხარო,—
დაიღუპება შავ ზღვაზე არგო!
მოანგრეეს მიდამოს მუხები სარკო,
მთა—„სარკოიაზე“ ქარები მქუხარნი...

მდინარემ ღრიალით აწყვიტა ბორანი,
ტორტმანით მოხიდა ხიდი და თაღები.
ღმუილით გათხარეს მბეცებმა სორონი
და ჯაგარაყრილნი გარბიან ტახები.

მიჰქრიან ჟინკები ქარბუქში თამაშით
არულით ათასი—სოველი ჯოგი.
ჯაგარა-ხელებით დაუკრეს დაფ-ტაში,
დასკუპდენ როკზე და ჰკიოდენ ბოგით.

ხანსა და კორისწყალს გამართეს ხარხარი,
ორღობით ხოკორა გოგრების ხოკვა.
რას ნიშნავს ნეტავი ასეთი ავდარი,
ეს კვრესა-ტირილი, კივილი, როკვა?!

სოფლები: ფერსათი, დიმი და დემეტრა
ეძებენ ჰადესში კორისწყლით კორას.
თვალები დაევსო დედას და თემებსაც.
ტირილით, „ბნელემთას“, დანათოვ გორას.

იტირეთ ასული ცრემლით საჯეროთნით,
ო, თვალებ დავსილნო ღამენო, დედებო,—
სანამდის დედაო-მიწავ და თემებო
მოისმის კორისწყლად ოხვრა ახერონის.

გიჟთვალა ხევები მირბიან დინგებით,
კორისწყლად: კორესთვის ტირილი დედისა.
კვნესა და კივილით მიჰქრიან ჭინკები.
ჩვკეტოთ ურდულით კარები ოდისა!

რა ცუდი ღამეა, რა ცუდი, ბუხარო,
ანგრევენ ქარები კარებს და ყორეს...
გუგუნებს მუხხარით ტყეები მჭუხარნი,—
სადა ხარ დემეტრეს ასულო—კორე?!

სოფ. სადემეტრაო,
13 ნოემბერი. 1924 წ.

გრიგოლ ცეცხლაძე

კვიმაწი დღეები

კეთილ ინებეთ და გაიცანით ამ ლექსის საგანი
თქვენ, რომელთაც გსურთ განიხილოთ
ყოველი სიგრძე განიდან.
მე არასდროს არ ვიტყვი—თავი თავთან.
მე ვამბობ—tête à tête
ეს არაა გადაგვარების მიზეზი.
მე დამწვარი ვარ, მარია გურელიევით, საქართველოს მზეზე.
მე მიყვარს, როგორც ძმა, პირდაუბანელი ქართველი ტეტია.
ჩვენ შვილები ვართ ერთი იაფეტის.
ის—მეხრე, მე—პოეტი.
მან მიიღო ქალაქიდან გაუმჯობესებული სახნისი და საკვეთი,
მე ვიყიდე „თანამედროვე დასავლეთი"
და ჟან კოკტო.
პოეზიას ფრანგები როგორც შთამომავლობით ჭლექს ველარ უძლებენ.
ქართველებს კიდევ მაგარი გვაქვს ფილტვები და ძვლები.
ვაჟა-ფშაველა ირმა ხარივით ბღაოდა
მთებში.
ჩვენი პოეტები ეხლაც ბუღრაობენ.
მე პირველმა დავიყეფე, რადგან კვიმატი დღეების შხამში ვიხარშები.
და თუმცა ორბელიანის ლექსიკონი ხელიდან არ გამიგდია,
ჩემი ლექსები დაიშალა როგორც დიხაშხო.

1924 წ.

დავით კლდიაშვილი

შუაცეცხლის პირას

(სოფლის სურათი)

მოულოდნელად მოსულმა თოვლმა ხელი ააღებინა გახურებულ მუშაობაში მყოფ სოფლელებს სამუშაოზე: დიდძალზედ მოყრილმა, მისვლა-მოსვლა თითქმის შესწყვიტა და მცხოვრები, გულშეწუხებული, საქნარს დაშორებული ჩაკეტა სახლში და უამისოდაც გაჭირვებული, მეტ გაჭირვებაში ჩააგდო და მწუხარებას მისცა. უსაქნაროდ მყოფნი უსხდნენ თავიანთ შუაცეცხლს და მკაცრ სიცივისაგან შეწუხებულნი ეფიცხებოდნენ.

ბევრს ეს ცეცხლიც ნაკლებად ეწთო, რადგან ვერ მოესწროთ საზამთრო შეშის დამზადება თავის დროზედ. ასეთები გადადიოდნენ ახლო მეზობლებში, რომელთანაც ეგულებოდათ ტკბილი სითბო და თავს იყრიდნენ შეშიანებთან. ერთმანეთში მისვლა-მოსვლას ვერ სწყვეტდნენ სულ, რადგან უფრო გარეთ ყოფნას ჩვეულნი კარჩაკეტილობას ვერ უძლებდნენ, ვერ ითმენდნენ. ახალგაზრდობა კი დროგამოშვებით, მიუხედავად ქარ-ბუქისა და ყინვისა, იყრიდა თავს ნიჩბებით ხელში და ერთი ყიჟინით, სიცილით, ხმაურობით მიდი-მოდიოდა ახლო მეზობლებში და თოვლავდა სახლების სახურავებს ძალზედ დიდად დაყრილ, მძიმედ დაწოლილ თოვლისაგან. უფროსები კი ცეცხლს არ შორდებოდნენ და თავშეყრილნი წარსული ზამთრების მოგონებებში იყვნენ და წარსული ცხოვრების გახსენებაში.

ანდრია დვანაძის ცეცხლთან ბლომათ შეყრილიყვნენ მასავით შეხნიერებული მეზობლები, რომელთაც ის იყო მიემატა რამდენიმე ახალგაზრდა სახლის გადათოვლის შემდეგ. მოხუცებულების დინჯი მუსაიფი ამათ შემოერთებიდან უფრო გაცოცხლდა, მხიარული შეიქნა. გარეთ კი ქარი გულშემზარავად სისინებდა და ატრიალებდა შეუჩერებლად მცივარ თოვლის ფართო ნაფლეთებს.

— ნამდვილი კუდიანების საღამოა!—წამოიძახა ერთმა ყმაწვილთაგანმა.

— აბა!.. ეს აკლია კიდევ, რომ კუდიანებმა ეიშვან თავი!—სთქვა მეორემ.

— კუდიანებს დღისით რა უნდათ!—სთქვა ერთმა მოხუცებულმა.—დღისით რავა გამოჩნდება...

— აბა როდის?

— როდის და ღამე... როცა ყველა მიყრილია, ძილშია გახვეული.

— მართალია, ექვთიმემ იცის კუდიანის ამბავი, მაგას ქეც საქიოს გოუსტუმრებია ერთი კუდიანი!—სიცილით წამოიძახა ერთმა ახალგაზრდათაგანმა,—

ექვთიმე, თუ კაცი ხარ მოყევი, რავა იყო შენ რომ კუდიანი დადაღე!—მიმართა მან ცეცხლის პირას დაბალ სამფეხა სკამზედ მჯდომ შეხნიერებულ კაცს.

— რამ გაგახსენა ახლა ეს ამბავი?—მიუგო ვისზედაც მიმართული იყო სიტყვა.

— მოყევი, მოყევი, თუ კაცი ხარ!—მხიარულად მიაძახეს ექვთიმეს და მანაც ხათრი არ გაუტეხა შეკრებილობას და მოყვა.

— მე არ მწამდა კუდიანები, მხოლოდ გაგონილი მქონდა. დღესაც ეჭვში ვარ, მარა ასეთი ამბავი კი შემემთხვა. კაი ხანია მას აქეთ, ქვემოთ სამოჯამაგიროთ ვიყავი წასული. საცა ვიდექი, იქ, ზემო სართულში ბინათ ცალკე ოთახი მქონდა მოცემული, ბუხრიანი ოთახი. ამ ბუხრის წინ ზამთრობით ვიცოდი წოლა, შიგ დანთებული ცეცხლის პირას. ჩემს მეტი ოთახში არავინ წვებოდა,—მე მქონდა საკუთრად მოჩენილი. ერთ ზამთარს უცნაური რაღაც კატა შემომეჩვია; დავწვებოდი დასაძინებლად თუ არა, საცხაიდან ეს კატა შემოძვრებოდა,—კარები ჩაკეტილი მქონდა ყოველთვის,—შემოძვრებოდა და ამ ჩემ ოთახში მიდი-მოდიოდა; ხან ზურგში მოიღუნებოდა, ხან ისევ გასწორდებოდა, აბრიალებდა თავის უშველებელ თვალებს; შავი იყო, ერთობ დიდი ტანის. ვიწვები შეშინებული და ხმას ვერ ვიღებდი. მხოლოდ ხანდახან გავახელდი თვალს და ვუყურებდი ამ უცნაურ კატას. ის კი აოვალიერებდა იქაურობას, დიდხანს რჩებოდა ოთახში ხოლმე, მერე უცფათ საცხა გაქრებოდა ისე, რომ ვერ შეეპასწარი თვალი საით გაძვრებოდა. შემომეჩვია ეს კატა და ყოველ ღამე დავწვებოდი თუ არა—ისიც უსათუოდ გაჩნდებოდა. შეშინებულს ძილი არ მეკარებოდა; ერთხანამდი ჩუმათ ვიყავი, არავისათვის გამომხელია, რაც ჩემ ოთახში ამბავი ხდებოდა. ბოლოს ძალიან შევშინდი და მივედი ჩვენ მოძღვართან. მოვუყევი, ყველაფერი ეუთხარი.

— კუდიანი იქნება,—მითხრა მან,—გაბედე. დეიჭირე. დადაღე, ისე არ მოგეშვებაო. შეც გოგონე და დაწოლის წინ ბუხარში ცეცხლში შეედევი ორი შამფურივით წვრილი, გრძელი რკინები და დავწევი; კარები ჩაკეტილი მაქვს. არ გაუვლია, დიდხანს, გაჩნდა ოთახში კატა: საიდან შემოძვრა ვერც ახლა დავიხახე, შემოძვრა და მისებურად მიდი-მოდის. ერთი მოვითქვი სული, წამოვარდი და ვეცი კატას; დევიჭირე, მივათრიე ბუხართან, გამოვიღე ცეცხლიდან გახურებული რკინა და გაკაებულ სახეზედ მიუსვ-მოუსვი, გადავსახე ჯვარი, მივიყვანე კართან, გავაღე ჩარაზული კარი და გადვისროლე მაღალზედ მოყრილ თოვლზედ; შემოვტრიალდი და ისევ ჩავრაზე კარი. კატა კი საცოდავი კნაველით გასრიალდა თოვლზედ... მეორე დღეს გადაეყედი მეზობელთან—წისქვილში ეგებ წამყოლოდა, საჭეჟავი მქონდა ბლომათ წასაღები. მივედი, გამოვუძახე. უთხარი, მითხრა:

— წისქვილი კი არა, თავი აღარ მახსოვსო. დედა ჩემს უცნაური საქმე დამართნიაო. პირი-სახე ერთიანად საცხა დაწვია და სიკვდილზეა მიმდგარიო. გავეცოდე; შევეყევი სახლში ავადმყოფის სანახავად. გავშრი კაცი—ლოგინში წევს დედაკაცი თავპირ-შეფუთვილი: ლოყაზედ სწორედ ისეთი ჯვარი აქვს, მე რომ კატა დავდაღე. ხმა არ ამომიღია, წამოვედი ჩემთვის. რამოდენიმე დღის შემდეგ დედაკაცი მოკვდა. ერთხელ შემხვდა მღვდელი და მითხრა:

— ევთიმე, ბიჭო, ის დედა-კაცი შენ მოკალი, შენი ხელითაა მკვდარიო,—კატა რომ დავდაღე. ნათქვამი მქონდა მისთვის.

— შე დალოცვილო თქვა, შენ არ მასწავლე და დამარიგე—რა რიგად მოვქცეულვიყავი: სხვას ნუ გააგონებ... რა ვიცოდი თუ ის ამ ჩვენი პარმენას დედა იყო-თქვა. თურმე ის ადამიანი წინათაც ყოფილა შენიშნული და კიღამ წყალში დეეხჩოთ! ჩემი რა ბრალი იყო! ასე იყო ეს ამბავი!—დაათავა ექვთიმემ.

— რა გითხრა იმ ადამიანმა, რომ დაგინახა?—შეეკითხა ერთი მსმენელთაგანი.

— რას მკითხავდა,—მიუგო ექვთიმემ,—ქალი გრძნობაში აღარ იყო!

— ახლა არაფერი გითხრა, მარა საქიოს რომ შეეხვდება, მაშან რალას ეტყვი!—სიცილით მიმართა ყმაწვილმა ექვთიმეს.

— საქიოს სად. რანაირათ შემხვდება,—ის ჯოჯოხეთში მოხვდება, ამას ლაპარაკი არ უნდა!

— შენ კი სამოთხე გაქვს შენთვის გამზადებული?—სიცილით მიმართეს ექვთიმეს.

— რატომაც არა—ცუდი რა მიქნია!

— აბა, ექვთიმე იმ შენ სამყოფლის ამბავს ეგერ ჩვენი მოსია კარგად გაგაგებინებს—საქიოს ნამყოფია. მოსია, მოუყევი თუ კაცი ხარ ექვთიმეს საქიოს ამბავი; ჩვენც ყურს დავიგდებთ, ამ სულელი კოლიასი ხუ შეგეშინდება,—შნაურული პარტიულია,—მხიარულათ მიმართა იმავე ყმაწვილმა მეორე მოხუცებულს:—ხომ იყავი საქიოს?

— ვიყავი! —მიუგო მოსიამ.

— ჰოდა მოუყევი, მერე, შე კაცო!

— თქვენ ახლა სამასხაროთ იგდებთ ამისთანა ამბებს და აღარ გჯერათ ბევრს!

— ვისაც უნდა დეიჯეროს, ვისაც არ უნდა ნუ დეიჯერებს... შენ კი მოუყევი მაინც!—არ ეშვებოდა ყმაწვილი.

— დიდიხნის ამბავი არ არის მაინცა და მაინც ეს,—დაიწყო მოსიამ, ავად ვიყავი და ერთ დღეს მოკკვდი კიდეც, მოვკვდი და ჩემი სული ზეცაშია. მივდივარ თვალუწვდენელ მინდვრით. მინდორია ისეთი, რომ აბრეშუმივით ბალახი მუხლებამდია. ისმის ყოველ მხრიდან ტკბილი გალობა; ყოველ ფეხის გადადგმაზედ სუფრა, სუფრა, სუფრა; ზედ აწყვია რაც გინდა სულო და გულო. ვიარე, ვიარე და მივედი—ხიდია. აქეთ თავში შემოსილი მღვდელი დგას, ქაღალდი უჭირავს ხელში, მეორე თავშიაც შემოსილი მღვდელი დგას ქაღალდი ხელში. გარეშემო ჩამოკიდულია ურიცხვი ტანისამოსი—ჩოხა, ახალუხი, კაბა, ერთი სიტყვით ყველაფერი: ეს თურმე აქ რომ დეეკურთხება მიცვალებულს, მიდის ყოველ წამში ოუარებელი სასმელ-საჭმელი,—ეს საკურთხი რომ ეგზავნებათ მიცვალებულებს; მღვდელი ყოველ მოსულ საკურთხს წერს ქაღალდზედ და მერმე ურიგებს ვის სახელზედ არის მოსული; ვისაც არ მიდის, იმას უწილადებენ მოსულიდან. მე რომ დამინახეს, წამაყვანეს იქით და ამწონეს. გადარჩენილხარო მითხრეს ამწონელებმა:—ერთმა კეთილმა ნაქნარმა საქმემ გადასძლიაო, მათხოვარი გაგიკითხავსო; მღვდელმა ჩახედა გვერდით რომ წიგნი ქონდა და მითხრა: უნდა გაბრუნდეო, ჯერ შენ აქ მოსული არ გიწერიაო. გამომაბრუნეს იქვე და ჩემდა გასასვენებლად შემზადებულ ხალხის გასაოცებლად გაეცოცხლდი. გამზადებული კუბო ცეცხლში დაწვეს!

— შენ რა ნახე, ფატუტია! შენც ხომ ნამყოფი ხარ საქიოს! მოუყევი, ბიცოლა, თუ გიყვარდე!—ახლა ისევ ხალისიანათ მიმართა იმავე ყმაწვილმა ანდრიასას ფქვილის სასესხებლად მოსულ შუახნის დედა-კაცს, როშელიც ჯერ თბილმა ცეცხლმა და შემდეგ გამართულმა მუსაიფმა შეიყოლია.

დედა-კაცმა ერთი გადიხარხარა წინადადებაზედ.

— რა მოსაყოლია ახლა ჩემი ამბავი?—თქვა მან.

— ამისთანა დღესაა მოსასმენი მაგ ამბები, თვარა საქმიან დღეს ვის ცალია მაგისთანების მოსასმენად. ეხა ჰე! გიგდებთ ყურს!

დედა-კაცმა ისევ გადიხარხარა და აღარ გაუტეხა ხათრი საზოგადოებას და მოყვა თავის საქიოს ყოფნის ამბავი.

— კი, მეც ვიყავი საქიოს. მინდორია დიდი—დიდი, შუაზედ ჩამოდის მდინარე, მარა წყლის მაგიერათ რძე მოდის; ორივე ნაპირები მოფენილია ბავშებით; მდინარიდან იღებენ რძეს და ასმევენ ბავშებს. გადაეედი იქით ნაპირას,

მივდივარ; ერთ ადგილას ვხედავ დიდ—დიდ განიერ საწოლზედ ცოლ-ქმარი წევს, ერთმანეთს ეჩხუბებიან, ვერ ეტევიან საწოლზედ; ვუთხარი—ამხელა საწოლზედ წევხართ, რა გაჩხუბებთ, ამაზედ რავა ვერ დეეტევით-თქვა; ჩვენო დედა-მიწაზედაც ერთმანეთს ვეჩხუბებოდითო, აქაც ისეთი ჩხუბი გვაქვსო. გავშორდი, მივდივარ; ერთ ადგილას ვხედავ: ფიცარია ისეთი ვიწრო, რომ ზედ ერთი კაცი ვერ დაეტევა,—ცოლ-ქმარი წევს და ისე რომ თითქო განიერ საწოლზედ წოლილიყვნენ. შევეკითხე—რავა ეტევით ამ ვიწრო ფიცარზედ ორი ადამიანი; მოგიგეს, რომ ჩვენ დედა-მიწაზედაც ტკბილათ ვცხოვრობდით და აქაც სიამტკბილათ ვართო, ვიარე, ვიარე და ხიდს მივადექი—ბეწვის ხიდია თურმე. გამაჩერეს, მკითხეს ვინა ვარ, სადაური; მერე მითხრეს, რომ ჯერ ადრეა შენი მოსვლაო, უკან უნდა გაბრუნდეო; შემომხედეს მღვდელივით და ლოცვა მათქმევინეს, მერე ეს შესამოსი ამხადეს და წამოვედი ჩემთვის; ესენი, ამ ბეწვის ხიდთან დამხვდურები, თურმე ანგელოზები იყვნენ.

— კაი სანახავი კი იქნებოდი, ფატული, მღვდლათ შემოსილი, ერთი შემომეხედნა მაშინ შენთვის!—საერთო სიცილზედ უთხრა ერთმა მსმენელთაგანმა.

— ოჰ, შენ აგაშენა ღმერთმა, ჩემო შალიკო!—თქვა ანდრიამ,—ძალიან აალაპარაკე ე ხალხი და კაი ამბები მოაყოლებიე!

— ამაშენა კი არა, ეს ჩემი ამხანაგი კოლია გულზედ გასკდეს... ისეთი ჯავრი მოსდის!—სიცილით წარმოსთქვა ყმაწვილმა, რომელმაც გამოაწყო ეს ლაპარაკი.—

— რა გენაღვლება, ილაპარაკონ, შენ რა გაკლდება, ტყვილს ხომ არ ამბობენ,—რაც გადახდიან იმას ყვებიან! ნამეტანს ნუ იქაჩები—ვითომ ახალი კაცი ხარ. ნუ იქაჩები და ისე არ მოგივიდეს, ეგერ ცხრამუხელ ბიჭს რომ მოუვიდა!

— რაი, რაი, შალიკო! რა მოუვიდა?—მიაძახეს იქით-აქედან.

— რა მოუვიდა და ის, რომ სოფლელებმა მახლობელ ეკლესიიდან გადმოასვენეს ცხრა წმინდა გიორგის ხატი. რვა დადგა და მეცხრე ვერ გააჩერეს, ძველ ადგილას იპარებოდა. ერთმა ყმაწვილმა ხალხში ილაპარაკა, რომ ის ხატი თავად კი არ იპარება, აქ ეშმაკობენო, რომ ხატებს არაფერი შეუძლიათო და ერთ დღეს მივიდა და ცხრავე ხატი ნაჯახით ლუკმა-ლუკმა აქცია. თაედაპირველში ბიჭი არხეინად ყოფილა, მერე კი ავად გახდარა; მორჩენილა, მარა თავის ჭკუაზედ აღარ არის თურმე; ლაპარაკს უკლო და ითვლის სულ, მარა ცხრას ვერ გადასცილდება თურმე. ერთი, ორი, სამი... მივა ცხრამდი, გაჩერდება და ისევ ხელახლა - ერთი, ორი, სამი, ცხრამდი!.. ამდაგვარი რამ არ მოგივიდეს, ბიჭო, იყავი შენთვის.

— ჩემი შენ ნუ გეშინია; შენ იყავი მაგრათ!—მიუგო კოლიამ.

— მაგრათ ვარ და ვიქნები; არავის ვაწყენიებ, არც მღვდელს, არც ღმერთს, თუ არი; არც მარხულობით ჯანს შევიწუხებ! რატომ არ ვიქნები მაგრად. მარა ჩვენც შევრჩით აქ და დროა წასვლის, დილამდი ყველა შეზობლები თავშენახულად გყავს ახლა. აბა ადექით, ბიჭებო, გევეტიოთ! და წამოდგენ წასასვლელად მასთან ერთად მოსული ყმაწვილები.

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა!—მიაცილა ესენი კარებამდის სახლის პატრონმა.—თქვენ აგაშენათ ღმერთმა!

გარეთ კი ისევ კორიანტელი იდგა. უმოწყალოდ იყრებოდა მძიმე, წყლიანი თოვლი.

— დოუშვი, დოუშვი!—შესძახეს ეზოში გამოსულმა ყმაწვილებმა და როგორც ხმაურობით შემოვიდნენ ეზოში, ასეთივე ხმაურობით ცილდებოდენ აქაურობას.

ᲫᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ.

ᲨᲘᲨᲮᲚᲔᲑᲘ.

გლეზ სანდრარ

მე მოვჰკალ

ყოველი მხრიდან მოდიან. დღითაც, ღამითაც. ათასს მატარებელს მოჰყავს ხალხი, ათასს—საომარი მასალა მოაქვს. ღამდება. ჩვენ დაცალიერებულ ქალაქით მივდივართ. ქალაქში დიდი სასტუმროა, მაღალი, ოთხკუთხიანი, თანამედროვე. ეს—ბანაკია მთავარსარდლის. ნიშნებიანი ავტომობილები დასატვირთად გამზადებული ყუთები, ბაზრის ციცხვები. შოფერის უნაკლო ტანთსაცმელში გამოწყობილი ალოშვინილი ყმაწვილები პაპიროსს ეწევიან და მასლაათობენ. ყვითელკანიანი რომანი. ტროტუარზე—ვარკლი და ოდეკალონის ბოთლი. სასტუმროდან ცოტა დაშორებით პატარა ეილლაა, ხეივანში მიჩქმალული. მისი ფასადი არა სჩანს. თეთრი წერტილი. გზა მის ტკინის ბადიან ღობეს ჩაუვლის, მერე უხვევს და პარკის კედელს ევლება. ანაზდეულად ფეხს აბიჯებ სკლად დაფენილ ახალ ჩალას, რომელზედაც ათასზე ათასი ლურსმნით დაჭედილი ლანჩა გაიელის. ერთნაირად მოძრავი ხელების შრიამული-ღა ისმის, კიდევ ხიშტების ჩხარუნი, ჯაჭვების ან ქათარების ჩხრიალი. მილლიონი ადამიანის სუნთქვა. ყრუ გულისცემა. წელში გასწორდებიან ყველანი და გენერალისიმუსის ბინისკენ მიიხედავენ. ნახევრად გამოღებულ დარაბში სინათლე გამოსჭვივის, და ამ სინათლეში წინ და უკან აჩრდილის გამოურკვეველი სახე დადის. ეს—ის არის. გებრალებოდესთ უძილო პასუხისმგებელი მთავარსარდალი. ლოკეანიით უჭირავს ხელში ლაგარიფმის ცხრილი. ვარაუდებს თავს ვერ აერიდებს. სიჩუმე. წვიმს. დაგებული ჩალა კედელთან თავდება. ისევ ტალახი. ეცემი, ძლივს მიდიხარ. შავი ღამე. კვლავ გაისმის სალაშქრო სიმღერა. ქშინავენ საბარგო ავტომობილები. მარჯვნით, მარცხნით, ყოველი მხრით მძიმე მოძრაობა სწარმოებს. წინ მიიწევენ ერთი მიმართულებით, ხტომეით, ჯახებით, ტაკებით. დაიძრენ რაზმებად მასსებიც. ტოკავს, თრთოლავს ყეელაფერი. ოხშივარი ასდის გახურებული ცხენების გავას. ტრიალებს სუნი მოტოციკლეტის, კარბოლის სიმჟავის და ანისის არყის. გგონია, რომ პირი ხის წებოთ გაქვს სავსე, ისეა დამძიმებული ჰაერი, შეხუთული ღამე და მოწამლული სივრცე. ბაბუა პინარის*) ორთქლი ჰბილწავს ბუნებას.

*) ფრანგული არაყი.

გაუმარჯოს არაყს მოოქრულ მედალივით აბრიალებულ მუცელში. უცებ ქშენით გამოიქროლებს ჰაეროპლანი. ღრუბელი ჩანთქავს მას. მიგორავს უკან მთვარე და ეროვნულ გზაზე ისე ტრიალებენ ალვისხეები, როგორც სწრაფად მბრუნავი ბორბლის ჩხირები. გორები ყირამალა დაჰქანდებიან. ასეთი იერიში არღვევს ღამეს და ნაკუწ-ნაკუწდება მისი ფარდა. ერთად ქაქანებს ყველაფერი, ტკრციალებს, ბღავის, ღმუის. ათასი აფეთქება. ათასი ნგრევა. ცეცხლის ალების აგზნება. ზარბაზნების ზავი. რახრახი. სროლის გაელვების მრუდე ხაზებში გამოკრთიან ადამიანების შეშინებული სახეები, სარეკლამო წარწერები, გააფთრებული ცხენები. თვალების დაწამწამება მაგნიის გაკრთომაზე. სწრაფი ფოტოგრაფია. თვალს მოვკრავ ტრანშეების ფოსფორიულ ხლვას და მაც ორმოებს. შეჭუჭდებით სროლის პარალელებში, გიეები, დალურმილები, გაწუწულები, მოქანცულები. დიდი ხანი გაიელის მოლოდინში. ჰკანკალებ სიცივისაგან. გარშემო ხუხუნია ტყვიების. დიდხანს არ წყდება წვიმა. აცივდება. ბოლოს გამოჩნდება განთიადიც ქათმის კანში გახვეული. დარბეული ეკე. გაყინული ბალახი. განგმირული მიწა. გოგირდში გაელებული ქვები. ჯვარედინად შეკრული საგნები. მთელი საუკუნე გადის ღოდინში. მაღლად ამართული ყუმბარების სვეტები. ისმის, თუ როგორ შემოდიან სადგურში უხარმახარი მანქანები. ჰაერი ორთქლმავალის, მატარებლის, რეფლექტორების სუნით არის გაჟღენთილი. ითვლი რიმალიოს სისტემის ზარბაზნის ორმაგ სროლას. 240 მილიმეტრიანის ქაქანი. 120 მილიმეტრიანის ჰახჰახი. 75 მილიმეტრიანის გიჟური კნავილი. სკორი-სკივრზე სკდება ზედ ჩვენ თავზე. ორთქლად ამოვარდნილი ხმა წყვილობით: ბამალი და დედალი. კბილების კრაჭუნი. სისინი. ხვიხვინი. ხველა. გაფურთხება. ყვირიან სპილოსავით, ღმუიან და სჩივიან. ფოლადის ქიმერების და მასტოდონტების მარული. აპოკალიპსური ხახა, რომლიდანაც ამოიყურყუმალავებენ მთვრალი ეშაპების მსგავსი უხმოვანო სიტყვები. გადაებმიან ერთმანეთს. ქმნიან წინადადებას. აზრად იქცევიან. გამოირკვევიან. გესმის მათი სამშაგი რითმი, ადამიანის მეტყველებასავით სწორხმოვანი. როცა მიეჩვევი, ეს საშინელი ხმაურობა უბრალო შადრევანის ხმიანობა გგონია. ფიქრობ-კოსმიურ მერწყულზე. მატემათიკურად სწორია იგი, უცვლელი, მუდმივი. სფეროთა მუსიკა. საშყაროს სუნთქვა. ნათლად ვხედავ ქალის საესე კორსაჟს. ხან მაღლა აიწევს, ხან ძირს დაიწევს ღელვის ტალღაზე. უშველებელად დიდია, ტანყაესე. მაგონდება ბოდლერის „დევქალი“. ვერცხლოვანი სტვენა. მხედარი ხელებს გააშვერს და მივარდება მას. საათის „h“-ია. პაპიროსით პირში იერიშზე გადადიან. იმავე წამში გაიტაცანებენ გერმანული ტყვიისმფრქვეველები. დატრიალდებიან ყაეის საფქვაეები. სკდებიან ყუმბარები. მარცხენა მხრის აწევით მიდიან იერიშზე. მოღუნულ პეკს სახეზე ფარად იფარებენ, თითქოს უძვლონი იყვნენ. ციება ჩაუდგებათ საფეთქელში. ცხელება მთელ ტანში. მოკაკული ხარ, მაგრამ დამშვიდებული მიყვები რაზმს. აღარ არის ყაითანით დამშეენებული უუროსი. ინსტიქტიურად მისდევ მას, ვინც გულმაგარია. ასეთი ყოველთვის უბრალო ჯარისკაცია. ახლა ტყუილი აღარ შეიძლება. მყვირალები კიდეც მოიპოვებიან. როცა მათ ჰკლავენ, ისინი გაჰყვირიან: „გაუმარჯოს საფრანგეთს“. უფროსობს ყველაზე უფრო ჩემი. ის წინ მიიწევს, რამდენიმე ისტერიკი მისდევს მას. ესენი ამხნევებენ დანარჩენებს. ტრაბახები სად-

ღაც გაჰქრებიან. ვირი ყროყინებს. მშიშარა იმალება. სუსტს მუხლი ეკეცება. ქურდი გტოვებს და მიიპარება. არიან ისეთებიც, რომლებიც წინდაწინ ითვლიან, თუ ვის რამდენი ფული აქვს ჯიბეში. ზოგი თავს იმკვდარუნებს. არიან ისეთებიც, რომლებიც უშიშრად კვდებიან. არ იციან რისთვის და რატომ. რამდენია ასეთი!! ახლა ზარბაზნების ტყვიებიც სკდებიან. მოგვიცავს კომლი და ალი. გაგიჟებული შიში პირდაპირ გერმანელთა სანგრებში გერეკება. მიმოვიხედავთ, ვიცნობთ ერთმანეთს. ვამაგრებთ დაშერილ პოზიციას. თოფები თავისთავად ისვრიან. ჩვენს გარშემო მკვდრებია და დაჭრილები. შესვენება შეუძლებელია. „წინ. წინ". არ იცი, ვინ იძლევა განკარგულებას. კვლავ შეტევაზე გადადიხარ. ახლა მაღალ ბალახით გარბიხარ. ხედავ დამტვრეულ ზარბაზნებს. მინდვრად მიმობნეულ საომარ მასალებს. ტყვიისმფრქვეველი გცემს ზურგში. ყველგან გერმანელებია. გასარღვევია ამართული სიმაგრეები. მსხვილი და შავი ავსტრიელები სთიბავენ ხალხს. ზოგის ხელი, ზოგის ფეხი და სხეულის სხვა ნაწილები მიმოფრინავენ ჰაერში. პირსახეში სისხლი შემესხმება. ისმის გულისგამწყალებელი ყვირილი. დატოვებულ ტრანშეებზე გადავდივართ. აქ ლეშის ზვინი დგას. გამოკრული ჩვარივით ჰყრიან დახოცილები. ყუმბარებისაგან გახეთქილი ორმოები სანარცხე ყუთებივით სავსეა ლეშით. ბადიებში არეულად: წვენი, ხორცი, ტანსაცმელი, განავალი. ბუჩქნარს იქით, ცარიელ გზაზე, კუთხეში უთავბოლოდ მიყრილი მუმიების მსგავსი მკვდრები. ჰაეროპლანი ისე დაბლა დაფრინავს, რომ ჩვენ თავს ძირს დავხრით. წინ ერთი სოფელია ასაღები—კარგი ნაშერი. შეგვამაგრებენ. კვლავ დაიწყება იერიში. ვესხმით თავს. მივაღწიეთ 26 პოზიციაზე. მშვენიერი დეკორაცია დანგრეული სახლებისა და გამოშიგნული სანგრებისაგან. უნდა დაიგაჟოს იქაურობა. მე მოვითხოვ ნაშდევიან დანას. დაარიგებენ ათამდის, აგრეთვე მელინიტის ყუმბარებს. და აი. მე ხელში მიჭირავს საკეცი დანა. დანასთან მივყევართ ჩვენ ომის ამ უშველებელ მანქანას. ქალები ღონისაგან იცლებიან ქარხნებში მუშაობით. მაღაროების სიღრმეში დაუღალავად მუშაობენ მუშები. იღწვიან მეცნიერნი, აღმომჩენნი. სასწაულის-მოქმედ კაცობრიობის ნამოღვაწარი იბეგვრება. მრავალ ცივილიზაციაცთა გამოცდილება. მთელი მსოფლიო მხოლოდ ჩვმთვის მუშაობს. მინერალებს ჩილიდან მაწვდიან. კონსერვებს—ავსტრალიიდან. ტყავს—აფრიკიდან. მანქანებს—ამერიკიდან. მუშა-ხელს—ჩინეთიდან. ცხენებს—არგენტიდან. მე ვწევ არაბულ თამბაქოს. ჩანთაში ბატავიის შოკოლადი მიდევს. მამაკაცებისა და დედაკაცების ხელებმა გააკეთეს ყველაფერი, რაც ტანს მაცვია. ამისთვის თანამშრომლობდა ყველა კლიმატი, ყველა რელიგია, ყველა რასსა. უძველესი ტრადიციები და უახლესი მეტოდები. გადატრიალებულია დედამიწის შიგნეულობა და ადათები. დახნულია ხელუხლებელი კორდები. უცოდველ არსებათაც ხელობა შეასწავლეს. წყალი, ჰაერი, ცეცხლი. ელექტრო, რადიოგრაფია, აკუსტიკა, ბალისტიკა, მატემატიკა, მეტალურგია, მოდები, ხელოვნება, ცრუმორწმუნეობა, ლამპა. მოგზაურობა, მაგიდა, ოჯახი, მსოფლიო ისტორია,—ფორმაა მე რომ ვატარებ. პაკეტბოტები ოკეანეს გადასჭრიან. წყალქვეშა ნაეები ზღვის სიღრმეში დაძვრიან. მატარებლები დაჰქრიან. ზანზარებენ საბარგო ავტომობილების ქარავანები. ქარხნები აფეთქდებიან. კინოებს აწყდებიან ბრბოები დიდ ქალაქებში და გაზეთებს

ერთმანეთს სტაცებენ ადამიანები. სოფლებში კი გლეხები სთესავენ და მკიან. მორწმუნენი ლოცულობენ. დოსტაქრები ოპერაციებს აკეთებენ. ფინანსისტები მდიდრდებიან. სატრფიალო წერილებს სწერენ გოგოები. მრავალმა ათასმა ადამიანმა თავისი ერთი დღის ნამუშევარი მე შემომწირა.—ძალა, ნიჭი, ცოდნა, ჭკუა, ჩვეულება, გრძნობა, გული. და აი, დღეს მე დანა მიჭირავს ხელში, „ბონნოს“ დასაკეცი დანა. „გაუმარჯოს კაცობრიობას!“ მე შევიგრძენი ის ცივი ჭეშმარიტება, რომელსაც მოითხოვს ჩემგან დანის მკვეთრი პირი. მე მართალი ვარ. ჩემი ახალგაზრდობის სპორტსმენული წარსული ასპარეზს ჰპოვებს. და აი, დავჭიმავ ძარღვებს, გავბერავ კუნთებს და მზად ვარ გადავეშვა სინამდვილეში. მე ვერ შემაშინეს ხომ ზარბაზნებმა, ნაღმებმა, ცეცხლმა, გაზმა, ტყვიისმფრქვეველებმა,—მთელმა სისტემატიურმა, ბრმა და დემონიურმა კრებულმა მანქანებისამ! და ადამიანი, ჩემი მოყვასი, როგორ შემაშინებს? კბილი კბილსა წილ. ახლა ხელჩართული. მუშტით, დანით. დაუზოგავად. თავს ვესხმი მოპირდაპირეს. მოვიქნევ და დავარტყამ. თითქმის სულ მოვაცილე თავს. მე ვოვჰკალ „ბოში“ *). უფრო მარდი, უმეშვეო გამოვდექი, დავასწარი. მე, პოეტს, გამახვილებული მაქვს სინამდვილის გრძნობა. მოჰკალ კიდევაც. როგორც მოჰკლავდა ის, ვისაც ცხოვრება სურს.

თარგმანი ლ. შ—სი.

*) გერმანელი.

ვსევოლოდ ივანოვ

ბავშვი

I

მონგოლეთი — მხეცია სასტიკი. იქ ქვაც მხეცია და წყალიც. პეპელა რა არის, და ისიც საკბენად მოიწევს.

მონგოლელი კაცის გული კი რა არის, არავინ იცის. — დადის მონგოლელი, როგორც ამბობენ, ტყავით შემოსილი. ჰგავს ჩინელს და სცხოვრობს ძალიან შორს, ნორ-კოის უდაბნოს იქით. იტყვიან, რომ იგი ჩინეთისა და ინდოეთის იქითა მხარეებსაც წვდებაო. ლურჯს, უცნობ ქვეყნებს.

რუსებთან ჩამოდიოდნენ ის ყირგიზები, რომლებიც რუსეთის ომის გამო მონგოლეთში გადავიდნენ. ამათი ამბავი ყველამ იცის: არაფრის მაქნისი ხალხია! რომ შეხედავ, თავიდან ბოლომდის სჩანს, რაც არის. მოდიოდნენ აუჩქარებლად, — მოერეკებოდნენ ჯოგს, თან ახლდათ ბავშვებიც და ავადმყოფებიც.

რუსებს კი აქეთ უმოწყალოდ ერეკებოდნენ. ესენი ჯანმთელი, წვივმაგარი ხალხი იყო. ამათ სუსტები კლდოვან მთებზე დასტოვეს, როგორც ზედმეტი ბარგი: — ზოგი მოკვდა, ზოგი კი დაჰკლეს. კარმიდამო, ჯოგი თეთრებს დარჩათ... გააფთრებული იყვნენ, როგორც მგლები გაზაფხულზე. იწვნენ ბუნაგებში, კარავებში, — ფიქრობდნენ ველზე და ირტიშზე.

სულ ასზე მეტი იქნებოდნენ. მეთაურობდა მათ სერგეი სელივანოვი. რაზმი ასე იწოდებოდა: წითელი გვარდიის პარტიზანული რაზმი ამხანაგ სელივანოვისა.

მოსაწყენი რამ იყო აქ ცხოვრება.

სანამ თეთრები მოსდევდნენ მთებში, შიშით იყვნენ შეპყრობილი. მოვიდნენ, დაეშვენ ველზე და... მოსწყინდათ.

ველი ირტიშის მიდამოს ჰგავს: ქვიშა. ძარღვმაგარი ბალახი. მაგრა ნაშედი ცა. ყველაფერი — უცხო, სხვისი, დაუმუშავებელი და ველური.

სხვა საშინელებას უჭალობაც დაერთო.

ქალებზე ღამ-ღამობით მასლაათობდნენ. მოუთხრობდნენ ერთმანეთს ბინძურ, სალდათურ, დედისგინებით აფორიაქებულ არაკებს... და როცა ძალიან გაუჭირდებოდათ, შეკაზმავდნენ ცხენებს და ყირგიზელ ქალების დასაპერად გარბოდნენ ველში.

ყირგიზელი ქალები დაინახავდნენ თუ არა რუსებს, უხმოდ მყისვე ზურგზე წამოგორდებოდნენ, წამოუწვებოდნენ.

საზიზღარი რამ იყო მათთან მისვლა: იწვნენ უძრავად და თვალდახუჭულად... პირუტყვზე გასვლას ჰგავდა ეს ამბავი... ყირგიზელ მამაკაცებს კი ეშინოდათ რუსების. შენიშნავდნენ თუ არა, თოფებით დაემუქრებოდნენ შორიდან. ილანძღებოდნენ. მაგრამ არ ისროდნენ კი. იქნება, არც იცოდენ სროლა.

II

რაზმის მოლარე, აფანასი პეტროვიჩი ტრუბაჩევი, ბავშვიერთ მუდამ თვალცრემლიანია. სახეც ბავშვისა აქვს: პატარა, ქოსა, მაგრამ ღაჟღაჟა. ხოლო ფეხები კი აქლემივით გრძელი და მაგარი აქვს. როცა ცხენზე შეჯდებოდა, სრულიად იცვლებოდა: ხანში შესული კაცი გეგონებოდა. სახე როგორღაც დაემალებოდა და მოსჩანდა მრისხანე, ჯაღარა და საშიში.

სამება დღეს ველში გაგზავნეს: სელივანოვი, მოლარე აფანასი პეტროვიჩი და დრეევსინინი. —კარგი სათიბი უნდა მოენახათ.

სქელი კომლივით მაღლა ადიოდა ქვიშა... ციდან ქარი უბერავდა. მიწაზე პაპანაქება სიცხე ცეცხლივით გუზგუზებდა. როგორც ადამიანებს, ისე პირუტყვებსაც ტანი გაქვავებოდათ.

სელივანოვი ამბობს ჩახლეჩილი ხმით:

— იქ... ჰო, რა სათიბია... იქ... ირტიშზე...

დანარჩენების უწვერო სახეები კი სდუმდნენ. როგორც ბალახი ეწერში, ისე ჰქონდათ ამომწვარი მზისაგან თმა... ანთებულ, ვიწრო თვალებით გამოიმზირებოდნენ. თვალები ანკესისაგან გაფხაჭნილ იარას მიუგავდათ.

აფანასი პეტროვიჩი დაარღვევს დუმილს:

— ნუ თუ ახლა იქაც გვალვაა?..

სახე არ უტიროდა, ხოლო მტირალი ხმით კი ლაპარაკობდა. მის ცხენს კი—ქანც გამოლეულს და ღონემიხდილს—ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი დიდრონ თვალებიდან...

... ქვიშა ნელ-ნელა იქუქებოდა. მტვრიანი ქარი წებოსავით ეკვრებოდა თავს, ბეჭებს... შიგ ტანში ოფლი სდუღდა, მაგრამ სქელ მშრალ კანიდან ვერ გამოდიოდა...

საღამო იყო, როცა ღელედან ამომავალმა სელივანოვმა ხელი გაიშვირა დასავლეთისაკენ და წამოიძახა:

— მოდიან!

მართლაც: ჰორიზონტზე ვარდისფერად ირხეოდა მტვრის სვეტი.

— ალბად ყირგიზელებია!

შეეკამათნენ ერთმანეთს: დრეევსინინი ამტკიცებდა, რომ ყირგიზები შორს ბინადრობენ და სელივანოვის რაზმის საბანაკოს გაურბიანო. აფანასი პეტროვიჩი: უთუოდ ყირგიზებია... ყირგიზების მტევრია, ასე რომ სქლად ადის ჰაერშიო

მაგრამ მტევრი დაუახლოვდათ, მაშინ ერთბაშად წამოიძახეს:

— უცნობი ხალხია!

ცხენებმაც იგრძნეს პატრონების ხმაზე, რომ ქარს რაღაც უცხო მოაქვს.

მიწაზე გაერთხენ ცხენიან-კაციანად.

სელივანოვი და მოლარე აფანასი პეტროვიჩი კორდის კიდურზე მიწვნენ. აფანასი პეტროვიჩი ფრუტუნებდა და სტიროდა. მშიშარა იყო, და სელივანოვი არ იშორებდა ხოლმე მას.

მტვერი გადიდდა, გაიშალა გზის მთელ სიგრძე-სიგანეზე. მოისმა ბორბლების რახრახი. გამოჩნდა ცხენის შავი, გრძელი ფაფარიც...

— რუსები!—ბეჯითად წამოიძახა სელივანოვმა, და დრევესინინი მოიხმო.

შემოღობილ ეტლში ორი უცნობი იჯდა. შენიშნეს მხოლოდ ორი ქუდი, წითელ არშია-შემოვლებული. სახე კი ვერ გაარჩიეს მტვერში. მტვრის ბოლში შესროლილსავით მოსჩანდა ორი ქუდი და მათზე ამართული თოფის ლულა. მერე მათრახიც გამოჩნდა ამნაირადვე.

დრევესინინს აზრად დაებადა:

— აფიცრებია!... „იკსპიდიცია!"

— ჩვენც მათ ვაჩვენოთ „იკსპიდიცია!"...

მოგორავს ეტლი, მოჰყავს უცნობები... წინ ცხენები... უკან კი, როგორც მელა, კუდით კვალსა ჰშლის...

შეეხვეწა აფანასი პეტროვიჩი ამხანაგებს:

— ნუ გინდათ, ძმებო... სჯობია, ტყეედ...

— სიკვდილი ხომ არ მოგნატრებია!—გაუჯავრდა მას სელივანოვი, გამოსწიეს თოფების ხრიალა ჩახმახები, თითქო ლითონის ღილები შეხსნეს და...

— აქ შეცოდება რა შუაშია...

მოვიდნენ აფიცრები მარტო, უამალოდ. ვითომ რაო? ლაშქარი ვართ და გლეხებს სიკვდილით?

წამოდგა ეტლში აფიცერი. ველს გადახედა. რას დაინახავდა?—მტვერი. ამომწვარ ბალახზე წითელი ქარი. კორდთანაც, ცხენების ლეშის მსგავს ორ ქვაზედაც ქარი წითელი...

წითელია მტვერიც, ურმის ბორბლებიც... წითელია ადამიანიც და მისი აზრიცა...

ისროლეს.

დაეცა ერთბაშად ორი წითელ-არშიანი ქუდი ეტლის კოფოზე.

აღვირიც დაეშვა მყისვე ძირს, თითქო გაწყდაო.

გაქანდნენ ცხენები... მაგრამ მალე ისევ დადგნენ.

აფანასი პეტროვიჩმა სთქვა:

— დაიხოცნენ...

მივიდნენ ახლოს. დაათვალიერეს.

წითელ-არშიანები მომკვდარიყვნენ. თავები უკან გადაეგდოთ, მხრებით ერთმანეთს მიბჯენოდნენ. ერთი მათგანი ქალი აღმოჩნდა. მტვრისაგან ზოგან შეყვითლებული თმა გაშლოდა. სალდათის „გიმნასტიორკა" ქალის მაღალ გულმკერდს ამოებერა.

— უცნაური ამბავი, თუ გინდა!—სთქვა დრევესინინმა.—მაგრამ თვითონ არის დამნაშავე, რომ მამაკაცის ქუდი დაუხურავს... თუ არა, ქალს რომელი გიქი გასწირავდა!.. დედაკაცები საჭირონი არიან!

აფანასი პეტროვიჩმა კი გააფურთხა:

— ბურჟუი ხარ და უსინდისო!.. შენში არაფერი...

— დაიცათ!—გააწყვეტინა სელივანოვმა.—ჩვენ მძარცველები კი არ ვართ! აქ ბარგიც არის!.. საჭიროა, აიწეროს სახალხო ქონება! მომაწოდე ქაღალდი!

სხვა „სახალხო ქონებასთან“ ერთად ჩინურად წნულ კალათაში ბავშვიც აღმოაჩინეს,—თეთრთვალებანი, თეთრთავიანი. პაწაწა ხელი ყავისფერ საბნის კიდეზე წაევლო და ოდნავ წუწუნებდა.

შეეცოდა აფანასი პეტროვიჩს:

— ესეც ხომ... დახე, მისებურად ლაპარაკობს...

ერთხელ კიდევ შეიცოდეს ქალი. მისთვის ტანზე არ გაუხდიათ. მამაკაცი კი გააშიშვლეს და ქვიშაში ჩაფლეს.

III

აფანასი პეტროვიჩი ეტლში იჯდა. ხელში პატარა ბავშვი ეჭირა და ფრთხილად არწევდა. ნელ ხმაზე ღიღინებდა.

თან აგონდებოდა თავისი სოფელი—ლებიაჟი, ჯოგი, ოჯახი... მოსთქვამდა და სტიროდა.

სტიროდა ბავშვიც...

ეტლს ცხელი ქვიშის მტვერი ადევნებოდა, და ისიც თითქოს მოსთქვამდა აფანასი პეტროვიჩის ხმაზე. პარტიზანები კი კვალდაკვალ მოაჭენებდნენ მონგოლურ დაბალ ცხენებს. დაფერფლილი ჰქონდათ სახე. დაფერფლილი ჰქონდათ სული.

ბილიკებს სიცხისაგან დამხრჩვალი აბზინდა დაჰკროდა. მას ვერც გაარჩევდი მტვრისაგან, ვერც შეამჩნევდი ქვიშაში:

მტვერია აბზინდაც, წვრილ ღერიანი და მწარე.

ჰე... ბილიკები... თხის საფეხო ბილიკები! ჰე, მტვერი... და მონგოლეთი—მხეცი, სასტიკი და ავი!

დაათვალიერეს აფიცრის ბარგი. ნახეს: თამბაქო, წიგნები, ფოლადის ბრჭყვიალა ინსტრუმენტები. ერთს სამი ფეხი ჰქონდა, რომელზედაც გამაგრებული იყო ოთხკუთხიანი ყუთი.

გასინჯეს. აწონ-დაწონეს ხელით.

ცხვრის ქონის სუნი აუდიოდათ... ტანსაცმელიც ქონით უყარდათ. მშვილდივით გაღუნულ ფეხებზე იდგნენ და ველური ხმა ჰქონდათ.

— ტილისკოპ! —წარმოსთქვა აფანასი პეტროვიჩმა და ასწია სამფეხა ყუთი.

— კარგი ტილისკოპია! იცით, ამით მთვარეს გახედეს და ალმოაჩინეს ისეთი ოქროს მადანი იქ... მთვარეზე... ისეთი, რომელსაც გარეცხვაც არ ესაჭიროება. პირდაპირ ჩაყარე ტომარში, თუ გინდა...

— რა ტყუილსა როშავ?... გახსენი რაღა... შენიშნა ერთმა, რომელიც ქალაქელი იყო.

— მე ვროშავ, შე ძუ-ძაღლო, შენა!.. დამაცა...

. . . . . .

. . . . . .

თამბაქო გაინაწილეს. ინსტრუმენტი კი აფანასი პეტროვიჩს ჩააბარეს, როგორც მოლარეს. იქნება, გადასცვალოს შემდეგში რამეზეო.

მან კი ინსტრუმენტი ბავშვს მოუდგა გვერდით.

— გაერთე, პაწაწავ!

ბავშვი ვერაფერს ხედავს. წრიპინებს, წივის. აფანასი პეტროვიჩი აქეთ ეცა, იქით. მაგრამ ბავშვი ვერ დააშოშმინა. წივის და კნავის.

მოიტანეს სადილი. დატრიალდა ერბოს სუნი, „შჩის“ ორთქლი...

ამოიძვრეს ფეხსაცმელების ყელებიდან გრძელი კოვზები.

ნაპრალში ისხდნენ, ჩრდილიანში. ზევით მზვერავი იდგა. საჭმელის დანახვაზე იყვირა:

— გამომცვალეთ ჩქარა. მეც ჩამათქვლეფიეთ! მშია!

ისადილეს. ახლა ბავშვიც მოაგონდათ. უნდა აჭამონ. მაგრამ ის თავისას განაგრძობს.— სტირის, კნავის.

აფანასი პეტროვიჩმა დაღეჭა პირში პური. დაამგვრალა ენაზე, შელესა ნერწყვით. მერე გამოიღო და ბავშვს მიუტანა პირთან.

— ჩახეთქე, ბიჭუნი...

დამუწა პირი ბავშვმა. ახლოს არ გაიკარა. ახლა ცხვირით წრიპინებს.

გარს შემოეხვივნენ გლეხები. უცქერიან ბავშვს. სდუმან.

ცხელა. შეიხსნეს გულმკერდი. გამოჩნდნენ შიშველი ფეხები, ყვითლები, როგორც მონგოლეთის მიწა.

ერთმა სთქვა:

— მიეცით „შჩი“!

გააცივეს „შჩი“. აფანასი პეტროვიჩმა ჩაჰკრა შიგ თითი და მერე ბავშვს ჩაურჭო პირში. დადინდა ქონიანი შჩის წვენი პაწაწა ლოყაზე, ტუჩზე, გაითხუპნა ვარდისფერი პერანგი, საბანი...

არ სჭამს მაინც.

— ლეკვი უფრო ჰკვიანია: თითს ლოკავს, როკა მისცემ...

— ხან ძაღლია, ხან კი ადამიანი...

რაზმს ერთი ძროხაც კი არ მოეპოვებოდა. იფიქრეს, ჰაკი ცხენის რძე მიეწოდებიათ. მაგრამ შეეშინდათ, იქნება მოჰკლას ჰაკის რძემ, ან დაითროსო.

გაიფანტნენ გლეხები. თავიანთ ურმებს მიაშურეს. თათბირობენ, რა აჭამონ ბავშვს. სწუხან.

ურმიდან ურემთან გარბის-გამორბის აფანასი პეტროვიჩი. იგი ყველაზე უფრო შეწუხებულია. ბავშვივით წრიპინებს, თითქო თვითონაც ბავშვი იყოს უმწეო.

— ა? რა ვქნათ? არ სჭამს, ხომ ხედავთ, გლეხებო!.. რა ეშველება?

— დედაკაცის საქმეა...

— რა თქმა უნდა!..

— დედაკაცი მთელ ცხვარსაც შეაჭმევს...

სელივანოვმა შეჰყარა რაზმი და გამოუცხადა:

— არ შეიძლება ასე დაიღუპოს ქრისტიანი ბალღი. პირუტყვი ხომ არ არის! ვსთქვათ. მამა ბურჟუა ჰყავდა, მაგრამ ბავშვმა რა დააშავა?

დაეთანხმნენ გლეხები.

— ბავშვი უდანაშაულოა!

გადაიხარხარა დრევესინინმა:

— გაგვეზდება ბიჭი... მთვარეზე აფრინდება... ოქროს მადანს ჩამოგვიტანს რაღა!.. მაშა გიცხონდათ!

არ მოეწონათ ეს გლეხებს.—არ გაიცინეს. აფანასი პეტროვიჩი კი მუშტით დაემუქრა დრევესინინს:

— ძუკნა ძაღლის გაგდებულო, შენა... როგორ ამბობ ამას...

მაგრამ მერე უცებ წამოიძახა:

— ძროხა გვინდა, გლეხებო!.. ძროხა უშველის ბავშვს!

გადასწყვიტეს ერთხმად:

— მოკვდება უძროხოდ!

— აუცილებელია ძროხა!

— უძროხობა არ იქნება!

აფანასი პეტროვიჩმა განაცხადა:

— მე მოვრეკავ ძროხებს!

დრევესინინმა დაცინვით შენიშნა:

— ლებიაჟიდან, ირტიშიდან მორეკავ, აი...

— ლებიაჟიდან კი არა, გამოთაყვანებელო შენა, ყირგიზელებთან წავალ!

— ტილისკოპზე გადაგიცვლიან!...

აფანასი პეტროვიჩი საცემად მივარდა მას.

— პროვოკატორი ხარ და კაცობრიობის მოდგმის მოღალატე! ხომ არ გინდა, ჩაგილეწო ეგ დინგი...

შეიქმნა გინება. ყრილობის თავმჯდომარემ, სელიავანოვმა, შეაჩერა ამხანაგები:

— გეყოფათ!

კენჭის ყრით გადასწყვიტეს: დრევესინინი, აფანასი პეტროვიჩი და კიდევ სამი სხვა გამგზავრებულიყვნენ საჩქაროდ ყირგიზელებთან და მოეყვანათ ძროხა. თუ მოახერხებდნენ ორი, ან ხუთი და მეტიც, რადგანაც რაზმს საკმარისი ხორცი აღარ ჰქონდა.

თოფები უნაგირზე მიაკრეს. ჩაიცვეს ყირგიზულად, რომ შორიდან არ ეცნოთ და გაუდგნენ გზას არჩეულები.

ბავშვი კი შეხვიეს საბანში და ურემს ქვეშ შეაგდეს. გვერდით მოუსვეს ერთი ბიჭი, რომელიც ბავშვს იმით ართობდა, რომ მახლობელ ჩირგვს წამდაუწუმ ესროდა ნაგანის რევოლვერს. ამით თვითონაც ერთობოდა.

IV

ჰე, შენ, მონგოლეთის ქვიშაო, არა საამოვ!.. შენ ქვაო, ლურჯო, ცეცხლებ მხურვალეე, და მდინარეო ღრმა ღელიანო, დაუნდობელო!..

მიდიან რუსები ქვიშიან ველით. ღამეა ბნელი.

დამწვარის სუნი სდგას...

ძაღლები მგლებს უყეფენ და ღამეს...

სიკვდილს გაექცნენ ყირგიზელები!..

ყვითელ კოცონებს გარს შემოსხდომიან ყირგიზელი ბიჭები. მათ გვერდით მოკალათებულან გვერდებ-ჩაცვივნული ძაღლები, წაწვრილებული თავებით. ყირგიზელების ფაცხები ისე დგანან, როგორც თივის ზვინები... ფაცხებს იქით ტბა და ჩალიანი...

ჩალიანიდან გავარდა თოფი.

— ჰოოო!

გამოვარდენ გარედ ყირგიზელები. შეშინებულებმა ჯერ სათითაოდ იყვირეს. მერე ყველამ ერთად დასძახა:

— ჰუი ჰოი... ჰუი ჰოი... რუსი... ჰუი ჰოი... რუსი.

შემოასხდენ ცხენებს. ცხენები ღამითაც მზად ჰყავთ ყირგიზელებს. ახმაურდა ველი. ახმაურდა გარემო ტყის იხვის ძახილით:

— აკ... აკ...

ერთი ჭაღარა ყირგიზელი გადმოვარდა ცხენიდან და პირდაპირ კარდილაში ჩავარდა. გადაბრუნდა ქვაბი. გადმოიღვარა რძე. იბღავლა ბებერმა. ძაღლმა კი ცხვირი ჩაჰყო კარდილაში და ცხელ რძეს დაეწაფა.

ახვიხვინდნენ ჭაკები. დაფრთხენ ცხვრებიც, თითქო მგლები შემოსეოდათ. ძლივს სუნთქავდნენ ძროხები.

ყირგიზელმა დედაკაცებმა მოჰკრეს თვალი რუსებს, და წამოწვენ იქვე, მოემზადნენ.

დრევესინინი სულ ხარხარებდა:

— ვაყები ხომ არ ვართო...

მათარა აიღსო რძით და გამორეკა ძროხები ნაგანის სროლით.

აფანასი პეტროვიჩმა ერთხელ კიდევ შემოურბინა ფაცხებს და ის იყო, უნდა შეერთებოდა დრევესინინს, რომ მოაგონდა:

— საწუწნელა გვჭირია, ხალხო! დაგვავიწყდა...

დაბრუნდა. შევიდა ფაცხაში. ეძებს საწუწნელას ბავშვისათვის!

ცეცხლი ჩაეკროთ ფაცხებში. ბნელოდა. აფანასი პეტროვიჩმა ხელი წააცლო მუგუზალს, შეუბერა, დაატრიალა და დაიწყო ძებნა.—ერთ ხელში მუგუზალი ეჭირა, მეორეში რევოლვერი.

ვერსად ვერ ნახა საწუწნელა. ერთი ფაცხიდან მეორეში გადავიდა.—ყირგიზელი ქალი ნაბადზე წამოწოლილიყო მოლოდინში. მის გვერდით ბავშვი ჩხაოდა.

აფანასი პეტროვიჩმა შეჰყვირა:

— ჩქარა საწუწნელა ბავშვისათვის! მოიტა ჩქარა!

ატირდა ქალი. ფიცხლად შეიხსნა პერანგი მკერდზე.

— ალ... ალ... —ბუტბუტებდა იგი. გაჯავრდა აფანასი პეტროვიჩი. მაშინ დედაკაცმა ამართა მაღლა ფეხები, და მუხლები მოიკეცა.

მაგრამ აფანასი პეტროვიჩმა დაუნახა თუ არა ძუძუები, მივარდა ქალს და გახარებულმა სტაცა ხელი ძუძუსთავს.

— აი... საწუწნელა!... ა! წამო!—და აიტაცა ქალი. გადააგდო მუგუზალი და ქალიანად გამოვარდა გარედ.

ბნელში შეისვა ქალი თავის ცხენზე და გამოსწია. დროგამოშვებით გზაზე ძუძუებს უსინჯავდა ქალს და გახარებული გამორბოდა სელივანოვის საბანაკოსკენ.

— ვიპოვე, ხომ! ა?—ამბობდა იგი და სიხარულის ცრემლი ჩამოდიოდა თვალიდან.

— მაშ... ვიპოვე...

V.

როცა საბანაკოში მოვიდა,—ბნელში აფანასი პეტროვიჩს ეს სულ არ შეუმჩნევია,—აღმოჩნდა, რომ ყირგიზელ დედაკაცს თან წამოეყვანა თავისი ბავშვი.

— იყოს... მისი რძე ორსაც ეყოფა! ძროხებიც გვყავს... და დედაკაციც ჯეელია, ღონიერი.—სთქვეს გლეხებმა.

ქალი ჩუმი და მოვალეობის პატიოსანი აღმსრულებელი აღმოჩნდა. კარავში ჰყავდა ორივე ბავშვი მოთავსებული—ერთი თეთრი, მეორე ყვითელი—და თავის დროზე არ აკლებდა რძეს.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ საერთო ყრილობაზე აფანასი პეტროვიჩმა განაცხადა:

— ამხანაგებო, დედაკაცი გვატყუებს... მისას სავსე ძუძუს აჰშევს, ჩვენსას კი ნარჩენს!.. ნამდვილს ვამბობ. ჩემი თვალით ვნახე!

წავიდნენ გლეხები შესამოწმებლად. ნახეს: ბავშვები მწიფე ნესვებივით ეყარნენ, ხოლო ერთი თეთრი, მეორე ყვითელი. მოეჩვენათ კი, რომ რუსი უფრო ხმელტანიანი იყო, ყირგიზი კი სავსე ტანიანი.

გააქნია ხელები აფანასი პეტროვიჩმა:

— მე უკვე სახელიც კი დავარქვი: ვასკა... და შეხედეთ, ეს კი რას მიშვრება!

— მიდი, აწონე და შეიტყობ...—უთხრა დრევესინინმა.

მოიტანეს ჯოხი. მოაწყვეს სასწორი. ერთ თავზე რუსი ჩამოჰკიდეს, მეორეზე ყირგიზელი ბავშვი. კნაოდნენ, ჩხავოდნენ ძონძებში გახვეულნი, ქამანდზე ჩამოკიდებული ბავშები. უყურებდა ამას ყირგიზელი ქალი და სტიროდა: არაფერი ესმოდა.

გლეხები იდგნენ და სასწორის სამართალს მოელოდნენ.

— მაშ, ჰა, უშვი!—ბრძანა სელივანოვმა.

გაუშვეს ხელი ბავშვებს.

რუსის ბავშვი მაღლა ავარდა. დასწონა ყირგიზელმა.

— შეხედე, ამ ყვითელ დინგიან მამაძაღლს! ძალზე გამძღარა!

მერე აიღო იქვე მიგდებული ცხვრის თავისქალა და რუსის ბავშვზე დააგდო.

ახლა გასწორდა ჯოხი.

აყაყანდნენ.

— მთელი ერთ თავით მეტი უწოვებია, ამხანაგებო! მთელი ერთი თავით!..

— რას შენიშნავ! ძნელია!

— აი, მხეცი თუ გინდა!

— მშობელია...

ყველაზე უფრო ცხარობდა აფანასი პეტროვიჩი.

— შენი აზრით, რუსი უნდა დაიღუპოს და შენი ლაწირაკი კი გადარჩეს, არა?... ა? ვასკა უნდა დაიღუპოს?—

ვასკა კი იწვა თეთრი, ხმელი და საცოდავი.

მაშინ სელივანოვმა აფანასი პეტროვიჩს წასჩურჩულა:

— დეე, მოკვდეს ის ბარტყი... ეშმაკმა წაიღოს მისი თავი!.. მაინცა და მაინც ბევრი არ დაგვიხოცავს ყირგიზელი...

გადახედეს ერთხელ კიდევ გლეხებმა ვასკას და თავ-თავიანთ კუთხეს მიაშურეს.

აფანასი პეტროვიჩმა კი აიყვანა პატარა ყირგიზელი და შეხვია დახეულ ტომარაში...

იკივლა დედამ. მაგრამ აფანასი პეტროვიჩმა ჩაარტყა მას კბილებში და გაუდგა გზას ველისკენ...

V.

გავიდა ორიოდე დღე. კარავის შესავალთან იდგნენ ფეხაკრეფილი გლეხები და ფრთხილად იცქირებოდნენ შიგ.— კარავში ყირგიზელი ქალი ძუძუს აწოვებდა თეთრ ბავშვს.

მორჩილი სახე ჰქონდა ქალს, შვრიას მარცვალივით პაწია თვალები.

მთელის არსებით მიძალებოდა ბალღი ძუძუს. ხელი მაგრა ჩაეჭიდა პერანგში და ფეხები აეთამაშებია.

სიამოვნებით უცქეროდნენ გლეხები და ხითხითებდნენ ძლიერი, ნოყიერი ხითხითით.

აფანასი პეტროვიჩი კი გულაჩვილებული უცქეროდა და ცხვირში სცრიდა თავისებური წრიპინით:

— შეხედეთ, როგორ მიძალებია...

კარავს იქით კი გადაჭიმულიყო უზარმაზარი სივრცე კორდიანი ველისა, უცხო მონგოლეთი...

ვინ იცის, სანამდის წვდებოდა მონგოლეთი—მხეცი, ავი და სასტიკი...

თარგმანი **ლ—ის.**

ლ. ტანსკი

ძრი ქვეყანა

მოხუცი

მთას რისთვის ანგრევ დღით და ღამით, შეუსვენებლად?
რად გინდა საშიშ სიმაღლეზე კაცი წვალობდეს?
სად მიგაჩქარებს უჩინარი ეგ მოჩვენება,
რისთვის აყორებ ერთმანეთზე წვეტიან ლოდებს?
ჰხედავ?—ჰქანაობს. დაინგრევა უცბად ნაშენი!
დაგეელუპება ნანგრევებში რაც მადლი ვთესეთ!

ახალგაზრდა

არა, მოხუცო! შიში ნუ გაქვს! ანთებულ რწმენით
მე ახალ ტაძარს ვაშენებ კლდეზე.

მოხუცი

როგორ? ტაძარსა! განა ჩვენში ცოტაა ძველი?
შეხედე,—ოქროს გუმბათები როგორ ბრწყინავენ?
წმინდა კედლებში აგუგუნებს ხორალს მლოცველი
მშვიდობიანი და უწყინარი.

ახალგაზრდა

სიბნელისა და კაეშანის არის ეგ ბინა.
იქ უვიცობის ალიმართენ მაღალი მთები.
იქ მწუხარებამ სულს ცრემლები დააფრქვევინა.
მე კი ვაშენებ ახალ ტაძარს მთათა მწვერვალზე,
სადაც მზისაგან გადმონადენ სისხლისფერ ალზე
მხოლოდ არწივის შრიალებენ მაგარი ფრთები.
ვაშენებ ტაძარს სიხარულის ნათელით სავსეს

ჩვენს ნაწამებს და ცოდვილ მიწაზე.
ვაშენებ ტაძარს, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა,
რაც კაცთა ტომი ღეთაების წინ ძირს დამხობილა!

მოხუცი

ფუჭი ოცნება! ღვთის მცნებას ხომ დაეჯერება,—
რომ ეს ქვეყანა არის ტანჯვის და ცრემლის ბუდე?
არ არის ქვეყნად სიამე და ბედნიერება.
ამაო ზრუნვით სწორი აზრი რათ გაიმრუდე?
ვინც განსაცდელი გადიტანა აქ მოთმინებით,
მას სხვა ნუგეში იქ მიუზღვეს და დაუწესეს.
შენ კი რაღა გსურს? რისთვის ანგრევ მთას დაჟინებით?
რა სახლს აშენებ დაუნდობელ ღრუბლის ფუძეზე?
უქმად დარჩება უნაყოფო ეგ მისწრაფება.
ვინ შესძლებს მიწას სხვა მიზანი გამოუჩინოს?

ახალგაზრდა

სცდები, მოხუცო! სული უკვდავ მზეს ეწაფება,
და ვგრძნობ დაჩიმულ მხრებზე ფრთების რხევას უჩინარს.
მინდა სიცოცხლე! მესმის ქვები როგორ მღერიან.
ავაგებ ტაძარს და მის სვეტებს მე თან ავყვები.
სცდები, მოხუცო! ეს ქვეყანა მშვენიერია.
შომხიბლავია მზის სხივები და ზღვის ტალღები.
მშვენიერია ცა, ჰაერის ლურჯი სარჩული,
სივრცე მინდვრების, ყვავილებით შემოფარჩული,
ადამიანი, და მის თვალთა მწველი იერი...
ტაძარს ავაგებ, რომ შევკრიბო შიგ მიწიერი
კაცობრიობა სიყვარულით გადაჯაჭვული.
უნდა იბრძოდეს მომავლისთვის, ჰფიქრობს ვინც ასე.
სცდები, მოხუცო! მზით შემოსილ მშობელ მიწაზე
მსურს და ვიქნები მე ბედნიერი!

მოხუცი

გიჟო, შეჩერდი! რამ დაგიხშო გონების თვალი?
ძირს დაივაკე, რა ვინდა მაღლა?
თუ ეგ განზრახვა არ შეიცვალე,—
მე ძალას ვიხმარ: გაგთოკავ ახლავ!
არ მოგცემ ნებას შეასრულო რაც შენ ითავე,—
დაგეღუპო ჩვენცა და შენი თავიც!

ახალგაზრდა

ჩუმად, მოხუცო! რატომ ვერ ჰხედავ,—
რომ ბედს საკუთარს მე თითონ ვჰედავ?
ჩუმად, მოხუცო! ძირს დაჰხოხავს ქვეწარმავალი.
მე ვარ მწვერვალზე, სადაც არწივს სივრცე ახარებს.
შენ ბრმა და ყრუ ხარ, და გეძახის მზე ჩამავალი
გაყინულ ნისლის და ჩრდილთა მხარეს.
შენ აღარ გესმის ზეიმი ხარის,
დღესასწაულზე რომ მოგვიხმობს ამღერებული.
შენთვის არ ბრწყინავს შუქი ცისკარის,
შენ არ გინათებს ვარსკვლავთ კრებული!
და მეც იმიტომ არ მოგიწოდე,
რომ ხარ სინათლის უარმყოფი და გამკიცხველი.
სულით მოხუცმა სიხარული ვერ შეიძინე.
მოკვდი! მოგვშორდი, და დაიძინე
მარადისობის უდაბნოში, თორემ იცოდე,
დროთა უფსკრულში გადაგისვრი ფოლადის ხელით!

თარგმანი დ—ლ ი ს.

ვალერი ბრიუსოვ

პ ა რ ი ზ ი

მეც შენთან მოველ ჰო, ქალაქო, ათასთვალება,
შენს მოედნებთან, სასახლეთა მბრწყინავ დარბაზში.
მე შევიყვარე შენი ქუჩა და მღელვარება,
ხმა მეგაზეთის, სიგნალები, დრტვინვა, განგაში.
მე შევიყვარე შენი სული—ესდენ გრძნეული,
მარად მბორგავი, სასიცოცხლო ძალებით მჭიდრო.
სტიქია შენი—სიცოცხლეა, ცეცხლად ფრქვეული,
ჰო, ჯადოქარო, სამუდამოდ შევიქმენ შენი.

ხშირად მეგონე უცნაურად ძველი, ბებერი
და უფრო ხშირად კი ხარობდი შენ, როგორც ბავშვი,
როცა მრავალი მოსეირნე, შეყვარებული
საღამო ჟამზე გაჩნდებოდა შენს ურიცხვ ბაღში.
ამაყ წაბლების ყვავილებით უცხოდ მორთული
ენთო ფარნები, სჩანდა ქუჩა თვალის წამლები.
ღამის რეკლამებს გადმოეგდოთ ცეცხლის ხორთუმი,
ჰქროდენ ეტლები, იზრდებოდა ხალხის ტალღები.
და ათასობით მიმავალი ხალხი ქუჩებზე
მეჩვენებოდა ახალ დროში მიმცურავ ტალღად,
ამ თავისუფალ მდინარეებს ვუცქერდი ხარბად—
შეუმჩნეველი მცირე წვეთი მე მათ ურჩ მკერდზე.
და შენ იდექი, როგორც ბედი მძლე, ულმობელი,
როგორც კოლოსი,—შენი შუბლი ცაში ჰქრებოდა.
სმენას ატკბობდა პეანები დამათრობელი
და ბრძოლა ხალხთან ქალაქისა არ ნელდებოდა.

როცა დაღლილი სინათლით და სანახაობით
ვეძებდი საფარს—მიზიდავდა ტაძარი ძველი,—
ბევრჯერ შემკული პოეტების მრავალ თაობით.
აქ ოცნებობდა ჩემი ტვინი და თვალი ცხელი.

რარიგ მატკბობდა მე ფერადი ფანჯრის მინები,
გამოკვეთილი ვარსკვლავები და სახეები;
მავიწყდებოდა მათი ხილვით შესაშინები
ქვეყნის ქაოსი და ცხოვრების შავი დღეები.
აღარ მესმოდა ფსალმუნი და ორღანოს ხმები,
ვსჭვრეტდი სინათლეს, მხოლოდ წმინდა კალეიდოსკოპს,
ნისლში მოსჩანდა სულ ფერები და ყვავილები...
რაა სიცოცხლე? დაბადება? სიკვდილს ვინ მოსპობს?
და ტრიალობდა წრის გარშემო უცხო მირაჟი
ცეცხლის ალების, ცისარტყელის ყველა ფერებით.
იყო ფერები თვით ქვეყანა ღამით, რიჟრაჟით...
ეს სახეები არ არის, რომ ტკბილ სიმღერებით
სამოთხის კარად აჩრდილების გულებს ათრობენ?
არ ღლიან ფიქრებს და ხალისით თვალებს ართობენ?

აქ, სენის გაღმა, არის წმინდა თავშესაფარი,
შრგვალი ტაძარის შორ სილრმეში სძევს კუბო ქვისა:
ტყვე იმპერატორს დღეს აქ სძინავს, იგი აქ არის—
ეს დიდი მოგვი, ჩვენი მტერი, მეფე რისხვისა.
სხივი ფანჯრებში ოქროსფერობს და ხან ცისფერობს.
მასშია რაღაც ხდუმალი ბუნდოვანება:
ჩუმ ბაირაღად მას საფლავი გადაუფარავს
და უერთდება არწივის ფრთის სწრაფ გაქანებას.
რაც მეტხანს რჩებით, მით მეტია აქ მდუმარება,
მაგრამ სულ უხმოდ ეს სიჩუმე იზრდება მეხად.
ცოცხლდება იგი, რაც გვსმენია წინეთ ზღაპრებად,
შეუძლებლობის წინ მთრთოლვარე პირისპირ სდგეხართ.
ის ბრძანებლობდა საუკუნეს, ვით გემს მატროსი,
მილიონ სულებს უჩვენებდა სიკვდილის წამებს;
იმას დარაჯათ მიუჩინეს კლდე განატრუსი,
თავისუფლება ჩამოართვეს და გააწამეს.
მან სასახლეში დაიძინა, ფიქრმა წაილო,
გამოიღვიძა და იხილა ციხის კარები,
და ისე მოკვდა, რომ მან კარგად ვერც კი გაიგო
ნამდვილი იყო ეს ამბები, თუ კოშმარები.
იქნებ გრძელდება კვლავ ეს ძილი, ძილი ორპირი?
შენ კვლავ ოცნებობ და ეს კუბოც სხვა რამ გეგონა?
რომ შემოიკრე აქ უეცრად სკიპტრით, პორფირით,
კვლავ დაემხობით შენს წინაშე, ნაპოლეონო.

ორი ნაპირი—ეს ცხოვრება მშფოთარი, გიჟი,
ძველი ქვეყანა და დიდება საშიშ დღეების

შენ შეაერთე ერთმანეთთან, დიდო პარიზო...
შხამებს ამზადებ სიმღერებით და იდეებით.
შენ მალშტრემი ხარ კაცთა მოდგმის. მრავალი ჩვენში
ამაოდ სცდილობს შენ გაელენის ჩამოშორებას.
შენ მოათავსე ყველაფერი ერთ დიდ ჰურჰელში,
რომლის ჩუქურთმაც გვაჯადოვებს, ვით მოჩვენება.
რკინის ბორბლებში ითრევ ყველას, არ გეშურება
გადაფქვა სულთა—საამისო არ გწვავს სირცხვილი.
საუკუნეთა ზეირთები რომ მოგაშურებენ.
მაშინ, პარიზო, ბრუნავ ისე, როგორც წისქვილი.

შენშია ძალა, უკვდავება და მოძრაობა.
როდესაც შენი არწივის ფრთა მედგრათ გადიწევს—
აღფრთოვანებით შემოგყურებს ჩვენი თაობა...
აქ შეიძლება ყოველი დღე დიდ დღეთ გადიქცეს.
ბევრჯერ მოირთე ჯაჭვნიანი ბარიკადებით
და შეაჩერე დროთა მღვრიე მიმდინარება.
იბრძოდი მუდამ რაინდულათ და თავდადებით,
გსურდა მოგესპო ქვეყნად ცრემლი და მწუხარება.
ბარბაროსები მოდიოდენ შენ დასამხობად,
სპობდენ სიმდიდრეს, მაგრამ ტანჯას მტკიცედ ხვდებოდი.
მტრებმა ვერ შესძლეს შენი მოკვლა, შენი გაქრობა.
კვლავ ფენიქსურად ხორცს ისხამდი და ახლდებოდი.
ათასგვარია შენი სული და ხასიათი,
შენ ხარ იდეა, ისტორია, ქვეყნის მშვენება,
უკვე იგრძენი უკვდავება, ჰოი დიადო,
შენი სიცოცხლე ზღაპარია და მოჩვენება.

თარგმანი **ივ. ყიფიანისა.**

ვალერი ბრიუსოვ

მიწის სული

Schreckliches Gesicht!
Goethe.

ო, მიწის სულო გავსილო ძლევით,
ოდეს გვიდუღდა ტანჯვით გულები,
ამოგიწვიეთ ლოცვებით ზევით
საბედისწერო გაბედულებით.

და შენც ჩვენს ხმაზე წამოდექ ზეზე
ჯზარმაზარი დევის იერით,—
შეუდრეკელი, ზვიადი ესდენ,
ესდენ ბრწყინვალე და მშვენიერი!

ფეხი გადასდგი—მყუდრო ქალაქთა
გოლიათები დაფშვენი ქუსლით,
შენს წინ ბრბოები პირქვე დალაგდა
და გიჟ თავხედებს გაევლო მუსრი.

და ჩვენი დროშა შენმა ვეებამ
ხელმა იმდენათ მაღლა ამართა,
რომ ის ღრუბლებში ელვებს შეება
და გრიგალებთან ბრძოლა გამართა.

შენ მეწამული შუქის ღვარები
საუკუნეებს ჩაასხი გულში,
რაღაც გამოჩნდა აელვარებით
იქ, ვით ზმანება უცნაურ რულში.

და აი, ჩვენაც უკან დახევით
გიხმობთ, შეჩერდი, დაჰკეცე ფრთენი,
ბრძნულ წინადგრძნობით ნაკარნახევი,
სულო, ისმინე ძახილი ჩვენი!

თარგმანი К.

ვალერი ბრიუსოვ

ჩვენი გამოცდა

ჩვენ მოვინათლეთ ცეცხლის ალებით
სიბნელე, სუსხი, ვიგემეთ ბევრი.
ყოფნა გვიტევდა მძაფრ გრიგალებით,
ქედს გვიღუნავდა ფოლადის კევრი.

ქვეყნის იღბალი გადაწყდეს უნდა,
ეს დრო არავის არ შეიბრალებს.
რისხვა და ზიზღი, დაგმობა უნდო
სუსტებს, უღონოთ, მოღლილთ და მხდალებს!

დე დაიფაროს მსხვერპლებით არე,
დაირღვეს მკერდი ენებით მფეთქავი.
უფრო ძლიერად ავარდეს ქარი,
აღთქმულ ნაპირთან მიაღწევს ნავი.

დადგა დღეები ბრძოლის გრიგალად,
აღმუელდა მიწა მძლავრ დაქანებით.
იქეცი სალ კლდედ, აენთე ალად,
გოლიათური ფოლადის ნებით.

მოკვდი ან მოჰკალ, დაეც ლახვარი,
არ იგრძნო დაღლა, აჰყევი ზვირთებს.
ჩვენს გაქანებას არ აქვს საზღვარი,
რა შეაჩერებს რკინის რაინდებს.

ხედავ—ელვა სწვავს ბნელ ცის კამარას
და მოდის უცხო დღესასწაული,
შენ საამაყოდ ის დაგრჩეს მარად
რომ გახდი ღირსი ამ სასწაულის!

თარგმანი **ხ. ვ-სა.**

კონსტანტინე გამსახურდია

ანატოლ ფრანს

(ესე).

„ერი, რომელი ჰსხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი და რომელი ჰსხდეს საფლავსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ".

ოქტომბრის 13-ს ღამის 11, 25 წუთზე ანატოლ ფრანსმა უკანასკნელად წამოიძახა ის მაგიური სიტყვა, რომელიც ენისადგმის უმალ პირზე აკერია დიდსა და პატარას: „დედა". შემდეგ მისი ხმა მოსწყდა ამ ქვეყანაზე.

შემცხადებულივით დაიწყიალა რადიომ, რამოდენიმე წუთში მთელი კულტურული კაცობრიობა შეშფოთდა ამ კატასტროფისაგან.

დიდი კაცის სიკვდილს ჩვენ მუდამ ისევე განვიცდით, როგორც ბუნების დიდს კატასტროფას. იგი არ იწვევს ჩვენ გულში ტკივილს, იგი უფრო მეტ გაოცებას იწვევს, ვიდრე მისი ქმნილება. და ადამიანის ლეჭსიკონში ამ მცნებისათვის სიტყვა არ მოიძევა. ქართული „გარდაცვალება" თუ მიუდგება მას.

მე ისე ვიგრძენი მისი გარდაცვალება, თითქოს ის უშეელებელი სინათლის შქერი, საფრანგეთის შუაგულზე რომ იყო ჩამოშვებული და ზეცის ოთხივე კიდისაკენ ვიდრე ბნელეთამდე აფრქვევდა სინათლეს, თვალთუწვდენ ეთერისაკენ ავარდა და შეუერთდა მშობელ ელემენტს. და ეს ისეთ წამს, ისეთ საუკუნეში, როცა სისხლისგან დაცლილ ევროპას და მთელ ქვეყანას ასე სჭიროდა სინათლე, მეტი სინათლე, სიკვდილის წუთებში რომ ინატრა მეორე დიდი ერის გიგანტმა—გოეტემ.

ანატოლ ფრანსი უკანასკნელია გასული საუკუნის დიდთა შორის, რომელნიც ადამიანს ანცვიფრებენ თავიანთი უნივერსალური მრავალმხრივობით.

იგი რენესანსის ყალიბის მწერალია: პოეტი, ნოველისტი, რომანსიჯე. კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ამასთანავე ჟორესის ყალიბის დიდი სოციალისტი.

მაგრამ უწინარეს ყოვლისა პოეტი.

„კრიტიკა, როგორც ფილოსოფია და ისტორია, ერთი დარგია რომანის", სწერს ფრანსი თავის „ლიტ. ცხოვრებაში", ხოლო რომანი არსებითად ავტო-

ბიოგრაფიაა. პოეზია და პოეტობა საკუთარი სულის ავანტიურების მოთხრობაა, მირიად საგნებში, მირიად არსებაში, საკუთარი ძახილის მოძებნა. ამნაირი ძახილი, სხვა რაღაა თუ არ საკუთარი „მე“-ს გარშემო მოგზაურობა.

II

ეს წმინდა სუბიექტიური მიდგომაა როგორც პოეზიისა ისე სამყაროსადმი. ამნაირი მიდგომა თავისთავად გულისხმობს პოეტის პიროვნულ ანალების შეხებას.

ასეთი დიდი პოეტის პიროვნების დასახასიათებლად უხმარია მრავალტომიანი სხვისი დაწერილი ბიოგრაფია. მისი ავტობიოგრაფიული რომანი, „ჩემი მეგობრის წიგნი“.

„ანატოლ ტიბოლტ“ (შემდეგ ანატოლ ფრანს ანატოლ-საფრანგეთი) სენის ქუჩის ერთ-ერთ ძველ სახლში – ბუკინისტების კვარტალში უნდა იყოს დაბადებული. ნერვიული, ნაზი, ადრე დადინჯებული, თავაზიანი ბავშვი.

გატაცებულია: სურათებით, წიგნებით, ფერადი ქაღალდებით, განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა ძველ ხივთებს, ადრე აღეძვრება წარსულის რომანტიკა. პატარა ბავშვი უკვე ღირსეული პირმშოა ისტორიითა და ერუდიციით დატვირთულ საუკუნისა.

მამა საშუალო ინტელიგენტი, ექიმი, წრფელი, პირდაპირი, ნერვიული, ნაკითხი, ჩაფიქრებული.

დედა: ნაზი, ფაქიზი, სანტიმენტალი. პოეტი ადრე სიყმაწვილეში ყნოსავს ჰელლენურ სამყაროს გრაციულ შვენებას. კითხულობს ჰომერს და ბერძენულ ტრაგედიებს. ეჩვევა სიტყვების მაგიას, აღტაცებული იმზირება ძველი რომისა და საბერძნეთის ნაპირებისაკენ. პირველ ხანებში სამნაირი ზედგავლენა: დედისა, მამის და ძველის საბერძნეთის ბრწყინვალე ჰუმანიტარული გავლენა. ჩვენი ბავშვობის შთაბეჭდილებანი უპირატესნი არიან ყველა დროჲს შთაბეჭდილებათა შორის. ეს მართლდება ანატოლ ფრანსზედაც.

მრავალ ჰირნახულს, ბედთან მორკინეს, სიბერემდის თანდაყოლება ერთი გრძნობაც, რომელიც მეტეორიტით ანათებს ანატოლ ფრანსის დიდების მრავალფეროვან გვირგვინში: მოყვასის სიყვარული.

13 წლის ბავშვი ხედავს თავის ამხანაგს, უბირს, ქუჩის მაწანწალას პერანგი არ აცვია. იგი დაუფიქრებლად მოპარავს დედას თავისავე პერანგს და ფანჯრიდან გადაუგდებს ამხანაგს ჩუმად.

პირველი პოეტური ცდა.

ჰაბუკი ეცნობა პარიზელ მწერლებს, არტისტებს, მხატვრებს, კულტურის ხალხს. ღარიბული პირობები, უიმედო სიყვარული, მკაცრი დაბრკოლებანი, უგუნო კონკურენციის საუკუნეები რომ შეეფეთება ახალგაზრდა კაცს. ტალანტი და შრომის სიყვარული გზას იკაფავს. ანატოლ ფრანსი ტრიუმფით გაერევა პარნასელთა შორის.

პლასტიური შეენიერების სიყვარული, ბერძნულ-წარმართული ესთეტობა. პოეტური გული. მოყვასის უანგარო სიყვარული. აი პირველი თესლები სა-

ფრანგეთის კულტურის ფხვიერ ყამირზე რომ დაეცა, აქედან მისი დიდი წარმართული პოეზია, მისი დიდი ჰუმანიზმი.

საოცარია ევროპა!

გიგანტური ინდუსტრია. სულის უზომო მექანიზაცია. კაპიტალიზმის მრავალ ძილიონიანი მონები. უდიდესი ბირჟები, რომელნიც ისეთსავე საზიზღარ პანორამას წარმოადგენენ, როგორც ძველი ბერძნულ-რომაული მონების ბაზრები. ძალაზე დამყარებული უფლება. დიდი პოლიტიკის არა კაცთ მოყვარე, ხანდახან ბარბაროსობამდის დაყვანილი პრინციპები. გასაოცარი ტეხნიკა, მილიონების შესამუსრავი და დასამორჩილებელი. გაზები და დუმდუმის სასროლები. ფენომენალური ავიაცია, რომელიც რამოდენიმე წუთში ნაცარში ჩაახრჩობს უდიდეს ქალაქებს. ბრუტალური ზღვისა და ხმელეთის პოლიცია და ამ ფონზე იზრდება ხშირად ისეთი კაცთმოყვარეობის, სინათლის, სიმართლის, სიყვარულის მოციქულები, როგორც გოეტე, რომენ როლანი, ან ანატოლ ფრანსი.

ანატოლ ფრანსი კლემანსოს თანამედროვეა.

რომ იდეები თავისთავად არაფერს ნიშნავენ, და საქმე იდეები კი არ არის, არამედ ამ იდეების სინამდვილეში გამოყენება, ამის მაგალითად ანატოლ ფრანსი და კლემანსო კმარა.

ორივე ერთი თაობის შვილი.

ორივე შტანდარტზე ეწერა ის დიდი, კაცთმოყვარე სიტყვები, რომელიც ნაციონალური ლოზუნგის სახით გადაისროლა საფრანგეთის ერმა დიდი რევოლუციის დროს.

Liberté, fraternité, egalité

თავისუფლება, ძმობა, ერთობა.

მაგრამ აქ განსხვავება იყო იდეების გამტარებელთა შორის.

გარდა ამისა: ანატოლ ფრანსი პოეზიის მაღალ კათედრაზე იდგა, კლემანსო — სახელმწიფოს ჰედესტალზე. (საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს კარებზე აწერია ეს სამი სიტყვა) მოხუცი ანატოლ ფრანს ამ ლოზუნგით ხელში დადიოდა ევროპაში, მთელ ქვეყანაზე და, როგორც ქართველი კალანდის მეკვლე, აშოშმინებდა, ანუგეშებდა.

მოხუცი მეფისტოფელი კლემანსო ვერსაჟის ზავს ხელს აწერდა, ბლოკადს უწყობდა გერმანიის ბავშვებს და იმ დროს ელოდა, როცა მისი უგანათლებულესი მეზობელი ოცმილიონ ადამიანს დაჰკარგავდა. (მისი სიტყვები: „ეს არ კმარა, გერმანიამ კიდევ 20 მილიონი სული უნდა დაჰკარგოს“). ასე გახუნდება ყოველი მაღალი იდეა, როცა იგი სახაზინო გახდება, როცა მას დაჭირვებული ხელებით „ბოიყვანენ სისრულეში“, ხოლო ანატოლ ფრანსი ომის დროს რომენ როლანთან ერთად გამოცემულ მოწოდებაში სწერდა: „ჩვენ მწერლები თავისუფლების მჭადაგებელნი ვართ, ჩვენ არც ერთი მთავრობის მოჯამაგირენი არა ვართო“. ასე ესმოდა მას მწერლისა და პოეტის წმინდა მოწოდება.

ანატოლ ფრანს და კლემანსო!

საკითხია რომელი ერთი უკეთესად გამოხატავს ერთსა და იმავე მედალს: დღევანდელ საფრანგეთს. ერთს ზეთის ხილის შტო და ჰარფა ეჭირა ხელში, მეორეს ამოწვდილი მახვილი და ვერსალის საზავო ხელშეკრულება.

ანატოლ ფრანსი საფრანგეთის მარადიული სულის მეშვიდე ბეჭედია.

გრაც·ოზული, სადა, გამსჭვირვალე, ელასტიური, გონება მახვილი, ტკბილ-მოუბარი. უღრმეს მცნებებზე, ურთულეს ფილოსოფიაზე ისეთი უბრალო ენით ლაპარაკობს, როგორც ბავშვი. იგი ნიცშესა და დოსტოევსკის ამქრიდან არის, მაგრამ უფსკრულების სიღრმავით, ვარსკვლავების მიუწვდომლობით არ გვაშინებს, არც ისე ბნელი გამოთქმა—როგორც კირკეგოს, ან სვედენბორგს.

მისი ღიმილი არც ისე სარკასტიულია, როგორც ვოლტერის, რომელიც თავის მეგობარ გვირგვინოსნებსაც არ ინდობდა ხშირად, არც ისე სკეპტიკურია, როგორც მონტენის, უფრო დიდი პოეტია, ვიდრე პირველი, უფრო დიდი ფილოსოფოსი, ვიდრე უკანასკნელი. მაგრამ მაინც იმ გენეტიური ხაზის წარმომადგენელია ფრანგულ აზროვნებაში, რომლის წინამორბედნიც ვოლტერი და მონტენი იყვნენ.

კრიტიკული თვალით შეჰყურებს ყოველივე დოგმატიზმს, უარყოფს ოჯახის, ტრადიციის ცრუმორწმუნეობას, კლერიკალობის, რიგორიზმის არტახებს, ოპოზ·ციონურად განწყობილია სახელმწიფოს მიმართ. რადგან სახელმწიფო პოლიტიკას ორი ფასადი აქვს: წინა—ბრწყინვალე, მაღალ დევიზებიანი, პათეთიურად შემკობილი ნაირ-ნაირ ჰუმანიურ ტრაბახით,—უკანა ფასადი: ეს ის ამბებია, რომელიც საიდუმლო კომისიებში წყდება, რომელზედაც დიპლომატიურ ფერად წიგნებში·ც არას ამბობენ. რომელიც ჟანდარმერიის, შპიონების, მოსყიდული ჟურნალისტების კონტრ-აგენტების ხელით კეთდება. კრიჭაში უდგას ოფიციოზების პოლიტიკანობას, ფანატიზმს, შეზღუდულობას, ობსკურანტიზმს. სკეპტიკური ღიმილით ამასხარავებს დოგმატიურ მეცნიერებათა „მარადიულ ჭეშმარიტებებს“.

მას სკეპტიციზმი და ირონია ახასიათებს, მაგრამ თვითვე აღიარებს, რომ მისი ირონია არ არის მკაცრი, არამედ ნაზია, ვინაიდან იგი არ ეკარება არც სიყვარულს და არც შვენიერებას, არამედ რეგვენებს და მკრეხელებს, და მისთვის უცნობია სიძულვილი. ანატოლ ფრანსის ირონია სრულიად არა ჰგავს მეფისტოფელის უარისმთქმელ ირონიას. ფრანსი უარის მყოფელი სული არ არის, იგი ცაღყბათ იცინის, ამავე დროს მას გულში აქვს ახალი თავისუფალი, შვენებით სავსე ცხოვრების ათი მცნება. მოაზროვნე ანატოლ ფრანსი უარყოფს ძველ მცნებებს, კლერიკალურ რელიგიას, დოგმატიზმს, ხანგადასულ მორალს, სახაზინო ჭეშმარიტებას, მაგრამ პარალელურად ხელოვანი ანატოლ ფრანს ჰქმნის ახალ რელიგიას შვენიერებისას, ახალ ზნეობას, ახალ ჭეშმარიტებას უმღერის იგი დითირამბებს.

ანატოლ ფრანსი ნამდვილი ფრანგია თავის ტემპერამენტით, ირონიით, თავისუფლების გრძნობით, იოლი გამოთქმით, იგი სავსებით არა ჰგავს უკანასკნელი საუკუნეების დიდ ევროპიელებს, მისი სტილი უშვალოთ ენათესავება პლატონის ღვთაებრივ დიალოგების სისადავეს, იგი თავის იდეებით უფრო ენათესავება ძველ ბერძნებს, ვიდრე თავის თანამედროვეებს. რაც ოგიუსტ როდენი და ტორვალდსენი იყვნენ პლასტიურ ხელოვნებაში, იგივეა ანატოლ ფრანსი სიტყვა-კაზმულ პოეზიაში. მისი ნაწერები მოვარაყებულია მარად შვენიერი ბერძნულ პლატონიური იდეების სევადით და ბრწყინვალებით.

ანატოლ ფრანსის ფიგურა ოდნავ ეკლექტიური აღნაგობისაა, მწიგნობარი, ერუდიტი, ღრმა მოაზროვნე. იგი ტიპიურ ბიბლიოთეკების მატლისაგან არსებითად განსხვავდება, რადგან სხვისი იდეები ახალი შთაგონებით განათდება მის ფანტაზიაში.

ანატოლ ფრანსი არა ერთხელ უნახავთ მეგობრებს შინაურობაში: ბულონის ტყის გვერდით მდებარე ვილლაში.

თავზე წითელი, აბრეშუმის კეპი. მაესტრო ძველ ფლორენციულ საეკლესიო სავარძელზე ზის, გარშემო მოწაფეები ახვევია. მთელი ვილლა სავსეა: წიგნებით, ფოლიანტებით, სურათებით, გრავიურებით, სტატუეტებით, ძველი ფულებით, ხელთნაწერებით.

ფაუსტისებური გულისყურით სწავლობს: მისტიკას, ალქიმიას, პატრისტიკას, ჰეგელის, კანტის ფილოსოფიას, ეგვიპტის, საბერძნეთის, ინდოეთის რელიგიას და მითოლოგიას, ასტრონომიას, გეოლოგიას.

თავისი უშველებელი ერუდიციით, გასაოცარი უნივერსალობით ანატოლ ფრანსი ევროპიელებში გოეტეს ან ლეონარდოს მოგვაგონებს.

შეიძლება ითქვას ისეთივე დიდი წარმართი, მაგრამ უფრო მეტად ბერძენი, ვიდრე გოეტე. გოეტე სიჭაბუკეში იყო ბერძული იდეებით გატაცებული. ლირიკული ციკლის დასრულების შემდეგ გოეტეში გერმანულ-ქრისტიანული მისტიციზმი იმარჯვებს. ანატოლ ფრანსი ბავშვობიდან ანტიკის მზიან სამყაროში იზრდება, ვაჟკაცდება და ღრმა მოხუცებამდის არ განშორებია ამ სამყაროს. ამიტომა არა სჩანს მის ჰაღარა შუბლზე ნაღველის ჩრდილი, მიტომაც არ შორდება მის ბაგეს წმინდა ბერძული აღტაცებით გაბრწყვეული ნათელი ღიმილი. მისი პათოსი ნელი მელანქოლიითაა შენელებული.

უმთავრესი, რაც მწერალს ახასიათებს, ეს არის არა იდეები, არამედ მისი სტილი. სტილით იგი ნამდვილი ფრანგია, ეთეროვან-მსუბუქი ენა, მუსიკალობა გამოთქმის. ამიტომაც ანატოლ ფრანსის თარგმანებში გაცნობა სრულიად უნაყოფოა.

კარგი ლექსები მაშინაც კარგი დარჩება, როცა არც მზე იქნება ამ ქვეყანაზე და არც ადამიანების ერიამული. ასეთია მისი ლექსები დღესაც.

თავის პოემაში „კორინთის ქორწილები“ იგი „ურიების ღმერთს“, „მკვდრების თავადს“ ეძახის ქრისტეს. ამგვარად უკვე ადრინდელ ქმნილებაში სჩანს წარმართი, არა ქრისტიანი პოეტის სახე.

ამ პოემაში მიწიერი და ღვთაებრივი სიყვარულის ბრძოლაა. ამ ბრძოლაში პოეტის არჩევანი ცხადია, რადგან პოემის გმირი ქალი ბოროტ დემონს ეძახის „მკვდრების ღმერთს“ იესოს. მისი შემოხედვა ყინავს ქალწულების ატეხილ ვნებას და წელზე შემოსაჭდომად გაშვერილ ხელებს.

Dieu contempteur dont lois, puissant par la magie,
O prince de la morte, donzla froide energie,
Ne vaux que pour glacer nos vierges et nos bras.

და ქრისტეს არ უყვარს კორინთის ქორწილები. ხანი გამოხდება. ანატოლ ფრანსი პროზაზე გადადის. გარდამავალ ხანაში სწერს ზღაპრებს: Abbeille, Chat maigre, ესკიზურ რომანს Jocaste-ს.

მაგრამ როგორც ამ პირველ ქმნილებებში, ისე უკანასკნელი ეპოქის ციკლიურ რომანებში ანატოლ ფრანსი „ახალი წარმართი“ რჩება. მასში უშრეტად სჩქეფს ენერგია ბეჯითი, ნაყოფიერი შემოქმედების, ერუდიტის, შთაბეჭდილებების, იდეების, სახეების შემგროვებელი. უებარი მკითხველი, ფანტასტი, მეოცნებე, დიდი პოლიტიკოსი მსოფლიო კაცი.

III

„სილვესტერ ბონარის დანაშაული“ ახალი ჟანრის რომანია. იგი გამთბარია ნაზი, თავაზიანი ჰუმორით.

ფოლიანტების, ძველი ხელთნაწერების ამოკითხვას მიჩვეული მოხუცებული მეცნიერი საოცარ ავანტიურას გადაეყრება: იგი შეხვდება თავის სიჭაბუკის სატრფოს უპატრონო, დაობლებულ ქალიშვილს. მის გულში ძველი სიყვარულის მოგონებები იღვიძებენ, იგი აიყვანს ამ ქალწულს, მაგრამ ქალი ბოროტი კაცის საურვის ქვეშ არის. სილვესტერ ბონარს ავიწყდება, რომ ფრანგული კრიმინალური კოდექსის ძალით აკრძალულია მეურვეს განკარგულებაში მყოფ მცირეწლოვანის აყვანა. იგი ამგვარად უნებლიეთ ჩადის უებარ დანაშაულს. სილვესტერ ბონარი თავაზიანი, ენამახვილი მოხუცის ტიპია, ამ ტიპის გაშუქებას ერთგვარი მოსიყვარულე ჰუმორი თან ახლავს. ავტორი გვაჩვენებს თუ რა რიგ ისჯება ხშირად კეთილშობილი განზრახვა სახელმწიფოს მოუხეშავ, ტლანქ კანონებისგან, რომ ოფიციალი სამართლიანობა უმეტესად კანონის უცოდინართათვის იწერება და არა კანონის მცოდნე დამნაშავეთათვის.

ცხადია, ბოროტისა და კეთილის ღირებულების საკითხი სოციალურ ცხოვრებაში უცილოდ უნდა წამოიჭრას.

რა არის კარგი? კითხულობს ფრანსი სოკრატისებური დიალექტიკით. კარგი ბუნების შინაგანი ძახილისათვის წინააღმდეგობის გაწევაა და სხვა არაფერი. იძლევა თვითონვე პასუხს. მაგრამ საზოგადოებრივი მორალი, ოფიციალური სამართალი, ანგარიშს არ უწევს სუბჯექტიურ ავსა და კარგს. რა არის კარგი? კარგი შვენიერია და კეთილი. მაგრამ რაც პიროვნებისთვის კარგია და შვენიერი ხშირად საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ცუდია. ამ შემთხვევაში სოკრატისებური და ანატოლ ფრანსისებური განმარტება კარგისა და ავის გზა ჯვარედინაზე ეყრებიან სახაზინო სამართალსა და მართლმსაჯულობას. რომანი სილვესტერ ბონარის „დანაშაული“ უმშვენიერესი დაფნაა ანატოლ ფრანსის დიდების გვირგვინში. ყოველი პოეტი საკუთარ სისხლსა და სულს უდგამს თავის გმირს და ამ მხრივ „ინსტიტუტის წევრი“ სილვესტერ ბონარი იგივე ანატოლ ფრანსია, ჰელენისტი, ერუდიტი, ენა მოსწრებული ბრძენი. სამოცდაათი წლის მოხუცი, რომლის გული მაინც ჰაბუკური სიხარბით სძგერს. სილვესტერ ბონარი სინტეზია თავისი საუკუნის ინტელიგენტური სიქველის, სიმჭევრის, ესტეთიციზმის.

ფრიად განათლებული, ფრიად დაფიქრებული, ფრიად ირონიული, ფრიად თავაზიანი. მისი საკმაოდ მოზრდილი ცხეირის ნესტოები საუკეთესო ბარომეტრია ბონარის ეპიკურეულ გულში აღძრული ენებისა და ემოციების.

ანატოლ ფრანსის მოთხრობის მანერაც ბერძნულია, სადა, ნათელი; რომანიც, ინტრიგა, ჩვეულებრივი, არავითარი მოულოდნელი ფინალი, სრულიად უბირი, მარტივი. ცხოვრების ამბებია მოთხრობილი როგორც „ჩემი მეგობრის წიგნში“, ისე ამ რომანშიაც. სამაგიეროთ მთელი შემოქმედებითი ძალა თვით კომპოზიციაში, ჰარმონიულ სტილში და წერის მანერაშია. ასეთივე ჩვეულებრივი ფაბულა აქვს. ღარიბ კაცს მსახიობი ქალი უყვარს, ქალს კომუნის დროს მოჰკლავენ შემთხვევით. ამ შემთხვევაშია ადამიანის სულიერი ტრაგედია. ასეთივე უბრალო ცხოვრების ამბებია მოთხრობილი მის ნოველებში: La Buche, chat maigre და სხვ.

ყველასაგან თვალსაჩინო ადამიანური კომედია.

როგორც სილვესტერ ბონარს იქ ანატოლ ფრანს უყვართ თავაზიანი, ნაზი ადამიანები, რომელნიც უნებლიეთ იჩენენ სიკეთესა და გმირულ გრძნობას.

ანატოლ ფრანსი არ დასცინის ადამიანებს, იგი ტკბილად, ნაზად იღიმება მათ პატარა საქმეებზე, მათ პატარა ოცნებებზე, მათ ადამიანურ კომედიაზე, სილვესტერ ბონარსაც მუდამ ბაგეზე აქვს ეს ტკბილი ირონია, ეს სათუთი ღიმილი. ფრანსის ირონია უვნებელია, რადგან ადამიანების ბრალი არ არის, რომ ისინი ოდნავ სასაცილონი არიან, არამედ თვით ადამიანური კომედიაა სასაცილო. აქ უნებურად ჰენრიკ იბსენის მობოდიშება: „ადამიანი თავისთავად ცუდი მასალისაგან არის გაკეთებული“-ო.

სილვესტერ ბონარს ბუკინისტი აწვდის წიგნაკს: „სიზმრების გასაღებს“— „ჩემო კარგო, სიზმრები სახვა და სხვა ნაირია. ზოგი სასიხარულო, ზოგი ტრაგიკული. ყველანი ერთდებიან ცხოვრების სიზმარში. თქვენი პატარა, ყვითელი წიგნაკი თუ მომცემს სააბისო გასაღებს“.

ეს კითხვაც ჰაერში რჩება დაკიდული, როგორც ათასი სხვა წყეული კითხვაც, რომელსაც ანატოლ ფრანსი ფრთა გაკვრით შეეხება, მელანქოლიურად გაიღიმებს და აქაა მთელი მისი სინაზე, მისი დიდკაცური თავდაბლობა სწორედ ამ მელანქოლიურ ღიმილში სჩანს, რადგან მხოლოდ რეკვიენებს ჰგონიათ ბუნების ყველა იდუმალი ზანდუკების გასაღები ჩვენ ჯიბეში იყოს.

და უკანასკნელ შეკრებისთვის ანატოლ ფრანსი გულდაწყვეტილი ეუბნება მთელი ქვეყნის სისტემატიკოსებს და ფილოსოფოსებს: ცისა და სამყაროს შორის ბევრია ისეთი რამ, რაც თქვენ ფილოსოფიას არაოდეს დასიზმრებია.

ეპიკურეული ფილოსოფიით გაჟღენთილია მისი: „ტაის“, „ანგელოსების ამბოხი“, ზეციერ ვაჟებს მიწიერი ქალწულები შეუყვარდებათ. მონტენისტური სკეპტიციზმით გაჟღენთილია მისი რომანი „ეპიკურის ბაღნარი“ (Jardin d' Epicure“) და პატარა მოთხრობა „იუდეას პროკურატორი“ („Le Procnrsteur de Judèe“). სადაც მაღალი და ყოველდღიური სინტეტიურ განსახიერებას პოულობენ.

მიუხედავად ნაზი ფრანგულ-ბერძნული თავაზიანობისა, ანატოლ ფრანსი უფრო „მოქადაგე“ იყო ვიდრე სტილისტი და ესთეტი, ისეთივე ტიპის მქადაგებელი, როგორც ავგუსტ შტრინდბერგი, ფრიდრიხ ნიცშე, თედორე დოსტოევსკი ტოლსტოის ბარეს. ხან და ხან იგი სტილს ღალატობს თავის ფილოსოფიის, თავის ქადაგების სახელით, და მისი ქადაგების შინაარსი იყო მაღალი

რანგის ჰუმანიურობა. ეპიკურის ბაღში უამრავი დოქტრინებია წამოსროლილი, ხშირად ისე უწესრიგოდ, ასე გგონია ავტორი აზრს უნდა აძლევდეს უპირატესობას სტილის წინაშე.

ანატოლ ფრანს სწორედ მოპირდაპირე ხაზს მისდევს, ვიდრე მისი დიდი თანამედროვე მორის ბარეს, რომელიც კათოლიკური ეკლესიის, კონსერვატიზმის ფრანგული ნაციონალიზმის ლიდერად ითვლებოდა.

ფრანსი უფრო ანარქიული ბუნებაა.

იგი ამბოხებელი ანგელოზია და ამ ქვეყნად მარად მგლოვიარე სულის მატარებელი.

„ადამიანურ ტრაღედიაში" („Humaine tragedie") ბერს ფრა ჯიოვანის ეუბნება სატანა: „მე აზრებს და იდეებს მაგრად შეგიშხაპუნებ სისხლსა და ხორცში. და როცა შენ სიმართლეს გაიგებ, უთუოდ წაწყმდები".

ანატოლ ფრანსი პონტოს პილატის პირით ხელახლა ეკითხება მთელი ქვეყნის დოგმატიკოსებს:

„რაჲ არს ჭეშმარიტება?"

და მეფისტოსებური იჭვნეული ღიმილით თვითვე იძლევა პასუხს: „მღვდელმთავართ თუ მეცნიერებს, ჰინკების უხუცესებს თუ ფილოსოფოსებს, ყველას მარად უცნობის გეოგრაფია უსწავლიათ, ვერავინ მასწავლა ჭეშმარიტება. ამიტომაც მივყვები იმ გზას, რომელიც მომღიმარე, მოწმენდილ ზეცისაკენ მიემართება".

ეს ღიმილი გახლავთ ანატოლ ფრანსისებური ვეცხლის ღიმილი, ღიმილი პლატონის, ღიმილი ჰომერის. ამ ფიალაში ვარამის იოტია ნარევი, სკეპტიციზმის წვეთი, მაგრამ უფრო მეტი ამბროზია და ბერძული ღვინო. იგი როგორც ძველი ბერძენი—ქრისტიანობის მტერი იყო, მაგრამ მაინც ჰაგადგრაფიაში ედგა ცალი ფეხი. (ჟანა დ'არკის ისტორიას სწერდა) მართლაც ორსულიანი, იჭვნეული პაელე მოციქული! თუმცა სოციალურ საკითხებში ძლიერ თამამად მიდიოდა მარცხნით, (არა იმისთვის რომ ვინმესთვის რევერანსები გაეკეთებია და პენსიები დაემსახურებია), მაგრამ თავის რომანში „ჩემი მეგობრის წიგნი": სწერს—„მე ოდნავ კონსერვატიულად ვიყავი განწყობილი, ახლაც ოდნავ კონსერვატორი ვარ, და ჩემი სისუსტე გახლავთ ჩემი სიყვარული ჩრდილიანი ხეებისა და მოხუცებული მღვდლებისადმი".

ასეა: ყოველი დიდი მწერალი იმდენ მასალას იძლევა, რომ ყოველი აზროვნების წარმომადგენელი მასში თავის თანამოაზრეს ხედავს. ანატოლ ფრანსის გრძნობებისა და სიმპატიების გარეგნული „ულოლიკობა" მე მაგონებს ბრძენი გოეტეს სიტყვებს, რომელიც ჩაგშეურის მიამიტობით აღიარებდა: „მე როგორც პოეტს, ჩემი ბუნებრივი მრავალმხრივობის წყალობით არც კი შემიძლია რომელიმე განსაზღვრული მიმართულების წარმომადგენელი ვიყოვო". ანატოლ ფრანსიც დიდი და გულწრფელი ბავშვი იყო, რადგან 70 წლის მოხუცს ლოყები და სული პატარა ბავშვს მიუგავდა.

ამაში პირადად დავრწმუნდი.

თუმცა ძლიერ მეშინია იმ პატარა კაცების სიაში არ მოვხვდე, რომელნიც თავიანთ სიპატარავეს იმითი გამოაჩენენ, რომ დიდი კაცების ნაცნობობის ძებნას

დაიწყებენ და ხშირად იტყვიან ხოლმე: ამა და ამ დიდ კაცს პირადად შევხვდი ან ველაპარაკეო.

ეს იყო შარშან ამ დროს, პარიზში, სალამო ჟამს „ნოტრ დამ დე შან"-ის ქუჩაზე მივდიოდი, ერთბაშად პლაკატი: მალარმეს საზოგადოების პრეზიდიუმი აცხადებდა იმავ დღის 6 საათზე ერთ-ერთ ლიტ. კლუბში გაიმართება მორიგი კრება საზოგადოების წევრთა, რომელზედაც მალარმეს ძეგლის დადგმის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. მე გავეშურე, იმ კრებაზე მაჩვენეს ბავშვის სახიანი მოხუცი, მას ქოლგა ეჭირა ხელში და კისერზე იისფერი შალი ჰქონდა შემოხვეული. ძველი ბერძენი ნაწვიმარი ქოლგით ხელში, ისიც პარიზის ბაბილონისებურ ქუჩებში, გაჭენებული კაპიტალიზმის ეპოქაში! და ანატოლ ფრანსი ძველი ბერძენი იყო არა მარტო თავისი არტისტიული რელიგიის მიხედვით, არამედ როგორც მოქალაქეც.

თუმცა მთელი ქვეყნის მონარქისტები ცნობილ ადგილს იმოწმებენ ჰომეროსიდან: „უნდა მეფობდეს ერთი" და სხვ. მიუხედავად ამისა ძველი ბერძნები რესპუბლიკანელები იყვენ. პლატონმა ჩაუყარა საფუძველი ევროპიულ რესპუბლიკანიზმს. ამ მხრით ანატოლ ფრანსიც არ ჩამორჩენია თავის უფროს ძმებს.

დრაჟფუსის პროცესში ანატოლ ფრანსი ჟორესთან, ზოლასთან და პრესანსესთან ერთად ილაშქრებს დრაჟფუსიანდის მომწყობთა წინააღმდეგ. და ყველაფერი ეს მაღალი „ჰუმანიტეს" სახელით. საყურადღებოა აგრეთვე ანატოლ ფრანსის რომანი Les Dieux ont soif. (ღმერთებს სწყურიათ).

სჟუეტი აღებულია პარიზის კომუნის ისტორიიდან. ჰამლენი ფანატიკური რევოლჟუციის სახელით უდიდეს სისასტიკეს ჩადის.

იგი მომავლის ქოხს აშენებს ზარატუსტრასავით. ჰამლენს არ აკლია არც კანტისებური კატეგორიული იმპერატივი ყოველდღიურ მორალში, არც ჯეზუიტური: მიზანი ამართლებს საშუალებას. იგი სასტიკია თავის თანამოძმეთა მიმართ, მაგრამ მომავალი მოითხოვს ამას. მას გულწრფელად სჯერა. იგი გულწრფელად სცდება.

ევროპიელ დიდ მწერლებში (ჰაჯნეს გარდა) ყველაზე უჯრო სიმპატიურად ანატოლ ფრანსი ეხებოდა საფრანგეთის რევოლჟუციას. როცა 1798 წლის რევოლჟუციით აღფრთოვანებული ჰაჯნე გოეტის ეწვია ვაჯმარში და მოუთხრო თუ როგორ ჰქუხდენ ზარბაზნები პარიზში, გოეტე გულდამშვიდებული ეკითხება:—„ვაჯმარის გზაზე, თუ შეამჩნიე ტყემლები ხომ არ აყვავებულანო?" ჰიპოლიტ ტენი ბესტიანურ რევოლჟუციას უწოდებდა საფრანგეთის დიდ რევოლჟუციას. ანატოლ ფრანსი კი ღრმა სიბერემდის შერჩა თავის პოლიტიკურ რადიკალიზმს. მან „Bibliotheque Soeialistste"-ისთვის დასწერა ორი ტომი თავისი: „სოციალური აზრისა" („Opinions Solciale") ამგვარსაეე იდეებს ალაპარაკებს ფრანსი თავის რომანში „Sur la pierce blanhe" მუსჟო ლანგელიეს, ერთ პატარა რესტორანში, რომში.

აქვე მოჰყვება ხელოვნებათა მეგობარი ჰიპოლიტე დჟუფრესნი ერთ მოთხრობას, რომელიც შეიცავს 2270 წლის უტოპიას. როცა სოციალისტური მსოფლიო რესპუბლიკა დამყარდება და ომები მოისპობა, ევროპის შეერთებულ შტატებს მოაწყობენ და სხვ. მაგრამ „სოციალისტი" ფრანსი პესიმისტურად შესცქერის ისტორიას. კაცობრიობის განვითარების ხაზი ირგვლივ მავალი სპი-

რალის სახითაა წარმოდგენილი. ამ მომავალ სახელმწიფოსაც დაანგრევენ ბომბებით, დინამიტებით და კრიტიკით, და ადამიანები ისევ ხელახლა დაიწყებენ შენებას

რომანში „თეთრ ქვაზე" ფრანგი მეცნიერები, პოეტები და დიპლომატები მასლაათობენ ათას სხვადასხვა პრობლემაზე. ბაასობენ მოწყვეტილ ვარსკვლავზე, რომელიც მირიად ნაპერწკალის სახით დანაწილდება სამყაროში და ამტკიცებენ, რომ სივრცეში არც ერთი ნაპერწკალი არ დაიკარგება. და ვისაც სჯერა, რომ სინათლეს ბნელი ვერ ეწევა და სინათლე ბნელშიაც ანათებს, იგი არც იმას დაიჯერებს, რომ გამქრალიყოს ის უშველებელი სინათლის შქერი, 13 ოქტომბერს საფრანგეთის შუაგულიდან რომ ავარდა ეთერისაკენ და მშობელ ელემენტს შეუერთდა.

არც ანატოლ ფრანსის სიკვდილია დასაჯერებელი.

ტფილისი, 1924 წ. ნოემბერი.

ანატოლ ფრანს

II წლის ფლორეალის თვის პატარა ამბავი*

I

ციხის მეკარემ ყოფილი გრაფის ქალი ფანნი დავენეჲ წინ გაატარა და კარება მოიხურა. პატიმართა სიაში გრაფის ქალის დაპატიმრების მიზეზად დასახელებული იყო: „საზოგადო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის". ხოლო ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ ფანნი დავენეჲ პოლიტიკურ დევნილებს თავშესაფარს აძლევდა.

და, აი, ახლა მოხვდა იგი იმ ძველ შენობაში, რომელშიაც პოლ-როიალის პატიმრები ოდესღაც ცალკედ იყვნენ მოთავსებულნი, და რომელიც არ საჭიროებდა გადაკეთებას, რომ საპატიმროს დანიშნულება მისცემოდა.

სანამ რეგისტრატორი ქალის სახელს და გვარს ციხის წიგნში სწერდა, ფანნი დავენეჲ გულში ამბობდა:

— ღმერთო ჩემო, რისთვის ხდება ყოველივე ეს?.. რა გსურს ჩემგან?..

ციხის ზედამხედველი უურო ხეპრე კაცს ჰგავდა, ვინემ ბორჯტს. მის ლამაზ ქალს საუცხოოდ ჰშვენოდა ეროვნული ფერების არშიითა და კოკარდით მორთული თაესახურავი.

ზედამხედველმა გაიყვანა ფანნი დიდ ეზოში, რომლის შუაგულში მშვენიერი აკაციის ხე იდგა. სანამ ლოგინსა და მაგ-დას დაუდგამდენ კამერაში, ფანნის ეზოში უნდა მოეცადა.—სახლი სავსე იყო პატიმრებით. გრაფის ქალს იმ კამერაში უპირებდენ მოთავსებას, რომელშიც უკვე სცხოვრობდა ხუთი თუ ექვსი ქალი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღეს პატიმართა ზედმეტი რიცხვი რევოლუციონურ ტრიბუნალში და გილიოტინაზე იგზავნებოდა, ციხე მაინც გაჭედილი იყო, რადგანაც კომიტეტები ყოველ დღეს ტყვეების ახალ და ახალ წყებას გზავნიდენ.

ეზოში ფანნიმ ახალგაზრდა ქალი შენიშნა. იგი ხის კანზე რაღაც ნიშანს სჭრიდა. ფანნიმ იცნო თავისი ბავშვობის მეგობარი ანტუანეტ დ'ორიაკ.

— თქვენც აქა ხართ, ანტუანეტ?

*) ფლორეალ—მე 8 თვე საფრანგეთის რევოლუციონური კალენდრისა.

— თქვენც აქ, ფანნი?! დაადგმევინეთ თქვენი ლოგინი ჩემს გვერდით! ბევრი რამ კარგი გვექნება ერთმანეთის სათქმელი!

— ბევრი კარგი?!.. რა იცით ბატონი დ'ორიაკის, ანტუანეტ?

— ჩემი ქმრის? ვაიმე, მგონი, კიდეეაც დამავიწყდა იგი! ჩემის მხრით ეს უსამაოთლობაა! კარგის გარდა ცუდი მისგან არ მახსოვს!.. ვფიქრობ, რომ ისიც სადმე ციხეშია ახლა...

— შენ კი აქ რას აკეთებ, ანტუანეტ?

— ჩუმად!.. რომელი საათია? თუ ხუთი უკვე შესრულდა, მეგობარი, რომლის სახელის ამოჰკრა მინდოდა ამ ხეზე ჩემ სახელთან ერთად, უკვე საიქიოს იქნება: იგი 12 საათზე გაიწვიეს რევოლუციონურ ტრიბუნალში. მისი სახელი ჟერენია. მოხალისეთ იყო ჩრდილოეთის ჯარში. მე ის აქ, ციხეში, გავიცანი! დაუვიწყარი წუთები გაგვიტარებია აი, ამ აკაციის ძირში! ღირსებით სავსე ახალგაზრდა იყო... მაგრამ, ჩემო სულიკო, ნება მომეცი ჯერ შენ მოგაწყო აქ...

ამ სიტყვებით მოხვია ხელი ფანნის და გააქანა იმ ოთახისაკენ, სადაც ლოგინი ედგა. ზედამხედველს სთხოვა, არ გაეცალკევებიათ მეგობრები.

ქალები შეთახმდენ დილიდანვე შესდგომოდენ ოთახის იატაკის რეცხვას.

ვახშამს გამოზომილად აწვდიდა პატიმრებს ერთი პატრიოტი სალადილოს მეპატრონე. სუფრა საერთო იყო. ოლონდ თითოეულ პატიმარს თავისი მათლაფა ჰქონდა, ხის კოვზი და დანა-ჩანგალი (სხვანაირი აკრძალული იყო). გადიღებდენ ულუფას—კომბოსტოში გაკეთებული ღორის ხორცის ნაჭერს და შეექცეოდენ. ფანნის გაკვირვება დიდი იყო, როცა შენიშნა, რომ ქალები მხიარულად უსხდენ ასეთ სუფრას. მსგავსად ქ-ნი დ'ორიაკისა, დანარჩენებიც ახალ ტანთსაცმელში იყვნენ გამოწყობილი და კეკლუცად თავდავარცხნილი: სიკვდილის წინაც არ დავიწყებოდათ სიკეკლუცე და შერჩენოდათ მოწონების ხალისი. მათი სიტყვა-პასუხიც ისეთივე იყო, როგორც გარეგნობა. ფანნიმ მალე შეიტყო, რომ აქაც ახერხებდენ ისინი სიყვარულის ჭსელის გაბმას, ინტრიგის ქსოვას საშინელი კლიტულის ამ ბნელ დერეფნებშიც, სადაც სიკვდილი უცნაურად ამწვავებდა სიყვარულის ჟინს.

ფანნიც შეიპყრო აუწერელმა მღელვარებამ. ისიც შეიპყრო ალერსის წყურვილმა. ნდომამ აიტანა.

გაახსენდა, ვისაც უყვარდა, მაგრამ ვის ნებას არასოდეს არ დაჰყოლია.

გული შეეკუმშა ტკივილისაგან. ისევე მწვავედ იგრძნო წუხილი, როგორც სიყვარულის წყურვილს განიცდიდა.

ვნებასავით მწველი ცრემლი დადინდა თვალთაგან... ძლივს მბჟუტავ ციხის ლამპის სინათლეზე შესცქეროდა იგი თვალებანთებულ ქალებს და ფიქრობდა:

— ჩვენ ყველანი ერთად მოკვდებით და რატომ არის, რომ მე ასე ვარ მოწყენილი, სული ასე შეშფოთებული მაქვს, როცა ეს ქალები ასე იოლად განიცდიან როგორც სიკვდილს, ისე სიცოცხლეს?!!

II

მძიმედ, ერთფეროვნად და გვიანად გაიარა ოცმა დღემ.

ერთ საღამოს ეზო, სადაც შეყვარებულები მყუდროებასა და ჩრდილს ეტანებოდენ, ცარიელი იყო. კორიდორების ნესტიანმა ჰაერმა სული შეუხუთა ფანნის. გამოვიდა ეზოში და ჩამოჯდა ბებერი აკაციის ჩრდილოვან ძირში, სკამზე. ნიავი ჰქროდა ირგვლივ და აკაციის ყვავილის სურნელს აფრქვევდა. ფანნიმ შენიშნა, რომ ხის კანზე ანტუანეტის მიერ ამოკრილ წარწერას ზემოდ დაწერილი დაფა იყო მიკრული. დაფაზე აღმოჩნდა პოეტი ვიქტორ ლექსი. ეს პოეტიც როგორც ფანნი, ამავე ციხის პატიმარი იყო.

წაკითხვისთანავე ღრმად დაფიქრდა ფანნი.—წარმოუდგა თვისი ცხოვრება, უწყინარი და მშვიდი. მოაგონდა როგორ შეირთო ქმარი, რომელიც არ უყვარდა; როგორ გაიტაცა პოეზიამ და მუსიკამ, და როგორ ეგუებოდა ქმრის მძიმე და ერთფეროვან მეგობრობას. შემდეგ როგორ შეუყვარდა ერთ თავაზიან ყმაწვილ კაცს, რომელმაც სავსებით ვერ დაიპყრო მისი გული, მაგრამ რომლის სიყვარულს ახლა, ტყვეობაში, უფრო გრძნობდა, ვინემ გარედ.

ბოლოს ისიც გაახსენდა, რომ სიკვდილით დასჯა მოელოდა, და სასოწარკვეთილებას მიეცა. ცივმა ოფლმა გადაასხა. ასეთ ყოფაში იყო, როცა ვარსკვლავებით მოჭედილ ცისკენ აღაპყრო თვალები და ხელების შეკუმშვნით წარმოსთქვა:

— ღმერთო ჩემო, ნუ გამწირავ... იმედი მომეცი!

ამ დროს ვიღაცა ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა. ეს იყო ციხის მეკარის ქალი, როზინ, რომელსაც უნდოდა ფანნის საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა.

— მოქალაქე,—მიმართა მას ლამაზმა ყმაწვილმა ქალმა,— ხვალ საღამოს, ადამიანი, რომელსაც შენ უყვარხარ, შენ დაგვხდება ობსერვატორიის მოედანზე ეტლით. გამომართვი ეს შეკრული: მასში დევს სრულიად ისეთი ტანთსაცმელი, როგორიც მე მაცვია. ჩაიცვი ვახშმის დროს შენს ოთახში. შენ სწორედ ჩემი ტანისა ხარ და ჩემსავით ქერა. სიბნელეში ვერავინ ვერ გაგვარჩევს. ერთერთი დარაჯთაგანი ჩემი საყვარელია. მან იცის ყველაფერი. იგი შემოვა შენს ოთახში და მოგიტანს კალათს, რომელიც მე დამაქვს ხოლმე ბაზარში პროვიზიისათვის. შენ გაჰყევები ამ დარაჯს. გასაღებიც მას ექნება. გაგატარებს მამაჩემის ბინაზე. ამ მხრით გასავალი თავისუფალია. მხოლოდ ისე უნდა მოახერხო, რომ მამაჩემმა არ დაგინახოს. ჩემი საყვარელი ზურგით მიეფარება მაგის ბინის სარკმელს და ისე მოგმართავს შენ, თითქოს მე ვიყო. გეტყვის:

— „ნახვამდის, მოქალაქე როზინ, ოღონდ ნუ იქნებით ასე გაჯავრებული!“ შენ კი პირდაპირ ქუჩაში გახვალ, სამშვიდობოს. ამასობაში მეც გამოვალ მთავარ კარებიდან. ჩავსხდებით ეტლში და წავალთ!“—

ფანნის ესმოდა ეს სიტყვები და გრძნობდა, თითქოს უკვე ყნოსავდა ბუნებისა და გაზაფხულის სურნელს. გულმკერდი თავისუფლების ნეტარი ჰაერით აევსო.

ხედავდა, რომ ხსნა ასე ადვილად ხერხდებოდა და წინასწარ ხარობდა. ხოლო რადგანაც ხსნას ზედ სიყვარული ემატებოდა, ქალის აღტაცება ისე

დიდი იყო, რომ გულზე ხელი დაიდვა, რათა დაენელებინა მისი აფრთოვანების ტემპი.

მაგრამ ფანნი იმ ადამიანთაგანი იყო, რომლებიც გრძნობას გონებას უმორჩილებენ. მცირე ხნის აღტაცების შემდეგ დაფიქრდა. მცდელი თვალით დააკვირდა მეკარის ლამაზს ქალს და ჰკითხა:

— ჩემო მშვენიერო ბავშვო, რისთვის უწევთ ასეთ დიდ სამსახურს ქალს, რომელსაც არ იცნობთ?

— მისთვის,—უპასუხა როზინმა, რომელსაც დაავიწყდა, რომ წინად შენობით ელაპარაკებოდა,—მისთვის, რომ თქვენი მიჯნური მე ბევრს ფულს მაჩუქებს, როცა განთავისუფლდებით, და მეც შემეძლება მაშინ შევირთო ფლორენტენი, რომელიც მიყვარს. როგორც ხედავთ, მოქალაქე, მე ჩემი საკუთარი ინტერესისათვის ვმუშაობ. მაგრამ მე მაინც თქვენი დახსნა აქედან უფრო მინდა, ვინემ სხვისი...

— ამისთვის დიდი მადლობა, ჩემო კარგო! მაგრამ მაინც რატომ ჩემი?

— იმიტომ, რომ თქვენ უმშვენიერესი ხართ, და თქვენი მეგობარიც ძალიან სწუხს უთქვენობას!.. მაშ, გადაწყვეტილია, ხომ?

ფანნიმ გაუწოდა ხელი შეკრული ტანთსაცმელის გამოსართმევად, მაგრამ მყისვე უკან წაიღო. ჰკითხა:

— როზინ, იცით თუ არა, რომ თუ გაგვიგეს, სიკვდილი არ აგცდებათ?

— სიკვდილი!—წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა,—შემაშინეთ რაღა! ჰო, ეს კი არ ვიცოდი!

მერე დამშვიდებულად:

— მოქალაქევ, თქვენი მიჯნური შესძლებს ჩემს დამალვას!

— პარიზში არ არსებობს უზრუნველყოფილი თავშესაფარი! მადლობელი ვარ თავგანწირვისათვის, მაგრამ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებ!

როზინ სახტად დარჩა.

— თქვენ გილიოტინა არ აგცდებათ, მოქალაქევ, და მეც ვერ შევირთავ ფლორენტინს!..

— დაწყნარდით, როზინ! მე შემიძლია გაგიწიოთ ამ მხრით სამსახური გარეშე იმ პირობისა, რომელიც შემთავაზეთ.

— არა!.. ეს იქნებოდა მოპარული ფული!

მეკარის ქალი დიდხანს ეევდრა ფანნის ცრემლქვეშ, ეხვეწა, მუხლი მოიყარა და კაბაში ჩასჩიდა ხელი,—არ ეშვებოდა!

ფანნიმ მოიშორა იგი ხელისკვრით და ზურგი შეაქცია.—მთვარის შუქი მიეფინა მის მშვიდსა და მშვენიერ სახეს.

ღამე იღიმოდა. მსუბუქად ჩაიქროლა ნიავმაც და პატიმართა საყვარელი ხის სურნელოვან ტოტებს შეეხო... შეყვითლებული ფოთლები გადმოჰყარა და ნებაყოფლობით სიკვდილზე მიმავალ ქალს თავზე გადააპნია...

თარგმანი ფრანგულიდან

ლ. ქ.

ანატოლ ფრანს

ნეგატიური სიკვდილი

ანდრე დიდხანს დადიოდა უკაცურ ქუჩებში. შემდეგ ჩამოჯდა სენის ნაპირზე და დაუწყო ცქერა წყლის თეთრ ზედაპირს იმ გორაკთან, სადაც სცხოვრობდა ოდესღაც—სიხარულისა და იმედების ჟამს—მისი სატრფო ლჟუსი.

დიდიხანია, რაც ანდრე ასე დამშვიდებული არ ყოფილა.

რვა საათზე იბანავა. ნაბანავებს შევიდა პალე-როიალის ერთ-ერთ ყავახანაში, და სანამ საუზმეს მოუმზადებდენ, განცხადებათა ფურცლები გადაათვალიერა. „Currier de l'Egalité"-ში ამოიკითხა 24 ფლორეალში რევოლჟუციის მოედანზე სიკვდილით დასჯილების სახელი და გვარი.

მადიანად ისაუზმა.

შემდეგ ადგა და სარკეში ჩაიხედა. დარწმუნდა, რომ წესიერად ეცვა და კარგ ფეხზედაც იყო. გამოვიდა გარედ. გაჰყვა ქუჩას მდინარის გაღმისაკენ. ერთ დაბალ სახლთან შეჩერდა, რომელიც სენისა და მაზარინის ქუჩების კუთხეში იდგა. ამ სახლში ბინადრობდა მოქალაქე ლარდიელჟონ, საზოგადო ბრალმდებელის თანამდებობის აღმასრულებელი რევოლჟუციონურ ტრიბუნალში. ეს იყო თავაზიანი კაცი, რომელსაც ანდრე წინად ანტერში ბერად იცნობდა, ხოლო პარიზში კი სანკიულოტად.

ანდრემ დარეკა. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ რკინის ქსელთან სარკმელში მზვერავი სახე გამოჩნდა.—მოქალაქე ლარდიონი წინდახედულად მოიქცა: ჯერ შეამოწმა სტუმრის ვინაობა და კარი მერე გაუღო.

იგი სავსე სახის ადამიანი იყო, ღაჟღაჟა ლოყებიანი. ნამიანი პირი ჰქონდა და ყურები წითელი.—ეტყობოდა მხიარული ხასიათის კაცი იყო, მაგრამ მშიშარა. ანდრე მან თავის ბინის პირველსავე ოთახში შეიყვანა.

ოთახში პატარა მრგვალ მაგიდაზე სუფრა იყო გაშლილი ორი ადამიანისათვის. სუფრაზე ეწყო: ქათამი, ხაჭაპური, შაშხი, ქოთანი მოხრაკული ღვიძლით და ქელე-მოსხმული ცივი ხორცი. იატაკზე ჩაფში ცივდებოდა ექვსი ბოთლი. ბუხრის თავზე კი ელაგა ყველი, ანანასი, მურაბა. საწერ მაგიდაზე ლიქიორის ბოთლები იდგა.

მეზობელი ოთახის შეღებული კარიდან მოსჩანდა დიდი ზომის საწოლი ლოგინი აშლილ საგებ-სახურავით.

— მოქალაქე ლარდილჯონ, მე შენთან სათხოვარი საქმე მაქვს.

— მე მზად ვარ, მოქალაქევ, გემსახურო, თუ ეს არ იქნება რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ.

ანდრემ გაიღიმა:

— საქმე, რომელიც მაქვს შენთან, სრულიად ეთანხმება როგორც რესპუბლიკის, ისე შენს ინტერესსაც!

ლარდილჯონმა ანიშნა, და ანდრე დაჯდა.

— მოქალაქე ბრალმდებელო,—დაიწყო ანდრემ,—შენ კარგად იცი, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში მე ვაწყობ შეთქმულებას შენი მეგობრების წინააღმდეგ; ისიც მოგეხსენება, რომ მე გახლავარ ავტორი იმ წიგნაკ-სა, რომლის სათაურია: „Les Autels de la Peur". შენ შეგიძლია, თამამად შეაპყრობინო ჩემი თავი. რასაკვირველია, ეს არ არის ის, რაც უნდა გთხოვო. გთხოვ მომისმინო: მე მიყვარს, და ჩემი სატრფო ციხეშია.

ლარდილჯონმა ამ სიტყვებზე თავის გაქნევით ანიშნა, რომ იგი პატივსა სცემს სიყვარულს.

— მეც ვიცი, რომ უგრძნობელი კაცი არა ხარ, მოქალაქე ლარდილჯონ, და ამიტომაც გთხოვ ახლავე გამგზავნო Port Libre-ში და გამანაწილებიო იმისი ბედი, ვინც მიყვარს!...

— ეჰე!—სთქვა ლარდილჯონმა და ღიმილი გადიკრა თავის სქელ და იმავე დროს ცბიერ ტუჩებზე.—შენ სიცოცხლეზე მეტს მთხოვ, მოქალაქევ! შენ ბედნიერებას მთხოვ!!

ამ სიტყვებით საწოლ ოთახისკენ გაიშვირა ხელი და დაიძახა:

— ეპიხარის! ეპიხარის!

ოთახიდან გამოვიდა შიშველ-მკლავებიანი, მაღალი, შავგვრემანი ქალი, პერანგისა და იუბკის ამარა.

— ჩემო ფერიავ,—მიმართა მას ლარდილჯონმა და მუხლზე დაისვა,—დააკვირდი კარგად ამ მოქალაქის სახეს, რათა არასოდეს არ დაგავიწყდეს იგი. ჩვენსავით ისიც მგრძნობიარეა, ჩვენსავით კარგად უწყის, რომ სატრფოსთან განშორება უდიდესი უბედურებაა!.. მას სურს გაჰყვეს თავის სატრფოს ჯერეხ ციხეში და მერე გილიოტინაზე!.. შესაძლებელია თუ არა, ეპიხარის, არ აუსრულოთ მას ეს მშვენიერი სურვილი?

— არა!—უპასუხა ქალმა და კარმანიოლიან ბერს ლოყაზე მიუთათუნა.

— მაშ, გაუწიოთ სამსახური ორ შეყვარებულს, რაკი სთქვი, ჩემო ღმერთაო! მოქალაქე ჟერმენ, მომეცი შენი მისამართი და სიტყვას გაძლევ, რომ ამავე საღამოს ციხეში იქნები!

— კეთილი!—უთხრა ანდრემ.

—კეთილი!—მიუგო ლარდალჯონმა და ხელი გაუწოდა.—შენს სატრფოს უთხარი, რომ ხედავდი ეპიხარის ლარდილჯონის გულში ჩაკრულს. დეე, ამ სურათმა სამხიარულოდ განაწყოს თქვენი აზრები!

ანდრემ უპასუხა, რომ მათ, შესაძლოა, სხვა უფრო გულითადი რამ ექმნესთ მოსაგონარი, მაგრამ მაინც იგი დიდი მადლობელია მისი; ხოლო სწუხს იმას, რომ, ცხადია, სამაგიერო სამსახურს ვერ გაუწევს თავისი მხრით...

— კაცთმოყვარეობა არ საჭიროებს სამაგიეროს გადახდას!—უპასუხა ლარდილჟონმა. ადგა, გულზე მიიკრა ეპიხარის და განაგრძო:

— ვინ იცის, ჩვენც რა ბედი გველის?

Omnes eodem: omnium
Versatur urna; serius c·us
Sors exitura, et nos in aeternum
Exilium impositura cymlae*).

მანამ კი დავლიოთ!.. მოქალაქევ, არ გინდა გაიზიარო ჩვენი ტრაპეზი?

ეპიხარისმა დაუმატა, რომ ისიც მოხარული იქნებოდა ანდრეს დარჩენისა, და ხელზე მოჰკიდა სტუმარს ხელი. მაგრამ ანდრე წავიდა. მან თან წაიღო სახელმწიფო ბრალმდებელის თანამდებობის აღმასრულებელის დაპირება...

თარგმანი ფრანგულით.

ლ. ქ.

---

*) ბედისწერა ერთია: ურნა ყველასათვის ტრიალებს, და ადრე თუ გვიან ბედსა გვწევს, რომელიც სამარადისო თავშესაფარში დაგვასაფლავებს.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფ ა უ ს ტ ი*

ვაგნერი (ლამპრში და ლამპარით ხელში).

გთხოვთ მაპატიოთ! ხმა მომესმა დეკლამაციის.
თქვენ ალბად ბერძნულ ტრაგედიის კითხვას სწავლობდით.
მეც მსურდა გულით ვესარგებლა ამ ხელოვნებით
და დიად საქმის გაკეთებას ამით ვლამობდი.
მე იმის ქება ხალხისაგან ბევრჯელ მსმენია,
ზოგ კომედიანტს ღვდლის სწავლებაც კი შესძლებია.

ფაუსტი

დიახ, თუ ღვდელი თვითონ არის კომედიანტი,
რაც ხშირად ხდება აქ ცხოვრების სინამდვილეში.

ვაგნერი

ეჰ, ვინც ყოველთვის ჩის კაბინეტში
და ამ ქვეყანას ხედავს ფანჯრიდან,
ვით დაარწმუნებს იგი ხალხს სიტყვით,
ან როგორ იხსნის იმას ტანჯვიდან?

ფაუსტი

რასაც თვით არ გრძნობთ, მას ვერც მიაღწევთ,
თუ ის გულიდან არ აღმოსკდება,
და გარდაუვალ გრძნობის სიმძაფრით
მსმენელს შიგ გულში ღრმად არ ჩასწვდება.
გადააწებეთ მცირე ნაჭრები,
ხარშეთ საშმელი სხვის ნასუფრალზე
და გააღვიეთ საბრალო ცეცხლი
მის გაცივებულ, ჩამქრალ ქურაზე.
მაიმუნებს და ბავშვებს მოხიბლავთ,
თუ გიამებათ იმათი ტრფობა,
მაგრამ გულთან გულს ვერ მიიზიდავთ,
თუ გულში არ სჩქეფს ნამდვილი გრძნობა.

*) იხ. „კავკასიონი" № 1-2, გვ. 143-159.

ვაგნერი

ბედნიერია, ვისაც შესწევს მჭერმეტყველება,
თუმცა კარგად ვგრძნობ, რომ არ მწყალობს ეს ხელოვნება.

ფაუსტი

ვინც ხელმძღვანელობს კეთილი ზრახვით,
არ საჭიროებს ბრიყვების ეჭვანს,
საღი გონება სულ მცირე ძალით
გამოამჟღავნებს სულიერ ღელვას.
და თუ სათქმელი გაქვს რამე ბრძნული,
სიტყვებს რად ეძებ გამწარებული?
თქვენი სიტყვების ლამაზი სრბოლა,
კაცობრიობას თვალებს რომ უხვევს,
უნაყოფოა, ვით ჭარის ქროლვა,
შემოდგომით რომ მჭკნარ ფოთლებს არხევს.

ვაგნერი

ეჰ! ხელოვნება ხანგრძლივი არის
და ხან მოკლეა ჩვენი სიცოცხლე.
კრიტიკის თვალით უყურებ ყველას,
და ვერ უძლებ სულიერ ღელვას.
ოჰ! რა ძნელია გამონახვა ნამდვილი გზების,
რომ მიაღწიო შენ ამ ქვეყნად სიბრძნის სალაროს
ვიდრე გაივლი ნახევარ გზას ტანჯულ ცხოვრების,
სიკვდილი გისწრებს და შეგიპყრობს უმალ საბრალოს.

ფაუსტი

ნუ თუ ეტრატი სამღვთო წყაროა,
საიდაც დასცხრების წყურვილი მარად?
ვერ განიგრილებ სულის სიცხოველეს
თუ შენ სულშივე არა სჩქეფს მძლავრად.

ვაგნერი

გთხოვთ მაპატიოთ! ყოველთვის ვგრძნობ სიამოვნებას,
ოდეს ჟამთა სვლის სულის სიღრმეს მარჯვე დ ჩავწვდებით.
იქ ჩვენ ვიხილავთ ბ-ძენის ჭკუას და აზროვნებას
და თავი მოგვაქვს, რომ ამ დარგში ჩვენ შორს წავედით.

ფაუსტი

ოჰ! ვარსკვლავებზე თითქმის ავედით!
ვით სიბრძნის წიგნი, წარსული ჟამიც
შვიდი ბეჭედით დაკეტილია,
რასაც დროის სულს უწოდებს ზოგი
ის მხოლოდ მისი კერძო სულია,

სადაც მისი დრო აღბეჭდილია.
რომ წარმოიდგენ ყველაფერს ასე,
გინდა გაიქცე უეცრივ შორსა.
საკუშნაოა აქ ნაგვით სავსე
და შენ წინ ხედავ საშინელ მძორსა.
ხან-კი შეხვდები ჰკვიანურ რჩევას,
მხოლოდ ტიკინებს რომ აძლევს ლხენას!

ვაგნერი

კარგია მაინც, როცა ეტრფი ქვეყნის შესწავლას,
ადამიანის სულის ცოდნას და გულთმისნობას.

ფაუსტი

დიახ, კარგია. რას უწოდებთ თქვენ ამ შესწავლას!
ვის შეუძლიან, რომ ბავშვს მისცეს სწორე სახელი?
ვინც გახდა მისი მოტრფიალე და მის მნახველი,
ვინც გულუბრყვილოდ ბრბოს შესწირა ტანჯული სული,
გაუზიარა მას თავისი აზრი და გული,
მისგანვე ბყო ჯვარცმული და ცეცხლში დაგუული.
უნდა შეეწყვიტოთ აქ ბაასი დიდ ხანს გაბმული.

ვაგნერი

სიამოვნებით ვათევდი ღამეს,
არ მოვიწყენდი ბაასით თქვენთან.
ნება მიბოძეთ აღდგომის დამდეგს
დრო გავატაროთ ხვალ კიდევ ერთად.
თუმც ბევრი ვიცი, განვიცდი სურვილს
და ვეღარ ვიკლავ მე ცოდნის წყურვილს.

ფაუსტი (მარტო).

ვით არ ჰქრებიან იმედები მთლად იმის გულში,
ვინც სულ მისტირის უმნიშვნელო და მცირე საგნებს.
ვინც ხარბად ეძებს განძეულებს მიწის უფსკრულში
და უხარიან, რომ პოულობს შიგ წვიმის მატლებს!
როგორ გაბედა აქ შემოსვლა ადამიანმა,
აქ, სადაც ირგვლივ ირეოდა სულების ჯარიო?
მაგრამ მადლობის ღირსი არის ამ ჟამად იგი,
ვინც კაცთა შორის სუყველაზე საბრალო არი!
უიმედობის ტყვეობიდან შენ დამიხსენი,
მთელ ჩემ არსებას რომ უჭადდა განადგურებას.
ახ! ვერ გაუძელ მოჩვენების დიად ბუნებას
და ჩემი თავი მე იმასთან ჭიად ვიგრძენი.
ღვთაების ხატი, მისი მსგავსი და თანაბარი
უკვდავ სიმართლის სარკის ახლო ვლამობდი ყოფნას.

ციურ სხივებით განაშუქი და გულ გამთბარი
მე ვაპირებდი მიწის შვილის სამარის მოხსნას.
ჭერუბიმებზე მაღლა მდგომი ვეჩქარებოდი
ქვეყნის ძარღვებში ნაკადულად მთლად გარდაქცევას.
შემოქმედებით უკვდავ ღმერთებს ვედარებოდი,
და აი რისთვის პასუხს ვაგებ ეხლა განგებას!
მჭუხარე სიტყვა ლახვრად მოხვდა მთელ ჩემ არსებას.
ველარ გაებედავ, რომ შეგედარო,
თუმცა შეძელი მე შენი ხმობა,
მაგრამ არ ძალმიძს, რომ გავაჩერო
არ შემწევს ამის ძალა და გრძნობა.
იმ სანეტარო, ბედნიერ წამში
თავს ვგრძნობდი მცირედ და დიდებულად,
და კვლავ ცვალებად ცხოვრების ზღვაში
შენ გადამტყორცნე დაუნდობელად.
ვინ მიწინამძღვრებს ნეტავი აქ მე?
უნდა ეგრძნო მუდამ ჩემ გრძნობას?
ვჰ! ჩვენი ტანჯვა და ჩვენი საქმე
აფერხებს ჩვენი სიცოცხლის სრბოლას.
მზიურ სინათლეს, უკვდავ სულში რომა ჰკრთის შვებით.
უცხო საგნები თან დასდევენ ვით მოჩვენება,
ოდეს მიეალწევთ ამ ქვეყნიურ სიკეთეს ლხენით
თვით უკეთესი ფუჭ ოცნებად მოგვეჩვენება.
და წმიდა გრძნობა, ცხოვრებაში ხშირად რომ ჩნდება.
ქვეყნის ღელვაში და ჯურღმულში უეცრივ კვდება.
ოდეს ოცნება აღტაცებით და სავსე რწმენით
უახლოვდება უკვდავებას და თაიგულობს,
საკმარისია აქ სიცოცხლის სულ მცირე დღენი,
ბედნიერება რომ უფსკრულში მთლად ჩაიღუპოს.
გულის სიღრმეში უმალ ხრუნვა დაისადგურებს
და საიდუმლო ტანჯვით სული დაიღარება,
თვითონ ერთობა და ჩვენ-კი არ გვამხიარულებს,
პირზე ნიღაბით დაფარული დაიარება.
ხშირად ჩვენ იგი გვეელინება ოჯახის სახით,
ცეცხლით და წყალით, საწამლავით და ბასრი ხანჯლით.
თრთი მის წინაშე, რაც ჯერ კიდევ არ დაგინახავს
და მას დასტირი, რაც არასდროს არ დაგიკარგავს
ვერ შეგედრები უკვდავ ღმერთებს, ვგრძნობ კარგად ამას,
მე შეევედრები საბრალო მატლს, მიწას რომ ყლაპავს,
მტვერში რომ ცოცავს და საზრდოობს იმავე მტვერით
და იქვე უმალ ისრისება მგზავრების ფეხით.

მტვერი არ არის, რაც ამ თაღებით
მე სულს მიხუთავს და გულს მიჯაჭვავს
და ათასგვარი იარაღებით
ჩრჩილის სამეფო მახრჩობს და მტანჯავს?
ეპოვებ-კი აქ მე რასაც ეძებდი,
გინდ ათას წიგნში მიეღო რწმენა,
რომ ბედნიერებს ძვირად შეხვდები
და ტანჯულია აქ თითქმის ყველა?

გამოფხულრულო თაგის ქალავ, რას მიღრეკ კბილებს?
რომ შენი ტვინიც აქ ოდესღაც ჩემებრ სცდებოდა?
რომ მწუხრში ლხენით დაეძებდი დღის ნათელ სხივებს,
მაგრამ სიმართლეს შენი სული კი ვერ სწვდებოდა?
დამცინავ სახით მიყურებენ იარაღები,
თვლები, მორგვები, სავარცხლები და კაუჭები,
ვიდექ კარებთან, თქვენ მეგონეთ მძლე გასაღები.
მაგრამ მის ბეჭედს კვლავ ამაოდ ვებღაუჭები.
თვით ნათელ დღეშიც მოცულია მთელი ბუნება
საიდუმლოთი და მას ფარდას ვერ ავხდით ძალით
და თუ-კი ნებით იგი შენ სულს არ ეჩვენება,
არ შეგიძლიან რომ ასწიო თვით აზარმაცით.
ჩემთვის ურგებო, ხარა ხურავ! მისთვის გირახავ.
რომ მამი-ჩემის ხელში იყავ ნივთი სახმარი;
ძველო ეტრატო! ჰვარტლის გემო ბევრჯელ გინახავს
მას შემდეგ, რაც ამ მაგიდაზე ბეჭუტავს ლამპარი.
სჯობდა მცირედი გამეფლანგა დღითი დღეობით.
ვიდრე მელვარა მე აქ ოფლი უფრო მცირედზე.
წინაპრებისგან რასაც ილებ მემკვიდრეობით
უნდა მიიღო სასარგებლო შენ ამ ნივთებზე!
რაც მოსახმარად არ ივარგებს—ჩვენთვის უქმია.
სარგებელს ნახავ მხოლოდ მასში, რაც წუთს უქნია.
რად მიჩერდება მე თვალები სულ ერთ ალაგზე?
ნუ თუ იმ შუშის ანდამანტით იხრება გული?
და რად კაშკაშებს ჩემი სული მის დანახვაზე,
ვით ულრან ტყეში მთვარის შუქით გაბრწყინვებული?
მოგესალმები შენ ერთად ერთს, ფიალავ, გულით!
ძირს ჩამოგიღებ მოწიწებით და სიყვარულით!
მე შენში მომწონს კაცთა ჭკუა და ხელოვნება.
შენ ხარ ნეკტარი მსწრაფლ მომგვრელი ტურფა ზმანების,
და დანაწური სასიკვდილოდ მომქმედ ძალების,
მოეც შენს პატრონს დახმარება და მოწყალება!
გზადავ და სევდა-მწუხარება გამიქავრდება.

გიპყრობ და ცეცხლი მისწრაფების გამინელდება.
აზვირთებული სულის ტალღა სცხრება თან და თან.
გადავეშვები დიად ზღვაში ლხენით, ამაყად
ზღვის ტურფა სარკე გაიელვებს ჩემს წინ ლამაზად
და ახალი დღე მიმიზიდავს ახალ ნაპირთან.
ჩემსკენ მოჰქრის აქ ცეცხლის ეტლი მსუბუქი ფრთებით.
გული მიღელავს, ვხედავ ქვეყნის მაღალ წვეროებს,
მზად ვარ გავკვეთო თვით ეთერი ახალი გზებით,
რომ მივაღწიო მოქმედების ახალ სფეროებს.
ნუ თუ წილად მხვდა ნეტარების ღვთიური დღენი?
მატლი იყავი და ელირსე შენ ამ ნათელ დღეს?
დიახ! გადაჰრით შეაქციე ზურგი მიწის მზეს!
და გაარღვიე, გადალახე მაღალნი ბჭენი,
ყველა რომ ასე ერიდება და უხეიროს გვერდსა!
ეხლა კი დროა დაამტკიცო, ნათელ ჰყო საქმით,
რომ მომაკვდავი აქ ედრება გონებით თვით ღმერთს,
რომ იგი არ თრთის შავ უფსკრულის სილრმის წინაშე,
სადაც ოცნება თვით ისახავს წამების სიზმრებს.
და გადალახე შენ ამ ქვეყნის ვიწრო საზღვარი,
სადაც თვით ცეცხლი ჯოჯოხეთის მუდამ ბობოქრობს;
უნდა გადადგა ეს ნაბიჯი სიამოვნებით,
თუნდაც გელოდეს შენ დაყუჩვა მაინც ბოლო დროს.
წმინდა ფიალავ, ბროლის მსგავსო! ჩამოდი აქეთ.
გამოიხედე მაგ შენ ბნელი ბინიდან გარეთ,
დიდი ხანია, რაც მე შენზე არ მიფიქრია!
შენ ამშვენებდი ჩენ წინაპართ დიდებულ ზეიმს,
მოწყენილ სტუმრებს გაართობდი და ჰგვრიდი ქეიფს.
ხელიდან ხელში მხიარულად ბევრჯელ გიცლია!
ხედ გამოჭრილი სურათები და ჩუქურთმები,
დაცლა ბოლომდის, ხოტბის შესხმა ტკბილი რითმებით, —
ყველა მაგონებს სიყმაწვილის დღეებს ვით ძილში.
აღარ გადაგცემ კვლავ მეზობელს ჩემი ხელებით,
აღარ გავართობ მათ ნადიმზე შენი შექებით:
სულ სხვა ნეკტარი არის ეხლა მაგ შენ ღრმა ძირში.
მუქი ნაკადი გამაბრუებს, შემიპყრობს ძილი,
მე მოგამზადე და მე შეგსვამ შენ სიხარულით
უკანასკნელი სადღეგრძელო იცლება გულით,
ვით მისალმება განთიადის მიმართ ნიძლვნილი!

(რიტანს ფიალას პირთან. ისმის ზარის რეკა და ჯუნდის გალობა).

ანგელოზთა გუნდი

ქრისტე აღსდგა!
გაიხარეთ
მომაკვდავნო
პირველ ცოდვით
შეპყრობილნო!

ფაუსტი

ეს რა ციური, საიდუმლო ხმა ატკბობს სმენას,
და გამომტაცებს მე პირიდან ფიალას ძალით?
ნუ თუ აქ წყნარი ზარის რეკა გვაუწყებს ლხენას
და აღდგომის დღის გათენებას ამ კვირაძალით?
იქნებ აქ გუნდნი სანუგეშო მღერას იწყებენ,
ანგელოსები რომ მოსთქვამდენ დაკრძალვის ღამეს,
და ამ სიმღერით ახალ კავშირს განამტკიცებენ?

ქალთა გუნდი

ნელ საცხებელით
იგი განვბანეთ
და მოწიწებით
იქ დავასვენეთ,
თეთრ სამოსელით
წმინდად შევგარგნეთ,
მაგრამ ქრისტე იქ
ვეღარ ვიხილეთ!

ანგელოზთა გუნდი

ქრისტე აღსდგა!
ნეტავი მას,
ვინც განსაცდელს
სულის მტანჯველს
და გამკურნავს
მტკიცედ დახვდა!

ფაუსტი

რისთვის დამეძებთ თქვენ ასე მძლავრად,
ზეცის ჰანგებო მტვრიან ჯურღმულში?
აჟღერდით, სადაც გრძნობა ჰკრთის მარად
ადამიანთა ნაზ და ჩვილ გულში!
თუმცა ხმა მესმის, რწმენა მაკლია
სასწაული-კი რწმენის შვილია.
თუმც ვეღარ შევტრფი ეხლა იმ სფეროს,
სადაც ისმიან ციური ხმები,

მაგრამ ჩვეული სიყმაწვილის დროს
მათი სიამით მე ისევ ვსტკბები
მახსოვს დიდ შაბათს ღამის ჩურჩულში
ზეცის ამბორი მელოდინებოდა
და საიდუმლო ზარის გუგუნში
მზურვალე ლოცვით გული ლბებოდა.
გამოუცნობელ ნაზი წყურვილით
მივაშურებდი ტყეებს და ველებს.
თვალთ გადმომჩქეფდა ცრემლი დუღილით
და გულში ვგრძნობდი სულ ახალ ჭეყნებს.
სულის წარმტაცი ტკბილი სიმღერა
ყველას გვამცნობდა გაზაფხულს ლხენით;
მის მოგონებამ მსწრაფლ შეაჩერა
საბედისწერო ნაბიჯი ღელვით.
აღელდით მძლავრად, ჰანგებო ცისა!
ცრემლი გადმომჩქეფს კვლავ მიწის შვილსა!

მოციქულთა გუნდი

საფლავს ყოფილი
ისევ განახლდა
სხივებ მოსილი
ზეცას ამაღლდა.
შემომქმედ ლხენის
დასტკბება ნახვით:
ახ! მიწის გულზე
დავდივართ ტანჯვით.
ყველა დაგვტოვა.
ტანჯვის ამარად.
ახ! ჩვენ დაგტირით.
მოძღვარო, მარად!

ანგელოზთა გუნდი

ქრისტემან სიკვდილით
დასთრგნა სიკვდილი!
გასწყვიტეთ ბორკილი
ლხენით და ღიმილით!
მაცხოვრის მქებელნო,
და საქმით ერთგულნო,
თაყვანის მცემელნო
მოძმესთან ერთსულნო
გზად მქადაგებელნო.
სამოთხის აღმთქმელნო
მოძღვარი თქენთან არს
და თქვენთან იხარის!

ქალაქ გარედ.

(სხვადასხვა მოსეირნენი).

ხელოსნები

საით მოდიხართ აქედან ნეტავ?

სხვები

სამონადირო სახლში ვაპირებთ.

პირველნი

ჩვენ კი გვ›ნდოდა წისქვილისაკენ.

მეორე

ცუდი გზა არის და ვერ გაიკვლევთ.

მეორენი

შენ რას აკეთებ?

მესამე

მეც სხვებთან ერთად იქით მივდივარ.

მეოთხე

წადით ბურგდოფზე! თქვენ იქ იხილავთ
ლამაზ ქალებს და მშვენიერ ლუდსა
და ჩხუბს სულ მუდამ გამზადებულსა.

მეხუთე

რა მხიარული ვაჟბატონი ხარ,
დიდი ხანია არ გაბერტყილხარ?
მე ვერ გავბედავ იქითქენ წასვლას.

მოახლე ქალი

არა, სჯობს ისევ დავბრუნდე ქალაქს

მეორე ქალი

ეერხვების ახლო შევხვდებით იმას.

პირველი

მე თავს ვერ ვიგრძნობ იქ ბედნიერად
თუ ის სულ მუდამ შენთან იხარებს.
თქვენ განუწყვეტლივ იცეკვავეთ ერთად,
შენი მოლხენა ნეტავ რას მარგებს?
ალბად დღეს იგი მარტო არ მოვა
და თმებ-ხუჭუჭაც მასთან წამოვა.

მოწაფეები

რა მშვენიერი სიარული აქვთ!
წამო, ძმობილო, გავყვეთ ამ ქალებს!

დაგვნებდებიან
ციხე და ქალი!
მამაც შრომაში
ჯილდოს წავიღებთ
და ჯარის კაცნი
ციხეს ავიღებთ!

ფაუსტი და ვაგნერი

ფაუსტი

ნაზ გაზაფხულის ხილვით გამდნარი
უკვე დაიძრა ყინული წყლებში;
ამწვანდა ველად იმედი მჭკნარი;
და კვლავ მოხუცი, სუსტი ზამთარი
უკან დაბრუნდა სუსხიან მთებში.
ღონე-მიხდილი, შიშით და კრძალვით
ყინულის მარცვლებს უგზავნის ველებს,
მაგრამ მზე თავის მხურვალე ძალით
ვერ ეგუება ქვეყნის თეთრ ფერებს.
ყველგან აღვიძებს სიცოცხლის გრძნობას
და მრავალფერად ბუნებას მოსავს.
თუმც ჯერ არ მოსჩანს მინდვრად ყვავილი,
მორთული ხალხი იჭერს მის ალაგს,
შეჩერდი ოდნავ ტრფობით აღსილი
და გადახედე მაღლიდან ქალაქს!
აგერ იმ ღია, ბნელი კარებით
ჭრელი ბრბო იწევს აქ გაჩქარებით.
ქვეყანა ცდილობს გარედ გამოსვლას
ყველა ზეიმობს ქრისტეს აღდგომას,
თითქოს თვითონაც აღსდგება მკვდრეთით.
ყველა შეჰხარის სინათლეს ღელვით.
ზოგი გამოდის ბნელი ბინიდან
და სულ შორდება მის დაბალ ჭერებს,
გარედ მოიწევს სახელოსნოდან
და სტოვებს სულის შემხუთავ კედლებს.
ზოგიც გაურბის ქუჩებში ჩოჩქოლს
და ღვთიურ მწუხრით აღსავსე საყდრებს.
აგერ! უყურე რა ნაზი ლხენით
ხალხი მოედო ველებს და ბაღებს
და წყლის სივრცეზე მდინარე ღელვით
მხიარულ ნავებს ლამაზად არხევს.
და მძიმე ტვირთით ჩასული წყალში
უკანასკნელი ნავი სრიალებს,

მთების შორეულ ბილიკა გზაში
ტანთ სამოსელი ნაზად ბჭყვრიალებს.
სოფლად გაისმის ხალხის ჟღივილი,
დიდით პატარა ლაღობს მზიანად,
სამოთხე არის ქვეყნად ნამდვილი:
მე აქ თავსა ვგრნობ ადამიანად.

ვაგნერი

თუმც მუდამ ჩემთვის სასახელოა
თქვენთან ყოფნა და მუდმივი ლხენა,
მაგრამ მათ გული არ შეეთვისა
და აღარ ძალმიძს მე აქ დარჩენა.
ხალხის ღრიალი და ჟრიამული
სულს მიხუთავენ, მიხშობენ სმენას:
ყვირიან, როგორც გადარეულნი
და უწოდებენ ამ ყვირილს ლხენას.

გლეხები ცაცხვის ძვეშ

(ცეკვა და სიმღერა)

ჯგუბა-ბაბთით და გვირგვინით
მწყემსი კოხტად მოკაზმულა,
სიხარულით და ღიმილით
სათამაშოდ გამოსულა.
დავლულია ცაცხვის ძირში
ყველა ცეკვავს გაშმაგებით
და ქამანჩა ლამაზ ჩრდილში
კვნესის ენებით და აღგზნებით.

გაარღვია ყრმამ ფერხული,
და იდაყვი გაჰკრა გოგოს,
ჩაუარა მან დავლული
და გავიდა ხტუნვით ბოლოს.
გოგომ უთხრა: ვხედავ კარგად,
რომ ყოფილხარ სულელიო!
ნუ იქცევი თავხედურად,

ნუ ხარ ასე უზრდელიო!
მაინც წრეში ტრიალებენ,
ირგვლივ ისმის ჟრიამული,
და კავები ფრიალებენ,
ცეკვა არის მხიარული.
პირზე ადით მათ ალმური,
გადუჭვდიათ ხელი ხელსა,
ისვენებენ დაღალულნი

და ეტრფიან ერთმანეთსა.
ვერ გენდობი, გული მიგრძნობს,
ვერ მომხიბლავ შე სიტყვითო,
ბევრჯერ თავის საპატარძლოს
ატყუებდა ყრმა ფიცითო.
მაინც ბიჭმა გოგო ჩრდილში
გაიტყუა განს ალერსით
და ქამახჩა ცაცხვის ძირში
კვნესის ენებით და აღგზნებით.

მოხუცი გლეხი

ბატონო, დოკტორ, ვართ მადლობელნი,
რომ ჩვენთან ლხინი არ უარყავით,
ხალხის ზეიმის თანამგრძხობელნი,
ვით მეცნიერი ჩვენთან დაჰყავით.
მაშ ჩამოგვართვი ლამაზი თასი,
საესე მჩქეფარე, ახალი ღვინით,
შესვით სასმელი ნექტარის მსგავსი
და მოიკალით წყურვილი იმით,
რამდენი წვეთიც ამაში ნახოთ,
იმდენი დღენი თქვენ შეგემატოთ.

ფაუსტი

შევსვამ ამ ღვინოს სიამოვნებით,
მადლობას გიძღვნით წრფელი გრძნობებით.

(ხალხი იკრიბება ჯგუფ-ჯგუფათ მის გარშემო)

მოხუცი გლეხი

კმაყოფილია გვერწმუნეთ ყველა,
რომ მოგვეელინეთ დღეს ჩვენ ამ ლხინში
თქვენი კეთილი რჩევით ბევრჯელა
ჩვენთან ყოფილხართ დიდს გასაჭირში.
ბევრი ჩვენგანი აქ მამა თქვენმა
ციებ-ცხელებას გადაარჩინა.
ბევრს ახსოვს კიდევ, რომ მისმა ხელმა
შავი ჭირიც-კი არ დაარჩინა.
ჯერ კიდევ ნორჩი სნეულთ ნუგეშად
საავადმყოფოს ესტუმრებოდით,
თუმცა გვამები გაჰქონდათ ხშირად,
თქვენ უვნებელი მაინც რჩებოდით.
ძალა და ღონე გემატებოდათ,
მფარველს მფარველი გეხმარებოდათ.

ᲥᲕᲔᲚᲐᲜᲘ

მაშ გაუმარჯოს კაცს სახელოვანს,
რომ კვლავ უშველოს ტანჯულ ქვეყანას!

ᲤᲐᲣᲡᲢᲘ

თაყვანი ეცით იმას ვინც მაღლით,
შველას გიგზავნით, შველას გასწავლით.

(მიდის ვაგნერთან ერთად)

ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲘ

დიადო კაცო, ნეტავ რასა გრძნობ
როს ხედავ ხალხის ამ გვარ სიყვარულს,
ბედნიერია, ვინც ნიჭს არ ახშობს
და მოახმარებს ქვეყანას ბედკრულს.
მამა უთითებს შენზე თავის შვილს,
ყველა გკითხულობს და შენსკენ იწევს,
სდუმს ჰიანური, აღარვინ ცეკვავს
და შენც ჩაუვლი მწკრივში მდგომ რიგებს;
აგერ ჰაერში ისვრიან ქუდებს;
და ლამის არის მუხლთ დაიჩოქონ,
რომ შენი მოსვლა კრძალვით შეაქონ.

ᲤᲐᲣᲡᲢᲘ

მცირე მანძილი დაგვრჩა ჩვენ ქვამდის!
და დავისვენებთ გზაში დაღლილნი:
ლოცვით და მარხვით ტანჯულ-გვემული
ბევრჯელ ვმჯდარვარ აქ ფიქრით აღსილი.
და გამსჭვალული იმედით, რწმენით
ვეველდრებოდი ქვეყნისთვის ცასა,
ხელაპყრობილი, ოხვრით და ცრემლით
ვთხოვდი ღმერთს ხალხის ჰირიდან ხსნასა.

როგორც დაცინვა შემომესმა აქ ბრბოს ღიღილი,
ნეტავ უნარი გქონდეს სულში ჩამოხედვისა.
მაშინ მიხვდები, რომ არც მამა და არც მის შვილი
ღირსი არა ვართ დიდების და ხოტბის შესხმისა.
პატიოსანი კაცი იყო თუმც მამა-ჩემი,
ბუნების ძალებს უმწიკვლოდ და წმიდად იკვლევდა,
მაგრამ უცნაურ, თავისებურ შრომას ნაჩვევი
ვით ჯადოქარი ბუნდოვან გზებს მუდამ მისდევდა.
გარშემორტყმული მოწაფეებით
სახელოსნოში დროს ატარებდა
და ათასნაირ გვარ რეცეპტებით

სხვადასხვა წამლებს შეაზავებდა.
წითელი ლომი იყო იქ ნეფედ
და პატარძალი ზამბახი ნაზი.
მიჩუხჩუხებდნენ ორივე ჩქეფით
და ბინად ჰქონდათ შუშის დარბაზი.
შეზავებული ჭრელი ფერებით
ყრმა დედოფალი ჰიქიდან ჰკრთოდა,
წამალს ვასმევდით და არ ვეძებდით
თუ ვინ გადარჩა და ან ვინ მოკვდა.
და თვით შავ ჰირზე უფრო საშინლად
დავხოცეთ ხალხი ამ არე-მარეს,
მე თვით მოვწამლე ჯერ ათასობით
და მივაბარე აქ ბნელ სამარეს.
ისინი დაჭკნენ, მე დავრჩი ველად
თავხედი მკვლელი დამსახეს მხსნელად!

ვაგნერი

რისთვის სწუხდებით ნეტავ ამისთვის!
ნუ თუ არ კმარა ჭკვიან კაცისთვის,
თუ ხელოვნებას--განძს გადმონაცემს
კარგად მოიხმარს და სხვასაც მისცემს.
თუ შენ სიყრმითვე პატივს სცემ მამას,
კმაყოფილებით გაჰყვები მის გზას,
თუ შენ წინ წასწევ მეცნიერებას,
შვილიც მიაღწევს უაღრეს მიზანს.

ფაუსტი

ბედნიერია, ვინც ჯერ კიდევ ატარებს რწმენას,
რომ შეცდომის ზღვის უფსკრულიდან ამოცურდება.
რაც ჩვენ არ ვიცით, სწორედ იგი გვჭირდება ყველას
და რაც რომ ვიცით არასოდეს არ დაგვჭირდება,
მაგრამ გაჩუმდი, ნუ იწამლავ ბედნიერ წამებს
შავი ფიქრების უიმედო, ფუჭ მღელვარებით,
და გადახედე ამწუანებულ ჭოხებს და ბაღებს,
თუ რა რიგ თრთიან ჩამავალ მზის სხივთ ელვარებით.
მზემ გადიხარა, ეთხოვება მინდვრებს და ველებს,
ახალ სიცოცხლეს ეშურება და ეტრფის მძლავრად.
ოჰ, ნეტავ მომცა ლაღი ფრთები, რომ გავცდე ხმელეთს
და მუდმივ ფრენით მას თან გავყვე მშვიდად და წყნარად!
მაშინ უკვდავ სხივთ ცეცხლის შუქში ვეჳრეტდი ბუნებას,
ჩემ ფეხთ ქვეშ გაშლილს, დამშვიდებულს და მონარნარეს.
ვეჳრეტდი მწვერვალებს აღგზნებულებს, ველთ ბიბინებას,

ვერცხლის ნაკადულს ოქროს წყალში გადმომდინარეს.
ვერ დააცხრობდენ ამ ღვთაებრივ მძლავრ აღმაფრენას,
ულრანი ხევნი გარდაუვალ პირქუშ მთებისა
და მოლიელიე უბეები გამთბარ ზღვებისა,
ჩემს გაოცებულ თვალების წინ იწყებდენ ლხენას.
და რომც ღვთაება ჩაესვენოს თავის სხივებით,
მე კვლავ ახალი აღმაფრენა გამიტაცებდა,
უკვდავ სინათლის დაწაფებით გავგრილდებოდი,
ღამეს დავსძლევდი და დღე ისევ გამინათებდა,
გამოჩნდებოდნენ მაღლა ცა და ძირს ზღვის ტალღები!
მშვენიერია, მაგრამ ფუჭი ჩემი ზმანება!
ეჰ! სულიერ ფრთებს ხორციელი, ნამდვილი ფრთები
ვერ ეთვისება და ახლო არ მიეკარება.
მაინც გვიტაცებს ჩვენ მაღლა ცაში
თან დაყოლილი გრძნობა განგებით
ოდეს ტოროლა ლაჟვარდ სივრცეში
თავის სიმღერას მოსთქვამს აღგზნებით.
ოდეს არწივნი ამაყი ფრენით
მაღალ მთის ნაძვებს ესტუმრებიან
და წეროები ტბებით და ველით
თავის სახლისკენ ეშურებიან.

ვაგნერი

მეც განმიცდია უცნაური წუთების ლხენა,
მაგრამ არასდროს არ მიგვრძენია ეს აღმაფრენა.
ხშირად ვყოფილვარ გამაძღარი ტყე-მინდვრის ცქერით,
მაგრამ არასდროს მშურებია ფრინველის ფრთები.
სულ სხვაა ჩემი სულიერი აღფრთოვანება,
წიგნებში გართულს განუყრელად რომ თან დამყვება!
თვით ზამთრის ღამე მიალერსებს თავის სინაზით
და ნეტარება მსწრაფლ გამითბობს მთელ სხეულს ციესა.
ახ! გადაშალე შენ ეტრატი ეგზომ ძვირფასი
და დაინახე, რომ თვით ზეცა ჩაჰხედის ძირსა.

ფაუსტი

მაშ შენ გცოდნია ერთი ტრფობა ამ სიცოცხლეში,
ნუ მოისურვებ ნურასოდეს მეორის განცდას!
ახ! ორი სული სცოცხლობს მუდამ ამ ჩემს გულ-მკერდში
და ორივენი ერთმანეთთან ლამობენ გაყრას.
ერთი მისტირის ამ ქვეყნიურ ტრფობა-განცხრომას,
ებღაუჭება განუწყვეტლივ მძლავრი ხელებით,
და მეორე-კი მუდამ ელტვის ხორციელ გრძნობას
გატაცებული პირველყოფილ მშვენიერებით.

ფაუსტი

შენ მართალი ხარ, მე ვერ ვამჩნევ მას სულის ნასახს,
აქ ვხედავ მხოლოდ ხელოვნური გაწვრთნის ჩანასახს.

ვაგნერი

ზოგჯერ ძაღლსაც-კი კარგად აღზრდილსა
თვით ბრძენი კაციც უთმობს დიდ ალავს,
და სტუდენტების მიერ გაწვრთნილსა
ნურც შენ მოაკლებ ფინიას ამაგს.

(შედიან ქალაქის კარებში).

სამოსწავლო ოთახი

ფაუსტი (შემოდის ფინია ძაღლით).

გამოვეთხოვე ველებს და მინდვრებს
გარემოცულებს წყედიადი ღამით
და მშვენიერი სულიც იღვიძებს
ღვთიური შიშით და წინდა კრძალვით.
დაცხრა ველური აღფრთოვანება,
დამშვიდდა გული გაშაგებული
და მკვდრეთით აღსდგა კვლავ სათნოება,
და აღსდგა მკვდრეთით ღვთის სიყვარული.

ჩუმად, ფინიავ! ნუ აწყდები შენ აქეთ-იქით,
მაგ დერეფანში რას დაეძებ, ან რასა ჰსუნავ.
დაწექი ჩქარა, მოისვენე ღუმელის იქით,
საუკეთესო ბალიშს მოგცემ, ოღონდ ნუ ხტუნავ.
მახსოვს, რომ წელან შენ გზა-და-გზა გვართობდი ყველას
გამოირბინე ხტუნაობით მთანი და ველნი.
მაშ ნუ მოიშლი, გეხვეწები, აქაც მოლხენას
და მოიქეცი ვით სტუმარი შენ სასურველი.

ახ! ბნელ საკანში ღამის ლამპარი
კვლავ მიმოაბნევს შუქს მოკრძალებულს
და ჩემი გულიც სევდით დამდნარი
გონზე მოსული ნაზად ციალებს.
გონებით ზეცას ვესაუბრები,
იმედი მჭკნარი ხელახლად ჰხარობს.
სიცოცხლის ნაკადს ვეხმაურები
და კვლავ დავეძებ სიცოცხლის წყაროს.

კმარა, ფინიავ! ნუ ბუზღუნებ! იმ წმიდა ჰანგებს
ჩემი სული რომ შეუპყრიათ ტკბილ ნეტარებით,
ცხოველის ყეფა არ შეჰფერის და არას არგებს.
შენ ჯიუტობით ადამიანს ნუ ედარები.
რასაც ადვილად ვერ მისწვდება კაცის გონება,
ხშირად დასცინის და იჯერებს გულს ბუტბუტითა.
თვით სილამაზით და სიკეთით თითქოს ღონდება.
იქნებ შენც, ძაღლო, გსურს გახვიდე ფონს ბუზღუნითა?
მაგრამ ვგრძნობ უკვე, რომ სუსტია ჩვენი სურვილი.
კმაყოფილებით და სიმშვიდით აღარ ძგერს გული
ასე სისწრაფით რისთვის დაშრა ღრმა ნაკადული
და რისთვის მტანჯავს ხელმეორედ მისი წყურვილი?
სამაგიეროდ მდიდარი ვარ გამოცდილებით

ნაკლი ადვილად შეივსება და გასწორდება;
ზე-ქვეყნიურ ნიჭს ჩვენ შევმოსავთ მეტი ღირსებით
და ღვთიურ სიტყვის გაგონება კელავ მოგვწყურდება.
არსად არა ჰკრთის მისი ძალა მთელ ქვეყანაში
ისე მშვენივრად, როგორც წმიდა ახალ აღთქმაში.
მაქვს მე სურვილი გადავშალო ღვთიური წიგნი
შეპყრობილი ვარ მისი მძლავრი, მტკიცე გავლენით.
მინდა რომ ვთარგმნო ჩემ საყვარელ გერმანულ ენით
წმიდა დედანი მთლად აღსილი დიადი სიბრძნით.

(იღებს ახალ აღთქმას და ეზადება წასაკითხად)

შიგა სწერია, რომ „პირველად იყო აქ სიტყვა".
უკვე შეჩერდი! ბუნდოვანი რამ აზრი ითქვა.
არ შემიძლიან, რომ მე დავრჩე სიტყვის ამარად,
მე უნდა ვთარგმნო ეს ადგილი ალბად სხვაგვარად.
თუ სწორედ მესმის სულის აზრი და შთაგონება.
უნდა ეწეროს, რომ „პირველად იყო გონება".
დაფიქრდი კარგა, ჩაუ ვირდი ამ პირველ სტრიქონს.
ნუ ააჩქარებ შენ ხაგ კალამს მისი თარგმნის დროს!
ნუ თუ გონებამ ყველა შექმნა, ყველას ც ასძალა?
უნდა ეწეროს, რომ „პირველად შეიქმნა ძალა".
მაგრამ, როდესაც დავაპირე ხელის მოწერა,
გულმა დამიწყო მოუსვენრად მაშინვე ძგერა.
მე მშველის სული! დახმარებას ვხედავ კელავ აქ მე
და ვწერ თამამად, რომ „პირველად იყო თვით საქმე".

თუ რომ შენ ჩემთან გინდა დარჩენა.
ფინიავ, ეხლავ შესწყვიტე ყეფა!
მოუსვენარი მეზობლის რჩენა
ჩემთვის ძალიან მძიმე იქნება.
ერთი ჩვენგანი უნდა წამოდგეს,
და ამ სარკმლიდან გარედ გაეიდეს.
ბრდილობას უმალ გადავდებ განზე
და მიგითითებ შენ ღია კარზე.
მაგრამ რას ვხედავ? რა შემართება!
ნუ თუ ყველა ეს ბუნებით ხდება?
სინამდვილეა თუ მოჩვენება?
ჩემი ფინია თითქოს იზრდება!
სულ მაღლა-მაღლა აიწევს თავსა,
ვხედავ, რომ იგი ალარ გავს ძაღლსა.
ალბად ბოროტი სულის აჩრდილი,
ბასრი კბილებით, ცეცხლის თვალებით
სახლში გამომყვა გაჩქარებითა.
ოჰ! კარგად ვიცნობ ვინცა ბრძანდებით!

ამ ჯოჯოხეთურ, უმსგავს მაშხალას
ვძლევ სოლომონის გასაღებითა.

სულები (დერეფანში)

ერთი უკვე შეუპყრიათ!
ნუღარ შეხვალთ მაშ თქვენ იქა!
ვით მელია ორთის ხაფანგში
ჯოჯოხეთის ბერი ჰინკა.
იმოძრავეთ, იტრიალეთ,
მაგრამ გმართებთ გაფრთხილება:
ალმა-დალმა იფრიალეთ
და ისიც მსწრაფლ გაფრინდება!
თუ რომ შველა შეგიძლიანთ,
ნუ აყოვნებთ, ნუღარ ელით!
თქვენც ხომ ბევრჯელ აგცდენიათ
განსაცდელი მისი შველით!

ფაუსტი

რომ ღირსეულად დაუხვდე მხეცსა
მივმართავ ოთხის შელოცვის წესსა:
სალამანდერ, დაიწვი!
უნდენე წყლად იქეცი.
სელფე. გაჰქრი. ჰაერში
კობელდ, შრომა დაიწყე!
ვინც არ იცნობს ავ სულებს,
მათ ძალას და თვისებას,
ის ვერც დაიმორჩილებს
ჯოჯოხეთის ქმნილებას.
გაჰქრი ციცხლის ალში,
სალამანდერ!
ჩაიღუპე წყალში.
უნდენე!
დაემსგავსე ცისიერს,
სილფე!
დაეხმარე მიწიერს,
ინკუბუს! ინკუბუს!
გამოდი! დააძთავრე შენ ეს საქმე დასასრულს!
ამ ოთხ სულთაგან არც ერთი სული
მხეცში არ არის ალბად ჩასული.
წყნარად ზის იგი და ლესავს კბილებს,
ჯერ კიდევ ვერ გრძნობს ალბად ტკივილებს.
ყური დამიგდე, მოვითხოვ სმენას.

გავაძლიერებ მაშ ამ ჩემს წყეველას,
ნუ თუ შენა ხარ სული ეული,
ჯოჯოხეთიდან გამოქცეული?
მაშ დაინახე შენ ეს ნიშანი,
თვით ჯოჯოხეთის ბნელი ლაშქარნი
ქედს მოიხრიან იმის წინაშე!
ძაღლს აებურძგნა შიშით ბალანი,
გახრწნილო არსებავ!
ნუ თუ შენ არ ხედავ,
ძალას ხელთუქმნელსა
და გამოუთქმელსა,
ზეცაში ასულსა
და ჯვარზე გაკრულსა?
მიიმალა ღუმელს იქით
გაიბერა სპილოსავით,
ყველა შთანთქა თავის სიცარიელით
და განირთხა ლრუბელსავით.
ნულარ ეკვრი შენ მაგ ჭერსა!
დაუჩოქე შემომქმედსა!
შენ ხუმრობა ნუ გგონია,
დაგწვავ უმალ ღვთიურ ცეცხლით!
ნულარ ელი
მესამეჯერ შობიერ სხივის გამოფენას!
ნულარ ელი
ჯადოქრობის, ძლიერების გამოჩენას!

მეფისტოფელი

(დრუბელი იფანტება და ღუმელის ეკალა კუთხედან გამოდის მეფისტოფელი სპოლასტიკოსის ტანისამოსში).

რისთვის ხმაურობთ? რა დასჭირდა ნეტავი ბატონს?

ფაუსტი

აი ფინია რისთვის ღელავდა!
მოსიარულე სჭოლასტიკოსი
გარედ გამოსვლას ვერა ბედავდა.
რა სასაცილო შემთხვევა არის!

მეფისტოფელი

ჩემი სალამი განსწავლულ ბატონს!
ოფლი მოშვერით ქვესკნელის პატრონს.

ფაუსტი

თქვენი სახელი?

მეფისტოფელი

უმნიშვნელოა ეს კითხვა მისთვის,
ვინც მუდამ ზიზღით უყურებს სიტყვებს,
გარეგნულ მხარეს გაურბის, იღტვის
და ეტანება სიცოცხლის სიღრმეს.

ფაუსტი

თქვენ არსებაზე თქვენი სახელი
ჩვეულებრივად მეტყველებს ბევრსა,
სწორედ თქვენზეა ზედ გამოჭრილი.
რომ გეძახიან ბუზების ღმერთსა,
მატყუარას და ქვეყნის დამცველსა.
კარგი. ვინა ხარ მაშ შენ ნეტავი?

მეფისტოფელი

მე ვარ ნაწილი სწორედ იმ ძალის,
ვისაც ავი სურს და კეთილს სჩადის.

ფაუსტი

რა გინდა რომ სთქვა შენ მაგ იგავით?

მეფისტოფელი

მე ვარ სული ვინც უარჰყოფს მარად!
და მაქვს ამისი სრული უფლება:
რადგან სუყველა რაც ჩნდება ქვეყნად
დაუყოვნებლივ განადგურდება.
ამიტომ სჯობდა ამაო ღელვას.
რომ არაფერი არ ყოფილიყო.
რასაც თქვენ უხმობთ სიკვდილს და ოღვევას.
სთვლით ბოროტებად და ნამდვილ ცოდოდ,
მე მიმაჩნია ჩემ საფლობელოდ.

ფაუსტი

ნაწილს ირქმევ და მთლიანად-კი წარმომიდგები?

მეფისტოფელი

ემორცხობდი, მაგრამ სიმართლეში გაბოგიტყდებით.
მხოლოდ საბრალო ადამიანს მთლად მიაჩნია
ამ სასაცილო და პატარა ქვეყნის არსება.
მე ნაწილი ვარ იმ ნაწილის, თავდაპირველად
ვინც სუყველაფერს შეიცავდა და აღავსებდა.
მე ვარ ნაწილი ბნელეთისა, შეჰქნელ სინათლის.
ამაყ სინათლის, მშობელ ღამეს რომ ეჯიბრება,
და მას სამყაროს მთლად დაპყრობას რომ ეცილება.
მაგრამ ამაოდ, ვერ მიაღწევს ის რასაც ლამობს.

მუდამ ტყვედ ქმნილი აქ ხორციელს ებღაუჭება;
სხეულით ნაშობს მას სხეული ლამაზად ამკობს,
სხეულის სახით დაბრკოლება გზაში უჩნდება.
მაგრამ მგონია, რომ ეს დიდხანს ასე არ გასტანს
და მასთან ერთად ყველა ჩავა უეცრივ საფლავს.

ფაუსტი

ეხლა კი ვხედავ შენ ღირსეულ დანიშნულებას!
შენ ვერ შესძელი დიად განძის განადგურება,
და ამიტომაც მცირე საგნებს მიჰკავი ხელი.

მეფისტოფელი

და მის მიღწევაც მე ვერ შევძელი.
ბევრჯელ მინდოდა, რომ დამეძლია
რაობა უხეშ, დავრდომილ ქვეყნის.
არარაობას მუდამ რომ ებრძკის,
მაგრამ სამყარო ისევ ერცელია,
ქვეყანა ისევ მშვიდად ტრიალებს,
ცეცხლი და წყალი მას ვერას აკლებს.
ცხოველთ და კაცთა წყეული ჯიში
ველარ მოისპო, ვერ გაწყდა მთელად.
ბევრი დაემარხე მე შავს მიწაში!
მაგრამ ხელ-ახლად სისხლი სჩქეფს ველად.
ლანის სიბრაზით ვანთხიო გესლი:
დედამიწაში, ჰაერში, წყალში,
ციე ადგილს, თბილსა, მშრალზე და ნამში
გაბნეულია სიცოცხლის თესლი!
და რომ არ მქონდეს მე ცეცხლის ალი,
დამეხშობოდა ცხოვრების კვალი.

ფაუსტი

მაშ, მუდმივ მოძრავ, შეშოშქმედ ძალას
უპირდაპირებ ეშმაკის ციე მუშტს!
ამაოდ ეტრფი ცბიერ განზრახვას,
ტყუილ-უბრალოდ იშფოთებ შენ გულს!
ბნელი ქაოსის უცხო ქმნილებავ!
გიჩვენ დაიწყო სულ სხვა ხელობა.

მეფისტოფელი

უფრო გულდასმით და ზედმიწევნით
გეექნება შემდეგ მაზე მსჯელობა!
არ შეიძლება გაგშორდეთ ეხლავე?

ფაუსტი

მე აღარ მესმის თუ რისთვის ღელავ.
ხომ გავეცანით ერთმანეთს კარგად.
თუ მოისურვებ კვლავ მოხვალ მარდად.
აი ფანჯარა, აგერ იქ კარი!
აგერ საკვამლე რა ახლო არი!

მეფისტოფელი.

უნდა გამოვტყდე, ვერ გავალ კარში.
წინ მელობს ბა ბცირე ნიშანი,
დრუდეს ფეხია შიგ გასავალში.

ფაუსტი

სჩანს პენტოგრამმა გაწუხებს ალბად?
ქვესკნელის შვილო, ამიხსენ კარგად,
როგორ შემოხველ თუ ხარ შეკრული?
ან ვით მოსტყუვდი ბოროტი სული?

მეფისტოფელი

კარგად გასინჯე ეგ ხუთ-კუთხედი
ვერ არის სწორედ გამოხატული,
ოდნავ ღიაა ერთი კუთხედი.

ფაუსტი

აი შემთხვევამ რა რიგ დაგცინა!
მაშ ჩემი ტყვე ხარ და გაქცს აქ ბინა?
ვაჩარხულია აწ თითქმის საქმე!

მეფისტოფელი

ვერ შეამჩნია ფინიამ საფრთხე:
ეხლა-კი საქმე თავდება მწარედ
და ველარ გავა ეშმაკი გარედ.

ფაუსტი

რატომ არ გახვალ შენ მაინც ფანჯრით?

მეფისტოფელი

ასეთი არის ეშმაკთა და აჩრდილთა წესი.
როგორც მოსულხართ, წასვლაც უნდა იმავე გზებით.
ჯერ თავს ვგრძნობთ ლაღად, და შემდეგ კი მონებად ვხდებით.

ფაუსტი

მაშ ჯოჯოხეთსაც ჰქონებია თავის უფლება?
ძალი.ნ კარგი! ეხლა უკვე აშკარად ვხედავ.
რომ თქვენთან მალე მოხერხდება ხელშეკრულება?

მეფისტოფელი

და დანაპირებს მიიღებ სრულად,
არ გამოგრჩები არაფერს მტრულად.
მაინც შენ უცბად მას ვერ მიხვდები,
კვლავ ვიბაასოთ უფრო ხანგრძლივად.
ახლა-კი მე აქ ველარ დაგრჩები,
გემუდარებით, გთხოვთ, რომ გამიშვათ.

ფაუსტი.

მაშ დარჩი კიდევ აქ ერთი წამი
და გამაგონე კარგი ამბავი.

მეფისტოფელი.

ეხლა გამიშვი! კვლავ მოვალ მალე
და მაშინ მკითხე კარგი და ავი

ფაუსტი

მე არ გამიბამს შენთვის აქ ქსელი,
შენ თვითონ მოჰკე შემოხვევით მახეს.
ვინც ეშმაკს იპყრობს, ჩასჭიდოს ხელი!
ველარ იხილავს კვლავ იმის სახეს.

მეფისტოფელი

თუ კი ასე გსურს, მაშ აქ მოვიცდი,
სიამოვნებით დავრჩები შენთან,
იმ პირობით-კი, რომ არ მოიწყენ
და გაერთობი სიმღერით ჩემთან.

ფაუსტი

სიამოვნებით დავიწყებ ლხენას,
თუ ხელოვნებით დამიტკბობ სმენას!

მეფისტოფელი

ჩემო ძმობილო, ამ ერთ საათში
უფრო მეტს იგრძნობ სიამოვნებას,
ვიდრე მთელი წლის მარტოობაში.
ნაზი სულების ტკბილი სიმღერა,
მათ მიერ ქმნილი ტურფა ხატება
სულს არ წააგავს უბრალო ლხენას.
აქ შენი ყნოსვა უმალ დასტკბება,
დასტკბება უმალ თვით გემოვნება
და მიეცემი მსწრაფლ აღმაფრენას.
ჩვენ სამზადისით თავს არ მოვაწყენთ,
ყველა აქა ვართ, აბა დაიწყეთ!

ხ უ ლ ე ბ ი

გაჰქრი, წყვდიადო,
ზეცის თაღებში!
გამოიარე
უფსკრულ ღამეში
ცისფერ-თვალება
ნაზო ეთერო!
გაიფანტენით
შავო ღრუბელნო!
და აღმობრწყინდით
ვარსკვლავნო, მზენო,
სხივ-მოელვარე,
მონარნარენო.
თქვენ, ზეცის შვილნო,
სიტურფით ქმნილნო,
დაიწყეთ ირგვლივ
მსუბუქი ფრენა,
ვნებავ აშლილო,
დაიცხრე ღელვა.
და სამოსელო
ნაზად გაშლილო,
გადაეფარე
ველებს და ბაღებს,
სადაც მიჯნურნი
ღრმა ჩაფიქრებით
მიეცემიან
იდუმალ ზრახვებს.
ამწვანდი ვაზო,
და გაიხარე!
მძიმე მტევნებო
ძირს დაიხარეთ!
და საწნახელში
მსწრაფლ ჩაიყარეთ.
ღვინოვ მჩქეფარე.
დაიწყე ღელვა,
ბროლის ლალებით
გასტყორცნე ელვა!
აღიმართენით
მაღალნო მთანო,
გაერცელდით ზღვამდის
ველნო და ბარნო!
ნაზი სიმწვანით
დასტკბით მუნ თვალნო.
და თქვენ ფრინველნო,
ოცნებით მთვრალნო,
გაფრინდით მზისკენ,
გაფრინდით ნათელ
კუნძულებისკენ,
რომ მოძრაობენ
ტალღების ზევით,
სადაც გუნდ-გუნდად
ეცეკვავთ ჩვენ ლხენით,
დაჯჰქრით ველებზე
ლაღად და შეებით.
რიგი მიხოხავს
კლდეებზე მთაში,
რიგი მიცურავს
შიგ შუა ზღვაში,
რიგიც მიფრინავს
სულ მაღლა ცაში,
და ყველა ეტრფის
მუდმივ სიცოცხლეს,
შორეულ არეს,
მხიბლავ ვარსკვლავებს,
ბედნიერ მხარეს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

სძინავს! რა მარჯვედ იმოქმედეთ ჰაერის შვილნო!
რა რიგ მოხიბლეთ მშვენიერი, ტურფა ჰანგებით!
ამ კონცერტისთვის მოვალედ ვთვლი თავს თქვენს წინაშე.
შენ ჯერ არ ძალგიძს გაღვიძლავდე ეშმაკს გაბედვით!
თავბრუ დაასხით თქვენ მას ტკბილი სიზმრის ლანდებით
და გადასტყორცნეთ ფუჭ ოცნების მღელვარე ზღვაში!

მაგრამ მე მაინც ვსაჭიროებ ვირთაგვას კბილებს,
რათა წავშალო ჯადოქრობის ნიშანი გზაში.
არ გავაგრძელებ მე აქ დიდხანს შელოცვის სიტყვებს,
უკვე ფუსფუსებს ერთი ახლოს და ყურსაც მიგდებს.
მე, ვით ბატონი თაგვთ და რწყილების
ბაღლინჯო-ბაყაყ-ბუზებ-ტილების,
გიბრძანებ უმალ გადაღრღნა კარი,
სადაც იქ ჭონი წასმული არი.
უკვე გამოხტი? შეუდექ საქმეს!
განაპირას ძევს ჯადოს ისარი,
კარში გასვლის რომ ნებას არ მაძლევს.
ნუღარ აყოვნებ! მოჰკიდე კბილი!
ფაუსტ, ნახვამდის! განაგრძე ძილი!

ფაუსტი (იღვიძებს)

ნუ თუ მოვტყუვდი კვლავ ჩემდა ჰირად
და გაჰქრა დიად ოცნების კვალი?
ნუ თუ ეშმაკი ვნახე მე სიზმრად
და დაიკარგა ფინია ძაღლი?

(შემდეგი იქნება)

თარგმანი გერმანულით,

იბერიელი.

სოფოკლე

ანტიგონე

დრამა

მოქმედნი პირნი:

კრეონი, მეფე თებასი.
ევრიდიკე, მისი ცოლი.
ჰემონი, მათი ვაჟი.
ანტიგონე, დისწული კრეონისა და ჰემონის საცოლო.
ისმენე, მისი და.
ტირესია, ბრმა მოხუცი, მისანი.
დარაჯა.
მსახური კრეონისა.
ხორო, თებელნი მოხუცნი.
მცველნი და მსახურნი კრეონისა.
მხევალნი ევრიდიკესი.

პრელუდია.

(სცენა წარმოადგენს მოედანს კრეონის სასახლეს წინ თებას ციხე-დარბაზში. სასახლეს სამი კარი აქვს: ერთი შუაზედ, ორად-მისახურავი, და ორიც გვერდისა; სამიეე კარი დაკეტილია. განთიადია.

მარჯვნივ გამოჩნდება ანტიგონე ძაძამოსილი, ხელში პატარა სურა უჭირავს, მარჯვენა გვერდის კარს უახლოვდება და აკაკუნებს, მერე ჩუმად ელაპარაკება კაკუნით გამოხმობილ მოახლეს. მოახლე გადის. ანტიგონე უკუდგება შუა სცენაზედ. იმავ მარჯვენა გვერდის კარით გამოჩნდება ისმენე. ანტიგონე მისკენ გაეშურება).

ანტიგონე.

დაო ისმენე, ჩემო სისხლ-ხორცო,
ნუ თუ ვერ ჰხედავ ოდიპოსისა
ცოდვა-ბრალისთვის, ვიდრე ცოცხალვართ,
შურისგებითა ვით გვდევნის ზევსი?
ჰირი, სირცხვილი, უპატიობა—
რა არ გვინახავს შავს დღეში მყოფთა!
და ეხლა კიდევ—არ გაგიგია?—
თუ რა ბრძანებას უცხადებს ყველას
მხედართმთავარი, თუ რა სიაეს
მოყვასთა ჩვენთა უმზადებს მტერი?..

ისმენე.

არა, მას შემდგომ, ჩვენ რომ ორივემ
დავჰკარგეთ, დაო, ორივ ჩვენი ძმა,
ერთურთის მიერ ერთს დღეს მოკლული,
და არგოსელთ სპა გაიქცა ღამით,
არცა საამო, არც სამწუხარო
მსმენია მათი და არც ის ვუწყი,
შვებას თუ ვარამს მიმზადებს ბედი.

ანტიგონე.

ვიცი და მისთვის გიხმე სასახლით,
რათა თავისწინ გიამბო ყველა.

ისმენე.

რა ამბავია? ეგრე რად ჰღელავ?..

ანტიგონე.

ვით არ ავღელდე, ოდეს კრეონმა
ერთს ძმას მიაგო დიდი პატივი
და მეორეს კი უპატიობა,
ადათისამებრ და საფერისად,
უბნობენ, დაჰფლა მან ეტეოკლე
და ღირსეული ქვესკნელსა შინა
მისცა სავანე. და პოლინიკეს,
აგბედათ მოკლულს, არც დატირება,

არგუნა, არცა დამარხვა,—ბრძანა
დაუტირალი დააგდონ გვამი,
ვით სანუკვარი დავლა ფრინველთა.
სათნო კრეონი გვიბრძანებს ამას
მე და შენ,—ვამბობ, მეც მეთქი,—და თვით
აქ ამცნობს ყველას, ვინც ჯერ არ იცის.
ის არც უბრალოდ ჰრაცხს ამ ბრძანებას—
ურჩს ქვით ჩაქოლვა ელის საქვეყნოდ.
ეს ამბავია. და ეხლა ენახავ,
კეთილშობილის დედმამის შვილი
პატიოსანი ხარ თუ უგვანი.

ისმენე.

ბედკრულო, თუ კი ეგრეა საქმე,
რით დაგეხმარო ან დაგიშალო?

ანტიგონე.

აბა, იფიქრე, თუ შემეწევი.

ისმენე.

საშიშს აპირებ! რა გაგიზრახავს?

ანტიგონე.

დაეხმარები დაფლათ ძმის გვამი?

ისმენე.

როგორ თუ დავფლათ? მერე ბრძანება?

ანტიგონე.

შენსა და ჩემს ძმას უშენოდ დავფლავ
და აღვასრულებ ჩვენს საერთო ვალს.

ისმენე.

თავხედო, კრეონს გინდა ეურჩო?

ანტიგონე.

ის ვერ დამიშლის ვალის სრულყოფას.

ისმენე.

დაო, იფიქრე, ვით საძრახისად
და უპატიოდ აღმოხდა სული
ნამას, თვითვე რო ცოდვანი თვისნი
ცხადჰყო და ორივე დაიმსო თავი.
შემდგომ მის დედამ და ცოლმა თანად

ვით ჩამოირჩო სასირცხვოდ თავი.
მერე ორმა ძმამ მოჰკლა ურთერთი
და განიმზადა სვე ერთნაირი.
ეხლა ურჩობით ჩვენ რო გავჭელოთ
ბრძანება მეფის და ნებისყოფა,
უფრო საძრახად დავიღუპებით.
დედაკაცთ, აბა, ვით ძალგვიძს ბრძოლა?
ძლიერთ ხელქვეშ მყოფთა გვმართებს მონება,
შევევედრები ქვესკნელის ღმერთებს
შემინდონ ცოდვა: ხელისუფალთა
ვემორჩილები იძულებითა.
უგნურებაა თავს იდვა საქმე,
ძალს და ღონეს რომ აღემატება,

ანტიგონე.

(უკუდგება, ციებად და ამაყად)

არც გატან ძალას! და თუმც ისურვო,
შენი შეწევნა აღარ მაამებს.
როგორც გენებოს! მე კი დავმარხავ.
ასეთ საქმისთვის შვებით მოვკვდები
და განვისვენებ ღმერთების სათნო
ძვირისმოქმედი საყვარელს ძმასთან
და საყვარელი. მე მირჩევნია
ქვესკნელის სათნოყოფა ღმერთების,
სად სავანეა სამარადისო,
ვიდრე უფალთა ამ ქვეყნისათა,
შენ კი, თუ გნებავს, დაჰგმე ღვთის მცნება.

ისმენე.

მე მცნებას არ ვჰმობ, მე ხალხს ვმორჩილობ.

ანტიგონე,

იმართლე თავი! მე კი მივდივარ
და განვუმზადებ ძვირფას ძმას საფლავს.

(წასვლას აპირებს. ისმენე გადაეღობება)

ისმენე.

ვაიმე ბედკრულს, მე ვშიშობ შენთვის.

ანტიგონე.

ჩემთვის ნუ, გიჯობს შენთვის იზრუნო.

ისმენე.

არსად წამოგცდეს, გულთ დაიმარხოთ
ეს საიდუმლო.

ანტიგონე.

ო, გამამეღავნე,
აცნობე ყველას. შენის დუმილით
მხოლოდ სიძულვილს გამიძლიერებ.

ისმენე.

(შეურაცხყოფილი დააშტერდება დას და უკუდგება ზარდაცემული)
შენ გული კიდეც გეგზნება ცეცხლით!

ანტიგონე.

ვაამებ, ვისიც ფრიად მსურს თნება.

ისმენე.

ძალა არ შეგწევს. ფუჭია სწრაფვა.

ანტიგონე.

დე, თუ ვერ შეეძელ, თავს მივანებებ.

ისმენე.

ნუ გაგიტაცებს უქმი ოცნება.

ანტიგონე.

თუ კვლავ განაგრძე, სამართლიანად
მეც შემძულდები, განსვენებულსაც.
დამტოვე მარტო ჩემის ოცნებით,
ავიტან სასჯელს, მაგრამ ვერ დავთმობ
ამცდეს სიკვდილი სახელოვანი.

(გადის)

ისმენე.

(მინაელის მიმართ)
მშვიდობით, წადი. ხვალ თუმცა ხელი,
საყვარელი ხარ შენიანთათვის.

(დაღვრემილი იმავე გვერდის კარით ბრუნდება სასახლეში. სცენა ცალიერია. თენდება).

გამოსვლა (პაროდოსი)

(ქალაქის მხრით მოედანს უახლოვდება თხუთმეტი მოხუცი—თებელი დარბაისელი. ამავე დროს ამომავალი მზის პირველი სხივები გაანათებენ სასახლეს. მუსიკა სტროფებისა სალირიკოა, სიმებისა კი—სამარშო, მაგრამ საერთოდ საზეიმო და საზადიკო.

მოხუცნი შუაზედ შესდგებიან, ზეცად ხელ-აღპყრობილნი კრძალვით მიესალმებიან ამომავალ მზეს და ჰგალობენ).

ხ ო რ ო.

სტრ. I

ო, სხივო მზისა, შვიდბჭე თებაში ეგრე მშვენივრად
უწინ არასდროს გაბრწყინვებულხარ!
ძლივს-ღა გიხილეთ, თვალია ჩინო ბედნიერის დღის
დირკას მდინარის წიაღსა ზედა შუქმოიფე
რომ აღმობრწყინდი და მყის განჰფანტე უკუქცეული
თეთრ-ფაროსანი არგო ელთ ჯარი გზა დაბნეული.

სისტ. I

შუღლით და მტრობით აღტყინებულმა
ის ჩვენს ქვეყანას შემოუსია
პოლინიკემ და მძაფრის განგაშით
სარაღუჯმკული ზეჩით, ჩაჯხუტით
თავით ფეხამდის საჭურველ-სხმულმა
ფრთა-თეთრმა ორბმა ლიელივით
დაჰქროლა ქალაქს.

ანტისტრ. I

შესდგა ბანისა ნივნივსა ზედა და შვიდ ბჭე ქალაქს
სისხლისმსმელ შუბეას უერენდა ყოველგნით,
გარნა იოტა მცისვე, საწამ ჩვეის სისხლითა
პირს აივსებდა და ბურჯთა ციხისა ალი
კერეონთ გადაჰბუგავდა. და ზურგით კერძო გაისმა ხათჭი—
გველეშაპისა ეს უძლეველი კვეთება იყო.

ანტისის. I

სძაკს მცველთაროზა ენა-ჭარტალი
ზევს სამართლიანს და რომ იხილა,
თუ ვით მოჰქროდნენ მთისა ნაკადად
ზვავნი ოქრომკულ აბჯრის ჩხარუნით,
განმება ელვით ვინც კედლის თხემზედ
უკვე მზად იყო, ხმა განეფინა
გამარჯვებისა.

სტრ. II

ცეცხლისმფრქვეველი მიწასა ეშყევეტა ძალუმ
და ზანზარი ჰყო, გაშმაგებული კვეთებით
ცოფს რომ ანთხევდა
და ბორგნეული ბურჯთ აწყდებოდა.
ამბავი მოჰხდა ეს სხვაფრივ,
სხვათ კი სხვაგვარი არგუნა ბედი დიდმა არეამ
კეთილმოწყალემ.

სისტ. II

შვიდთა სარდალთა შვიდ ბჭეთა წინა
დამწკრივებულთა თანსწორ რაზმებით
ერთურთის მოლმა დაუგდეს ზევსსა
გარემიმქცევსა სპილენძის ხარკი
ორს ბედშავს გარდა, ერთის სისხლ-ხორცის,
ძლევამოსილთა შუბთა ძგერებით
რომ ერთნაირი ირგუნე', ხვედრი.

ანტისტრ. II

მაგრამ ჰა ღირსადქებული ღმერთი გამარჯვებისა
თებას, საომარ ეტლებით განთქმულს, ეწვია ღიმით.
მაშ, დავივიწყოთ ომ-მოხდილთ
ბრძოლა და მოველოთ ფერხულით
ღმერთების ყველა ტაძარი
და დე ბახუსმა, დედამიწისა შემძვრელმა როკვით,
ჩვენ გვიწინამძღვროს.

(სასახლის შუა კარი იღება. შემოდის კრეონ. ამალად ორი ქეშიკი ახლავს. ხოროო მწკრივდება სასახლეს წინ და ელის მეუფის ბრძანებას)

ანტისისტ. II

აჰა, აგერა გამოჩნდა კრეონ
მენოიკეს ძე, ღმერთთა განგებით,
ცვალებად ბედის ბრუნვისა ჯამო
ანაზდეულად გამეფებული!
რა უდევს გულში! რისთვის საქვეყნოდ
გასცა ბრძანება
და საგანგებოდ აქ გვიხმო ბჭობად?

მოქმედება პირველი

სცენა პირველი

(შემოდის კრეონ მხედართ-მთავრის შესამოსელით და ამალის თანხლებით. მის სახეზედ ტანჯვაა აღბეჭდილი. გაუსწორდება რა სასახლეს, უტყვის სამაღლობელის ლოცვით მიესალმება ღმერთებს და შემდგომ მიჰმართავს უხუცესთ).

კრეონ

მოქალაქენო, ღმერთთა ინებეს
დიდის შფოთითა სამეფოისა
ჩვენის შერყევა და კვლავ აღდგენა.

(მოკლე პაუზა. სცდილობს თავი წაართვას ნაღვლიანს ფიქრებს).

გზირთ პირით ცალკე აქ მოგიწოდეთ,
რადგანაც ვიცი—ლაიოსის ტახტს
და მეუფებას პატივსა სცემდით
და როს დაემხო ოჯდიპოს—მხსნელი,
თქვენ იმათ შვილებს კვლავ ერთგულებდით.
აწ, ოდეს ძმები საძრახის შუღლით
ეკვეთნენ ურთერთს და თვით ირგუნეს
სირცხვილეულთა მრჩობლი სიკვდილი,—
ტახტი მე მიპყრავს, ხელისუფლებაც,
ვით დაღუპულთა ახლო ნათესავს.
ძნელია მიჰხვდე კაცის ზნეობას,
სულსა და აზრსა, ვიდრე არ იჩენს
თავს, ვით მმართველი და სჯულმდებელი.
მე კი, უნდა ვსთქვა, ვფიქრობ ცუდია
იგი მმართველი, ვინც არ უგონებს
წარჩინებულთა ვაზირთა რჩევას
და შიშნეული კბილს აჭერს ენას,
ხოლო ვინც მამულს სცვლის მეგობარზედ,
უარესია, არარა არის.
მე, იცის ზევსმა გულთამხილველმა,
ვერ გაეჩუმდები, ოდეს დაღუპვა
მოელის მამულს, და ვერც ვიწამებ
მოყვრად მამულის მტერს, რადგან ვიცი,
რომ სამშობლოა ხსნა ერთად-ერთი—
თუ მისი ნავი სწორედ მისცურავს,
ჩვენც მეგობრებსა მრავლად შევიძენთ.
ასეთის წესით აღვადგენ ქალაქს.
აწ სათანადო გავეც ბრძანება
ოჯდიპოსისა შესახებ ძეთა:
ეტეოკლესა, მამულისთვის რო
გასწირა თავი და მოჰკვდა გმირად,
ჰხამს აღვუსურვლოთ ყოველი წესი,
ვით ეკადრების ჩინებულთ გვამთა.
და პოლინიკე—იმის ღვიძლი ძმა—
ლტოლვილი რო კვლავ დაბრუნდა ქალაქს
და მოინდომა ჩვენის მამულის,

ღმერთების ქანდაკთ ცეცხლით შემუსვრა,
ძმათ სისხლის დაღვრა, სხვათ დამონება,—
ვბრძანე არ იქმნეს წმინდა წესისმებრ
დასაფლავებულ—დატირებული...
დე, ეგდოს ღეში დაუმარხავი
ძაღლთა და ფრინველთ ლუკმად საზარი.
ეს არის ჩემი გულის პასუხი.
ძვირისმომქმედსა ვერ ვჰსცემ მეტს პატივს,
გარნა ვინც მამულს მუდამ ერთგულობს,
იხვეჭს დიდებას სიკვდილ-სიცოცხლით.

(პაუზა. მოხუცნი ურთიერთს შორის ვაზიროობენ, ეტყობათ, რომ შეშინებულნი და შეწუხებულნი არიან. რიგს ხელები ზეცად აღუპყრია, თითქო ღმერთებს იმოწმებსო; რიგი სცდილობს შეურიგებელნი დაიყოლიოს. თანდათან კრეონის მომხრენი იმარჯვებენ).

პირველი მოხუცი

იყოს, ჰე კრეონ, მენოიკეს ძევ,
ეგ შენი ნება მამულის მტრისა
და მოყვრისათვის. მკვდრისა თუ ცოცხლის
შენთა ხელთ არის წესის დადება.

კრეონ

(გულძვირად უცქერდა მოხუცთა ყოყმანს)
ვინძლო დაიცვათ თქვენი ნათქვამი.

პირველი მოხუცი

უმჯობესია უმცროსთ უბრძანო.

კრეონ

გვამს მცველნი უკვე მიჩენილნი ჰყავს.

პირველი მოხუცი

მაშ, სხვა რა გნებავს? ჩვენ რას გვიბრძანებ?

კრეონ

კანონის ურჩნი უნდა ალაგმოთ.

პირველი მოხუცი

ვინ არის გიჟი სიკვდილს ჰნატრობდეს!

კრეონ

დიაღ, სიკვდილი! მაგრამ კაცს ჰღუპავს
ხშირად იმედი ანგარებითი.

სცენა მეოთხე

(მინდვრის მხრით სცენაზე გაუბედავად და კრძალვით შემოდის გლეხი, რო-გორც შემდეგ აღმოჩნდება, პოლინიკეს გვამის დარაჯა. კრეონს მძიმედ თავს უკრავს, ჩერდება და კეფას იფხანს. კრეონის უსიტყვო შეკითხვაზე იწყებს ამბის თხრობას ვითამც თამამად და სცდილობს შიში არ შეიჩნიოს).

დარაჯა

მეფევ, ვერ ვიტყვი, რო ფეხმალიად
მოვრბოდი აქეთ სულ-დაუღებლად.
არა, რამდენჯერ შევდექი გზაში
და შიშით უკან ვიცქირებოდი...
გული მიგრძნობდა და ხან მითქმიდა:
საით მიდიხარ, შე უბედურო,
იქ ხო სასჯელი გელოდებაო.
ხან კი: თავხედო, რად იგვიანებ?
კრეონს ამბავი რო სხვამ აუწყოს,
დაისჯებიო!—ამ ფიქრში ვიყავ,
გზა გამიგრძელდა, ძლივს მოვატანე.
ბოლოს ვარჩიე გხლებოდი და თუმც
ბევრს ვერას გეტყვი, გეტყვი მაინცა
და დე გადამხდეს, რაც მიწერია.

კრეონ

(გამამხნევებელის ღიმილით)
რა მოხდა? ეგრე რამ შეგაშინა?

დარაჯა

ჯერ ჩემი გითხრა: მე არ მიქნია,
არც ვიცი, ვინ ჰქნა და რო დამსაჯო
ალალ-მართალი, სამართალია?

კრეონ

ოსტატურად რო მართლულობ თავსა,
ალბათ მაუწყებ ახალსა რასმე.

დარაჯა

გამბედაობა წამერთვა შიშით.

კრეონ

ბარემ სთქვი, მორჩი და გაეთრიე.

დარაჯი

(სასოწარკვეთილის გამბედაობით)

აკი გიამბობ. ეს არის ვისღაც
დაუფლავს გვანი წმინდა წესთამებრ
და წაუყრია ზედ მშრალი ქვიშა.

კრეონ (აინთება)

რაო? რას ამბობ? ვინ გაჰბედავდა?

დარაჯი

რა ვიცი. კვალი იქ არ სჩანს ბარის,
არც წერაქვისა; მიწა მყარია,
გლუვი, უთხრელი და ურმის თვლებით
დაუტკეპნელი, კვალი კი არ სჩანს.
პირველ მორიგემ რომ ეს გვაცნობა,
ყველა შეგვზარა ამ სასწაულმა.
ცხედარი გაჰქრა, მოსულა ვიღაც
და წაუყრია დახსნად ცოდვისა
ზედ მხოლოდ მიწა და გაქცეულა.
და არც ნადირის იქ სჩანს ნავალი,
არცა ძაღლისა. აგვიტყდა ლანძღვა,
ბრალს ვსდებთ ერთმანერთს და გავაჩაღეთ
კინაღამ კრივი—ვინ დაგვიშლიდა?
ყველას გვაქვს ბრალი და ყველა ჰფიცავს,
რომ ამ საქმისა არა იცის რა.
ვუხმობთ ღმერთებსა, მზად ვართ ცხადყოფად
უბრალოების ცეცხლით და შანთით,
რომ ამ საქმეში არც მოქმედებით
და არც განზრახვით გვიდევს რამ წილი.
ვერაფერს გავხდით. ბოლოს დაიწყო
ერთმა და შიშით ყველას თავები
ჩაგვაქინდვრინა: ვერც შევესიტყვეთ
და ვერც ვიპოვეთ გზა უკეთესი.
იგი გვირჩევდა დაუფარავად
სუყველაფერი გვეამბნა შენთვის.
სიტყვა ჰკუაში დაუჯდა ყველას
და ეს საამო ხვედრი მე მერგო.
აი, მოვედი, თუმც ვერ გაამეთ—
ვის იამება ცუდის მთხრობელი!

(კრეონმა მთელი ამბავი ცხვირპირ-ჩამოშვებულმა მოისმინა მდუმარედ და ეხლა სდგას დაღრეჯილი და თავდახრილი. მოხუცნი ცხარედ ეჩურჩულებიან

ერთმანერთს. ვინც წინაპირველად კრეონის ბრძანების უკმაყოფილო იყო, ეხლა გაორკეცებულის უდიერებით ეკრტიმლება პირველს მოხუცს, რომელიც ბოლოს მიჰმართავს კრეონს).

პირველი მოხუცი.

270. მეფევ ჰკუაში ერთი რამ მომდის:
ღმერთებს არ ედვასთ საქმეში წილი.

კრეონ.

(ერთბაშად თავს აიღებს)

დაჩუმდი, ვიდრე განმარისხებდე.
უგბილმეტყველებ, თუმც ხარ ბჩკოვანი.
რაებს მიჰქარავ? თუ მართლა ჰგონებ
275. მაგ გვამისათვის ჰზრუნავენ ღმერთნი?
განა დაფლავდნენ ღირსის პატივით,
ვით ქველმოქმედსა, ვინც თავს დაგვესხა
მშვენიერ-შენთა ტაძართ დამხობად,
კანონთ დათრგუნვად და საღვთო ძღვენთა?
280. განა უკეთურთ ჰფარავენ ღმერთები?
არა!

(ხმის ამაღლებით, მისჩერებია უკმაყოფილოებს)

დრტვინავენ დიდი ხანია
მოქალაქენი, მგმობენ იდუმალ
თავის კანტურით და ვით შემფერის
ქედს არ იხრიან ხელმწიფებისა
285. ჩემის უღელ ქვეშ. იმათ დაჰქრთამეს

(დარაჯას მიმართ)

მიზდით ესენიც და წეაცდინეს.
ვერცხლის ბრალია! ის არის წყარო
ბოროტებისა. ის ანგრევს ქალაქთ,
იგი მამაკაცთ ექსორია-ჰყოფს,
290. იგი ჰრყვნის მოკვდავთ კეთილთა ზნეთა
და გულთ უნე-გავს სარცხვინო ზრახვათ,
ძმაცვა—მზაკვრობას და უღვთოებას.
მაგრამ დადგა დრო და დაისჯება
სამართლიანად ვერცხლის მოყვარე.

(დარაჯას)

295. იცოდე, თუ კვლავ მაქვს ზევ!ის რიდი,
ვაცხადებ ფიცით, თუ დამნაშავე
თქვენ არ იპოვეთ და არ მომგვარეთ

თვალწინ, გაკმარებთ, გგონია, სიკვდილს?
ცოცხლივ დაგკიდებთ, ვიდრე თავხედსა
არ აღმოაჩენთ, რათა უწყოდეთ,
თუ სად ჯერ არს ეძიოთ სარფა,
ჭურდვას გარჩევით განაგრძობდეთ და
ყოველ საქმეში არ ანგარობდეთ.
განა ვერ ხედავ, ხშირად ხსნისა წილ
ბინძური ქრთამი ჰლუპავს მრავალსა.

დარაჯა.

ვსთქვა კიდევ რამე, თუ სჯობს მოვკურცხლო?

კრეონ.

ნუ თუ ვერ ჰხედავ, რო თავს მაბეზრებ?

დარაჯა.

სმენას გიშხამავ, თუ გულს გიღონებ?

კრეონ.

კითხვასაც ჰბედავ, თუ რა მაღონებს!..

დარაჯა.

ძვირისმოქმედმა მოგიწყლა გული
და მე ყურთსმენა.

კრეონ.

ყბედი ყოფილხარ!

დარაჯა.

მაგრამ ამ საქმის არ ვარ მოქმედი.

კრეონ.

შენ ხარ და სულიც ვერცხლად გაჰყიდე.

დარაჯა.

ვაიმე! იქვი, ტყუილი იქვი
საშინელია!

კრეონ.

იყბედე ეგრე,
მაგრამ უკეთუ აქ არ მომგვარეთ
თქვენ დამნაშავე, ნახავთ რა ხიფათს
შეგამთხვევსთ ბილწი ანგაარება.

(მიდის სასახლისაკენ. მის მიახლოვებისას შუა კარი გაიღება. ზღურბლზედ გამოჩნდება დაღვრემილი დედოფალი ევრიდიკე, მას ახლავს ფერმკრთალი და ძლიერ აღელვებული ისმენე. კრეონი ცოლს სალამს აძლევს, მერე უნდა მიეალერსოს ისმენეს, მაგრამ შეცბუნებული მის ყოფაქცევით უნებლიეთ გაეცლება. კარი დაიხურება).

დარაჯა.

(კრეონის მრისხანე სიტყვებს შემდეგ უძრავად იდგა, თითქო გაშეშებულაო; ეხლა, როდესაც კრეონი კარს შიეფარა, თითქო გონს მოვიდა და ეუბნება წასულს).

ნეტამც მოგგვრიდეთ! თუ გვწყალობს ბედი,
მივაგნებთ მის კვალს, მაგრამ, იცოდე,
მე ვეღარ მნახავ. ეხლაც თავმთელი
რო მოვრჩი საფრხეს, ღმერთებს ვუმადლი.
(საჩქაროდ გადის).

პირველი სტასიმონი.

ხორო.

სტრ. I
ბევრი რამ არის ძლიერი ქვეყნად, მაგრამ კაცისა
არაფერია უძლიერესი. საშინელ ქარში
იგი მისცურავს თეთრ-ფაფარ ზღვაში და აპობს ტალღებს.
პატიოსანსა ღმერთთ შორის გვას,
მარად უხრწნელსა და ულეველსა,
ჰღალავს, წლით-წლამდე ცხენ-შებმულ გუთნით
უღადრავს მიწას გულმკერდსა.

ანტისტრ. I
ბრძენია იგი, მსუბუქფრთა ფრინველთ გუნდებს აკანათს
უგებს და იჭერს ხაფანგ-ისხერტით მხეცებსა ტყისას
და იმორჩილებს და გონიერსა ზღვითგან ამოჰყავს
სათხევლით თევზი. ის ოსტატურად
მთისა და მინდვრის აცხრობს ნადირთა
და უხედარსა კუროს გარეულს
და სქელფაფარ ცხენს ადგამს უღელსა.

სტრ. II
მან სრულჰყო ნიჭი სიტყვისა,
განავითარა მახვილი,
ვით ელვა, გულისხმა და გონება
და საზოგადო ცხოვრების ზნენი.

მან მოახერხა თავის დაფარვა
მძაფრის ყინვის და ჭარიშხალისგან.
იგი უმწეო არას დროს არის,
მხოლოდ არ ძალუძს სიკვდილს გაექცეს,
თუმცა იპოვა მძიმე სენთა საკურნებელი.

ანტისტრ. II
ასეთის სიბრძნით შემკული,
ხელოვანი და ოსტატი
ხან კეთილს საქმეს, ხან ბოროტობას ემსახურება
და არღვევს ქვეყნის კანონთა
და ღმერთთა წმინდა სამართალს.
მეფეც რომ იყოს, ულირსი არის,
ვისაც ზნედა აქვს უსჯულოება.
მას ვერც კერასთან დავუთმობ ადგილს
და ვერც ვიგულვებ თანამზრახველად.

მოქმედება მეორე.

სცენა პირველი.

(მინდვრის მხრით შემოდიან დარაჯა და ანტიგონე. უკანასკნელი მოდის მშვიდათ, თუმცა თავი დახრილი აქვს. დარაჯას ეყოფა, რომ მასში ორი გრძნობა იბრძვის: პატივისცემა მეფის ასულისადმი და შიში—ტყვე არ გამექცესო. მუსიკის ჰანგი მკვეთრად იცვლება და სამგლოვიარო მარშის ხასიათს ღებულობს. და პირველი მოხუცის დასაბამიერს ანაპესტებს შემდეგ სრულიად მიწყდება).

პირველი მოხუცი.

ამას რას ჰპედვენ ჩემი თვალები?
ამ სასწაულის მნახველსა ვით-ღა
ძალმიძს უარვყო, რომ ეს ქალწული
ანტიგონეა?.. ო, უბედურო,
ბედშავის მამის ბედკრულო შვილო!
რა დაგმართნია? ნუ თუ ვირწმუნო,
რო დაგატყვევეს, ვითა უგნურის
საქმის მომქმედი და მეფის უარჩი?

დარაჯა.

დიაღ, ეს არის. ჩვენ შევიპყარით,
გვამს რომ ჰმარხავდა. სად არის კრეონ?

(შუა კარით გამოდის კრეონ სამეფო სამოსით ქეშიკთა თანხლებით).

პირველი მოხუცი

სასახლით მოდის აქ მონასიმედ.

კრეონ (მოხუცს).

რა ამბავია? რისთვის მელოდით?

დარაჯა.

(კრეონისა და დარაჯის დიალოგის დროს ანტიგონე წორი-ახლო სდგას უძრავად თავდახრილი და სრულის გულკრილობით ისმენს მისი ნამოქმედარის განსჯას).

მეფევ! მოკვდავთა არა ჰხამს ფიცი.
შემდგომი ფიქრი ამტყუვნებს პირველს.
ვფიცავდი—აქეთ არ ვიბრუნებდი
პირს შიშნაჭამი შენის მუქარით.
მაგრამ უცები იმედწარკვეთილს
რო მომეცლინა ეს სიხარული,
გავსტეხე ფიცი, კელავ აქ დავბრუნდი
და ეს ქალწული, გვამს რო ჰმარხავდა,

(კრეონ დააკქერდება დარაჯის მიერ მოყვანილ ქალს. იცნობს ანტიგონეს, შეჰკრთება და რამდენჯერმე დააშტერდება მას, თითქოს აოუჯერის თავის თვალებს. იმის მძრაობა საშინელის ტანჯვის ვამომხატველია; დარაჯის შემდგომი ლაპარაკი მას აღარ ესმის).

თან მოვიყვანე წილის უყრელად
დაცლა ჩემია, სხვის არავისი.
აწ, მეფევ, გნებავს აწამე, მოჰკალ,
მე კი სამართლით განვთავისუფლდი,
ეს ფათერაკი რომ ავიცდინე.

კრეონ.

(მთრთოლვარე ხმით გონდაბნეული იმეორებს დარაჯის სიტყვებს)

შენ მოიყვანე? სად?.. ვით შეიპყარ?..

დარაჯა.

გვამს ჰფლავდა-მეთქი... მორჩა, გათავდა.

კრეონ (მრისხანედ).

გესმის, რას ამბობ? მართალს მოგვითხრობ?

დარაჯა.

თვით ვარ მნახველი, ცხედარს ჰმარხავდა.
განა არ არის ცხადი ეს სიტყვა!..

კრეონ.

უცებ წააწყდით და შეიპყარით?

დარაჯი.

აი, გიამბო. შენის მუქარით
დავბრუნდი უკან შეშინებული.
გავასუფთავეთ ქვიშისგან კარგად
და გავაშიშვლეთ გახრწნილი გვამი.
გორაკის თხემზედ ზურგით ქარისკენ
დავსხედით, რომ არ გვცემოდა სუნი
და ლანძღვით ურთერთს ვახალისებდით,
რომ ყველა ფხიზლად ვყოფილვიყავით.
შუა ეთერში გამოჩნდა მზისა
ბრწყინვალე დისკო და ავარვარდა
სიცხე. ერთბაშათ ავარდა ქარი
და მყის გრიგალმა, ჯალათმა ცისამ,
აღავსო ბარი, ეთერი ვრცელი
და ხუჭუჭი ტყე გასცარცვა, ჩვენ კი
თვალ-დაფახულნი ვუძლებდით რისხვას.
დრო რო გავიდა და ქარი დაჰსცხრა,
ვხედავთ ამ ქალწულს, მოთქმით მოტირალს,
ვით სტირის ჩიტი, ოდეს იხილავს
ცალიერს ბუდეს, სარეცელს ობოლს.
რა დაინახა შიშველი გვამი,
მოჰყვა ქვითქვითსა და წყევლა-კრულვით
მკრეხელობისა მოქმედთ ჰრისხავდა.
მყისვე აიღო მან მშრალი ქვიშა,
ასწია მაღლა სპილენძის სურა
და გვამი სამჯზის პატიოსანჰყო.
ეს რო ვიხილეთ, მივცვივდით ერთად
და შეეპყარით. სრულად არ შეჰკრთა...
ვამხილებთ ცოდვებს ძველსა და ახალს,
იგი კი სდგას და არას უარობს.
თან მიხარია, თან მებრალება.
კარგია, თვით რო ჭირს დაეხწევი,
მაგრამ მოყვასის ჭირში ჩაგდება
საჯალაღოა. რა გაეწყობა!
მე რო გადავრჩი—ეს არის საქმე.

კრეონ (ანტიგონეს)

შენ ეჰ, რო სდგეხარ თავდაღუნული,
ბრალს აღიარებ, თუ უარსაჰყოფ?

ანტიგონე (მშვიდათ)

მე ვარ მოქმედი, არცა ვჰყოფ უარს.

კრეონ (დარაჯას)

შენ წადი შენთვის, სადაც გინდოდეს,
რაკი გადარჩი მძიმე ბრალდებას.

(დარაჯა გადის. კრეონ მიმართავს ანტიგონეს, მკაცრად).

425. შენ კი მითხარი მიუქარველად,
იცოდი ჩემი აღკრძალულება?

ანტიგონე.

დიაღ, ვიცოდი. ყველამ იცოდა.

კრეონ.

როგორ გაჰბედე კანონთ დარღვევა?

ანტიგონე.

კანონთ დარღვევა? ვინ დამიდგინა—
430. ზევსმა თუ დიკემ, ქვესკნელის ღმერთთა
თანამოსაყდრემ, რომელთ ხალხისთვის
დაუდგენიათ სჯული? ბრძანება
შენი! შენ ძალგიძს განა გაჰქელო
სამარადისო სჯული ღმერთებისა?
435. არ გაჩენილა ის დღეს ან გუშინ,—
ის მარადია და არვინ უწყის,
როდის დაწესდა. და ღმერთთა რისხვას
მოკვდავის შიშით ვერ შევიმთხვევდი.
ვიცი მოკვდები, თუ გინდ არ იყოს
440. ბრძანება შენი. და თუ სიკვდილი
ადრე წამიღებს, მით უკეთესი.
ვინც ჩემებრ მარად ტანჯულ-გვეშულა,
მისთვის სიკვდილი ხეტარებაა!..
და თუ ასეთი მომელის ხვედრი,
445. შკება იქნება! მაკრამ ღვიძლი ძმა
დაუმარხავი მე რო დამეგდო,
ღმერთთა შევჰსკდავდი... სხვას კი არ ვნაღვლობ...
და თუ შენ ჰგიჟრობ, რო მე გიჟი ვარ,
სჩანს თითქმის გიჟი მე მგონებს ვიღად.

პირველი მოხუცი

(ნაღვლიანად, ანტიგონეს)

450. სასტიკის მამის ჰსდის შეხ'ში სისხლი:
არც შენ გცოდნია ჭირში დათმობა.

კრეონ

(სცდილობს არ გამოიჩინოს მღელვარება, მოხუცთ)

იცოდე, ფრიად უდრეკი ხშირად
ჰვარდება ჭირში. მაგარი რკინა
ალში ბრძმედილი, გამყარებული,
სტყდება, იმსხვრევა ნაკუწ-ნაკუწად.
უფიცხესს ტაიჭს პატარა ლაგმით
იმორჩილებენ. ვინც ჰმონებს სხვასა,
განა შეჰფერის მას ქედმაღლობა?
ამან შეგნებით და თავხედურად
დაჰგმო კანონი დაწესებული
და აქ მეორედ ჰკადნიერდება—
პირში დამცინის და თავი მოაქვს.
დიაცი მერჩვას, ამას მამაცი,
თუ შევარჩინო თავგასულობა.
თუმც ქალი იყოს ჩემის ღვიძლის დის,
ჩვენის ოჯახის სისხლი და ხორცი,
უმკაცრესს სასჯელს ვერც ეს ასცდება
და ვერც ამის და: მასაც ბრალი აქვს,
ვით თანამზრახველს გვამის დაფლვაში.

(დარაჯებს)

აქ დაუძახეთ—ეს არის ვნახე
შეწუხებული, ფრიად მღელვარე.
ასეა, სული ამხელს ძვირისმქნელს,
ვიდრე თვით საქმე გამჟღავნდებოდეს.

(ელმად უცქერის ანტიგონეს)

მაგრამ მძაგს, როდესაც მხილებული
ბრალეულობას ჰრთავსა და ჰკაზმავს.

ანტიგონე.

სიკვდილად დამსჯი, მეტი რა გინდა?

კრეონ.

აღარაფერი, გულს შევიჯერებ.

ანტიგონე.

რად-ღა იყოვნი? ვით მე არ მომწონს
შენი ნათქვამი—ნუმც მომეწონოს—
აგრეთვე ჩემიც არ მოგწონს საქმე.
მაგრამ განა რა შემძენდა ისეთს

ბრწყინვალე სახელს, თუ არ ღვიძლის ძმის
დასაფლავება! (მოხუცთ)

თქვენც თანამიგრძნობთ,
მაგრამ შიშისგან დაგბმიათ ენა!

კრეონ.

კადმოსიანნი ეგრე არ ბჭობენ.

ანტიგონე.

ყველა ჰგრძნობს, მაგრამ ვერ ჰბედავს თქმასა.

კრეონ.

გრცხვენოდეს, არვინ გყავს თანამგრძნობი.

ანტიგონე.

ცუდია მოყვასთ პატივისცემა?

კრეონ.

მაგრამ მოკლულიც ხო მოყვასია?

ანტიგონე.

ერთის დედ მამის შვილი, სისხლხორცი.

კრეონ.

მაშ, რად მოექეც მას უპატიოდ?

ანტიგონე.

მაგას მიცვლილი არ დაგიმოწმებს.

კრეონ.

თუ იმ ურჯულოს ატოლებ, მაშინ?

ანტიგონე.

მონა ხომ არა, ძმა დამეღუპა.

კრეონ.

ეგ ძმა გვიკლებდა, ის კი გვიცავდა.

ანტიგონე.

ჰადესის წესი ერთნაირია.

კრეონ.

სათნოს და ბოროტს ერთგვარი ხვედრი?

ანტიგონე.

ვინ უწყის, ქვეშეთს რა არის სათნო.

კრეონ.

მტერი მტრად რჩება სიკვდილის შემდგომაც.

ანტიგონე.

მე გავჩენილვარ სიყვარულისთვის.

კრეონ.

(მიწისაკენ იშვერს ხელს)

მაშ, წადი მკვდრებთან და დე გიყვარდეს,
აქ კი დედაკაცს არ ვაბატონებ.

სცენა მეოთხე.

(სასახლითგან მარჯვენა გვერდის კარით გამოდის მტირალი ისმენე. მის გამოსვლას თან ახლავს წყნარი სამარშო მუსიკა, რომელზედაც პირველი მოხუცი ჰგალობს სასალამო ანაპესტებს)

პირველი მოხუცი.

აგერ სასახლით, მოდის ისმენე,
საყვარელ ძმისთვის ცრემლ-დათხეული.
შუბლი შეუკრავს ნაღველს და სახეს
ჰჩრდილავს ალებულს
და ტურფა ღაწვნი დაუწვავს ცრემლსა.

კრეონ.

(ისმენეს, მრისხანედ)

შენ ქურდულად რო ვითა ექიდნა
შემომეპარე და მწოედი სისხლსა,
და მეც, ბრმა, ჩემს ტახტს თვითვე ვუზრდიდი
ორს მტერს, ორს საფრთხეს,— გვამის დაფლეაში
შენც გიდევს წილი, თუ უბრალო ხარ?

ისმენე.

თუ ამას უდევს, მეც ვარ მოქმედი,
თანაზიარი და ბრალი მეც მაქვს.

ანტიგონე.

ეს იქნებოდა უსამართლობა—
არც შენ გინდოდა, მეც მოგიშორე.

ისმენე.

მაგრამ არ მრცხვენის გავიზიარო
ტანჯვა-წვალება შენ რო მოგელის.

ანტიგონე.

ვინც მოიქმედა, უწყის ჰადესმა,
ქვესკნელის ღმერთმა, მე კი მძაგს ყველა
მარტო სიტყვით რო მიმოწმებს გრძნობას.

ისმენე.

ნუ მთელი უღირსად, რო მოვკდე შენთან
და სრულვჰყო ვალი წინაშე ძმისა.

ანტიგონე.

ნუ, ნუ მოკვდები და ნუ იჩემებ,
რისთვის ხელიც კი შენ არ გიხლია.

ისმენე.

უშენოდ რაღა მაამებს ბედკრულს!..

ანტიგონე.

ჰკითხე კრეონსა... ხო მისთვის ჰზრუნავ!..

ისმენე.

აგრე უწყალოდ რად მიკლავ გულსა?

ანტიგონე.

მეც ვიტანჯები, თუმცა დაგცინი.

ისმენე.

მაშ ეხლა მაინც რით დაგეხმარო?

ანტიგონე.

იხსენი თავი, თუმც არ მშურს ეგ ხსნა.

ისმენე.

ნუ თუ შენს ბედს არ გავიზიარებ?

ანტიგონე.

შენ ამჯობინე სიკვდილს სიცოცხლე.

ისმენე.

მაგრამ მე ჩემი ხო გამცნე აზრი.

ანტიგონე.

ზოგს შენი მოსწონს, ზოგსა კი—ჩემი.

ისმენე.

ბრალი ერთი გვაქვს, დაო, ორივეს.

ანტიგონე.

არა, იცოცხლე, მე კი მკვდარი ვარ,
საიმქვეყნიოდ ვარგივარ მხოლოდ.

კრეონ

(განცვიფრებით ისმენდა დების ლაპარაკს)

ერთი ეს არის გაგიჟებული,
ხოლო მეორე შობით გაჟია.

ისმენე

მართლაც, მეფეო, მუდმივი ტანჯვა
უკარგავს ბედშავთ ჰკუა-გონებას.

კრეონ

და შენც არჩიე ბოროტების გზა.

ისმენე

რად მინდა თავი ცოცხალი, თუ ეს...

კრეონ

მას ნუ ახსენებ, ის აღარ არის.

ისმენე

ნუ თუ სიკვდილად დასჯი შენს სასძლოს?

კრეონ

სათესი იყოს, ყანა ბევრია.

ისმენე

მისი საფერი სხვა არ იქნება.

კრეონ

ცუდის ზნის ცოლი არ მსურს ვაჟისთვის.

ანტიგონე

(ერთბაშად გრძნობა-აღტყინებული)

ძვირფასო ჰემონ, ვით გარცხვენს მამა!

კრეონ

(ანტიგონეს)

შენც თავს მაბეზრებ, შენი ქორწილიც!

ისმენე

ნუ თუ ჩაუშლი ვაჟს ქორწინებას?

კრეონ (მკვახედ)

ამ ქორწინებას ჩაშლის ჰადესი!

(ისმენე სახეზედ ხელებ-აფარებული ჩუმად სტირის. ანტიგონე კრეონის შეურაცხმყოფელს პასუხს შემდეგ უკვე თავს მოეგო და სდგას მდუმარე ამაყად. პაუზა).

პირველი მოხუცი (გაუბედავად)

განაჩენია, ვჰგონებ, სიკვდილი.

კრეონ (გესლიანად)

555 მეც ეგრე ვჰგონებ. ეი მსახურნო!
მყის წაიყვანეთ და მიერითგან
გეჰიროსთ თვალი, რათგან გულადნიც
გარბიან, ოდეს ჰადესის სუსხი
იმათ სიცოცხლეს შემოუბერავს.

(დარაჯები შემოერტყმიან ანტიგონესა და ისმენეს და მიჰყავთ ისინი სასახლეში მარცხენა გვერდის კარით. ისინი რო თვალს მიეფარებიან, კრეონი პირქუშად დაესვენება ქვის საჯდომზედ)

მეოთხე სტასიმონი.

ხორო

560 სტრ. I ბედნიერია, ვისაც სიმწარე არ განუცდია,
გარნა თუ სახლი შეურყევია ღმერთების რისხვას,
მის შთამოებას საშვილიშვილოდ ჰსდევს განსაცდელი.
მსგავსად ვით ქარი მძვინვარე
ჰბერავს თრაკიის ზღვით კერძო
565 და გარესკნელი ზღვის სიღრმეს ბნელი გარემოიცავს,
ზვირთნი ჟფსკრულით შავს ქვიშას
წყლის ზედა-პირზედ ისვრიან
და ჰზანზარებენ ნაპირნი ტალღათა უკუმქცევნი.

ანტისტრ. I და ეგრე, ვხედავ, ლაბდაკიდთ სახლის ტანჯვანი ძველნი
570 უკვე დაღუპულთა ზედ ერთვიან უბედურობას
და ცოდვათაგან ერთმა თაობამც ვერ იხსნა გვარი—

ღმერთი არ ჰშველის და ამხობს.
აწ ოდიპოსის ის იყო
გარდმოეცლინა უკანასკნელს შტოს სხივი ნათლისა
და კვლავ მახვილი ქვესკნელის ღმერთთა
ჰკვეთს სისხლიანი. უბნელებს
ჰკუა-გონებას და უშრეტს აზრსა.

სტრ. II

კაცთ თავხედობა, ზევსო, ვით
შეარყევს შენს ძლიერებას!
მას ვერც ძალი ჰსძლევს ყოვლის განმრღვევი და ვერც
უწყვეტი სრპოლა თვეების.—
მეუფევ, მარად ჰაბუკო, გიპყრავს
დაუსაბამოს შუქმოიეფე ოლიმპი ტურფა.
ერთი კანონი ყოფილა,
არის და მუდამ იქნება
საყოველთაო, უცვლელი:
მოკვდავთ სიცოცხლეს თან ჰსდევს ნიადაგ უბედურობა.

ანტისტრ. II

ზოგსა მაცთური იმედი
სიხარულს მისცემს, სიამეს,
ზოგს კი ფუქსავატს უცუდებს ნდომა-სურვილებს.
იჭვ-უქონელს ეპარება
და ვიდრე მოვა გონს ტერფსა უთუთქავს ცეცხლითა.
ჩინებულია ძველთაგან ნათქვამი ბრძენული:
ღმერთი რო მოკვდავს გონებას
უბნელებს, მაშინ ბოროტი
კეთილად მოეჩვენება
და ხახმოკლეა მაშინ კაცის ბედნიერობა.

(დასასრული იქნება)

თარგმანი ბერძნულით
ვ. ქავთარაძისა.

რედაქტორი პროფ.
თ. თ. ზელინსკისაა.

წერილები ლიტერატურაზე
და
ხელოვნებაზე

გეროლტი ქიქოლაძე

თეატრალური პარადოქსები

ქანდაკება ცივ მარმალილოზე მუშაობს ან ბრინჯაოზე, მხატვრობის მასალა საღებავი და ტილოა. თეატრი ყველაზე უფრო ადამიანური ხელოვნებაა: მის უშაუალო მასალას ცოცხალი ადამიანი წარმოადგენს; არა მარტო ის ადამიანი, რომელიც სცენაზე მოძრაობს, არამედ ისიც, რომელიც ამფითეატრში ზის, როგორც მაყურებელი. ამიტომ არის თეატრი ასე მგრძნობიარე სოციალური და მორალური ატმოსფერის ცვლილებისადმი. დროების მსვლელობამ ვერაფერი დააკლო ძველი ხელოვნების მომხიბლავ ძალას. ჩვენ დღესაც განცვიფრებული ვდგევართ ეგვიპტის სფინქსის, ათინის პართენონის ან ჯიოტტოს ფრესკის წინაშე. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენ კლასიკური ბერძნული თეატრი, საშუალო საუკუნეების მისტერია ან იტალიური comedia del arte ვიგემოთ, თუნდაც მათი აღდგენა შესაძლებელი იყოს? არა: თუმცა ტრაგედიების ტექსტი გადარჩა, გადარჩა ბუფონადების და მისტერიების ქარგაც, მაგრამ მათი შემსრულებელი და მაყურებელი ადამიანები აღარ არიან. ისინი უსხეულო აჩრდილებად იქცნენ და ჩვენ არ ვიცით როგორი იყო მათი სულიერი მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა.

ჩვენ გაკვირვებულნი დავსცქერით ბერძნულ ტრაგიკულ ნიღაბს, იტალიელი ჯამბაზის გრიმასას, რომელიც მხატვრობამ დაგვიტოვა, და ვფიქრობთ, რომ არ შეგვიძლიან ასეთი ნიღაბი ავიფაროთ ან ასეთი გრიმასა გავაკეთოთ, თვით მაშინაც კი, როცა ოიდიპოს მეფეს ვთამაშობთ ან ძველ იტალიურ ხალხურ კომედიას.

* *

საუკეთესო თეატრალური ავტორი ის არის, რომელიც შემოქმედების დროს მშვენიერი ადამიანის სხეულზე ფიქრობს და თავის აზროვნების ხვეულებს კეთილ-შობილ ვაჟკაცისა თუ ქალწულის მიხვრა-მოხვრას უფარდებს. ამბობენ, რომ სალამისის გამარჯვების შემდეგ სოფოკლემ ტანთ გაიხადა და იცეკვა აღფთოვანებული თანამოქალაქეების წინაშე. ეს სანახაობა ალბათ ისევე მშვენიერი იყო როგორც „ელექტას“ ან „ანტიგონეს“ წარმოდგენა. განა ანტიური თეატრი წარმოიშობოდა, თუ ის მშვენიერი ვაჟკაცები და ქალწულები არ ყოფილიყვნენ, რომელნიც ფიდიასმა გამოაქანდაკა პართენონის ფრონტონზე? და განა საშუალო საუკუნეების მისტიური ან კომიკური თეატრი გაჩნდებოდა თუ

პილპილ-ნარევი ხუმრობის მოყვარული ბრბო არ ყოფილყო, რომელიც ამ თეატრის აუდიტორიას შეადგენდა? ან განა შეიძლება კორნელისა და რასინის თეატრი წარმოვიდგინოთ იმ ბრწყინვალე არისტოკრატიული საზოგადოების გარეშე, რომელიც „მეფე-მზეს“, ლუი XIV ეხვია?

თანამედროვე თეატრის კრიზისი სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ ჩვენ მოკლებული ვართ ჯანსაღ სხეულის და ფერადების გრძნობას, და ერთნაირად მახინჯნი ვართ შავ სერთუკშიც და ტანთ გახდილნიც. ამიტომ სანამ თეატრის განახლებას შეუდგებოდეთ, შეიძლება სპარტანელების მსგავსათ, ესთეტიური ტერორის შემოღება იყოს საჭირო. როცა ქუჩაში და ამფითეატრში ნაკლებ იქნებიან დიდთავიანი და ფეხ-მონგრეული ქონდრის-კაცები, აქტიორი ესტრადაზე მიხვრა-მოხვრის და მოძრაობის კეთილშობილებას შეიძენს.

* *

ჩვენ შეგვიძლია სამხატვრო გალერეაში დონატელოს ბრინჯაო ან ტიციანის ტილო ვიგემოთ, თუნდ ჩვენს გვერდით უმნიშვნელო და გულგრილი ადამიანები იდგნენ, მაგრამ თეატრალური მოქმედება არ გაგვიტაცებს თუ აუდიტორიის სიახლოვეს და სითბოს არა ვგრძნობთ. ეგოცენტრული თეატრი, „თეატრი თავის თავისთვის“ უდიდესი უაზრობაა. საჭიროა ნაზი სულიერი ქსელის შექმნა, რომელიც კონტაქტს დაამყარებს მაყურებლისა და ამღსრულებლის შორის, უამისოდ თეატრი არ არსებობს როგორც კოლექტივი. ეს კოლექტივი კი თეატრის ხელოვნებისთვის უფრო საჭიროა, ვიდრე შენობა, დეკორაცია ან რეკვიზიტი.

არის ეპოქები, როცა თეატრალური წარმოდგენა მოედანზე ან ქუჩაში გადის და იშლება საზღვარი თეატრისა და ყოველდღიური ცხოვრების შორის. მეთვრამეტე საუკუნეში მთელი ვენეცია ერთ დიდ კარნავალად გადაიქცა. უბრალო მოქალაქეები, პატრიციები, თვით დოჟები და დოგარესები ნილაბ-აფარებულნი დადიოდნენ. ვენეციელები ნილაბ-აფარებულები იცავდნენ პროცესიებს, მიდიოდნენ ბაზარში თევზისა თუ მწვანილის საყიდლათ, შედიოდნენ ბაღში ან ქალალდის სათამაშო სახლებში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ვენეციის დიდი წარსული უკვე დაძორებული იყო და მახსოვრობის ნისლი ჰფარავდა დრამატიზმით გამსჭვალულ ისტორიულ მოვლენებს. უშინაარსო აწმყოს დასაფარავად კი ბრწყინვალე დეკორაცია იყო საჭირო.

ჩვენი დრო მეტად გრანდიოზულია, ჩვენი სული მეტად გათიშული, ჩვენი ჰრიალობები მეტად გატიტვლებული. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი თაობის სისხლი და ცრემლები მხატვრულ ფორმებში გამოვსთქვათ. მაგრამ მოვა ბედნიერი თაობა და ჩვენს გრიმასებს, ჩვენს ტრაგიკულ მასკებს ბედისწერის იდეას დაუკავშირებს და ადამიანს, რომელიც სარდაფში იტანჯება, ნათელ ესტრადაზე გამოიყვანს.

* *

ერთნაირი გონებრივი ამაღლებაა საჭირო იმის გასაგებათ, რომ ეს ცხოვრება უბრალო კომედიაა. კარგათ შეგასრულე თუ არა ჩემი როლი ცხოვრების კომედიაშიო, იკითხა იმპერატორმა ავგუსტმა სიკვდილის წინ. მხოლოდ ღრმა

ფილოსოფიურ ინტუიციით აღჭურვილ ადამიანს შეუძლიან იმის გაგება, რომ ის სახლში, ქუჩაში, მოედანზე, მთებისა თუ უდაბნოების დეკორაციის ფონზე კომედიას ასრულებს რომელიღაც უცნობი მაყურებლის წინაშე. და ეს გრძნობა ერთნაირ კმაყოფილებას იწვევს, ერთნაირ შერიგებას სიკვდილთან. ამით აიხსნება, რომ მხატვრული გემოვნების მქონე ეპოქები თეატრალურ წარმოდგენას ქმნიდნენ სიკვდილის სასჯელისაგან. რა იქნებოდა, რომ საფრანგეთის რევოლუციას დანტონი ბნელი, ცალიერი ქუჩით გაეგზავნა ეშაფოტზე? ის თოკს ჯალათს ვერ დაუბრუნებდა, რობესპიერისთვის გამოგადგებაო, ვერ იტყოდა, ჩემი თავი ხალხს აჩვენეთ, ის ამის ღირსია, ხოლო გვამი რობესპიერსო.

დანტონმა კარგათ შეასრულა კომედიის უკანასკნელი აქტი.

მე მგონია, რომ ყოველი გემოვნების მქონე ადამიანი არჩევს, რომ თუ მას ძალმომრეობით სიკვდილი ელის, მისი სასჯელიდან თეატრალური სანახაობა გააკეთონ, როგორც მეთორმეტე საუკუნეში კონსტანტინეპოლის ბრბომ ანდრონიკ კომნენის სასჯელიდან გააკეთა.

ვახტანგ კოტეტიშვილი

ქართველ მხატვართა გამოფენა

წარსული წლის დეკემბერში ქართველ მხატვართა საზოგადოებამ მოაწყო სურათების და ქანდაკებათა გამოფენა.

1918 წლიდან ქართველ საზოგადოებას აღარაფერი სმენია ჩვენი მხატვრობის შესახებ, და ეს დიდხანის პაუზა შეწყვეტილ იქმნა მეტად მნიშვნელოვანი სანახაობით. თუ წინა გამოფენებზე რამდენიმე მხატვარი იღებდა მონაწილეობას, ეხლა ორმოცდა სამი ავტორი იყო წარმოდგენილი, რაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ბევრი მათგანი ჯერ სუსტნი არიან, მაგრამ უფრო ყურად-საღები ის არის, რომ მხატვრული კულტურა ფეხს იკიდებს, რითაც ასე ღარიბნი ვიყავით დღევანდლამდე. მართალია, ოდესლაც ჩვენცა გვქონდა პლასტიურ ხელოვნების დიდი ტრადიციები. მაგრამ ეს ოდესლაც იყო, და მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში სამხატვრო ცხოვრების ხელ-ახალი დაწყება გახდა საჭირო. ყოველ-მხრივად უკან დაწეულმა ჩვენმა ეროვნულმა ცხოვრებამ უკან დასწია მხატვრობაც, და ქართველი საზოგადოება დარჩა ესთეტიურ ხილულობის გარეშე. და დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მხატვრობისა და ქანდაკების ნამდვილი მცოდნე და კარგი დამფასებელი თითქმის არა გვყავს. „გემოვნება" ჩვენში ჯერ განუვითარებელ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან მას ანვითარებს ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებთან მუდმივი ურთიერთობა. ამ მიზეზების გამო, სრულიად დაუმსახურებლად ჰხდება ხოლმე ამა თუ იმ ავტორის ან „მიღება" ან „უარყოფა". სწორი მსჯელობის ადგილს, საკმაო საფუძვლიანობის უქონლობის გამო, ხშირად იჭერს ან პერსონალური სიმპატიები, ან და მოდით ფორმალურად გატაცება. და ორმოცდა სამი ავტორი მხატვრული ცხოვრების სფეროში, საუკეთესო საწინდარია, რომ კულტურის ეს ფალანგაც გაღონიერდება, და „გემოვნებაც" განვითარდება.

**

ამ „გემოვნების" განუვითარებლობა სჩანს ჩვენი ინტელიგენციის საშინაო ცხოვრებაშიც. მართალია, რევოლიუციის შემდეგ ფინანსიურმა კრიზისმა შეუძლებელი გახადა ესთეტიური „მოწყობილობა", მაგრამ რევოლიუციამდეც ხომ ასე იყო. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართული ოჯახი, ოდესლაც დიდი

გემოვნებით მოწყობილი, ლამაზი ხალიჩებით, ძვლით მოჭედილ ავეჯეულობით ხელ-წმინდად განათალი ბროლის ჭურჭელით, ოქრო-ქსოვილი ფარჩებით, ლარ-საგებელით, ორხოებით, უცხო-ნაქნარობის ცაზებით, ხელ-დოქებით, მინიატურე-ბით, მინანქრებით, ნახაზებით, ნახატებით, ნაჭედებით და სხ.,—ეს ძველი ქარ-თული ოჯახი გაჰქრა, ეს ესთეტიური მოწყობილობა მუზეუმს გადაეცა, და თა-ნამედროვე ოჯახი, ვითომ-და გაევროპიელების გზაზე დამდგარი, შეიძლება ძვირ-ფასადაც იყვეს მოწყობილი, მაგრამ უგემურად კი. დაიკარგა ძველი გე-მოვნება და ახალი კი ჯერ ვერ დადგინდა. შედიხართ სახლში. ჰხედავთ, რომ დოვლათი ჰქონიათ, მაგრამ ესთეტიური განვითარება სულ არა. ხელოვნების არც ერთი ნიმუში იქ არ არის, უხარჯავთ ფული, „მეშჩანურად" მოწყობილან და კმაყოფილნიც არიან. მიტომ იყო, რომ „მეცნიერობა" ჩვენში არა ყოფილა, და მეცნიერად ითვლებოდა ადამიანი, რომელმაც ოცდა-ხუთი მანეთი მისცა და იყიდა სურათი. სულ ერთია, როგორი, რომ იყიდა—ეს იყო ყურადღების მი-საქცევი.

ეს მძიმე სინამდვილეა, უნდა ითქვას კიდეც გულ-ახდილად, და ქართვე-ლი მხატვრები, ჩაყენებულნი ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ნაყოფიერებას ვერ გამოიჩენდნენ, და დღეს რომ ორმოცდა სამი ავტორი გამოსულა ქართვე-ლი ერის დასანახად, პირდაპირ საოცრებაა. მოთხოვნილება არ არის. ეს მეოც-ნებენი კი გატაცებით ჩაკეტილან თავიანთ სოროებში, და ჯიუტი ამტანობით აკეთებენ თავიანთ საქმეს. თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი მთასთან უნდა მივიდეს. და ქართველი მხატვრები, ყურადღების ცენტრს აცდენილნი, მაინც შეეჯრნენ ჩვენი სინამდვილის გულგრილობას, და მოითხოვეს ანგარიშის გაწევა.

ჩვენი პრესა დუმილით შეხვდა. მართალია, იყო რეცენზიები, მაგრამ ეს შეფასება კი არ იყო, არამედ—ვაშას თქმა, გეიხარიან—გაგიმარჯოთო. და ამას ამბობდნენ მუშა-კორესპონდენტები, რომელთაც მეტის თქმაც არ შეეძლოთ, ხოლო სულ არაფერი დაუწერიათ იმ ნაფიც შემფასებლებს, რომელნიც ზეიმით ხედებიან ხოლმე გასტროლიორებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ქუდი არა ჰხურავთ.

დამახასიათებელი მოვლენაა: ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა, რომელმაც ნახა მაკოვსკის სურათების გამოფენა, მოკრძალებით მითხრა: არ მომეწონა მა-კოვსკის ფერები, ბევრში ჩვენი გაბაშვილი სჯობიაო. მაგრამ ეს ისე კონსპი-რატიულად მითხრა, თითქოს ეშინოდა, არავინ გაიგოსო. რატომ?—დიდია ჩვენში უცხოელთა ავტორიტეტი, და ჩვენი თანამედროვენი არც თუ ისე არიან დამწაშავენი ამ მემკვიდრეობით მიღებულ „სულის სიღარიბეში". შიშით და სარწმუნოებით აივსო ქართველი კაცის არსება უცხოელთადმი, და დიდი შემო-ქმედებითი მუშაობა არის საჭირო ამ ფესვგამდგარ სენის გამოსანელებლად. ჩვენი მხატვრების გამოფენის მაგიერ სხვა ქვეყნიდან ჩამოსულებს რომ მოეწ-ყოთ ეს exposition-ი, ალბად რეზონანსიც სულ სხვანაირი ექნებოდა.

დრო კი არის, რომ გამოვეხიზღდეთ ამ შეზარხოშებისაგან, რადგან არც ისე დაბალია ჩვენი კულტურის მთა-გრეხილი. ერთ გონება-მახვილ ფრანგს უთ-ქვამს რუსისთვის:—„საოცარი ხალხი ხართ რუსები. ისტორიულ მოდგმის მთა-

მომავლები, თქვენივ ნებით თამაშობთ უგვარო ნაბიჭვრების როლსაო". ეს მოსწრებული ნათქვამი ჩვენთვისაც ყურად-საღებია.

**

ქართველ მხატვართა გამოფენაზე ვინც იყო, უპირველეს ყოვლისა შეამჩნევდა, რომ თითქმის არც ერთი დიდი „ტილო" არ გამოუტანიათ ჩვენს არტისტებს. ამ მხრივ გამოფნა ვერ ახდენდა ახოვან შთაბეჭდილებას. დიდ „ტილოს" აქვს თავისი საიდუმლოება და მხოლოდ ხელმოქნილი ოსტატები თუ დაიმორჩილებენ ამ ფართო „ბრძოლის ველს". ამ გამოფენაზე კი მეტ-წილად ახალგზრდა მხატვრები იყვნენ, რომელთაც „დიდ რამეებს" ვერ მოვთხოვთ. მაგრამ იმ პატარა ესკიზებში საკმაოდ მდიდარი შესაძლოებაა მოცემული, და ამას შეამჩნევდა ყველა, ვისაც აქვს გაგების უნარი, და ვინც წრფელი გულით იყო იქ მისული.

არც ის დარჩებოდა მნახველს შეუმჩნეველი, რომ „მემარცხენეობა" მეტად მცირე მასშტაბით იყო წარმოდგენილი, და ამ „ბავშურ სენის" აცილებაც კარგ სიმპტომად უნდა ჩაითვალოს. იმეტომ კი არა, რომ ხელოვნებას რაიმე პროგრამას უწერდე, ან რომ შორეული გაქანება და უცნაურობა გაუგებარი იყვეს, არა. ხელოვნებასაც აქვს თავისი ლოღიკა, და ამ ლოღიკის ერთი ძირითადი კანონთაგანია: სთქვა ის, რასაც განიცდი და ამ თქმაში იყვე ბოლომდე გულწრფელი. იქ, ევროპაში ყველაფერი თავის გზით მიდის, და საქართველო კი ევროპა არ არის არც გეოგრაფიულად, არც ფსიქოლოგიურად, რომ იგივე გზები ვქელოთ ზეპირად და განუცდელად.

იშვიათად ხელთ-ჩაგდებულ ჟურნალების რეპროდუქციების მიხედვით „ახალი სკოლის" შექმნა მხოლოდ ზერელობის მაჩვენებელია. და ჩვენი მხატვრების დიდი უმრავლესობა რომ ამ გზიდან შორს გამდგარა, ჩვენის აზრით, მათი სერიოზობის მაჩვენებელია. სჩანს შემოქმედება უფრო ჰყვარებიათ, ვიდრე იაფი აპლოდისმენტები. თანაც: ყოველგვარი „იზმი" ბუნების ღრმა შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს. ჯერ ბუნების დანახვა და გადმოცემა უნდა შევსძლოთ, ე. ი. უნდა დაგძლიოთ, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება „ახალი მხედველობის" უფლება. პიკასო იმით არის დიდი, რომ მისი შემოქმედება თამაშია და მძლე, როგორც იქ, სადაც „ჩვეულებრივად" ჰხატავს, ისე იქაც, სადაც „ჩვეულებრივის" საზღვრებს ჰლახავს და ჰქმნის ახალ ქვეყანას, როგორც თავის „ნებას და წარმოდგენას". პიკასოობამდე გზა გრძელი არის და ძნელიც. ეს გზა ბუნების გულში არის გაჭრილი, და ვინც ამ „ბუნებას" უგულებელ ჰყოფს, ის ვერ გაიმარჯვებს.

მესამე მომენტი კი, რომელიც ყველას თვალში ეცემოდა, ეს იყო ქანდაკებათა ხეივანი, რაც ჩვენი გამოფენებისათვის პირველი შემთხვევაა. აქამდე ჩვენ ვიცოდით, რომ გვყავდა ერთი მოქანდაკე, ისიც რაღაც „განგებით", და თითქოს გვეჩვეებოდა, რომ ისიც ახირებული ყოფილა, თორემ რა უნდაო. ეხლა კი ექვსი მოქანდაკე მისულან თავიანთი „მძიმე არტილერიით": ქვებით. ეს რაც თვალში ეცემოდა ყოველ მნახველს. მაგრამ ბევრი რამ იყო, რასაც გაუწვრთვენელი თვალი ვერ შეამჩნევდა, და ყველა ამას ხომ უნდა აღნიშვნა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კულტურის ქრონიკისათვის მაინც არის სა-

ჰირო. მაგრამ ერთ რამეს მაინც თავს ვერ დავანებებთ: მხატვრის განცდებს. ეს ყველაზე ძვირფასია. მას უნდა გაიგოს საზოგადოების აზრი. ელის შეფასებას. შეიძლება სულაც არ წავიდეს იმ გზით, რასაც ურჩევენ, მაგრამ მხატვრის „თვითგამორკვევისთვის“ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მანკიერობს ის არტისტი, რომელიც მედიდურად გაიძახის, რომ „ჩემთვის სულ ერთი არისო“. არ არის სულ ერთი, და ამ მოტივით გამოწვეული გადავდივარ უფრო დეტალურ განხილვაზე.

**

ამ გამოფენას ერთგვარი ნაკლი ჰქონდა—ის, რომ არ იყნენ წარმოდგენილი ისეთი დამსახურებული მხატვრები, როგორც გიგო გაბაშვილი (ერთი სურათი იყო მხოლოდ), რომლის „საიდუმლო სერობის“ და „ღვთის-მშობლის“ შესახებ, ჩვენი დადი ესთეტიკოსი არჩ. ჯორჯაძე თავის დროზე სწერდა: „ჩვენ გეგონია... ამ გზასვე დაადგება საზოგადოდ, ქართული მხატრობა და ხელოვნებაო“. სრულიად არ იყო ალ. მრევლიშვილი, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შესძინა ჩვენს მხატვრობას. სამაგიეროდ მესამე „უხუცესი“, დ. გურამიშვილი, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ გამოვიდა თავისი „ავტო-პორტრეტით“, და უნდა ითქვას, რომ ღირსეულადაც დაარღვია დიდი ხნის უსიტყვობა. ტეხნიკურად სურათი მშვენივრად არის შესრულებული. შეიძლება „მიმართულება“ არ მოგწონდეთ, მაგრამ ოსტატობა რომ გვიჩვენა, ეს უდავოა. პატივცემულ ავტორისაგან ქართული მხატვრობა კიდევ ელის მსგავს ნიმუშებს.

მოსე თოიძე. მუდამ უხვი და დაუღალავი, მუდამ მაძიებელი და დაუდგრომელი, აქ წარმოდგენილი იყო ათამდე ესკიზით და ერთი დიდი სურათით: „სამოვრის მელოდია“, რომლის წინ სულ კამათი იყო, და რომელსაც გამოფენის ცენტრად სთვლიდნენ. „სამოვრის მელოდია“, როგორც მთლიანი ნაწარმოები, ჩემი აზრით, არც ისე ძლიერია, როგორც პირველ შეხედვით გეჩვენებათ. აქ არ არის კომპოზიციის აესილობა და ნახაზობის სიმტკიცე, რაც სურათის ღირსების მთავარი ატრიბუტებია. ფონიც ვერ არის გამმაში დაჭერილი, და სიმეტრიული მოზომილობაც იაფ შთაბეჭდილებას იწვევს. მაგრამ სამაგიეროთ არის ამ სურათში ისეთი ადგილები, „ნაჭრები“, რაც ჩვენს მხატვრობაში შედევრათ უნდა ჩაითვალოს. ის ე. წ. Natnrmort-ი, ისეთი ფერების სიკამკამით, და ისეთი გატაცებით არის გადმოცემული, რომ გრძნობთ ავტორის ოსტატობას, მაედველობის უშეალობას და წრეულ ტონს. ამ სურათით, ჩვენი მხატვარი ახალი გზების ძიებაშია, რაღაც სინთეტიური მიგნება სწადია და ვშიშობთ, თეორიამ არ დასჩაგროს შემოქმედება. ეს უკანასკნელი მით უფრო კარგია, რაც უფრო ნაკლებია თეორიული ბალასტი. ქართულ მხატვრობაში მოსე თოიძე ერთი ცენტრალურ ფიგურათაგანია, მასში ჯერ კიდევ ბევრია შესაძლოება, და ამ მოტივებით, უფლებას ვიტოვებთ მას დიდი მოთხოვნილებები წარუდგინოთ.

ვალ. სიდამონ-ერისთავი. ამ მხატვარს აქვს სრულიად გარკვეული სახე. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოფენაზე ყველაზე მთლიანად ის იყო წარმოდგენილი. უცქერით მის „კუთხეს“ და ჰხედავთ, რომ ავტორს აქვს აჩემე-

ბული მოტივები, და იმ მოტივებს ვერა სთმობს. ჩვენი ისტორია, აი ის შთაბეჭდილებათა აუზი, საიდანაც ის იღებს თემებს. და უნდა ითქვას, რომ მოტივები ყოველ მის ნაწარმოებში მახლობელია და მიმხიდველი. მაგრამ ავტორი თითქოს ველარ ამთავრებს სურათს, და მოტივებით მდიდარი ნაწარმოები რჩება ფერთა სიმდიდრის გარეშე. რაღაც ყომრალი ფერი ამძიმებს შთაბეჭდილებას. იქნებ პალიტრის სიღარიბე იყვეს ამის მიზეზი? — არა. აბა ნახეთ მისი „ლიზას ბაღი“ და „საძოვარზე“, ეს ორი პატარა ეტიუდი, რა ოსტატობით არის დაწერილი და ფერების გამმის როგორი შეგნებაა. ან „Natur — mort“-ი, რომელიც ერთ საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, თუმც ქართული „სული“ ამ სურათში მაინც და მაინც არა სჩანს. ხოლო რაც შეეხება არტისტის ყალმის მოქნილობას, ამის დამამტკიცებელი არის „დავ. კლდიაშვილის პორტრეტი“, რომელიც დიდი სითამამით არის შესრულებული.

სუსტად იყო წარმოდგენილი გ. მესხი. შემოქმედის ყველაზე დიდი მტერი — დაუდევრობაა. და გ. მესხს ეს უკანასკნელი ეტყობა. იგივე ეტყობა ალ. ციმაკურიძეს. კარგია მისი „დეკორაციის ესკიზი“, მაგრამ „ქვიშხეთის“ სერიის ავტორისაგან უფრო მეტს ველით.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ მუშა-მხატვარი ხაზიაშვილი, რომელიც ქართველ მხატვართა გამოფენაზე პირველად ვნახე. მისი „ხაქ. ჭიპინაძის პორტრეტი“, როგორც პორტრეტი, მთელი თავისი პრიმიტიულობით და ერთგვარი ნატურალიზმით, — კარგია. მართალია, ნახაზი ზოგგან სუსტობს, ფერებიც არ არის ზოგგან წმინდად აღებული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი საკუთარი უნარით არის ამაღლებული, უსკოლოთ, უმასწავლებლოთ, და ეს დიდ ღირსებად უნდა ჩაუთვალოს ჩვენს „მღებავს“. რომელიც ჩვენში ცნობილ პორტრეტისტებს გაუტოლდა კიდეც.

ამათ შემდეგ კი იწყება დებიუტანტების გრძელი სია, ოცდა-ათამდე ავტორი, რომელთა ცალკ-ცალკე განხილვა ამ მოკლე წერილში მეტად ძნელია. ზოგი მათგანი უფრო მტკიცედ ნახაზებით (დ. გველესიანი, დ. წერეთელი, შ. მამალაძე, ბაგრატიონი, ქუთათელაძე), ზოგი ფერები უფრო მეტ ელვარებას იჩენს (ხითარიშვილი, გძელიშვილი, საყვარელიძე, მერი მიქელაძე); ზოგს განცდები აქვს წრფელი და უშუალო (ირ. ტოფაძე, გვანცალაძე); ზოგი მოტივებით ერჩევა (ბილანიშვილი, ლეჟავა). საერთოდ კი უნდა ითქვას: ვრცელი სიტყვის თქმა ახალგაზრდების შესახებ ნაადრევია, ალღო სწორი აქვთ, ლელოს გატანას კი სჭირია ენერგიული მუშაობა, განათლება, სითამამე და თავისებურობა.

ეს იყო ე. წ. „მემარჯვენე“ ფალანგა.

მემარცხენეთა „შორის ირ. გამრეკელი და მ. გოცირიძე ძველი ნაცნობები არიან. ირ. გამრეკელის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი „სტილი“ დარღვეულია. რეალისტური ავტოპორტრეტი და კუბისტურად შესრულებული არენა ერთმანეთს კონფლიქტში უდგანან. „მე და ცირკის“ ფერები კარგია. არის მათში ხავერდისებური ელვარება და სირბილე. „Lues“-ში არც ფერებია ახალი და ნახაზი სულ არ არის. ირ. გამრეკელი ნიჭიერი მხატვარია და უფრო მეტი სიფრთხილე ჰმართებს. „მემარცხენეობის“ გზა მეტად ვიწროა და სახიფათო.

მიხ. გოცირიძის ტუშით ნახატი კარგია ძალიან. მაგრამ ამის იქით რაღა? ვშიშობ, მხატვრობა „ხაზვა"-მ არ დასჩრდილოს. კარგია ფერადებით ნახატი: „ნამი". მწვანე ფერი ეფექტიურად ეხამება სურათის მოტივს.

ამ „მემარცხენეებისგან" შორი-ახლო სდგას ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, რომელსაც აქვს კარგი ალღოც და ნახაზის გრძნობაც.

აქვე უნდა მოვიხსენოთ ლ ა დ ო წ ი ლ ო ს ა ნ ი და მ ი ხ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, როგორც გრაფიკოსები. ეს უკანასკნელი სულ ახალგაზრდაა და მომავალი წინა აქვს, წილოსანი კი შეიძლება დამთავრებულ მხატვრად ჩაითვალოს. მისი „ბაგრატის ნანგრევები", „ჯვარი" და სხ... საუცხოოდ არიან შესრულებულნი. წილოსანის სახით ქართული გრაფიკა წელ-გაბართული სდგას, მხატვარი ხშირად აღწევს მასალის გადმოცემის საიდუმლოებას.

მოქანდაკეთა შორის, ჩვენი სახალხო მოქანდაკე ი ა კ ო ბ ნ ი კ ო ლ ა ძ ე წარმოდგენილი იყო ქვით: „კოცნა", და ლენინის და ენგელსის ბიუსტებით (ალებასტრი). აღსანიშნავია „კოცნა", როგორც თვისი ჩახვეული ვნების გადმოცემით, ისე ტექნიკური ოსტატობითაც. მხოლოდ უკანა გეგმა, ბანერის მხრივ, მ ვეთრად ერჩევა წინა პლანისაგან, რაც ხელს უშლის პერსპექტივის დანახვას. ეს ნამუშევარი კიდევ ერთი მიღწევათაგანია, და გვინდა, რომ ჩვენი ავტორი უფრო მეტს იძლეოდეს ასეთ ნაწარმოებთ, და უფრო ნაკლებს სურათებიდან გადაღებულ პორტრეტებს. ამ ქვაში სთელემს მრავალი შესაძლებლობა, რაც უნდა ვნახოთ, ჩვენი ქანდაკების საუკეთესო ნიმუშების სახით.

ი. ნ ი კ ო ლ ა ძ ე გარს-შემოხვეულია თავისი მოწაფეებით: გ. ს ე ს ი ა შ ვ ი ლ ი, რომელსაც აქვს მოძრაობის განცდა, მაგრამ ზოგჯერ ამ დინამიკას გადაჭარბებით ჰხმარობს, რაც მონუმენტალობას ხელს უშლის; კ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, რომელსაც აქვს მონუმენტლობის განცდა, მაგრამ მთლიანობას ჯერ ვერა სწვდება; ნ ი ნ ო წ ე რ ე თ ე ლ ი, რომელიც პორტრეტების კვეთაში სულის ამოკითხვის უნარს იჩენს და გვაფიქრებინებს, რომ მისი სახით გვეყოლება სახეთა კარგი გამომკვეთელი. ამ სამი ახალგაზრდა მოქანდაკის სახით იმედიანი პერსპექტივა გვეშლება ქვისა და მარმარილოს ქვეყნისაკენ.

ამ მოკლე მიმოხილვაში მთავარი ყურადღება მივაქციე იმ შთაბეჭდილებათა ჯამს, რომელიც გამოფენიდან გამოვიტანე. შეიძლება ბევრი რამ დამრჩა მოუხსენებელი, ან ბევრი ისე არ მოვიხსენიე, როგორც ღირსი იყო, მაგრამ ამ შეცდომის გასწორებას ერთი წლის შემდეგ მოვახერხებ, როდესაც ჩვენი მხატვრები უფრო გამარჯვებულები გახსნიან მომავალ გამოფენის აღსავლის კარებს.

P. S. ამ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ჩემი სამი ქანდაკება: „ალ. ყაზბეგი" (ქვა) „ქვის ვნება" (ქვა) და „ავადმყოფი ბავშვი", (ალებასტრი). მათ სასტიკ კრიტიკას მოვისმენ მორჩილებით.

ვ. კ.

მიხეილ აბრამიშვილი

გიორგი წერეთელი

(გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების გამო)

ჩვენი წარსული საუკუნის მოღვაწეებში გიორგი წერეთელს საპატიო ადგილი უკავია, არა მარტო როგორც კაზმული მწერლობის წარმომადგენელს, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს. მრავალ მხრივი იყო მისი მოღვაწეობა, რომელიც საერთოდ წილად ხვდებათ ხოლმე გარდამავალ ხანის მოღვაწეებს.

დღეს, როდესაც სრულდება 25 წელი მისი გარდაცვალების შემდეგ, უნდა ჩვენ მეხსიერებაში განახლდეს სახელი ამ მივიწყებულ მწერლისა, რომელიც სრულიად დაუმსახურებლათ არ არის ჯეროვნად დაფასებული.

გ. წერეთელი მე-XIX ს. ქართული აზროვნების ორი ეპოქის საზღვარზე დგას: ნაციონალურ-დემოკრატიული მიმართულება მე-60 წლების მოღვაწეებისა და სოციალისტური მიმართულება 90 წლებისა. აღსანიშნავია, რომ თვისი მოღვაწეობით, დაკავშირებული მე-60 წ. მოღვაწეებთან, იგი გრძნობს ახალ სიოს, რომელიც დაჰბერა 90 წლებში და სათავეში უდგება ახალ მიმართულებას, „მესამე დასელებს".

ეს არ იყო გ. წერეთლის აზროვნებაში გარდატეხა, არამედ ვინც დაკვირვებით გაითვალისწინებს მისი მოღვაწეობის მიმართულებას, როგორც მწერლისა და რედაქტორის გან. „დროების" 1866 წლიდან, „სასოფლო გაზეთის" 1868 წ. და „კრებულის" 1871 წ., შეამჩნევს, რომ გ. წერეთელი მუდამ საღი დემოკრატიული მიმართულების იყო, და შეიძლება ითქვას, მისი დემოკრატიზმი უფრო რადიკალურია, ვიდრე მისი თანამოღვაწეებისა. გ. წერეთელი აღზრდილი იყო რუსეთის მე-60 წლების ლიტერატურაზე, სადაც გამეფებული იყო პოზიტიური ფილოსოფია და მატერიალისტური მსოფლმხედველობა, ხოლო ხელოვნების საკითხში ჩერნიშევსკისა, პისარევის და დობროლიუბოვის წყალობით—რაციონალიზმი და უტილიტარიზმი. თვის პირველ გაზეთ „დროებაში" გ. წერეთელმა ფართო ასპარეზი მისცა რაციონალურ მიმართულებას. კაზმულ ლიტერატურაში კი იგი შეგნებულად გამოდის, როგორც „შეუფერავი" რეალისტური მიმართულების დამცველი.

გ. წერეთელს არ მოსწონს ილია ჭავჭავაძის რეალიზმი. იგი სწერს: „ხელოვნურ ლიტერატურაში ილიამ დაამკვიდრა სენტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება და მისი ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარიკატურას წარმოადგენენ ქართულ მებატონისა და ქალბატონის ტიპებისას, ვიდრე ხელოვნური ხერხით წარმოშობილ, ცოცხალს ერთნაირ ბუნებასა და გარემოებაში შექმნილ ტიპიურ არსებებს". ხოლო მისი აზრით „მესამე დასის" მწერლებმა ხელოვნურ ან სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში დაარსეს ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი" (კვალი 1897 წ.)

გ. წერეთლის აზრი ილიას ნაწერების შესახებ გადაჭარბებულათ უნდა ჩაითვალოს, ხოლო ამ კრიტიკას აქვს მნიშვნელობა თვით გ. წერეთლის ესთეტიურ შეხედულების გამოსარკვევად. და მართლაც ყველა მისი კაზმული ნაწერები ატარებენ შეუფერავ რეალიზმის იერს. ასეთი მიმართულება არ აიხსნება გ. წერეთლის შემოქმედებითი ნიჭის სისუსტით, როგორც ამას ამტკიცებს კიტა აბაშიძე (იხ. ეტიუდები წ. II, გვ. 63). ისე როგორც ზოლას ნატურალიზმი არ არის მისი შემოქმედებითი ნიჭის სისუსტის გამომხატველი, არამედ ეს არის შეგნებული აზრი ხელოვნური ნაწერების მნიშვნელობის შესახებ.

გ. წერეთლის ესთეტიური შეგნება დაშორებულია ისეთ უტილიტარიზმს, რომლის წარმომადგენელიც იყო ანტ. ფურცელაძე, რომელიც ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე" შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „მკითხველი რაღაცა მომზადებით შეუდგება ამ ლექსის კითხვას და როდესაც გაათავებს, რჩება ხახამშრალი, გულ ცარიელი. ეს იმიტომ, რომ აქედან არ ამოგაქვთ გონების მასაზრდოებელი ლუკმა და როგორიც მშიერის გონებით შესდგომიხართ ამის კითხვას, ისეთივე და უფროც მშიერი რჩებით, რადგანაც ეს იმ საშმელსა ჰგავს, რომ კაცს მადას უხსნის და კუჭს კი არ ეცხება, რამდენიც გინდა სჭამო". (ცისკარი 1863, № 3).

ხოლო გ. წერეთელი იმავე მესამოციანე წლების პოზიტიურ მეცნიერებაზე აღზრდილი, ესთეტიურ ალღოს იჩენს და ბარათაშვილის შემოქმედებასა და პიროვნებას ღირსეულად იხსენიებს. თუმცა ნ. ბარათაშვილის პოეზიის ირრაციონალური მოტივები მისთვისაც აუხსნელი რჩება. 1870 წ. „კრებულის" მესამე წიგნში გამოაქვეყნეს ბარათაშვილის კერძო მიწერ-მოწერის რამდენიმე წერილი. ამ წერილებმა ერთგვარი სინათლე შეიტანეს მგოსნის პიროვნულ ცხოვრებაში და მის შემოქმედებასაც რამოდენიმეთ ნათელი მოჰფინეს. გ. წერეთელი შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა ამ მიწერ-მოწერის გამოქვეყნებას: „სანამდის ზემოხსენებული ნ. ბარათაშვილის წიგნები დაიბეჭდებოდა ყოველს ჩვენთაგანს „მერანის", „სულო ბოროტოს" და „ქართლის ბედის" დამწერი ეგონა რაღაც ახირებულ მოვლენათ ჩვენ ცხოვრებაში... ჩვენ ის რაღაც შავბედით ყმაწვილად მიგვაჩნდა, რომელიც თავისი აზრებით და ფიქრებით არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული თავის თანამედროვე ცხოვრებასთან, ჩვენ ის უფრო სხვა ტომის კაცი გვეგონა" (დროება 1873 წ., № 36). და შემდეგ განაგრძობს: „ბარათაშვილის წიგნებმა დაგვიხატა თვითონ ნ. ბარათაშვილი ჩვენებურ ახალგაზრდათ, რომელიც ებრძვის გარემოებას, ეძებს გონების წარმატებას, უნდა თავისი სამშობლო ქვეყანა და მისი ლიტერატურა წინ წააყენოს... ნ. ბარათაშვილის წიგნების დაბეჭდვის

შემდეგ ჩვენ დავინახეთ უფრო ნათლად თვითონ იმის დროის ცხოვრება და დავრწმუნდით, რომ იმისი სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ყოფილა შეწირული, ის ნამდვილის სწავლის დამკვიდრების გულისათვის სდევნის უწყალოდ და თავის მახვილი გონების მათრახსა სცემს ყოველსავე, რაც არის ცრუ, მატყუარა, გარეგანი ბრწყინვალებით შემკული, მაგრამ შიგნით გულდამპალი და უნაყოფო მეცნიერება".

მე შევეცადე რამოდენიმედ გამომერკვია გ. წერეთლის აზრი ხელოვნების შესახებ, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო მისი კაზმული ნაწერების მიმართულება. რასაკვირველია, მკაცრი ესთეტიური კრიტიკა ბევრ ხარვეზებს აღმოაჩენს მის ნაწერებში, როგორც ფორმის ისე შინაარსის დრამატიზმის მხრივ, მაგრამ ეს უმართებულო იქნებოდა მწერლის წინაშე. ჩვენ უნდა მივუდგეთ მის დაფასებას ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით და მივუწყოთ საწყაო იმ საწყაოთი, რომლის ღირსიც იგი არის ქართული მწერლობისა და აზროვნების ისტორიაში.

* *

1867 წელს „დროებაში" გამოქვეყნდა გ. წერეთლის „მგზავრის წერილები" ან „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა". აღწერილია მოგზაურობა სამეგრელოსა და სვანეთში. პირველი შეხედვით ნაწარმოები მოკლებულია წმინდა ლიტერატურულ ღირსებებს, შეუძლებელი ხდება მივაკუთნოთ რომელიმე ლიტერატურულ ჟანრს. მაგრამ ეს სრულიად საინტერესო არ არის და არც ავტორს აქვს ამის პრეტენზიები. ნაწარმოებში სადად და მარტივად არის აღწერილი მთელი მოგზაურობა და ავტორი იძლევა სრულიად ძალდაუტანებლივ სხვადასხვა ტიპებს, ბუნების სურათებს, მოქმედ პირთა სულიერ განწყობილებას, გარეგან ეტიკეტს იმერელ აზნაურებისას და მასთანავე ეს ნაწარმოები სრულიად „შეუფერავად" იძლევა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების რეალურ სურათს. თვით სათაური „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა" თავიდანვე ამზადებს მკითხველს შესაფერ განწყობილებისადმი. გრძნობთ, რომ ამ პიროვნებათა სულიერი ვითარება სახელწოდებით ამოიწურება. ნაწარმოები იკითხება ინტერესით, რომელსაც უფრო მეტი სიმახვილით გრძნობდენ თანამედროვენი. ნ. ნიკოლაძე სწერს: „იმ დროს, როცა „მგზავრის წერილები" იწერებოდა, თუ იბეჭდებოდა, ჩვენს მაშინდელ მწერლობაში მეტად ახალი და საამო ხილი გახლდათო". აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები დაიწერა მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთსა და იმერეთში ახლად გადავარდნილი იყო ბატონ-ყმობა, ხოლო სამეგრელოში ამ წელს (1867) ხდებოდა ბატონ-ყმობის მოსპობა ოფიციალურად. ხალხი დიდ აღელვებას განიცდიდა, გაურკვეველ მოვლენის წინაშე იდგნენ ბატონიც და ყმაც. გლეხობა წყურვილით ელოდა თავისუფლებას, მაგრამ ამ მოლოდინს მაინც ტრადიციით შემუშავებული იჭვიანობა ღრღნიდა, აზნაურობა შიშით უცქერდა მომავალს, რადგან ეკარგებოდა ძველი გავლენა და ეკონომიური უზრუნველყოფა. ავტორი სრული სინამდვილით გადმოგვცემს სულიერ განწყობილებას გლეხობისა და აზნაურებისას, რომელიც ახასიათებდა ამ გარდამავალ ხანას.

ბაკურა ეკითხება კუდაბზიკას:

— „ შენ აგი მითხარი, აზნოურიშვილი ხომ ხარ?

— აზნოურიშვილი ვარ, აპა რა ვიქნები? აზნოურიშვილი აზნოურშვილს ჰქვია, მე ძირის აზნოურიშვილი ვარ.

— აპა, რავა მასხრულად ლაპარაკობ. გლეხების გათავისუფლება ჩემზე უფრო შენ უნდა გწყენოდა.

— არა. გლეხობის გათავისუფლება კარგია. ჩიკოლიკამ თქვა, იგენიც და ჩვენც ძალიან მოვიგებთო. ჯამაგირი გვეკნებაო და ფული სულ ბზესავით მოგვივა.

— საიდან გეკნება, რომ გლეხები აღარ გეყოლება?

— ხემწიფე მოგვცემს და მერე ვაჭრობას დავიწყებთ.

— კაცო, აზნოურობას მერე ვაჭრობაში გაცვლი! კარგი აზნოურიშვილი ყოფილხარ, მომიკვდეს შენისთანა აზნოური.

— მომიკვდი და არც იცი, რავა ლაპარიკობ შენ.

— ყაძახები (გლეხები) გყავს თუ არა? გაოცებით ჰკითხა ბაკურამ კუდაბზიკას, როცა კუდაბზიკამ სთქვა, რომ ვაჭრებათ გადავიქცევითო.

— კი მყავს.

— ოჯახი გაქვს?

— კი.

— შენს ოჯახს შენი ყაძახები უველის? ხომ გემსახურებიან ოჯახში. ბეგარას არ გაძლევენ?—აბა რას იზმენ! რომ არ მომცენ, ძალად გადავახდევინებ. ნეტავი დედა ჩემს, თუ ჩემი ბეგარაც ყაძახებმა შეირჩინეს. მე იმისთანა არ გახლავარ, ზოგიერთს ბატონს რომ გლეხები დაიჯაბნიან და ბეგარას შეირჩენენ. ბეგარა კი არა, საუდიერო ფერდალა ღორიც რომ არ მომიყვანოს, სუნთლად ცხვირში ძმარს წავადენ.

— კაი და პატიოსანი. მეც მაგი მინდოდა, რომ გეთქვა. ახლა წარმოიდგინე, რომ ის შენი გლეხები არც ბეგარას მოგცემენ, არც შინ გემსახურებიან, თუ ძალა დაატანე, ბრეელს გცემენ. ოჯახის მომვლელი არავინ გეყოლება. ყანაში არავინ გიმუშავებს. სახლში ცეცხლს არავინ დაგინთებს. სულ შენ უნდა ქნა ყოლიფერი; ცეცხლიც შენ უნდა დაანთო, წყალიც შენც უნდა მეიტანო.

— არა, არა, არა. მაგი არ იქნება. წყალს რავა მევიტან...

— მაცა, მაცა... ყანაც შენ უნდა გათოხნო, შეშაც შენ უნდა მეიტანო.

— აჰ, აჰ, გადირიე თუ? ამას რავა მეუბნები. მაგას რავა ვიზამ".

გ. წერეთელი პირველი შეეხო ჩვენს მწერლობაში იმერეთის აზნაურობას. შეიძლება არავინ არ გრძნობდა ისე მწვავედ „წოდებრიობის კეთილშობილებას" როგორც იმერელი აზნაური. გ. წერეთელმა სინამდვილით დაგვიხატა იმ ეპოქის აზნაურები, როდესაც ჯერ კიდევ ცხოველათ გრძნობდენ თავიანთ წოდებრივ უპირატესობას. არ იყო მომხდარი ის დეგრადაცია მათში, რომლის ნიშუშები შემდეგში დ. კლდიაშვილმა მოგვცა.

ავტორს ისე მკვეთრად აქვს განვითარებული მზერითი ნიჭი, რომ მას არ რჩება შეუმჩნეველი არც ერთი წვრილმანი გარეგანი გამოსახულებისა და მიხვრა-მოხვრისა. „კუდაბზიკა" აი საერთო სახელი იმერელ აზნაურისა.

როგორია კუდაბზიკა? „კუდაბზიკა იმერულად იყო გამოწყობილი, მარდი და მეტიჩარა. იმის ქერა თმაზე, ნისკარტიან ცხვირზე და წერილად გაშკიპინებულს ულვაშებზე რომ შეგეხედნათ, მაშინვე იტყოდი, ეს იმერელი უნდა იყოსო, ასეთს გახრეკილ ცხენზე იჯდა, რომ ძელისა და ტყავის მეტი არა იყო რა. სწორედ წყალში ამოწუნპულს ვირთაგვასა ჰგავდა. კუდაბზიკაც სწორედ მოსჩიმავდა ხოლმე სადავეს, რომ თავის ბედაურისთვის კისერი მოედრიკა და ამასთანავე ჰკრავდა დეზებიან ქუსლსა."

მიუხედავათ ასეთი სასაცილო შეხედულებისა, კუდაბზიკა მაინც აზნაურია და ამის შეგნება არასოდეს არ ავიწყდება. გლეხის ტყაპუჭში გამოხვეულ აზნაურს ის ხელსაც არ მისცემს. ეს მისი წოდებრიობის შელახვაა.

გ. წერეთელი, როგორც აზროვნებით რაციონალისტი, აღზრდილი მესამოციანე წლების ლიტერატურაზე, მიმართულებით შეგნებული რეალისტი, „შეუფერავი" სინამდვილის გადმომცემი, უფრო კონკრეტული, ნამდვილი პიროვნებებით სარგებლობს.

ცნობილია ზემო იმერეთში, საიდანაც იყო თვით ავტორი, რომ ზოგი მოქმედი პირნი „მგზავრის წერილებისა" და „რუხ მგელში" გამოყვანილი აზნაური ავთანდილ კვემატაძე, თავის დაუმთავრებელი ოდით, ნამდვილი პიროვნებებია. ეს ოდა დღესაც დაუმთავრებლათ გამოიყურება დამპალ ბოძებზე.

მაგრამ ასეთი მოვლენა არ შეიძლება ჩაეთვალოს მწერალს პასივში. ეს არ არის ნამდვილი ფოტოგრაფიული სურათი (როგორც ეს ჰგონია კ. აბაშიძეს). გ. წერეთელს, როგორც აღვნიშნე, განვითარებული ჰქონდა მხერითი ნიჭი, გარეგანი მსოფლიოს შეგრძნობის. იგი აზროვნებდა უფრო კონკრეტული სახეებით.

ცნობილია შემოქმედების ფსიქოლოგიაში, რომ ზოგი მწერლები სხვის პიროვნებას შეიცნობენ ინტელექტუალური გზით. ისინი უკვირდებიან გარეგან გამოხატულებას სხვისი პიროვნებისას და შემდეგ ავსებენ მის სულიერ მხარეს თვითონ. სისტემატიურად უკეთებენ კონსტუქციას. ეს არის ე. წ. მეცნიერული მეთოდი. ასეთი აზრები აქვს გამოთქმული ე. ზოლას თავის „ექსპერიმენტალურ რომანში". გ. წერეთელიც ასეთი ტიპის მწერალი იყო. იგი თვით იცავდა „შეუფერავ რეალიზმს" და წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ტენდენციური გამოხატულების შეტანისა. და ამიტომ მისი ნაწერები, უმთავრესად: „მგზავრის წერილები", „ჩვენი ცხოვრების ყვავილები" და „რუხი მგელი" მართლაც „ადამიანთა დოკუმენტებია," როგორც ამას ჰქადაგებდენ ძმები გონკურები.

არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, რომ გ. წერეთელმა პირველმა დაუკავშირა ერთმანეთს ჯორი და იმერელი აზნაური („მგზავრის წერილები"), რომელსაც შემდეგში დ. კლდიაშვილმა მისცა უფრო მეტი ფსიქოლოგიური კავშირი („სოლომონ მორბელაძე").

* *

90 წლებში გამოქვეყნდა გ. წერეთლის რომანი „პირველი ნაბიჯი", რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. ეს ნაწარმოები საინტერესოა არა მარტო თვისი შინაარსით და შესრულების კომპოზიციით, არამედ ეს არის ქართულ ლიტერატურაში საუკეთესო ნიმუში სოციალურ რომანისა, რომლითაც, შეიძლება ითქვას, ასე ღარიბია ქართული ლიტერატურა.

რომანი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, არ იცის ანტიურმა ქვეყანამ. იგი ახალი დროის წარმოშობილია. თავის უმაღლეს წერტილს განვითარებისას მიაღწია მე-XIX საუკუნეში, რეალიზმის გაფურჩქვნის ხანაში. მხოლოდ და მხოლოდ რეალური სინამდვილე აძლევს უშრეტ მასალას რომანს, ურომლისოთაც რომანი იგივეა, რაც დრამა უმოქმედოთ, ან ლირიკა სულიერ განწყობილების გარეშე.

„პირველი ნაბიჯი"-თ აღინიშნა ახალი მოვლენა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი. დარღვევა ძველი ფეოდალური წესწყობილების და დამყარება ახალი ეკონომიური ურთიერთობის, როდესაც ცხოვრების სარბიელზე გამოდის ვაჭარი. შემკდარი აზრია, ვითომც ეს მოვლენა პირველად ლ. არდაზიანს აღენიშნოს „სოლომან მეჯღანუაშვილში." რასაკვირველია მარტო რაიმე მოვლენის აღნიშვნით არ შეიძლება ნაწარმოებს მიეცეს მხატვრული ღირებულება, მაგრამ თუ საჭიროა პრიორიტეტი, ეს უსათუოდ გ. წერეთელს ეკუთვნის. „სოლომონ მეჯღანუაშვილი" არის ტიპი ტფილისის მოქალაქის, მევახშის. ბახვა ფულავა კი ვაჭარია. ეს ორი მოვლენა სხვადასხვა კატეგორიებია ეკონომიურ ცხვრების განვითარებაში.

გ. წერეთელი არა მარტო კაზმულ მწერლობაში გვაძლევს სურათს ამ ახალი მოვლენისას, არამედ როგორც პუბლიცისტს, კარგად ესმოდა ჩვენში ბურჟუაზიის გაჩენის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

რკინის გზა, მადნეულობის აღმოჩენა უკვე ნიადაგს იძლეოდა ვაჭრობა-მრეწველობის გასავითარებლათ და ხალხს ეზიდებოდა ქალაქებისკენ. უმთავრესად ტფილისსა და ბათომისაკენ.

1873 წ. „კრებულში" გ. წერეთელი სწერს: „აწ რა რკინის გზა გაიხსნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარ ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: „აი, შენი დედა-ქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ... უამისოდ ტფილისიც საკუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპული. ამას გარდა რკინის გზა ძალიან მჭიდროთ აახლოვებს ამ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ ხასიათების ხალხს. იმერლებსა და ქართლ-კახელებს. იმერელია მარადი, გონება-მახვილი, სწრაფი შგრძნობელი და მალე თავის ამღები. ქართველია მტკიცე, ჭეშმარიტი, ძლიერი და გამტანი. როდესაც ეს ორი თვისება ერთმანეთში გადავა. ერთის ნაკლულოვანება მეორის ღირსებით შეივსება, მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიც ძალიან გადიდდება. იწყებს წარმატებით ჩქარ დენას და კეთილდღეობაც მოახლოვებულია".

„პირველი ნაბიჯი" საინტერესოა არა მარტო ახალი ეკონომიური ურთიერთობის გამოსახატავათ, არამედ როგორც რომანი მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური ანალიზით, მოძრაობით და სიუჟეტის ხელოვნურად გაშლით.

ნაწარმოების ორი უმთავრესი მოქმედი გმირი, ბახვა ფულავა და იერემია წარბა სრულიად მოწინააღმდეგე პიროვნებებია, როგორც თვისი ჩამომავლობით და მიმართულებით, აგრედვე ხასიათით და მისწრაფებით. პირველი, უბრალო მწყემსი, ღარიბი გლეხის შვილი, შემდეგში შემთხვევით თუ თვისი უნარია-

ნობით და ყაირათით ვაჭარი, რომელმაც მოიპოვა სიმდიდრე. მაძიებელი მყუდრო ნორმალური ოჯახური ცხოვრებისა. მეორე თავადი, ოთხ კლასს დამთავრებული, ლამაზი, ახოვანი და დარდიმანდი ყმაწვილი, შრომას მიუჩვეველი და ცხოვრების საერთო ბრძოლაში განზე დარჩენილი, მხოლოდ ვნებათა ამყოლი და წუთიერ სიტკბოების მაძიებელი. ეს ორი მოპირდაპირე ხასიათის პიროვნება ერთმანეთს დაეჯახებიან ლამაზ ესმას გულისათვის.

ბახვა ფულავას უყვარს ესმა ღრმა და ნორმალური სიყვარულით, იგი მასში ხედავს მომავალ მეუღლეს, რომელიც მისცემს მას მყუდრო, ნორმალურ, საღ ბედნიერებას.

ესმასაც უყვარს ბახვა რაღაც ნაზი და კდემამოსილი სიყვარულით, იგი უფრო გულით ატარებს ამ სიყვარულს და ბახვასთვის ვერ გაუმჟღავნებია.

მაგრამ რომანი შეუძლებელია თუ არ არის შებრძოლება და დრამატიზმი, და აი იერემია წარბა მოევლინება როგორც მურმანის ეკალი და იწლება შებრძოლება აღსავსე დრამატიზმით, გმირული შებრძოლებით, შურისძიებით და განცდის სიმწვავით.

იერემია წარბა შემთხვევით მოჰკრავს თვალს ლამაზ ესმას და ეს წუთიერი შეხვედრა საკმაოა, რომ აიშალოს მასში ვნებათა ღელვა და ჟინი ესმას ხელში ჩაგდების. ეს აზრი მოსვენებას არ აძლევს იერემია წარბას, ეს შეიქმნა მის მამოძრავებელ ძალათ. რამოდენიმე შებრძოლების შემდეგ ბახვასთან, იერემიამ გადაწყვიტა, როცა ესმა უკვე მითხოვდა ბახვას, დაეცეს მას და მოსტაცოს ძალით თვისი ვნებათა ამშლელი პიროვნება. ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანას არ დააყოვნებს. ერთ ღამეს თავისი ამხანაგებით დაეცემა ესმას მოსატაცებლად, მაგრამ ვერ ახერხებს და ჟინის ამოსაყრელად სასიკვდილოთ დასჭრის ესმას შემდეგი სიტყვებით:

„თუ ჩემი არ იქნები, ნურც მისი ყოფილხარ“.—ამ ტრაგიულმა მოელენამ დაშალა ბახვას ბედნიერი წუთები, განიავდა მისი სიმდიდრეც. ბახვას მამოძრავებელი ეხლა მხოლოდ-ღა შურისძიებაა იერემიასადმი. „მას აქეთ, რაც საყვარელი ცოლი მოუკლეს, ბახვას ცხოვრებას თითქოს შავი გლოვის ზეწარი გადაეფარა. მის თვალში აღარც მზეს ჰქონდა სინათლე, აღარც მთვარეს. მას მხოლოდ შავი კუპრი ელანდებოდა ამ წუთი-სოფელში; მის გულში მხოლოდ ნავთი და ცეცხლი ღვიოდა და ზედ ზღვევის ალი დაჰგიზგიზებდა.—„სისხლი, სისხლი უნდა ამოვიღო“,—წამოიძახებდა ხოლმე გაშმაგებული ბახვა ხანდახან“.

მაგრამ როგორია ამის შემდეგ იერემია წარბას სულიერი განწყობილება? ნუ თუ მშვენიერ ესმას სისხლმა არ აგრძნობინა მას სინანული?

ავტორს დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით აქვს გადმოცემული იერემიას სულიერი მღელვარება. მკვლელობის შემდეგ იგი მიემგზავრება ტფილისში, თავის ნათესავ ქალთან ვალიდასთან და მისი შემწეობით უნდა ადგილი იშოვოს და თავი იხსნას ბახვას შურისძიებისაგან. იერემია დარჩა მარტო მდიდრულათ მორთულ ზალაში. „ასეთმა სიმდიდრემ მეტად დაჩაგრა იერემიას ფიქრები. „ამისთანა სიმდიდრის პატრონი როგორ უნდა დაბერდეს, ან მას მწუხარება როგორ უნდა მიეკაროს?—გაიელო გულში იერემიამ. ჯერ მას ამისთანა სიმდიდრე არ ენახა. „რაკი აქამდის მოვატანე, აწ ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს-

ვალიდა ჩემი მფარველი იქნება, იმის გამო გენერალიც შემეწევა. თუ ვიშოვნე ჩინი, ახლა ვიშოვნე". მაგრამ ამ დროს უეცრად იცვალა ფერი მისმა ფიქრებმა: თვალწინ გამოეხატა იმ ღამის მკვლელობა და ტანში გააზრიალა. მას ვერ დაეკუწყებინა ესმას ანგელოზური სახე; მისი უკანასკნელი ამოკვნესა თითქოს ყურში ჩასწვიოდა იერემიას შემდეგი სიტყვებით: „აკი მომკლა ამ ურჯულომო"... ამით დაიღრუბლა იმ წუთას მისი ნათელი გამომეტყველობა. „ბედნიერი მაშინ შევიქნებოდი, ესმა რომ სულ თვალითაც არ მენახა. დღეს მე მისი მსხვერპლი შევიქენი. იმ უბედურ ღამეს შემდეგ სულითა და ხორცით მეც დასჯილი ვარ საუკუნოთ". მაგრამ ეს სინანული იერემიას დიდხანს არ გაჰყოლია. იგი გაერთო ვალიდას საზოგადოებაში და სიმდიდრის გულისათვის ჯვარს იწერს მდიდარ სომხის ქალზე, მაგრამ ქორწილის დროს დაატუსაღებენ ესმას მკვლელობისათვის. ტფილისის მაღალ საზოგადოების თვალი ვალიდა კლავ გაანთავისუფლებინებს იერემიას.

ეხლა კი ბახვას შურისძიების გარდა აღარაფერი დარჩენია. თვითონ უნდა მოსძებნოს სამართალი და გაუსწორდეს თავის ესმას მკვლელს იერემიას. დაუმეგობრდება ვიღაც სიმონა ციმბირელს და დაეცემიან ღამით მძინარე იერემიას. „ბახვა შევიდა საწოლში და დაადგა მძინარე იერემიას თავზე. ამ დროს იერემია გაიშმუშნა.

—„ იერემია! —კარგა ხმამაღლათ დაუძახა ბახვამ. იმან თვალები გაახილ.

—„ მოვიდა შენი განწირვის დღე. მოვედი შენი მსაჯული, ესმასაგან გამოგზავნილი.

—„ ამ სიტყვებით დაჰკრა იმან ფერდში ხანჯალი; იერემია შეებრძოლება მაგრამ ამ დროს ციმბირელმა დაჰკრა უკანიდან თავში ხანჯალი იერემიას და ძვალი გაუპო." ბახვა კი თვით გამოეცხადება პოლიციას.— „სამართალი გავაჩინე, სამართალი! ქვეყანამ არ მაღირსა სამართალი და მე თვითონ გავაჩინე. ეს არის ჩემი ცოლის ესმას სამაგიეროთ". დამთავრდა შებრძოლება.

ავტორი დიდი მოხერხებით ატრიალებს კვანძს რომანისას და შლის ხელოვნურად. ნაწარმოებში ცოცხლად დახატულია მთელი ცხოვრების სინამდვილე. თითქმის ყველა წრეები. არისტოკრატიული სალონის ვარსკვლავი ვალიდა, რომელიც თავისი ქცევით ჰხიბლავს ბევრ ძლიერს, ვისზედაც დამოკიდებულია ცხოვრება და ბედნიერება ჩვეულებრივ პიროვნებათა. სასამართლოს მთელი მოქმედება. ქუჩის აბლაკატი „წუნკალა" და ვექილი სივილა.

იერემიას ქორწილის დღეს, ავეტიკას სახლში მზადება, ქალების საუბარი და ჰორაობა. მკითხველის წინაშე იშლება მთელი სინამდვილე ჩვენი ცხოვრების, რომელიც ხან სევდით ავსებს ჩვენ გულს და ხან შურისძიებით. მხოლოდ სიამოვნებით კი არასოდეს. და ეს არის ერთი დამახასიათებელი მანერა გ. წერეთლისა.

P. S. სრულიად მიუღებელია აზრი კ. აბაშიძის იერემიასა და დავითის („გლახის ნაამბობიდან") მსგავსების შესახებ, თითქოს იერემია ფოტოგრაფიული სურათი იყოს დათიკოსი. ეს მსგავსება შეიძლება ამოიწურება მხოლოდ შემდეგით: ორივე თავადია და მეოთხე კლასიდან გამორიცხული. მაგრამ ეს არ აიხსნება გ. წერეთლის მიმბაძველობით. ეს იყო საერთო მოვლენა ჩვენი თავადაზნაურობის და გ. წერეთელიც. როგორც უაღრესად რეალისტი მწერალი გვაძლევს ამ სინამდვილის ტიპს. ისე კი, უბრალო მკითხველიც შეამჩნევს, თუ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის, როგორც ნებისყოფის ისე მისწრაფებისა და მოქმედების მხრივ.

მ. ა.

ს. დევდარიანი

აკაკი წერეთელი და საქართველო

(1915—1925)

I.

... ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავჰქრე, როგორც ლამპარი...
„ნათელა".

თითქო არ ვართ ახლა ისეთ დროში, რომ გვეადვილებოდეს აკაკი წერეთლის მოგონება, თითქო „განქრენ ჟამნი", როცა ეს დიადი მგოსანი გულს გვიძგერებდა, როცა მისი ჰანგებით გვიმაღლდებოდა გრძნობა და გონება, როცა მისი ლექსი სახალხო სიმღერათ იქცეოდა, და თითეულ მის სტრიქონს ხალხის გული ეხმაურებოდა მისივე სიტყვებით:

საიდუმლო ბარათო!
მექმენ... მექმენ მარადო,
სიხარულის მომნიჭეთ
და სევდისა ფარადო.

დიდი გვგონია ის ათი წლის დრო, რომელმაც განელო აკაკის სიკვდილის შემდეგ. ისტორიული ხანა აღარ გვაძებნინებს „საიდუმლო ბარათს" მის ნაწერებში, აღარ გვცალია „ტკბილი ხმებისთვის", საქმე გვაქვს იმდენი, რომ თავს ვერ ვართმევთ. ეს საქმიანი გატაცება ერთმა პროლეტარულმა პოეტმა რუსეთში გამოხატა ლექსათ დაწერილ პროზაში,—ეს ამას ფიქრობს, ის იმას, ჩემი ფიქრი კი უტრიალებს საბჭოთა საქონლის თვითღირებულებასო".

საქონელი—ეს შემადგენელი ნაწილი ნივთიერი სიმდიდრის, შეიჭრა სულიერ სიმდიდრეში, მისი მაღალი, ან დაბალი თვითღირებულებაა „სიხარულის მომნიჭე" და „სევდის" მომგვრელი. ამისთანა მატერიალიზმის ხანაში, თითქო საუკუნეების სიშორიდან მოისმის აკაკის ხმა:

—ამაღლდით გრძნობავ, გონებავ!..
ასცილდით მზეს და მთვარესა!..
შეუკავშირდით ვარსკვლავებს.
მოციმციმ მოელვარესა!

შეიტყვეთ საიდუმლობა
ზეციურ ტკბილი ხმებისა
და შეისწავლეთ კანონი
იმათი შეთანხმებისა!

„საქონლის თვითღირებულების“ ანგარიშებში ვერ შეუკავშირდები „ვარსკვლავებს“, ჩაგიქრება იდეალიზმის კერა...

მაგრამ თურმე შუაგულში
სძინავს ობოლ ნაკვერცხალსა
და ინახავს მერმისათვის
ჩვეულებრივ ნათელ ძალსა!

არ ვიცი, როგორ აქვს შემეცნებული ამა თუ იმ პროლეტარულ პოეტს პროლეტარული მოძღვრება—მარქსიზმი. ვიცი მხოლოდ და ძალიან კარგათ ვიცი, რომ მარქსიზმში არის შეკავშირება მატერიალიზმის და იდეალიზმის—იმ მატერიალიზმის, რომელიც არ იწყება და არ თავდება „საქონლის თვითღირებულებით“, იმ იდეალიზმის, რომელშიაც „მზე და მთვარემდის“ ამაღლება, „ვარსკვლავებთან“ ასვლა სიმბოლიურათ ნიშნავს ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

რა თქმა უნდა, არასოდეს არ მომსვლია და არც მომივა თავში ის აზრი, რომ აკაკის ახლო ან შორეული ნათესაობა ჰქონდა მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან. მაგრამ ის იყო სახალხო მგოსანი, ხალხის წინ ენთო და იწვოდა სანთელივით, ხალხისთვის დნებოდა თავის ჰანგებში და ჰქრებოდა, „როგორც ლამპარი“, ხალხისთვის იყო როგორც „ნათელა“ ახალი სინამდვილის ძიებაში. ახალი სინამდვილე იყო იმისთვის საქართველოს განახლება.

აკაკის, როგორც პუშკინს, გოეტეს და სხვა მსოფლიო მგოსნებს ჰქონდა დაპატარავების წუთები, როცა უხდებოდა ჩაძირვა ამ ქვეყნიურ წვრილმან ინტერესებში, როცა იმას აწუხებდა „ჩემი პენსიის“ და „უფულენციის“ საკითხები. ამისთანა წუთებით არ გაიზომება მისი მხატვრული თვითღირებულება.

მისი შემოქმედების „ხანჯალი“ გულში ესობოდა ადამიანის დამახურდავებელ სინამდვილეს. და იქიდან ამონახეთქი სისხლის მელნით იწერებოდა სურათი მისი დროის:

გამოიცვალა ქვეყანა,
ჩარხი უკუღმა ტრიალებს,
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს
ბულბული ვირებრ ღრიალებს.
ზამთარში სიცხე გვაწუხებს,
ზაფხულში დგება ზამთარი,
სომეხმა ხმალი აიღო
ქართველმა მისი დავთარი!
ქურდები სჭრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულის შვილსა

ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგიან ჰკვიანებს...
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემლა,
ნეტავი რას იგვიანებს".

მგოსანი ვერ ხედავდა ამ სინამდვილეში თვალის დასასვენებელს. ეს იყო იმისთვის ჯოჯოხეთური უფსკრული, რომლისგანაც ის დანტესავით ეძებდა გამოსავალს „მზისაკენ და ვარსკვლავებისაკენ", ეს იყო „ცხრაკლიტული", რომელშიაც იმას ეგულებოდა თავისი „სატრფო"—საქართველო. სხვა გვარი იყო მისი ტრფობა ამ სატრფოსადმი, „სხვა გვარი" იყო მისი სიყვარული.

მის სიყვარულში არ სჩანდა გრძნება (чувственность), მისი გული არ ეკარებოდა „ცბიერ შვენიერებას", მთელი თავისი შემოქმედებითი სიძლიერით ის მიისწრაფებოდა ოცნებაში წარმოდგენილ მშვენიერებისაკენ. ეს მშვენიერება „ხატივით" იდგა იმის წინ და იტაცებდა იმის გულს შორს ამ სინამდვილის საზღვრებიდან.

II.

...და ჰხიბლავს ყოველ არსებას
გარს შემონაშუქ ალითა...
„ქართველი ქალი".

სინამდვილეში არ იყო და არ არის ეს შუქ-მომფენი მშვენიერება—„ქართველი ქალი", როგორც არ არის სინამდვილეში მილოსის ვენერა. ეს იყო და არის განსახიერებული ოცნება ადამიანის, კაცობრიობის.

ჩვენი მგოსნისთვის ეს ოცნება იყო „ბნელში მნათობი", ამითი ის ერეოდა საზარელ სინამდვილეს. ეს იყო ის „უცნაური ძალა", რომელმაც გაამტკიცა მგოსნის გული, რომელიც სულს უდგამდა „სამშობლოს ტანჯვის უძლურ მოწამეს". ეს იყო ის არსება, რომელსაც მგოსანი უმღეროდა:

ხან ქვითინებ გულდაწყვეტით,
შაე ქვესკნელში აძვრენ ხმასა,
ხან იმედი ცაში ავყავს,
აორკეცებ გულისთქმასა.

იმედი ცისა და მიწის შემაერთებელი უკვდავი სულია აკაკის პოეზიაში. „შავ ქვესკნელში" ჩაძირულს ხშირათ აწუხებს უიმედობის განცდა, ხშირათ ეკარგება გულის ძგერა, ხშირათ:

არარაობა სჯობს ამ არსებას
და ტანჯვით შფოთვა ამ მოსვენებას...

მაგრამ:

უეცრათ მთის გადაღმიდან
გამოჩნდა მთვარე სხივ მომფინარე,
მასთანაც მუდამი მისი თანმხრბოლი
მცირე ვარსკვლავი მოსხივეცისკარე!

თვის შუქით კურნებს ტანჯულ ბუნებას,
მშობლურ ალერსით სჭვრეტს მომცინარე!
მით მოუბრუნდა ბუნებას მაჯა
და სულს იბრუნებს მთლად არე-მარე!

„უეცრათ“, „მთის გადაღმიდან“ მოვლენილი სინათლე სულს უბრუნებდა დატანჯულ მგოსანს. ეს „მთის გადაღმა“ თითქო საზღვარია, რომელსაც ვერ გადიცლის უბრალო მომაკვდავი, თითქო „უეცარი“ სასწაულია საჭირო, რომ მოხდეს „მთის გადაღმის“ გადავლა. მგოსანი გრძნობს თავის ჰანგებში სასწაულმოქმედ ძალას, ხედავს გზას „ჯოჯოხეთიდან“ „სამოთხეში“, მისი პოეზია მიდის „აღმართ-აღმართ“. და...

„ცის მახლობლათ ფეხ-ქვეშ ვიგრძენ მიწა მე“.

მგოსანმა დადგა ბიბლიური იაკობის სიზმარში ნახული კიბე, უახლოვდებოდა ცას, უბრუნდებოდა მიწას, მოჰქონდა იმ სინამდვილის „ალი“ და ხიბლავდა ამ სინამდვილის „ყოველ არსებას“.

ეს შეეძლო მხოლოდ გმირს. აკაკის სწამს გმირი, ის ეძებს პრომეთეოსს, რომელმაც უნდა მოიტაცოს ზეციური ცეცხლი და მისცეს ხალხს, აამაღლოს ხალხი.

„მაგრამ ეჰ
სადა ხარ ჩვენში ჯერ გმირო,
რომ ჰკურნო წყლული ხალხისა
და მტერს ძლიერათ უგმირო?“

გმირს, ხალხის გამანთავისუფლებელს, ამ ამმაღლებელს მგოსანი ხედავდა წარსულში, აწმყოში „ჯერ“ არა. წარსულიდან მოგვცა გმირთა დიდი სახეები. შეფეებში, თავადებში ნახულობდა ამ სახეებს. გმირს მიჰყვებოდა და ამითი იმარჯვებდა ხალხი.

აწმყოში, გმირის მაგიერათ, მგოსანი ხედავდა „მკვდარ სულებს“, ახალ გმირს ელოდა მომავლისგან, ელოდა რომ:

ჭეშმარიტება ჩაგრულებს
გამოუგზავნის მოციქულს...
და
მაშინ იქუხებს, იელვებს
ხალხთ ძალი მიძინებული...

ხალხი დარჩება მიძინებული სანამდის არ გამოჩნდება გმირი. ეს იყო აკაკის რწმენა, აქედან იყო მისი—

გმირებს დაეძებს, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა.

გმირის ურთიერთობა ჰქონდა ხალხთან თითონ აკაკის. ის აღეიძებდა თავის სიმებით ხალხის „მიძინებულ“ ძალას, ხალხი გამოჰყავდა ეგვიპტის ტყვეობიდან და მიჰყავდა აღთქმის ქვეყნისაკენ. ხალხს აბრძოლებდა იმ დროინდელი ბატონის წინააღმდეგ, „მდიდარს“ ეუბნებოდა ღარიბის პირით:

კარგათ ვხედავ, შელახულო
გრძნობითა და გონებითა,
რომ ყიდულობ თაღლით გრძნობას
ძალითა და ქონებითა.

თავადობა არ უშლიდა მგოსანს გაესროლა შხამიანი ისარი:

გამდიდრებულხარ, ბატონო,
და ბრწყინავ გარეგნობითა,
თუმცა მოქმედობ გარყვნილის
გონებითა და გრძნობითა
. . . . .
ქვეყანა განწირული გაქვს
გასაცემ, გასაყიდლათა
და მოძმე შენი რათ გინდა
თუ არ კიბეთ და ხიდათა:
ფეხითა მათი მსრესელი
ასულხარ მაღლა სერზედა
და იმ მაღლიდან აფურთხებ
შენ წინ ქედმოხრილ ერზედა".

აკაკი საუკეთესო მაგალითია იმისი, რომ გვარიშვილობაზე არ არის დამოკიდებული ადამიანის მიმართულება. მხატვრული შემოქმედების დასაფასებლათ არ გამოდგება დაბადების და ჩამომავლობის მოწმობა. ბატონათ დაბადებული აკაკი იყო შეურიგებელი მტერი ბატონის და ნამდვილი პირისუფალი ტანჯული ხალხის.

ვინმე იტყვის ამ სტრიქონების წაკითხვაზე—უხეირო მარქსისტი რომ არ იყოს, მარქსიზმი რომ სულ არ დავიწყებოდეს, როგორ დასწერდა ამასო. ვიტყვი ახლავე ამისთანა მკითხველის საყურადღებოთ, რომ მარქსის მსოფლმხედველობაა:—ბატონი და ხალხი დგას ერთი მეორის პირდაპირ მოწინააღმდეგეთ, შეურიგებლათ, და მარქსის მსოფლმხედველობა არ არის,—ბატონი დედმამისგან დაბადებული უთუოდ ბატონის ბანაკში დარჩება, და ვერ მიემხრობა ხალხის ბანაკს.

III.

...„ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო".
„თემურლენგის ტყვე."

ამას ხშირათ გაიგონებთ აკაკის ჰანგებში. სანთელივით დნება თითონ სამშობლოს წინ, მთლიანათ ეწირება, და მთლიან მსხვერპლს, ხორცით და სულით შეწირვას მოითხოვს სამშობლოსთვის. მისი ისტორიული გმირები ადიან ამ უკანასკნელ მწვერვალამდის და საქართველოს გამოსახსნელათ სამსხვერპლოზე მიაქვთ სული, რწმენა, რჯული.

არც ერთ კუნჭულს თავისი არსებისას მგოსანი არ იტოვებს თავისთვის. თავგანწირვა ბოლომდის,—ასეთია მისი მხატვრული შემოქმედების მისწრაფება.

იშვიათია მსოფლიო მწერლობაში ამისთანა რამე. ამისთანაა ვითომ იბსენი. მისი გმირები მოითხოვენ უკანასკნელ მსხვერპლს, დაცარიელებას. მაგრამ ისინი შორდებიან ხალხს და გაუგებარი რჩებიან ხალხისთვის. მსხვერპლის იდეა, რომელიც არის აკაკის შემოქმედებაში, შემაერთებელია ხალხთან, ის ვერ მოშორდება ხალხს. იბსენის ინდივიდუალიზმი არ არის აკაკის ბუნებაში. მისი „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო". აკაკი არ არის იბსენის ბრანდი, რომელსაც სწამს მხოლოდ თავისი მე, თავისი ამაღლება. აკაკის არ სწამს თავისი ამაღლება ხალხის აუმაღლებლათ. მისი რწმენაა:

ამმაღლებელი ხალხისა
თვით ამაღლდება ცათამდე.

ხალხის, საქართველოს გარეშე აკაკისათვის არის არაარაობა. ის ეძებს საქართველოს, როგორც ტარიელი ნესტანდარეჯანს. ის საქართველო, რომელსაც თვალით ხედავს, რომელიც ყურით ესმის, ციხე და ცხრაკლიტულია, სადაც ზის მზეთუნახავი, მშვენიერი, თვალ-ყურით მიუწდომელი საქართველო.

აკაკი აღფრთოვანებულია ამ ძიებაში. აქ ის თავს გრძნობს დაუღალავათ, შეუდრეკელათ, — „თავი ტარიელ მგონია"... და ტარიელის წუხილი, ცრემლი თან ახლავს მგოსნის აღფრთოვანებას. ნესტანდარეჯანი — საქართველო იწვევს იმის ცრემლსაც და იმის აღფრთოვანებასაც:

ჩემი სამშობლოს სიცილი
და მისი მწარე კვნესაო
ორივე ერთად სიმებმა
შიგ გულში ჩაიკვნესაო

„გულში ჩასკვნაა" მუდმივი სისხლის ბრუნვა და სასიცოცხლო ძალა აკაკის პოეზიაში. ლ. ტოლსტოი სწერდა ერთხელ ლ. ანდრეევს, — მაშინ უნდა სწერდე ხოლმე, როცა გულზე გადგია სათქმელი და ვეღარ აკავებო, და მაშინ ბუნებრივია, რასაც სწერო. ანატოლ ფრანსს აქვს ერთ ალაგას, პოეზია გაგრძელებაა სულისო.

ასეთია აკაკის პოეზია და აკაკის ნაწერები

ცრემლში მიღესავს ნაღველი
და მელნათ ის მიხმარია.

და ჩვენ უბრალო მომაკვდავები ვგრძნობთ, რომ აკაკი ძალიან იშვიათათ ხმარობს სხვა მელანს, და სადაც ხმარობს, იქ ის სუსტია.

აკაკიმ შესწირა თავისი მხატვრული სული იმ ნესტანდარეჯანს, რომელიც სამარადისო განსახიერებაა საქართველოსი. ერთი ნამცეციც არ დაუტოვებია თავისთვის თავისი შემოქმედებითი სულიერი სიმდიდრისგან.

გ. პლეხანოვმა დაახასიათა ხელოვნება ხელოვნებისათვის. — ეს მაშინ იკიდებს ფეხს, როცა მხატვარი შეურიგებლათაა განწყობილი სინამდვილესთანო. მაშინ მხატვარი ჰფიქრობს მხოლოდ თავისთვის, თავს ივიწყებს „ტკბილ ხმებში", ემიჯნება საზოგადოებრივ ცხოვრებას.

აკაკი შეურიგებლათ იყო განწყობილი თავისი დროის საქართველოსთან და არც ერთი ხმა არ გამოულია თავის სიმებიდან თავდავიწყების მიზნით. ხე-

ლოვნება ხელოვნებისათვის უცხო იყო აკაკის პოეზიაში. მისი თავდავიწყება, დადნობა, გაქრობა ხდებოდა საქართველოსთვის და არა ხელოვნებისთვის.

IV.

„ამ სოფელს გამოთხოვებიხართ. დღეს თუ ხვალ აღარც ერთი აღარ იქნებით და ცხვრებსავით კი დაგიდვიათ თავი!.. არ გიჯობსო, რომ წინააღდგეთ უმწყემსურს და ბრძოლაში დალიოთ სული? განა ეს უფრო ვაჟკაცური არ იქნება და გულის მოსაოხებელი?.. ამ სიტყვამ ელვასავით დაჯერბინა ხალხს და გამოაფხიზლა"...

„ბაში-აჩუკი."

აკაკი გმირს ეძებდა, მაგრამ საქართველოს სასიცოცხლოთ ეძებდა. საქართველოს ისტორიაში ხშირია სასოწარკვეთილებისგან გამოსული გმირობა. ხშირია ისეთი მაგალითიც, რომ ამისთანა გმირობას გადაურჩენია საქართველო. სასოწარკვეთილებაშიაც ჩავარდნილ ერს უბრძოლია სიცოცხლისთვის და მიზნათ არ დაუსახავს თვითმკვლელობა. ნამდვილი გმირი არ წავა ბრძოლის ველზე იმ სულიერი განწყობილებით, რომლითაც მიდიან ვ. ჰიუგოს ნაწარმოებში (отверженные) პატარა-პატარა კაცები ბარიკადებზე.

ვიმეორებ, აკაკი ეძებდა სასიცოცხლო და არა სათვითმკვლელო გმირობას. თვითმკვლელობას უდრიდა მას თვალში „ცხვრებივით თავის გადება", ხელ-ფეხის გაუნძრევლობა და უღელქვეშ კისრის გაჩერება. ამისთანა ერი ვერ იცოცხლებს, სული თუ მოუკვდა, ხორციც აღარ შეურჩება.

აკაკის პოეზია ებრძოდა „თავის გადებას", მოდუნებას, მონებას და მორჩილებას. მისი ჩანგიდან გაისმოდა ხმა შანაურა ბატონის და მეფის რუსეთის წინააღმდეგაც. არ ჰქონდა გზა, არ იცოდა როგორ უნდა გადაექცია ეს ხმა საქმეთ. აქ იმას გულს უკლავდა „ამაო ძებნა". აქ ის ჰგავდა თავის „ჭაბუკს", რომელიც

კვნესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს,
მთა-კლდეთ შებღავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლ მამავალსა"...

პასუხი არ ჰქონდა არსაიდან და თავისი კითხვებით აჭაფებულ მდინარესავით სურდა „გაგლეჯა კლდოვან კლდეთა."

„კლდოვან კლდესავით" ეღობებოდა აკაკის ძიებას მისი თანამედროვე სინამდვილე, უძნელებდა გზას გაკაფვას ნესტანდარეჯანის „ცხრაკლიტულისაკენ." იმედი, „მთის გადაღმიდან" უცრათ გამონათებული „მთვარე" ამხნევებდა და მგოსანი განაგრძობდა ტარიელობას.

ის შეცურავდა ხოლმე იდეალიზმის ტალღებში. სწამდა ყოველად შემძლე, სასწაულმოქმედი მშვენიერება, ხალხს აყურებინებდა მშვენიერი სახეებისკენ, ფიქრობდა, რომ ეს გააღვიებს ნაცრით დაფარულ „ნაკვერცხალს" ხალხში, და ხალხი დაიჯერებს, რომ ძმობა-ერთობა-თანხმობა უკეთესია, ვიდრე ბატონ-ყმობა და ერთი მეორის მტრობა. ხელოვნება აკაკის პოეზიას მიაქვს საზოგადოე-

ბრივი ცხოვრების სამსხვერპლოზე, მაგრამ სწამს, რომ ხელოვნება გარდაქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. მხატვრული სინამდვილის იარაღით ის ფიქრობდა საზოგადოებრივი სინამდვილის გადაბრუნებას.

ამ იდეალიზმის გასამართლებელ სახეებს ის იღებდა მხოლოდ შორი წარსულიდან. აწმყოსთვის და მომავლისთვის კი შესაძლებლათ ვერ მიიჩნევდა „თორნიკე ერისთავს", „ბაგრატ დიდს", „ნათელას", „ადამ ბებურიშვილს" და სხვა ისტორიულ გმირებს.

აწმყოსთვის და მომავლისთვის მხატვრული გრძნობა გზას უნათებდა მშრომელი ხალხისკენ და არა თითო-თითო გმირებისკენ. მისი შემოქმედებითი ალღო ნიშანში იღებდა ახალ გმირს და ეს გმირი იყო მისი გათვალისწინებით მშრომელი ხალხი.

აკაკის პოეზია წინამორბედი იყო მშრომელი ხალხის, რომელიც დღეს გამოვიდა ძიების ასპარეზზე. აკაკი ელოდა ახალ ტარიელს და თავის თავი მიაჩნდა იმის „უძლურ წინამორბედათ". ისტორიამ დაავალა ტარიელობა მშრომელ ხალხს, ის გამოაყვანს ცხრაკლიტულიდან ნესტანდარეჯანს,—შექმნის ახალ საქართველოს, რომელსაც ეტრფოდა „სხვაგვარი ტრფობით" და რომელსაც ვერ მოესწრო აკაკი წერეთელი.

გავა კიდევ არა ერთი და ორი ათეული წელი, და გამოფხიზლებულ ხალხს მისი პოეზია ექნება „საიდუმლო ბარათათ", „სიხარულის მომნიჭეთ და სევდისა უარადა"...

ივ. გომართელი

ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება

1

ჩვენი ცხოვრების რომელ საკითხსაც არ უნდა შევეხოთ, ბოლოს და ბოლოს მაინც მივადგებით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაჰკარგა.

საქართველო იმდენათ გაბეზრებული, ილაჯ-გაწყვეტილი და მოქანცული იყო გარეშე მტრების თავდასხმისაგან, რომ უმრავლესობა კმაყოფილებით შეხვდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას.

ქართველი ხალხი მალე დარწმუნდა, რომ მან ვერ ჰპოვა ის მყუდროება და მშვიდობიანი ცხოვრება, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობისაგან გამოელოდა.

საქართველო იყო მეტის მეტად მოშორებული, რუსეთის ცენტრიდან მოწყვეტილი კუთხე. აქეთკენ წამოსვლა ერთგვარი საშიშროება, საფრთხე იყო.

ამიტომ აქეთ მოდიოდა რუსეთიდან უმეტესად დაბალი ზნეობის, თავზე ხელ-აღებული მოხელე, რომელსაც იზიდავდა საქართველოში ან ზედმეტი ჯამაგირი, ან ქრთამითა და ხალხის გაყვლეფით ქონების შეძენის იმედი.

საქართველოდან ცენტრამდის ხმა ძვირად მიუწვედა და ყველა ამ მიზეზებისა გამო თვითმპყრობელი მთავრობის მოხელეებმა და რეჟიმმა ქართველ ხალხს ჰირზე-ჰირი დაუმატეს.

რუსეთი აწარმოებდა ომს მთიულეთთან. საქართველო გადაიქცა ერთგვარ ბაზად და მცხოვრებლები—განსაკუთრებით გლეხობა—აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვინდენ.

ის ნაწილი ქართველი წარჩინებული წოდებისა, რომელიც რუსეთთან შეერთებას უჭერდა მხარს, დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მთავრობა მას ჩააბარებდა მართვა-გამგებლობას.

კარგი ჯამაგირი, პატივი, სახელი, მშვიდობიანი, კეთილი და უზრუნველყოფილი ცხოვრება.

რა თქმა უნდა, წარჩინებულ წოდებას მოლოდინი არ გაუმართლდა: საქართველო ხელში ჩაიგდეს სათელელად რუსის მოხელეებმა და წარჩინებული წოდება გარიყული დარჩა, თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა.

აი ასეთს პირობებში დაიბადა და გაიზარდა საერთო უკმაყოფილება.

უკმაყოფილო იყო გლეხი, უკმაყოფილო იყო თავადი—თუმცა სხვადასხვა მოსაზრებით.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იფეთქა აჯანყებამ, მაგრამ იარაღით იქმნა ჩაქრობილი.

დაიწყო უფერული ცხოვრება და იმედ-გაცრუებულმა წარჩინებულმა წოდებამ მთელი თავისი ყურადღება წარსულზე გადაიტანა.

პოეზიას დაეუფლა იერემიას ცრემლები და გოდება.

თუ ეს ცრემლები მიმზიდველია და გოდება საგულისხმო ისეთი ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაში, როგორც ალ. ჭავჭავაძე, ვახტ. და გრიგოლ ორბელიანები,—წვრილ-ფეხა პოეტების ხელში ყოველივე ეს გადაიქცა დაუსრულებელ წუწუნად.

ამ წუწუნის გავლენას ვერ ასცდენ ისეთი დიდი მგოსნები, როგორც აკაკი და ვაჟა.

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა.
მოვიკლად წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

გაისმა ამდროს.

რაოდენი ძალა, სიმტკიცე, რწმენა და გარდაწყვეტილება არის ამ სიტყვებში!

ეს არის უკვე დასაწყისი ახალისა.

ეს სიტყვები ეკუთვის ილია ჭავჭავაძეს.

ამ სიტყვებში სრული ადამიანია, მთელი მისი ხასიათი, ბუნება, მიდრეკილება.

აქ არის გრძნობის დამორჩილება, დასადავება, სიმშრალე ქვისა, სიმტკიცე ფოლადისა.

ასეთი იყო ილია ცხოვრებაში—ბევრჯერ მიუკარებელი, ბევრჯერ შეუბრალებელი, ხშირად გულქვა, გაუდრეკელი.

იმის ხასიათს ძალიან ბევრი კუთხე ჰქონდა და სხვადასხვა კუთხიდან მჭვრეტელს ის სხვადასხვანაირად ეჩვენებოდა.

გაიხსენეთ მისი მიმართვა ბედისადმი:

„გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი გავსწორდეთ, ნუ მემალები.
წარვიდენ დღენი შენის უფლების.
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...
შენს დუდუკ[ი]ედა აქამდინ ეხტოდი.
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე.
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი.
მე დავუკრამ და—შენ კი იხტუნე“.

აქ არის ბედის გამოწვევა ხმალში, აქ არის ბედის სრული დამორჩილება, დამონავება, შეკვრა, შებოჭვა და საცინად აგდება.

ბედის ჩაჭერა მუჭში ადვილად, გულდამშვიდებით, ბედზედ სრული გაბატონება, აი როგორი სურათი ისახება აქ.

ეს სიტყვები ამჟღავნებენ რკინის ნებას, რომელიც თავის გზაზე ყოველისფერს გადალახავს დინჯად, მოფიქრებულად, აუღელვებლად.

ასეთს ხასიათში არის ბუნება კლდესავით მტკიცე ადამიანისა, რომელიც არავის არაფრად არ აგდებს. თავს არავის არ უტოლებს და ამპარტავნის მედიდურობით დაჰყურებს ყველას თავისი მიუკარებლობის სიმაღლიდან.

ამისი მსგავსი იყო ილია ჭავჭავაძეში და ეს გამოსჩანს მისი შემოქმედების პირველი სტრიქონებიდანვე.

ის მიმართავს ყვარელის მთებს:

„და შევნატრიდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარს,
სადაც ღრუბელი ვერ ჰბედავდენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლისა....

. . . . . .

იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა“.

აქ არის ამაყი სურვილი განდიდებისა, მიუწდომელობის, რაც რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ნამდვილ შეგნებად არის გადაქცეული.

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო“.

ეს არის საშინელი მსჯავრი, ხოლო ყოველთვის და ყველგან შემცდარი: ქვეყანა ერთი კაცით არსად არ დაწყებულა და ერთი კაცით არ გათავებულა.

მაგრამ აქ საინტერესოა თვითონ ბუნება ილიასი, მისი შეგნება, წარმოდგენა საკუთარ თავზე:

საქართველოში მას მიაჩნია თავისი თავი ერთად ერთ, ყველაზე მაღლა მდგომ ადამიანად.

ილიას პიროვნებისა და ბუნების გასაშუქებლად მეტად საყურადღებოა მისი ლექსი—„პოეტი“:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერესა:
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

შეადარეთ ამას აკაკის პოეტიდან „გარემოების საყვირი“, ან „შუა კაცი ვარ, უბრალო“, და დარწმუნდებით, რამდენი სიამაყე, მედიდურობა, მიუკარებლობა არის ილიას სიტყვებში.

ზეციერი, რომელსაც ცა ნიშნავს ერის წინამძღოლად,—აი ილიას წარმოდგენა.

აქ არის დაყრდნობა საკუთარ თავზე და ერის უფლებათა გადალახვა. ვისაც თვითონ ცა ნიშნავს ერის წინამძღოლად, მისთვის ერის ნება არ არსებობს.

ამავე დროს „კაკო ყაჩაღი", „აჩრდილი" წმინდა დემოკრატიზმის მატარებელნი არიან.

როგორ უნდა შეუთავსოთ ერთმანეთს ასეთი წინააღმდეგობა?

ილია იყო შვილი თავისი დროისა, აღიზარდა მესამოცე წლების ლიბერალურ იდეებზე.

ამიტომ თავისი შეგნებით ის იყო დემოკრატი; თავისი ბუნებით—არისტოკრატი.

რკინის ნება და გრძნობის სრული დამორჩილება,—აი ილია ჭავჭავაძე.

ამიტომ იყო ის პირად ცხოვრებაში და საზოგადო ასპარეზზე ბევრჯერ სასტიკი, მიუკარებელი, გულქვა.

ამავე დროს მისი პირველი ნაბიჯები პოეზიის ასპარეზზე გრძნობით არის გამთბარი.

გაიხსენეთ მისი ლექსი: „გიყვარდეს"...

ამ გულქვა და სასტიკ ადამიანს თურმე სიყვარული მიუძღოდა წინ ყოველგან.

ილია ჭავჭავაძეს მართლაც უყვარდა, მაგრამ მისი სიყვარული არის ნიცშეს სიყვარული, რომელიც სასტიკია, შეუბრალებელი ახლობელისადმი, რადგანაც მას შორეული უყვარს.

„სიყვარულმა უნდა სძლიოს შებრალება და შეცოდება", ჰქადაგობს ზარატუსტრა.

— როგორი სიყვარულია იქ, სადაც სიბრალული არ არის?—ეკითხებით თქვენ.

— ძმანო ჩემნო, ახლობელისადმი სიყვარულს კი არ გირჩევთ თქვენ, არამედ შორეულისადმი, გიპასუხებსთ ზარატუსტრა და განა თვითონ ნიცშე სასტიკი არ იყო, შეუბრალებელი? იყო და იმიტომ, რომ მას მეტისმეტად უყვარდა შორეული.

ილიასაც სძულს ახლობელი და უყვარს შორეული, მომავალი საქართველო.

თუ როგორ ესმოდა მას შორეული, მომავალი საქართველო, ეს მან გამოხატა „აჩრდილში".

რამდენათაც უფრო უყვარდა მას ეს შორეული, იმდენათ უფრო სასტიკი იყო ახლობელისადმი.

გაიხსენეთ ჰაუპტმანის „ჩაძირული ზარი".

ჰეინრიხმა მიატოვა ოჯახი—გრძნობის სალარო—და გაჰყვა რაუტენდალაინს—თავის ოცნებას.

მასთან მიდიან მისი ბავშვები სურით ხელში.

— ეგ რა არის? ეკითხები ჰეინრიხი.

— დედის ცრემლები!

ჰეინრიხი გატყდა და დაიმსხვრა მისი ოცნება.

დედის ცრემლებით სავსე სურა უფრო მტკიცე გამოდგა, ვიდრე მისი ბუნება.

რას იზამდა ილია ჭავჭავაძე, ჰეინრიხის ადგილას რომ ჰყოფილიყოს? ის გამოართმევდა ბავშვებს სურას და დაამსხვრევდა.

კარგია ეს თუ ცუდი, ამისი აწონ-დაწონვა აქ ზნეობრივ სასწორეზე უალაგო იქნება.

ერთი რამ კი აშკარა უნდა იყოს: არის ზოგჯერ ისეთი გარემოება, როდესაც ამგვარი მოქმედება საჭიროა.

2

ყოველი მტკიცე ხასიათი და ძაგარი ბუნება მეტოქეობას ვერ ითმენს, მას პირველობა უნდა და ცდილობს, ყველა მოდრიკოს, დაიმორჩილოს.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე. თავისი დროის მოწინავე საზოგადოებაში ის იბრძოდა პირველობისათვის და გაიმარჯვა კიდეც; გაბატონდა, გაძეფდა ყველგან, ყოველ დაწესებულებაში.

ერთ კაცს არ შეეძლო ნაყოფიერად ემუშავნა იმდენ დაწესებულებაში, რამდენშიაც ილია იყო არჩეული. ამიტომაც ბევრგან ვეღარ ასწრებდა ილია, ბევრგან საქმე ფერხდებოდა.

მაგრამ ის არავის არასფერს დაუთმობდა, რადგანაც პირველობისათვის საჭირო იყო, რომ მისი სახელი ყველგანა ჰყოფილიყო.

თუ სადმე გამოჩნდებოდა მეტოქე, ის ეკვეთებოდა მთელის თავისი სიმკაცრითა და სისასტიკით.

აქ არის სათავე ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის მწვავე ბრძოლისა.

გავრცელებულია აზრი, ილია ნიჭს ვერ იტანდა და თავის გარშემო უნიჭოებს უყრიდა თავსო.

სრული შეცდომაა. განა ივანე მაჩაბელი ილიას მარჯვენა ხელი არ იყო თითქმის ათი წლის განმავლობაში?

ილიას უყვარდა ყოველი ნიჭი მანამდე, სანამ ეს ნიჭი მის ხელქვეითი და მორჩილი იყო.

ილია იყო მძიმე, აუჩქარებელი, დინჯი, ხშირად ზანტი. ის მშრალი გონებით გაზომავდა ყოველივეს რამდენჯერმე და შემდეგ გადასწყვეტდა; გრძნობას არ აჰყვებოდა.

ივანე მაჩაბელი კი იყო ჩქარი, მოძრავი, ვერცხლის წყალი, ფიცხი, გრძნობის აფეთქების ადამიანი.

მათი ბუნება სხვადასხვა იყო, მაგრამ ეს მაინც დიდხანს არ უშლიდა ხელს მათს ერთად მუშაობას.

მაგრამ როდესაც ივანე მაჩაბელმა თავი აიშვა და ილიას წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი, აი მაშინ ჩაისახა უთანხმოება და შემდეგ ჩატყდა მათ შორის ხიდი.

ილიას თვალში ბანკი იყო უდიდესი ეროვნული საქმე, „ღონე ხსნისა“. როგორც მას უწოდებს ილია.

ასეთი საქმის სათავეში ორი წინამძღოლი ილიას არა სწამდა; ივანე მაჩაბელს კი ილია ჭავჭავაძე მიაჩნდა მავნებელ წინამძღოლად. ამიტომ შეტაკება მათ შორის აუცილებელი იყო.

ილიას და ვანოს გარეშემო მთელი მაშინდელი მოწინავე ქართველობა დაირაზმა, ორ მოპირდაპირე ბანაკად გაიყო.

დღეს ჩვენ გვაოცებს ბრძოლის ასეთი გაზვიადება და გაწყვეტება.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მაშინდელი დრო. ბანკი იყო უდიდესი ეროვნული დაწესებულება. მისი წლიური წმინდა შემოსავალი ნახევარ მილიონ ოქროს უდრიდა; უმეტესი ნაწილი ამ ფულისა ხმარდებოდა სხვადასხვა ქართულ კულტურულ საქმეს.

მაშასადამე ვის ხელშიაც იყო ბანკი, იმის ხელში იყო ეროვნული კულტურის საქმე; ვინც გაბატონებული იყო ბანკში, ის გაბატონებული იყო საზოგადო ასპარეზზედაც.

რა თქმა უნდა, ასეთს პირობებში ბრძოლა გამწვავდებოდა და ილია იქნებოდა სასტიკი, ულმობელი, შეუბრალებელი.

ზომიერად მდაბალი, მხარბეჭიანი, მკვრივი, მკვიდრად ჩასკვნილი და ჩაკირული, ძვალ-მსხვილი და ძარღვიანი ბრიხჯაოს ქანდაკება იყო სიმტკიცისა და სიდინჯისა, ბატონობისა და სიმაგრისა.

რა ცეცხლი ან შავი ფიქრი არ უნდა ჰყოფილიყო იმის გულში, იმისი საბე მუდამ აუჩქარებელი იყო.

ის იყო საუცხოო მცოდნე ხალხის ფსიქოლოგიისა და ძლიერი ორატორი, რომლის ყოველ სიტყვას ტყვიის სიმძიმე ჰქონდა და ფოლადის სიმტკიცე.

საქართველო და ქართველი ერი,—აი საითკენ ჰქროდა მუდამ ილია ჭავჭავაძის გონება.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა,
და დაე გვძრახონ,—ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი".

მაგრამ მუდამ იყო დარწმუნებული, რომ ქართველი ერის ინტერესები იმასავით არავის არ ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული.

„აქ არვის—დიდსა, თუ პატარასა—
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული.
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცხასა
ღვთიდ მოუცია მარტო მამული."

ამ სტრიქონებში ორი რამ არის საყურადღებო: აზრი პოეტისა იმის თანამედროვე ქართველებზე და მისი შეხედულება მამულზე.

რაკი ქვეყნის ტკივილით არავის აღარა სტკივა გული და ქვეყანა დაღუპვის პირას არის, საჭიროა ძლიერი ხელი, დიქტატორი.

და მართლაც, ილია ჭავჭავაძე ნამდვილი დიქტატორი იყო ჩვენს საზოგადოებრივს ასპარეზზე მრავალი წლების განმავლობაში.

თუ მამული ქვეყნიური ღმერთია, მის წინაშე უნდა გაჰქრეს ყოველგვარი უთანხმოება და მტრობა, ყველამ მსხვერპლად უნდა მიიტანოს თავისი თავი, ინტერესები და კეთილდღეობა.

ამ აზრს გარკვეულად დაადგა ილია ჭავჭავაძე მას შემდეგ, როდესაც ის ბანკის მეთაური და წინამძღოლი გახდა, მაგრამ ამაზედ ქვეით ვილაპარაკოთ.

ფრთები, მისი ნიჭის თავისებურობამ აქ იელვა თვალის მომჭრელი ელვარებით: იმის გულში დანთებულმა ცეცხლმა დასწვა, დაჰფლითა საბურავი ბრწყინვალეებისა, რომელშიაც გახვეული იყო წარჩინებული წოდება და მაყურებლის წინაშე წარსდგა ძველი ფეოდალი, დიდი ბატონი თავადი ლუარსაბ თათქარიძე.

შეჰხედეს მას და სულყველას სიცილი წასკდა.

ცხოვრების ბატონბატონი, ცხოვრების მეთაური, ცხოვრებაში ყოველგვარი უპირატესობით დაჯილდოვებული წოდება და ამავე დროს სასაცილო თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, სასაცილო თავისი ზნეჩვეულებით, სასაცილო თავისი შეხედულებით, სასაცილო თავისი რწმენით, სასაცილო თავისი მისწრაფებით. სასაცილო, სასაცილო და მხოლოდ სასაცილო!

მოდით, შეჰხედეთ წარჩინებულ წოდებას. დასტკბით და იცინეთ, იცინეთ!

ყოველ გაბატონებულ კლასს მხოლოდ მანამდე შეუძლია ბატონობის შენარჩუნება, სანამ მას შესწევს კიდევ რაიმე ზნეობრივი ან გონებრივი ძალა, სიმტკიცე, ნება,—ერთის სიტყვით რაიმე ისეთი, რაც იწვევს ერთგვარ მოკრძალებას ან პატივისცემას.

როგორც კი გაბატონებული კლასი დაჰკარგავს ამ აუცილებელ შარავანდედს ხელისუფლებისას, ის ჰხდება საბრალო, სასაცილო და უკვე განწირულია.

ილია ჭავჭავაძის უდიდესი ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ „კაცია ადამიანში" მან სასაცილოდ გაჰხადა მთელი წარჩინებული წოდება.

ამ მხრივ საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ ნაწარმოებისა მეტად დიდია.

მაგრამ საზოგადოებრივ მხარეს რომ გვერდი აუქციოთ, მხატვრულის თვალსაზრისითაც „კაცია ადამიანი" შესანიშნაკი ნაწარმოებია.

ეს არის მძლავრი ნაკადული სატირული ხელოვნებისა და ჩვენში ჯერ არც ერთ მწერალს ის არ დაუძლევია. ირონია და ჰუმორი ასხივოსნებულია, აელვარებული. მკვეთრი, ცინცხალი, მოსხლეტილი.

„კაცია ადამიანი" არის ქანდაკება, რომლსაც ვერასფერს ვერ მიუმატებთ, ვერც გამოაკლებთ,—ქანდაკება, რომელშიაც მოცემულია მთელი ეპოქა, მთელი ცხოვრება, წყობილება და წოდება.

რას წარმოადგენს ლუარსაბ თათქარიძე?

წარჩინებული წოდების ზნეობრივსა და გონებრივს გაკოტრებას.

როგორც ვარიანტები ამტკიცებენ, მწერლის თავდაპირველი განზრახვით „გლახის ნაამბობის" დათიკო უნდა ყოფილიყო ლუარსაბის შვილი.

ავტორმა შემდეგ შესცვალა თავისი თავდაპირველი განზრახვა, მაგრამ მაინც აშკარაა—დათიკო ლუარსაბის ღვიძლია, მისი სისხლი და ხორცი.

ლუარსაბს ჩვენ ვეცნობით იმის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დათიკოს კი ჩვენ ვხედავთ მხეცური ჟინით შეპყრობილს.

თუ ლუარსაბი სახეა წარჩინებული წოდების ზნეობრივ-გონებრივი გაკოტრებისა, დათიკო უკვე სრული ზნეობრივი გათახსირებაა.

ლუარსაბი იწვევს სიბრალულსა და სიცილს, დათიკო კი—აღშფოთებას.

დეე ბოლომდე იცხოვროს პირიტყვივით ლუარსაბმა, მოჰკვდეს ბუნებრივად. დაიიკო კი ღირსია სიკვდილისა და ამიტომაც ჰკლავს მას გაბრო.

ვისა ეხედავთ „კაკო ყაჩაღში“?

იმავე ლუარსაბს, იმავე გაბროს.

განა ბატონი „კაკო ყაჩაღში“ ლუარსაბი არ არის? გაბრო კი—კაკო და ზაქრო?

5

„კაკო ყაჩაღი“ პირველი სიტყვიდან მოყოლებული უკანასკნელ სიტყვამდე მარმარილოს ქანდაკებაა, ალაგ დინჯი და თავდაჭერილი; ალაგ აღელვებული, აჩქარებული, ფიცხი.

ამ ქანდაკებასა აქვს სრული სიმშვენიერე ხალასი მარმარილოსი, მაგრამ არა აქვს მისი სიცივე,—სუნთქავს სიყვარულით.

აიღეთ დასაწყისი—ალაზნის ველი და მთების ჩრდილი მთვარის შუქზედ, მეურმე, კაკოს მიერ საკუთარი თავის დახასიათება, ზაქროს ბავშვობა და მწყემსობა,—ყოველი სურათი ნამდვილი ქანდაკებაა, რომელიც თვალს იტაცებს, გონებას ჰხიბლავს და გულს ატკბობს.

ეპიური, ლირიული, რეალური და რომანტიული ისეთის მხატვრულის ზომიერებით არიან შეხამებული, რომ უდიდეს ნეტარებას გაგრძნობინებსთ.

მარტივი რითმა, ხშირად ვაჟური, უბრალო ჩუქურთმასავითა აქვს მოვლებული მთელ ქანდაკებას და უფრო აძლიერებს იმის მშვენიერებას.

ვარიანტებში კაკოს წინ უძღვის პატარა ლექსი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ილიას პიროვნების გამოსარკვევად.

„ნიავო! ჩემო ნიავო!
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,
მსტვინავო, ჩიტო, მსტვინავო,
შენ უალერსე კაკოსა!
სუმბულო, ჩემო სუმბულო,
უჩენოდ შორსა ნუ ჰკნები,
ბულბულო, ჩემო ბულბულო,
მოაკლე ეულს დარდები.
ღრუბელო, ცაზედ მფრინავო,
ნუ ემუქრები კაკოსა,
ღრუბელო, შავო მცურველო,
უსახლო გებრალებოდეს,
მე კისრად ვიღებ, ღრუბელო,
რაც იმას ემართლებოდეს“.

რამდენი გრძნობა, რამდენი სინაზე, რამდენი სისათუთე, რამდენი სითბო, ალერსი და სიყვარულია ამ პატარა ლექსში.

ამ მაგარს, მტკიცე და მშრალ ადამიანს, რომელიც თავის გულში არაფის ჩაახედებდა და ძნელად ცივი გონების ლოღიკას მისდევდა, გულის სიღრმეში მაინც ჰქონებია მიმალული კუნჭული და ამ კუნჭულში ზრდილა სიყვარულს.

ვინ უნდა დაიწყოს ეს ბრძოლა?

ზაქრომ, კაკომ, გაბრომ და ყველა იმათთანებმა.

„აჩრდილში“ პოეტს აშკარად აქვს გატარებული შემდეგი აზრი: ქვეყნის განახლება შეუძლია მხოლოდ შრომის შვილს. სხვები კი—დიდკაცი, ვაჭარი, მღვდელი—

„რად შეებრძვის ის ბოროტებასა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?“

ახალგაზრდა მგოსანს შეურყეველად სწამს, რომ მომავალი შრომის შვილისა არის,

„რომ მყოობადი მარტო შენია“.

განა წინასწარმეტყველება არ არის შემდეგ სიტყვებში „აჩრდილიდან“:

„ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.“

შრომის შვილები, რომლებსაც ილია მიმართავს, იგივე გაბრო, კაკო და ზაქრო არიან.

მათ ბრძოლას ილია სთვლის უდიდეს ეროვნულ საქმედ, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს შრომის სუფევის დამყარებით:

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჰეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.“

ახალს ცხოვრებაში აღარ ექნება ადგილი მუქთახორობას, ცარცვასა და რბევას და მთელი საზოგადოებრივი წყობილება დაფუძნებული იქნება შრომაზე,—აი რა აზრია გატარებული აჩრდილის მე XIV თავში.

ბრძოლას მსხვერპლი მოსდევს. მსხვერპლმა კი შესაძლებელია გასტეხოს შრომის შვილი. საჭიროა მებრძოლთა აღფრთოვანება და აი ამ მიზნით სწერს პოეტი „დედასა და შვილს“, „დიმიტრი თავდადებულს“.

ვინც საქვეყნო საქმისათვის, მამულის კეთილდღეობისათვის ჰკვდება, ის უკვდავია.

„ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.
. . . . . .
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა

და, თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,—
ინატრებს გმირის მის დიდებასა."

როგორც თავშივე განვმარტე, მთელი შემოქმედება ილიასი არის ერთი დიდი გეგმა საქართველოს აღდგენისა.

უმთავრესი მოხაზულობა ამ გეგმისა მან შეადგინა ყრმობის ხანაში და შემდეგ მას ავითარებდა, ან შესწორება შეჰქონდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

რა კავშირი აქვს ამ გეგმასთან „განდეგილს"?

მეტად დიდი.

როგორც პოეტური ნაწარმოები „განდეგილი" დიდი ღირსებისა არის. ფორმა და შინაარსი ერთმანეთს უწევენ მეტოქეობას მშვენიერებაში.

აქ უკუდავი და მარადიული პრობლემები ცხოვრების მიღებისა თუ უარყოფისა, კეთილისა და ბოროტისა, ცოდვისა და მადლისა, სულისა და ხორცისა იშვიათი მხატვრობის ქანდაკებაში არიან ჩამოსხმული.

ქართული სინამდვილე პოეტმა შეადარა აწმორებულ დამდგარ გუბეს.

ჰღირს განა ამ გუბეში დარჩენა?

აი საკითხი, რომელიც წამოჭრილია სხვათა შორის „განდეგილში".

ვინც ცხოვრებას გაუბრის, ის მკვდარია; ცოცხალი ადამიანი უნდა დარჩეს ცხოვრებაში, როგორიც არ უნდა იყოს ის, და იმოქმედოს, იბრძოლოს,—აი რისი მტკიცებაა „განდეგილში".

ამრიგად თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში მხატვრული მწერლობის ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე მიზნად ისახავს საქართველოს აღდგენასა და განახლებას.

ამ მიზნის განსახორციელებლად მას საჭიროდ მიაჩნია: ბრძოლა წარჩინებულ წოდებასთან და მისი დამარცხება; „ღარიბთა ერთობა"; გლეხობაზედ დაყრდნობა.

6.

ილია ჭავჭავაძემ პროვინციაში გაატარა ის დრო, რომელსაც ეკუთვნის პირველი და საუკეთესო ხანა მისი მხატვრული შემოქმედებისა.

ის არ იყო ჩაბმული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში და ამის გამო მისი შემოქმედება არ განიცდიდა ძალდატანებას. განზე მდგომი მგოსანი არ უწევდა ანგარიშს ამა თუ იმ წრის მდგომარეობასა და შეხედულებას და თავისუფლად მისდევდა თავის გულისთქმასა და რწმენას.

მაგრამ ილია ვერ დაეტია პოეზიისა და საერთოდ სიტყვაკაზმული მწერლობის საზღვრებში, მისი ბუნება უფრო პრაქტიკული მოღვაწეობის ფართო ასპარეზს ითხოვდა.

ასეთი ასპარეზი მან დაინახა სათავადაზნაურო ბანკში, რომლის გამგეთაც პოეტი აირჩიეს.

ილია არ უყურებდა ბანკს, როგორც უბრალო საკრედიტო დაწესებულებას: ის იყო იმის თვალში ქართველი ერის „ღონე ხსნისა":

„ბანკის ძირი იმან ჩარგო,
ღონე ხსნისა მოგვცა ხელთა".

სწერს ილია ერთ გამოცანაში დიმიტრი ყიფიანზე.

ასეთი საქმის მეთაურობა არა თუ სასახელო და საპატიო იყო, დიდ შესაძლებლობასაც იძლეოდა მომავალში.

„ —შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკანლა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ იქ, უკან ბნელა... ღამეა...

— და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!

— ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

— ვიცი და ვტირი.

— ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

— არჩილ წინ რაღაა, წინ! შეჰბლავლა უეცრად კესომ და ორსავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაიწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა,—შუქია წინისა და შუქი ხომ..

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო.

— სწორეთ.

და ძმანი ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ."

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვის სიტყვებს იმეორებს აქ არჩილი.

არჩილის სიტყვები ილიას სიტყვებია, არჩილის შეხედულება—ილიას შეხედულება, არჩილის რწმენა—ილიას რწმენა.

კესო სასოწარკვეთილი და გამწარებული ხელებს იმტვრევს და სტირის. განთიადს, ხსნას, ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენის თავდებს ილია ამ ცრემლებში ჰხედავს.

კესომ იცის და სტირის; არჩილსაც ეს ახარებს—ცრემლიანი ცოდნა. რას ნიშნავს ეს ცრემლიანი ცოდნა?

წარჩინებულმა წოდებამ უნდა შეიგნოს, რომ წოდებათა შორის ხიდია ჩატეხილი, გულწრფელად, მთელის თავისი სინიდისით მოიწადინოს ამ ხიდის გამთელება და უთუოდ გამთელდებაო.

ამგვარად ილია მთელ თავის იმედს განთიადისას, ე. ი. საქართველოს აღდგენისას წარჩინებული წოდების შეგნებასა და სინიდისზე ამყარებს.

ილია ამოღებული ხმალით შემოიჭრა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში, რომ გაეწმინდა ის ჭაობი, რომელსაც ქართველი ერის ცხოვრება წარმოადგენდა. საქართველოს აღდგენა მან მიანდო ბრძოლას, ღარიბთა ერთობას და გლეხობის შეგნებულ ახალთაობას. ის პირველი ეკვეთა წარჩინებულ წოდებას, რომელშიდაც ჰხედავდა მიზეზს ჩვენი დაკნინებისას.

„ვართ უღონონი,
უგზო-უკვლონი,
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია."

როდესაც ილია სათავეში მოექცა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ნელა-ნელა დაივიწყა ეს ყოველივე.

ახალგაზრდობისას ძირიდან, გლეხობიდან აპირებდა ახალი საქართველოს აშენებას და მაღლიდან აშენება არა სწამდა.

როდესაც გაივლინა და ძალა მოიხვეჭა, მაშინ ძირიდან შენება უარყო და მის მიერ ნიშანში ამოღებული წარჩინებული წოდების შეგნებასა და სინიდისზე დაამყარა თავისი იმედები და ბრძოლის ხმალი გადააგდო...

ამ ხმალს ხელი დასტაცეს გაბროსა, ხაბროსა და კაკოს შვილებმა და ბრძოლა გაჩაღდა, გამწვავდა...

ეს საჭირო იყო მოცემული მასალის დალაგებისა და მისი განხილვისათვის ერთგვარი სისტემის მიხედვით, თანდათანობით უფრო ახლო დროიდან მოყოლებული უკუქცევითი მიმართულებით უფრო ძველი დროისაკენ,—მაგრამ მას სრულიადაც არ გამოჰპარვია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ გარდა ენათა ნათესაობისა საენათმეცნიერო საკითხებში **ენათა ალრევასაც**, ენობრივი ელემენტების შეჯვარედინებასაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ინდოგერმანისტიკას არა ერთხელ აღუნიშნავს ასეთი აღრევა—შეჯვარედინების რამდენიმე ფორმა.[1]

აღრევა-შეჯვარედინების საკითხი ხშირად ყოფილა ხოლმე განხილული კერძო ცნების შესახებაც და ამათში მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სწორედ იმ ენების საკითხი, რომელიც დღეს, როგორც ზემოთ ვთქვით, 1920 წლიდან პირველ რიგში აქვს წამოყენებული **ლენინგრადის სკოლას**,—სახელდობრ ბასკების, ეტრუსკებისა და პელაზგების. ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ შეუდგებით ამათ საკითხს.[2] ჩვენი მიზნისათვის საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ აღნიშნული ენები 1) ინდოგერმანული არ არის და 2) მათი დასაბამი მცირეაზიის მიმართულებით უნდა ეძიოთ. უფრო დაწვრილებით ეს რეზიუმე გამოთქმულია Dr. Jos. Schrijnen-ის ზემოდასახელებულ წიგნში, გვ. 54—55. რომელსაც ჩვენ აქვე მოვიყვანთ.

„როგორ დგას ეტრუსკულის, ბასკურის და პელაზგურის საკითხი?

„ეტრუსკული ენისა და მოსახლეობის სადაურობა ჩვენთვის კვლავინდებურად გამოუცნობია, თუმცა ჩვენ უკვე უახლოვდებით საკითხის გადაჭრას... დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეტრუსკული ენა ინდოგერმანული არ არის და მისი დასაბამი (Ursprung) მცირე აზიაში უნდა ეძიოთ. ეს ნათელჰყვეს de Saussure-მა და განსაკუთრებით G. Herbig-მა.

„შეიძლება მცირე აზიის ენებთან იყვნენ დაკავშირებული სხვა ენებიც, რომელთაც ზოგიერთი მკვლევარნი წინა აზიის ძველი კულტურის მატარებელ ერს, ხეთებს, უკავშირებენ: პირველ ყოვლისა ეს შეეხება საბერძნეთის უძველეს

[1] ასეთ მოვლენებზე ლაპარაკია, მაგ.. H. Paul. Prinzipien der Sprachgeschichte. Halle 1920 გვ. გვ. 390 - 403, სადაც ზოგადი მსჯელობაა აღრევა-შეჯვარედინებაზე და მისი სხვადასხვანაირი სახეა გარკვეული. ამავე საკითხს ეხება Jos. Schrijnen. Einführung in das Studium der indogermanischen Sprachwissenschaft. Heidelberg 1921 (გადმოთარგმნილია 1917 წლის ჰოლანდური გამოცემით Fischer-ის მიერ) გვ. 85-89, სადაც ავტორი ენათა აღრევა-შეჯვარედინების საკითხს უფრო ფართოდ აგენებს, ვიდრე პაული. ის ამბობს: Vielleicht war die Ursprache selbst das Ergebnis einer bedeutenden Stammes- und Sprachenmischung (გვ. 88). ინდოგერმანისტების აზრით ენათა აღრევა პირდაპირი შედგია ან რასათა შეჯვარედინების (Rassenkreuzung). ან რომელიმე კულტურული ერის ენის მიღება-მეთვისების (იქვე. 105).

[2] უადგილოა იქნებოდა აქ ამის განხილვა: იმ ზომად დიდია ეს საკითხები და იმნაირად არის მათი გადაჯაჭვა საერთოდ ხმელთაშუა ზღვის კულტურის საკითხებთან დაკავშირებული, რომ უადგილო იქნებოდა აქ, მოკლე შენიშვნაში, მათი შეხება. მსურველთათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კერძოდ ეტრუსკებისა და პელაზგების საკითხში საკმაოდ კარგ ორიენტაციას იძლევიან G. Körte და F. Skutsch: Pauly-Wissowa's Realencyclopädie d. Altertumswissenschaften VI 730—806 და Ed. Meyer Die Pelasager: Forschungen zur alten Geschichte I 1—124.

მობინადრე (Ureinwohner) პელაზგების ენას, შემდეგ ლემნოსის პრეელინური წარწერისას, და საბერძნეთის კუნძულებზე პოვნილი ნაშთების ენას. ფინკის დასკვნით მცირე აზია, სამხრეთი ბალკანეთი და ეგეოსის ზღვის კუნძულები ოდესღაც ერთისა და იმავე რასით უნდა ყოფილიყო დასახლებული.

„ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, აქვს თუ არა კავშირი კავკასიური ენების უხარმაზარ ჯგუფთან ხეობების ენას, — რომელიც უთუოთ ნარევ ენას წარმოადგენს. აგრეთვე ბასკური ენაც, რომელიც ძველ იბერთა ენის მონათესავეა, შეიძლება უფრო ახლო კავშირში იყვეს ამ ენებთან ისევე, როგორც (პაულისა და ტომსენის მიხედვით) ეტრუსკულიც. Das Kaukasisch-dürfte als ein Glied zwischen Indogermanisch und Semitisch-Chamisch einerseits und den ural-altaischen Sprachen andrerseits betrachtet werden... მიუხედავად ამისა შეუძლებელია ჯერ-ჯერობით ლაპარაკი ყველა ამ დახლართულ გენეალოგიურ შემთხვევათა საბოლოო გადაჭრაზე“.

რომ ინდოგერმანისტიკა სწორ გზას ადგა თავის კვლევა-ძიებაში შესახებ ხმელთაშუაზღვის კულტურისა, ამას თვით ნ. მარრიც აღიარებდა. საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ნ. მარრი საკითხს ისტორიულ-გენეტიურად იკვლევს, ის ყველგან აღნიშნავს, რომ რომელიმე ევროპიელმა მეცნიერმა თავის, ლოღიკურად სწორ გზაზე მიაღწია პუნქტს, სადაც ის იძულებულია შეჩერდეს. ეტრუსკების საკითხის გარკვევის დროს, მაგ., ნ. მარრი ამბობს:

„Нѣмецкому ученому Борку линія связи представлялась достигающей от Этруріи до Элама. „Не только“ писалъ онъ въ рецензіи на работу A. Fick-а „повторно всплываютъ въ діалектически оттѣненныхъ формахъ тѣ же самыя названія божествъ Таткц (Tarqu Targu) и Тешир на всемъ пространствѣ отъ Этруріи вплоть до Элама, непрестѣживается также въ широкомъ распространеніи рядъ созвучныхъ образовательныхъ элементовъ ономастикона...“ (ZBO, 1921, 25, 323). Боркის ამ სიტყვებს მარრი დასძენს... „Если бы Боркъ былъ знакомъ съ основными положеніями яфетической теоріи, то онъ мог бы глухую ссылку на вообще діалектическую дифференціацію“ замѣнить указаніем на опредѣленное...“

როგორც ვხედავთ ევროპის მეცნიერება სწორ გზას ადგა, ხოლო — როგორც ამას მარრის სიტყვები ნათელჰყოფს — არ ჰმალავდა იმ ხარვეზს თავის კვლევა-ძიებაში, რომლის შეევებას დღეს სცდილობს ლენინგრადის სკოლა.[1]

[1] წინამდებარე მცირე შენიშვნაში შეუძლებელია ჩვენ გრცელად შევეხოთ ლენინგრადის სკოლის მუშაობას და მის მიერ ჩამოყენებულ დებულებებს. ეს რასაკვირველია, უთუოდ საჭიროა — და, როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ თვით ინდოგერმანისტიკამაც დიდი ხანია ყურადღება მიაქცია იმას, რომ ინდოგერმანული ენების ზოგიერთი მნიშვნელოვანი და ჯერ გადაუჭრელი საკითხების გამოსარკვევად უაღრესი მნიშვნელობის არიან სწორედ ის ენები, რომლებიც დღეს ლენინგრადელთა კვლევაძიების ობიექტს შეადგენენ. ამ საკითხების ვრცლად გაშუქება და ლენინგრადელთა მუშაობის შეფასება ამ მხრით შეუძლებელია საჟურნალო შენიშვნაში. ეს მოითხოვს ცალკე გამოკვლევას, რისთვისაც სამწუხაროდ ჩვენი სამეცნიერო გამომცემლობა მომზადებული არ არის. ასე რომ ჯერ-ჯერობით ცალკე შენიშვნებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

IV.

ლენინგრადის სკოლას ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ის – თავისი მამამთავრის ნიკო მარრის სახით,—ენათმეცნიერების გაცხოველებული მუშაობის დროს ევროპას მოევლინა საკმაოდ დიდი მარაგით მცირე აზიისა და კავკასიური ენების მცოდნეობაში. ევროპიელ მეცნიერებს (მაგ., Bopp-ს, Kretschmer-ს, Trombetti-ს) მცირეაზიასა და კავკასიაზე მითითებას უკარნახებდა მხოლოდ ლიტონი დაკვირვება ინდოგერმანულ ენებზე და ზერელე ცოდნა კავკასიური ენებისა, და იმაზე მეტის გაკეთება ევროპის მეცნიერთ არც კი შეეძლოთ: გარდა იმისა, რომ მათ აკლდათ კავკასიური ენების ცოდნა, თვით ის მასალები, რომელთა საშუალებით უნდა გაადვილებულიყო ინდოგერმანისტიკის სადარო და გადაუჭრელი საკითხების გამორკვევა, მეტად მკირე იყო: არ იყო სათანადოდ შესწავლილი ბასკური ენის მასალები, ეტრუსკული ენის კორპუსი მხოლოდ დღის წესრიგში იდგა, ხოლო ბალკანეთის ნახევარ კუნძულის უძველეს ბინადართა ენა სრულებით არ იყო ცნობილი: თვით ახალი ბერძნული დიალექტოლოგია, რომლისაკენაც მკვლევრება უხე მასალას მოელის პრეელინურისა და პროტოელინური ელემენტების გარკვევისათვის უკანასკნელი ოციოდე წლის ამბავია.[1]

ასეთ პირობებში ენათმეცნიერებისათვის დიდ განძს წარმოადგენს ასპარეზზე ისეთი მარაგით გამოსვლა, რომელიც თან მოიტანა ლენინგრადის სკოლამ: მას მოაქვს თან ისეთი მასალების ცოდნა, სადაც ჩამარხულია ვასაღები არა ერთი და ორი საჭირბოროტო საკითხისა. მაგრამ ამ მასალების გამოყენების დროს საჭიროა ძველი მასალებიც არ იქნეს აბუჩად აგდებული, და ესათუის საკითხი, რომელიც ძველი მასალების მიხედვით ბუნდოვანი ან მთლად გამოუცნობიც იყო ევროპიელ მეცნიერებისათვის, ხელახლა უნდა იქნეს გადასინჯული ძველისა და ახალი მასალების მიშველიებით.

მის განკარგულებაში მყოფმა იაფეტური ენების მასალებმა ლენინგრადის სკოლა დაარწმუნა სხვათა შორის იმაში, რომ ხმელთა-შუა ზღვის კულტურის შექმნაში იაფეტური კავკასია თანასწორ-უფლებიან ფაქტორს წარმოადგენს სხვა ორ ფაქტორთან ერთად. ამას ადასტურებს ნიკო მარრის ერთერთი შრომის სათაურიც: Яфетический Кавказ и третий этнический элемент в создании Средиземноморской культуры. ასეთი დებულება კი ავალებს ყველა იმას, ვინც მის გამართლებას ეცდება ამ კულტურის საკითხთა გარკვევის დროს. მარტო იმით კი არ დაკმაყოფილდეს, რასაც იძლევა მესამე ელემენტი ამ კულტურისა, არამედ მხედველობაში იქონიოს მთელი კომპლექსი სამივე ელემენტის მიერ მოცემული მასალისა. ლენინგრადელთა მიერ განხილული ბერძნული ეტიმოლოგიები კი მაგ., ჩვენ გვიჩვენებს, რომ ლენინგრადელები, გატაცებულნი

[1]) პარალელისათვის აღსანიშნავია, რომ ბერძნულმა ფილოლოგიამ თუ სძლია კლასიციზმს და ახალი ბერძნული ენა და დიალექტები მეცნიერების კანონიერ ობიექტად მიიღო, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ახალი ბერძნულის საუკეთესო მცოდნეებს გეორგიოს ხატზიდაკის Einleitung in die neugriechische Grammatik, Lpz. 1892. S. XVI+404 და მრავალი სხვა) და კარლო კრუმბახერს.

ახალი მასალის სიუხვითა და პროდუქტიული პოტენციით, უმთავრეს სამკელ მასალას განსაკუთრებით იაფეტურ სამეფოდან ღებულობენ. თუ ინდოგერმანისტიკის წარმომადგენელნი ინდოგერმანული ენების სადავო საკითხების გამორკვევისას—მაგ., ბნელი და გამოუცნობი (obscure, inconnue) ეტიმოლოგიების გაშუქებისას—ცდილობდენ maximum შესაძლებელისა თვით ინდოგერმანული მასალიდან ამოეწურათ,—და ამაში ისინი ხშირად აჭარბებდენ—, ლენინგრადელები თავისი ნიჭით მეორე უკიდურესობისაკენ მისწრაფებას იჩენენ და სიმძიმის ტენტრო იაფეტურ ენებზე გადააქვთ.

ეს მისწრაფება ჩანს—უკეთ რომ ვთქვათ ჩანდა,—ლენინგრადში არსებული „იაფეტური ინსტიტუტის“ მუშაობის ყოფელ ნაბჯზე. ეხება ეს გერმანულისა თუ ბერძნულის „აქამდე გაურკვეველ ელემენტებს“. ყოველთვის როდესაც ამ გაურკვევლობის გასაღები პოვნილია იაფეტურ ენებში, საკითხი ამოიწურება ხოლმე იმით, რომ ეს გაურკვეველი ელემენტი მთლიანად ცხადდება იაფეტური სამეფოს კუთვნილებად და ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ სად მართლდება ის იდეა შეჯვარედინებისა“, რომელსაც განსაკუთრებით ემყარება თავის მუშაობაში იაფეტური ინსტიტუტი. მაგ., აქამდე გაურკვეველის "Ομηρος-ის არხეტიპად ცხადდება Hobel, რომელიც Hobel-sumer-iber-ის და სხვა ნასკვთა გზით და მრავალი, იაფეტურ ენებშივე შეჯვარედინებული ფორმების შემდეგ ენათესაებად ქართულ „ბრმას“ (Н. Я. Марр. К толкованию имени „Гомер“ ДРАН 1924 январь—март. В. стр. 2—5).

მეორე შემთხვევაში, როდესაც აკად. ნ. მარრი ათენე-ს ეტიმოლოგიას იკვლევს (ა-თენ-ე),[1] ის სრულიად არ იღებს მხედველობაში იმ მასალათა კომპლექსს, რომელსაც იძლევა ბერძნული ენა ათინა-ლმერთიისა და ათინა ქალაქის სახელწოდებისათვის (Ἀθηναία, Ἀθηνάα, Ἀθηνᾶ, Ἀθήνα, ახ. ბერძნული Ἀθήνα). ნიკო მარრი გამოჰყოფს A-პრეფიქსს, ხოლო არ არკვევს მის დანიშნულებას ამ შემთხვევაში. და უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამას ჩვეულებრივ აფხაზურ პრეფიქსად თელის; დასასრულ ძირეულ -თენ-ს ის უკავშირებს „ცხენ-“ს, რომელი შეთანასწორების სემასიური შეჯრძნებისათვის ჩვენ არავითარი კრიტერიუმი არ მოგვეპოვება.[2] ეს შეთანასწორება მიკუთვნილია იმ ეპოქას, რომლის შესწავლას, ჩვენის წარმოდგენით, წინ უნდა უძღოდეს უფრო ნაცნობი ეპოქის შესწავლა, ე. წ პროტოელინურისა და ელინურის.

ასევე იქცევა მეტ შემთხვევაში ფ. ბრაუნიც გერმანული ენის გაურკვეველი ელემენტების საკითხში (Die Urbevölkerung Europas und die Herkunft der Germanen Berl.-Stuttg.-Lpz. 1922).

---

[1]) Н. Я. Марр, 'Смерть'—'преисподняя' в месопотамско-эгейском море: ДРАН 1924 январь—март стр. 12—14 ამ ეტიმოლოგიისაგან ძირითადად განსხვავდება ა. ჭენკელის მიერ წამოყენებული ეტიმოლოგია, რომლის მიხედვით ძირეულ ნაწილად მიღებულია ათენ- და არა -თენ-.

[2]) თუ რამდენად უსაფუძვლოა ასეთი დაკავშირება და შეუძლებელია ამ შეთანასწორების აღქმა, შეადარე W. Wundt. Völkerpsychologie VI (Mythus u. Religion III) გვ. 180 და შემდგომი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოურკვეველი (და ზოგიერთი გარკვეულისაც) ეტიმოლოგიების ასეთი გაშუქება შეიძლება ფრიად სახიფათო აღმოჩნდეს მეცნიერულის ჭეშმარიტების თვალსაზრისით. ადვილი წესაძლებელია "Οιγρος-ი" „ბრმა" იყოს, მაგრამ ასეთი შეთანასწორება ძალიან უდროო და არაფრის მთქმელია, ვინაიდან ჯერ-ჯერობით იაფეტური ენების ფონეტიკაც კი არ არის დაშუშავებული და შესწავლილი, არა თუ მათი იქდროინდელი მდგომარეობისა, როდესაც ისინი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში ერთი იმ მესამე ელემენტთაგანი იყო, რომელზეაც სწერს ნიკო მარრი თავის ზემოაღნიშნულ გამოკვლევაშ., არამედ იმ იაფეტური ენებისაც კი, რომელთაც ჩვენ შედარებით უკეთესად ვიცნობთ როგორც სამწერლო ნაშთებით, ისე ცოცხალი დიალექტებით. ეს, რასაკვირველია, იმას კი არ ნიშნავს, რომ ენათმეცნიერი ცუდად უნდა იყოდეს, ვიდრე ჩვენ იაფეტური ენების მკვეთრად ჩამოყალიბებული კანონები არ გვექნება: პირიქით, კანონზომიერების დადგენისათვის საჭიროა აუნდაც ზემოთმოყვანილ შეთანასწორებათა მსგავსი შუშაობის წარმოება, რათა ენათმეცნიერი—კანონმდებელს ჯეროვანი მასალები მიეცეს ხელთ. მაგრამ, როდესაც ეს შეთანასწორებანი მრავლდება ასობით და მათ უდავო ჭეშმარიტებად აცხადებენ ისე, რომ მათ წამომყენებელთ არავითარი მკვეთრი კრიტერიუმი არ უჭირავთ ხელთ,—აი ასეთ პირობებში ფართო ასპარეზი ეძლება ფანტაზიასაც, რომლის შეკვეცა ხანდახან არც ისე ადვილი ხდება. და ამის შედეგია ხოლმე ისეთი მოვლენები, რომ, მაგ., ერთი კალმის მოსმით წყდება „ჰომიროსის საკითხი" „Утверждаю, архетип Гомера есть „Ѳобело" или „тобело-шумеро-иберский" народный баян, чем древнее, тем более не личный, а собирательный творец—поэт, тезка иберского племени" (ნ. მარრი I. c. გვ 5)

აღნიშნულ ნაკლს (ინდოგერმანული ენების გაურკვეველი ელემენტების ახსნის დროს მხოლოდ იაფეტური ენების მასალაზე დაყრდნობა) სრულიადაც არ სპობს აკად. ნიკო მარრის უკანასკნელი განცხადება Индо-европейские языки Средиземноморья: ДРАН იქვე стр. 6-7). აქ ის ახალ დებულებას აყენებს: რასიულად განსხვავებული ინდოევროპიული ოჯახი ენებისა არ არსებობს. ხმელთაშუა ზღვის ინდოევროპიული ენები არასდროს არსაიდან არ მოსულან... ისინი წარმოგვიდგენენ იმავე იაფეტური ენების ახალ მდგომარეობასო.

ასეთი განცხადება შეიძლება ერთის შეხედვით ლოღიკურ დასკვნას წარმოადგენდეს იმ წესით წარმოებული შუშაობისა, რომელიც ჩვენ ზემოთ ნაკლულევანად მივიჩნიეთ: არაფერი ინდოგერმანული არ არსებობს, ყველაფერი იაფეტურია; მაშასადამე მხოლოდ იაფეტურ მასალებს შეგვიძლია დავეყრდნოთ და არავითარ სხვას. მაგრამ, თუ —ამ ახალი დებულებით,—ინდოგერმანული ენები მხოლოდ ახალ სახეს იძლევიან იმავე იაფეტური ენებისა, რომელიც შედეგია ახალი სამეურნეო და საზოგადოებრივი პირობების დამყარებისა, ჩანს ერთს ძველ საფუძველზე აღმოცენებულა ახალი შენობა, „новая по строю формация", რომელსაც ჩვენ აქამდე პირობით უწოდებდით „ინდოგერმანულ ოჯახს". მაშასადამე, მით უმეტეს ძალაში დარჩება ის დებულება, რომელიც ჩვენ ზემოთ წამოვაყენეთ: ახალი ფორმაციის ენათა საკითხის გარკვევაში საჭიროა მასა-

ლების მთლიანი კომპლექსის აღება და არა მხოლოდ იაფეტურისა, ე. ი., ძველი ტერმინებით რომ ვთქვათ, როგორც იაფეტურის ისე ინდოგერმანულის.

ამ გვარად, ჩვენის წარმოდგენით, საკითხის კვლევა-ძიების პროცესი ასეთი უნდა იყოს:

1) ჩვენ გამოვყოფთ როგორც იაფეტურ, ისე ინდოგერმანულ ელემენტებს, ე. ი. როგორც ძირითადი ფორმაციის, ისე ახალი ფორმაციის ელემენტებს;

2) ახალი ფორმაციის ელემენტების გამოყოფისას ჩვენ უთუოდ ვიყენებთ, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს ახალი მიღწევანი ჩვენს დარგში, იმ მასალებს, რომლებიც მოგვცა ინდოგერმანისტიკამ ამ საუკუნე-ნახევრის მუშაობის დროს;

3) კვლევა-ძიება მიმდინარეობს ცოტად თუ ბევრად ნაცნობიდან უცნობისაკენ, და არა უცნობიდან უცნობისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ველარ დავინახავთ ზღვარს Wahrheit-სა და Dichtung-ს შორის.

ასეთი უნდა იყოს გზა „შეჯვარედინების იდეაზე" დაყრდნობისა კვლევის პროცესში, და „ევოლუციის იდეის" გამოყენებისა მეთოდოლოგიურის თვალსაზრისით.

პროფ. გრიგოლ ფერაძეთელი.

ნეაპოლი—რომი—გერლინი.

(სახლვარგარეთის შთაბეჭდილებანი)

I

როდესაც მე 1913 წელს ბერლინის რკინის გზის სადგურზე ჩემს მეგობარ გერმანელებს ვეთხოვებოდი და ერთმანეთს ვეუბნებოდით „auf baldiges Wiedersehen“-ს, არც მე და არც ისინი არ ვფიქრობდით, რომ ეს „მალე“ კარგა ხანს გაგრძელდებოდა და რომ ბევრ მათგანს მე სრულიადაც ველარ ენახავდი. ომმა და მის შემდეგ მომხდარმა ამბებმა საშუალება მომიპეს ყოველ წლივ—როგორც ეს მიღებული იყო ჩვენს სამეცნიერო წრეებში,—მენახულა ხოლმე დასავლეთი ევროპა იქაურ მეცნიერებთან კონტაქტისა და მეცნიერულ მიღწევათა გაზიარების მიზნით: დასავლეთი ევროპა მთლად მოსწყდა ჩვენს ჰორიზონტს.

მხოლოდ გასული წლის გაზაფხულს ვამიღიმა ჰირველმა Tyché-მ და მისი წყალობით საშუალება მოვეკა კიდევ ერთხელ მეხილა დასავლეთი ევროპა და—თუნდაც მოკლე ხნით,—ვზიარებულიყავ მის კულტურას. მოხდა ისე, რომ ნეაპოლის უნივერსიტეტი (რომელიც 1224 წელსაა დაარსებული ფრიდრიხ II ჰოენშტაუფენის მიერ) თავისი არსებობის 700 წლის იუბილეს იხდიდა და ტფილისის უნივერსიტეტი მიწვეულ იქმნა საიუბილეო ზეიმზე. მე წილად მხვდა არჩეული ვყოფილიყავი ტფილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლად, რათა გადამეცა ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის მისალოცი ადრესი, რომელიც შედგენილ იქმნა ჩვენ მიერ ლათინურსა და ქართულ ენებზე, ხოლო მხატვრულად შესრულებული პერგამენტზე პროფ. შარლემანის მიერ. ჩემი ოცნება ხორციელდებოდა და შეუძლებელი თითქოს შესაძლებელი ხდებოდა!

მაგრამ, დიდმა ხანმა გაიარა, ვიდრე ჩემი გამგზავრების საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა. ზეიმის დღე, რომელიც დანიშნული იყო 7 მაისისათვის („Nonis Maiis“—ასე ეწერა მოწვევის ბარათში), ახლოვდებოდა, მე-კი ჯერ კიდევ ტფილისში ვიყავ. აპრილის გასულს, როგორც იქნა, მე გავემგზავრე, მაგრამ შორი გზით: „მოსკოვი—რიგა—ბერლინი“, რადგან გემმა, რომელიც პირდაპირ ნეაპოლში მიდიოდა, გამასწრო. მოსკოვში-კი მომისწრო აღდგომის დღესასწაულებმა და მე დიდხანს შევრჩებოდი იქ, რომ ხელისუფლების წარმომადგე-

ნელთ სათანადო ზომები არ მიეღოთ: ისინი ძე ყველაფერში მშველოდენ, რაც-კი მათგან იყო დამოკიდებული, და 1 მაისს მე უკვე რიგისაკენ გავემართე.

მე ბედნიერი ვიყავ. ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ ეწყობოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, „ერთს ჰფიქრობ, და მეორე ხდება". როდესაც 1 მაისს წითელი დროშითა და მწვანე გირლანდებით შემკული მატარებელი ლატვიის საზღვარს მიადგა, ის იქ დააყოვეს და მოითხოვეს წითელი დროშის ჩამოხსნა. მე-მანქანე, რასაკვირველია, არ დაემორჩილა ასეთ მოთხოვნას: დროშის ჩამოხსნა მას მხ-ლოდ ნაშუალამევს შეეძლო, ე. ი. როდესაც დღესასწაული გათავდებოდა. ამის შედეგი ის იყო, რომ ჩვენ ნაშუალამევის 1 საათამდე საზღვარზე ვიცადეთ და ამ რიგად რიგაში ვეღარ ჩაუსწარით საზღვარგარეთის მატარებელს. მხოლოდ საღამოს 10 საათზე ჩავედით ჩვენ რიგაში და, რადგან მატარებელზე უკვე დაგვიანებული იყო, იქვე გავათიეთ ღამე და მხოლოდ მეორე დილით გაეემგზავრეთ ბერლინისაკენ. ასე რომ, მეორი დღე დაეკარგე. მესამე დღე-კი ბერლინში დამეკარგა, რადგან მე იქ კვირა დღეს ჩავედი, როდესაც დაწესებულებებში მუშაობა არ სწარმოებს: მე-კი ავსტრიის საკონსულოში უნდა მიმეღო „Durchreisevisa". საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ვიზები მეტად აბრკოლებენ მგზავრს: ვიზები კი აუცილებელი სჭირდება ადამიანს. მაგ., იტალიაში ჩასასვლელად მე დამჭირდა ხუთი ვიზა: იტალიის, გერმანიის, ლატვიის, ლიტვისა და ავსტრიის. მადლობა ღმერთს, რომ იმ დროს გაუქმებულ იქმნა ბავარიის ვიზა, და არც განსაკუთრებული ვიზა დამჭირდა „პოლონეთის კორიდორის" გასავლელად. მერე რა საშინელებაა ეს საზღვრები! საყურადღებოა, რომ, რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, მით უფრო ახირებული არიან მოხელეები და მით უფრო ლაპლაპაა მათი ტანსაცმელის ფორმა! დიდი ვაივაგლახი დამჭირდა, რომ გადამერჩინა მისალოცი ადრესი (რომელიც მე მიმქონდა ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის) გაფუჭებისაგან: ისე ხშირად ვეერავდენ ხოლმე მას საზღვარზე; სამაგიეროდ მე არც ერთი მოსკოვის გაზეთი აღარ შემრჩა: ლატვიის საზღვარზე მე ყველა გაზეთი ჩამომართვეს მიუხედავად ჩემი თხოვნისა და პროტესტებისა

აი, ბრენნერიც: მე უკვე იტალიაში ვარ! მე უჩვენებ ჩემს დოკუმენტებს. დოგანის წარმომადგენელნი იშვიათის პატივისცემით მეპყრობიან. ჩემს ბარგს, როგორც დელეგატისას, ისინი არ სინჯავენ. მე თვითონ ვაჩვენებ მათ მისალოც ადრესს, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ამავე დროს ერთ ძალიან სამწუხარო ცნობას გადმომცემენ: ნეაპოლის დღესასწაულები უკვე თავდება! ერთ ხანს მე ძალიან მაშფოთებს ეს ამბავი: ასე შორიდან მოიჩქაროდე და დღესასწაულების დასასრულსა-ღა მიუსწრო! მაგრამ შემდეგ იტალიის თვალწარმტაცობა ყველაფერს მავიწყებს. მე კვლავ ვხედავ ნაცნობ ადგილებს: აი ვერონა, კატულლის სამშობლო, აგერ ბოლონჰა, ფირენცე, აი თვით რომიც! მაგრამ, ჯერ-ჯერობით მე მათ განზე ვტოვებ, მატარებელი მე სამხრეთით მიმაქროლებს: მე ჯერ ნეაპოლი მჭირდება!

თუმცა, შეუძლებელია არ შეამჩნიო ყველა ის სილამაზე, რომელიც მგზავრის წინ იშლება მატარებლიდან. დე, ვაგონში სული გეხუთებოდეს და ჰაერი თამბაქოს კომლით იყოს გაჟღენთილი („vietato fumare"-ს არავინ ანგარიშს არ უწევს)! დე, ირგვლივ იტალიური ენის რაკრაკი ისმოდეს! სამაგიეროდ, როგორი

ლაჟვარდია!... აქვე ხავერდოვანი მინდვრები, ჰაეროვანი მთები და ხუჭუჭა ვენახები! თვალს ვერ აშორებ მათ, იმდენად ფერადოვანი და თვალწარმტაცია ისინი. ასე გგონია, თითქოს ყველა იერი იცინის, თითქოს ყველაფერი ატარებდეს ბედნიერების მხიარულ და უდარდელ ღიმილს! ასე გგონია, თითქოს მწუხარებას არც კი შეძლება ადგილი ჰქონდეს აქ! „სინჯორ, სინჯორ, უკვე ვეზუვი სჩანს“, მეუბნება ჩემი მეზობელი — იტალიელი, რომელსაც იადონი მოჰყავს თან: ის ყველას ეჩვენებს მას და მუდამ ერთსა და იმასვე იმეორებს: „è un masculo, e come canta! “მერე რა გასაკვირია? იტალიაში ყველაფერი მღერის, არა თუ იადონი! მე უკვე ვეზუვის. ის დღეს რაღაც არ ჰბოლავს. და როგორ ღამაზია ის ჩამაყალი მ ის სხივებში, ოდნავ დაბურული მწუხრის ჩაფიქრებული ნისლით! აი, ვეზუვიც მიიმალა... ღამდება... ჩვენ ჯახლოვდებით სადგურს, და, გამოვდივარ თუ არა ვაგონიდან, მაშინვე.. გარს მეკვრის იტალიური ფუსფუსი, მისი განსაკუთრებული ხმაურითა და უდარდელობით. დიახ, ნეაპოლი არ გამოცლილა მას აქეთ, რაკ მე ის არ მინახავს. ის ისეთივე მკვირალაა, თითქოს ერთი წუთითაც არ სცხრება და ისწრაფის ამოსწუროს ყველაფერი... სიცოცხლე ხომ მოკლეა და მალე წარმავალი!

2

მე დავბინავდი Hôtel de Naples-ში Corso Umberto-ზე, თითქმის უნივერსიტეტის პირდაპირ; ეს შენობა მძიმეა თავისი არქიტექტურით, მაგრამ დიდებული, და სრულიად შეეფერება იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა ნეაპოლის უნივერსიტეტს იტალიის განათლებისა და მეცნიერებისათვის! მაგრამ, განა მარტო იტალიისათვის არის ის მნიშვნელოვანი? ჩვენ, ქართველებსაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ჩვენი ახალგაზრდობა მიემგზავრებოდა ხოლმე ნეაპოლში თავის სწავლის დასამთავრებლად და ჩვენ კიდევაც ვიცით ერთ-ერთი ასეთი პიონერის სახელი: ეს იყო გ ე ლ ო ვ ა ნ ი, რომელიც სწავლობდა ნეაპოლის უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათ. ასე რომ ჩვენთვის ახლოა ნეაპოლის უნივერსიტეტი: მ. ნ გაუნაწილა საქართველოს ნაწილი თავისი სულიერი გაძისა. ტყუილად ხომ არ ამშვენებს მისი შენობის ფრონტონს: „Ad haustum scientiarum et seminarium d ctrinarum“.

სასტუმროში მე საბოლოოდ გავიგე, რომ მე საიუბილეო ზეიმის უკანასკნელ დღეს ჩამოვსულვარ და რომ ამას იქით განაგრძობენ სხდომებს მხოლოდ ცალკე სამეცნიერო კონგრესები. მაგრამ ჩემთვის ისინი არავითარ ინტერესს არ წარმოადგენენ: ყველა ისინი ეხებოდენ ან ფილოსოფიას, ან მედიცინას. ის-კი, რაც ჩემს სპეციალობას, კლასიკურ ფილოლოგიას ეხებოდა, უკვე დამთავრებული იყო. მაგრამ არაფერი დამნანებია ისე ძალიან, როგორც ის, რომ მე ვერ მოვისმინე პომპეიში, იტალიის ცის ქვეშ, ჰორაციის „Carmen seculare“, რომელიც დიდამაზიით შეასრულეს პომპეის ფორუმზე იტალიის სტუდენტების — „la gioventù accademica“ს წარმომადგენლებმა. მხოლოდ ერთით ვინუგეშებდი თავს: მარტო მე არ დამგვიანებია დღესასწაულზე. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრავალი სხვა მეცნიერიც, რომლებსაც à la lettre გაუგიათ მოწვევის ბარათში დაწერილი „nonis Maiis“. შემდეგ გამოირკვა, რომ უნივერსიტეტს

დამატებით დაუგზავნია მეორე ბარათიც, სადაც დღესასწაულების დასაწყისი ზედმიწევნით იყო განსაზღვრული 2 მაისით და საიუბილეო ხეიმის წესრიგიც იყო გამოცხადებული. მაგრამ, ეს ბარათი ჩვენამდე არ მოსულა. ალბათ, ის დღესაც იმარხება რომელიმე უწყების კუნჭულებში. ასე თუ ისე, საჭირო იყო „faire bonne mine au mauvais jeu" და მომხდარ ფაქტთან შეგუება.

მეორე დღესვე ვინახულე მე უნივერსიტეტის რექტორი პროფ. Zambonini და ოფიციალურად გადავეცი მას როგორც მისალოცი ადრესი, ისე საჩუქარი,—ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემანი. ადრესმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. განსაკუთრებით დააინტერესა ყველანი მისმა ქართულმა ნაწილმა. ბევრ მათგანს ხომ ჯერ არც კი ენახა ქართული დაწერილობა, რომელსაც ასე ახასიათებს ხახუნის სიმკვირცხლე და ორნამენტიკის ორიგინალობა! ერთი სიტყვით, ადრესს თუმც დაუგვიანდა, მაგრამ მან შეასრულა თავისი დანიშნულება: ტფილისის უნივერსიტეტმა ხმამაღლა ამცნო ყველას თავისი არსებობის შესახებ! რადგან ადრესმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მე საჭიროდ დავინახე შევხებოდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიას, მის ორგანიზაციას, მოღვაწეობასა და მიღწევებს, და რაც უფრო საგულისხმო იყო იტალიელ მეცნიერთათვის,— მე მოკლედ ვამბე საქართველოსა და ნეაპოლის უნივერსიტეტის ურთიერთობის დეტალები წარსულ საუკუნეებში. შემდეგ მე ეს თანახმად რექტორის თხოვნისა—წერილობით გადავეცი, მით უმეტეს რომ ჩემ მიერ ნაამბობი ნეაპოლის უნივერსიტეტის ისტორიისათვის უმნიშვნელო არ იყო. ამის გამო ის ცნობები შეტანილი იქნება დასაბეჭდად დამზადებულ წიგნში: „ნეაპოლის უნივერსიტეტის ისტორია", რომელიც საიუბილეო გამოცემას წარმოადგენს და — თუმცა დაგვიანდა მისი დაბეჭდვა, მაგრამ—ამ მოკლე ხანში გამოვა, როგორც ამას წინათ Zambonini მწერდა

ადრესის პასუხად მე მივიღე ტფილისის უნივერსიტეტისათვის გადმოსაცემად ვერცხლის მედალი, რომელიც მოუჭრიათ 700 წლის იუბილეს გამო: მედალზე გამოხატულია უნივერსიტეტის დამაარსებელი ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი, რომლის გარშემო მედლის ნაპირებზე დაწერილია: FRID. II. NEAP. STVD. VNIV. RESTITVTOR. MCCXXIV. მედლის მეორე ზხარეზე კი გამოხატულია არწივი გაშლილი ფრთებით. მაგრამ საქმე ამით არ გათავდა. მეცა და დანარჩენმა დელეგატებმაც მივიღეთ განსაკუთრებული „tessera". საგანგებო პოწმობა, რომლის ძალით ჩვენ სხვაგანსაც შეგვეძლო ეჩვენებინა ჩვენი ფასპორტი იტალიის რკინის გზებით მოგზაურობის დროს. კიდევ ვეტყი: ჩვენ შეგვეძლო ნეაპოლის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი გვენახულა და დაგვეთვალიერებინა: ყველაფერი ეს იყო gratis. მაგრამ ყველაზე უფრო მე ის მესიამოვნა, რომ ჩვენ უფლება გვქონდა გავეცნობოდით „Scavi nuovi"-ს, ახლად გათხრილ ადგილებს, სადაც მუშაობა პროფ. Della Corte-ს ხელმძღვანელობით სწარმოებს: გარეშე საზოგადოებას ამ ადგილების ნახვის ნებას არ აძლევენ. საზოგადოდ უნდა აღ-



მხოლოდ, რომ ამგვარი მხატვრობით შემკობილი იყო არა ყველა სახლების ფასადები, არამედ, ჩვეულებრივ, ფასადები იმ შენობისა, რომელნიც დუქნებს ან სავაჭრო დაწესებულებებს ეჭირათ. ასე, მაგალითად, ერთი სახლის კედელზე, სადაც სასტუმრო იყო მოთავსებული, გამოსახულია მარცხენა მხარეზე შერკული, ტაძრის კართან მდგომი, ხოლო მარჯვენივ—მშვენიერი სურათი: „Venus Pompeiana" კვადრიგაში, რომელშიაც შებმულია ოთხი სპილო. ამრიგად, სასტუმრო ორი ღმერთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა: ერთი მფარველი ყოფილა მერკური, ვაჭრობისა და მოგების ღმერთი, ხოლო მეორე—ძლევამოსილი ვენერა, პომპეის მთავარი ღვთაება 93 წლიდან ქრ. წინ, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც დიქტატორმა სულლამ წინანდელი ოსკურ-სამნიტური ქალაქი გადააქცია რომის ახალშენად. ამ ახალშენს დაერქვა Colonia Cornelia Veneria Pompeianorum, და იგი გადაეცა კორნელიუსთა გვარის მფარველს, Venus Physica-ს, ტყუილად კი არ სწერია ერთ საარჩევნო აფიშაზე კანდიდატის სახელის შემდეგ: Scripsit Venus Pompeiana, ე. ი. თვით ქალღმერთის მიერ არის დასახელებული ეს კანდიდატი. ტყუილად კი არ ამკობს კედლის მხატვრობას ასე ხშირად ვენერას სახება: აი ისევ ვენერა, ეხლა უკვე ამურის თანხლებით; ეს სურათი მოთავსებულია რომელიღაც დუქნის შესავლის მარცხნივ. მარჯვნივ კი, სიმეტრიის დასაცავად, კედელზე გამოხატულია რელიგიური პროცესია კიბელას პატივსაცემლად. საზოგადოდ რომაელები არ ივიწყებდენ თავიანთ ღმერთებს: მარმარილოთიც, ფერადებითაც უყვარდათ მათ ღმერთების გამოსახვა, ხან ცალცალკე, ხან, როგორც ამას ერთერთ კუთხის სახლის კედელზე ვხედავთ, ყველანი ერთად, ჯუპიტერის მეთაურობით. გარდა რელიგიური ხასიათის გამოსახულებათა, პომპეიელები ხშირად სდგამდენ ქუჩაჯვარედინებზე სამსხვერპლოებსაც. ასეთ სამსხვერპლოებს არაერთხელ შეჰხვედრია კაცი ახალ მოწათხარებზე. ყველაზე უფრო საგულისხმოა ერთი მათგანი: სამსხვერპლოს ზემოთ, კედელზე, გამოსახულია ფორტუნა და ორი ლარი, თვით სამსხვერპლოზე კი, რომელიც კედელშია მოწყობილი, იხედება ნაშთი ფერფლის, ნახშირის და მსხვერპლად შეწირული ჩიტის ძვლებისა. ვინ იცის, იქნებ ეს იყო ვისიმე უკანასკნელი მსხვერპლი ვეზუვის ამოურქეევის წინ!

ბევრ ცნობებს იძლევიან ახლად გათხრილი ადგილები პომპეის ცხოვრების გასაშუქებლად. ამ საყურადღებო მასალების რიცხვს ეკუთნიან აგრეთვე მრავალი, სხვადასხვა შინაარსის **წარწერები**. მათ შორის პირველი ადგილი, ჩემის აზრით, უჭირავთ „საარჩევნო აფიშებს", როგორც გამოძახილს მუნიციპალურ მოხელეთა არჩევნების წინ წარმოებული ბრძოლისას. ჩვეულებრივ ამ აფიშებს არჩევნების წინ სწერდენ წითელი საღებავით. არჩევნების დამთავრებისას აფიშებს კი არ წაშლიდენ ხოლმე, არამედ შეინახავდენ და ახალი არჩევნების დაწყებისთანავე განსაკუთრებული მუშა—dealbator-ი—ძველ წარწერას თეთრი საღებავით დაჰფარავდა და, ამრიგად, ადგილს დაამზადებდა ახალი წარწერისათვის. ამგვარი არჩევნების გარშემო ჩვეულებრივ გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა ხოლმე. არა მარტო ცალკე პირები, არამედ ხელოსანთა მთელი კორპორაციები ისწრაფოდენ—დაესახელებინათ თავიანთი კანდიდატები. ასეთი კორპორაციები კი პომპეიში მრავალად იყო. ასე, მაგალითად, არსებობდა კორპორაციები მეპუ-

რეების, მთელავების, დალაქების, ექიმების, სირაჯების, მზარეულებისა, აგრეთვე მატროსების, ყასბების, მეაბანოეთა, ტვირთის მზიდველთა, მიკიტნებისა და სხვათა. არჩევნების დროს ყველაფერი ეს ამოძრავდებოდა ხოლმე, და იწყებოდა ნამდვილი შეჯიბრება. აი ამ საარჩევნო ბრძოლის გაჭიანურებულად უნდა ჩაითვალოს წარწერები-აფიშები. ამგვარ აფიშებს წინათაც ბევრს იცნობდენ. ახლად წარმოებულმა თხრებმა ამ დარგშიაც შეიტანეს თავისი წვლილი. პირველ ადგილზე ისევ მთელავთა კორპორაცია დგას, როგორც ყველაზე უძლიერესი, რაც გასაგებია: კამპანიის პროვინცია მუდამ განთქმული იყო თავის მაუდის ფაბრიკებითა და სახელოსნოებით! საინტერესოა ასეთი სახელოსნოების მოწყობილობა. კარის შემდეგ იწყება პირდაპირ დერეფანი. მის მარჯვენივ ან მარცხნივ მეკარეა. ის ღებულობდა ქსოვილებს და უკანვე გასცემდა ხოლმე შეკეთების შემდეგ. დერეფნიდან გაიაელია ეზოში. შუაეზოში ვრცელი ცარიელი ადგილია, სადაც გამოჰკიდავდენ ხოლმე გარეცხილ მაუდებს. იქვე ღარია წყლისათვის. ეზოს გარშემო პილგასტრებია, მათ ირგვლივ მოთავსებულია ოთახები მუშებისათვის. ეზოს იქით მისაღები ზალაა და კიდევ მთელი რიგი სხვა სადგომებისა. კიდევ უფრო დაშორებით აუზია მაუდების დასალბობად, და მათი გასარეცხი ადგილები. არის აგრეთვე სპეციალური ოთახები მაუდების მოსათელავად და დასაწნეხად. დაბოლოს, არის სადგომიც, სადაც განჯინებში ინახებოდა გაწმენდილი ტანსაცმელი ან მატერიები იქამდის, სანამ ისინი გადაეცემოდა მეკარის ხელში შემკვეთელთათვის გადასაცემად. ერთი სიტყვით, აქ მთელი ლაბირინტი იყო ოთახების, ეზოების და სხვადასხვა მიხეულ-მოხეული ადგილების. ამრიგად მთელავები, როგორც ძლიერი კორპორაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდენ არჩევნების დროს.

და არა მარტო ისინი: პომპეის მთელი მოსახლეობა, ქალებიც კი, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ბრძოლაში. ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა ერთი წარწერა: „C(aium) Lollium Fuscum aed(ilem) v(iis) a(edibus) s(acris) p(ublicis) p(rocurandis), Asellinae rogant nec sine Zmyrina". აქედან ცხადია, რომ ლოლიი ფუსკს „ედილად" ასახელებდენ (სხვა წარწერაში ის დასახელებულია „დუუმვირად") ვინღაც **ასზელლინები** (უნდა ვიფიქროთ— თავაშვებული ქალები), თავიანთ მეგობარ ქალთან ერთად; ეს უკანასკნელი, სახელად სმირნა, მთელ პომპეიში ცნობილი უნდა ყოფილიყო. კარგი რეკომენდაცია კი არის მომავალი მაგისტრატისათვის, თუ მას ხვას აძლევენ როსკიებში! ამიტომ, პროფ. Della Corte-სთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აფიშა არის ლოლიი ფუსკის მოწინააღმდეგეთა ბრალი, რომლის საშუალებითაც მათ უნდოდათ გაეწბილებინათ იგი ამომრჩეველთა წინაშე. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ ჩვენ გვაქვს ხელში მაშინდელი ყოფაცხოვრების შესანიშნავი სურათი, რომელიც საარჩევნო ჰუმორს მოკლებული არ არის. მის კონტრასტს წარმოადგენს მეორე წარწერა, რომელშიაც, აგრეთვე ოთი ქალი, ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს და თან უმატებენ: „ნეტავი ჩვენს ქალაქს მუდამ ასეთი მოხელენი ჰყავდესო!"

დიახ, მდუმარებს პომპეი, მაგრამ თავისს მდუმარებაშიც იგი მკერმეტყველურად ლაპარაკობს: dum tacent, clamant! მაგრამ თუ საინტერესონი არიან

ბას, მეორე დღის დილიდან კი განსაზღვრული წესრიგით ერთიმეორეს მისდევდენ: ვატიკანი, მუზეუმები და სხ. ეხლა, როდესაც ყველაფერი ეს წარსულშია, მე განსაკუთრებულის სასოებით ვიგონებ რომში გატარებულ დღეებს. რა კარგი, რა მშვენიერი სიზმარი იყო... და—რა სწრაფად დასრულდა იგი! მაგრამ ასეთია ყველა სიზმრები: ისინი მუდამ სწრაფად ჰქრებიან!

რაც შეეხება ფორუმს, მის გათხრას ეხლაც ნელ-ნელა განაგრძობენ, მაგრამ ამ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ამ მუშაობას არავითარი არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, მე მაინც რამდენჯერმე დიდის ინტერესით დავათვალიერე ჩემთვის კარგად ნაცნობი ნანგრევები. როგორც ოდესლაც, მე ჩემი ყურადღება უმთავრესად მივაპყარი ვესტას ტაძარს, Atrium Vestae-ს (სახლს, სადაც ქალწული ვესტალები ცხოვრობდენ) და Domus publica-ს, „დიდი პონტიფიკის“ სამყოფელს. ამ შენობების ნაშთები ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასია, ისევე, როგორც კასტორისა და პოლუქსის ტაძარი, თავისი სამი გადარჩენილი სვეტით. მაგრამ, ამ ნაშთთა გარდა, განა ცოტა არის ფორუმზე კიდევ ნანგრევები, რომელნიც იხიდაენ ძველი რომის მოყვარულთ, ცოტათი მაინც გაცნობილთ მისს ისტორიასთან. ავიღოთ თუნდაც იმ ტაძრის ნაშთები, რომელიც ავგუსტემ ააგო ჯულიოს კეისრის სახელზე. მის დასავლეთ მხარეზე დარჩენილი სვეტის ფუძე უჩვენებს იმ ადგილს, სადაც დასწვეს კეისრის გვამი და სადაც წარმოსთქვა მარკ ანტონიმ თავისი შესანიშნავი სიტყვა კეისრის საკვდილზე. ეხლანდელი რომაელები დღესაც ამკობენ ამ ადგილს გვირგვინებით და ამით თითქოს ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დიდი დიქტატორის სახელი მათთვისაც ნიშნავს რაღაცას. მართლაც, მეტად დიდია ეს სახელი და მეტად ბრწყინვალეა მასთან დაკავშირებული ნაკვთები რომაელთა ისტორიისა. მაინცდამაინც პოეტი არ უნდა იყო კაცი, რომ ფორუმის სიმშვენიერე იგრძნო. დიდებული სანახავია მისი ღვთაებრივი ნანგრევები იტალიის ცის ლაჟვარდის ქვეშ, მზის სხივებით უხვად განათებულნი. თეთრად მოსჩანან სვეტები, აქა-იქ ამართულია კედლების ნაშთები, მოლუშული გამოიყურება. თავის მარმარილოს მოსახულობას მოკლებული, კონსტანტინე დიდის ბაზილიკა. ალაგ-ალაგ ამოსულია ბალახი და მწვანე არშიად შემოვლებია ნანგრევების სითეთრეს. Sacra Via (ღვთაებრივი ქუჩა) კი მიდის წინანდებურად: იგი ხან იკარგება ბალახ ქვეშ, ხან ისევ გამოჩნდება, რომ, მძაფრი მოსახვევის შემდეგ, ნერონის დროინდელი კვაფენილით გაატაროს მგზავრი ტიტეს ტრიუმფალური თაღის ქვეშ. დიახ, ძველმა რომმა დიდი ხანია, რაც განისვენა. მაგრამ ჯერ კიდევ ისმის მისი ხმა; ეს ხმა უბრძანებს ყველას—შეისწავლონ წარსული საუკუნეების თეთრი ნისლით დაფარული სიძველენი.

მაგრამ მას შემდეგაც, რაც ფორუმს მოსკილდებით, დაათვალიერებთ პალატინს მისი ღირსშესანიშნავი ნანგრევებით (აქ აღვნიშნავ მხოლოდ ლივიას სახლს) და ისევ ახალი რომის ქუჩებზე გამოხვალთ, ძველი რომი მაინც არ ჰშორდება მოგზაურს. იგი დროგამოშვებით იჩენს თავს ახალი ზედაფენის ქვეშედან, როგორც ძველი ფრესკა, თუმცა შეთეთრებული, მაგრამ არა იმდენად, რომ საბოლოოდ ადგილი დაუთმოს უფრო გვიანდელ მხატვრობას. მართლაც სადაც კი არ უნდა წახვიდეთ, ძველი რომის სახე ყველგან გამოსჭვივის. ხან

სვეტის, ხან ქანდაკების სახით, ხან კიდევ მთელი შენობის (შეად. დიოკლეტიანეს თერმები) ან კედლის სახით. სწორედ ამის გამო, როგორც მე ზემოთ აღვნიშნე, მყარდება სრულიად განსაკუთრებული კავშირი ძველსა და ახალ დროთა შორის. გგონია, რომ ისინი განუყრელნი არიან და ერთიმეორეს ავსებენ: ეს ერთგვარი დასაწყისი და დასასრულია!

მაგრამ კმარა ძველ რომზე. მარტო ის კი არ მიზიდავდა მე. ასეთივე მიმზიდველი ძალა ჰქონდა ჩემთვის Bibliotheca Vaticana-საც. თავისი ხელნაწერების საუნჯით. 8 საათზე იღებოდა იგი, და მე მუდამ ვცდილობდი, რომ ამ დროსთვის მიმესწრო. მიხვალ San Pietro-მდე და იცი, რომ ეხლავე დაჰკრავს ზარი: იგი რეკავს სწორედ 8 საათზე. ზარის ხმაზე მივბრუნდები მარცხნივ: შევდივარ ალაყაფის კარებში; ვტოვებ ტაძარს მარჯვნივ და მივყვები Viale delli Fondamenta; გვერდით გაუელი პაპის გვარდიელებს, სადარაჯოზე რომ დგანან, და პირდაპირ მივახწევ, ბოლოს, ბიბლიოთეკასაც. ვადგენ ჩემ შესასვლელ ბარათს, ვაწერ ხელს, თანვე აღვნიშნავ ჩემი მოსვლის დროს (ასეთი ჩვეულება აქვთ იქ!), და მშვენიერ Chiostro-ს გავლით შევდივარ თვით ბიბლიოთეკაში. რა კარგად იგრძნობ თავს იქ კაცი! ბიბლიოთეკის პრეფექტს, padre Giovnai Mercati-ს, რომელსაც მე ახალგაზრდობიდანვე ვიცნობ, ჯერ კიდევ არ დავეიწყებივარ, თუმცა ჩვენ ერთმანეთის დიდიხნის უნახავი ვიყავით. ის თითქმის არ გამოცვლილა: მხოლოდ მოხუცებულა, ჩემსავით. იგი ისეთივე საყვარელი, ალერსიანი და გულთბილი, ისეთივე მოქმედი და ენერგიული კაცია. მან იშვიათი სტუმართმოყვარეობით მიმიღო მე. ყველაფერი ჩემს განკარგულებაშია. დამრჩენია მხოლოდ ერთი რამ: ავიღო ბეჭდნული ხელნაწერები და მივჯდე ხელი მუშაობას. და, აი, მე ისევ ნაცნობ გარემოში ვარ. მე წინ მიდევს იოანნე იტალიც დიდი ხნის ნანატრი ხელნაწერები. გადმოვწერ ახალ ტექსტებს, ვადარებ ძველებს დედანთან. მუშაობა კარგად და სწრაფად მიიწევს წინ. წლებს ვერ დაუსუსტებიათ მხედველობა, ვერ შეუსუსტებიათ საძნელო ტექსტების გარჩევის წინანდელი უნარი. ხოლო თუ რაიმე სიძნელე მხვდება წინ, Mercati მუდამ მოემშველება ხოლმე: ტყუილად კი არ გაატარა მან ხელნაწერთა შორის მთელი თავისი სიცოცხლე. ასე, დღითი-დღე, ვმუშაობდი მე ვატიკანში და ასე თანდათანობით გადავწერე, შევადარე, დაახლოვებით დასაბეჭდად შეემზადე იოანნე იტალის ყველა, ჩემთვის ჯერ-ჯერობით საჭირო, თხზულებები. მაგრამ მე მინდოდა გავცნობოდი ქართულ ხელნაწერებსაც და, საზოგადოდ, გამეგო — არის თუ არა ვატიკანში კიდევ სხვა რაიმე ძველნაბეჭდი წიგნები. თქმა და შესრულება ერთი იყო. მე მომიტანეს ყველაფერი, რაც კი იყო ქართული, და მე შევუდექი ამ. ჩემთვის ახალი. მასალების გარჩევას.

არ დავფარავ: ასეთი მუშაობა ჩემთვის გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე იოანე იტალის შრომებზე მუშაობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მე საკმარისად არ ვიცოდი ქართული ენა და არც ისე ვიყავი გაცნობილი ქართული ხელნაწერების დამწერლობას. მაგრამ მე მაინც ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ხელნაწერებს და არც წიგნებს ჩემი იმედები არ გაუმართლებიათ. A priori შეიძლებოდა ეფიქრნა კაცს, რომ იმ სა-

4.

უფრო და უფრო შორს მიმაქროლებდა რომისგან მატარებელი. გავიარეთ ფირენცე (ფლორენცია), ბოლონჲა, ვერონა. მე საკმარისად ვიცნობ ყველა ამ ქალაქებს. ოდესღაც ბევრი ბედნიერი, კარგი დღე გამიტარებია მე იქ, მათ საუნჯეთა შესწავლის დროს. ინდოდა ეხლაც შევჩერებულიყავი ამ ქალაქებში· დავმტკბარიყავ მათი ძეგლების ხილვით, ესტუმრებოდი მათს გრილ ბიბლიოთეკებს. მაგრამ ეს წყეული ფულის საკითხი მიშლიდა ხელს: ის იყო, რომ ბევრჯერ სხვაგანაც თავისა veto-ს ადებდა ჩემ გეგმებს. და, რაც ყველაზე უფრო მწყინდა,—მუდამ უნდა დავმორჩილებულიყავი! მე კი, ფლორენციას რომ თავი დავანებოთ, განსაკუთრებით ვერონა მიზიდავდა. მახსოვს: როდესაც მატარებელი მას მიუახლოვდა, ნათელი, წყნარი ღამე იყო. ჰაერი სურნელებით ჰფშვინავდა. შორს, ჩეულებისამებრ, მოუსვენარი Adiggio ხმაურობდა. და მე ძალიან მომინდა—მიმეტოვებინა მატარებელი, გავჰყოლოდი ვერონას წყნარ ქუჩებს, გამეტარებინა ამ ქალაქში რამდენიმე დღე. მაგრამ ამას წინააღუდგა გონება; სანამ მე ვყოყმანებდი, გაისმა მკვეთრი ხმა: „Partenza". დაიწყეს ვაგონებში კარების მიხურვა, და მე ძალაუნებურად ისევ ჩემ კუპეში ამოვყავი თავი. მატარებელმა განაგრძო გზა და გამაქანა ბრენნეროს მიმართულებით. აქ მე გამოვეთხოვე იტალიას.

შემდეგ გავლილი გზიდან ჩემთვის საინტერესო იყო მხოლოდ ტიროლი, სადაც არა ერთხელ ვყოფილვარ და საკმაოდ დიდხანსაც მიცხოვრია ინსბრუკში. საზოგადოდ, მთელი ეს გადასავალი იტალიიდან ტიროლამდე მეტად ლამაზია. მომცინარე იტალიის შემდეგ თქვენ ერთბაშად შედიხართ მთის დიდებულს, ალაგ-ალაგ საშიშარ სამეფოში. აქ უკვე სხვა ჰაერია, სხვა ხალხი და ზნეჩვეულებანი. სადგურებზე ბავშები Edelweiss-ის თაიგულებს ჰყიდიან. მამაკაცები· ტიროლის დამახასიათებელ ტანსაცმელში გამოწყობილნი, დინჯად ეწევიან ჩიბუხს. ქალები, დანაღვლიანებული სახეებით, ჰყიდიან ყოველგვარ საჰმელებს. და ყველა ისინი ისეთი წესრიგიანი, სუფთა ხალხია, თავქარიან იტალიელებს კი არა ჰგვანან! განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში ერთი პატარა ლამაზი გოგონა, მაგრად დაწნული დალალებით და სუფთა, თუმცა ღარიბული კაბით. პატარა გოგო მთის ყვავილების თაიგულებს ჰყიდდა. მის სახეზე ისეთი სერიოზულობა და ნაღვლიანობა იყო გამოხატული, რომ მე და ჩემმა მეზობლებმა მივაქციეთ მას ყურადღება და გადავწყვიტეთ—გვესაუბრებინა მისთვის და ყველა მისი თაიგული გვეყიდნა. დავუძახეთ მას, დავიწყეთ ყვავილების ამორჩევა. ვკითხეთ, თუ რა ღირდა ყვავილები. „Wie die Herrschaften wollen", გულუბრყვილოდ გვიპასუხა მან. და ისე მოხდენილად იყო ეს წარმოთქმული, რომ ჩვენ ღიმილი ვერ შევიკავეთ, უხვად დავასაჩუქრეთ გოგონა და კმაყოფილებით ვუმზერდით, როგორ გარბოდა ხტუნვით იგი, ბედნიერი, და თან რომელღაც ტიროლურ სიმღერას ღიღინებდა...

ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საზღვრებისგან განსხვავებით, იტალიის, ავსტრიისა და გერმანიის საზღვრები მგზავრებს არავითარ უსიამოვნებას არ აყენებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მატარებლის მიმართ ყველა საბაჟოებს

ვეტისმეტად ზრდილობიანად ეჭირათ თავი: თითქმის არასოდეს არ გვიხდებოდა ბარგის გახსნა, ისედაც გვიჯერებდენ! ასე მშვიდობით ვიმგზავრე მე მჯუნქენამდე, იქ ბერლინის მატარებელში გადავჯექი და მეორე დღეს დილით უკვე ბერლინში ვიყავი.

ბ ე რ ლ ი ნ ი რაღაც მოღუშული დამხვდა. იტალიის მზეს შეჩვეულმა, მე დავინახე ნაცრისფერი ცა. მაგრამ ამასაც როგორმე შეურიგდებოდა ადამიანი,—ცივი კოკისპირული წვიმა რომ არ ყოფილიყო. გარშემო ყველაფერი დაღვრემილად გამოიყურებოდა. წვიმა გაგრძელდა ორი დღე. ამ ხნის განმავლობაში ბე თითქმის არ გამოვსულვარ ჩემი ოთახიდან და წესრიგში მოვიყვანე ჩემ მიერ იტალიაში შეკრებილი მასალები. შემდეგ კი გამოვანათა მზემაც, მაგრამ ეს უკვე სამხრეთის მზე აღარ იყო, და ცასაც აკლდა ის თბილი სილურჯე, როგორიც იტალიაში მინახავს. სამაგიეროდ, ბერლინსაც აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმშვენიერე. მე მიყვარს ბერლინის სიდინჯე და საქმიანობა. აქ ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს და რას აკეთებს. ბერლინელებს ყოველთვის აქვთ გარკვეული მიზანი. ისინი არ მისცურავენ „უსაქმოდ და უაფროდ", როგორც იტალიელები. გერმანელისთვის პირველი ადგილი აზრს უკავია, ხოლო იტალიელისთვის—გრძნობას. ამისგან არის მჟიდროდ დამოკიდებული ყველაფერი დანარჩენიც. ამიტომაც არის, რომ ბერლინში ადამიანი თავისთავად სწორდება, ებმები მუშაობაში, უკუაგდებ ქართველურ უზრუნველობას და ნერვიულად ჰკიდებ ხელს საქმეს, არ გინდა დაჰკარგო არც ერთი წუთი. ასე მემართებოდა მე წინათ, როდესაც მე ჯერ კიდევ ვსწავლობდი ბერლინში. ასევე მოხდა ეხლაც. მე ბევრი რამ უნდა გამეკეთებინა, დრო და ფული კი ცოტა იყო. ძალაუნებურად უნდა აჩქარებულვიყავი. მაგრამ მე მაინც თავი ვერ შევიკავე, რომ უნივერსიტეტში არ შემევლო და არ მენახა, რა ხდება იქ. გადავათვალიერე ლექციების ცხრილი, გავეცანი რამდენსამე სტუდენტს. გამოველაპარაკე მათ, და დავრწმუნდი, რომ გერმანიის Studentenschaft ოდნავ თუ გამოცვლილა, მას სავსებით შეუნარჩუნებინა ყველა თავისი საუკეთესო თვისებები, რომლითაც იგი მუდამ ასე იყო განთქმული. გარდა ამისა, იგი უფრო ზრდილი, სამსახურის გამწევი. მე ვიტყოდი—უფრო მშვიდი გამხდარა. ეს სიმშვიდე ან, უკეთ, ეს სირბილე მხოლოდ ამაღლებს გერმანელებს. ჩემში ისეთი გრძნობა იყო, თითქოს გერმანელებმა პირველ ადგილზე კვლავ **სული** წამოაყენეს. და სწორედ ეს სული იყო, რომ მათ **ოდესღაც** მთელს ქვეყანაზე გაამარჯვებინა. პრუსიის მუშტის ბატონობა გათავდა და, უნდა იმედი ვიქონიოთ, სამუდამოდ. მართლაც, უკვალოთ გამქრალან ბერლინის ქუჩებიდან პრუსიის ოფიცრები, ჯარისკაცთა ურიცხვი რაზმები, ყველა ეს „Wache" ბრანდენბურგის კარებთან და ფრიდრიხ დიდის ძეგლთან. მხოლოდ „grüne Polizei" გვაგონებს კიდევ სამხედრო მუნდირის დროს; იგი ლურჯი. კასკებიანი „Schutzleute"-ს მაგივრობას სწევს. და მართალი რომ ითქვას, ყველაფერი ეს ბერლინს უფრო ამშვენებს: გამქრალა უსიამოვნო სამხედრო-ბანაკური ელფერი. და გერმანიის იანუსს მოუბრუნებია თავისი სახის ის მხარე, რომელზედაც აღბეჭდილია ღრმა აზრი, და არა მუქარა.

დიახ, დღეს გერმანიაში გამეფებულია **აზრი** და ამ აზრის საუცხოო გამოხატულება არის წიგნების უამრავი რაოდენობა მეცნიერების ყველა დარგში.

ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რომ არა მხოლოდ მწერლობის ფაქტი და წესი ჩვენი ფილოსოფოსისა, არამედ მისი სიტყვებიც საუკეთესოდ მოწმობენ თუ რამდენად დაშორებულია იგი იმ აზრს, რომ ეითომ ინტუიტური სულიერი მოქმედების შედეგების ლოგიკურად წარმოსადგენი ფორმით გადმოცემა და დამუშავება პრინციპიალურად შეუძლებელი იყოს. ჩვენის აზრით ბერგსონის შეხედულება შემდეგნაირად უნდა განვმარტოთ: აზროვნება თავისი მიზნით აბსოლუტისადმი არის მიმართული, მაგრამ მას ვერ მიაღწევს. ინტუიცია კი, რომელმაც თავისთავად არაფერი იცის აბსოლუტის, მისწვდება მის წარმოსადგენ ფორმას, როგორც კი ლოგიკური აზროვნება ამის საბაბს მისცემს; შეასრულებს რა ამას, მხოლოდ იმავე ლოგიკური აზრების საშუალებით მოგვცემს მის სურათს. ხოლო აქ სახიფათოა გონებამ ინტუიტურად შეძენილის საზღვრები არ გადალახოს, რასაც მართლა ვხედავთ როგორც კი ლოგიკური აზროვნება საკუთარ ფეხებზე დაყრდნობას მოისურვებს: მაგრამ ეს გარემოება ლოგიკური განხატების პრინციპიალურს შეუფერებლობას როდი მოწმობს, არამედ მისთვის ინტუიციის განუწყვეტლივი დახმარების საჭიროებას: თუ გონება წინააღმდეგობასა და უსისტემობაში გაება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მან ინტუიციით მოპოვებულის ნიადაგი დასტოვა და სცდილობს აბსოლუტს თავისი საკუთარი ძალებით მისწვდეს. მაშინ, ცხადია, კვლავ უნდა ინტუიციას დაეუბრუნდეთ, რათა იდეათა მერყეობას თავი დავაღწიოთ. ინტუიციისა და გონების ურთიერთობის ამგვარი განმარტება ნათელსა ჰფენს ინტიუტური ფილოსოფიის დარგში კრიტიკული მსჯელობის შესაძლებლობის პრობლემას. როდესაც ლოგიკურს აზროვნებას აბსოლუტური ინტუიტური შემეცნების დედა-გული ამოძრავებს, როდესაც იგი ყოველს ნაბიჯზე მისვე იმპულს ემორჩილება. მაშინ, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყვეთ, რომ იგი ნამდვილი საქმის ვითარების სურათის გადმოცემას შესძლებს. მეორის მხრივ კი, თუ ლოგიკური მსჯელობით აბსოლუტის გათვალისწინების ცდა წინააღმდეგობისა და უაზრობის გარდა არაფერს გვაძლევს, ეს უნდა ან ინტუიციის ნაკლს ან მის სისუსტეს მივაწეროთ, ყოველ შემთხვევაში არა აბსოლუტის სფეროში ინტუიტურად ნახულის გადმოცემისთვის ლოგიკური აზროვნების პრინციპიალურს შეუსაბამობას.

ამგვარად ცხადია, რომ ინტუიტურად შეძენილის გადმოცემა პრინციპიალურად შეუძლებელი არ არის და მაშასადამე ყოველივე წინააღმდეგობა და შეუსაბამობა მუდამ თვით იდეათა ნაკლულებას ამჟღავნებს. ამიტომაც შეცთომა იქნებოდა ბერგსონის პოზიტიური შეხედულებანი ლოგიკურად უაზროდ დაგვესახა, ხოლო ინტუიციის სახელით გაგვემართლებია. გვაქვს თუ არა ნამდვილად რაიმე საბაბი ბერგსონის განწყობილება მონიზმის პრობლემისადმი წინააღმდეგობით და შეუსაბამობით სავსედ აღვიაროთ? ღირსაღსანიშნავია, რომ, როგორცა სჩანს, სწორედ ეს პრობლემა ყველაზე მეტს გაუგებრობას ჰბადებს: შტეინბერგენს ჰსურს ბერგსონის ფილოსოფიაში მკაფიო დუალისტური მიდრეკილება აღმოაჩინოს; რადაკრიშნანი აქ დუალისტური და მონისტური ტენდენციის უშედეგო ბრძოლის სანახაობას ხედავს. სახელდობრ: ერთი შეხედვით, თითქოს დუალიზმი სინამდვილის ერთად-ერთი ბრძანებელი იყოს; შემდეგ კი ირკვევა, რომ იგი მოწოდებულია მონიზმს თავისი ადგილი დაუთმოს;

ხოლო ნათლად სჩანს, რომ დუალიზმი პრინციპიალურად უძლურია ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. როდესაც ბერგსონის აზროვნებას ითვალისწინებ, მართლაც იძულებული ხდები, აღიარო, რომ სწორედ ეს დუალისტური ტენდენციაა, რაც მას თავისებურ იერს აძლევს.

„Données immédiates de la conscience"-ის მთავარი პრობლემა ნების თავისუფლების შესახებ ცხადყოფს იმ ძირითად, წინააღმდეგობას, რომელიც დროისა და სივრცის, მატერიისა და სულის შორის გადაუვალი უფსკრულის სახით არსებობს. „Matiére et mémoire" მიმართულია არა ამ წინააღმეგობათა შერიგების, არამედ მათი განმძაფრებისა და გაღრმავებისადმი. მხოლოდ „Evolution créatrice"-ში ხედავთ ამ წინააღმდეგობის შესუსტების პირველს ცდას ონტოლოგიური პრინციპის საშუალებით, რომელიც მოწადინებულია გამოცდილების მოპირდაპირე პოლიუსები სინტეთიურად შეადუღოს. მაგრამ ამავე დროს აქაც საგრძნობი სიმტკიცის მომენტებს ვხვდებით, რომელიც წინანდელ შრომების დუალიზმს კვლავ საფუძველს უმზადებს. რანაირია მატერიის და სულის არსებითი თვისება? ვულგარული დუალიზმი, რომელიც ინტელექტუალისტური გამოცდილების ზედაპირს კმაყოფილდება, მატერიისა და სულისთვის დამახასიათებულ თავისებათა სასტიკ განსხვავებას მიუთითებს, სახელდობრ: მაშინ როდესაც იქ, ნივთიერებაში განფენილი კონტინუუმის სამყაროს სჭვრეტს, აქ სულიერობაში განუფენლობას აცხადებს უმთავრეს მომენტად. თუ ამ დაპირდაპირებას არ გავაღრმავებთ და ერცეულობისა და დროულობის განსხვავებას არ დაუკავშირებთ, მაშინ ნამდვილად მივიღებთ იმას, რითაც რეალობის ორი პოლიუსი უნდა დახასიათებულ იქმნეს. ამასთან ერთად მატერია დახასიათდება როგორც კვანტიტატური, სული კი როგორც კვალიტატური. თუ ამას მატერიალურის აუცილებლობასა და კანონშეწონილებას. ხოლო სულიერის თავისუფლებას დაურთავთ, საბოლოოთ ნათელსა ვყოფთ მატერიისა და სულის შორის არსებულს განსხვავებას. თუ ამ დაპირდაპირებულ თავისებათა კვლევას გავაღრმავებთ, მყისვე დავინახავთ, რომ ხსენებულ თვისებათა დაპირდაპირება ერცეულობასა და დროულობას, პასივობასა და აქტივობას, შემოქმედებით თავისუფლებასა და თვითმყოფ მექანიზმს შორის არსებულს მკაცრ ანტოგონიზმად გარდაიქმნება. გასაგებია ამიტომ, რომ ბერგსონი მატერიასა და სულს შორის არსებულ წინააღმდეგობას ამ ორი პრინციპის წარუხოცველს მტრულ განწყობილებას უკავშირებს.

როგორც კი გავითვალისწინებთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ზრდისა და შემოქმედებითი ევოლუციის იდეას ბერგსონის ფილოსოფიაში, ჩვენს წინაშე აღიმართება საკითხი, თუ სად უნდა ვეძიოთ ის არე, სადაც ევოლუციის პროცესში მატერიისა და სულის წინააღმდეგობა იბადება. ცხადია, რომ ინდივიდუალური ცხოვრება, „მე"-ს ზრდა და განვითარება არარაობა იქმნებოდა, რომ მატერიისა და სულის შორის ანტაგონიზმი არ არსებობდეს: განა მართალი არ არის, რომ ჩვენს საკუთარს სრულყოფას იმ დაბრკოლებათა დაძლევით ვპოულობთ, რომელთაც მატერია გვიმზადებს? მატერია უნდა ინდივიდუალური არსებობის ევოლუციის შესაძლებლობის უცილო წინამძღვრად ჩაითვალოს. თუ საზოგადოდ ცხოვრებას თვალს გადავაელებთ, აქაც მატერიისა და სულის შორის იმავე ბრძოლას შევ-

თავი პირველი.

პალეოგრაფიული ცოდნის მიზანი და თანამედროვე მიღწეულობანი.

წერის ხელოვნებას ქართულად დამწერლობა ეწოდებოდა და ამიტომ ამ ძველ ქართულ ტერმინზე დამყარებული დამწერლობათამცოდნეობა მნიშვნელობით ევროპიულ მეცნიერებაში მიღებულ პალეოგრაფიას უდრის. დამწერლობათამცოდნეობის მიზანსა და დანიშნულებას წერილობითი ძეგლების გარეგანი, ნივთიერი მხარის შესწავლა შეადგენს: მათი საწერი მასალისა და ასოთა მოხაზულობის გამოკვლევა, ნაწერის წაკითხვა და დაფასება-განსაზღვრა აქვს ნაკისრები. რათგან წერილობითი ძეგლები ხშირად დაზიანებული და უთარიღოა ხოლმე, პალეოგრაფიას ანუ დამწერლობათამცოდნეობას ამგვარი ძეგლების ქრონოლოგიურად განსაზღვრა და დათარიღებაც უხდება. ამ მოთხოვნილებამ თავისდათავად დამწერლობის განვითარების ყველა საფეხურების, მისი ისტორიული თავგადასავლის შესწავალას ხელი შეუწყო და ამ სამეცნიერო დარგის უპირველეს, არსებით მოვალეობად გახადა. ასეთი მიზნის მქონებელს რასაკვირველია მას თვით დამწერლობის წარმოშობის საკითხიც თავისი კვლევა-ძიების ქვაკუთხედად უნდა გაეხადა.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ კაცობრიობის უტყუარი, ზედმიწევნითი ისტორია მხოლოდ დამწერლობის გაჩენის შემდგომ იწყება და ამა თუ იმ ერის წარსულის ნამდვილი თავგადასავლის მარტო წერილობითი ძეგლების შესწავლის დახმარებით შეიძლება, დამწერლობათამცოდნეობის დამხმარე სამეცნიერო დარგის უაღრესი მნიშვნელობა ყველა საისტორიო მეცნიერებათათვის ცხადი შეიქმნება: ისტორიისა, მწერლობის, ხელოვნებისა, ენათმეცნიერებისა, სამართლისა და ეკონომიური ისტორიისათვის წარმოებული კვლევა-ძიების აუცილებელი პირველი საფეხური. ამიტომ არის, რომ პალეოგრაფიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული და ზოგიერთ დარგთან, როგორც მაგ., სიგელთამცოდნეობასთან, ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

დამწერლობათამცოდნეობის სამეცნიერო კვლევა-ძიების ნამდვილი დამწყებელი გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი Mabillon-ი იყო, რომელიც თავის 1681 წ. გამოსულ შესანიშნავ შრომაში დიპლომატიკის ანუ სიგელთამცოდნეობის შესახებ „De re diplomatica libri VI“, მეოთხე თავში საწერი მასალისა და დამწერლობის სხვადასხვა სახეობას არკვევდა. მაგრამ მაბილონს ამ სამეცნიერო ცოდნისათვის არაეითარი განსაკუთრებული სახელი არ შეუქმნია. პოლეოგრაფიის ნამდვილი დამაარსებელი და მომნათვლელი მეორე გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი Montfaucon-ი იყო, რომელმაც 1708 წ. გამოაქვეყნა თავისი დიდებული ნაწარმოები „Palaeographia graeca sive de ortu et progressu litterarum“ ბერძნული პალეოგრაფია ანუ ასოთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

მე-XIX ს. პირველ მეოთხედამდე დამწერლობათამცოდნეობა მაინც სიგელ-თამცოდნეობასთან ანუ დიპლომატიკასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და რათგან ამ უკანასკნელი სამეცნიერო დარგის შესახებ უკვე იბეჭდება ჩემი გამოკვლევა „სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა საზოგადოდ და მეტადრე ქართული", რომელშიაც დიპლომატიკასთან დაკავშირებული პალეოგრაფიული ცოდნის თავგადასავალიც არის მოკლედ გადაშლილი, ამიტომ ამ საგანზე აქ საუბრის გაგრძელება ზედმეტად მიმაჩნია.

მხოლოდ 1821 წ. საფრანგეთში დაარსებულმა „École royale des chartes" შეუწყო ხელი პალეოგრაფიის მუდმივ განვითარებას. უკვე 1838 წ. გამოვიდა de Wailly s-ის „Éléments de paléographie", ხოლო ერთი წლის შემდგომ A. Chassants-ის „Paléographie des chartes et des manuscrits du XI au XVII siècle. ამავე წელს დაიწყო J. B. Silvestre-ის ძვირფასი ოთხ ტომიანი მსოფლიო პალეოგრაფიის ალბომი, მშვენიერი ფაქსიმილეებით შემკული „Paléographie universelle. Collection de facsimilés d'écriture de tous les peuples et de tous les temps avec notices par Champollion-Figrac" (1839—1841 წ.).

ამგვარივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამწერლობათამცოდნეობის წარმატებისათვის გერმანიაში Monumenta Germaniae historica-ს გამოცემის დაწყებას და 1854 წ. ავსტრიაში „Institut für österreichische Geschichtsforschung" ავსტრიის საისტორიო კვლევა-ძიების ინსტიტუტის დაარსებას. ამ სამმა შესანიშნავმა დაწესებულებამ პალეოგრაფია და დიპლომატიკა თავის საგანგებო კვლევა-ძიების მიზნად აქციეს და უაღრეს სამეცნიერო ზედმიწევნილობამდის აამაღლეს.

რათგან დამწერლობათამცოდნეობის თანამედროვე მკვლევართა შრომები ამ თავის სხვადასხვა ადგილას და საგანგებოდ ბოლოში დართულ ბიბლიოგრაფიაში არის მოთავსებული, ამიტომ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

დამწერლობათამცოდნეობა ორ მთავარ დარგად იყოფება: ეპიგრაფიკად, ანუ წარწერათამცოდნეობად და საკუთრივ პალეოგრაფიად ანუ ხელითნაწერთამცოდნეობად.

წარწერათამცოდნეობა მხოლოდ წარწერების გარეგანს, ფორმალურ მხარეს, მარტო წარწერის მოხაზულობასა და წარწერებში მიღებულ ფორმულებს იკვლევს ხოლმე. მათი ენისა და შინაარსის მხრივ განხილვა-გარჩევა-კი ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის, ან სხვა სათანადო სამეცნიერო დარგის საქმეა.

იგივე უნდა ითქვას ელითნაწერთამცოდნეობაზე ანუ საკუთრივ პალეოგრაფიაზე: ისიც ნაწერის მხოლოდ ტეხნიკურს, მოხაზულობითს მხარეს იკვლევს და იმ მასალას, რომელზედაც და რომლითაც ესა თუ ის ნაწერი აღბეჭდილია. ძეგლის შინაარსს პალეოგრაფია არ ეხება და აქაც მოქმედების ასპარეზი ენათმეცნიერებას, დიპლომატიკას, ფილოლოგიას, ისტორიას ანუ სხვა სათანადო სამეცნიერო დარგსა აქვს დათმობილი.

რაკი ეპიგრაფიკაცა და პალეოგრაფიაც ნაწერის გარეგან მხარეს, ასოთა მოხაზულობათა მოყვანილობას იკვლევს უმთავრესად, ამ მხრივ მათ შორის თითქოს არსებითი განსხვავება არ არის და ორივე შესაძლებელი იყო შეერთებულიყო. მაგრამ ეპიგრაფიკა ანუ წარწერათამცოდნეობა მაგარ, მკვრივ

400—100 წ. ქ. წ. ფინიკიელთა დამწერლობა უკვე სრულებით ჩამოყალიბებულია: ასოებს მოხაზულობის მხრივ მცირედი ცვალებადობა ემჩნევა. განსხვავება უფრო საგრძნობია კუთხობრივ—ადგილობრივ პირობებისდა მიხედვით. სამი განსხვავებული სახეობის დამწერლობაა ამ ნიადაგზე წარმოშობილი: **სიდონური, კვიპრული და კართაგენული.** მაგრამ მათ შორის მაინცდამაინც ძალიან დიდი განსხვავება არაა. სიდონური დამწერლობის ნიმუშად ესმუნაზარის სარკოფაგზე ამოკვრილი წარწერა ითვლება, რომელიც 380 წ. ახლო ხანებისად არის მიჩნეული ქ. წ. და მოთავსებული C I S I, № 3 და ბერჟეს თხზულებაში (გვ. 172—175). ფინიკიელთა ამ ხანის დამწერლობას სიმკვირცხლე და მოქნილობა ემჩნევა, რაც კალმის ხმარებისა და გაკრული ხელით ხშირი ვარჯიშობის შედეგი უნდა იყოს (იქვე 177).

146 წ. ქ. წ. რომ კართაგენი რომაელებმა გაანადგურეს, ამ დროითგან მოყოლებულ. ახალი პირობების წყალობით ფინიკიურ დამწერლობას დიდი ცვლილება დაეტყო ისე, რომ ასი წლის შემდეგ ასოთა მოხაზულობა უკვე თვალსაჩინოდ იყო შეცვლილი და ახალი **ნეოპუნურად**, აგრედვე **ნუმიდურ-პუნურად ანუ ახალ პუნურად** (l'écriture néo-punique ou numidico-punique) **წოდებული დამწერლობა** შეიქნა. პოლიტიკურ ახალ გარემოებას გარდა გაკრულ ხელს აქაც დამწერლობის ჩამონაკვთის დროს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (ბერჟე 178—185). სარდინიაშიც ნაპოვნია ლათინურად და ახალ-პუნურად დაწერილი წარწერა (იქვე 179 და CIS I, № 149). საყურადღებოა, რომ ამ დამწერლობაში თხზული ასოებიც იხმარება (ბერჟე 184—185). ახალ-პუნურმა დამწერლობამ შედარებით დიდი ხანგრძლივობა გამოიჩინა და აფრიკეთის მთელ ფინიკიელთა შორის იყო გავრცელებული მე—IV ს—მდე ქ. შ. (ბერჟე 186—187 და აქ ტაბულა 2).

მე-IX—VIII ს. **ებრაული** ანბანი ქანაანელთა ანბანად მიჩნეული **ფინიკიელთა ანბანს ძალიან მიაგავდა.** ამგვარი დამწერლობა შემდეგშიაც იხმარებოდა, თვით მე-IV—I ს. ქ. წ—თაც საბეჭდავ ბეჭდებისა ტ მე-II ს—მდის ქ. შ., ებრაულ ფულების ზედწერილებისათვის. ის გარემოება, რომ სამარიტელებმა ამის მსგავსი დამწერლობა შემდეგშიაც შეინახეს და მე-XIII ს. დამდეგსაც-კი გვხვდება ქ. შ., იმის მომასწავებელია, რომ ებრაელებს უძველესი დამწერლობა ჯერ კიდევ 400 წ. ქ. წ. საყოველთაოდ მიღებული უნდა ჰქონოდათ, რათგან ამ დროითგან მოყოლებული სამარიტელნი ებრაელებზე უკვე დაშორებულნი იყვნენ და მათგან ანბანსაც ვეღარ შეითვისებდენ.

ამგვარი უძველესი **ებრაული დამწერლობის უპირველეს ძეგლად სილოას წარწერა ითვლება, რომელიც მე-VIII ს. დასასრულს ეკუთვნის.** მერმე, დაახლოვებით **მე-IV ს. შემდგომ ქ. წ. ებრაელებმა ასურებისაგან არამეული დამწერლობა შეითვისეს,** რომელიც IX—VIII ს. ქ. წ. უნდა წარმომდგარიყო საერთო დედა-ანბანითგან. ამ არამეულისგან შეთვისებული ანბანისაგან **ებრაული კუთხოვანი დამწერლობა** წარმოსდგა. (იხ. ტაბულა 3).

არამეველთა დამწერლობის უძველეს ძეგლად ამობრცვილი ასოებით გამოყვანილი ზენჯირლის წარწერა უნდა ჩაითვალოს, რომელიც დაახლოვებით 750—720 წ. ქ. წ. არის ამოკვრილად მიჩნეული (ბერჟე გვ. 210, სურათი და

წარწერა იხ. იქვე გვ. 206—209). ამ ძეგლის დამწერლობა იმდენად **მიაგავს ფინიკიელთა და ებრაელთა უძველეს დამწერლობას**, მხოლოდ ენის თავისებურობა გვაძლევს საშუალებას მისი სადაურობისა და კუთვნილების უცილობლად გამორკვევისას. მაგრამ თანაც არამეულ დამწერლობას უკვე ამ თავითვე **ასოთა კუთხოვანი მოყვანალობის მომრგვალებისადმი მიდრეკილება ემჩნევა** (იქვე 210).

ნინევიის ნანგრევებში ნაპოვნია ასირიული და არამეული წარწერებით შემკული სასწორის ბრინჯაოს აბრები, რომელთაგან ზოგი მე-VIII—VII ს. ს. ეკუთვნიან ქ. წ. ამ აბრებზე და მეტადრე ახემენიანთა სპარსეთში ბატონობის ხანის არამეულ წარწერათა **ასოებს ერთი მეტად დამახასიათებელი ცვლილება დაეტყო**, სახელდობრ **ყველა ასოებს, რომელთაც თავი შეკრული ჰქონდათ**, —როგორც მაგ. ბ,დ, აჲნ, რ,—**თავები გაეხსნათ** და ასე პირღია იწერებოდენ (იხ. ტაბულა IV). ასოთა მოხაზულობის ამგვარი ცვლილებისადმი მიდრეკილება ჯერ ნინევიის ორენოვანი წარწერებით შემკულ აბრებს ემჩნევათ, მაგრამ სპარსთა ბატონობის ხანაში უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა და პირები მთლად გაეღოთ (ბერჟე 212—214). ამასთანავე ასოთა კუთხოვანი მოყვანილობა ზოგან მრგვლოვანად იქცა და თვით მოხაზულობაც გამარტივდა (იქვე 216). არაბეთის ტეიმას სვეტის წარწერაც დაახლოვებით ამგვარივე დამწერლობის ძეგლად უნდა ჩაითვალოს, რაც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ 500—400 წ. ქ. წ. არამეველნი არაბეთშიაც ყოფილან შეხიზნულნი (იქვე 219—220).

მაგრამ პაპირუსზე ნახმარმა გაკრულმა ხელმა და კალამმა შესცვალა არამეული პირვანდელი დამწერლობის გარეგანი მოხაზულობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მეტად გამარტივებული, მორგვალებული და სქელი და წვრილი ხაზებისადმი მიდრეკილებით ხასიათდება (იხ. ნიმუში ბერჟეს თხზ. გვ. 218). როგორც ე. დრუენის (F. Drouin, Observations sur les monnais à légendes en pehlevi et pehlevi-arabe, Extrait de la Revue archéologique, Paris Leroux. 1886) გამოკვლევამ ფაჰლაური ფულების ზედწერილების შესახებ ცხად-ჰყო, რომ **ავესტური და ფაჰლაური დამწერლობა სპარსეთის ხანის არამეულ დამწერლობასთანაა უშუალოდ დაკავშირებული და ფაჰლაური ზენდურის გაგრძელება-განვითარებას წარმოადგენს** (ბერჟე 245). თუმცა ზენდური ანბანი საბოლოოდ ჩამონაკვთილად მე-V—IV ს—ში ითვლება ქ. წ., მაგრამ ჯერ-ჯერობით არამც თუ იმ დროინდელი არაფერია შენახული, უძველესი ზენდური ხელთნაწერები მხოლოდ მე-X—XII ს. მოგვეპოვება ქ. შ. (ბერჟე 240). ხოლო წარწერებისა და მეტადრე ერანული ფულების ზედწერილების დამწერლობის საშუალებით ზენდურ-ფაჰლაური ანბანის ზემოაღნიშნულზე უფრო უძველესი ხანის მოხაზულობის გათვალისწინებაც შეიძლება.

სილვესტრ დე-სასის, ოლსჰაუზენისა, ლონგპერიერის, ედ. თომასისა, მორდტმანისა, დარმესტეტერის და დრუენის გამოკვლევებში ეს საკითხი შესწავლილია და ჩვენ ხელთა გვაქვს არშაკუნიან შაჰების ფულების ზედწერილების მიხედვით აღდგენილი ზენდურ-ფაჰლაური ასოების მოყვანილობა უკვე 100 წ—ითგან მოყოლებული ქ. წ. (ბერჟე 248—250, სა-

სომხური წარწერების ტექსტების შეგროვება თითქმის უკვე ასი წელიწადია რაც სწარმოებს და დიდი მუშაობა არის ამ მხრივ გაწეული. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჰოვჰ. შაჰატუნიანის, სარგ. ჯალალიანის, ნ. სარგისიანის, და მ. ფაფაზიანის შრომები. ალიშანს თავის 5 წიგნად გამოცემულ ნაწარმოებში (*Շիրակ 1881 წ. Վէնետիկ, Արարատ 1890 წ.* იქვე *Սիսական 1893 წ. Նշմարք և Նշխարք Հայաստանի 1870 წ. Սիսուան 1885 წ.*) ყველა წინანდელი ნაშრომებითგან ამოღებული მასალებისათვის თავი მოყრილი აქვს. დასასრულ, თუ მთელი არა, უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებული სომხური წარწერების ერთგვარი საძიებელი არის შედგენილი მოკლე ამონაწერებით შემკული კ. კოსტანიანის მიერ და 1913 წ. პეტერბურგში და იბეჭდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში Bibliotheca Armeno-Georgica II *Կ. Կոստանյանց. Վիմական տարեգիր ցուցակ ժողովածու արձանագրութեանց հայոց.* ამ შრომაში შეუძლიან მსურველს მოძებნოს შანამდე არსებული სომხური ეპიგრაფიკული მასალების შემცველი ნაწარმოებების სიაც.

უძველეს ცნობილს ქართულ მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ში **ძართული მწიგნობრობის** დასაწყისისა და მისი გამომგონებლის შესახებ არაფერია ნათქვამი. არსებობდა თუ არა მაშინ სხვა რომელიმე თხზულება, რომელშიაც ამ საკითხზე ლაპარაკი ყოფილიყო, ძნელი სათქმელია. სომხურ მწერლობაში-კი კორჟნსა და მოსე ხორენელს თავიანთ თხზულებებში ქართულ ანბანის გამოგონებაზეც აქვთ საუბარი. მათი სიტყვით ქართული ანბანიც იმავე მესროპის მიერ უნდა იყოს ვითომც შედგენილი, რომელმაც ჯერ სომხური, ხოლო შემდეგ ალბანური ანბანიც შეჰქმნა (იხ. *Կորիւն Պատմ. ս. Մեսրոպայ* ტფილ. *1919 წ.* გვ. *22—23, 29—30* და *48—49. Մ. Խորենացի Պատմ. Պատմագիրք Հայոց, 1913 წ.* გვ. *328—329*). ქართულად მხოლოდ მე-XI ს. საისტორიო თხზულებაში, რომელიც ლ. მროველს ეკუთვნის, მოიპოვება გარკვეული ცნობა ქართული ანბანის შემოღების შესახებ. იქ სახელდობრ ნათქვამია, რომ პირველად ქართველთა მეფემ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“-ო (*131—132, გვ. 22*). სახელოვან ქართველ მეცნიერს ბატონიშვილ ვახუშტს ამ საკითხზე საგანგებოდ არაფერი აქვს ნათქვამი და ამ მხრივ ის ლ. მროველის თეორიას მისდევდა.

როგორც ხშირად სხვაგანაც მომხდარა, საქართველოშიაც საზოგადო და ფართო საკითხების გადაწყვეტას უფრო ეტანებოდენ, ვიდრე პალეოგრაფიის ძირითად საკითხების კვლევა-ძიებას: ჯერ ისიც-კი გადაწყვეტილი არ იყო, თუ რომელი ანბანია უძველესი, ხუცური თუ მხედრული, ჯერ ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და მისი თანდათანი განვითარება შესწავლილი არ იყო და მაინც ისეთ რთული საკითხის გადაწყვეტას ლამობდენ, როგორიც ქართული ანბანის სადაურობაა. საკითხი ქართულ ანბანის სადაურობის შესახებ 1881 წელს მე-V-ე საარქეოლოგიო კრებაზეც იყო ტფილისში წამოყენებული. ამ საგანს ეხებოდა ორი მოხსენება: ერთში, რომელიც „Грузинская палеографія“-ს სათაურით დ. ბაქრაძემ წაიკითხა, ეს საკითხი მხოლოდ გაკვრით არის მოხსენებული, ვითარცა უცილობელი და უკვე საბოლოოდ გამორკვეული, უმთავრეს მიზნად-კი მომხსენებელს ქართული ანბანის მოხაზულობის ისტორია მიაჩნდა.

მეორეში, რომელიც ილ. ოქრომჭედლიშვილს ეკუთვნოდა და სახელად ეწოდება „Объ изобрѣтеніи грузинскаго алфавита“, საკითხი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ სწორედ საგანგებოდ არის განხილული. დ. ბაქრაძემ თავისი მოხსენების მთავარი დებულებანი თავის 1889 წელს გამოსულს წიგნშიც — „ისტორია საქართველოსი“ — გაიმეორა, ხოლო ილ. ოქრომჭედლიშვილმაც თავისი აზრი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ ქართულადაც გამოაქვეყნა 1881 წელს წერილში „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“ („ივერია“ № 10) და 1890 წელს გაიმეორა გამოკვლევაში „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის ძველ ისტორიისა“ („ივერია“ 1890 წ. №№ 36, 38, 40—42).

ქართული ანბანის სადაურობის შესახებ დ. ბაქრაძე სწერდა: „თუ ჩვენ ჩვენის ანბანის... ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა... ზოგი ჩვენი ასოებიც, მეტადრე ასომთავრულისა ხუცურში, როგორც თვით ფორმებით, აგრეთვე გამოთქმით უახლოვდებიან დევა—ნაგერსა და სხვა ალფაბეტებს ინდოეთისას; მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ალფაბეტი სხვადასხვა დროს არის სხვადასხვა ალფაბეტებიდამ შევსებული და, ჩემის მოაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი ზღვის ნაპირზე“ (ისტ. საქართ. 83—84, შეად. Труды V-го Арх. съѣзда въ Тифлисѣ 1881 г. გვ. 208).

ქართული ხუცურ-მხედრული ანბანის შედარებით სიძველისა და თანდათანობითი განვითარების შესახებ დ. ბაქრაძეს ნათქვამი აქვს, რომ უძველეს დროს V—VII სს.-ში წარწერებში გვხვდება მხოლოდ ასომთავრული ხუცური. „იმ დროს სრულებით არა სჩანს კვალი არც ნუსხა-ხუცურისა, არც მხედრულისა. ეს ასო-მთავრულნი წარმოგვიდგენენ თავის მოხაზულობით ძველად-ძველს ხასიათსა. ამათ შორის არც იპოება ზოგიერთი ასოები, რომელნიც მხოლოდ შემდეგ საუკუნოებში შემოდიან ხმარებაში. უ სრულებით არ არის და იმის ნაცვლად იხმარება-ოჳ... ნუსხა-ხუცური პირველად შეგვხდება ერთს ძველს ოთხ-თავის ვარიანტში, რომელსაც თვით მისი ქრონიკონი მიაწერს მე-VII საუკუნესა... შემდეგ იგი ცოტ-ცოტად ერცელდება... ამ ნუსხა-ხუცურში... ოჳ-ს ნაცვლად იხმარება უ მაშინ, როდესაც ოჳ ასო-მთავრულში მე-XII—XIII საუკუნემდე რჩება, თუმცა უ უკვე შემოღებულია. უ სულ პირველად იწერება ѹ . . . . ეს ოჳ დროს განმავლობაში უერთდებიან ერთი მეორესა და ამ გვარად ადგენენ ერთ ასოსა, რომელიც ჯერ ისევ ოთხ-კბილიანი (ѹ), მას-უკან სამ-კბილიანი (ѹ). ამ უ-დამ წარმოსდგა მხედრული უ. ჩვენის აზრით, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის შემოღებას ერთი მეორის შემდეგ მოკლე დრო ჰყოფს. ასეა თუ არა, მხედრული სხვა არა არის რა, როგორც იგივე ნუსხა-ხუცური, მაგრამ უფრო განმარტივებული და გაადვილებული სახმარად. უძველესს მხედრულს, რომელიც ჯერ კიდევ ნუსხა-ხუცურს მიემსგავსება, ჩვენა ვპოულობთ სხვათა შორის, პირველად სომხითის ანის ქალაქის ქართულს ეკლესიაზე (X საუკ.), რომელსაც შეცდომით ჰხადიან „ბერძნულ“ ეკლესიად: მეორედ სოფქ-სუს ეკლესიაზე აფხაზეთში (XI საუკ.) და მესამედ ამ რამდენისამე წლის

Schubart-ის Das Buch bei den Griechen und Römern 1907 წ., პროფ. O Weise-ს Schrift und Buchwesen in alter und neuer Zeit (Aus Natur und Geisteswelt 4. Bändchen) და Fritz Specht-ის Die Schrift und ihre Entwicklung, Berlin 1909 წ., რომელნიც სურათებითა და დამწერლობათა ნიმუშებითაც არიან შემკული.

თავი მეოთხე.

ტერმინები და ცნობები ძველი ქართული და სხვა ერთა სამწიგნობრო ხელოვნების შესახებ.

ვიდრე ქართული პალეოგრაფიის შესწავლასა და განხილვას შევუდგებოდეთ, თავდაპირველად ჩვენ ყველა ის ცნობები და ტერმინები, რომელიც კი ძველ სხვა ერთა და ქართულ მწიგნობრობასა და წიგნების შემზადებას შეეხება და ქართულ სხვადასხვა წყაროებშია გაბნეული, უნდა შეკრებილი და ხედმიწევნით შესწავლილი გვქონდეს. უნდა ვიცოდეთ, რადარა ტერმინები იხმარებოდა უცხოეთისა და ქართულ მწიგნობრობაში, ან როგორ სწერდენ და ამზადებდენ წიგნებსა და საბუთებს, თანაც რა იარაღსა და მასალას ხმარობდნენ ამისთვის.

მწერლობას, წერა-კითხვას და მწერლობითს განათლებას ძველ საქართველოში **„მწიგნობრობა"** ეწოდებოდა. იოანე საბანისძეს აბო ტფილელის შესახებ მაგ. ნათქვამი აქვს, რომ სანამ აბო თავის სამშობლო ქვეყანაში არაბთა შორის ცხოვრობდა უკვე „სწავლულ იყო **მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა"** (ცჲ ჰაბოჲსი 16$_3$), არაბული წერა-კითხვა და განათლება შეთვისებული ჰქონდაო. ხოლო როდესაც ერისთავთ ერისთავს ნერსეს ქართლში წამოჰყვა, მაშინ „შესძინა სწავლად **ქართულისა მწიგნობრებისა** და ზრახვისა კსნილად" (იქვე 16$_{17}$ $_{18}$); ქართული წერა-კითხვა და განათლებაც შეისწავლაო. გ. მერჩულის სიტყვითაც გრიგოლ ხანძთელმა ბავშობითგანვე „მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და კმითა სასწავლელი სწავლად საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და **მწიგნობრობაჲცა იხწავა მრავალთა ენათაჲ"** (ცჲ გგლ ხნძთლსჲ, გვ. გ.). აქაც ისტორიკოსს ხანძთის არხიმანდრიტის მიერ უცხო ენების წერა-კითხვის შესწავლაზე აქვს ლაპარაკი. ამ სიტყვა **„მწიგნობრობა"**-ს ანბანის, საწერ ნიშნების ზოგად სახელადაც ხმარობდენ. ლეონტი მროველს თავის თხუზულებაში აღნიშნული აქვს, ვითომც პირველად ფარნავაზ მეფემ „შექმნა **„მწიგნობრობა ქართული"** (ცჲ მეფეთა* 132, გვ. 22), ე. ი. ქართული ანბანის მომპოვნებელი და შემომღები იყოო.

სამწიგნობრო ხელოვნებას თავისი დიდი და საგულისხმო თავგადასავალი აქვს, რომლის ცოდნა აუცილებელია ადამიანის სულიერი კულტურის ყოველ მკვლევარისათვის და განათლებულ მკითხველსაც მისი ცოდნა კაცობრიობის წარმატების ერთ თვალსაჩინო და უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას გადაუშლის თვალწინ. სამწერლობო ხელოვნების ისტორიის განხილვის დროს, უნდა სამი მთა-

ვარი საკითხი იყოს განხილული: პირველი საწერ მასალას ეხება, მეორე საწერ იარაღებს, მესამე კიდევ თვით წერის ტეხნიკის გარეგან პირობებს. რათგან ყოველი სამწერლობო ხელოვნება, ვითარცა კულტურული ცხოვრების სხვა მხარეებიც, მეზობელ და თვით შორეულ ერთა ისტორიასთან არის დაკავშირებული, ამიტომ ქართული მწიგნობრობის თაეგადასაელის მიმოხილვაში ჩვენ სხვა ერთა სამწიგნობრო ხელოვნების განვითარებასაც, მეტადრე პირველი ორი საკითხის განხილვის დროს, უნდა გაეუწიოთ ანგარიში.

§ 1. საწერი მასალა.

მწერლობის ძეგლებისათვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა მასალა იხმარებოდა ხოლმე: ჯერ ქვა, ლითონი, ძვალი და საზოგადოდ მაგარი, შედარებით მძიმე და ხშირად ძნელად შესაძრაი ნივთიერება იყო მიღებული, შემდეგ თხელი და სუბუქი მასალა შემოვიდა. ადამიანის ნააზრევის მაგარ ნივთიერებაზე აღბეჭდა, რასაკვირველია, სულ სხვანაირ იარაღსაც მოითხოვდა, ვიდრე შემდეგ დროინდელ თხელ მასალაზე დასაწერად იყო საჭირო. ამიტომ მასალისა, იარაღისა და ტეხნიკური აღსრულების აღსანიშნავად ძველადაც თავ-თავისი ტერმინები იხმარებოდა და ეხლაც ასევეა მიღებული.

ქვაზე და სხვა მაგარ ნივთიერებაზე გამოყვანილ სიტყვასა თუ აზრს, რასაც ეხლა წარწერა ეწოდება, ძველ დროს „**ზედაწერილი**" ერქვა. სახარებაში მაგ. იქ, სადაც საუბარია დრაჰკან ფულზე და აღნიშნულია, რომ იესომ მათ ჰკითხა ვისი სახელი აწერიაო, ასეა ნათქვამი: „ჰრქუა მათ იესუ «ვისი არს... ესე... **ზედაწერილი**». ჰრქუეს მას «კეისრისაჲ» (მათე XXII. 20—21). მართალია, რაკი აქ ფულზეა ლაპარაკი, ამიტომ „ზედაწერილ"-ს თითქოს სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სახელოვანი ქართველი მეცნიერის ქვემომოყვანილი სიტყვები ცხადჰყოფენ, რომ თუ ყოველთვის არა, ხოგჯერ მაინც ამ ტერმინს წარწერის ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონია.

ბატონიშვილს ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს „მეფეთა სახელნი... **ზედაწერილ** არიან **ქუათა**, ხატთა და ჯუართა ზედა"-ო (ისტ. საქართ. ჩუბ. 1, პეკ. 3—4).

ამგვარადვე იმას, რასაც ბერძნები *ἐπιγραφή*, *ὑπογραφή*-ს, ხოლო რომაელნი inscriptio-ს, ფრანგები inscription, გერმანელები-კი Inschrift-ს, რუსები надпись-ს ეძახიან, ძველ ქართულ მწერლობაში „ზედაწერილი", ან ზედწერილი რქმევია. მაგრამ უკვე ძველადვე ამავე მნიშვნელობით „**წარწერა**"-სა და „**წარწერილსა**"-ც ხმარობდენ, მაგ. გიორგი ამარტოლის ხრონოღრაფის ბერძნულ ტექსტის „*ἐπιγραφαι... ἐν τοῖ τάφῳ*". (de Boor-ის გამოც. II. 13_{17}) ქართულად ნათარგმნი უდრის „**წარწერნეს საფლავსა** მისსა ზედა" (გ. მონაზონის ხრონ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა 5_{13}). „მის მიერ **წარწერილად** პოვნილი" (5_{11}). მაშასადამე აქეთგანვე უნდა იყოს წარმომდგარი თანამედროვე ტერმინი „წარწერა". რაკი ამჟამად ჩვენ ამ ცნების აღსანიშნავ ტერმინად წარწერასა ვხმარობთ, ამიტომ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ძველ ტერმინს

ეტრატის ხელთნაწერის სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში საწერ მასალად უფრო ეტრატი უნდა ყოფილიყო მიღებული ციდრე ქილი.

რასაკვირველია ეტრატი საქართველოში მარტო უცხოეთიდან მოტანილი საქონელი-კი არ იქმნებოდა, არამედ ცხადია ეტრატის გაკეთება საქართველოში უნდა სცოდნოდათ. თუ 1365 წ. საქართველოს პოლიტიკური დაქვეითებისა და კულტურული დაქვეითების ხანაში, ავგაროზ ბანბაისის ძეს სხვა ხელობათა შორის, რომელიც მას შესწავლილი ჰქონდა, შეეძლო დაესახელებინა „შექმნად ეტრატისად“ (მ. ჯანაშვილი ქართ. მატიანე 54), მით უმეტეს „ეტრატის შექმნა“ ძველ დროს ეცოდინებოდათ, როდესაც მრავალი წიგნები იწერებოდა და ეტრატის დიდი მოთხოვნილებაც იყო.

სომხები ეტრატის აღსანიშნავად *ռափափ*„ მაგალათ“-ს ხმარობდენ. მაგრამ თავდაპირველად ამ სიტყვას გრაგნილის, წიგნის მნიშვნელობა აქვს და ესაჯას 34,1 თავში მყოფი ეს ტერმინი ბერძნული ტექსტის „ბიბლიონ“-ს და ქართული თარგმანის „წიგნს“ უდრის. „მაგალათი“, „მაგაღათი“ ასურულითგან ნასესხები სიტყვაა დ ასურულადაც „მეგალლთა“ სწორედ გრაგნილს, წიგნსა ჰნიშნავდა (H. Hübschmann Armenische Grammatik 1. Theil Armenische Etymologie, გვ. 310).

არაბები ეტრატის აღსანიშნავად ხმარობდენ „რაკს“-ს ან დ „ჯილდ-ს“, რაც ტყავს და შემდეგ წიგნის ნაწილს, ტომსაც ჰნიშნავდა. „ჟულჯან“-საკიგიე მნიშვნელობა ჰქონდა. არაბები ეტრატს მისი სიძვირის გამო ძველად იშვიათად ხმარობდენ და უფრო სიგელებისა და კურანისათვის. ამ უკანასკნელისათვის ჩვეულებრივ დიდი ზომის ფურცლებს ხმარობდენ ხოლმე. შემდეგში-კი არაბებიც წიგნებს ეტრატზე სწერდენ.

ეტრატს დამწერლობის განვითარებისა და მწიგნობრობა-განათლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რათგან მისი მოქნილობა და გამძლეობა სწრაფწერასა და გავრცელებას ხელს უწყობდა და აადვილებდა. ძეგლებას მხატვრული დამუშავება-შემკობაც სწორედ ეხლა იყო შესაძლებელი. ეტრატის სიმტკიცე მასზე დაწერილ ძეგლს ისეთ ხანგრძლივობას ანიჭებდა და მისი დაუზიანებლად წაკითხვა-ხმარება იმდენად შესაძლებელი ხდებოდა, რომ წინათ, ქილზე ნაწერ ძეგლების არსებობის დროს, ამაზე ოცნებობაც-კი შეუძლებელი იყო. ერთი წიგნი ეხლა მრავალ საუკუნის განმავლობაში და მრავალი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი და გამოსადეგი შეიქმნა. ეტრატის მეტ სიძვირეს ეს მისი უცილობელი თვისებები იმდენად ამცირებდა, რომ ქილმა მეტოქეობა ვერ გაუძლო და მოისპო.

მაგრამ ეტრატსაც შემდეგში თავისი მეტოქე და მტერი გაუჩნდა. ამგვარ მეტოქედ სამწიგნობრო ხელოვნებაში ქალალდი გამოვიდა. იოს. კარაბაჩეკმა 1887 წ. თავისი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევით „Das arabische Papier. Eine historisch-antiquariche Untersuchung (in Mit. Pap. Erzherzog Rainer II—III. 87—178) და ი. ვიზნერმა (J. Wiesner) ქალალდის მიკროსკოპიულ-ნივთიერი მხარის შემცველი სამი კვლევა-ძიებით „Die Fajumer und Uschmuneiner Papiere,“ რომელიც იმავე წელიწადს და იმავე ორგანოში იყო გამოქვეყნებული (გვ. 179—260) და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა ამ სა-

თაურით შემკული „Die Mikroskopische Untersuchung des Papiers mit bes. Berücksichtigung der ältesten orientalischen und europäischen Papiere" (Wien 1887 წ.), — „Mikroskopische Untersuchung alter ostturkestanischer und anderer asiatischer Papiere. რომელიც 1902 წ. ვენის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში დაიბეჭდა (Denkschriften Wien. Akademie math.—naturwiss. Cl., Bd. 72, გვ. 583—632) და 1903-4 წ. იქვე გამოქვეყნებული შრომით „Ein neuer Beitrag zur Geschichte des Papieres (Sitzungsberichte Wien. Akademie, Bd. 148, 6. Abhandlung) სრული უეჭველობით დაამტკიცეს, რომ ქაღალდიც ევროპიელებმა აღმოსავლეთისაგან მიიღეს პირველად და მისი გაკეთებაც იქითგანვე ისწავლეს. ქაღალდი პირველად ჩინეთში იქმნა შემოღებული. ჩინური მემატიანის გადმოცემით ქაღალდი 105 წ. ქ. შ. ერთ მოხელე წაი-ლუნ-ს მოუგონია (F. Hirth. Chinesische Studien I, 266.—1890 წ.).

აღმოსავლეთ თურქისტანში ნაპოვნია მე-IV ქ. შ. ს. ჩინური ქაღალდი. ჩინეთში სხვადასხვა ქაღალდს აკეთებდენ, მაგრამ ამ ხელობას საიდუმლოდ ინახავდენ და მეტადრე უკხოელებს უმალავდენ. 751 წ. ქ. შ. არაბებს ერთი ჩინელი ჩაუვარდათ ტყვედ ხელში, რომელსაც ქაღალდის გაკეთება სცოდნია და არაბებისათვის მანამდე სასტიკად დაცული ჩინური მომპოვნებლობის საიდუმლოება გაუმჟღავნებია. არაბთა მოხელეების ხელმძღვანელობითა და შეთვალყურეობით მას ქაღალდის გაკეთება უჩვენებია და უსწავლებია კიდეც.

არაბთა უზარმაზარ საბრძანებელში ისეთი მასალა, რომელსაც ჩინელები თავიანთ ქვეყანაში ქაღალდის გასაკეთებლად ხმარობდენ, არ მოიძებნებოდა და ამის გამო არაბებმა ქაღალდის გაკეთება ტილოს ნაგლეჯებისა და ძონძებისაგან დაიწყეს. ამ გარემოებას უალრესი მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან ქაღალდის ღირებულება ძალიან გააიაფა. შემდეგ ქაღალდის გაკეთების ტეხნიკა იმ მხრივაც გაუმჯობესეს, რომ უფრო მაგარი წებოს ხმარებას მიჰყვეს ხელი. ამან ჩინურ ქაღალდთან შედარებით არაბთაგან გაკეთებულ ქაღალდს გაცილებით უფრო მეტი სიმტკიცე მიანიჭა. ამ ორმა გაუმჯობესებამ ეს საწერი მასალა ისე გააიაფა და მისი გაკეთება იმდენად გააადვილა, რომ ქაღალდს უკილობელი გაბატონებისათვის თანდათანობით გზა გაუკაფა. ეტრატს იგი მხოლოდ გამძლეობით ჩამოუვარდებოდა.

794-5 წ. ქ. შ. არაბებს ქ. ბაღდადში უკვე ქაღალდის სახელმწიფო ქარხანა ქონდათ. აქეთგან ეს ახალი საწერი მასალა მთელ არაბთა სახელმწიფოში გავრცელდა: ასურეთს, ეგვიპტეს, ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანიაშიც. არაბები ახალ საწერ ნივთიერებას უწოდებდენ قرطاس ყართას, რაც ფოთოლსა ჰნიშნავს, მეტადრე კი ძველ ქაღალდს, ქაღალდს, ქაღალდს. მაგრამ ზოგჯერ ქაღალდის აღსანიშნავად ძველს, ჰალის აღმნიშვნელ ტერმინს „ქირტას"-საც ხმარობდენ ხოლმე. საუკეთესო ქაღალდად შემდეგში დამასკური და მამბიჯური ქაღალდი ითვლებოდა. ამ ჩრდილოეთ ასურეთში მდებარე ქ. მამბიჯის (ძველი ჰიერაპოლისია) სახელითგან არის წარმომდგარი ევროპიული ტერმინი charta bombycina „ბომბიცინი", რომელიც უძველეს ქაღალდს ეწოდებოდა და კარაბაჩეკისა და ვიზნერის შრომებამდე შეცდომით განსაკუთრებულ, გერმანიაში XI—XIII ს.ს. აღმოჩენილ ქაღალდად იყო მიჩნეული.

აქვს: კახთ-ბატონმა „მოსთხოვა გურგენს მდივანსა ქაღალდი, **საწერ-კალამი**... მისწერა ვახტანგს" (ხ. ჯიჯინაძის გამ. 41). ცხადია, ამ ტერმინს აქ სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აღმოსაელეთში სამელნე თვით საწერელში იყო მოთავსებული და ამის გამო ბოლოს და ბოლოს საწერელი და საწერ-კალამი ერთი და იგივე გამოდიოდა. მაშასადამე ქართული საწერელი სპარსულ قلمدان „კალემდონ", „ყალამდან"-ს უდრის. ამ უკანასკნელი სიტყვის ფორმა ქართულშიაც არის შემოსული და ჩვენშავს საწერ იარაღს მთელი თავისი აწყობილობით.

მას შემდგომ, რაც საწერ ნივთად ქვისა, ლითონის, ან ცვილის მაგიერ ჭილის ფურცლები და ტყავი, ან ეტრადი შემოიღეს ძველ „საწერელითა" და „ბრჭხილით" მუშაობა უკვე შეუძლებელი იყო. ჭილი და ტყავი იმდენად ნაზი ნივთიერებაა, რომ ასოების ამოკაწვრით, ამოკრით, თუ ჩაჭდეევით გამოყენება შეუძლებელი იყო. ამიტომ საწერ იარაღად ლერწმის კალამი შემოვიდა. რათგან ქართული ეტრატის ძეგლები მე-V—VI ს. ს. დროითგანაც გვაქვს შენახული, ლერწმის საწერი იარაღი საქართველოში ამ დროს და უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო.

ჯერ „საწერელ"-თან ერთად, ხოლო შემდეგში განსაკუთრებით საწერ იარაღად **„კალამი"** იხმარებოდა. მეათე საუკუნეში უკვე სხვა იარაღით წერა ვეღარც კი წარმოედგინათ და დ ა ჩ ი ამბობს კიდეც თავის წერილში, რომ ფსალმუნნი „დაწერნა **კალამმან** ლუთისამან დავით სულისა მიერ წმიდისა"-ო (ქრონიკები I, 100). მაქსიმე აღმსაარებელის ც-ის ქართულ თარგმანშიაც ნათქვამია: „**კალამი** მიების კელსა მას დაკუეთილსა და წერნ" (Кекмена I, 94). შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ც მოგვითხრობს, რომ ჩემი თხზულების წერის დროს „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და **კალმად** მე ნაზ რხეული". ნესტანდარეჯანს თავის წერილში „უსტარში" ნათქვამი აქვს: „ტანი **კალმად** მაქვს, **კალამი** ნაღველთა ამონაწობი" (ვეფხის ტყაოსანი, ი. ა ბ უ ლ. § 1222). მაშასადამე შოთასაც საწერ იარაღად კალამი უხმარია.

კალამს ბერძნულადაც ეწოდება κάλαμος „ჰო კალამოს" ლათინურად calamus. პრ. ნ. მ ა რ რ ი ფიქრობს, რომ ქართული კალამი ნასესხები სიტყვა არ არის, რათგან ამ ფესვს ქართულში მრავალი მონათესავე (წალამი, ჩალა, სალამური და სხვა) მოეპოვება, ევროპიულ სხვა ენებში-კი ეს ფესვი განმარტოებულია (Эфетическія названія деревьевъ и растеній).

თუმცა კალამი თავდაპირველადაც დ შემდეგშიაც განსაკუთრებით ლერწმისაგან გაკეთებულ საწერ იარაღსა ჰნიშნავდა, მაგრამ მაშინაც-კი, როდესაც მას ლერწმისაგან აღარ აკეთებდენ დ სხვა ნივთიერებისაგან ამზადებდენ ხოლმე, საწერი იარაღის აღმნიშნელ ტერმინად წინანდებურად „კალამი" იხმარებოდა. ლერწმის მაგიერ ფრინველის ფრთისაგან, მეტადრე ბატის ფრთისაგან დაიწყეს კალმის გამოკრა. ო ნ ა ნ ა მ დ ი ვ ა ნ ი ც „ბარამიანში" ერთგან ამბობს: „**კალამს მიზიდავს ფრინველი, ოდეს ფრთა დავარდებისა**"-ო (1726 წ. ხელნ., Опис. I. 529), მეორეგან ნათქვამი აქვს: „**კალმად ბატის ფრთა მჭონდა**"-ო (იქვე I, 526—527). ლერწმის საწერ იარაღისაგან გასარჩევად ამგვარ კალამს „**ფრთის კალამს**" (იქვე I, 529) უწოდებდენ.

თუ ბატის ფრთის კალამი დასავლეთ ევროპაში პირველად მე-V ს-ითგან იხსენიება და ამის შემდგომ განუწყვეტლივ იხმარებოდა მე-XIX ს-მდე, საქართველოში მისი ხსენება ჯერ-ჯერობით მე XVIII ს. პირველ მეოთხედზე უწინარეს არა სჩანს. საზოგადოდ აღმოსავლეთში ლერწმის კალამს რჩეობდენ და ამიტომ ბატის ფრთის კალმით წერა მაინცდამაინც ძალიან მიღებული არ უნდა ყოფილ-ყო, როდესაც კაიხელად წერა უნდოდათ.

მე-XVIII ს. პირველ ნახევარში, სახელდობრ ღვთაების 1721 წ. გუჯარში იხსენიება დასასრულ **„კალამნი ფოლადისანი“**. ერთგან იქ ნათქვამია: „აღწერის... მიზეზად... მიპყრია **კალამნი ფოლადისანი**“ (ისტ. საბ. I, 18). არც გასაკვირალია, რათგან, თუ დასავლეთ ევრობაში ლითონის კალმები მე-XVI ს-ზე უწინარეს არ ჩანს, სამაგიეროო აღმოსავლეთში ცნობები მათი არსებობის შესახებ საშუალო საუკუნეებშიაც-კი გვხვდება და ამიტომ შესაძლებელია საქართველოშიც ფოლადის კალმის არსებაზე უფრო ადრინდელი ცნობაც აღმოჩნდეს.

ლერწმის, ფოლადისა და ფრთის კალმებს მხოლოდ ხელის დაჭერით არც ჰილზე, არც მით უმეტეს ეტრატზე და ქაღალდზე ასოების მტკიცედ აღბეჭდვა არ შეეძლოთ: თუ კალმის წვერი რომელსამე საღებავში ჩაწობილი **„ამოწაწობი“** არ იყო, მისი მოსმის კვალი ან ოდნავ, ან სრულებით არ ჩანდა. ამიტომ კალმის შემოღებისთანავე საღებავის ხმარებასაც მიჰყვეს ხელი და საღებავით დაიწყეს წერა. ეს აზრი უეჭველია მხატვრობითგან უნდა იყოს ნაკარნახევი და ჩინელები და იაპონელები ეხლაც წერის დროს იმგვარსავე ბეწვისაგან გაკეთებულ ყალამს ხმარობენ ხოლმე, როგორიც მხატვრობაშია მიღებული. რაკი საწერი მასალა ჩვეულებრივ თეთრი ან მოყვითანო იყო, საღებავიც შავი ან წითელი იხმარებოდა ხოლმე. ჩვეულებრივ საღებავად შავი იყო მიღებული, წითელსა და მწვანეს-კი განსაკუთრებულ შემთხვევებში მოიშველიებდენ ხოლმე.

უკვე ეგვიპტეში წერისათვის ორსავე საღებავს ხმარობდენ. ეგვიპტეში აღმოჩენილი ჰილები ცხადჰყოფენ, რამდენად დახელოვნებული ყოფილან ეგვიპტელნი შავი საწერი საღებავის დამზადებაში. ვერც ათასი წლის ხნიერებამ, ვერც სინოტიემ, თუ მხურვალე მწველმა მზემ მათ ფერი და ბრწყინვალება ვერ შეუცვალა და ვერა დააკლო რა. როგორც ეტყობა შავი საწერ-საღებავი ჰვარტლისა, წყლისა და წებოსაგან კეთდებოდა, მაგრამ შედგენილობა და შემზადების ღონეობა ზედმიწევნით გამორკვეული არ არის. ბიზანტიაში, დაახლოვებით მე-IV ს-ითგან მოყოლებული ქ. შ. მოწითანო შავი საწერ-საღებავი იხმარებოდა, რომელიც გამძლეობითაცა და ფერითაც ძველს ძალიან ჩამოუვარდებოდა. ამ ახალ საწერ-საღებავს უჩივის მგოსანი პ ე რ ს ი უ ს ი, რომელიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ქართველ ერთ მწერალივით ჰგოდებს, რომ ხან გასქელდებოდა და ხან გათხელდებოდა, ხან კალამი ქაღალდსა სჭრიდა ხოლმე (W. Schubart, Das Buch bei den Grechen und Römern. 1907 წ. გვ. 20).

წითელი საღებავითაც უყვარდათ ეგვიპტეში წერა. ჰიერატულ ჰილებზე თვითოეული თავების სათაურები მომეტებულად წითურად არის ნაწერი. ეს ჩვეუ-

დაქტორი კი გადააყენეს.—სხვადასხვა სამოსწავლო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დარბაზებში თანდათან უფრო ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და საჯარო კითხვები, ყოველთვის სიტყვის გადაკვრით უნივერსიტეტის მღელვარებისა და პოლიტიკური მოვლენებისაკენ.

ხშირათ ამ საღამოებზე გამოდიოდენ გამოჩენილი მწერლები, როგორც აპ. მაიკოვი, ნეკრასოვი, პოლონსკი და სხვ. მაგრამ მეტ წილად კი ნაკლებად გამოჩენილი მოღვაწენი კითხულობდენ, როგორც პ. ვეინბერგი (ჰეინე ტამბოვიდან), ძმები კუროჩკინები, და სხვანი. ერთხელ ვ. ს. კუროჩკინმა პირველი გიმნაზიის დარბაზში, გამოწვეულმა აპლოდისმენტებით bis-ზე, ცოტათი შექეიფიანებულმა, წაიკითხა ვითომდა ბერანჟედან თარგმანის სახით—შემდეგი ლექსი:

Над цензурою друзья,
Смейтесь также, как и я:
Ведь для мысли и для слова,
Откровенно говоря,
Нам не нужно никакого
Разрешенія Царя.

Если русскій властелин
Сам не чужд кровавих пятен,
Не пропустит Головнин
То, что вычеркнул Шутятин.
Над цензурою, и пр.

Монархическим чутьем
Сохранив в реформы веру
Что напишем, то пошлем
Прямо в Лондон, к Искандеру.
Над цензурою, и пр.

ბევრი სხვა ლექსი ამავე შესანიშნავ პოეტ-იუმორისტისა, წაკითხული იმ დროინდელ ლიტერატურულ საღამოებზე, დაიბეჭდა შემდეგ, როცა მოისპო წინასწარი ცენზურა, 1865 წ. ზემოთმოყვანილი ლექსი კი, რამდენადაც ვიცი, ჯერ არსად დაბეჭდილა.

სტუდენტობის მთავარ ბინათ, უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ, გახდა ნ. ა. სერნო-სოლოვიევიჩის წიგნის მაღაზია და სამკითხველო, ნევის პროსპექტზე, პეტროპავლეს ეკლესიის სახლში. აქ ჩვენ საშუალება გვქონდა წაგვეკითხა ყველაფერი, რაც კი გვსურდა. რადგან იმ დროს არ იყო გაზეთების ცალკე ნუმრებად გაყიდვა ქუჩებში, ხოლო ჟურნალებზე მთელი წლით უნდა მოგეწერათ ხელი, ამიტომ ბიბლიოთეკა ყველასათვის დიდი ხელის შემწყობი იყო. აქვე შეიძლებოდა გაგება ყოველგვარი ისეთი პოლიტიკური და ლიტერატურული ახალი ამბებისა, რომელნიც არ იბეჭდებოდენ. აქვე ნახავდით ყველა იმდროინდელ გამოჩენილ პირებს და ზოგჯერ მათი გაცნობაც კი შეიძლებოდა. სერნო-სოლოვიევიჩი შეუდგა მაშინ შლოსსერის მრავალტომიან „მსოფლიო ისტორიის“ გამოცემას, ჩერნიშევსკის რედაქტორობით.

ყველა ეს ხელშემწყო პირობები და გასართობები მაინც ვერ გვიწევდა უნივერსიტეტის მაგიერობას, რომელიც ჯერ ისევ დაკეტილი იყო. სამინისტრო,

როგორც სჩანდა, დიდხანს აპირებდა ასეთი მდგომარეობის დატოვებას, რომ ამგვარად გაეწმინდა ქალაქი მოუსვენარი ახალგაზრდობიდან და იძულებულ ეყო ისინი გადასულიყვნენ პროვინციალურ უნივერსიტეტებში. მთავრობის ამ მოხერხებული განზრახვის ჩასაშლელად უფროსმა სტუდენტებმა გამოითხოვეს თავ. სუვოროვისაგან ნებართვა საჯარო კითხვათა კურსების გახსნისა ქალაქის თვითმართველობის დარბაზებში. თითქმის ყველა ჩვენმა დათხოვნილმა პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა ამ საჯარო კითხვებში, ე. ი. განაახლეს თავისი უნივერსიტეტის კურსები. მსმენელებს უნდა გადაეხადათ არა ყველა ლექციების ფასი, არამედ მხოლოდ იმისა, რომელზედაც ჩაეწერებოდენ. ამ „თავისუფალმა უნივერსიტეტმა“, თავის გახსნისათანავე დიდი გავლენა მოიპოვა სტუდენტთა შორის და ამასთან მთელ განათლებულ საზოგადოებაში, მეტადრე მაღალ საზოგადოების მანდილოსანთა შორის. ყოველი ჩვენგანი უსმენდა დღეში ორ-სამ ლექციას მაინც, სწორედ ისე როგორც უნივერსიტეტში, ე. ი. სცდილობდა შეეგნო და ჩაეწერა მათი შინაარსი. ჩვენ ვფიქრობდით გაგვეგრძელებინა ამგვარად მეცადინეობა შემოდგომამდე. როცა, ჩვენის აზრით, უნდა გახსნილიყო უნივერსიტეტი. მაგრამ „კაცი ბჭობდაო“...

მარტის დასაწყისში ლიტერატურული ფონდის სასარგებლოდ გაიმართა ლიტერატურული საღამო, თითქმის ყველა გამოჩენილ ლიტერატორთა და მეცნიერთა მონაწილეობით, მოიკაზე, რუაძის დიდ დარბაზში. სხვათა შორის მაშინ პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე ჩერნიშევსკი, თავისი მოგონებებით დობროლიუბოვზე. ჩვენ ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეხლა კი მოვესწარით ცენზურის გაბიაბრუებას. ჩვენმა ახალი ისტორიის პროფესორმა პლ. ვას. პავლოვმა, რომელიც სულ ცოტა ხანია რაც გადმოყვანილი იყო კიევის უნივერსიტეტიდან, წაიკითხა „რუსეთის არსებობის ათასი წელი“, დაბეჭდილი იმ წლის „აკადემიურ კალენდარში“. მოხსენების დასასრულს პროფესორმა რამდენიმე თბილი სიტყვა დაუმატა, სადაც იგი იმედს გამოსთქვამდა ჩვენი წყობილებისა და დაწესებულებათა განახლების შესახებ. საზოგადოებამ, რომელიც იმ საღამოს მეტად აღფრთოვანებული იყო და ყველას განურჩევლად აპლოდისმენტებს უმართავდა, დააჯილდოვა იგი მხურვალე ტაშის ცემით და მრავალჯერ გამოიწვია ესტრადაზე. რაც უფრო ხშირად გამოდიოდა იგი საზოგადოების წინ, მით უფრო ხმა მაღლა გაისმოდა „ვაშას“ ძახილი. უზარმაზარი დარბაზი ხანხარებდა ტაშისაგან.

ჩერნიშევსკის დებიუტი, მიუხედავად საზოგადოების ასეთი განწყობილებისა, ან იქნება სწორეთ ამიტომ, ვერ გამოვიდა დამაკმაყოფილებელი. მას შეხვდენ ისეთი ოვაციებით, როგორიც იშვიათად თუ ვისმე რგებია წილად. იგი კი არ კითხულობდა, საუბრობდა, ნელა, მორიდებით, თითქოს მეგობარს ელაპარაკებაო, დობროლიუბოვის გაცნობაზე, მის დამოკიდებულებაზე მშობლებისადმი, მის კეთილსინდისიერებაზე მუშაობაში და სხვა. არავითარი თეატრალობა, არავითარი სურვილი მსმენელთა ყურადღების მიპყრობისა, მით უმეტეს მათი გატაცებისა, აქ არ ჩნდა. მან ერთხელაც არ აიმაღლა ხმა, არც ერთი ჟესტი არ იხმარა. ყველაფერი უბრალო იყო. დროგამოშვებით იგი ხელს ჰკიდებდა თავისი საათის ძეწკვს. მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ იმან გაგვაკვირვა, რომ ჩე-

ვ. ფ. კორშს მისცეს იჯარით „ს. პეტერბურგსკაია ვედომოსტი“. კრაევსკიმ კი სამაგიეროთ მიიღო ნებართვა გამოეცა საკუთარი „გოლოსი“. ცენზურის გამგეობა, სახალხო განათლების სამინისტროს ხელიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში გადავიდა, რომელმაც მაშინვე გაიჩინა საკუთარი ორგანო— „სევერნაია პჩელა“. ერთი სიტყვით ახალმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ მას ესმოდა ბეჭდითი სიტყვის მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრებაში, და სრულებითაც არ სურდა მის უკხო ხელში ჩავდება, მეტადრე მტრულ ხალში. ყოველივე ეს ეთანხმებოდა „სოვრემენნიკ“-ის და „რუსსკოე სლოვო“-ს რეა თვით დახურვას.

თითქოს განგებო, ამ დროს პეტერპურგში ივნისის აუტანელი სიცხეების დროს, გაჩნდა საშინელი ცეცხლი, რომელიც ხშირად რამდენიმე ალაგას ერთ დროს მოედებოდა. ეს ამბავი თითქმის ორ კვირას გაგრძელდა. განსაკუთრებულმა შიშმა მოიცვა ქალაქის მოსახლეობა, როცა ცეცხლი მოეკიდა ეგრედწოდებულ „ტოლკუჩი რინოკს“, ფიცრეულების უსწორ-მასწორო კონგლომერატს, რომელიც გაგრძელებული იყო ფონტანკიდან ვიდრე ბოლშაია სადოვაიამდე და ჩერნიშევის შესახვევიდან აპრაქსინის შესახვევამდე. აქ ბევრი ათასი ვაჭარი ჰკარგავდა მთელ თავის ქონებას. ცეცხლის გაჩენის პირველ დღეებშივე ხალხში გავრცელდა ხმები, რომ ცეცხლს სტუდენტები ან პოლონელები უკიდებენ. ზოგი კიდევ მიზეზად ასახელებდა მებატონეთა შვილების შურისძიებას გლეხების განთავისუფლების გამო. იყო კიდეც რამდენიმე შემთხვევა, როცა მხეცურად გაუსწორდენ ყოვლად უდანაშაულო სტუდენტებს, რომელთაც ბრბომ სტაცა ხელი ქუჩაში, ცეცხლში ჩააგდო, და თან ზევიდან ანთებული შეშა დააყარა. რასაკვირველია, „სევერნაია პჩელა“-მ მაშინვე ისარგებლა ამ ხმებით, თითქო სტუდენტები არიან მიზეზი ცეცხლის გაჩენისა, და ყოველ ღონეს ხმარობდა ამ ხმების გასავრცელებლად. მე და სამარინმა გადავწყვიტეთ მოგვეწყო რაც კი შეიძლება მრავალრიცხოვანი ჯგუფი სტუდენტებისა, რომელიც ზარის პირველ ჩამორეკისთანავე მიეშურებოდა სტუდენტური ქუდებით ცეცხლის გაჩენის ალაგას და მთელი ძალ-ღონით ეცდებოდა ცეცხლის ჩაქრობას, რათა დაემტკიცებინა ხალხისთვის, რომ სტუდენტები არა თუ ცეცხლის წამკიდებლები, არამედ მისი ჩამქრობები არიან: მათ არაფერი ჰშურთ ხალხის საკეთილდღეოთ. იმ ორი კვირის განმავლობაში მეტის-მეტად ემუშაობდით დაუსვენებლივ და ისე საშინლად გავშავედით, რომ ჩვენი ცნობაც ძნელი იყო. მაინც, მიუხედავათ ყოველივე ამისა, რამდენჯერმე კინალამ ცოცხლივ არ დაგვწვეს, და რასაკვირველია მიუხედავად ჩვენი შრომისა, მაინც ვერ გავაქარწყლეთ ხალხში გავრცელებული ხმა. განსაკუთრებით ერთი სცენა დამახსოვდა იმ დროიდან. ცეცხლს გუზგუზი გაჰქონდა და ზღვასავით ღელავდა ყოველმხრივ „ტოლკუჩი რინოკის“ უზარმაზარი მიდამო, როცა გაისმა ხმა, „მეფე მობრძანდაო“. ღამის პირველი ან მეორე საათი იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი განათებული იყო ბრწყინვალე, თვალის მომჭრელი სინათლით: ჩვენ ყველანი, და ჩვენთან ერთად სიმწარით გაგიჟებული ვაჭრებიც, მივცივდით სახელმწიფო ბანკის ჭიშკარს სადოვაიაზე, რომლის წინ იდგა მეფე თავის ამალით. გეჩვენებოდათ, რომ ისინი უფრო აღტაცებული არიან ამ გრანდიოზული სანახაობის მშვენიერებით, ვიდრე ფიქრობენ იმაზედ,

რომ განკარგულება გასცენ ცეცხლის საწინააღმდეგოთ ბრძოლისთვის. ამალის ყველა წევრები მხიარული და აღტაცებული იყვნენ; არავინ გენერალთაგანი ან ადიუტანტი არ დაძრულა განკარგულების გადასაცემათ. ბევრს მათგანს სერთუკები გახსნილი ჰქონდა, რაც მეტად საკვირველი იყო სამხედრო პირთათვის. როდესაც კი ქარმა მათ მხარეს დაუბერა და ნაპერწკლები მიაყარა მეფის ამალას, უბრძანეს ეტლებს და სწრაფად გაემართენ. მხოლოდ ერთი-ორმა ვაჭარმა ამოიოხრა მწარედ: „ჯანმა"; დანარჩენები პირჯვარს იწერდენ. ამ წუთში ჩაქრა ჩემი უკანასკნელი მონარქისტული გრძნობები.

ზაფხულში პეტერბურგი უცეკხლოთაც აუტანელია და ცარიელი. ეხლა კი ყოველათ შეუძლებელი გახდა მასში დარჩენა. წინა წელში ქართველი სტუდენტობა გადასახლდა სააგარაკოთ „ჩერნაია რეჩკა"-ზე. ეხლა მათ პაველოვსკი ირჩიეს, სადაც მეც დავიქირავე ჩემთვის პატარა ოთახი შუაქალაქში. მე განზრახული მქონდა მომეკიდნა ხელი სერიოზულ კითხვისთვის „თვითგანვითარების" მიზნით, მაგრამ რაც უფრო მეტსა ვკითხულობდი, მით უფრო ნათლად ვხედავდი, თუ რა ცოტა რამ ვიცოდი. მაინც მე ჩაფლული ვიყავ მეორმოციანე წლების „ოტეჩესტვენია ზაპისკ"-ების ძველ წიგნებში, ჰერცენის „წერილებში ბუნების შესწავლის შესახებ", როცა ამხანაგებისგან შევიტყე, რომ ჩერნიშევსკის ოჯახიც გადმოვიდა პაველოვსკში საააგარაკოთ. ოლგა სოკრატის ასულს მე იმ დღესვე შევხვდი მუსიკაზე სადგურის წინ. ორკესტრს მაშინ ლოტბარობდა და ქალების გულებსაც იტაცებდა განთქმული იოჰან შტრაუსი, ვენის მაღალნიჭიერი კომპოზიტორი პოლკების და ვალსებისა. მის მოსასმენათ დ დიოდა პაველოვსკი, დრო-და-დრო ჩამოდიოდენ აგრთვე ცარსკოე სელოდან და პეტერბურგიდან. ჩერნიშევსკის მეუღლე და მისი დაი მეპატიჟებოდენ დილის სეირნობაზე პაველოვსკის შშვენიერ პარკში და მეტადრე მის მომხიბლავ ტბებზე ნავით საცურავათ; ნავზე დაუღალავად უსვამდი ნიჩბებს და თან ვუზიარებდი ოლგა სოკრატის ასულს ჩემს ნაფიქრს სადღეისო ლიტერატურულ და პოლიტიკურ საჭირბოროტო საკითხების შესახებ. ის კი გადმომცემდა მისი ქმრის აზრებს ამავე საკითხებზე. ნავით ჩვენ ხშირად დავდიოდით ფერმაზე, რომლის ახლო იდგა გიმნასტიური სავარჯიშო მოწყობილობა. აქ ჩვენ ვქანაობდით, ვტრიალებდით, ან კიდევ ვისვენებდით „ფანჩატურში", სადაც ოდესმე დედოფალი მარია ფეოდოროვნა, პაველ I-ის ქვრივი, იკრებდა თავის გარშემო პოეტებსა და მწერლებს, ჟუკოვსკისა და კარამზინის მეთაურობით. ქ-ნი ოლგა ხუმრობდა ხოლმე, რომ ეხლა სამეფო კარის ჩვეულებანი ის აღარ არის რაც იყო, რომ ეხლა მწერლები აღარ უყვართ იქ, პირიქით, ისინი სძაგთ მეფეებსო.

ფიქვის სურნელებით გაჟღენთილ ამ ჯახსაღ ატმოსფერაში ჩვენ მთელ დღეებს ვატარებდით, სანამ ჩერნიშევსკი პეტრბურგში იყო. როცა კი ის ჩამოდიოდა პაველოვსკში, ცოლი აღარ შორდებოდა მას. მაშინ მეც უფრო ხშირათ ხვდებოდი ჩერნიშევსკის და უკეთ ვაკვირდებოდი ამ ადამიანს, მეტადრე მაშინ, როცა ოლგა სოკრატის ასულის თხოვნით დავბინავდი მათ აგარაკზე და დავდექი მეზონინეში მის ძმასთან ერთად, რომელიც იმ დროს ჩამოუვიდათ საარატოვიდან.

გეგდოთ ყური ამ ალერსისთვის, რომ გაეგოთ როდენის ფაქიზი სული. „ჩემი კონოლა, საწყალი კონოლა",—ეალერსებოდა როდენი და ეხუტებოდა.

ეხლა გადავიდეთ როდენის დიდ ატელიეს აღწერაზე. პირველად რომ შეხვიდოდით—როდენის ნამუშევართაგან პირველ ალაგს იდგა ბალზაკი, ძალიან მაღალ პიედესტალზე დადგმული. პიედესტალი ერთი საჟენის სიმაღლისა იქნებოდა. თვით ბალზაკიც სიმაღლით ერთ საჟენამდის იყო. ჯერ მე ბალზაკის შესახებ არ ვილაპარაკებ, რადგან ეს არის უკანასკნელი მიღწევა, უკანასკნელი სულისკვეთება და როდენის დიდებაში შეჭრა. ბალზაკი, ასე ვთქვათ, ქანდაკების აჯანყებაა, მაგრამ ამაზე შემდეგ. ეხლა დავიწყებ იმ ნამუშევრიდან, რომელიც არის აკადემიური ხასიათისა, და ასე თანდათანობით გავდიოთ როდენს ბალზაკამდის. ამ მხრივ პირველია „ბრინჯაოს ხანა". ეს არის ბრინჯაოს ხანის გამომხატველი ჭაბუკი.

როდენმა ეს ქანდაკება გააკეთა ცხვირ-გატეხილი მამაკაცის ქანდაკების შემდეგ. როდესაც როდენმა თავისი ცხვირ-გატეხილი მამაკაცის ქანდაკება გამოფინა, შეიქნა ჩოჩქოლი; სალონში ხომ არ მიიღეს, უარი უთხრეს, და თვით მოქანდაკეთა წრეებში იყო აზრი, რომ როდენს აკადემიური პრინციპებით არ შეეძლო გაეკეთებინა ქანდაკება. ამიტომ რაღაც მარღვეულ-მორღვეულ სურათს აკეთებს და ამით უნდა მიიქციოს ყურადღებაო. ხელოვანთა ასეთი დასკვნის შემდეგ როდენი შეუდგა ამ „ბრინჯაოს ხანის" გაკეთებას. სალონში ეს ქანდაკება მიიღეს, მაგრამ ამხედრებულმა მოქანდაკეებმა დაუწყეს ცილისწამება: ეს არ შეიძლება ხელით იყოს გაკეთებულიო, ალებასტრიდან ჩამოგისხავს მთელი ფიგურა, შემდეგ თიხა ჩაგიხელია ყალიბში და პარდაპირ აღებული ესტამპაჟი ცოცხალი მოდელისა მოგვიტანე და სალონში დაგვიდგიო. ჟიურიც იყო იმის გასარჩევად, თუ როგორ გააკეთა როდენმა „ბრინჯაოს ხანა". ერთი ბრალმდებელთაგანი ამ საქმეში იყო მოქანდაკე ა. ფალგიერი. ამ ცილისწამების გასაფანტავად როდენი იძულებული იყო თვით მოდელი მოეყვანა, ქანდაკების გვერდით დაეყენებინა და ამ მოდელის მოშმობით თვისი შემოქმედება გაემართლებინა. უნდა მოგახსენოთ, რომ როდენი „ბრინჯაოს ხანის" ქანდაკების გაკეთებაში შესცდა. მან გააკეთა ეს ქანდაკება ბუნებრივ სიდიდის და ხიფათში ჩავარდა. ეს არ მოხდებოდა, ცოტა დიდი რომ გაეკეთებინა; მაშინ მას ადვილად დაუმტკიცებდა ფოლადის მოდელიროვკა. ეს იცოდნენ, ალბად, როდენის მტრებმა, მაგრამ მაინც ცილს სწამებდნენ, რადგან როდენის მტრები იმ თავიდანვე ცდილობდნენ როდენის შეფერხებას, როდესაც იგრძნეს, რომ როდენი ახალი მიმართულებით მიდიოდა. ამ ცილისმწამებელთა შორის, როგორც გითხარით, პირველი იყო ის ფალგიერი, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, თვითონ მუშაობდა სწორედ ისე, რაშიც ბრალს სდებდა როდენს. როდესაც ფალგიერი გარდაიცვალა, დაიბეჭდა წერილი ერთი კრიტიკოსის. იგი სწერდა, რომ ფალგიერმა პირველმა შემოიღო ცოცხალ მოდელზე ფორმის ჩამოსხმა. მას ცალ-ცალკე ჰქონდა ჩამოსხმული ფორმები ხელების, ფეხების, გულის, თეძოების, ბარძაყების, მკლავების, და ამით ხელმძღვანელობდა თავის ქანდაკების გაკეთების დროსაო. ამით კრიტიკოსი თითქოს აქებდა ფალგიერს, ნამდვილად კი ეს წერილი იყო ფალგიერისათვის მიწის გათხრა, რადგან აქ არაფერია სანაქებო დასრულებულ შემოქმედებისათვის.

მაგრამ გავყვეთ როდენის შემდეგ ნამუშევრებს. უნდა მოგახსენოთ, რომ მე მათ შესახებ ქრონოლოგიური წესით არ შემიძლიან საუბარი.

მე შემიძლიან როდენის მანერის განვითარებაზე მივაქციო თქვენი ყურადღება, იმ მანერის განვითარებაზე, რომელიც გადადის და უახლოვდება მიქელ-ანჯელოს დაუმთავრებელ მონების მანერას. მე კარგათ არ ვიცი, ენახა თუ არა როდენს მიქელ-ანჯელოს დაუმთავრებელი მონები, რადგან ორიგინალები ფლორენციაში ინახება, ხოლო როდენი იშვიათად მოგზაურობდა.

მანერა, რომელსაც დაადგა როდენი „ბრინჯაოს ადამიანის" შემდეგ, იმით განსხვავდება მის წინა დროის ნამუშევართაგან, რომ იგი თანდათან უახლოვდება იმ გამწვავებულ სიცოცხლის ფეთქას, რომელსაც ის ცდილობს მიაღწიოს თავის „ა ჩ რ დ ი ლ ე ბ შ ი". მანერა „ა ჩ რ დ ი ლ ე ბ ი ს ა",—ეს არის როდენის მეორე პროფილი. შემდეგ მოდის მისი „ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი" და მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე". ეს უკანასკნელი ქანდაკებანი სხვადასხვაა, მაგრამ ნათესაური მანერით არიან გაკეთებულნი. მე იმიტომ მივაქციე თქვენი ყურადღება მიქელ-ანჯელოს დაუსრულებელ მონებს, რომ ის გამწვავებული ფეთქა სიცოცხლისა, ამ მონებში რომ არის წარმოდგენილი, როდენს არ დავიწყებია ბოლო დრომდის; იგი ყოველთვის აღელვებული იყო ამ ხელოვნების სასწაულით, რომელიც აძლევდა მიქელ-ანჯელოს ძალას, რომ მარმარილოში თავიდანვე ეგრძნო სიცოცხლე და ამ სიცოცხლით აღფრთოვანებული მისულიყო დამთავრებამდის. ძალიან ძნელია დიდი ტემპერამენტის ადამიანისათვის ცივ ქვაზე მუშაობა, თუ მაშინვე არ ჩაუდგა მარმარილოს სული, და როგორც დედის მუცელში ბავშვის გული იმ თავითვე დაიწყებს ხოლმე ფეთქას, თუ ისევე თავიდანვე არ გააღვიძა სიცოცხლე მარმარილოში და ასე არ მიიყვანა ბოლომდის. აი აქ არის სიამოვნება ისეთ მოქანდაკის, რომელსაც მარმარილო თავიდანვე წაიყვანს აღტაცებულს თავის მიზნისკენ და რომელიც მუშაობის დაწყებისას ფიქრობს—იქნებ რამე გამოვიდესო, მოქანდაკეს, რომელიც ქვას არ მიჰყავს. ასეთი მოქანდაკე არის უბრალო ოსტატი. ასეთი ოსტატი ადვილად დაამტვრევს მხოლოდ ქვას, მაგრამ შექმნაში ის ვერ მიიღებს მხატვრულ მონაწილეობას.

ძლიერი გრძნობის, მაგარი და გაჯავრებული ღმერთის შექმნილი არის ის ქანდაკებანი, რომლებზედაც ეხლა მოგახსენებთ.

როდენმა იცის, რომ სიყვარული არის ის წყარო, რომელიც ემსახურება შემოქმედებას და სიცოცხლეს. ამიტომ როდენს სიყვარული სწამდა და სიკვდილამდის სიყვარულისთვის არ დაუნებებია თავი. როდენს ყოველთვის უყვარდა.

ერთი პიტარა სურათი უნდა დაგიხატოთ აქ. ერთხელ როდენთან მივიდა ორი ლამაზი უცხოელი ქალი. მდივანი შემოვიდა და მითხრა:

— როდენი მოვა აქ. მოჰყვება ორი ქალი და ეხლავე სადმე გაჰქრი. როდენს არ უყვარს, როცა ახალგაზდები არიან აქ იმ დროს, როდესაც ქალები ესტუმრებიან.

ის ახალგაზდობის ფონს იშორებდა. აი ამიტომ, ამ უზარმაზარ ატელიეშიც, სადაც შეიძლებოდა ჩემთვის არც კი არავის მოექცია ყურადღება, მაინც ავიკანი იყო.

ასე, უნაზესი სიყვარულით არის შექმნილი მისი უფაქიზესი „მარადი გაზაფხული.“ ეს ქანდაკება გაკეთებულია ვარდისფერ მარმარილოდან. მართლაც და, ამაზე უკეთესად სიყვარულის გრძნობის გადმოცემა, როგორც ეს არის „გაზაფხულში“ შეუძლებელია. თვით გაზაფხულიც ხომ ემბლემაა სიყვარულის და შემოქმედების. ამ ტიპის ნამუშევარი როდენს ბევრი აქვს.

როდენის ის ორი პროფილი, რომელიც „მარად გაზაფხულსა“, „იოანე ნათლისმცემელსა“ და „მოაზროვნეში“ არის გადმოცემული, შეერთებულია „კოცნაში“, ეს არის უზარმაზარი მარმარილო, რომელიც ერთად ერთი იყო მიღებული 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და იდგა „ხელოვნების დიდ სასახლეში“. ამ ქანდაკებაში, როგორც ვსთქვი, არის შეერთება როდენის ორივე პროფილის. აქედან იწყება აუარებელი ვარიაციები, რომელთაც ახასიათებს იგივე გაზაფხულის უკიდურესი სიფაქიზე.

ეხლა უნდა მოგახსენოთ როდენის ერთს უკანასკნელ პროფილზე. ეს არის მისი „ბალზაკი“. წარმოიდგინეთ თქვენ ეს ბალზაკი, რომელსაც პირდაპირ არავითარი ფორმა არა აქვს. დვას სვეტივით: გაკეთებული აქვს მაღალი მასკა. ტანზე წამოსხმული აქვს ხალათი, რომლიდანაც ტოტებივით ჩამოვარდნილია ცარიელი სახელოები. ვერ შეატყობთ ცოცხალი ტანის ფეთქას; ვერ შეატყობთ ვერავითარ მოძრაობას, და მხოლოდ მასკაშია მოძრაობა, მხოლოდ მასკა გამოსთქვამს იმას, რის გამოთქმაც როდენს ჰსურდა ამ ქანდაკებით. როდენს ბევრი ეტიუდები აქვს ბალზაკის მასკისა. თვითონ მასკებში, რომლებშიაც როდენი სწავლობდა ბალზაკის სახეს, ყველგან იცნობთ ბალზაკს, მაგრამ პოლოს, როდესაც როდენმა დაიწყო სტატუა, სრულიად გამოუცვალა ბალზაკს პირის სახე.

მე ბალზაკი პირველად ვერ გავიგე. ბევრი ხნის განმავლობაში ველიდი გარეშემო ბალზაკს: ვნახულობდი სხვადასხვა ჟამს, სხვადასხვა განათებაზე. რადგან მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელოვნება სულ სხვადასხვა ნაირად შეიძლება გაგებული იქმნეს იმის მიხედვით, თუ რა ჟამს და რა გუნებაზე მიხვალთ მის სანახავად. როდესაც ჩამავალი მზის სხივები მიადგებოდა ტილოთი დახურულ რომელიმე მარმარილოს, მე იმწამსვე მივარდებოდი, მოვხსნიდი ტილოს, რომ ქანდაკებანი სხვადასხვა განათებაზე მენახა. განსაცვიფრებელი იყო ეს სანახაობა, მაგრამ ბალზაკს მაინც ვერაფერი გავუგე. როდენს ბალზაკი არ დაუთავებია, როდენმა იგი მოამზადა მარმარილოსთვის და რამდენიმე ხაზებ შექმნა, რომ მერე აეღო და მარმარილოდან გამოემჟღავნებინა თვისი უკანასკნელი სიტყვა. მაგრამ იმ საზოგადოებამ, რომელმაც, შეუკვეთა ბალზაკი, პარიზის ლიტერატურულმა წრემ, ცივი უარი უთხრა ბალზაკის მიღებაზე.

ამის შემდეგ როდენმა უკან დაუბრუნა ამ საზოგადოებას წინასწარ აღებული ფული და სთქვა: ეს ბალზაკი მე დამრჩესო. ატყდა ხმაურობა პრესაში და წრეებში; დაიწყეს სიარული ბალზაკის სანახავად. ბალზაკივე იყო იმის მიზეზი, რომ მას არ მისცეს ფართე ადგილი მსოფლიო გამოფენაზე. რაც შეეხება მის „კოცნას“, იგი მთავრობის მიერ იყო შეძენილი ლექსენბურგის მუზეუმისათვის,— თვით როდენს კი არ დაუთმეს ფართე ადგილი მსოფლიო გამოფენაზე, რადგან იცოდნენ, რომ როდენი სხვა ქანდაკებებთან ერთად ბალზაკსაც დასდგამდა ხაპატიო ადგილას.

აქედან დაიწყო როდენის სიდიადე. მე არ ვიცი, დააფასეს თუ არა იმ თავითვე ბალზაკი უცხოელებმა, მაგრამ ამის შემდეგ ამერიკელებმა, ინგლისელებმა და ბელგიელებმა დაიწყეს როდენის ნაწარმოებთა ყიდვა. აქედანვე დაიწყო როდენის სიმდიდრე. წინად როდენი დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ამის შესახებ მე მოგახსენებთ მაშინ, როდესაც დაგიხატავთ როდენის მეუღლის პორტრეტს. ამერიკელებმა როდენს ბალზაკში ერთი მილიონი ფრანკი აძლიეს, მაგრამ როდენმა უარი უთხრა. შემდეგ ბევრჯერ სხვებმაც განაახლეს თავიანთი მოწადინება, რომ ბალზაკი ეყიდნათ, მაგრამ როდენმა თქვა:— „მე ამას არ გავყიდი, ეს იყოს აქო."

ბალზაკი როდენს ჰქონდა ერთგვარ საზომად მათთვის, ვინც მასთან მივიდოდა. როდენი ბალზაკის საშუალებით იგებდა — ესმის რაიმე ხელოვნებაში მასთან მისულ პირს, თუ არა. თუ კომპლიმენტებს უძღვნიდნენ როდენს ბალზაკის გამო, როდენი იტყოდა, რომ ამას ესმის ხელოვნებაო.

ერთხელ ჩემს იქ ყოფნის დროს მოვიდა ერთი ცოლ-ქმარი; ინგლისელები იყვნენ. ჩვენ დიდის ჭოგრით მოვხსნიდით ხოლმე ბალზაკზე ჩამოფარებულ უზარმაზარ საფარებელ ტილოს. როდენმა აჩვენა ამ ახალ სტუმრებს ბალზაკი და ძალიან გახარებული იყო, როდესაც ამ ქალმა რაღაც უთხრა ბალზაკის შესახებ. როდენმა გვითხრა შემდეგ: ქალს ესმის ხელოვნება, ხოლო კაცს არაფერი გაეგებაო.

ერთხელ მოკარი ყური იმას, თუ როგორ დაახასიათა როდენმა ბალზაკი:

— მე გავაკეთე ბალზაკი ისე, როგორც ეს მოსჩანს თავის ბიოგრაფიაში: აღგზნებული ხელოვანი, გამოუძინებელი, პირდაუბანელი წამოვარდებოდა და ქმნიდაო. ამის შემდეგ, როდესაც დავუკვირდი ბალზაკს, ყველაფერი გავიგე. მარიელაც, ჩემს წინ იდგა ბალზაკი გაჭირვებული და ამაყი. ყოველთვის უფულო. შემოქმედებისათვის ღამე წამოვარდნილი. ბოლოს დავრწმუნდი, როდენს რომ დაემთავრებია ეს ნაწარმოები ისე, როგორც მან იცოდა,—ეს იქნებოდა დუეტი ბასისა და სოპრანოსი. აქ როდენი იქნებოდა ბასი და ეს მარმარილოს თვით, არსება ის სოპრანო, რომელიც როდენთან ერთად გასაგრძებელ დუეტად გადაიქცეოდა. მაგრამ როდენი იყო ჯიუტი და მას ბალზაკი ალარ დაუმთავრებია. ეს მე მიმაჩნია როდენის ერთ საუკეთესო ნამუშევრის დაკარგვად. მე ბალზაკს კიდევ დავუბრუნდები, როდესაც როდენის ნამუშევართა ტეხნიკაზე ვილაპარაკებ, ეხლა კი განვაგრძობ როდენის დღეს, რომელიც მე დავიწყე. ათ საათზე როდენი მიემგზავრებოდა პარიზში. ათ საათამდი ღებულობდა ხალხს, რომელიც მას რვა საათიდანვე უცდიდა, ზოგი ატელიეს პერონზე და ზოგიც ბაღში. ატელიეში შესვლა აკრძალული იყო. ხშირად როდენი ისე იყო ხოლმე გატაცებული თავის საქმეებით, რომ მას სრულიად ავიწყდებოდა გარედ მომლოდინე ხალხი. ის გავიდოდა მეორე კარებით და გაქრებოდა. ხალხი კი მთელი დღე ელოდა. შემდეგ გამოუცხადებდეხ ხალხს, რომ როდენი წავიდაო. ხშირად, მეც მთელი დღეები შეკარგებოდა იმის გამო, რომ როდენი მეტყოდა — ეხლავე შემოვალ და გეტყვი თუ როგორ გააკეთო ესა თუ ის საქმეაო, მერე დაავიწყდებოდა და ისე წავიდოდა, რომ ვერაფერს გავიგებდით. ასე, მაგალითად, ერთხელ ერთ გაფუჭებულ ქვაზე ვმუშაობდი; მუშაობა ძალიან ნელა მი-

გადავსულიყავ მასთან. მდივანმა რომ გაიგო, მითხრა, აი ეხლა როდენი მოგცემს მადამ როდენის ოთახს, ის ჩაგემტერება, მერე ვეღარ გადარჩები და როდენი დაგითხოვსო.

როდესაც როდენმა მთხოვა, რომ მასთან გადავსულიყავი, მან გამომიცხადა: აქ გექნებათ ოთახი, სადილი, ვახშამი და კარგად მოგაწყობთო. მართლაც, როდენს უთქვამს, რომ ჩემთვის მადამ როდენის სახლში მოეცათ ოთახი. მადამ როდენმა კი, რომ მიველი, სიცილით წამიყვანა და სადაც ატელიეს წასული მსახური იდგა, იქ დამაყენა. ამ ოთახის დაბლა როდენის ცხენის სადგომი იყო. აქ გავიგე, თუ როგორ ეალერსებოდა როდენი თავის ცხენს. ის ქვევით იყო და მე მაღლა, კარგად მესმოდა მისი სიტყვები.

ორი კვირა იქ ვიწექი. ძალიან შემაწუხა ცხენის სუნმა და ვეღარ გავძელი. წავედი და ვუთხარი მდივანს: მოახსენეთ როდენს, რომ სხვა ოთახი მომცენ, რადგან იმ ოთახში ცხოვრება არ შემიძლიან. როდენს, როცა გაეგო, გაჰკვირებოდა, რომ ის ოთახი მოეცათ ჩემთვის და მაშინვე ებრძანა სხვა ოთახის მოცემა. ამ დღეს მადამ როდენი მოვიდა ჩემთან და მითხრა: არ მოგწონთ თქვენ ის ოთახი? წამოდით, მეორე ოთახს მოგცემო. მან წამიყვანა და მაჩვენა მეორე პატარა სახლში ერთი ოთახი, სადაც უნდა გადავსულიყავ. ამ ოთახის პატარა ფანჯრიდან უყურებდი სენის მიდამოებს. ფანჯრის წინ, ბაღში, გაკეთებული იყო ხელოვნური გორაკი. ამ გორაკზე იდგა ჩინეთიდან მოტანილი უზარმაზარი ბუდა რომელიც პირდაპირ ფანჯარაში მიყურებდა.

ამ დიდ ატელიეს გვერდით იყო მეორე, ამაზე პატარა, მაგრამ კარგა მოზრდილი ატელიე. აქ ინახებოდა როდენის ნამუშევართა ფორმები, აქვე იყო ბერძნული მარმარილოს კოლექცია. აქვე ეკიდა ფერადებით ნაწერი როდენის ახალგაზდობის პორტრეტი, მას ჰქონდა წითელი, ქერა თმა. კარგად არ მახსოვს, ვისი ნახატი იყო იგი.

აქვე მოვიხსენებ, თუ ვინ იდგა როდენთან, ვინ მუშაობდა მასთან.

საინტერესონი იყვნენ მულიორები, ალებასროთ მომუშავენი, რომლებიც 6—8 წელიწადი მუშაობდნენ როდენთან. როდენი ყოველთვის კმაყოფილი იყო მათი მუშაობით. მას ძალიან უყვარდა ალებასტრი. როდენმა ალებასტრს რალაც ახალი უფლებები მიანიჭა. მასაქუთია მეც როდენის ალებასტრს მივეჩვიე და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე. ალებასტრიდან ჩამომსხმელები იყვნენ გიოშე-შვილი და ბარბიე. ესენი ისე განსაცვიფრებლად მუშაობდნენ, ისე თხელის მულაჟით ჩამოასხამდენ ალებასტრიდან უზარმაზარ ქანდაკებებს, რომ მაგალითად Penseure-ს (მოაზროვნეს) ერთი კაცი ასწევდა.

როდენი თითქმის ყველა ორიგინალებს უბრალო თიხიდან აკეთებდა. თიხა მოჭანდაკეს ხელშივე უხმება და შეიძლება უფრო დაწვრილებით გამოკვეთა ქანდაკების. როდენი ასეთ თიხის დამთავრებულ პატარა მოდელს აძლევდა გიოშეს და მას უხდებოდა პირდაპირ ოქრომჭედლის მინიატურული მუშაობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მის ნამუშევარში არავითარი შტრიხი არ იკარგებოდა. ეს კი დიდი მიღწევაა ალებასტრზე მომუშავეთა. აი, ამისთანა კარგი ოსტატი ჰყავდა როდენს. შემდეგ მე გადავალ იმ ტეხნიკაზე, რომელიც ძალიან ახასიათებს როდენის შემოქმედების უკანასკნელ ხანას და თქვენ მიხვდებით, რომ აქ არის ორკესტრი და როდენი არის ამ ორკესტრის ლოტბარი.

ბიბლიოგრაფია

ნიკო ლორთქიფანიძე.—წიგნი პირველი. სახ. გამ. 1924.

ნიკო ლორთქიფანიძე თავისებური მწერალია. მან შესძლო საკუთარი ნიადაგის მოძებნა. მისი ნაწერი უსახელოდ ც გამოიცნობა. იქნებ ამის მიზეზი ისიც იყვეს, რომ ჩვენი მწერალი „მცირედთა კმაყოფილდება", არა ჰყვარის, დინჯი პოზით გასცქერის ქვეყანას და დისონანსად ეჩვება ირგვლივ ატეხილ ლიტერატურულ ჟრიამულს. რომელიღაც მწერალმა ლეონიდ ანდრეევის შემოქმედებას „ლიტერატურული კომპარი" უწოდა. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას შეიძლება ლიტერატურული სიდარბაისლე უწოდოთ. იშვიათია ჩვენში მწერალი, რომელიც ისეთი თავდაჭერილობით მოგვითხრობდეს, როგორ ც ნიკო ლორთქიფანიძე. შეიძლება ტკივილებს ამჟღავნებდეს, მაგრამ მისი სტილი არ იგრიხება; შეიძლება კომიკურ ელემენტსაც შეეხოს, მაგრამ ავტორის სიდინჯე მაინც არ იკარგება. არის რაღაც „კეთილ-შობილება" წერის ასეთ მანერაში, და ნიკო ლორთქიფანიძესაც ეს ახასიათებს.

მისი მოთხრობები, მინიატურები თუ უბრალო პასაჟები განზომილნი არიან, მოკლედ თქმულნი. მეტაფორა სულ არ უყვარს ჩვენს ავტორს. სწერს სადად, მაგრამ მკვეთრად. ხშირად ლირიზმის სილრმეებს სულ ადვილად ეღუეს. —„თქვენ ცხედრებათ გადიქეცით. ერთი ნაწილი ჩემი გულისა თან გაგყვათ. დარჩენილის გასამართლებად ეწერა ამ სტრიქონებს. უკანასკნელი უდიდესი ვალი ვერ მოვიხადე თქვენს წინაშე: ერთი მუჭა მიწა ვერ მოგაყარეთ..." ახრის გამბრუნებასაც მარტივად ახერხებს:—„მიწა იყო და მიწად იქცა"-ო? „ადამიანი მიწა თავის დღეში არ ყოფილა." თითქოს ამ თქმაში ახალი არაფერია, მაგრამ ფსიქ შეხდენილად და სადად არის ნათქვამი, რომ ახალსავით ისმის ისეთე, როგორც ჭისი თქმა. ახალია? — არა. მაგრამ ამ წიგნა მაინც სიამოვნებით კითხულობთ. მართალია, ამ წიგნში „დიდი საკითხები", „წყეული კითხვები" და სხვა ამისთანები ძალიან ცოტაა, და სამაგიეროდ ბევრია „წვრილ-წვრილი" ამბები, სულ „უმნიშვნელო" ნატეხები, მაგრამ ყველაფერს ისეთი დაფიქრებული და სევდანაკრავი იერი აქვთ გადაკრული, ისეთი ალერსიანობა სჩანს ყოველ სიტყვაში, რომ ყოველივე ამ ძველში სიახლესა ჭვრძნობთ. და ამ „უმნიშვნელო" მოვლენებს ავტორი შეგნებულად ჰკიდებს ხელს, ნაწყვეტ-ნაწყვეტებად იძლევა, როგორც კინო-აპარატი, რომ მეტი ადგილი მკითხველის ფანტაზიას დაეთმოს, „პატარა" დიდად აქციოს, „ნატეხი" მთლიანად და სხ... ნიკო ლორთქიფანიძემ უარჰყო მოთხრობათა წერის ძველი მანერა, მთელი თავისი დეტალიზაციით, გაჭიანურებით, მომაბეზრებელი თან-მიმყოლობით... რომ „ეამიერით არ შეეძულებინა გმირიც და მისი ბიოგრაფიაც"...

ნიკო ლორთქიფანიძის პირველ წიგნში ერთი სერია „დანგრეული ბუდეები"-ს სათაურით მიდის. გვგონია, რომ მთელი წიგნის სათაურადაც გამოდგებოდა „დანგრეული ბუდეები", რადგან ავტორი მახლობელ წარსულიდან ჰკრებს

მოტივებს. ამ წარსულის ნაშთები დღესაც არიან გამტვრიანებული ბიუსტების, რუსულ წარწერიან ალბომების, გახუნებულ ადამიანების და სხვათა სახით, რომელსაც ავტორი ცოტა სხვანაირად განიცდის.—„უმრავლესობისათვის მხოლოდ სამწუხაროა ოჯახის, მამულ-დედულის გაყიდვა, კერიის დანგრევა,—მექნება და შევიძენ უკეთესსო, ინუგეშებენ თავს. მაგრამ ვისაც სახლ-კარ-მიდამოში მთელი გვარის ლეგენდები, ზღაპრები, წინაპრების ტანჯვა და სიხარული ჩამარხული ეჩვენება, სახლის გაყიდვასთან, წარსულის დაშორებასთან ეკარგება მომავალიც. წინ აღარაფერია ჩვენთვის, თუ უკანიდან არ შემოგვყურებს წინაპრის მკაცრი, ულმობელი სახე-ტრადიცია, თუ ისა გვყავს, კიდევ ბევრი რისთვისმე ვარგივართ, რაც საჭიროა ქვეყნისათვის“-ო.

ამ ტრადიციების „დანგრეულ ბუდეებს“ გასცქერის ჩვენი ავტორი და სცდილობს თავის შემოქმედებაში ერთხელ მაინც გააცოცხლოს მათი სითბო, უბრალოობა და სული, რომელიც ამ ნანგრევების ქვეშ მოჰყვა.

ნიკო ლორთქიფანიძის პირველ წიგნში მოყოლილია ბევრი ადრინდელი ნაწერი, გვიანი და უფრო ძლიერები კი მეორე და მესამე წიგნისთვის გადუდვია. „თუ ოდესმე დაბეჭდვა ეღირსა“-ო. სახელმწიფო გამომცემლობამ ავტორის სკეპტიციზმი უნდა გააბათილოს.

3. კ.

ლეო ქიაჩელი. ტომი I, 1924. ტფილისი. მოთხრობები, ნოველები, ესკიზები.

ჩემს წინ დევს ერთი ქართველი ბელეტრისტის თეთრი წიგნი. გასული ლიტერატურული სეზონის განმავლობაში ქართულმა სიტყვა-წყობილმა პოეზიამ და სიტყვაკაზმულმა მწერლობამ ხუთიოდე წიგნით აღნიშნა თავისი არსებობა ამ ქვეყანაზე. ყოველი ნაყოფიერი მწერლისთვის ერთი კარგი წიგნი წელიწადში, ეს მინიმუმია, მაგრამ ისეთი წვალებით რომ წიგნი გამოსცეს ადამიანმა, რომლის გადატანაც ავტორს უხდება საქართველოში, ეს გმირობაა. და გმირობა ყოველ ადამიანს ყოველ წელს როდი შეუძლია.

ლეო ქიაჩელის ტარიელ გოლუას მე ორი ფელეტონით მივესალმე (იხ. კ. გ. ტარიელ გოლუა. 1918 წ. „სახალხო საქმე“) მე მიხარია, რომ ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა. ლეო ქიაჩელმა ტარიელ გოლუას შემდეგ ქართული პროზის უმშვენიერესი მოთხრობები გვაჩუქა კიდევ: ჯადოსანი, სტეფანე, წუთისოფელი, ცოდვის შვილები, პატარა ისტორია, ბერი და ყორანი, იმედები, Escalade, კრიმანჭული, მკვლელობა კოხტა გორაზე, მუხა და ტირიფი.

მე აქ ასპარეზიც არა მაქვს სათანადოთ ამ მოთხრობებზე ყველაფერი ვსთქვა, რასაც ვგრძნობ. „სტეფანე“ ჩემის აზრით შედევრია ქართულ ნოველისტიკაში. ეს მოთხრობა საუკეთესო ევროპიელ სტილისტის კალამს დაამშვენებდა. „სტეფანე“ „კრიმანჭული“ „ჯადოსანი“—ეს გახლავთ საქართველოს ყველაზე უფრო ლეგენდარული კუთხის—სამეგრელოს პოეტური ფერადების ნაშიერი. სტეფანე სრულიად ახალი კაცია ქართული პროზის სახეების გალერეაში. ქართველი ხალხი (ილია ჭავჭავაძის, ნინოშვილის, თვით ყაზბეგის ნაწერებში) წარმოდგენილი იყო როგორც „ფხიზელი“ რაციონალისტი; სტეფანე და ტარიელ ქართველი გლეხე-

ბია, მეკრელი გლეხები, ბუნების იდუმალ ძალთა მესაიდუმლე, ჯადოსნები... არა რაციონალისტები, არა პოზიტივისტები.

„ბერი და ყორანი", „კრიმანჭული" — ეს ქართული ზღაპარის სამეფოში დაბრუნებაა.

პოეზიის და პროზის უდიდესი Dominion მუდამ იქნება ზღაპარი. და ვაჲ იმ ნაციონალურ მწერლობას, რომელსაც ეროვნული მითის ხელმეორედ მოგონების უნარი აღარა აქვს.

ამ წიგნის ზოგიერთმა რეცენზენტებმა აღნიშნეს — ლეო ქიაჩელს ტკბილი სტილი აქვსო, ამას ფრანგულ ზედგავლენას აბრალებენ (sic). ამ ხალხს ავიწყდება, რომ ქიაჩელის სტილის სიტკბო, რომელსაც მე პირადად დაუფასებელ ღირსებად ვთვლი, აიხსნება არა ფრანგული ზედგავლენით, არამედ იმ გარემოებით, რომ ქიაჩელის ქართულს ფესვები აქვს ულამაზესი ქართული დიალექტის — მეგრულის ყამირში. ზოგიერთს ეს პარადოქსად მოეჩვენება. თუ ოდესმე დაიწერა უახლესი ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი ისტორია — ეს მომენტი უნდა აღინიშნოს.

დღეს ქართული სტილის აღორძინების კვირაძალია. ეს აღორძინება სამი სანიშნოთი უნდა მიდიოდეს: ძველი ქართული ლიტერატურა, ქართული დიალექტები, კულტურული ენების ზედგავლენა. (ნეტავ ოდესმე თუ დაიწერება ქართული სტილის ისტორია?) ლეო ქიაჩელის პროზა ქართული სტილის აღორძინების ისტორიაში საპატიო ადგილს დაიკავებს. მე არ მინდა ეს წერილი „სახაზინო" კრიტიკას დაემსგავსოს. ამიტომ არ შეუდგები ქიაჩელის მოთხრობების ფაბულის გადმოცემას. მთავარია სტილი. სტილია ყველაფერი.

ყოველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს: ქიაჩელის წერის მანერაში ოდნავ სჩანს „დაუდევრობა", მე პირველად ეს მართლაც დაუდევრობა მეგონა, მაგრამ გულდასმით დაკვირვებამ დამარწმუნა — ეს მისი მანერაა. ეს მანერა მიჯნავს ლეო ქიაჩელს დაჰიმულ პათეტიზმისა და გადაპარბებულ ხელოვნურობისაგან. მისი სტილის განვითარებაში მე მინდა აღვნიშნო ახალი მომენტი, ახალი ეტაპი — ეს იწყება მის საოცარ მოთხრობიდან — „ოშიმა", რომელიც გაგრძელებაა მისი ნოველების წიგნის უპატიოსნესი თვალის — სტეფანესი.

K.

კონსტანტინე გამსახურდია. „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ." 1924 წელი. კოლექცია რენესანსი.

იპ. ტენი ამბობს, რომ მეტად ძნელია ადამიანმა მიაგნოს თავის თემასო. ეს თქმა განსაკუთრებით ჩვენში მართლდება, სადაც არ არსებობს შრომის დიფერენციაცია, სადაც მწერალს მრავალ პუნქტებზე სჭირდება დგომა. ამ ბედს ვერ ასცდენ ჩვენი წინაპრები: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, არ. ჯორჯაძე და სხვ... და ამავე მდგომარეობას განიცდის თანამედროვეობაც. და თუ ევროპაში თემის მიგნება ძნელდება, და ამაში თვით მაძიებელია დამნაშავე, ჩვენში გარემოს ედება მთავარი ბრალი, და წრფელად გეახარებს, როდესაც ამ გარემოს ვინმე ხელიდან დაუსხლტება. კონსტ. გამსახურდია ნიჭიერი და კულტუროსანი მწერალია

რომელიც მრავალზე ხაზზე სცდილობდა დგომას, თუმცა უნდა ითქვას დიდის ნიჭიერებით (კრიტიკა, დრამა, ლექსი), დღეს კი ჩვენდა სასიამოვნოდ გარკვეულ პოზიციაზე გადავიდა: ეს არის მხატვრული პროზის ქვეყანა, რომელსაც დღევანდლამდე ქართველ მწერალთა უმრავლესობა გაურბოდა, როგორც წყეულ ადგილს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კ. გამსახურდიას სახით, ქართულმა პროზამ მნიშვნელოვანი ძალა შეიმატა.

კ. გამსახურდიას წიგნი, მისი ნაზი და მელანქოლიური ნოველები, თავიდან ბოლომდე ერთი გრძნობით, ერთი სულისკვეთებით არის გამთბარი. სტილი აქ დაძლეულია სავსებით: არსად წყდება, არსად ყალბდება, თანაბრად მატყვევებელია.

„ქვეყანა, რომელსაც ვხედავ"... აქ მართლაც პოეტის მიერ ხილული, მისი მელანქოლიური სულის პრიზმაში გატარებული სინამდვილეა.

თავის „ფოტოგრაფიით" ავტორიც თითქოს სწერს წიგნს: „ქვეყანა, რომელიც სურათის გადაღებად არ ღირს." მახინჯია თანამედროვე ადამიანის გრძნობა—გონება: „მთელი თავის ქალა გამჭვარტლულია ნიკოტინით, დიდი ქალაქების ოხშივარითა და მტვერით. აქ არის ნამცეცები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოსი, საფირონის, მარმარილოსი, ქაღალდების, გაზეთების, წიგნების, ტრანსცენდენტალური თეორიების, კანტის, ლაპლასის, ლაუაზიეს, აზიის, აფრიკის, მთელი ჩვენი უსულო ცივილიზაციის და პათეტიური კულტურის" („ტელეფონი").

თანამედროვე ადამიანი ფაუსტია, რომლის მკერდში ორი სული სცხოვრობს. და ავტორის შემოქმედებაში არის ასახული ეს ქანაობა ორ პოლიუსს შორის. ავტორს თითქოს სძაგს თანამედროვე ცივილიზაცია და მისი მატარებელი ადამიანი. მაგრამ არა. ავტორს ამასთან სწამს დედა-მიწა, დიდი დედა, რომელიც არასოდეს არ აციებს სიყვარულს. ავტორი გრძნობს მშობლიურ კავშირს მასთან. განმარტოებული, სულით ობოლი ადამიანის ტრაგედია მას კეთილშობილი პათოსით აალაპარაკებს.

ლენჩი ოქოპირა („ზარები გრიგალში") პატარა კაცის დიდი ტრაგედიაა. ოქოპირ მნათე ეკლესიას ჩამოაშორეს. ნახუცარი დუქანს ხსნის, გლეხებს ეკლესია არაფრად ადარდებთ. მაგრამ ოქოპირ, ლენჩი ოქოპირ, ახალ მდგომარეობას ვერ შესთვისებია. მისი სიცოცხლის შინაარსს და აზრს—ზარების რეკვა შეადგენდა. მოპასანის მოთხრობის („მენუეტ") გმირები, ღრმად მოხუცებულნი, სიცოცხლეს მაშინ გრძნობენ, როდესაც ჩუმად, მივარდნილ კუთხეში, ძველი იმპერიის სასახლის ცეკვას, მენუეტს ასრულებენ. წარსულშია მათი ცხოვრება და მხოლოდ ამ წარსულის მკრთალი სხივი ღა ანათებს მათს სიცოცხლეს. ასეთივეა ოქოპირა. შავ, უკუნეთ ღამეში, მნათე სამრეკლოში აიპარება და ერთხელ კიდევ აატირებს თავის საყვარელ ზარებს. ლენჩი ოქოპირ, ექსტაზში შესული, იღუპება. ამ ნოველაში ავტორის სტილი გამძაფრებულ პათოსს აღწევს.

დიდ მიღწევად ქართული პროზის სფეროში უნდა ჩაითვალოს მოთხრობა „ფოტოგრაფი". ავტორი აქ ყველაზე ნათლად წარმოადგენს ექსპრესიონიზმს იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომლის მხატვრული იდეების შესახებ პირველად ჩვენმა ავტორმა აღძრა საუბარი ქართულს მწერლობაში. „ფოტოგრაფ"-ში არის პოეტური ხელის დიდი სიმახვილე და დინამიური სტილი. აღსანიშნავია ავტორის „მეტაფორა, მოულოდნელი, შთაგონებული.

პატარა ნოველებში განსაკუთრებით ერჩევა „პორცელანი“, რომელიც დაბინდულია მელანქოლიის ნელი შუქით, რომელიც გვაგონებს ძველ სურათს, ოდნავ მუქ-გადაყვითლს, სადაც ავტორი სინაზის ულამაზესს მომენტებს აღწევს.

საერთოდ, კ. გამსახურდიას მოთხრობათა კრებული დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ახალ მწერლობაში. იგი იძლევა ქართული პროზის აღორძინების სანიშნოს.

აქვე შეუძლებელია არ მოვიხსენიოთ გამოცემის გარეგანი მხარე. არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ამ პატარა წიგნის სახით ჩვენ გვაქვს ულამაზესი გამოცემა ბოლო წლებისა. შერჩეული ფორმატი, ხომიერების გრძნობა სამკაულებში, თანამედროვე წიგნის კულტურის ცოდნა.

ი. რ—აკ.

ხარიტონ ვარდოშვილი. ლექსები 1918—23., ტფილისი 1924., გამოცემა ალ. არაბიძისა.

რკალები: I. სათხოვარი სულისადმი. II. შავი ჰაერი. III. საქართველო. IV. საუბარი უბედურ დანდთან. V. სამდურავი შუალამეს VI. ბინდები ციდან.

ხარიტონ ვარდოშვილი—ნაზი მელანქოლიის პოეტია. მისი სტილი სადაფზე ნამუშევარს წააგავს. იგი მოწყენილია და სევდიანი

რადგან: „ზეციდან მოდის კორიანტელი
მსხვერპლთა ძვალებად იქცენ ველები.
ღამემ აანთო ცოდვის სანთელი
მიწა აივსო სახრჩობელებით.“

ვარდოშვილი ახალ თაობის შვილია და მან შეუძლებელია არ დაიმსახუროს ჩვენი სიმპატია. მას არა აქვს ის საოცარი განდიდების მანია, გაუგონარი პრეტენზიები და ცარიელი ტრაბახი, იგი მოკრძალებული მწირია ამ ქვეყნად. მისი მსოფლიო შეგრძნობა პასიური.

ამ წიგნში ვარდოშვილი ჩვენ გვევლინება უკვე გარკვეულის პოეტური ფიზიონომიით. იგი „ყოველთვის ნაზი, უცოდველი და უცნაური“ რჩება.

როცა ამ თაობის ნაწერს კითხულობ გაოცებს: საიდან იშვება ახალგაზდა გულში ამდენი მწუხარება? თავის დროზე ქართველი კრიტიკოსი ამ საკითხს გამოარკვევს: რითი აიხსნება ქართველი პოეტების ასეთი პესიმიზმი? თამამად ითქმის ქართული ეროვნული Naturel—უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე მთელი თანამედროვე პოეზიის ძარღვიანი კილო. დღეს ქართული ლიტერატურის ყოველ ფრონტზე იწყება ამ ქართულ ეროვნულ—Naturel-ისკენ უკუქცევა. ის დიდი ოვაციები, რომელსაც დღევანდელი ქართველი მწერლები უმართავდენ: ილიას, ვაჟას, აკაკის ორი წლის წინად—ამის მომასწავებელია.

რკალები: სათხოვარი სულისადმი და შავი ჰაერი, ფრიად სიმპატიურ ნიმუშებს იძლევა უახლესს ქართულ ლირიკაში. უმთავრესი რაც ლირიკისათვის უცილოა, ეს არის გულწრფელობა. ამ გულწრფელობის ნიმუში უხვადაა გაბნეული მთელს წიგნში.

თავისებურია პოეტის ლექსი. აქ არაა მყვირალა და პარადოქსალური რითმები. იგი ყოველთვის იძლევა შეთანხმებულ ბგერას ლექსის საერთო ტონთან. რითმა ორგანიულად გამომდის სტრიქონიდან და პოეტური სახეებიდან. აქ არის მხატვრული ხომიერების გრძნობა.

პატრიოტიკის რკალში ნაზი მგრძნობიერებით გამთბარია მისი „ტფილისი დეკემბერში.“

„ტფილისის ჭუჭებს გადაეკრა სიცივის ფერი,
ნავარდობს ქარი და მიარღვევს ღრუბელთა ლანდებს.“

პატრიოტულ გრძნობების გადმოცემაშიაც ვარდოშვილი თავისებურია.

საინტერესოა მისი ეროტიკაც. ქართული ლიტერატურული ეროტიკის ტრაფარეტი იყო სპარსული ქალ-ვაჟიანი. უახლესმა ლიტერატურამ დასძლია ეს თავმოსაბეზრებელი ვარდბულბულიანი, რომელიც თეიმურაზ მეფიდან დღემდის განუწყვეტლად პოულობდა ზოგჯერ ნიჭიერ, ზოგჯერ უნიჭო ეპიგონებს. ვარდოშვილის „იისფერი ქალი" ახალი ქართული ეროტიკის უნაზესი ნიმუშთაგანია.

საერთოდ ხარატონ ვარდოშვილი ამ თავის პირველ წიგნში უკვე გამართლებულია როგორც პოეტი. ჩვენ ველით რომ მეორე წინგში იგი კიდევ მეტს გამარჯვებას მიაღწევს.

K.

მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი. მოთხრობები ტ. I. ად. გამომცემლობა ჯავახიშვილი ბეჭდავს, ფ. 1 მ. 50 კ.

ქართული პროზა კვლავ დინჯად მოაბიჯებს, წელში იმართება. ამის ერთი საუკეთესო დასტურთაგანი—ქართულ ლიტერატურაში მიხ. ადამიშვილის ხელახლა დაბრუნებაა.

ოცდა ორი წლის წინად იგი გამოვიდა ქართული პროზის ასპარეზზე და პირველი მოთხრობითვე გამარჯვება მოიხვეჭა. მაგრამ მალე შეეცდა „ნავთსაყუდელსა დუმილისასა". და აი, მხოლოდ ხუთმეტი წლის შემდეგ იგი კვლავ მოგვევლინა. ერთი წლის განმავლობაში მან მოგვცა „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ტყის კაცი" და „ჯაყოს ხიზნები". ეს უკანასკნელი მოთხრობა ჩვენს მწერლობაში კლასიკურ ნაწარმოებათ დარჩება. საოცარია, როგორ იტევდა ავტორი გაუმეცავნებლად ამდენ სახეებს, რატომ იყო მისი შემოქმედების ცეცხლი ამდენხანს ნაცარწაყრილი?!

მ. ადამაშვილის ზემოხსენებულ წიგნში მხოლოდ ერთი მოთხრობაა ახალი —„ტყის კაცი". მაგრამ პირველ მოთხრობაშივე მისი წერის მანერა საესებით ჩამოყალიბებულია: იგი მოგვითხრობს სადად, ობიექტიურად, ეპიურის სიმშვიდით. მშვენიერია მისი ენა, დახვეწილი, დინჯი, მეტყველი და ძარღვიანი. ახალ მოთხრობებშიც იგივე ძველი მანერაა, ოღონდ უფრო მოქნილი და დასრულებული.

მ. ადამაშვილს აქვს შეუდარებელი ნიჭი „დანახვისა" და ამ „ნახულის" შესანიშნავი რელიეფობით ცხად-ყოფისა. ავტორის გულისთქმა თითქმის უხილავია. მის შემოქმედებაში არაა ის ლირიზმი, კეთილშობილი მელანქოლია, რითაც ასე უხვად არის დატვირთული ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება. გრძნობების სიტყვად ქცევის საშუალებით როდი ანათებს იგი სინამდვილეს, პირიქით, იგი თითქმის ამ სინამდვილის წინაშე სდგას გულდამშვიდებული. თითქოს ეს სინამდვილე უკარნახებს მას სიტყვასა და ფერადებს. ამიტომ არის მასში უაღრესი ბუნებრიობა.

მკაცრია, შეუბრალებელი ის ცხოვრება, ავტორი რომ გვიხატავს. მკაცრია, შეუბრალებელი ადამიანი: ასეთია მ. ადამაშვილის განაჩენი. ამიტომ საკვირველი როდია, რომ თითქმის ყველა მისი მოთხრობა უბედურობით თავდება.

ავტორი უმეტესად ცხოვრებისაგან გატანჯულ, მისი ნასუფრალის შემყურე, დაჩაგრულ პირებს გვიხატავს. გვიხატავს ქართულ „ჩანჩურას", სოფლელ „უპატრონოს", „ტყის კაცს", კურკას და მის ქორწილს. მ. ადამაშვილს ზოგიერთი, გორკის ყაიდის მწერალს უწოდებს. მართლაც მისი გმირები („ჩანჩურა, „კურკა"

„მეჩექმე გაბო“) ქალაქის „ფსკერს“ წარმოადგენენ, მაგრამ არის დიდი განსხვავება. გორკის ტიპები ფსკერზე ზემოდან ჩაცვინულან, დაცემულან. ჩვენი ავტორის გმირები კი ამ ფსკერზევე არიან დაბადებულ-აღზრდილნი. გორკის გმირებს წარსულის მოგონება აცხოვრებთ. მ. ადამაშვილის გმირების წარსული ისეთივე უნუგეშოა, როგორც აწმყო. ვინ არის ჩანჩურა? არავინ იცის. თავისი გვარი და სახელი არ იცის, მგონი, არც თვითონ. ჩვენ ეხედავთ მას შეუპარალებელი ბრბოის მასხრობის, დაცინვის, თავშექცევის მსხვერპლად.

ან და შეხედეთ „მეჩექმე გაბოს“, ამ საროსკიპოს მუდმივ სტუმარსა და მესაიდუმლეს.

ეს მოთხრობა კუპრინის „Яма“-ზე ადრეა დაწერილი. მიუხედავად ფრიად დიდი ნიჭისა, კუპრინი მაინც ვერ ასცდა რეზონიორობას. მ. ადამაშვილის მოთხრობაში მსგავსი არა არის რა. ავტორი არც აქ ჰღალატობს თავის მანერას და შესანიშნავის ობიექტიობით გვიხატავს გაბოს, მის „წიწილებსა“ და „პუპულებს“.

ვიმეორებთ, ფრიად სასიხარულოა მ. ადამაშვილის „მეორედ მოსვლა“. თავისი შემოქმედებით მან უკვე განსაზღვრული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს მწერლობაში.

ქ. რ.

ოვანეს თუმანიანი. რჩეული ნაწერები. **ი. გრიშაშვილის** თარგმანი. სახელმწიფო გამომცემლობა. 1924 წელი.

თუმანიანს ჩვენ ვიცნობდით, მისი დიდი სახელის გამო. მისი ნაწერები კი, ორიოდე ნიმუშის გარდა, არ გვენახა. ეს მოვლენა შემთხვევითი კი არ არის, არამედ უკულმართი პირობების ნაყოფი.

პირდაპირ უცნაურია, რომ ჩვენ და სომხები, რომელნიც ასე ღრმადა ვართ ერთმანეთის ცხოვრებაში შეჭრილნი. რომელთაც მიწაც გვანათესაებს, სისხლიც და ბედიც, ასე ღრმადა ვართ დაშორებულნი იდეურად—ხელოვნებით.

გრიშაშვილმა საიათნოვა თანადროის სამწერლო თემად აქცია. ამით მან პირველად დაგვაახლოვა სომხურ მწერლობას. მაგრამ საიათნოვა მაინც უმთავრესად ქართველი პოეტი იყო. თუმანიანის თარგმანით კი გრიშაშვილმა მოგვცა სომხის ერის შემოქმედების შედევრები. დაე, ეს იყოს ჩვენი და სომხეთის მწერლობის კავშირის პირველი მახარობელი.

თუმანიანი, როგორც პოეტი კარგად ჰყავს დახასიათებული გრიშაშვილს. თუმანიანის ნიჭი მართლაც უშუალოდ მიწიდან მოდის. მას მოაქვს სომხის ხალხის სულის ტკივილი, მისი ტრაგედია და გამძლეობის უნარი. „სომხეთის მთებზე“ „სომხეთის სევდა“ და განსაკუთრებით პოემა „ანუშ“ ეს არის უმშვენიერესი ძეგლები კეთილშობილი პატრიოტიკის, მაგრამ თუმანიანი უპირველესად პოეტია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

„ჩემი სიმდიდრე სიკეთეა და სიყვარული.

„პოეზიისთვის შეუყვარე ყველა ქვეყნები“.

დამახასიათებელია ლექსი „საქართველოს პოეტებს“. ამ ლექსში საესებით არის მოცემული თუმანიანის კეთილშობილება, გულწრფელი სურვილი მეზო-

ბელერთა ურთიერთგაგების, დაახლოვებისა, პატივისცემის. თუმანიანის ნიჭი მრავალმხრივია, სტილი რბილი და მოქნილი, მისი სტრიქონებიდან მართლაც „მიწის სუნთქვა“ იმის.

მით უფრო აღსანიშნავია, რომ გრიშაშვილმა თავს იდვა თუმანიანის თარგმნა და მოგვცა მისი ნაწერების დამახასიათებელი კრებული. თვით თარგმანი“ დიდ მწერლურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მისი უმთავრესი ღირსება ის არის რომ იგი თარგმანი კი არა, ორიგინალური ნაწარმოები გგონია. ძალდაუტანებელი ლექსი, ბუნებრივი სტილი, დახვეწილი, დარბილებული მუსიკა და დაურღვეველი რითმა. ეს, გარდა გრიშაშვილის მწერლური უნარისა, იმასაც მოწმობს, რომ ჩვენსა და სომხური სტილის შორის დიდი ნათესაობა უნდა იყოს.

ნაწილი თუმანიანის ლექსებისა, მათ შორის თუმანიანის შედევრი „ანუშ“ პირველად გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „კავკასიონში.“ კრებული დიდის გემოვნებით არის გამოცემული, დაბეჭდილია სუფთად და უშეცდომოდ. წიგნი 136 გვერდს შეიცავს, საკმაოდ მოზრდილი ფორმატისაა. დართული აქვს თუმანიანის სურათი, თუმანიანისადმი მიძღვნილი გრიშაშვილის ლექსი და აგრეთვე მთარგმნელის წინასიტყვაობა.

ს. ფ—ლი

დავით კაკაბაძე. პარიზი 1920—23 წლები. 1924 წ. პარიზი.

ქართული მწერლობა ღარიბია სპეციფიურ სამხატვრო ლიტერატურით. არც ფერადებით ნახატებზე, არც ქანდაკებაზე ჩვენში წიგნი არ არსებობს, და დ. კაკაბაძის „შრომას“, პარიზში დაბეჭდილს, მოუთმენლად ველოდით. მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. წიგნი საუცხოოდ არის გამოცემული. იაპონურ ქაღალდზე დაბეჭდილი, მშვენიერ კლიშეებით, საუცხოო ყდით. გარეგნობის მიხედვით შინაარსიც შესაფერი გგონიათ, და სამწუხაროთ გრჩებათ, რომ ძვირფას სამკაულში აზროვნების სიღარიბე გამოხვეულა. რომ დიდი პრეტენზიებით არ იწყებდეს ავტორი ამ წიგნს, ვიტყოდით, რომ პოპულიარული ბროშურა დაუწერიაო, მაგრამ ავტორი სულ სხვას ჰფიქრობს: „მხატვრული აზრის და სამხატვრო მწერლობის საქართველოში განმტკიცება“—ეს არის მისი მიზანი. მართალია, ჩვეულებრივ წინასიტყვაობის თავაზიანობით უმატებს „რაოდენადმე“-ს, მაგრამ ეს მაინც ვერა ჰფარავს იმ ზმანებითი სიმაღლეს, საიდანაც ავტორი გადმოსცქერის ქართველ მკითხველს. არა ვდაობთ. სამხატვრო აზროვნება ჩვენში განმტკიცებული მართლა არ არის, და ამის ბრალია, რომ თვით დ. კაკაბაძის აზროვანებაც ჩვეულებრივ დონეს ვერა სცილდება.

რას ეხება ჩვენი ავტორი? სათაური არა აქვს, მაგრამ შინაარსის მიხედვით—მხატვრობის პრობლემას საზოგადოდ, და მის თანამდროვე მდგომარეობას. მაგრამ აქ ისეთი ნარევია მოცემული, რომ ვეჭვობთ ამ წიგნის წამკითხველს რაიმე შთაბეჭდილება დარჩეს, გარდა იმ ელემენტარული ცნობებისა, რომელიც უწიგნოდაც იცის ყველა უბირმა მოქალაქემ. წიგნი თავიდან ბოლომდე ტრუიზმებით არის სავსე. მაგ. „წარსულთან შედარებით, დღევანდელი ცხოვრება ძლიერ გამოიცვალა“. „რამდენად ცხოვრების კულტურული დონე მაღალია... იმდენად ადამიანი უფრო ძლიერ განიცდის მაღალ პოეზიას“... „მშვენი-

ერების წარმოდგენა დამოკიდებულია განვითარებაზე"... „მშვენიერების წარმოდგენასა და დაფასებაში, ზოგი ჩამოქვეითებულია, ზოგი კი მუდმივ წინ მიდის"... „ყოველ საზოგადოებაში სხვადასხვა ხარისხის ადამიანი არსებობს და მათ შორის ზოგი სულიერად უფრო მაღლა სდგას"... „ყოველ ადამიანს აქვს პოეზიის გრძნობა, მაგრამ ადამიანებში განირჩევიან უმაღლეს პოეზიის შეგნების მატარებელნი"... და ასეთი გაცვეთილი „ჰეშმარიტებებით" არის ეს წიგნი მოკირწყლული.

წიგნის მთავარი მოტივია მაშინიზმი. ამ კუთხიდან უცქერის ქვეყანას, და მხატვრობის კრიტერიუმიც ამ მაშინიზმში ეგულება. მაგრამ ავტორის მაშინიზმი ისეთი სადაა და უბრალო, რომ არავითარ „ახალ" ემოციებს არ იწვევს, და პრიმიტიულზე უფრო პრიმიტიულად გეჩვენება. მაშინიზმით ბოროტმოქმედება დაუშვებელია. მაშინიზმი არ არის საკმარისი როგორც ლექსიური ფორმა, ის უნდა ფსიქოლოგიურ კატეგორიად იქმნეს გადაქცეული, რომ დამაგერებლი იყვეს, ამ პრიზმის მიხედვით, ავტორი ვერაფერს არკვევს. ხოლო რაც შეეხება აზრთა ლოღიკურ მიმდინარეობს, ან და ცნებათა განმარტებას, აქ იგი ყოვლად მიუღებელია. „გრძნობითი შემეცნებას ჩვენ უწოდებთ რომანტიულს, პოზიტიურ აზროვნებით შემეცნებას კი—კლასიკურს". რა ცნებაა „გრძნობითი შემეცნება", ან რატომ არის იგი „რომანტიული"?—ავტორი ხშირად იბნევა კიდეც. მისი აზრით, წინად გრძნობითი შემოქმედება იყო, ეხლა კი—გონებითი. შეიძლება თუ არა გრძნობითი და გონებითი არეს ისეთი განსაზღვრა, როგორც ავტორი ახდენს, და ან რა ნიშნის მიხედვით ახდენს ამ გარჩევას, ეს არა სჩანს. ყოველ შემთხვევაში, აქ ავტორი არავითარ საფუძველს არ ემყარება. შემოქმედების საკითხი არც ისე ადვილია, როგორც ავტორს წარმოუდგენია, და საქართველოშიც ესთეტიური კულტურა არც ისე დაბალია, რომ ამოძახილები თეორემების გარკვევად მიიღოს.

„უმაღალესი პლასტიური ხელოვნება გამომდინარეობს პოზიტიური შემეცნებიდან: რომანტიული, სიმბოლიური, მისტიური შემეცნება კი დამთავრებულ პლასტიურ ხელოვნებს ვერ ჰქმნის"-ო.

პოზიტიური, ეს სიტყვა განმტკიცდა ოგ. კონტის შემდეგ, და ნიშნავდა ცდას, ყოველ შემთხვევაში, მე XIX საუკ. ეს ცნება ასე დამკვიდრდა. თუ ავტორი ამ ცნებას არ იზიარებს, თავისი განმარტება უნდა მოეცა, თუ განმარტება არ მოგვცა, მაშასადამე იზიარებს იმას, რაც არსებობს. ცდების გზით კი რა ხელოვნება უნდა შეიქმნეს, ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია. და თუ ქიმია, ფიზიკა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნები ხელოვნებად მიაჩნია ავტორს, სთქვას პირდაპირ.

შეიძლება, წმინდა მხატვრული კულტურა ჩვენში მინელებული იყვეს, მაგრამ ლოღიკის უნარს ვერავინ წაგვართმევს, და როდესაც ჩვენი ავტორი პათეთიურად ამბობს: „აზროვნება ახასიათებს თანამედროვე შემოქმედებას, ძველს კი გრძნობა ახასიათებდა"-ო, ეს დებულება უნდა დაიცვას ბოლომდე. მაგრამ ავტორი აქვე განაგრძობს, რომ პოზიტიური, ანუ რაციონალური იყოო ხელოვნება საზოგადოდ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, ბიზანტიაში, სამუსულმანოში და სხ.—ასეთივე იყო ევროპის გოტიკა, იტალიის რენესანსიო, ე.

ი. ყველა ის, რასაც ჩვენ ვიცნობთ ხელოვნებად. დღეს ხელოვნება პოზიტიური უნდა იყვესო, ე. ი. რაც წინად იყო. მაშასადამე უნდა განვაგრძოთ ძველი გზა? მაგრამ ავტორი ლოღიკურ თანამიმდევრობას არ იცავს და მოსალოდნელ პასუხის მაგიერ, იგი სწერს: —„დღეანდელმა მხატვრობამ... აღიარა უვარგისობა წარსულ საუკუნეების პლასტიურ ფორმებისა“... და სხ.

როგორც სჩანს, თვით ავტორი ვერ ერკვევა ამ აზროვნებაში. მაგრამ დაუშვათ, რომ ყველაფერი ეს იყო საკითხის ერთგვარი უარყოფითი კრიტიკა, სადაც ავტორმა სისუსტე გამოიჩინა. იქნება იგი დადებითი პოზიციებზე მტკიცედა ვნახოთ?—„სურათი უნდა აგებული იქნეს მხატვრობის უცვლელ და უნივერსალურ კანონებზე“-ო. რომელია ეს კანონები? იქნება მათემატიკური პროპორციები, შეფარდება და სხ... რომლის შესახებაც ჩვენი ავტორი ლაპარაკობს? მაშინ უდიდესი ხელოვნება და მხატვრობა ყოფილა მათემათიკა და გეომეტრია და მხატვრობა რაღა უნდა იყვეს? —„მათემატიკურ და ფიზიკურ კანონების გარეშე ვერ შეიქმნება ხელოვნების ვერც ერთი ნამდვილი ნაწარმოები“-ო. რატომ მხოლოდ მათემათიკურ-ფიზიკური? ადამიანის არსებობისთვის ბევრი სხვა მხარე არის საჭირო, მაგ.—პსიქოლოგიური, ლოღიკური, სოციოლოგიური და სხ... რაღა მათემათიკა? იქნებ იმიტომ, რომ ყველაზე სწორი მეცნიერებაა? და ხელოვნების მთავარი უბედურებაც იმაშია, რომ იგი ყველაზე „უსწოროა“, და მათემატიკის ანტიპოდია. მათემატიკაში $2 \times 2 = 4$, ხელოვნებაში კი 2×2 არ არსებობს. შემდეგ:—„ჰარმონიულ კონსტრუქციის მიღწევისთვის საჭიროა სიმეტრიის კანონების შეგნებაო.“ რომელი კანონების? ან რა არის სიმეტრია? ეს კითხვები ლოღიკური კატეგორიებია, და მათ ასეთივე პასუხის გაცემა ეჭვერებათ. მაგრამ ჩვენი ავტორი არც ამ ცნებათა განმარტებას იძლევა.

შემდეგ ლაპარაკია ფრანგული კუბიზმის, იტალიურ ფუტურიზმის, გერმანულ ექსპრესიონიზმის და რუსულ კონსტრუქტივიზმის შესახებ, მაგრამ არც ერთი მიმდინარეობა არ არის დახასიათებული ისე მაინც როგორი თეორიაც აქვთ ამ მიმართულებებს. შეიძლება არ მოგვწონდეს, მაგრამ თავისი თეორიები კი აქვთ, და ამ თეორიათა გადმოცემასაც კი ვერ ახერხებს ჩვენი ავტორი. წიგნის მეორე ნახევარი შეიძლება დახასიათდეს როგორც pro domo sua. მაგრამ აქ ველარ ვიტყვით ჩვენს საბოლოო აზრს. ჩვენ ვიცნობდით დავ. კაკაბაძეს როგორც ნიჭიერ მხატვარს, და რეპროდუქციები კი სულ სხვას გვიჩვენებენ. პირველი სამი სურათი, ე. წ. დამოკიდებულ აღსახვის სერიიდან: 1) ნახატები პარიზის ცხოვრებიდან და 2) იმერეთი (მეწურბლე)—კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. საუცხოოა „იმერეთი. მეწურბლე“-ს კომპოზიცია, ნახაზობა. ხოლო რაც შეეხება კონსტრუქციულ პრინციპით შესრულებულ სურათებს, გვგონია, რომ ჩვენი მხატვარი სახიფათო და ულმედეგო გზაზე სდგება. ორიგინალები არ გვინახავს. იქნებ ფერების კომპოზიცია ისეთი საოცარი იყვეს, რომ ავტორს დაფნის შტოებით შევხდეთ, ეს არ ვიცი. მაგრამ თვით ავტორი გვასწავლის, რომ ფერების შეფარდება მხოლოდ ერთი მომენტთაგანია მხატვრულ ნაწარმოების შეფასებაში. მეორე მომენტი—ნახაზიაო, და სამწუხაროდ, ამ რეპროდუქციების ფმრაველსობაში, ჩვენ გეომეტრიულ სხეულების და „პროტოპლაზმების“ გარდა ჯერჯერობით ვერაფერი დავინახეთ. და გვრჩება სინანული, რომ

პარიზს გაეგზავნეთ მხატვარი, და იქიდან გვიბრუნდება გზადაკარგული მოაზროვნე, რომელსაც საქართველოში „მხატვრულ აზროვნების განმტკიცება“ მოუწადინებია. არა, ჩვენ გვინდა მხატვარი დავ. კაკაბაძე, და მოაზროვნეებს სხვებს ვიშოვნით.

ვ. კ.

ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი 1924. in folio გვ. 7—80 ტაბულა. ფასი 3 მან. 50 კ.

წინამდებარე „ალბომში“ მოცემულია მესხეთის, ქართლისა და კახეთის ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ძეგლთა გეგმები და ნახაზები. გეგმები და ნახაზები შესრულებულია სხვადასხვა პირთა მიერ, სხვადასხვა დროს. მასალები გროვდებოდა 20 წლის განმავლობაში და ამჟამად გამოცემულია ძვირფას ქაღალდზე.

„ალბომი“ განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება დიდი მასალა იმ ძეგლების შესახებ, რომელთა მეტი ნაწილი საქართველოს საზღვრების გარეშეა. სამწუხაროა მხოლოდ რომ „ალბომში“ არ არის მოცემული ყველა ძეგლის საერთო სურათი და ფასადის სახეობა და მეტ ნაწილად გეგმები, განაკვეთები და სხვა ნახაზებია წარმოდგენილი. საერთო სურათი ახლავს მხოლოდ შორეთის, ტაოსკარის, ხახულის, ვაჩნაძიანის და გურჯაანის ძეგლთა ნახაზებს.

საერთო სურათების დართვა, მარტო ფართო მასისათვის კი არ იქნებოდა გამოსადეგი, არამედ — ჩვენ ვფიქრობთ — მკვლევართათვისაც, რომელთათვის ეგზომ ძვირფასი და აუცილებელიც არის ამა თუ იმ ძეგლის შესახებ წინასწარ ზოგადი წარმოდგენის დადგენა.

ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობას, ვფიქრობთ, იმდენი დამზადებული ფოტოგრაფიები და კლიშეები მოეპოვება, რომ ის შესძლებს ქართველი საზოგადოების დიდიხნის ნატვრა შეასრულოს და გამოსცეს ქართულ ძეგლთა ზოგადი ალბომი.

კ. ს—ძე.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. ტ. I—II, 1923—1924., ტფილისი. გვ. VIII 380 . **ფასი 3 მანეთი.**

1923 წლის 18 თებერვალს ტფილისში დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება,“ რომლის მიზნებსაც პირველ რიგში შეადგენს ქართულისა და მისი მონათესავე მეგრულ-სვანურის და სხვა კავკასიური ენების კვლევა. ამ რიგად „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ მოწოდებულია ითამაშოს უმნიშვნელოვანესი როლი კავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრებაში და ნათელი მოჰფინოს იმ მრავალ ბუნდოვან საკითხს, რომელთა გადაჭრას ცდილან და დღესაც ცდილობენ უცხოეთში ამავე მიზნით არსებული სამეცნიერო დაწესებულებანი. საამისოდ: „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ვიდრე უცხოეთის დაწესებულებანი.

თავისთავად ცხადია, რომ სამეცნიერო დაწესებულების მუშაობის ნაყოფიერი მსვლელობისათვის ერთ-ერთი ძირითადი პირობათაგანია ბეჭდვითი პერიოდული გამოცემანი. ერთ-ერთ ასეთ ორგანოთ „საზოგადოებას“ გამოუცია პირველ რიგში თავისი „წელიწდეული.“

„წელიწდეულის“ პირველი სამი ნაწილი (წინასიტყვაობა, პროფ. აკ. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ და ბენ. ჩიქობავას „ზოგადი თვალსაზრისათვის“) უფრო საშესავლო ხასიათისაა (თუმცა უკანასკნელ ორს, რასაკვირველია, უაღრესი თვითთავადი მნიშვნელობაც აქვთ).

წინასიტყვაობაში გარკვეულია „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ მიზნები და მუშაობის მეთოდები, ხოლო წერილში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ გამოთქმულია პრინციპული შეხედულებანი თანამედროვე ენათმეცნიერების შესახებ. პროფ. აკ. შანიძე-კი „საზოგადოების“ წლიურ ორგანოს „წელიწდეულად“ წოდების გამო არკვევს „წელიწადი“-ს ეტიმოლოგიას და ეს სიტყვა მისი აზრით „წელითიწლადი“-საგან უნდა იყოს წარმოშობილი.

შემდეგ „წელიწდეულში“ მოთავსებულია ზოგიერთ იმ გამოკვლევათაგანი, რომლებიც დამუშავებულ იქმნა „საენათმეცნიერო საზოგადოების“ წევრთა მიერ და წაკითხული იყო საზოგადოების კრებებზე: აქ შესულა გამოკვლევები პროფ. გიორგი ახვლედიანის („სამი ტოსურში და მათი მიმართება ძველირანულის შესაფერ ბგერებთან“), ბენ. ჩიქობავასი (—ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“), სვ. ჯანაშიასი („უზენაესი ღვთაების აფხაზური სახელწოდების ფორმისათვის“ და „კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში“) და ვ. თოფურიასი („ორმაგი უარყოფა ქართულში“).

გარდა გამოკვლევებისა წიგნში „ხევსურული მასალებია“ გამოცემული პროფ. აკ. შანიძის რედაქტორობით.

როგორც ბოლოში დართულ, „საენათმეცნიერო საზოგადოების“ სხდომათა ოქმებიდან ჩანს, საზოგადოების სხდომაზე 1923—1924 წ. წ. განმავლობაში გაცილებით უფრო მეტი გამოკვლევა ყოფილა წარმოდგენილი და წაკითხული, ვიდრე ეს წელიწდეულშია მოთავსებული, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ „საზოგადოება უსახსროების გამო უფრო ხშირად ვერ სცემს თავის ორგანოს და ავტორები იძულებული არიან სხვა და სხვა არა სპეციალურ გამოცემებში გააბნიონ თავიანთი ნაკვლევნი“.

„ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ პირველი გამოცემა სრულს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „საზოგადოების“ მუშაობა მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რათა მან ასეთისავე წარმატებით განაგრძოს თავისი მუშაობა.

კ. ს—ძე.

რედაქციისაგან:

მიმდინარე ნომრისათვის ვერ მოესწრო ბიბლიოგრაფიები:
ვახტანგ კოტეტიშვილის ახალ მონოგრაფიაზე „ალექსანდრე ყაზბეგი“.
კრებულებზე: **გრიგოლ ცეცხლაძე** „პოეტის ყეფა“, **რაჟდენ გვეტაძე** „ვირების მესია“, **კონსტანტინე ჰიჰინაძე**—„რჩეული ლექსები“, **არჩილ ჯაჯანაშვილი**—ნაწერების კრებული.
ბიბლიოგრაფიები მოთავსდება შემდეგ ნომერში.

ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ჟურნალში მოთავსებული მასალა ვერ მიდის იმ რიგით, როგორადაც რედაქციას ჰქონდა განზრახული.

რედ.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა

ჟურნალი

„ახალი კავკასიონი“

ორგანო
ლიტერატურისა, ხელოვნებათა,
ფილოსოფიისა და მეცნიერებისა.

ჟურნალში თანამშრომლობას ეწევიან საუკეთესო სალიტერატურო და სამეცნიერო ძალები სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირიდან და ქართული უნივერსიტეტიდან. ჟურნალს ჰყავს მუდმივი თანამშრომლები ევროპაში.

ჟურნალი ღირს:

1 წლით (12 ნომერი) . . .	20 მან.
ნახევარი წლით (6 ნომერი) . .	10 „
სამი თვით (3 ნომერი) . .	5 „

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, ხელოვანთა სასახლე. ივანე მაჩაბლის ქ. № 13.
ტელეფონი 17—51.

ს 984 ა
1925

სამი მანეთი და ათი შაური.